სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული

კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე

I-VI კლასები

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
G-PRIED Georgia Primary Education Project
საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE G-PRIED Georgia Primary Education Project
საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე

(I-VI კლასები)

2015

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) მადლობას უხდის
თამარ ჭანტურიას, გიორგი ჭაუჭიძეს, თამარ მახარაძეს, მაკა მახარობლიძეს,
მაია ლორთქიფანიძეს, ნონა არევაძე-კოტორაშვილს, ეთერ აფხაზავას, ლელა
ქისტაურს, ნუგზარ არჩემაშვილს და ელისო რეხვიაშვილს, რომლებმაც პაატა პაპავას
ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ წიგნის მომზადებაში.
განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ მედეა კაკაჩიას (USAID) და ნათია ნაცვლიშვილს
(მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი) გაწეული
დახმარებისთვის.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE G-PRIED Georgia Primary Education Project
საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და
აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალის შინაარსზე
პასუხისმგებელია ქემონიქს ინთერნეშენალი ინკ. და იგი არ წარმოადგენს აშშ
საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან აშშ მთავრობის აზრს. ეს მასალა მომზადდა
აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საქართველოს დაწყებითი განათლების
პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.

სარჩევი

სარესურსო წიგნის შესახებ 4

თავი I. კითხვისა და წერის სწავლების ძირითადი საკითხები 7

თავი II. ფონოლოგიური უნარ-ჩვევები 31

თავი III. ანბანისა და სიტყვების წაკითხვის სწავლება 65

თავი IV. გაწაფული/გამართული კითხვა 127

თავი V. ლექსიკური მარაგი 165

თავი VI. გაგება-გააზრება 207

თავი VII. წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე 291

თავი VIII. განმავითარებელი შეფასება 327

გამოყენებული ლიტერატურა 348

სარესურსო წიგნის შესახებ

წინამდებარე სარესურსო წიგნი შეიქმნა საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) ფარგლებში, რომელიც აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტის მიზანია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება კითხვასა და მათემატიკაში. განათლების დაწყებით საფეხურზე კითხვისა და მათემატიკის სწავლება-სწავლის გაუმჯობესება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეს ფუნდამენტური უნარები განაპირობებს პიროვნების აკადემიურ თუ პროფესიულ წარმატებას ნებისმიერ სფეროში. პროექტის კიდევ ერთი მიზანია დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა ბიზნესის უნარ-ჩვევების განვითარება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად G-PriEd-ი ხელს უწყობს დაწყებითი კლასების ქართული ენისა და მათემატიკის მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას. ასევე, სთავაზობს სკოლებს მრავალფეროვან სასწავლო რესურსებს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიების დასანერგად. მასწავლებლები ერთვებიან G-PriEd-ის ინოვაციურ ტრენინგპროგრამაში და, ამასთანავე, მონაწილეობენ სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ღონისძიებებში.

სარესურსო წიგნი ძირითადად განკუთვნილია G-PriEd-ის კითხვის სწავლების ტრენინგკურსის მონაწილე დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის, რომლებიც ასწავლიან ქართულ ენასა და ლიტერატურას და/ან ქართულს, როგორც მეორე ენას I-VI კლასებში. წიგნის ზოგიერთი ნაწილი (განსაკუთრებით ლექსიკური მარაგისა და გაგება-გააზრების თავები) გამოადგებათ ყველა იმ საგნის მასწავლებლებს, რომელთა სწავლებაც მოსწავლეების მიერ ტექსტების წაკითხვასა და მიღებული ინფორმაციის დამუშავებას მოითხოვს.

წიგნი შეიცავს **კითხვისა და წერის სწავლება-სწავლის** ინოვაციური (დაბალანსებული, ინტეგრირებული და დიფერენცირებული) მიდგომების შესაბამის მეთოდებსა და აქტივობებს. იგი შექმნილია კითხვის სწავლების ტრენინგპროგრამის მასალაზე დაყრდნობით. წიგნში ასახულია ბოლო ათწლეულების საერთაშორისო მიღწევები განათლების სფეროში მიმდინარე კვლევებისა და სასწავლო პრაქტიკის მიმართულებით. G-PriEd-ის პილოტირების პროცესში დაგროვილმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ამ მიდგომების დანერგვამ გააუმჯობესა მოსწავლეთა სწავლის შედეგები როგორც ქართულენოვან, ისე არაქართულენოვან სკოლებში. წარმოდგენილი მასალა ხელს შეუწყობს საქართველოს სკოლებს განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესრულებაში.

წინამდებარე სარესურსო წიგნში წარმოდგენილი მეთოდები და რესურსები ეფექტურად გამოიყენება დიფერენცირებული სწავლებისათვის. ეს შეეხება როგორც კონკრეტულ აქტივობებს, ისე დიაგნოსტიკური ტესტების ნიმუშებს. მასალის მიზნობრივად გამოყენება საშუალებას მისცემს მასწავლებელს, შეარჩიოს საკლასო და საშინაო დავალებები თითოეული მოსწავლის სწავლის ტრაექტორიის გათვალისწინებით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის მასწავლებელს მოუწევს ამა თუ იმ მეთოდის მოდიფიცირება და/ან რესურსის ადაპტირება ბავშვის მზაობისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად.

წიგნით სარგებლობისას სხვადასხვა ადგილას ვხვდებით სპეციფიკურ დეტალებს ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების საკითხებზე. ეს ინფორმაცია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებსაც გამოადგებათ. პირველ რიგში, ისინი გაიფართოებენ ენის სწავლებასთან დაკავშირებულ თეორიულ ცოდნას, ამასთან, წარმოდგენილ რეკომენდაციებს პრაქტიკულად გამოიყენებენ საკუთარ გაკვეთილებზე დიფერენცირებული სწავლების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის. დაბოლოს, ქართულენოვან სკოლებში დღეს არცთუ იშვიათად გვხვდება კლასი, რომლის ზოგიერთი მოსწავლისთვის ქართული არაა მშობლიური ენა.

რაც შეეხება ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებს, მათთვის, რა თქმა უნდა, საინტერესო და სასარგებლო იქნება სარესურსო წიგნში წარმოდგენილი როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მასალა. თუმცა, შესაძლოა, ზოგიერთი მეთოდის/აქტივობის გაცნობისას მას გაუჩნდეს განცდა, რომ იგი ზედმეტად რთული ან მოუხერხებელია მისი მოსწავლეებისათვის. ამ შემთხვევაში ჩვენი რეკომენდაცია იქნება:

- არ გამოიყენოს ეს მეთოდი ან გადადოს მისი გამოყენება გარკვეული ვადით;
- გააკეთოს მეთოდის ადაპტაცია და მოარგოს იგი კლასის მონაცემებს;
- გაუზიაროს ეს მეთოდი კოლეგებს, რომლებიც მოსწავლეებს მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ასწავლიან.

სარესურსო წიგნის აგებულება და შინაარსი

კითხვისა და წერის სწავლების სარესურსო წიგნი რვა თავისაგან შედგება. შესავალში საუბარია წიგნიერებასა და მის მნიშვნელობაზე, კითხვის სწავლება-სწავლის ძირითად კომპონენტებსა და მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე. I-V თავები კითხვის თითო ფუნდამენტურ კომპონენტს შეეხება, ესენია: ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, ანბანი და სიტყვების წაკითხვა, გამართული/გაწაფული კითხვა, ლექსიკური მარაგი და გაგება-გააზრება. VI თავი ეთმობა წერის სწავლების მეთოდებსა და რესურსებს. VII თავში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების ფორმები და ინსტრუმენტები თითოეული თავი სამ ძირითად ნაწილად იყოფა: თეორიული მიმოხილვა, მეთოდები/აქტივობები და მონიტორინგი/შეფასება. წიგნის დანართში მოცემულია სასარგებლო გრაფიკული სქემები, რომლებსაც მასწავლებელი სურვილისამებრ გაამრავლებს და სამუშაო ფურცლების სახით შესთავაზებს მოსწავლეებს.

ყველა მეთოდის აღწერილობა მეტ-ნაკლებად ერთნაირ ქარგაზეა აგებული:

- **მეთოდის/აქტივობის შესახებ** – მეთოდის/აქტივობის ძირითადი არსი და ზოგადი აღწერა.
- **უნარები** – კონკრეტული უნარ-ჩვევები, რომლებსაც მეთოდის გამოყენება ავითარებს.

- **მუშაობის ფორმა** – რეკომენდაცია იმის შესახებ, თუ როგორ მონაწილეობენ მოსწავლეები აქტივობაში – ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად. თუ ამ პუნქტში მითითებულია მუშაობის რამდენიმე ფორმა (მაგ., ინდივიდუალური და წყვილები), იგულისხმება, რომ აქტივობის განხორციელება შეიძლება როგორც ერთი, ისე მეორე ფორმით.

- **რესურსი** – სასწავლო და ტექნიკური საშუალებები, რომლებიც საჭიროა აქტივობის წარმართვისთვის.

- **მსვლელობა** – აქტივობის განხორციელების კონკრეტული საფეხურები. ზოგჯერ მსვლელობის აღწერას ერთვის გრაფიკული სქემა, მოსწავლის ნამუშევრის ნიმუში და/ან საკლასო ოთახის სიტუაციის ამსახველი ილუსტრაცია.

- **შენიშვნა** – დამატებითი რეკომენდაციები მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით. ზოგიერთი შენიშვნა საგანგებოდ განკუთვნილია ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებისათვის.

- **ვარიაცია** – მეთოდის სახესხვაობა, რომელსაც მასწავლებელი, მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით, განსხვავებულ კონტექსტში გამოიყენებს. ზოგჯერ ყურადღება საგანგებოდ მახვილდება მეორე ენის სწავლებისა და სწავლის სპეციფიკურ ასპექტებზე.

მეორე/უცხოური ენის მასწავლებლებისთვის

მეორე/უცხოური ენის მასწავლებლებს სასწავლო პროცესში სხვადასხვა ენობრივი და მეთოდოლოგიური თავისებურების გათვალისწინება უწევთ, ვინაიდან მოსწავლეებისთვის სამიზნე ენა არაა მშობლიური.

მასწავლებლების ნაწილმა არ იცის მოსწავლეთა მშობლიური ენა, ან იცის, მაგრამ შეგნებულად არ იყენებს მას საგაკვეთილო პროცესში. ისინი მოსწავლეებთან მხოლოდ სამიზნე ენაზე (ჩვენს შემთხვევაში, ქართულად) ურთიერთობენ. ჩვენს სარესურსო წიგნში ამ მიდგომის ეფექტურობას არ განვიხილავთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ წიგნში მოცემული ზოგიერთი აქტივობის განხორციელება შესაძლოა გაართულოს ბავშვების მხრიდან ინსტრუქციის ვერგაგებამ, აგრეთვე, მოსწავლეთა დაბალმა ენობრივმა კომპეტენციებმა.

როგორ მივაწოდოთ ინსტრუქცია ისე, რომ მოსწავლეებმა ის ადვილად გაიგონ? ამ შესაძლო პრობლემის გადასაჭრელად კარგად მუშაობს შემდეგი სტრატეგიები:

- ინსტრუქციების ენის გამარტივება და დაყვანა მოსწავლეთა ენობრივ კომპეტენციამდე;[1]
- მკვეთრი მიმიკა-ჟესტიკულაციის ინტენსიური გამოყენება;
- შესასრულებელი მოქმედებების გათვალსაჩინოება და მოდელირება (მოქმედების წინასწარ დემონსტრირება) მასწავლებლის მიერ. ამავდროულად, რაც შეიძლება გამარტივებული ფრაზებით ხმამაღლა ფიქრის მეთოდის გამოყენება;
- მშობლიური ენის მასწავლებლისთვის აქტივობების/მეთოდების გაზიარება, რათა მოსწავლეები მშობლიურ ენაზეც მიეჩვიონ მათ გამოყენებას;
- კლასში მყოფი „მიმხვედრი“ მოსწავლეების დახმარება, რომლებიც ერთი მინიშნებისთანავე ამოიცნობენ ხოლმე მასწავლებლის მითითებას. მასწავლებლის შემდეგ ამ ბავშვების მიერ დავალების შესრულების მოდელირება.

გვინდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი მეთოდი და მასზე დაფუძნებული აქტივობა რთულად განსახორციელებელია არამშობლიურ ენაზე, ამიტომაც არ მოერიდოთ მათ ადაპტირებას თქვენი მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე. ადაპტირების ან მოდიფიცირების საჭიროება განპირობებული იქნება როგორც მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციებით, ისე სამიზნე მეორე/უცხოური ენის სწავლების ამოცანებითა და სპეციფიკით. ცხადია, ეს რეკომენდაცია არ ეხება მხოლოდ არაქართულენოვანი სკოლების ქართული ენის მასწავლებლებს. ეს მიდგომა – მეთოდის ადაპტირება და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგება – გამოსადეგია ნებისმიერი საგნისა და კლასის მასწავლებლისთვისაც.

წიგნში მეორე/უცხოური ენის სწავლებისათვის სპეციფიკური ინფორმაცია განსხვავებული ფერის შრიფტითაა დაბეჭდილი. ამ ინფორმაციას სხვადასხვა ადგილას შეხვდებით: ძირითად ტექსტში, შენიშვნებში ან სქოლიოში.

[1] ინსტრუქციის გაგების გარდა ასეთი მიდგომა მოსწავლეს ეხმარება ენის ათვისებაში.

კითხვისა და წერის სწავლების ძირითადი საკითხები

- *რა არის წიგნიერება?*
- *რა უნარებისგან შედგება კითხვა?*
- *რატომ ვიყენებთ დაბალანსებულ და დიფერენცირებულ მიდგომებს კითხვის სწავლებისას?*
- *როგორ გავამდიდროთ კითხვის სწავლების პროცესი დამატებითი საკითხავებით?*
- *რა არის კითხვის დიაგნოსტიკური შეფასება?*

რა არის წიგნიერება?

- ვიწრო გაგებით, წიგნიერება ნიშნავს კითხვისა და წერის ცოდნას, ფართო გაგებით, იგი მოიცავს მრავალფეროვანი მხატვრული, ინფორმაციულ-შემეცნებითი, ყოფით-პრაგმატული ტექსტების წაკითხვის, შექმნის, განხილვის, გადამუშავებისა და სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების უნარებს. ეფექტური კითხვა, თავის მხრივ, გულისხმობს კითხვის ტექნიკის გაწაფვას და წაკითხულის კრიტიკულად გააზრებას.
- წიგნიერება გვეხმარება კონკრეტული ყოფითი და აკადემიური პრობლემების გადაჭრაში; იგი პიროვნული განვითარების, თვითგამოხატვისა და თვითდამკვიდრების საშუალებაა.
- წიგნიერება გვეხმარება სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცვლილებების დაპროექტებასა და განხორციელებაში (წიგნიერება სოციალური ძვრების ინსტრუმენტია).

რატომ უნდა ვიზრუნოთ კითხვისა და წერის (წიგნიერების) ფუნდამენტური უნარების სწავლება-სწავლის გაუმჯობესებაზე დაწყებით კლასებში?

- ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე, ასევე, უმაღლესი განათლების საფეხურზე უკეთესი მიღწევებით გამოირჩევიან ის მოსწავლეები/სტუდენტები, რომელთაც სკოლამდელ და დაწყებით საფეხურებზე კარგად ისწავლეს კითხვა და წერა.
- წიგნიერი უნარ-ჩვევების მფლობელი მოსწავლეები სწრაფად და ხარისხიანად სწავლობენ არა მხოლოდ მშობლიურ ენასა და ლიტერატურას, არამედ საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებს.
- წიგნიერი მოსწავლეები გამოირჩევიან ემპათიის, პოზიტიური სოციალური ურთიერთობების და თანამშრომლობის უნარებით.
- მოსწავლეებს, რომელთაც მეოთხე კლასამდე სათანადოდ არ განუვითარდათ კითხვისა და წერის უნარ-ჩვევები, უჭირთ ამ უნარების გამომუშავება მომდევნო კლასებში.
- მოსწავლეთა კითხვის უნარის საერთაშორისო შეფასების პროგრამის (PIRLS) მონაცემების მიხედვით ქართველი მეოთხე კლასის მოსწავლეები სათანადო შედეგებს ვერ აღწევენ წაკითხული მხატვრული და ინფორმაციული ტექსტების გაგება-გააზრებაში.
- კითხვა და წერა ეროვნული სასწავლო გეგმის მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ქართულის, როგორც მეორე ენისა და უცხოური ენების საგნობრივი სტანდარტის ძირითადი მიმართულებებია, ხოლო წიგნიერება პირველია პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციებს შორის.

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის წიგნიერების კომპონენტი სამ ძირითად მიზანს ისახავს:

- მონაწილე სკოლის მასწავლებლებმა შეძლონ კითხვისა და წერის სწავლება **დაბალანსებული** და **ინტეგრირებული** მიდგომით;
- მასწავლებლებმა შეძლონ სხვადასხვა ტიპის ტექსტის გაგება-გააზრებაზე ორიენტირებული მრავალფეროვანი, ინოვაციური **მეთოდებისა და რესურსების** გამოყენება სასწავლო პროცესში;
- მასწავლებლებმა შეძლონ კითხვის **დიფერენცირებულად სწავლება** დიაგნოსტიკური და საკლასო განმავითარებელი შეფასების გამოყენებით.

მასწავლებელთა მონაწილეობა სკოლის ბაზაზე ინტენსიური პროფესიული განვითარების პროგრამაში და სკოლების უზრუნველყოფა დამატებითი საკითხავი წიგნებითა და სხვა სასწავლო მასალით ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებას კითხვასა და სწავლაში.

კითხვის ხუთი კომპონენტი

კითხვის უნარის დაუფლება ხუთი ძირითადი კომპონენტის განვითარებას მოიცავს. ეს კომპონენტებია: ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, ანბანის ცოდნა, ლექსიკური მარაგი, გაწაფული/გამართული კითხვა, გაგება-გააზრება. ეს ხუთი კომპონენტი იდენტურია ანბანური დამწერლობის მქონე ენებისათვის. არ აქვს მნიშვნელობა, კითხვას მშობლიურ ენაზე ეუფლება ადამიანი თუ მეორე ან მესამე ენაზე.

მნიშვნელოვანია, რომ კითხვის მასწავლებელს შეეძლოს თითოეული კომპონენტის:

- **დახასიათება (როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვა კომპონენტებთან ურთიერთკავშირში).** მაგალითად, რა ძირითადი ელემენტებისგან შედგება გაწაფული კითხვა და რა კავშირშია იგი დეკოდირებასთან ან გაგება-გააზრებასთან.

- **განვითარების ტრაექტორიის აღწერა იმის მიხედვით, თუ რა ასაკისაა მოსწავლე და წერა-კითხვას მშობლიურ ენაზე ეუფლება თუ მეორე ენაზე.** მაგალითად, რა ბარიერებს აწყდება კითხვის შესწავლისას არაქართულენოვანი ბავშვი იმის გამო, რომ მისთვის უცხოა ქართულში არსებული რამდენიმე ბგერა.

- **სწავლებისათვის შესაფერისი მეთოდებისა და რესურსების გამოყენება მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.** მაგალითად, „სიტყვის რუკის“ რომელი ვარიანტების გამოყენებაა მიზანშეწონილი კითხვის დონის მიხედვით დიფერენცირებულ სამ ჯგუფში, ამასთან, ერთ-ერთ ჯგუფში მოსწავლეებისთვის ქართული არ არის მშობლიური ენა.

მომდევნო გვერდებზე მოცემულია თითოეული კომპონენტის მოკლე აღწერა.

პედაგოგიური რეფლექსიისათვის

- რომელი ინდიკატორებით არის შესაძლებელი ბავშვის განვითარების დონის დადგენა თითოეულ კომპონენტში?
- რა მიდგომებითა და მეთოდებით ასწავლით კითხვის კომპონენტებს?
- რა რესურსებს იყენებთ კითხვის თითოეული კომპონენტის სწავლებისას?

სურ. 1 კითხვის კომბინირებული სქემა*



* სქემაში გამოყენებულია ამონარიდები ეროვნული სასწავლო გეგმის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტიდან.

ფონოლოგიური უნარ-ჩვევები

ფონოლოგიურ უნარებში, ძირითადად, იგულისხმება სიტყვის შემადგენელ ბგერებსა (ფონემები) და მარცვლებზე ფოკუსირების, ასევე, ამ ბგერებით მანიპულირების უნარები. ფონოლოგიური უნარის მქონე ბავშვმა უნდა შეძლოს: სიტყვის პირველი და ბოლო ბგერების იდენტიფიცირება, მსგავსი ბგერების ერთმანეთისგან გარჩევა, ბგერების ერთმანეთზე გადაბმა, სიტყვის ბგერებად ან მარცვლებად დანაწევრება და სხვ. ფონოლოგიური უნარები აუდიტორულია (სმენითი) და არ უკავშირდება დაწერილ ტექსტთან ურთიერთობას.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფონოლოგიური უნარების განვითარებას, რათა მოსწავლეს განუვითარდეს ფონემური ცნობიერება (ზეპირი მარცვლების, ბგერების აღქმისა და გამოყენების უნარი). ფონემური ცნობიერების განვითარება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მოსწავლემ ანბანური პრინციპი გაიგოს (ასოს, ანუ გრაფიკული ერთეულის მიმართება ბგერასთან, ანუ ხმოვან ერთეულთან).“ (ეროვნული სასწავლო გეგმა, სასწავლო გეგმა ქართულ, როგორც მეორე ენაში)

ანბანის ცოდნა

ეს არის დაწერილი ასოს დაკავშირება მის შესაბამის ბგერასთან, ანუ ასოებსა და ბგერებს შორის მიმართებების (ანბანური პრინციპის) გაცნობიერება. უნარი ასევე გულისხმობს ანბანური პრინციპის გამოყენებას კითხვისა და წერის პროცესში. კითხვის ამ კომპონენტის ფლობის გარეშე შეუძლებელია სიტყვების დეკოდირება და კითხვის ტექნიკის განვითარება.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გაშიფვრა, იგივე დეკოდირება არის სიტყვის გრაფიკული ხატის აკუსტიკურ ხატად კონვერტირება, ანუ ასოების ამოცნობა და მათი დაკავშირება შესაბამის ბგერებთან; ბგერების სიტყვად გამთლიანება, აკუსტიკური ხატის სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირება.

ლექსიკური მარაგი

ლექსიკური მარაგი არის გონებაში არსებული სიტყვების ერთობლიობა. შეზღუდული ლექსიკური მარაგი წაკითხული ტექსტების გააზრების ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორია. ლექსიკური მარაგის გამდიდრება გულისხმობს არა მხოლოდ სიტყვების გარკვეული რაოდენობის მეხსიერებაში შენახვას, არამედ საკითხავი სიტყვების სიმრავლის მუდმივად გაფართოებას, სალაპარაკო და საკითხავი ენობრივი მარაგისთვის ყოველდღიურად ახალი სიტყვების მიმატებას, იმის უკეთ გაგება-გააზრებას, თუ რას ნიშნავს ესა თუ ის სიტყვა განსხვავებულ კონტექსტში; სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირებისა და სიტყვებით „თამაშის“ უნარს.

ხშირად ხდება, რომ თავიდან მოსწავლის კითხვის უნარი კარგად ვითარდება, მაგრამ მესამე-მეოთხე კლასში ამ პროცესს სწორედ ლექსიკურ მარაგთან დაკავშირებული პრობლემები აფერხებს. ეფექტური კითხვისათვის საჭირო ლექსიკური მარაგი წიგნებიდან უფრო გროვდება, ვიდრე საუბრებიდან ან ტელევიზორიდან.

გამართული/გაწაფული კითხვა

კითხვა გამართულია, როცა ის მიმდინარეობს უშეცდომოდ, ადეკვატური ტემპით, გაბმულად (უადგილო წყვეტების გარეშე) და გამომსახველობით (ინტონაციითა და სასვენი ნიშნების გათვალისწინებით). გამართული კითხვის დროს მკითხველი ჩერდება სასვენ ნიშნებთან, ერთიანი აზრის გამოკვეთით კითხულობს წინადადებებს, იყენებს ინტონაციას, პაუზებსა და მახვილებს, რაც მას ტექსტის გაგებაში ეხმარება. გარდა ამისა, ის სწრაფად, ძალისხმევის გარეშე ახერხებს ცალკეული სიტყვების ამოცნობას და ერთმანეთზე თანმიმდევრულად გადაბმას. გაუმართავი კითხვისათვის დამახასიათებელია ე. წ. „რობოტული კითხვა“, არაბუნებრივი წყვეტები, ხშირი გამეორება და თვითშესწორება, წერტილებისა და სხვა სასვენი ნიშნების იგნორირება კითხვისას.

გაგება-გააზრება

წაკითხულის გაგება-გააზრება, არსებითად, კითხვის ძირითადი დანიშნულებაა. გაგებას საკვანძო მნიშვნელობა აქვს აკადემიური წარმატებების მიღწევასა და პრაქტიკულად ყველა სახის საქმიანობაში. გაგება-გააზრება არის იმგვარი სააზროვნო ინტერაქცია ტექსტსა და მკითხველს შორის, რომლის შედეგია ტექსტში გადმოცემული შინაარსის კონსტრუირება მკითხველის ცნობიერებაში. როცა გაგება ეფექტურია, მკითხველს იმდენად ღრმად ესმის ავტორის მიერ გადმოცემული სათქმელი, რომ მას შეუძლია: წაკითხულის გონებაში წარმოდგენა, ვარაუდების ჩამოყალიბება, დასკვნების გამოტანა, ტექსტში გადმოცემული ინფორმაციის შეჯამება და შეფასება, შეკითხვების დასმა, შედარება, კავშირების გაბმა, წაკითხული იდეების სხვებისთვის გაზიარება და სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება. წაკითხულის გაგება-გააზრების უნარის განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მკითხველის წინარე გამოცდილებას, ლექსიკურ მარაგს და მოსმენილის გაგება-გააზრების უნარს.

ტექსტის სიღრმისეულ გააზრებაზე ორიენტირებული მკითხველისთვის დამახასიათებელია ე.წ. მეტაკოგნიცია (ფიქრი საკუთარი აზროვნების შესახებ), რაც გულისხმობს გაგების თვითმონიტორინგს. გაგების შეფერხებისას კარგი მკითხველები გააზრების ალტერნატიულ სტრატეგიებს მოიშველიებენ ხოლმე.

ფონოლოგიური უნარები და ანბანის ცოდნა დროში ერთგვარი თანმიმდევრობით ვითარდება. ბავშვს გარკვეული ფონოლოგიური მზაობა სჭირდება იმისათვის, რომ ანბანი აითვისოს. თუმცა კითხვის სწავლის დაწყების შემდეგ ეს ორი კომპონენტი პარალელურად ვითარდება და ერთმანეთს აძლიერებს, რაც სიტყვების დეკოდირებაზე გადასვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. რაც შეეხება ლექსიკურ მარაგსა და გაგება-გააზრებას, ისინი საკმაოდ ადრე ჩაისახება ზეპირი კომუნიკაციის გზით, შემდგომ კი, ტექსტებთან ურთიერთობის პროცესში, ღრმავდება და მთელი ცხოვრების მანძილზე ვითარდება.

კითხვის სწავლების საბაზისო მოდელი – ინტერაქტიული და კონსტრუქტივისტული მიდგომა

კონსტრუქტივისტულ-ინტერაქტიული მოდელი აღწერს ურთიერთმიმართებებს კითხვის ოთხ ძირითად ასპექტს შორის, ესენია: მკითხველი, დავალება/მიზანი, ტექსტი, კონტექსტი/გარემო. კითხვის პროცესი ეფექტურად მიმდინარეობს, თუკი:

- ***მკითხველს*** აქვს მზაობა, ინტერესი და გაცნობიერებული *მიზანი* მოცემული *ტექსტის* წასაკითხად;
- ***ტექსტი*** შეესაბამება *მკითხველის* კითხვის დონეს, ინტერესსა და წაკითხვის *მიზანს*;
- ***გარემო*** კომფორტულია *მკითხველისათვის* და შეიცავს *მიზნის* მიღწევისათვის საჭირო დამხმარე ელემენტებს.
- კითხვის პროცესი მიმართულია კონკრეტული, გაცნობიერებული ***მიზნის*** მიღწევისაკენ;

განვიხილოთ ეს მოდელი საკლასო ოთახის მაგალითზე:

მკითხველი

კითხვის სწავლის პროცესში უნდა გავითვალისწინოთ, რომ თითოეულ მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური *განვითარების უახლოესი ზონა* (ლევ ვიგოტსკი). მასწავლებელი დიაგნოსტიკური და განმავითარებელი შეფასების მონაცემებზე დაყრდნობით დაადგენს მოსწავლეთა მზაობას, საჭიროებებსა და ინტერესებს, შეარჩევს ადეკვატურ ტექსტებსა და დავალებებს. მოსწავლეები ნაბიჯ-ნაბიჯ ივითარებენ კითხვის კომპეტენციებს და მასწავლებლის დახმარებით ეუფლებიან გაგება-გააზრების სტრატეგიებს. მასწავლებელი სხვადასხვა საშუალებას იყენებს პატარა მკითხველებში მოტივაციის, თავდაჯერებულობისა და თვითრწმენის გასაღვივებლად.

ტექსტი

სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი ტექსტები, რომელთა სირთულე შეესაბამება მოსწავლეთა *კითხვის დონეს*[1]. ტექსტები შერჩეულია თემატურ-შინაარსობრივი, ენობრივ-გრამატიკული და ვიზუალური მახასიათებლების გათვალისწინებით. მათში გათვალისწინებულია ბავშვების ასაკობრივი ინტერესები და გაკონტროლებულია ისეთი პარამეტრები, როგორებიცაა ტექსტის მოცულობა, წინადადებებისა და სიტყვების სიგრძე, უცნობი ლექსიკური ერთეულების რაოდენობა და სხვ. მოსწავლეები ითვისებენ მხატვრული, საინფორმაციო-შემეცნებითი, პრაგმატული ტიპის ტექსტების სტრუქტურულ მახასიათებლებს და შესაფერის სტრატეგიებს იყენებენ მათთან სამუშაოდ.

გარემო/კონტექსტი

კითხვის ეს ასპექტი გულისხმობს წიგნიერების განვითარებაზე ორიენტირებულ ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ გარემოს. კითხვა და წერა ინტერაქტიული პროცესებია. ჩვეულებრივ, კარგი მკითხველი ცდილობს გაუზიაროს სხვებს ამა თუ იმ ტექსტის წაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია, შთაბეჭდილებები, დასკვნები და დამოკიდებულებები. ამიტომ, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი და წახალისებული მკითხველებს შორის საუბრისა და აზრების გაცვლის საშუალებები. გასათვალისწინებელია, თუ რამდენად კომფორტულ გარემოში უწევთ მოსწავლეებს კითხვა, არის თუ არა სათანადო განათება, საკმარისი ჰაერი და ა. შ. ავეჯი და აღჭურვილობა იმგვარად უნდა მოეწყოს, რომ მოსწავლეებს გაუადვილდეთ ინტერაქცია, დისკუსიებში ჩართვა, იდეებისა და ნამუშევრების გაზიარება. კლასში სივრცის ეფექტურად ორგანიზება ხელს უწყობს „სამკითხველოს“, გათამაშებების, პრეზენტაციების, თოქ-შოუს ტიპის აქტივობების ჩატარებას. სასურველია, გამოიყოს სპეციალური კუთხე, სადაც მასწავლებელს საშუალება მიეცემა, საგანგებოდ იმუშაოს ერთ ან რამდენიმე მოსწავლესთან. კლასში უნდა მოეწყოს საკლასო ბიბლიოთეკა, რომელშიც საკითხავი ტექსტები ბავშვებისთვის ხელმისაწვდომად იქნება განთავსებული სირთულის დონეების/თემატური კატეგორიების მიხედვით; საკლასო ოთახის კედლებზე გამოიკრას სიტყვების კედელი, თემატური და სასარგებლო სტრატეგიების პოსტერები, მოსწავლეთა ნამუშევრები და სხვ.

საგანგებო მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ძირითადი და დამატებითი რესურსებია (ლექსიკონები, ენციკლოპედიები, ინტერნეტი) მკითხველისთვის ხელმისაწვდომი. არის თუ არა გარშემო ადამიანი (მასწავლებელი, ბიბლიოთეკარი, საკითხის მცოდნე პიროვნება), რომელსაც შეიძლება დახმარებისთვის მიმართოს მკითხველმა.

დავალება/მიზანი

კითხვის დაწყებამდე მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს ტექსტთან მუშაობის მიზნის გაცნობიერებაში. წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები მიუბრუნდებიან თავდაპირველად დასახულ მიზანს და ცდილობენ შეაფასონ, თუ რამდენად მიაღწიეს მას და კითხვის რომელი უნარები/სტრატეგიები გამოიყენეს წაკითხვამდე, კითხვის დროს და წაკითხვის შემდეგ. მასწავლებელი პერიოდულად განსხვავებული სირთულის ტექსტებსა და დავალებებს აძლევს მოსწავლეებს განვითარების უახლოესი ზონის გათვალისწინებით. ერთსა და იმავე გაკვეთილზე მოსწავლეები დიფერენცირებულ ჯგუფებში მუშაობენ სხვადასხვა სირთულის ტექსტსა და დავალებაზე. პერიოდულად

[1] იგულისხმება მკითხველსა და ტექსტს შორის არსებული ურთიერთმიმართების სამი დონე: ფრუსტრაციული, სასწავლო და დამოუკიდებელი.

მასწავლებელი არჩევანის თავისუფლებას ანიჭებს მოსწავლეებს, რათა მათ თავად შეარჩიონ წასაკითხი წიგნი, წერითი დავალება ან კითხვის სტრატეგია.

კითხვის მიზნის გაცნობიერება ხშირად განაპირობებს მკითხველის მოტივაციას და კითხვის შესაფერისი სტრატეგიების შერჩევას. ასე რომ, მკითხველის გამოცდილებას (წასაკითხზე არსებულ ცოდნას), მოტივაციას, განწყობა-დამოკიდებულებებს, კითხვის უნარებსა და კითხვის დროს გამოსაყენებელ სტრატეგიებს განსაკუთრებული წვლილი შეაქვს კითხვის პროცესში.

წიგნიერების სწავლების ოპტიმალური მოდელი – პასუხისმგებლობის ნაბიჯ-ნაბიჯ გადაცემა

კითხვის სწავლების ოპტიმალური მოდელის მიხედვით (Pearson & Gallagher, 1983), წიგნიერების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების შესრულების დროს პასუხისმგებლობა თანდათანობით გადაეცემა მასწავლებლისგან მოსწავლეს. თავდაპირველად მასწავლებელი იწყებს კითხვის ან წერის კონკრეტული სტრატეგიის მოდელირებას მთელ კლასთან/ჯგუფთან. შემდგომ ეტაპზე, ერთობლივი და მართული პრაქტიკის გამოყენებით, ააქტიურებს მოსწავლეებს, თავად კი მიმართავს მიზნობრივ სკაფოლდინგს. ამის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა დაიწყონ სტრატეგიის გამოყენება მცირე ჯგუფებში ან ინდივიდუალური მუშაობისას. ამ ეტაპზე მასწავლებელი პირდაპირი/ექსპლიციტური სწავლების ნაცვლად აკვირდება მოსწავლეების მიერ სტრატეგიის გამოყენებას და მიზნობრივ დახმარებას უწევს მათ საჭიროების შემთხვევაში. მასწავლებელი ელის, რომ საბოლოოდ ყველა ბავშვი შეძლებს მოდელირებული და გავარჯიშებული სტრატეგიის დამოუკიდებლად გამოყენებას სხვადასხვა სახის დავალებების შესრულებისას.

კითხვის სწავლების ოპტიმალური მოდელის საფუძველს წარმოადგენს ვიგოტსკის კვლევები განვითარების უახლოესი ზონისა და სასწავლო ხარაჩოების (სკაფოლდინგის) შესახებ. მას სჯეროდა, რომ მასწავლებელი ბავშვებს უნდა დაეხმაროს ახალი ცნებებისა და უნარ-ჩვევების სწავლაში უწყვეტი, მიზნობრივი ინტერაქციის გზით. მოსწავლე თანდათანობით იღებს განვითარების უახლოესი ზონის შესაბამისი სირთულის ახალ-ახალ ამოცანებს, მასწავლებელი მიზნობრივად ეხმარება მოსწავლეს, შემდეგ კი, საშუალებას აძლევს მას, დამოუკიდებლად გამოიყენოს ახალი ცოდნა სხვადასხვა კონტექსტში. აღნიშნულ პროცესს ის განიხილავდა, როგორც ხარაჩოს.

აღნიშნული თეორიის ადაპტირებული ვერსია შექმნა რეგი რუტმანმა (Routman, 2002) და მას პასუხისმგებლობის თანმიმდევრული გადაცემის მოდელი უწოდა. ამ მოდელის მიხედვით, პირველ ეტაპზე („**მე ვაკეთებ**“) მასწავლებელი ახორციელებს კითხვის სტრატეგიის ან უნარ-ჩვევის მოდელირებას. ამას მოსდევს მეორე ეტაპი („**ჩვენ ვაკეთებთ**“), როცა მასწავლებელი პასუხისმგებლობას გადაუნაწილებს მოსწავლეებს და ჩართავს მათ პრაქტიკულ მუშაობაში (ამ ფაზას **მართულ პრაქტიკასაც** უწოდებენ). მესამე ფაზაზე („**შენ/თქვენ აკეთებ(თ)**“) მოსწავლე თავად იღებს პასუხისმგებლობას და იყენებს გავარჯიშებულ უნარ-ჩვევას, მასწავლებელი კი საჭიროებისამებრ ეხმარება და აფასებს მას.

როცა ამგვარი სკაფოლდინგით მასწავლებელი იწყებს თითოეული მოსწავლისათვის ადეკვატური დახმარების გაწევას, საჭირო ხდება გაკვეთილის სტრუქტურისა და გარემოს შეცვლა, ასევე, დავალებებისა და სასწავლო რესურსების დიფერენცირება. დიფერენცირებულ საკლასო ოთახში მასწავლებელი ორგანიზების სამ ძირითად ფორმატს იყენებს:

- მთელ კლასთან მუშაობას;
- გარკვეული კრიტერიუმებით დაკომპლექტებულ მცირე ჯგუფებთან მუშაობას;
- ინდივიდუალურ სწავლებას.

ქვემოთ მოცემული სქემა ასახავს პასუხისმგებლობის ნაბიჯ-ნაბიჯ გადაცემის ეტაპებს კითხვისა და წერის სწავლება-სწავლის პროცესში. სქემაში აღწერილია ძირითადი აქტივობები და კლასის ორგანიზების შესაბამისი ფორმები.

პასუხისმგებლობის ნაბიჯ-ნაბიჯ გადაცემის სქემა

	მე ვაკეთებ მე ვაკეთებ – შენ მაკვირდები	ჩვენ ვაკეთებთ მე ვაკეთებ – შენ მონაწილეობ	 შენ აკეთებ – მე გეხმარები	შენ აკეთებ შენ აკეთებ – მე გაკვირდები
ორგანიზების ფორმა	მთელი კლასი	მთელი კლასი	მცირე ჯგუფები/ინდივიდები	ინდივიდები/მცირე ჯგუფები
კითხვის უნარების განვითარება	**საჩვენებელი/სამოდელო კითხვა** მასწავლებელი კითხულობს, მოსწავლეები უსმენენ. მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს წაკითხულის შესახებ; ხმამაღალი ინტერაქტიული კითხვა.	**ერთობლივი კითხვა** მასწავლებელი იწყებს კითხვას, მოსწავლეები ჰყვებიან მას; საუბრობენ ტექსტის შესახებ.	**მართული კითხვა** მოსწავლეები წყვილებში/ჯგუფებში კითხულობენ ადეკვატური სირთულის ტექსტებს, მასწავლებელი მიზნობრივად ეხმარება და აძლევს უკუკავშირს; კითხვის სტრატეგიების გამოყენებაში ვარჯიში.	**დამოუკიდებელი კითხვა** მოსწავლეები ინდივიდუალურად კითხულობენ შერჩეულ ტექსტებს; საუბრობენ, წერენ და აკეთებენ პრეზენტაციებს. მასწავლებელი აფასებს.
წერის უნარების განვითარება	**საჩვენებელი/სამოდელო წერა** მასწავლებელი თვალსაჩინოდ წერს, მოსწავლეები უცქერენ; მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს დაწერილი ტექსტის შესახებ.	**ერთობლივი წერა** მასწავლებელი იწყებს წერას, გზადაგზა მოსწავლეები ერთვებიან წერის პროცესში.	**მართული წერა (წერის სახელოსნო)** მოსწავლეები ქმნიან ნაწერის პირველ (შავ) ვარიანტს, უკითხავენ ერთმანეთს, გადაამუშავებენ და ვარჯიშობენ ნაწერის რედაქტირებაში მასწავლებლის დახმარებით; წერის სტრატეგიების გამოყენებაში ვარჯიში.	**დამოუკიდებელი წერა** მოსწავლეები ინდივიდუალურად ქმნიან მრავალფეროვან წერით ნამუშევრებს (პრეზენტაციები და პროექტები), უკეთებენ რედაქტირებას, წარუდგენენ მათ აუდიტორიას და აწყობენ კრიტიკულ განხილვებს.

კითხვის სამფაზიანი აქტივობის (გაკვეთილის) მოდელი

კითხვის აქტივობას, ჩვეულებრივ, სამფაზიანი სტრუქტურა აქვს: კითხვის **დაწყებამდე**, კითხვის **დროს**, და კითხვის **შემდეგ**.

ქვემოთ აღწერილია კითხვის აქტივობის ტიპური მოდელი თითოეული ფაზის მიზნებითა და შედეგებით:

ფაზა 1: წაკითხვამდე (შემზადება ტექსტთან მუშაობისათვის)

- წასაკითხ ტექსტთან დაკავშირებით არსებული ცოდნისა და გამოცდილების **გახსენება/გააქტიურება**;
- ტექსტის/წიგნის, თემისა და გაკვეთილის მიზნის **წარდგენა**;
- მოლოდინების ჩამოყალიბება და თემისადმი ინტერესის **სტიმულირება**;
- კითხვის კონკრეტული სამიზნე უნარის/სტრატეგიის **მოდელირება**.

ამ ფაზაზე განხორციელებული აქტივობები მოსწავლეებს ეხმარება კითხვისათვის მომზადებაში. მიუხედავად იმისა, აქტივობა საბუნებისმეტყველო ტექსტის დამუშავებას ისახავს მიზნად, ლიტერატურული ნაწარმოების ინტერპრეტაციასა და გამომეტყველებით წაკითხვას, თუ კონკრეტული ასო–ბგერის შესწავლას, ეს ფაზა მასწავლებელს ეხმარება მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრირებაში და წინარე ცოდნის გააქტიურებაში. ეს სწრაფად და მარტივად შეიძლება გაკეთდეს, მაგალითად, ტექსტის წინასწარ მიმოხილვით, ილუსტრაციების დათვალიერებით, ვარაუდების გამოთქმით, ფოტოს/ვიდეორგოლის ჩვენებით, გონებრივი იერიშით, გამომწვევი შეკითხვის დასმით და ა.შ.

ხშირად *წაკითხვამდე* ფაზა მოიცავს მასწავლებლის მიერ სპეციალური **მინიგაკვეთილის** ჩატარებას. ამ დროს მასწავლებელი განუმარტავს და თვალსაჩინოდ უჩვენებს კლასს, თუ კითხვის რომელი უნარი/სტრატეგია უნდა გამოიყენონ ტექსტთან მუშაობის ფაზაზე და როგორ. მასწავლებელი თავად აკეთებს კითხვის სამიზნე სტრატეგიის მოდელირებას და თან ხმამაღლა აღუწერს ბავშვებს საკუთარ ქმედებებს.

ფაზა 2: ***წაკითხვის დროს (ტექსტთან მუშაობა)***

- ტექსტის წაკითხვა და **ინფორმაციის დამუშავება**;
- მოდელირებული სამიზნე **უნარის/სტრატეგიის გამოყენება-გავარჯიშება**;
- სამიზნე უნარის/სტრატეგიის გამოყენების **მონიტორინგი და უკუკავშირი.**

მეორე ფაზის მიზანია ახალი ცოდნის კონსტრუირება, კითხვის პროცესში მიღებული ინფორმაციის გააზრება და კითხვის უნარების გამოყენებაში ვარჯიში. ამ ფაზაზე, საკუთრივ კითხვის პროცესში, მოსწავლეები უკეთ ხვდებიან, თუ როგორ, როდის და რისთვის გამოიყენონ მასწავლებლის მიერ მოდელირებული სტრატეგიები.

მეორე ფაზის მიზანია, მოსწავლეებმა ტექსტთან აქტიური მუშაობით შეიძინონ ახალი ცოდნა, განივითარონ ახალი უნარ-ჩვევები. ეს შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური მუშაობის ფორმატით, დავალების/აქტივობის ბარათების, თემატური პოსტერების, ვიზუალური სქემებისა და სხვა დამხმარე რესურსების გამოყენებით. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა თვალყური ადევნოს ბავშვების მუშაობას და მიზნობრივი დახმარება გაუწიოს მათ საკითხავი დავალების შესრულების დროს, აგრეთვე, მიაწოდოს დროული უკუკავშირი სამიზნე სტრატეგიების გამოყენების შესახებ.

ფაზა 3: ***წაკითხვის შემდეგ (ტექსტთან მუშაობის შემდეგ)***

- ახალი ცოდნის სიღრმისეულად **გააზრება-განმტკიცება**;
- გავარჯიშებული უნარის/სტრატეგიის **გამოყენება** სხვადასხვა კონტექსტში;
- სწავლის პროცესისა და შედეგების **შეფასება**.

მესამე ფაზაზე მოსწავლეები გამოიყენებენ დაუფლებულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს ძირითად საკითხებზე მსჯელობის, შეჯამების, შეკითხვებზე პასუხის გაცემისა თუ საინტერესო შემოქმედებითი პროდუქტის შექმნისათვის. ისინი გადაამოწმებენ, თუ რამდენად გამართლდა პირველ ფაზაზე ანუ წაკითხვამდე ჩამოყალიბებული მოლოდინები და შეაფასებენ გამოყენებული სტრატეგიების ეფექტურობას.

სასურველია, რომ მესამე ფაზაზე მოსწავლეებს მიეცეთ ახლად შეძენილი ცოდნის ტრანსფერისა და დემონსტრირების საშუალება. კითხვის აქტივობა შეიძლება დასრულდეს ლექსის, ნახატის ან ბუკლეტის შექმნით, პრეზენტაციით, წარმოდგენის გათამაშებით და სხვ. ცხადია, ამ ტიპის სამუშაო მოსწავლეებისთვის უფრო სასარგებლო და სასიამოვნოა, ვიდრე ერთფეროვანი, რუტინული სავარჯიშოების შესრულება. ასეთი შემოქმედებითი დავალებებით მოსწავლეები გაცილებით უკეთ ითავისებენ მიღებულ ცოდნას, ქმნიან საკუთარ ორიგინალურ ნამუშევრებს და წარუდგენენ მათ სხვადასხვა აუდიტორიას. სწორედ ასე უძლიერდებათ ბავშვებს ავტორისეული თავდაჯერებულობა, სწავლის შინაგანი მოტივაცია და კითხვისადმი დადებითი დამოკიდებულება.

მესამე ფაზა საშუალებას გვაძლევს, ახალი ცოდნა გამოვიყენოთ მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისათვის. სწორედ ამ ფაზაზე ცდილობენ მოსწავლეები, კრიტიკულად განიხილონ ავტორის მიზნები, ტექსტში დასმული მორალური დილემები და სოციალური პრობლემები, თანდათანობით გამოიმუშაონ საკუთარი დასაბუთებული პოზიცია ტექსტში ასახული ფაქტების, მოსაზრებების თუ კულტურული სტერეოტიპების მიმართ.

წაკითხვამდე
- წინარე ცოდნისა და გამოცდილების **გახსენება/გააქტიურება**;
- თემისა და მიზნის **წარდგენა**;
- მოლოდინების ჩამოყალიბება და თემისადმი ინტერესის **სტიმულირება**;
- სამიზნე უნარის/სტრატეგიის **მოდელირება**.

წაკითხვის დროს
- ტექსტის წაკითხვა და **ინფორმაციის დამუშავება**;
- სამიზნე **უნარის/სტრატეგიის გამოყენება-გავარჯიშება**;
- სამიზნე უნარის/სტრატეგიის გამოყენების **მონიტორინგი და უკუკავშირი.**

წაკითხვის შემდეგ
- ახალი ცოდნის სიღრმისეულად **გააზრება-განმტკიცება**;
- გავარჯიშებული უნარის/სტრატეგიის **გამოყენება** სხვადასხვა კონტექსტში;
- სწავლის პროცესისა და შედეგების **შეფასება**.

დიფერენცირებული სწავლების მიდგომა

დიფერენცირებული სწავლება ნიშნავს სასწავლო პროცესის მორგებას მოსწავლეთა საჭიროებებზე. ესაა ერთ კლასში მყოფი განსხვავებული მიღწევების მქონე მოსწავლეთა გასხვავებულად სწავლება. სწავლების დიფერენცირებაში შეიძლება იგულისხმებოდეს ერთსა და იმავე კლასში მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფთან განსხვავებული მეთოდების და/ან რესურსების გამოყენება. იგი ითვალისწინებს ერთი კლასის მოსწავლეების დაჯგუფებას/დაყოფას დონეების მიხედვით.

დიფერენცირებული სწავლების მთავარი მიზანია, რომ თითოეულმა მოსწავლემ მიაღწიოს საუკეთესო შედეგს თავისი შესაძლებლობების ფარგლებში. ამ თვალსაზრისით დიფერენცირებული სწავლება ცალსახად არ გულისხმობს განსხვავებული მონაცემების მქონე მოსწავლეების მიერ თანაბარი შედეგების მიღწევას. შესაძლებელია, სუსტი მოსწავლე ყოველთვის ვერ დაეწიოს წარმატებულებს, თუმცა, ზოგჯერ სუსტი მოსწავლე ისეთივე შედეგს აღწევს, როგორსაც წარმატებული. დიფერენცირებული მიდგომით მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, დაძლიონ სწავლის პროცესში წარმოქმნილი ბარიერები და მკვეთრად გააუმჯობესონ შედეგები. მასწავლებელი ამას აღწევს უწყვეტი შეფასებისა და მოსწავლეთა მოქნილად დაჯგუფების გზით. სასწავლო პროცესში შესაძლებელია ისეთი ელემენტების დიფერენცირება, როგორიცაა: *შინაარსი*, *პროცესი*, *დავალებები* და *გარემო*.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, დიფერენცირებული სწავლება – ეს არის სასწავლო პროცესის იმგვარი ორგანიზება, რომელიც გათვლილია თითოეული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფების საჭიროებებზე, უნარებზე და შესაძლებლობებზე. დიფერენცირებული სწავლება აიგება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

1. მოსწავლეებისა და მასწავლებლების მოლოდინების გაცნობიერება;
2. მოსწავლეების ცოდნის, უნარებისა და სწავლის სტილის განსაზღვრა;
3. დაკვირვება იმაზე, თუ როგორ იგებენ მოსწავლეები დავალებას;
4. სამომავლო გეგმების დასახვის მიზნით შედეგების შემოწმება და ანალიზი.

დიფერენცირებული სწავლების ეფექტური გამოყენება მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად კარგად იცნობს მასწავლებელი თავის მოსწავლეებს და რამდენად ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ცოდნას, უნარ-ჩვევებს, დამოკიდებულებას და უნიკალურ გამოცდილებას, რომელიც ყალიბდება მშობლებთან, თანატოლებთან, მედიასა და სამყაროსთან ყოველდღიური ურთიერთობით.

დიფერენციაციის სტრატეგიის გამოყენება მასწავლებლისგან სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდის ფლობას მოითხოვს.

განათლების სპეციალისტი ჯენიფერ გოფროი თვლის, რომ მასწავლებელმა, რომელიც დიფერენცირებულ სწავლებას იწყებს, შვიდი საბაზისო პრინციპი უნდა გაითვალისწინოს:

1. **შეისწავლეთ თქვენი მოსწავლეები** და მათი ინტერესები, მოტივაცია, საჭიროებები, მიზნები. სასურველია, ეს სასწავლო წლის დაწყებისთანავე გააკეთოთ. შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა წყარო, მაგალითად, მოამზადოთ სპეციალური კითხვარი, რომელსაც მოსწავლეები და მასწავლებლები შეავსებენ.
2. **გააცანით მოსწავლეებს დიფერენცირებული სწავლების იდეა.** გამართეთ კლასში დისკუსია დიფერენცირებული სწავლების მნიშვნელობისა და ფორმების შესახებ. ეს განსაკუთრებით აქტუალურია, თუ დიფერენცირებულ სწავლებას მოსწავლეები პირველად ეხებიან. მოსწავლეებმა იმთავითვე უნდა იცოდნენ, რატომ იღებენ მათი თანაკლასელები განსხვავებულ დავალებებსა და სასწავლო რესურსებს. იგივე ეხებათ მოსწავლეთა მშობლებსაც.
3. **საფუძვლიანად შეისწავლეთ საგნისა და კლასის სტანდარტები (მისაღწევი შედეგები) და პროგრამა (შინაარსი).** დარწმუნდით, რომ კარგად გესმით მისაღწევი შედეგების შემადგენელი უნარ-ჩვევები და მათი სწავლების მეთოდები. თუ ასე არ არის, ნუ დაიწყებთ დიფერენცირებულ სწავლებას.

4. **დაიწყეთ მცირედით.** თუ დიფერენცირებული სწავლებისკენ პირველ ნაბიჯებს დგამთ, ნაბიჯ-ნაბიჯ გაამდიდრეთ გაკვეთილები დიფერენცირებული აქტივობებით. თავდაპირველად დაუთმეთ დიფერენცირებული სწავლების ბლოკს გაკვეთილის ერთი ნაწილი. არ არის აუცილებელი, რომ ყველა გაკვეთილი დატვირთოთ დიფერენცირებული სწავლების აქტივობებით. თანდათანობით გაზარდეთ დიფერენცირებული აქტივობების რაოდენობა და ნელ-ნელა გადადით მთლიანი გაკვეთილებისა და თემატური ბლოკების დიფერენცირებაზე.

5. **იმუშავეთ ორგანიზებულად.** ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიფერენცირებული სწავლებისთვის. იმთავითვე გააცნობიერეთ, რომ დიფერენცირებული სწავლების დროს მოსწავლეთა ნაწილი კლასში დამოუკიდებლად იმუშავებს. ხშირად მასწავლებელთა პირველი რეაქცია დიფერენცირებასთან მიმართებით ასე გამოიხატება: „ხუთ ნაწილად ხომ არ გავიჭრები? მე თუ რამდენიმე ბავშვთან ვიმუშავე, დანარჩენებს ვინ მიხედავს? ისედაც არ უნდათ სწავლა და ხომ გადავლენ ყირაზე?“ ასეთი რეაქცია სრულიად მოსალოდნელია. დიფერენცირებული სწავლება კომპლექსური პროცესია, ის აქტივობებისა და რესურსების ეფექტურ მართვას მოითხოვს. ამიტომ აუცილებელია დიფერენცირების დაწყებისთანავე სათანადო წესებისა და პროცედურების დანერგვა საკლასო ოთახში. კლასის მართვის პროცესში შეგიძლიათ დაიხმაროთ მოსწავლეებიც. ხშირად სწორედ ისინი გვთავაზობენ ორგანიზებასთან დაკავშირებული პრობლემების ორიგინალურად გადაწყვეტის გზებს.

6. **იყავით ღია და მოქნილი.** მასწავლებლებმა ვიცით, რომ გაკვეთილის გეგმა არის ერთგვარი გზამკვლევი და არა ხელშეუხებელი დოკუმენტი. თუ დიფერენცირებული გაკვეთილი ისე არ წარიმართა, როგორც გეგმავდით, დაფიქრდით, რამ გამოიწვია ეს. გაითვალისწინეთ ანალიზის შედეგად გამოტანილი დასკვნები მომდევნო გაკვეთილების დაგეგმვისას.

7. **ითხოვეთ დახმარება და გამოიყენეთ ყველა ხელმისაწვდომი რესურსი.** შესაძლოა, თქვენს სკოლაში რომელიმე კოლეგა ასევე ცდილობდეს დიფერენცირებული სწავლების დანერგვას. თუ ახლოს ასეთი არავინაა, სკოლის ბაზაზე შექმენით მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფი დიფერენცირებული სწავლების საკითხზე. ასევე, მიმართეთ ინტერნეტში წყაროებს, წიგნებს, გზამკვლევებს. ყოველთვის გამოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც დახმარებას გაგიწევენ ინოვაციური მიდგომის დანერგვაში. მიმართეთ მათ!

კითხვის დიფერენცირებულად სწავლება

დიფერენცირებული სწავლების მიდგომას მასწავლებლები წარმატებით იყენებენ კითხვისა და წერის უნარების განვითარების პროცესში. დიფერენცირებული გაკვეთილების დაგეგმვისას ისინი ზემოთ აღწერილ კონცეპტუალურ საფუძვლებს ეყრდნობიან. კერძოდ:

- პრაქტიკულად ყველა საკლასო ოთახში, ერთი მხრივ, მრავალფეროვანი და, მეორე მხრივ, რთული სურათი გვაქვს. გვყავს განსხვავებული მონაცემების, მიღწევების, წინარე გამოცდილების მქონე მკითხველები.
- სასწავლო პროცესის ორგანიზების დროს მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლა და გათვალისწინება.
- მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები სწორად გადანაწილდნენ სამუშაო ჯგუფებში და თითოეულ ჯგუფს დაურიგდეს ადეკვატური სირთულის ტექსტები/დავალებები.
- ყველა მოსწავლემ და ჯგუფმა უნდა მიიღოს მიზნობრივი დახმარება და უკუკავშირი კითხვის პროცესში და წერითი ნამუშევრების შესრულებისას.

კითხვის დიფერენცირებულად სწავლების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და გავრცელებული მეთოდია **მართული კითხვა.** მართული კითხვის აქტივობა გულისხმობს მოსწავლეთა მცირე ჯგუფში (ან ჯგუფებში) *შესაფერისი* ტექსტის წაკითხვას და დამუშავებას კონკრეტული უნარების/სტრატეგიების დაუფლების მიზნით. მართული კითხვის აქტივობა საშუალებას აძლევს მასწავლებელს, გააანალიზოს და გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის საჭიროებები, ხოლო მოსწავლეებს ეხმარება, ნაბიჯ-ნაბიჯ განავითარონ კითხვის ის უნარები, რომელშიც მეტად სჭირდებათ გაწაფვა. ამ წიგნის VI თავში შეგიძლიათ გაეცნოთ მართული კითხვის აქტივობის დეტალურ აღწერას.

კითხვის უნარის შეფასება

კითხვის სწავლების გზაზე სკოლის და მასწავლებლის საბოლოო მიზანია, რომ ყველა ბავშვი აქტიურ მკითხველად ჩამოყალიბდეს. ეს იმაზე გაცილებით მეტია, ვიდრე მოსწავლეთა დეკოდირებაში (სიტყვების სწორად წაკითხვაში) გაწაფვა. კითხვა კომპლექსური მოვლენაა და სკოლასა თუ კლასში გამოყენებული შეფასება სათანადოდ უნდა ასახავდეს კითხვის სწავლის ყველა მხარეს. წიგნიერების უნარების შესაფასებლად უნდა გამოვიყენოთ მრავალფეროვანი ფორმები და ინსტრუმენტები, რათა ყველა მოსწავლემ მიიღოს უწყვეტი და კონსტრუქციული უკუკავშირი. ეს განსაკუთრებით აქტუალურია დიფერენცირებულ საკლასო ოთახებში, სადაც მასწავლებელმა ინფორმირებული გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს მოსწავლეთა ჯგუფებში გასანაწილებლად, ადეკვატური საკითხავი მასალისა და დავალებების შესარჩევად, მიზნობრივი დახმარების გასაწევად.

შეფასება ეფექტური სწავლების ერთ-ერთი საკვანძო ელემენტია. კვლევები ცხადყოფს, რომ რეგულარულ შეფასებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მოსწავლეთა კითხვისა და წერის უნარების განვითარებაში. ის ეხმარება მასწავლებელს, განსაზღვროს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და შეიტანოს სწავლებაში შესაფერისი ცვლილებები.

ფართომასშტაბიანი ეროვნული და საერთაშორისო ტესტირებები არ იძლევა საკმარის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა სჭირდება ცალკეულ მოსწავლეს. მეტიც, სემესტრული შემაჯამებელი ტესტებიც არ არის საკმარისი იმის დასადგენად, თუ რას აღწევს თითოეული მოსწავლე არა მხოლოდ წლის ბოლოს, არამედ სასწავლო წლის მიმდინარეობისას. ამიტომ მასწავლებლები შემაჯამებელი შეფასების გარდა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში იყენებენ საკლასო განმავითარებელ და დიაგნოსტიკურ შეფასებებს. ასეთი შეფასებები გაცილებით ნათელ და სანდო ინფორმაციას იძლევა მოსწავლეთა კონკრეტული მიღწევების, ძლიერი და სუსტი მხარეების, გასაუმჯობესებელი ასპექტების შესახებ.

კითხვის სწავლება–სწავლის პროცესში ძირითადად ვაფასებთ ისეთ უნარებს, როგორიცაა: ფონოლოგიური უნარ–ჩვევები, ანბანის ცოდნა, სიტყვების დეკოდირება, გამართული კითხვა და გაგება–გააზრება. საჭიროებისამებრ, ამას შეიძლება დაემატოს ეფექტური კითხვის განმაპირობებელი ისეთი უნარების შეფასება, როგორიცაა: წიგნთან მუშაობის საწყისი ჩვევები, მოსმენილი ტექსტის გაგება, თხრობა, წაკითხულის შესახებ მსჯელობა, აზრის წერილობით ჩამოყალიბება. ასევე გასათვალისწინებელია სხვა უმნიშვნელოვანესი ფაქტორებიც: კითხვის მოტივაცია, კითხვისადმი დამოკიდებულება, მკითხველის თავდაჯერებულობა და სხვ. რომელიმე კომპონენტში ჩამორჩენა საკმაო ზიანს აყენებს არა მხოლოდ კითხვის, არამედ სხვა უნარების დაუფლების პროცესსაც.

კლასის დონეზე განხორციელებულ შეფასებას უზარმაზარი გავლენა აქვს მოსწავლეთა მკითხველებად ჩამოყალიბების ტრაექტორიაზე. კითხვის უნარის საკლასო შეფასების სამი ძირითადი ტიპია: **სკრინინგი**, **დიაგნოსტირება** და **პროგრესის მონიტორინგი**. ცხრილში მოცემულია თითოეული მათგანის მოკლე დახასიათება.

შეფასება	აღწერა	მაგალითი
სკრინინგი	მიზანი: მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების ადრეული გამოვლენა მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების სიღრმისეული კვლევის გარეშე. სკრინინგის შედეგია რისკის ჯგუფის მოსწავლეების გამოვლენა.	სასწავლო წლის დასაწყისში ყველა მოსწავლეს ჩაუტარდა ინდივიდუალური ხუთწუთიანი კითხვის ტესტი, რომელიც დაადგენს მოსწავლეთა მზაობას ახალი ცოდნისა და უნარების შესაძენად.
დიაგნოსტირება	მიზანი: მოსწავლის წარმატება/წარუმატებლობის მიზეზების პოვნა; დასკვნების გამოყენება მოსწავლის სუსტი მხარეების დაძლევისა და შესაძლებლობების სრულად რეალიზებისათვის.	რისკის ჯგუფში მოხვედრილ მოსწავლეებთან მასწავლებელმა ჩაატარა დიაგნოსტიკური ტესტირება იმის დასადგენად, თუ რატომ არ არის შესამჩნევი წინსვლა.

პროგრესის მონიტორინგი	მიზანი: სწავლება-სწავლის პროცესის ეფექტურობის დადგენა; ესაა მოსწავლეთა შუალედური შეფასება, რომელიც გამოავლენს მოსწავლის მიღწევებს და სწავლების ეფექტურობას. ტარდება პერიოდულად, რათა განისაზღვროს: ვის რა მიღწევა აქვს? ვის არ აქვს საკმარისი მიღწევა? ვის რა სახის დახმარება სჭირდება?	პირველი სემესტრის შუა პერიოდში მასწავლებელმა მთელ კლასში ჩაატარა ინფორმაციული ტექსტის გაგება-გააზრების ჯგუფური წერითი ტესტირება. შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ საჭიროა: ა) მთელ კლასში ახალ ტერმინებთან მუშაობის სტრატეგიების გავარჯიშება, ბ) კლასში ინფორმაციული ტექსტების უფრო ხშირად წაკითხვა, გ) რამდენიმე მოსწავლისთვის ინფორმაციული აბზაცის შეჯამების სტრატეგიის ხელახლა სწავლება.

პრაქტიკაში სხვადასხვა შეფასების მიზნები ხშირად ერთმანეთს ნაწილობრივ გადაფარავენ ხოლმე. ზოგიერთი კარგად შედგენილი ინსტრუმენტი შეიძლება ორი ან მეტი დანიშნულებით გამოვიყენოთ. მაგალითად, ტექსტის ხმამაღლა წაკითხვის ერთწუთიანი ტესტი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც სკრინინგის, ისე დიაგნოსტირებისა და პროგრესის მონიტორინგისათვის; კარგად მოფიქრებული საშინაო და საკლასო დავალებების შესრულების ანალიზი საუკეთესო წყაროა როგორც პროგრესის მონიტორინგის, ისე დიაგნოსტიკური მსჯელობისთვის და ა.შ.

ხშირი და მიზანმიმართული შეფასება მოსწავლეთა კითხვის უნარის ნაბიჯ–ნაბიჯ განვითარების ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი საყრდენია. ამ მიზნით სკოლებში ეფექტურად იყენებენ ისეთ ძირითად მეთოდებსა და საშუალებებს, როგორიცაა: **კითხვის პროცესზე დაკვირვება**, **გასაუბრება კითხვის შესახებ**, **მორბენალი ჩანაწერები**, **ტესტები**, **დავალებების ანალიზი**, **რუბრიკა (შეფასების სქემა)**.

ამ სარესურსო წიგნში თითოეული თავის ბოლოს მოცემულია ტესტებისა და რუბრიკის ნიმუშები დიაგნოსტიკური და განმავითარებელი შეფასებისთვის. ტესტის ნიმუშები შეიცავს მოკლე აღწერას, ჩატარების ინსტრუქციას, მასწავლებლისა და მოსწავლის სამუშაო ფორმებს. მასწავლებელს შეუძლია მათი სხვადასხვა კომბინაციაში გამოყენება იმის მიხედვით, თუ რომელ კლასში რა მიზანს ისახავს ტესტირება. როგორც წესი, აქ მოცემულ ტესტებს სკრინინგისა და დიაგნოსტიკისთვის ვიყენებთ. შესაბამისად, მიზანშეწონილია მათი გამოყენება თითოეული სემესტრის დასაწყისში ან შუა პერიოდში და არა სემესტრის ბოლოს, შემაჯამებელი შეფასების მიზნით.

წიგნის მერვე თავი მთლიანად ეთმობა საკლასო განმავითარებელი შეფასების საფუძვლებსა და ეფექტურ საშუალებებს. წარმოდგენილი ინსტრუმენტების მომზადება და გამოყენება არ არის დაკავშირებული დიდ ხარჯებთან და ტექნიკურ სირთულეებთან. ამ ინსტრუმენტების მოშველიება საკმარის ინფორმაციას აწვდის მასწავლებელს თითოეული მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, რაც, თავის მხრივ, სწავლების ადეკვატური მეთოდებისა და რესურსების შერჩევას უწყობს ხელს.

კითხვის შეფასების ძირითადი ფორმებისა და ინსტრუმენტები

შეფასების ფორმა/ინსტრუ-მენტი	აღწერა	მაგალითი
კითხვის პროცესზე დაკვირვება	მასწავლებელი აკვირდება (უყურებს და/ან უსმენს) მოსწავ-ლის მიერ ხმამაღლა წაკითხვას, ჩუმად წაკითხვას; მოსწავლის მოქმედებებს წყვილში, ჯგუფში, მთელ კლასში წარმართული ინტერაქტიული აქტივობების დროს.	მასწავლებელი საკუთარ დღიურში ჩაინიშნავს რამდენიმე მოსწავლის „ნეგატიურ“ ქცევებს, რომლებიც კითხვის დროს იჩენს თავს (მაგ. სიტყვების შეცდომით წაკითხვა, მოუსვენ-რობა კითხვის დროს, შფოთვა საკუთარი აზრის გამოთქმი-სას და სხვ.).
გასაუბრება კითხვის შესახებ	მასწავლებელი ინდივიდუალურად ესაუბრება მოსწავლეს კითხვის სხვადასხვა ასპექტის შესახებ; ზოგჯერ შეფასების ამ ინსტრუმენტს ერთვის საგანგებოდ შედგენილი კითხვარიც.	მასწავლებელი ატარებს ინდივიდუალურ გასაუბრებას მოს-წავლეებთან კითხვის მოტივაციისა და კითხვისადმი დამოკ-იდებულების შესახებ სპეციალური კითხვარის გამოყენებით.
თანმხლები ჩანაწერები	მასწავლებელი სიღრმისეულად აანალიზებს მოსწავლის მიერ კითხვის დროს გამოყენებულ გასაღებებს/სტრატეგიებს და შეცდომებს.	მასწავლებელი საკუთარ დღიურში ჩაინიშნავს იმ სტრატე-გიებს, რომლებსაც მოსწავლე იყენებს ნაცნობი და უცნობი სიტყვების წაკითხვის დროს. ასევე, ჩაინიშნავს და აანალი-ზებს იმ ტიპურ შეცდომებს, რომლებსაც მოსწავლე უშვებს კითხვის დროს.
ტესტები	სკრინინგტესტი, დიაგნოსტიკური ტესტი, შუალედური ტესტი, შემაჯამებელი ტესტი; მასწავლებლის/სპეციალისტის მიერ შემუშავებული არასტანდარტიზებული ტესტები; სტანდარტი-ზებული ტესტები.	სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებელი ატარებს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული ძირითადი უნარების სკრინინგს საგანგებოდ შერჩეული საკითხავი წიგნისა და სპეციალური ფორმის გამოყენებით.
დავალებების ანალიზი	მასწავლებელი აანალიზებს მოსწავლის მიერ საკითხავი და მასთან დაკავშირებული ზეპირი/წერილობითი დავალებების შესრულებას. იგულისხმება საკლასო, საშინაო და შემა-ჯამებელი დავალებები.	მასწავლებელი შეაგროვებს მოსწავლეთა ნამუშევრებს და გააანალიზებს სამიზნე უნარების პრაქტიკული გამოყენების ძლიერ და სუსტ მხარეებს შეფასების სქემის (რუბრიკის) გამოყენებით.
რუბრიკა (შეფასების სქემა)	მასწავლებელი იყენებს თვითშეფასებისა და ურთიერთშე-ფასების სქემებს, რომლებიც მოიცავს შეფასების კრიტერი-უმებს და ინდიკატორების სკალას.	გამართული კითხვის აქტივობის დასრულების შემდეგ მოს-წავლეები მსჯელობენ სქემის გამოყენებით.

კითხვის უნარის შეფასება კომპონენტებისა და კლასების მიხედვით

ქვემოთ მოცემული ცხრილი შეიცავს სარეკომენდაციო ინფორმაციას კითხვის უნარის დიაგნოსტიკური/განმავითარებელი შეფასების ტესტების/დავალებების შესახებ კლასებისა და კომპონენტების მიხედვით. რასაკვირველია, ზოგიერთ შემთხვევაში ამა თუ იმ ტესტის ჩატარება მითითებულის გარდა სხვა ეტაპზეც გახდეს საჭირო, რაც მოსწავლეთა ინდივიდუალურ მონაცემებზე, სასწავლო მიზნებსა და დიფერენცირების ამოცანებზე იქნება დამოკიდებული. მუქად გაფერადებული უჯრები მიანიშნებს, რომ ამა თუ იმ ტესტის ჩატარება რეკომენდებულია მითითებული კლასისთვის (ამ ტესტების ვარიანტები შეგიძლიათ იხილოთ პორტალზე: www.kargiskola.ge). ღია ფერით გაფერადებული უჯრა კი მიანიშნებს, რომ შესაბამისი კომპონენტური უნარის დიაგნოსტიკური გადამოწმება შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს მთელ კლასთან ან კლასის ნაწილთან.

ქართული ენა

№	კითხვის კომპონენტი	ტესტი/დავალება	მახასიათებლები	კლასი					
				I	II	III	IV	V	VI
1	წიგნთან მუშაობის საწყისი ჩვევების ტესტი	წიგნის ელემენტების ამოცნობა	ინდივიდუალური. ზეპირი						
2	ფონოლოგიური უნარ-ჩვევები	სიტყვის ბგერებად დანაწევრება	ინდივიდუალური. ზეპირი						
3	ანბანის ცოდნა	ასოებსა და ბგერებს შორის შესაბამისობის დადგენა	ინდივიდუალური. კითხვითი.						
4	გამართული კითხვა	სიტყვების წაკითხვა	ინდივიდუალური. კითხვითი						
5		ტექსტის წაკითხვა	ინდივიდუალური. კითხვითი						
6	ლექსიკური მარაგი	სიტყვის მნიშვნელობის გამოცნობა	ჯგუფური. წერითი.						
7	გაგება-გააზრება (მხატვრული ტექსტის, საინფორმაციო ტექსტის)	ა) მხატვრული (თხრობითი) ტექსტის წაკითხვა და შეკითხვებზე პასუხის გაცემა ბ) საინფორმაციო ტექსტის წაკითხვა და შეკითხვებზე პასუხის გაცემა	ინდივიდუალური ან ჯგუფური. ზეპირი ან წერითი.						

ქართული, როგორც მეორე ენა

№	კითხვის კომპონენტი	ტესტი/დავალება	მახასიათებლები	კლასი					
				I	II	III	IV	V	VI
1	წიგნთან მუშაობის საწყისი ჩვევები	წიგნის ელემენ-ტების ამოცნობა	ინდივიდუალური. ზეპირი						
2	ფონოლოგიური უნარ-ჩვევები	სიტყვის ბგერებად დანაწევრება	ინდივიდუალური. ზეპირი						
3	ანბანის ცოდნა	ასოებსა და ბგე-რებს შორის შესაბამისობის დადგენა	ინდივიდუალური. კითხვითი.						
4	გამართული კითხ-ვა	სიტყვების წაკითხ-ვა	ინდივიდუალური. კითხვითი						
5		ტექსტის წაკითხვა	ინდივიდუალური. კითხვითი						
6	ლექსიკური მარაგი	სიტყვის მნიშვნე-ლობის გამოცნობა	ჯგუფური. წერი-თი.						
7	გაგება-გააზრება (მხატვრული ტექს-ტის, საინფორმა-ციო ტექსტის)	ა) მხატვრული ტექსტის წაკითხვა და შეკითხვებზე პასუხის გაცემა ბ) საინფორმაციო ტექსტის წაკითხვა და შეკითხვებზე პასუხის გაცემა	ჯგუფური. წერი-თი.						

G-PriEd–ის საკითხავი წიგნების გამოყენება სასწავლო პროცესში

წიგნის ამ ნაწილში მოცემულია ინფორმაცია საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) ფარგლებში შექმნილი საკითხავი წიგნების მიზნობრიობისა და მახასიათებლების შესახებ.

ყველა საკითხავ წიგნს მინიჭებული აქვს სირთულის კონკრეტული დონე, რომელიც განისაზღვრება შემდეგი საკვანძო პარამეტრებით:

- თემატიკა და შინაარსი
- ტექსტის ტიპი და სტრუქტურა
- ტექსტის ზომა (სიტყვებისა და წინადადებების სრული რაოდენობა)
- წინადადების საშუალო სიგრძე (სიტყვების საშუალო რაოდენობა წინადადებაში)
- ძნელად დეკოდირებადი სიტყვების პროცენტული წილი ტექსტში (გრძელი სიტყვები და მრავალთანხმოვნიანი სიტყვები)
- სემანტიკურად რთული სიტყვების პროცენტული წილი ტექსტში
- სიტყვის საშუალო სიგრძე (ასოების რაოდენობა სიტყვაში)
- შრიფტის ზომა
- ილუსტრაციები
- ტექსტისა და ილუსტრაციების განაწილება გვერდებზე

წიგნების მიზნობრიობა

დონეებად დალაგებული საკითხავი წიგნების მთავარი მიზანია, ბავშვებმა იკითხონ ბევრი და იკითხონ ხშირად. სწორედ ამისკენ გვიბიძგებს ე. წ. „ოქროს წესი“ კითხვის სწავლაში: რაც მეტს ვკითხულობთ, მით უკეთესად ვსწავლობთ კითხვას. ამისათვის მოსწავლეებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ შინაარსობრივად და ჟანრობრივად მრავალფეროვან, ასაკისათვის შესაფერის საკითხავ მასალაზე. ისინი მუდმივად უნდა კითხულობდნენ სხვადასხვა ტიპისა და თემატიკის, ადეკვატური სირთულის ტექსტებს[1]. ეს საჭიროა როგორც კითხვის ტექნიკის გასამართად, ისე ლექსიკური მარაგისა თუ ფონური ცოდნის გასამდიდრებლად, გაგება-გააზრების უნარის გასავითარებლად და, რაც არსებითად მნიშვნელოვანია, კითხვის მოტივაციის შესანარჩუნებლად. ამიტომ რეკომენდებულია ამ წიგნების გამოყენება გაკვეთილზე საჩვენებელი, ერთობლივი, მართული და დამოუკიდებელი კითხვის ბლოკებში. მთავარია, მასწავლებელმა სწორად შეურჩიოს მოსწავლეებს (ან მოსწავლეთა ჯგუფებს) წიგნები და მოარგოს ისინი სასწავლო მიზანს და მოსწავლეთა საჭიროებებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა გათვალისწინებით. რასაკვირველია, შესაძლებელია, რომ მოსწავლემ შინ წაიღოს წიგნი წასაკითხად ან კონკრეტული დავალების შესასრულებლად. ეს წიგნები გაამდიდრებს საკლასო ბიბლიოთეკებს და მასწავლებელს საშუალებას მისცემს, სახელმძღვანელოსთან ერთად მრავალფეროვანი საკითხავი რესურსი შესთავაზოს ბავშვებს.

G-PriEd-ის დამატებით საკითხავ წიგნებს რამდენიმე კონკრეტული და პრაქტიკული დანიშნულება აქვს: კითხვის ტექნიკის ნაბიჯ-ნაბიჯ განვითარება; ზეპირი და წერითი კომუნიკაციისთვის საჭირო ლექსიკური მარაგის გამდიდრება; „წიგნების ენის“ დაუფლება[2]; გაგება-გააზრების სტრატეგიების გამოყენება; სამყაროს შესახებ ცოდნის გაღრმავება; კითხვის მოტივაციის გაღვივება და წიგნებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება. ეს წიგნები არ არის რეკომენდებული რუტინული სავარჯიშოების შესრულებისთვის, გრამატიკული კონსტრუქციების ექსპლიციტური/პირდაპირი სწავლებისათვის, თუმცა, არ გამორიცხავს მრავალფეროვანი, გან-

[1] სირთულის მიხედვით გამოიყოფა სამი დონის ტექსტები: დამოუკიდებელი, სასწავლო და ფრუსტრაციული. სასწავლო დონის ტექსტისთვის სიტყვების 95%-ის ცოდნა და სიტყვების 95%-ის უშეცდომოდ წაკითხვა კარგი მაჩვენებელია.

[2] „წიგნების ენაში“ ვგულისხმობთ ტექსტის სპეციფიკურ სემანტიკურ, სტრუქტურულ, სინტაქსურ მახასიათებლებს, რომლებიც იშვიათად გვხვდება ზეპირმეტყველებაში.

ვრცობითი აქტივობების განხორციელებას და ხელს უწყობს ენობრივი უნარების იმპლიციტური/ არაპირდაპირი გზით ათვისებას.

ცხრილში დამატებით მოცემულია საკითხავი წიგნების პრაქტიკული გამოყენების მეთოდოლოგიური ასპექტები, რომლებიც შეესაბამება კითხვის უნარის ნაბიჯ-ნაბიჯ[1], დაბალანსებულად, ინტეგრირებულად და დიფერენცირებულად სწავლების მიდგომებს.

საბაზისო სტრატეგიები	**აქტივობის ფორმატი**	**სამიზნე უნარები**
საჩვენებელი (სამოდელო) კითხვა	მასწავლებელი ხმამაღლა უკითხავს წიგნს მოსწავლეებს პაუზებით ან პაუზების გარეშე.	• წაკითხულის მოსმენა და გაგება; • წიგნის სტრუქტურის აღქმა; • ლექსიკური ერთეულების ათვისება; • კითხვის სტრატეგიების მოდელირება და გამოყენება.
ერთობლივი კითხვა და მისი ვარიაციები	მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად კითხულობენ წიგნს.	• წიგნთან მუშაობის საწყისი ჩვევები; • სიტყვების დეკოდირება/ცნობა; • ტექსტის სტრუქტურის აღქმა; • ლექსიკური ერთეულების ათვისება; • კითხვის სტრატეგიების გამოყენება; • კითხვის ტექნიკის გაწაფვა.
მართული კითხვის აქტივობა	მოსწავლეები წყვილებსა და ჯგუფებში კითხულობენ ადეკვატური სირთულის (სასწავლო დონის) წიგნებს მასწავლებლის მიზნობრივი დახმარებითა და უკუკავშირით.	• კითხვის ტექნიკა (სიზუსტე, ტემპი, ინტონაცია); • ტექსტის სტრუქტურის აღქმა; • ლექსიკური ერთეულების ათვისება; • გაგება-გააზრების სტრატეგიებისა (ვარაუდების გამოთქმა, წარმოსახვაში გაცოცხლება, შეკითხვების დასმა, კავშირების დამყარება, დასკვნების გამოტანა...) და გრაფიკული სქემების გამოყენება; • სხვა მკითხველებთან ინტერაქცია და თანამშრომლობა; • მსჯელობა და დისკუსიაში მონაწილეობა; • რეფლექსია და ტექსტის კრიტიკული შეფასება.
დამოუკიდებელი კითხვა	მოსწავლეები დამოუკიდებლად კითხულობენ ადეკვატური სირთულის (დამოუკიდებელი კითხვის დონის) წიგნებს.	• კითხვის ტექნიკის გაწაფვა (სიზუსტე, ტემპი, ინტონაცია); • ტექსტის სტრუქტურის აღქმა; • ლექსიკური ერთეულების ათვისება; • გაგება-გააზრების სტრატეგიებისა და გრაფიკული სქემების დამოუკიდებლად გამოყენება; • გაგება-გააზრების მონიტორინგი; • რეფლექსია და ტექსტის კრიტიკული შეფასება.
წერა	მოსწავლეები მონაწილეობენ საჩვენებელი წერის, ერთობლივი წერის, მართული წერისა და დამოუკიდებელი წერის აქტივობებში.	• წერის ტექნიკის გაწაფვა; • სხვადასხვა დანიშნულების (წერილი, დღიური, მოთხრობა და სხვ.) წერითი ნამუშევრის შექმნა; • ნაწერის გადამუშავება და რედაქტირება.
კითხვის აქტივობის განვრცობა	მკითხველთა თეატრი, პიესის გათამაშება, ტექსტის ინტერპრეტაცია, ილუსტრირება, აუდიო და ვიდეოჩანაწერები.	• კითხვის ტექნიკის გაწაფვა; • წერის ტექნიკის გაწაფვა; • ტექსტის შემოქმედებითად გადამუშავება; • ტექსტის პრეზენტაცია.

[1] იგულისხმება ე. წ. „პასუხისმგებლობის ნაბიჯ-ნაბიჯ გადაცემის მოდელი“, რომელიც კითხვისა და წერის სწავლების პროცესში ოთხ ძირითად მეთოდოლოგიურ საფეხურს აერთიანებს, ესენია: 1. საჩვენებელი კითხვა / საჩვენებელი წერა; 2. ერთობლივი კითხვა / ერთობლივი წერა; 3. მართული კითხვა / მართული წერა; 4. დამოუკიდებელი კითხვა / დამოუკიდებელი წერა.

საკითხავი წიგნების გამოყენების პერიოდები

წიგნების გამოყენება სასწავლო წლის განმავლობაში რეკომენდებულია მინიჭებული კითხვის დონის გათვალისწინებით, მაგალითად, თუ წიგნზე მითითებულია დონე 3.2, ეს ნიშნავს, რომ ამ წიგნით მუშაობა მიზანშეწონილია მესამე კლასის შუა პერიოდში (3.1 დონის წიგნების წაკითხვის შემდეგ და 3.3 დონის წიგნების წაკითხვამდე). რა თქმა უნდა, კლასში შეიძლება აღმოჩნდნენ მოსწავლეები, რომლებიც დაგეგმილზე ადრე/გვიან წაიკითხავენ ამა თუ იმ დონის წიგნს. დიფერენცირებული მიდგომით წიგნი შეირჩევა მოსწავლის მიღწევებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. გარდა ამისა, წაკითხვის პერიოდი შეიძლება განისაზღვროს კითხვის აქტივობის ტიპის მიხედვითაც, მაგალითად, შესაძლოა, მოსწავლეთა წყვილს მესამე კლასის დეკემბერში მართული კითხვის ატივობისთვის შევთავაზოთ 3.2 დონის, ხოლო დამოუკიდებელი კითხვისთვის – 3.1 დონის წიგნი.

ქართულის, როგორც მეორე ენის საკითხავი წიგნები

ზემოთ ჩამოთვლილი საბაზისო აქტივობების გარდა, მეორე ენის სწავლების პროცესში საკითხავი წიგნი შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი დანიშნულებითაც:

სურათის აღწერა და შეკითხვები	მასწავლებელი საუბრობს ილუსტრაციის შესახებ, სვამს ადრეულ რეპროდუცირებაზე ორიენტირებულ შეკითხვებს.
სრული ფიზიკური რეაქცია	მასწავლებელი სვამს შეკითხვებს/აძლევს მითითებებს ილუსტრაციების მიხედვით, მოსწავლეები რეაგირებენ ფიზიკური მოქმედებებით.
ილუსტრაციაზე გამოსახულების მოძებნა დასახელებული სიტყვის მიხედვით	მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ილუსტრაციაზე მოძებნონ გამოსახულება დასახელებული სიტყვის მიხედვით.
მითითებული გამოსახულების მიხედვით სიტყვის დასახელება	მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ სიტყვა მითითებული გამოსახულების მიხედვით.
საჩვენებელი/ერთობლივი წერა ილუსტრაციის გამოყენებით	მოსწავლეები ასახელებენ სიტყვებს, მასწავლებელი წერს მათ დაფაზე. წერის პროცესში შეიძლება ჩაერთონ მოსწავლეებიც.
ფონოლოგიური სავარჯიშოები ილუსტრაციების გამოყენებით	მოსწავლეები ილუტრაციებზე ეძებენ ამა თუ იმ ბგერითი შემადგენლობის მქონე სიტყვებს; ასრულებენ ამ სიტყვების ბგერებითა და მარცვლებით სხვადასხვა სახის მანიპულაციებს.

ქართულის, როგორც მეორე ენის წიგნების კითხვის დონეები

ქართულის, როგორც მეორე ენის შემსწავლელთათვის განსაზღვრულია კითხვის შემდეგი დონეები: პირველი (1.1, 1.2); მეორე (2.1, 2.2, 2.3); მესამე (3.1, 3.2, 3.3); მეოთხე (4.1, 4.2, 4.3); მეხუთე (5.1, 5.2, 5.3).

ქართულის, როგორც მეორე ენის საკითხავი წიგნების კითხვის დონეები შეესაბამება ქართულის, როგორც მეორე ენის მოქმედი სახელმძღვანელოების დონეებს. აქედან გამომდინარე, კონკრეტული დონის საკითხავი წიგნების შეტანა მიზანშეწონილია იმ კლასში, რომელშიც მასწავლებელი იყენებს შესაბამისი დონის სახელმძღვანელოს, მაგალითად, თუ მასწავლებელი მეოთხე კლასში ასწავლის მესამე დონის წიგნით, მაშინ ის ამ კლასში გამოიყენებს 3.1, 3.2, 3.3 დონის საკითხავ წიგნებს[1].

ცხრილში მოცემულია წიგნების გამოყენების სარეკომენდაციო პერიოდები და მუშაობის ფორმები.

[1] გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როცა ცალკეული მოსწავლეების საჭიროებები დიფერენცირებული მიდგომის მიხედვით განსხვავებული დონის საკითხავს მოითხოვს.

დონე	კლასი	მუშაობის ფორმა
1.1, 1.2	პირველი	წიგნთან მუშაობის საწყისი ჩვევების გამოსამუშავებელი აქტივობები, მაგ-ალითად, არასიტყვიერი ნაწილების (ილუსტრაციის, ძირითადი ტექსტის) გამოყოფა; ფონოლოგიური სავარჯიშოები; ლექსიკური ერთეულების გაცნობა; საჩვენებელი კითხვა; ერთობლივი კითხვა მასწავლებელთან ერთად; ასოების და ხშირი სიტყვების მოძებნა; წინადადებების, სტრიქონების დასაწყისისა და დასასრულის მოძიება და მითითება; ტექსტში კონკრეტული სიტყვის ან წინადადების პოვნა; წინადადებაში სიტყვების რაოდენობის დათვლა; მშობლიურ ენაზე ვარაუდის გამოთქმა ტექსტის შინაარსის შესახებ ილუს-ტრაციებზე დაყრდნობით; სიტყვის/წინადადების ილუსტრაციასთან დაკავშირება; წიგნის მიხედვით დასმულ შეკითხვებზე პასუხი და მითითებების შესრულება (ბუნებრივი მიდგომა); საჩვენებელი წერა წიგნის მიხედვით.
1.1, 1.2, 2.1, 2.2, 2.3	მეორე	ფონოლოგიური სავარჯიშოები; ლექსიკური ერთეულების გაცნობა; საჩვენებელი კითხვა პაუზებით; ერთობლივი კითხვის ვარიაციები; ხმამაღლა კითხვის ვარიაციები: გამეორებითი კითხვა, მონაცვლეობით კითხ-ვა, ურთიერთწაკითხვა და სხვ.; ხშირი სიტყვების მოძებნა; სიტყვების დეკოდირება, ცნობა; წინადადებების დეკოდირება; წიგნის მიხედვით დასმულ შეკითხვებზე პასუხი და მითითებების შესრულება (ბუნებრივი მიდგომა); ნახატის შესატყვისი წინადადების ან დასმულ შეკითხვაზე პასუხის მოძიება ტექსტში; ტექსტის მიხედვით ნახატის შექმნა/გაფერადება ან დასრულება; ერთობლივი წერა და ენობრივი პრაქტიკა წიგნის მიხედვით.
2.3, 3.1, 3.2, 3.3, 4.1	მესამე	ინფორმაციის დააკავშირება შესაბამის ილუსტრაციასთან, პერსონაჟთან; დიალოგისა და თხრობის გარჩევა; ხმამაღლა კითხვის ვარიაციები: გამეორებითი კითხვა, მონაცვლეობით კითხ-ვა, ურთიერთწაკითხვა, მკითხველთა თეატრი და სხვ.; ილუსტრაციებზე დაყრდნობით ვარაუდების გამოთქმა ტექსტის შინაარსის გარშემო მშობლიურ ენაზე; შინაარსის გასაგებად არასიტყვიერი ელემენტების მოშველიება; ტიპოგრაფიული მინიშნებების გარჩევა (მაგ., მსხვილი, გადახრილი, გამუქებული, ფერადი შრიფტი); ტექსტის (რეპლიკის, ლექსის სტროფის), აბზაცის, წინადადების დასაწყისისა და დასასრულის გამოყოფა და სხვ.; მართული კითხვის აქტივობა (კითხვის სტრატეგიების გამოყენება); მოსწავლის კითხვის დონის მიხედვით შერჩეული წიგნის დამოუკიდებლად კითხვა.

3.3, 4.1, 4.2, 4.3, 5.1	მეოთხე	მართული კითხვის აქტივობა; მოსწავლის კითხვის დონის მიხედვით შერჩეული წიგნის დამოუკიდებლად კითხვა; ხმამაღლა კითხვის ვარიაციები: გამეორებითი კითხვა, მონაცვლეობით კითხვა, ურთიერთწაკითხვა, მკითხველთა თეატრი და სხვ.; ილუსტრაციებზე დაყრდნობით ვარაუდების გამოთქმა ტექსტის შინაარსის გარშემო; შეკითხვების დასმა და პასუხების მოძიება; ტექსტის შინაარსის დაკავშირება გარემოსთან, პირად გამოცდილებასთან ან სხვა ტექსტებთან და სხვ.
4.3, 5.1, 5.2, 5.3	მეხუთე და მე-ექვსე	მართული კითხვის აქტივობა; მოსწავლის კითხვის დონის მიხედვით შერჩეული წიგნის დამოუკიდებლად კითხვა; ხმამაღლა კითხვის ვარიაციები: გამეორებითი კითხვა, მონაცვლეობით კითხვა, ურთიერთწაკითხვა, მკითხველთა თეატრი და სხვ.; ნაცნობი ტექსტიდან სასურველი/შერჩეული ნაწყვეტის გამართულად და გამომეტყველებით წაკითხვა; ვარაუდების გამოთქმა ტექსტის შინაარსის გარშემო; შეკითხვების დასმა და პასუხების მოძიება; ტექსტის შინაარსის დაკავშირება გარემოსთან, პირად გამოცდილებასთან ან სხვა ტექსტებთან და სხვ.. ტექსტის ან ცალკეული ეპიზოდის საკომუნიკაციო სიტუაციის (ავტორი, ადრესატი; თემა, მიზანი) ამოცნობა; საკითხავი ამოცანების შესაბამისად ტექსტში ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის პოვნა; საგნის, გარემოს, მოქმედების, მოვლენის აღწერა და სხვ.; მოვლენათა და მოქმედებათა თანამიმდევრობის, მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების ამოცნობა; პერსონაჟების ემოციების, მათი ქცევის მოტივებს ამოცნობა; ტექსტში ავტორისა და პერსონაჟების სიტყვების გარჩევა; სიუჟეტის განვითარების საფეხურების გამოყოფა; საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა პერსონაჟისა და მისი მოქმედების/ქცევის მიმართ; პერსონაჟთა საქციელის შეფასება; ექსპლიციტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნის გამოტანა.

ამ წიგნების გამოყენება სასწავლო წლის განმავლობაში, ძირითადი სახელმძღვანელოების პარალელურად, ხელს შეუწყობს როგორც კითხვის უნარების განვითარებას, ასევე, ზოგადად, ენობრივი კომპეტენციების დახვეწას და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას ყველა საგანში.

თავი II

ფონოლოგიური უნარ-ჩვევები

- *რა არის ფონოლოგიური უნარ-ჩვევები და რატომ არის ისინი მნიშვნელოვანი დამწყები მკითხველისთვის?*
- *რა კავშირია ფონოლოგიურ უნარ-ჩვევებსა და კითხვას შორის?*
- *რა განსხვავებაა ფონოლოგიურ უნარ-ჩვევებსა და ასო-ბგერების ცოდნას შორის?*
- *როგორ ვასწავლოთ ფონოლოგიური უნარ-ჩვევები?*
- *როგორ შევამოწმოთ ფონოლოგიური უნარ-ჩვევები?*

ფონოლოგიური აქტივობების ცხრილი

აქტივობის დასახელება	რესურსი	გვერდი
აქტიური მოსმენა		
საუბარი ხმებზე	საგნები და მოქმედებები, რომლებიც განსხვავებულ, საინტერესო ხმებს გამოსცემენ / ხმების ჩანაწერი	39
ხმათა თანმიმდევრობის მოსმენა	საგნები და მოქმედებები, რომლებიც განსხვავებულ, საინტერესო ხმებს გამოსცემენ / ხმების ჩანაწერი	40
მუუ-მუუ, სად ხარ?		41
კუსუნამ თქვა...		42
ჩვენ სამოგზაუროდ მივდივართ		42
ჩემი ფერადი ტექსტი	სილუეტური ნახატი მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით, ფერადი ფანქრები/ფლომასტერები	43
ხატვა კარნახით	ქაღალდი, კალამი/ფანქრები	44
რითმის ცნობა და გარითმვა		
ყუთში იყო	მცირე ზომის სურათიანი ბარათები	46
რომელია ზედმეტი?	მცირე ზომის სურათიანი ბარათები	47
წავიკითხოთ რითმები	საბავშვო სახალისო ლექსები	47
„ბუდან-გუდან“		48
ციყვი ხეზე	სურათიანი ბარათები	48
მარცვლები და დამარცვლა		
ტაში სახელებზე		49
ცუნცულა ციყვი	სათამაშო ციყვი ან ციყვის სურათი (ან ბავშვებისთვის სახალისო ნებისმიერი სხვა არსება)	50
„ია-იაო“	ლეპტოპი/მაგნიტოფონი, ინტერნეტი/სიმღერის ჩანაწერი	51
მარცვლებად დაჭრილი ბარათები	ვერტიკალური ხაზებით დაყოფილი სურათიანი ბარათები	52
„სულელური“ წინადადებები	ნაცნობი მოთხრობიდან ან ლექსიდან აღებული წინადადებების/ფრაზების სახეცვლილი ვარიანტი	53
პირველი ბგერის ამოცნობა		
ნივთების პოვნა	წინასწარ დამზადებული სურათიანი ბარათები	54
სიტყვების წყვილები (ბგერის ამოგდება)		55
ბგერების გადაბმა		
კვირიას უცნაური ლაპარაკი	სურათიანი ბარათები	56
ბგერებად დაჭრილი ნახატები	ვერტიკალური ხაზებით დაყოფილი სურათიანი ბარათები	57
გადავაბათ ბგერები	სურათიანი ბარათები	58
ბგერებად დაშლის აქტივობები		
თავი – მხრები – მუცელი – მუხლები	ორ-, სამ- ან ოთხბგერიანი სიტყვები	58
ჩავიფიქრე სიტყვა		59
„აკრძალული“ ბგერები	სურათიანი ბარათები	60
ბგერები წრეში		61

კომპონენტის განმარტება და მოკლე აღწერა

რატომ უნდა ვასწავლოთ ეს კომპონენტი?

ფონოლოგიური უნარ-ჩვევები კითხვის ერთ-ერთი საფუძველია. ამ უნარების მქონე ბავშვს შეუძლია ბგერებითა და ზეპირი სიტყვებით მანიპულირება, ბგერებითა და სიტყვებით „თამაში“. ძირითადად იგულისხმება ბგერების ამოცნობა, ზეპირი სიტყვების მარცვლებად და ბგერებად დაშლა, ასევე ბგერებისა და მარცვლების გადაბმა-გამთლიანება.

ადრეულ ასაკში ბავშვები ვერ ახერხებენ ზეპირად წარმოთქმული სიტყვების ერთმანეთისგან გამოყოფას, რადგან მათთვის საუბარი ბგერათა უწყვეტ ნაკადად აღიქმება; საჭიროა, რომ მათ ჩამოუყალიბდეთ უნარი, რომლის მეშვეობითაც შეძლებენ წინადადებაში სიტყვების, სიტყვებში მარცვლებისა და ბგერების, მარცვლებში ბგერების გამოცალკევებას, აგრეთვე ცალკეული ბგერებისა და მარცვლებისაგან სიტყვების შედგენას. ცნობილია, რომ ბავშვები, რომელთაც ჩამოყალიბებული აქვთ ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, ადვილად ეუფლებიან ასო-ბგერებს. ამიტომ ფონოლოგიურ უნარებზე მუშაობას დეკოდირების უნარის განვითარებისა და ორთოგრაფიის ათვისებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.



რატომ არის მნიშვნელოვანი ფონოლოგიური უნარ-ჩვევების ფლობა?

ფონოლოგიური უნარ-ჩვევები და ასოების ცოდნა ორი უმთავრესი წინაპირობაა კითხვის უნარის დაუფლებაში წარმატების მისაღწევად. კითხვაში პრობლემების მქონე ბავშვებს შორის ხშირად გვხვდებიან სწორედ ფონოლოგიურ უნარ-ჩვევებში გაუწაფავი ბავშვები. ბგერების ცოდნა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის სიტყვების დეკოდირებისა და წერის ერთ-ერთი მთავარი საყრდენია. გარდა ამისა, ენის ბგერითი სისტემის გაცნობიერება ეხმარება ბავშვს სიტყვების დაუფლებასა და ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში.

ფონოლოგიურ უნარებს ხშირად ურევენ ასო-ბგერების ცოდნაში, რომელიც გულისხმობს ასოებსა და ბგერებს შორის მიმართების ცოდნას. ამ ცოდნის გამოყენებით დამწყები მკითხველები ხვდებიან, როგორ წარმოთქვან სიტყვები დეკოდირებისას და როგორ დაწერონ ასოები და სიტყვები. ხოლო *ფონოლოგიური უნარები* სმენითი, სამეტყველო ბგერების გამოყენებასთან დაკავშირებული უნარებია. არ არის აუცილებელი, მოსწავლემ იცოდეს ანბანი იმისთვის, რომ განივითაროს ფონოლოგიური უნარ-ჩვევები.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ძირითადი ფონოლოგიური უნარ-ჩვევები:

უნარ-ჩვევა	შეკითხვები და მითითებები
გარითმული სიტყვების ამოცნობა	ერითმება თუ არა ერთმანეთს სიტყვები „ქუდი“ და „კუდი“?
გარითმული სიტყვის მოძებნა	რომელი სიტყვა ერითმება სიტყვას „ნავი“? („თავი“) რომელი სიტყვა არ ერითმება ამ სიტყვებში სხვა სიტყვებს? „გზა“, „ბზა“, „ტოტი“ („ტოტი“)
წინადადების დანაწევრება სიტყვებად	ყურადღებით მოუსმინე წინადადებას და დაუკარი იმდენი ტაში, რამდენი სიტყვაც გაიგონე: „ჩიტს აქვს ფრთები.“
მარცვლების გადაბმა	მე ვიტყვი სიტყვის ნაწილებს დაცალკევებულად. შენ თქვი, რა სიტყვაა: „გუ-ლი“, „მა-მა-ლი“.
მარცვლებად დაშლა	ყურადღებით მოუსმინე სიტყვას და დაუკარი იმდენი ტაში, რამდენი მარცვალიც გაიგონე: „მა-წო-ნი“. ახლა შენ დამარცვლე სიტყვა და თქვი, რამდენი მარცვალია.
მარცვლების რაოდენობათა ამოცნობა	რამდენი მარცვალია სიტყვაში „ნაყინი“?
მარცვლის იდენტიფიცირება და სიტყვაში მისი ადგილის ამოცნობა	რომელია პირველი მარცვალი სიტყვაში „ქათამი“? მერამდენე მარცვალია „მი“ ამ სიტყვაში?
მარცვლის ჩამოშორება	თქვი სიტყვა „ბაჭია“. ახლა ისე თქვი, რომ არ თქვა „ბა“.
მარცვლის დამატება	თქვი სიტყვა „ბუ“. ახლა ისევ თქვი და ბოლოში დაამატე „დე“.
სიტყვაში ბგერების ამოცნობა	რა ბგერით იწყება სიტყვა „დათვი“? რა ბგერით ბოლოვდება სიტყვა „მიდის“? რომელია მესამე ბგერა სიტყვაში „ვაშლი“?
ბგერების გადაბმა	გადააბი ჩემ მიერ ცალ-ცალკე წარმოთქმული ბგერები და მიიღე სიტყვა: „ს-ა-ხ-ლ-ი“
სიტყვის ბგერებად დაშლა	მითხარი ყველა ბგერა, რომელიც გესმის სიტყვაში: „ყველი“.
ბგერების დათვლა სიტყვაში	რამდენი ბგერაა სიტყვაში „ბუშტი“?
ბგერის ამოგდება	თქვი სიტყვა „ხელი“. ახლა ისე თქვი, რომ არ თქვა „ხ“.
ბგერის ჩამატება	თქვი სიტყვა „ხილი“. ახლა დაამატე წინ ბგერა „თ“.
ბგერის შეცვლა	თქვი სიტყვა „ცული“. ახლა შეცვალე „ც“ „ფ“-თი და თქვი ახალი სიტყვა.
სიტყვების შედარება და საერთო ბგერის პოვნა	რომელი ბგერით იწყება ეს ორი სიტყვა: „ვეფხვი“ და „ვარდი“? მე გეტყვი ორ სიტყვას: „ფეხი“ და „მუხა“. რომელი ბგერა მეორდება ორივე სიტყვაში?

მეორე/უცხოური ენის მასწავლებლებისთვის

ფონოლოგიური უნარების დროულად განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის. ამ ბავშვებთან მუშაობისას ვაწყდებით კონკრეტულ სირთულეს, კერძოდ, მათ უჭირთ ქართულ ენაში არსებული ზოგიერთი ბგერის იდენტიფიცირება და სწორად წარმოთქმა. საუბარია იმ ბგერებზე, რომლებიც უცხოა ბავშვის მშობლიური ენისთვის, ასევე, თანხმოვანთა სამეულებზე (ბ-პ-ფ, გ-კ-ქ და სხვ.). ქართული ენის შემსწავლელი პირველკლასელი ორმაგი სირთულის წინაშეა, მაგალითად: სიტყვაში „წყალი“ გამოყოს „წ“, როგორც პირველი ბგერა (ეს ამოცანა დგას ქართულენოვანი ბავშვის წინაშეც); მოსმენისა და წარმოთქმისას განასხვაოს „წყალი“-ს პირველი ბგერა „ცარცი“-ს პირველი ბგერისგან (ეს ამოცანა დამატებით დგას ქართულის, როგორც მეორე ენის შემსწავლელი ბავშვის წინაშე). შესაბამისად, ქართულის, როგორც მეორე ენის შემსწავლელი პირველკლასელისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს ორივე სირთულის დასაძლევი სავარჯიშოები.

პრაქტიკოსი პედაგოგები ამტკიცებენ, რომ ქართული ენისთვის დამახასიათებელი ბგერების აღქმაზე მუშაობა უფრო ეფექტურია სწავლების დაწყებით საფეხურზე, ენის შესწავლის პირველივე დღეებიდან. მაღალი საფეხურის მოსწავლეებთან კი სირთულეს ქმნის ის, რომ მათ არ აქვთ სათანადოდ დამუშავებული ყური და სამეტყველო აპარატი ამ ბგერების აღსაქმელად და წარმოსათქმელად, მიჩვეულები არიან მათ არასწორად წარმოთქმას.

ფონოლოგიური უნარების სწავლება

ბგერების სწავლა და ფონოლოგიური უნარ-ჩვევების გამომუშავება შესაძლებელია თანმიმდევრულად ჩატარებული აქტივობების მეშვეობით. ფონოლოგიურ სავარჯიშოებს მიმართავენ სკოლამდელ და წინასაანბანო პერიოდში, რათა მოსწავლე სათანადოდ მოემზადოს ანბანური პრინციპის ასათვისებლად.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე საბაზისო მეთოდური რეკომენდაცია ფონოლოგიური უნარ-ჩვევების სწავლებისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა:

- ფონოლოგიური სავარჯიშოები ჩაატაროს სისტემურად, მკაფიოდ განსაზღვრული ლოგიკური თანმიმდევრობით, მარტივიდან რთულისკენ.
- ასწავლოს ექსპლიციტურად (პირდაპირი სწავლების მიდგომით) – აუხსნას მოსწავლეს, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს. ჯერ უჩვენოს სავარჯიშოს შესრულების ნიმუში, შემდეგ ჩართოს პრაქტიკულ ვარჯიშში, ბოლოს მიაწოდოს უკუკავშირი.
- ყოველდღიურად ფოკუსირება გააკეთოს ერთ ან ორ (და არა ერთდროულად რამდენიმე) ფონოლოგიურ უნარზე (მაგალითად, პირველი და ბოლო ბგერების ამოცნობაზე).
- ყველაზე მეტი დრო დაუთმოს ბგერების გადაბმისა და ბგერებად დანაწევრების უნარებზე ვარჯიშს. ამ უნარებს ყველაზე დიდი წვლილი შეაქვს კითხვის სწავლაში.
- ავარჯიშოს და ათამაშოს მოსწავლეები მცირე ჯგუფში (თუმცა ეს არ გამორიცხავს მთელი კლასისთვის სწავლებას).
- დააკვირდეს მოსწავლეებს. შეარჩიოს სავარჯიშოები და თამაშები მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით.
- ჩაატაროს ფონოლოგიური სავარჯიშოები ყოველდღიურად. დაუთმოს თითო სესიას დაახლოებით 5-10 წუთი.
- თავდაპირველად, წინასაანბანო პერიოდში, არ შეურიოს ფონოლოგიური უნარების სწავლებას ანბანის სწავლების სავარჯიშოები და რესურსები.
- ფონოლოგიური უნარ-ჩვევების სათანადო დონეზე განვითარების შემდეგ მოსწავლეებს პრაქტიკულად ასწავლოს, თუ როგორ გამოიყენონ ეს უნარები კითხვისა და წერის პროცესში (მაგ., დაწერამდე გონებაში ბგერებად დაშალონ ესა თუ ის სიტყვა).

რადგან უკვე აღვნიშნეთ ფონოლოგიური უნარების მნიშვნელობა კითხვის დაუფლების პროცესში, საინტერესოა თვალი მივადევნოთ, თუ როგორ ვითარდება ეს კომპონენტი ესგ-ს (ქართ. I. 5.) მიხედვით. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარება პირველ კლასში იწყება და სრულდება. სასურველია, თავდაპირველად მოსწავლემ შეძლოს სიტყვებში რითმის ამოცნობა, მარცვლების სიტყვებად გაერთიანება (იგულისხმება ნაცნობი სიტყვები) და სიტყვების დამარცვლა. ამის შემდეგ მან უკვე ტაშის დაკვრით უნდა დაითვალოს სიტყვაში მარცვალთა რაოდენობა. მომდევნო ეტაპზე მოსწავლეები მასწავლებლის მიერ ჩამოთვლილ სიტყვებში (ან სურათებზე) ამოიცნობენ (გამოარჩევენ) იმ სიტყვებს, რომლებიც შეიცავს წინასწარ მითითებულ ბგერას/ზეპირ მარცვალს. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ შეძლოს მარცვლების რაოდენობისა და შესაბამისი რაოდენობის სიმბოლოების, მაგალითად, რკალების ერთმანეთთან დაკავშირება. ამ ეტაპზე ბავშვი ერთმარცვლიან სიტყვას წარმოადგენს ერთი რკალით (◡), ორმარცვლიანს – ორი რკალით (½◡) და ა.შ. ამავე ეტაპზე მან უნდა ამოიცნოს მითითებული მარცვლის ადგილმდებარეობა სიტყვაში (დასაწყისში, შუაში, ბოლოში). მაგ., სამმარცვლიანი სიტყვის გამომხატველი სამი რკალიდან მითითებული მარცვლის შესაბამისი რკალის გაფერადება. ამის შემდეგ მოსწავლემ უნდა შეძლოს სიტყვაზე მარცვლის დამატება და ჩამოცილება. ეს არის პირველი ეტაპი, ხოლო მომდევნო ეტაპი იქნება ბგერებით ოპერირება.

მხოლოდ ამ ეტაპის გავლის შემდეგ იწყებენ მოსწავლეები ბგერებზე მუშაობას. მოსწავლემ უნდა შეძლოს სიტყვის პირველი თუ ბოლო ბგერის ამოცნობა, სიტყვაში ბგერის ადგილმდებარეობის პოვნა (დასაწყისში, შუაში, ბოლოში), სიტყვის ტრანსფორმირება ბგერის ჩამოცილებით, დამატებით ან ჩანაცვლებით (მაგ.: ბალი – ალი; ორი – ქორი; ხელი – ხალი;). შემდეგი აქტივობა უნდა იყოს უკვე ბგერების სიტყვად გაერთიანება (მაგ,: ხ/ე/ლ/ი – ხელი) და სიტყვის ბგერებად დაშლა (მაგ.: საათი – ს/ა/ა/თ/ი), ბგერის ადგილმდებარეობის განსაზღვრა (ლოკალიზება) სიტყვაში, რასაც უნდა მოჰყვეს ბგერების დათვლა სიტყვაში. „ჯერ“ და „შემდეგ“ აქ პირობითად არის ნათქვამი. სინამდვილეში, ამა თუ იმ სავარჯიშოს შესრულება უნდა განხორციელდეს მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე და ამას დიაგნოსტიკურ სწავლებაზე ორიენტირებული მასწავლებელი განსაზღვრავს.

ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განმავითარებელი აქტივობები

ქვემოთ მოცემულია ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განმავითარებელი რამდენიმე ძირითადი ტიპის სავარჯიშო:

გამოცნობითი დავალებების შესრულების უნარი

ა. რითმა

მაგ.: რომელი სიტყვები ერითმება/ჰგავს ერთმანეთს? ხელი, დაფა, ბელი (ხელი, ბელი)

ბ. საწყისი თანხმოვნები

მაგ.: რომელი ორი სიტყვა იწყება ერთი და იმავე ბგერით? თხა, ცა, თავი (თხა, თავი)

გ. ბოლო თანხმოვანი

მაგ.: რომელი ორი სიტყვა თავდება ერთსა და იმავე ბგერაზე? ბურთი, დაფა, საათი (ბურთი, საათი)[1]

დ. შუა თანხმოვნის ამოცნობა

მაგ.: რომელი ორი სიტყვის შუაში არის ერთი და იგივე ბგერა? დათვი, სკოლა, ათი (დათვი, ათი)

ბგერებისა და მარცვლების ზეპირად გადაბმის უნარი

ა. სიტყვა დაცალკევებულია მარცვლებად.

მაგ.: მოისმინეთ სიტყვის ნაწილები. თქვით მთელი სიტყვა. /სკა/- /მი/ – რა სიტყვაა ეს? (სკამი)

ბ. სიტყვიდან გამოცალკევებულია პირველი ბგერა.

მაგ.: მოისმინეთ სიტყვის ნაწილები და თქვით მთელი სიტყვა. /გ/-/ზა/ – რა სიტყვაა ეს? (გზა)

გ. სიტყვა დაცალკევებულია ბგერებად.

მაგ.: მოისმინეთ სიტყვის ნაწილები. თქვით მთელი სიტყვა. /ე/-/ნ/-/ა/ – რა სიტყვაა ეს? (ენა)

სიტყვების ზეპირად დანაწევრების უნარი (ბგერების დათვლის ჩათვლით)

ა. მარცვლებად

მაგ.: მოისმინეთ სიტყვა და დამარცვლეთ იგი. „სკამი“ (/სკა/-/მი/)

ბ. პირველი ბგერის გამოყოფა

მაგ.: მოისმინეთ სიტყვა. დაასახელეთ ამ სიტყვის პირველი ბგერა და შემდეგ სიტყვის დარჩენილი ნაწილი. „კალამი“ (/კ/-/ალამი/)

გ. ცალკეულ ბგერებად (ბგერების დათვლა)

[1] რჩევა სავარჯიშოს მოდელირებისა და ადაპტირებისთვის: მასწავლებელი ასახელებს სიტყვას და გამოყოფს ბოლო ბგერას: ბურთ-ი, დაფ-ა, საათ-ი. შესაძოლოა დასახელდეს არა ორი ერთნაირდაბოლოებიანი სიტყვა, არამედ ერთი – განსხვავებული.

მაგ.: მოისმინეთ სიტყვა. გამოთქვით იგი ცალკეული ბგერებით. „მზე“ – /მ/-/ზ/-/ე/. რამდენი ბგერაა ამ სიტყვაში? (3)

ბგერებით მანიპულირების უნარი

ა. საწყისი ბგერის შეცვლა

მაგ.: სიტყვაში „თხა“ პირველი ბგერა შეცვალეთ „ფ“-თი. (ფხა)

ბ. ბოლო ბგერის შეცვლა

მაგ.: სიტყვაში „ტარი“ ბოლო ბგერა შეცვალეთ „ო“-თი. (ტარო)

გ. ხმოვანის შეცვლა

მაგ.: სიტყვაში „თითი“ შუა ხმოვანი შეცვალეთ „ა“-თი. (თათი)

დ. მარცვლების გამოკლება

მაგ.: თქვით „მაგიდა“ „მა“-ს გარეშე. (გიდა)

ე. საწყისი ბგერის გამოკლება

მაგ.: თქვით „მზე“ „მ“-ს გარეშე. (ზე)

ვ. ბოლო ბგერის გამოკლება

მაგ.: თქვით „დაფა“ „ა“-ს გარეშე. (დაფ)

ზ. მეორე ბგერის გამოკლება შერწყმით

მაგ.: თქვით „სკამი“ „კ“-ს გარეშე. (სამი)

ფონოლოგიური აქტივობები სურათიანი ბარათების გამოყენებით

ფონოლოგიური უნარების განმავითარებელი სავარჯიშოების ჩასატარებლად ერთ-ერთი საუკეთესო რესურსია სურათიანი ბარათები. სურათიანი ბარათებით ბევრი სახალისო აქტივობის ჩატარებაა შესაძლებელი. თუ შედარებით მრავალრიცხოვან ჯგუფთან ან მთელ კლასთან მუშაობთ, გამოიყენეთ დიდი ზომის ბარათები. მცირე ჯგუფთან, წყვილთან ან ინდივიდუალურად ერთ მოსწავლესთან სამუშაოდ შესაძლებელია მცირე ზომის სურათიანი ბარათების გამოყენება.

- მასწავლებელი უჩვენებს ბავშვებს დიდი ზომის სურათიან ბარათს (დაიჭერს ხელში ან გაუკრავს დაფაზე).
- შემდეგ მოსწავლეებს დაუსვამს შეკითხვებს და აძლევს მითითებებს იმის მიხედვით, თუ რომელი უნარ-ჩვევების განვითარებას ისახავს მიზნად:
    - რამდენი ბგერაა ამ სიტყვაში?
    - წარმოთქვით ამ სიტყვის პირველი ბგერა.
    - დაასახელეთ სხვა სიტყვა, რომელიც ამავე ბგერით იწყება.[1]
    - დამარცვლეთ სიტყვა.
    - დაასახელეთ სხვა სიტყვა, რომელიც ამავე მარცვლით იწყება.
    - მიიღეთ ახალი სიტყვა ისე, რომ ამ სიტყვის ერთი ბგერა შეცვალოთ.
    - დაასახელეთ სიტყვა, რომელიც ამ სიტყვაზე ერთით მეტ/ნაკლებ ბგერას/მარცვალს შეიცავს.
    - დაასახელეთ სიტყვა, რომელიც ერითმება ამ სიტყვას.

[1] მოსწავლეები, რომლებისთვისაც ქართული არაა მშობლიური ენა, ძნელად ან საერთოდ ვერ იგებენ ასეთ ინსტრუქციებს. ქართული ენის პირველი დონის მასწავლებლის წიგნში მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც დაგეხმარებათ ამ მიზნის მიღწევაში. მაგალითად, ხელით ვაჩვენოთ ბავშვებს, რომ დაიმახსოვრონ რომელიმე ბგერა და ამ ბგერაზე თქვან სიტყვები.

შესაძლებელია, მასწავლებელმა მოსწავლეებს მცირე ზომის ბარათების კრებულებიც დაურიგოს და დამატებით სხვა დავალებებიც მისცეს:

- იპოვე სიტყვა/სიტყვები, რომელიც ამავე ბგერით იწყება.
- იპოვე სიტყვები, რომლებშიც ამდენივე ბგერაა/მარცვალია.
- იპოვე სიტყვები, რომლებშიც არის ამ სიტყვის პირველი ბგერა.
- იპოვე სიტყვა, რომელიც ერითმება ამ სიტყვას (თუკი ასეთი არის).
- იპოვე სიტყვა, რომელიც ერთით მეტ/ნაკლებ ბგერას/მარცვალს შეიცავს.

მეორე/უცხოური ენის მასწავლებლებისთვის

ქართულის, როგორც მეორე ენის შემსწავლელები ამ სავარჯიშოების შესრულებაში აუცილებლად უნდა გაიწაფონ მშობლიური ენის გაკვეთილებზეც. სასურველია, რომ ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელი მშობლიური ენის მასწავლებელს გაესაუბროს იმ ინსტრუქციის შესახებ, რომლითაც მოსწავლეებს მარტივად მიახვედრებს სავარჯიშოს პირობას.

ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელმა ფრთხილად უნდა შეარჩიოს კლასში შესატანი სავარჯიშოები მოსწავლეთა განვითარების დონისა და ინსტრუქციების სირთულის გათვალისწინებით. ფონოლოგიური სავარჯიშოები უნდა დაეფუძნოს მოსწავლეთათვის ნაცნობ ლექსიკურ ერთეულებს. შესაბამისად, საჭირო ლექსიკა მასწავლებელმა წინასწარ უნდა წარუდგინოს ბავშვებს გაკვეთილზე. ლექსიკური ერთეულები უნდა შეირჩეს სახელმძღვანელოებიდან, ყოველდღიური სასაუბრო ენიდან, პოსტერებიდან, სურათიანი ბარათებიდან და სხვ. ზოგჯერ შესაძლებელია სავარჯიშოებისთვის უცნობი ლექსიკური ერთეულების შერჩევაც.

სიტყვების შერჩევისას საჭიროა რამდენიმე პრინციპის გათვალისწინება:

- **დაიწყეთ მარტივი სიტყვებით და თანდათანობით გაართულეთ ისინი.** შედარებით მარტივია ორმარცვლიანი სიტყვები, რომლებიც იწყება თანხმოვნით, არ შეიცავს თანხმოვანთა კომპლექსებსა და მშობლიური ენისათვის უცხო ბგერებს (მაგალითად, დედა, კარი);
- **დაიწყეთ იმ სიტყვებით, რომელთა მნიშვნელობაც ნაცნობია ან ადვილად მისახვედრია ბავშვებისთვის;**
- **გამოიყენეთ სიტყვები, რომლებიც ბავშვებს შედარებით ხშირად შეხვდებათ საუბრებში, ნაწერ ტექსტებში, სიმღერებში და სხვ.;**
- **შეძლებისდაგვარად გაამარტივეთ ინსტრუქცია** (მაგ., მითითება „წარმოთქვით ამ სიტყვის პირველი ბგერა“ შეიძლება ითქვას ასეც: „თქვი პირველი ბგერა.“);
- **გააძლიერეთ ინსტრუქცია მკაფიო არავერბალური ელემენტებით** (მაგ., თუ გინდათ, რომ მოსწავლემ დაასახელოს სიტყვის პირველი ბგერა, ხელით აჩვენეთ „ერთი.“);

- **რამდენჯერმე თავად შეასრულეთ მითითება ნაცნობი ლექსიკური ერთეულებით** (მაგ., რამდენჯერმე წარმოთქვით „ბურთი – ბ“, „დედა – დ“);
- **დაიხმარეთ სხარტი და მიმხვედრი მოსწავლე დავალების შესრულების მოდელირებაში** (მაგ., თქვენ იტყვით სიტყვას „მაგიდა“, მოსწავლე იტყვის „მ“-ს. ამის მერე სავარჯიშოს შეასრულებენ სხვა მოსწავლეებიც);
- **შეასრულეთ დავალება ერთობლივად (კლასთან ერთად), სანამ მოსწავლეები ინდივიდუალურად/წყვილებში შეასრულებენ მას.**

მოსმენაზე ორიენტირებული აქტივობები

ყურადღებით მოსმენა ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარების უმნიშვნელოვანესი საფუძველია. სამწუხაროდ, სასწავლო პროცესში ამ ეტაპს ხშირად გადაახტებიან ან ზერელედ გაირბენენ ხოლმე. მასწავლებლებს მიაჩნიათ, რომ სკოლაში მოსულმა ბავშვებმა უკვე იციან მოსმენა. ყოველთვის ასე არ არის. 5-6 წლის ბავშვს სათანადოდ შეიძლება არ ჰქონდეს განვითარებული ***გულისყურით, აქტიურად მოსმენის უნარი***. როგორც არ უნდა ჰქონდეს პირველკლასელს განვითარებული ეს უნარი, აუცილებელია მისი გავარჯიშება. ამიტომ სასურველია, რომ ფონოლოგიური უნარ-ჩვევების სწავლებასთან ერთად ბავშვებს ჩავუტაროთ მოსმენაზე ორიენტირებული აქტივობები.

საუბარი ხმებზე

აქტივობის შესახებ

ამ აქტივობაში ჩართული ბავშვები „მოიძიებენ“ და აკვირდებიან მათ გარშემო არსებული ხმების სიმრავლეს. შედეგად მოსწავლეები ყურადღებას ამახვილებენ მრავალფეროვან ხმებზე/ბგერებზე და ამახსოვრდებათ ისინი. ბავშვები ასახელებენ გაგონილ ხმებს და საუბრობენ მათზე. შესაძლებელია, მოსწავლეებმა ამოცნობილი ხმები გამოხატონ მიმიკა-ჟესტიკულაციითა და მოძრაობით (მაგ., ფეხის ხმის გაგონებაზე თითებით ან გადაადგილებით განასახიერონ სიარული).

რესურსი: საგნები და მოქმედებები, რომლებიც განსხვავებულ, საინტერესო ხმებს გამოსცემენ (სია იხ. ქვემოთ).

აქტივობის მსვლელობა

- მასწავლებელი დასხამს ბავშვებს წრედ იატაკზე ან სკამებზე.
- სთხოვს, რომ მოუსმინონ ხმებს. ყველა ჩუმად უნდა იყოს. მასწავლებელი ეუბნება ბავშვებს, რომ ისინი უნდა გადაიქცნენ „ხმების მაძიებლებად“ და ამისთვის გამოიყენონ ყურები. სკოლის შენობაში ყოველთვის ისმის სხვადასხვა ხმა. ეს შეიძლება იყოს კარის დახურვის, მასწავლებლის საუბრის, ფოთლების შრიალის ხმა და ა. შ.
- მასწავლებელი ბავშვებთან ერთად საუბრობს გაგონილი ხმების შესახებ.
- შემდეგ ისევ მიუბრუნდებიან მოსმენას. მასწავლებელი სვამს შეკითხვას: „ვის აქვს ყოჩაღი ყურები? ვინ გაიგონებს კიდევ სხვა ხმებს?“
- აქტივობის დასასრულს მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეაჯამებს, თუ რატომ არის ხმა მნიშვნელოვანი და რას გვეუბნება ის.

შენიშვნა: მასწავლებელს შეუძლია, ჩართოს წინასწარ მომზადებული ჩანაწერი (მაგ., ცხოველის, მანქანის, ამინდის ხმები). შესაძლებელია, თვითონაც გამოსცეს ესა თუ ის ხმა.

მეორე/უცხოური ენის მასწავლებლებისთვის

L1 L2

მოსწავლეები აუცილებლად დაიწყებენ ამოცნობილი ხმების მშობლიურ ენაზე დასახელებასაც. მასწავლებელი მათ მიერ გამოთქმულ ფრაზებს სრულყოფილი ფორმით წარმოთქვამს ქართულ ენაზე (მაგ., „კარის ხმა“, „ფეხის ხმა“). ცხადია, ამ დროს მასწავლებელი მიზნად არ ისახავს მოსწავლეების მიერ ამ ლექსიკური ერთეულების მყისიერად ათვისებას, თუმცა ეს აქტივობა ეხმარება მოსწავლეებს ნაცნობი ლექსიკური ერთეულების განმტკიცებასა და ახალი სიტყვების/გამოთქმების გაგებაში.

ხმათა თანმიმდევრობის მოსმენა

აქტივობის შესახებ

ამ თამაშში ბავშვები ჯერ ამოიცნობენ ცალკეულ ხმებს, შემდეგ კი თანმიმდევრულად – ხმების რიგს. მოსწავლეებს უვითარდებათ მეხსიერება და ყურადღება სხვადასხვა ხმის/ბგერის, ასევე ბგერათა თანმიმდევრობის მიმართ.

რესურსი: საგნები და მოქმედებები, რომლებიც განსხვავებულ, საინტერესო ხმებს გამოსცემენ, როგორიცაა:

- კაკუნი
- ქროლა
- სტვენა
- ტაში
- ენის ტკაცუნი
- ჩანთის საკეტის გაწკაპუნება
- ჩახველება
- ქაღალდის გახევა
- მაკრატლით რაიმეს გაჭრა
- დავარდნა (სხვადასხვა საგნის)
- თითების დაკაკუნება
- ვაშლის ჭამა
- ქაღალდის გადაკეცვა
- ჩაქუჩის დარტყმა
- ხტუნვა
- ფანჯრის გაღება
- სითხის დასხმა
- ზარის დარეკვა
- მოფხანვა
- ფანქრის გათლა
- წიგნის დახურვა / გადაფურცვლა
- კოვზით მორევა
- კომპიუტერის ჩართვა
- მაუსის წკაპუნი, კლავიატურაზე ბეჭდვა
- სიარული
- დაფაზე ცარცით წერა
- ფანქრით წერა

აქტივობის მსვლელობა

- მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ხელი აიფარონ თვალებზე.
- შემდეგ თავად გამოსცემს რომელიმე ნაცნობ ხმას (მაგ., კარის დახურვის, დაცემინების, პიანინოს კლავიშზე დაკვრის). სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით მოისმინონ და სცადონ, გამოიცნონ, რისი ხმა გაისმა.

- როდესაც ბავშვები ამ თამაშში გაიწაფებიან, მასწავლებელი მიმდევრობით ორ ხმას გამოსცემს. მოსწავლეებმა თვალის გახელის გარეშე, სწორი თანმიმდევრობით უნდა დაასახელონ, რა ხმები გაიგონეს. „ორი ხმა იყო. პირველი იყო ..... და მეორე იყო ..... .“

- ორ-ორი ხმის ამოცნობის შემდეგ მასწავლებელი გადადის სამ და მეტ ხმაზე. ამჯერადაც სასურველია, ბავშვებმა სრული წინადადებებით დაასახელონ გაგონილი ხმები.

შენიშვნა: მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა პასუხები არ წამოიძახონ და ყველას თანაბრად მიეცეს მონაწილეობის საშუალება. სასურველია, მასწავლებელმა ზოგჯერ მთელ კლასს შესთავაზოს პასუხის დასახელება, ზოგჯერ კი – ცალკეულ მოსწავლეს.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ჩაინიშნოს თითოეული მოსწავლის პროგრესი ამ თამაშებში. განსაკუთრებით იმ ბავშვების, რომლებსაც პრობლემები ექმნებათ ცალკეული ხმების ამოცნობაში ან ხმების თანმიმდევრობის აღქმაში. ასეთ ბავშვებს დამატებითი დახმარება დასჭირდებათ.

ვარიაციები

- ბავშვები დახუჭავენ თვალებს, მასწავლებელი კი მიმდევრობით გამოსცემს რამდენიმე ხმას. შემდეგ გაიმეორებს ხმებს იმავე თანმიმდევრობით, მაგრამ ამჯერად რომელიმეს გამოტოვებს. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომელი ხმა გამოტოვა მასწავლებელმა.
- რამდენიმე მცდელობის შემდეგ მასწავლებელი ახლა მოსწავლეებს შესთავაზებს წამყვანის როლის შესრულებას. ასეთ დროს მოსწავლე გამოსცემს ხმებს თანაკლასელებისთვის გამოსაცნობად.

შენიშვნა: ეს თამაშები ძალიან კარგია მოსწავლეების მიერ რიგობითი სიტყვების (პირველი, მეორე, მესამე, შუა, ბოლო და სხვ.) ათვისებისა და გამოყენების შეფასებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა პერიოდულად ყურადღება გაამახვილოს ამ სიტყვებზე.

ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებისათვის L1 L2

თუ მოსწავლეები ვერ ახერხებენ ქართულ ენაზე ზოგიერთი ხმის აღწერას, შესაძლებელია მასწავლებელმა მათ დაურიგოს პატარა სურათიანი ბარათები, რომლებზეც გამოსახული იქნება ხმების გამომცემელი საგნები. ამა თუ იმ ხმის გაგონებისას მოსწავლეებმა უნდა ასწიონ შესაბამისი ბარათები.

შესაძლებელია მოსწავლეებმა ვერ შეძლონ გაგონილი ხმის სრულყოფილად აღწერა (მაგ., ძაღლის ყეფა), ამიტომ შეიძლება მხოლოდ თითო სიტყვით აღწერონ (მაგ., ძაღლი). აგრეთვე, დასაშვებია, მოსწავლეებმა თავადაც განასახიერონ გაგონილი ხმა (მაგ., „დაიყეფონ“, თუ ძაღლის ყეფას აღწერენ, თითების მოძრაობით მიგვანიშნონ, თუ მაკრატლის ხმა მოესმათ და სხვ.).

ასევე, შესაძლებელია ამ აქტივობის გამოყენება ლექსიკური ერთეულების სწავლებისათვის როგორც მშობლიურ, ისე მეორე ენაზე.

მუუ–მუუ, სად ხარ?

აქტივობის შესახებ

ბავშვები ცდილობენ გაარკვიონ, საკლასო ოთახის რომელი ადგილიდან მოისმის ესა თუ ის ხმა. თამაში მოსწავლეებს უვითარებს ყურადღებით მოსმენის უნარს, სივრცეში ორიენტაციის უნარს. გარდა ამისა, ბავშვები ნელ-ნელა ემზადებიან სიტყვებში ბგერების გარჩევისთვის.

რესურსი: სპეციალური რესურსი საჭირო არ არის.

აქტივობის მსვლელობა

- მასწავლებელი დასხამს ბავშვებს წრედ.
- ერთი ბავშვი წრის შუაში დაჯდება (სკამზე ან იატაკზე) და თვალებზე ხელს აიფარებს.
- მასწავლებელი სთხოვს ერთ-ერთ ბავშვს, საკლასო ოთახის რომელიმე ადგილას მივიდეს და თქვას „მუუ-მუუ“.
- წრის შუაში მყოფი ბავშვი მიუთითებს იმ მხარეს, საიდანაც ზმუილის ხმა ისმის.
- თუ სწორად გამოიცნობს, წრეში სხვა ჩაჯდება, ის კი გავა საკლასო ოთახის რომელიმე ადგილას და სხვა ცხოველის ხმას გამოსცემს (ბეე-ბეე, მიაუ-მიაუ, ჰამ-ჰამ, ყვაა-ყვაა...).

კუსუნამ თქვა...

აქტივობის შესახებ

მასწავლებელი სხვადასხვა მარტივ ინსტრუქციას აძლევს წრედ მდგომ ბავშვებს და ყოველ ინსტრუქციას იწყებს სტანდარტული ფრაზით. თუ მასწავლებელი ამ ფრაზის გარეშე დაიწყებს ინსტრუქციას, მოსწავლეებმა იგი არ უნდა შეასრულონ. თამაში ავითარებს ყურადღების კონცენტრაციის უნარს.

რესურსი: სპეციალური რესურსი საჭირო არ არის.

აქტივობის მსვლელობა

- მასწავლებელი ერთ-ერთ ბავშვს წამყვანად დანიშნავს.
- ბავშვები უნდა დადგნენ იმგვარად, რომ წამყვანს ხედავდნენ.
- მასწავლებელი სთხოვს წამყვანს, რომ წარმოთქვას ინსტრუქცია ბავშვებისთვის. მაგალითები: „კუსუნამ თქვა, დაიდე თითი ცხვირზე.“ „კუსუნამ თქვა, დადექი ცალ ფეხზე.“[1]
- ზოგჯერ წამყვანი ინსტრუქციას დაიწყებს სიტყვებით „კუსუნამ თქვა“, ზოგჯერ კი პირდაპირ ინსტრუქციას იტყვის „კუსუნამ თქვა“-ს გარეშე.
- თუ წამყვანი იტყვის „კუსუნამ თქვა“, მაშინ ბავშვებმა უნდა შეასრულონ მისი მითითება. თუ წამყვანი არ იტყვის „კუსუნამ თქვა“-ს, ბავშვებმა არ უნდა შეასრულონ მითითება.
- თუ წამყვანმა გამოტოვა „კუსუნამ თქვა“ და პირდაპირ მითითება წარმოთქვა, მაგრამ ბავშვმა მაინც შეასრულა მითითება, ის ჯდება.
- გამარჯვებულია ბავშვი, რომელიც ბოლომდე ფეხზე დარჩება.

ჩვენ სამოგზაუროდ მივდივართ

აქტივობის შესახებ

მოსწავლეები ყურადღებით უსმენენ, იმახსოვრებენ და მიმდევრობით იმეორებენ ერთმანეთის მიერ დასახელებულ სიტყვათა ჯაჭვს.

რესურსი: სპეციალური რესურსი საჭირო არ არის.

[1] ქართულის, როგორც მეორე ენის გაკვეთილზე სასურველია უფრო მარტივი ინსტრუქციის მიცემა, მაგ.: „კუსუნამ თქვა, დაჯექი.“ „კუსუნამ თქვა, ხელი ასწიე.“

აქტივობის მსვლელობა

- მასწავლებელი დასხამს ბავშვებს წრედ და სთხოვს, მოიფიქრონ ადგილი, სადაც იმოგზაურებდნენ. შეიძლება, დაფაზეც დაწეროს ამ ადგილის დასახელება.
- პირველი ბავშვი დაასახელებს საგანს/ნივთს, რომელსაც წამოიღებს მოგზაურობაში. მაგალითი: „მე მომაქვს ბურთი“.
- მეორე ბავშვი დაასახელებს წინა ბავშვის მიერ დასახელებულ საგანს და შემდეგ დაამატებს თავისას, მაგალითად, „ჩვენ მოგვაქვს ბურთი და ლიმონათი“.
- ყოველი მომდევნო ბავშვი ასახელებს ყველა წინა საგანს და თითოს ამატებს.
- თამაში გრძელდება მანამ, სანამ ვინმე შეცდომას არ დაუშვებს. ასეთ შემთხვევაში თამაში დასრულდება ან ბავშვები ახალ „მოგზაურობას“ დაიწყებენ.

ვარიანტი 1: თამაშის დასრულების შემდეგ მასწავლებელი ჩამოწერს მოსწავლეთა მიერ დასახელებულ სიტყვებს დაფაზე საჩვენებელი წერის ან ერთობლივი წერის გამოყენებით.

ვარიანტი 2: მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ამოირჩიონ თითო სიტყვა დასახელებული ნივთებიდან. შემდეგ დახატონ და/ან დაწერონ ეს სიტყვა დამოუკიდებლად. წერის დროს მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს საჭიროებისამებრ.

ჩემი ფერადი ტექსტი

აქტივობის შესახებ

მოსწავლეები ისმენენ მასწავლებლის მიერ წაკითხულ მოკლე ტექსტს და მოსმენილის მიხედვით აფერადებენ სილუეტურ ნახატს. ამ აქტივობის გამოყენება მოსწავლეს განუვითარებს მოსმენის უნარს, ყურადღების კონცენტრაციის უნარს, წარმოსახვის უნარს და სხვ.

რესურსი: სილუეტური ნახატი მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით, ფერადი ფანქრები/ფლომასტერები.

მსვლელობა

- მასწავლებელი ბავშვებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს სილუეტური ნახატით (მაგალითად, ჯამბაზი);
- შემდეგ სთხოვს მათ, ყურადღებით მოუსმინონ მასწავლებლის მიერ წაკითხულ ტექსტს და წაკითხულის მიხედვით გააფერადონ სილუეტური გამოსახულება.
- მასწავლებელი ნელა, გარკვევით უკითხავს მოსწავლეებს მარტივად აღსაქმელ ტექსტს (მაგალითად: „იყო ერთი მხიარული ჯამბაზი ჯაჯუ. გაბუშტულ წითელ ცხვირზე შავი ხალი ბუზივით აჯდა.“[1]).
- მოსწავლეები ტექსტის შინაარსის შესაბამისად აფერადებენ სილუეტურ ნახატს.

[1] ადაპტირებული ნიმუში ქართულის, როგორც მეორე ენისთვის: „წითელი ცხვირი, შავი თვალები. ლურჯი შარვალი და მწვანე მაისური...“

ხატვა კარნახით

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მასწავლებელი კარნახობს მოსწავლეებს მარტივად დასახატ სურათს, ხოლო მოსწავლეები უსმენენ და ხატავენ.

აქტივობის შესრულების შედეგად მოსწავლეები:

- ივითარებენ მოსმენის უნარს;
- იმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს;
- ეჩვევიან ინსტრუქციების თანმიმდევრულად შესრულებას;
- სწავლობენ სივრცეში საგანთა განლაგებასთან დაკავშირებულ სიტყვებს.

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი, მცირე ჯგუფი, ინდივიდუალური

რესურსი: ქაღალდი, კალამი/ფანქრები

მსვლელობა

- პირველ რიგში აუხსენით მოსწავლეებს, რომ ისინი დახატავენ იმას, რასაც თქვენ მათ უკარნახებთ. თქვენ აღუწერთ მათ სურათს. მათ კი უბრალოდ უნდა მოისმინონ და დახატონ ის, რასაც თქვენ ეტყვით. ასევე უთხარით ბავშვებს, რომ თქვენ ნახატებს კი არ აფასებთ, არამედ იმას, თუ როგორ მოისმენენ და სწორად ჩახატავენ საგნებს ფურცელზე. უთხარით, რომ თუ რომელიმე საგანს/სიტყვას ვერ გაიგებენ, ნუ დახატავენ ამ საგანს და გააგრძელონ ხატვა.
- აღწერეთ მარტივი და ადვილად დასახატი სურათი. პირველ ეტაპზე, სანამ მოსწავლეები კარნახით ხატვაში გავარჯიშდებიან, ამ აქტივობისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ წინასწარ მომზადებული სამუშაო ფურცელი ქვეშ მიწერილი ინსტრუქციებით (**ინსტრუქციების ნიმუში იხ. ქვემოთ**).
- კარნახის დროს სასურველია, ფოკუსირება გააკეთოთ მხოლოდ თითო ელემენტზე. ისაუბრეთ ნელა და გაიმეორეთ თითოეული ინსტრუქცია რამდენჯერმე. მიეცით მოსწავლეებს საკმარისი დრო თითოეული საგნის დასახატად სანამ მომდევნო საგანზე გადახვალთ. იმოძრავეთ კლასში, დაათვალიერეთ ბავშვების ნამუშევრები და დარწმუნდით, რომ ისინი სწორად ასრულებენ ინსტრუქციებს. დაეხმარეთ საჭიროებისამებრ.

მინიშნებები

აქტივობის დაწყებამდე გააკეთეთ მოდელირება. დახატეთ მართკუთხა ფურცელი დაფაზე. ამ „ფურცლის“ გამოყენებით შეახსენეთ ბავშვებს ის სიტყვები, რომლებიც მათ დასჭირდებათ ხატვის დროს: „შუაში“, „ზემოთ“, „ქვემოთ“, „მარჯვნივ“, „მარცხნივ“, „კუთხეში“, „წინ“, „უკან“, და სხვ.

ასევე შეგიძლიათ, მოდელირებისთვის, მოქმედებების წარმოთქმის დახმარებით, დახატოთ ამ ფურცელზე მარტივი საგნები, მაგ., სახლი, მთა, ღრუბელი, ჩიტი და სხვ. (მასწავლებლის სიტყვები ხატვის დროს: „ზემოთ, მარჯვენა კუთხეში ვხატავ ღრუბელს.“, „ღრუბლის ქვემოთ ვხატავ ჩიტს“). ამ პროცესში დახატეთ და წარმოთქვით ის საგნები, რომელთა სწავლებასაც გეგმავთ. ის, თუ რომელ მოქმედებებსა და სიტყვებს ასწავლით ან შეახსენებთ აქტივობის დაწყებამდე, მოსწავლეთა წინარე ცოდნაზეა დამოკიდებული.

ვარიაციები განვრცობისათვის

- კარნახის დასრულების შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, გააფერადონ ნახატები და ამისთვის უკარნახეთ ფერები. მაგალითად, „გააფერადეთ სახლის სახურავი წითლად”, “გააფერადეთ ფოთლები მწვანედ,“ სთხოვეთ მოსწავლეებს, მიაწერონ საგნებს შესაბამისი სიტყვები.

- სთხოვეთ მოსწავლეებს, დაწერონ სურათის აღწერა.
- მიეცით მოსწავლეებს საგნების სია. სთხოვეთ, რომ თვითონ დახატონ და გამოიყენონ ყველა ჩამოწერილი საგანი.
- მუშაობა წყვილებში. ერთი მოსწავლე კარნახობს, მეორე ყურადღებით უსმენს და ხატავს (ამ აქტივობისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები ვერ ხედავდნენ ერთმანეთის ნახატებს). შემდეგ ცვლიან როლებს. მოგვიანებით ადარებენ დედანსა და მეწყვილის მიერ დახატულ ნახატებს, საუბრონენ მსგავსება-განსხვავებებზე.

მასწავლებლის სამუშაო ფურცლის ინსტრუქციების ნიმუში

- ფურცლის შუაში არის დიდი სახლი.
- სახლს აქვს კარი და ორი ფანჯარა.
- სახლის სახურავზე არის საკვამური.
- ფურცლის ზედა მარცხენა მხარეს არის დიდი მზე.
- მზე იცინის.
- სახლის უკან და მზის ქვემოთ არის მთა.
- სახლის გვერდით, მარცხნივ არის ვაშლის ხე.
- ვაშლის ხის მარჯვნივ დგას გოგონა.
- გოგონას ხელში უჭირავს ვაშლი.
- გოგონა იცინის.
- სახლის ზემოთ და მზის მარჯვნივ არის ორი ღრუბელი. ერთი ღრუბელი დიდია, მეორე ღრუბელი პატარაა.

რითმის ცნობა და გარითმვა

რითმის ცნობა ერთ-ერთი ადრეული ფონოლოგიური უნარია და კითხვის მნიშვნელოვანი საფუძველია. ამ უნარის გამოყენებას ბავშვები ადვილად იწყებენ, თუმცა ზოგიერთს გავარჯიშება სჭირდება. გარითმული სიტყვებით თამაში მოსწავლეებს სიტყვების მნიშვნელობის გარდა მათ ფორმა/ჟღერადობაზეც გაამახვილებინებს ყურადღებას. რითმის აღქმის უნარი წინ უსწრებს დაწერილი ასოებისა და სიტყვების წაკითხვას. ის ერთ-ერთია ფონოლოგიურ უნარ-ჩვევებს შორის და ამიტომ მთლიანად აუდიალურად ტარდება.

საუკეთესო რესურსი რითმის სწავლებისათვის (იგულისხმება მსგავსი ჟღერადობის/დაბოლოებების მქონე სიტყვების ამოცნობა/დაწყვილება/დასახელება) არის ლექსები და სიმღერები. გაერთეთ და იმხიარულეთ! რაც უფრო სახალისო აქტივობებს შესთავაზებთ ბავშვებს, მით უკეთ შეძლებენ რითმის ამოცნობას და სიტყვების გარითმვას.

ამ აქტივობების მიზანია მოსწავლის სმენითი აპარატის და ფონოლოგიური პროცესორის გავარჯიშება ისეთ საწყის ფონოლოგიურ უნარ-ჩვევებში, როგორიცაა, მაგალითად, სამეტყველო ტექსტებში, ლექსებსა და სიმღერებში რითმული ფრაზებისა და სიტყვების გამოცალკევება.

აქტივობები სიმღერების, ლექსების, გათვლების, გალექსილი გამოცანებისა და მისარითმების გამოყენებით

- მოიმარაგეთ მარტივი, სახალისო ლექსები და სიმღერები, რომლებიც შეიცავს ადვილად ამოსაცნობ, მკაფიო რითმებს. მაგალითად, სიმღერა „კრიჭი-კრიჭი“ (იხ. ბმული: https://www.youtube.com/watch?v=fO-AfuhEM3Q).
- ასწავლეთ ბავშვებს ზეპირად სახალისო ლექსებისა და სიმღერების ტექსტები.

- შეასრულეთ სხვადასხვა სახალისო აქტივობა/თამაში მათი გამოყენებით:
    - წაუკითხეთ საბავშვო ლექსები, რომლებშიც არის მკაფიოდ გამოხატული რითმა, რამდენჯერმე წაკითხვის შემდეგ შეჩერდით სარითმო სიტყვებთან და მიეცით მოსწავლეებს შესაძლებლობა, თავად დააბოლოვონ ფრაზა;
    - წაუკითხეთ სიმღერის ტექსტი ხმამაღლა, მკაფიოდ, ოდნავ ხმას აუწიეთ და გამოკვეთეთ სარითმო სიტყვები, შემდეგ მოასმენინეთ სიმღერა იმავე ტექსტზე.

ნიმუშები:

www.children.gol.ge („მე პატარა ქართველი ვარ“, რუბრიკა „სახალისო“);

http://www.aura.ge/27-saxaliso-matematika/4399-sabavshvo-gamocanebi.html (Aura.ge, რუბრიკა „ბავშვთა სამყარო“);

http://kids.ge/riddles (kids.ge – ყველაფერი პატარებისთვის და პატარების შესახებ, რუბრიკა „ლექსები, გამოცანები, ანდაზები“);

http://ven.ucoz.com/load/musik-39-anot-39-ebi/sabavshvo_simgherebi/kartuli_sabavshvo_simgherebis_t_39_ekst_39_ebi_da_video_k_39_araok_39_e_nats_39_ili_1/8-1-0-67 (Ven – მუსიკა/ნოტები/ვიდეო/კარაოკე).

ყუთში იყო ...

აქტივობის შესახებ

თამაში გამოიყენება მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს გარკვეული წარმოდგენა შეექმნებათ რითმისა და გარითმვის შესახებ. ამისათვის კი საჭიროა, რომ მასწავლებელს უკვე წაკითხული ჰქონდეს მათთვის ლექსები და საბავშვო სიმღერების ტექსტები.

რესურსი: მცირე ზომის სურათიანი ბარათები.

აქტივობის მსვლელობა

- მასწავლებელი უჩვენებს ბავშვებს სურათებიან ბარათებს.
- სთხოვს მოსწავლეებს, იპოვონ წყვილები, რომლებიც ერთმანეთს ერითმება. მაგ.: ხელი – ბელი, გული – ცული, ნალი – ბალი.
- მასწავლებელი ჩააწყობს სურათების ერთ დასტას ერთ ყუთში. ყველა დანარჩენ სურათს, რომლებიც პირველ ყუთში მოთავსებულ სიტყვებს გაერითმა, ჩააწყობს მეორე ყუთში.
- მასწავლებელი სთხოვს თითო ბავშვს, ამოიღოს ერთი სურათი პირველი ყუთიდან, მეორე კი – მეორედან და ეკითხება, ერითმება თუ არა ეს ორი სიტყვა ერთმანეთს.
- თუ არ ერითმება, მოსწავლე აგრძელებს თითო სურათის ამოღებას მეორე ყუთიდან მანამ, სანამ შესაფერის სურათს არ ამოიღებს.
- შემდეგ მასწავლებელი ჩააბრუნებს ბარათებს ყუთებში და თამაშს სხვა მოსწავლე აგრძელებს.

ვარიაცია

- მასწავლებელი ამოიღებს ყუთიდან ერთ ბარათს. თუ ბარათზე ბალია დახატული, ამბობს: „ყუთში იდო ბალი“. სიტყვა „ბალს“ გამოთქვამს გამოკვეთილად და შედარებით ხმამაღლა.

- შემდეგ სთხოვს ბავშვს, მოიფიქროს და წარმოთქვას სიტყვა, რომელიც ბარათზე გამოსახულ სიტყვას ერითმება. ბავშვმა შეიძლება თქვას: „ქალი“ (ან რომელიმე სხვა სიტყვა, მაგ., „ხალი“).

- როცა სიტყვას დაასახელებს, მასწავლებელი მას ყუთს გადასცემს და სთხოვს, ამოიღოს ერთი ბარათი (მაგ., „კუდი“). თამაშის გასაგრძელებლად ბავშვმა უნდა თქვას: „ყუთში იყო კუდი.“

შენიშვნა: ამ აქტივობის გამოყენება შესაძლებელია წერის სწავლებისთვისაც. მასწავლებელი დაფაზე დაწერს გარითმულ სიტყვებს და სთხოვს მოსწავლეებს, გადაწერონ; შემდეგ კი სთხოვს ბავშვებს, დამოუკიდებლად დაწერონ სარითმო სიტყვები.

რომელია ზედმეტი?

აქტივობის შესახებ

მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, სურათიან ბარათებზე გამოსახული საგნებიდან რომელი ერითმება ერთმანეთს და რომელი – არა.

რესურსი: მცირე ზომის სურათიანი ბარათები.

აქტივობის მსვლელობა

- მასწავლებელი უჩვენებს ბავშვებს სამ სურათიან ბარათს, რომლებზე გამოსახული საგნებიდანაც ორი ერთმანეთს ერითმება, ერთი კი – არა (მაგ., „თავი“, „ნავი“, „ხელი“). თუ აქტივობა მცირე ჯგუფში ტარდება, შესაძლებელია პატარა ბარათების გამოყენება, თუ მთელ კლასთან – სასურველია დიდი ბარათების დაფაზე ან კედელზე გაკვრა.

- მასწავლებელი ეუბნება ბავშვებს: „აქ მოცემულია სამი საგანი. ორი მათგანის დასახელება ერითმება ერთმანეთს, ერთი არ ერითმება. რომელი სიტყვა არ ერითმება სხვა სიტყვებს?“

შენიშვნა: ამ აქტივობის გამოყენება შესაძლებელია საანბანო პერიოდშიც. სურათებიანი ბარათების ნაცვლად შესაძლებელია სიტყვის ბარათების გამოყენება.

წავიკითხოთ რითმები

აქტივობის შესახებ

მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს საბავშვო ლექსს, ყურადღებას ამახვილებინებს სარითმო სიტყვებსა და მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებზე.

რესურსი: საბავშვო სახალისო ლექსები.

აქტივობის მსვლელობა

- მასწავლებელი შეარჩევს საბავშვო ლექსს, რომელიც კარგად არის გარითმული.
- გამოყოფს გარითმულ სიტყვებს (მაგ., „ძვალი“ და „მსხალი“).
- ესაუბრება ბავშვებს იმაზე, თუ როგორ ერითმება ეს სიტყვები ერთმანეთს, რა მსგავსებაა მათ შორის; აღნიშნავს, რომ ამ სიტყვების დაბოლოება ერთნაირად ჟღერს. მართალია, სხვადასხვანაირად იწყება, მაგრამ ერთნაირად მთავრდება.

- მასწავლებელი წარმოთქვამს ლექსებს იმგვარად, რომ გასარითმ სიტყვებს გამოტოვებს. სთხოვს ბავშვებს, ჩასვან (წარმოთქვან) გამოტოვებული სიტყვები.

„ბუდან-გუდან“

აქტივობის შესახებ

ბავშვები გაივარჯიშებენ გარითმვაში ლექსის/სიმღერის მარტივი ქარგის გამოყენებით.

რესურსი: სპეციალური რესურსი საჭირო არ არის.

მსვლელობა

- მასწავლებელი უმღერის ბავშვებს სიმღერას ქვემოთ მოცემული ქარგის მიხედვით. სტრიქონების გასარითმად იყენებს ბავშვების სახელებს. პირველი სტრიქონის ბოლო სიტყვა არის ბავშვის სახელი, რომელშიც შეცვლილია პირველი ასო-ბგერა.

მაგ.:

ბუდან-გუდან **წ**იორგი,
დათვს გაექცა გიორგი.

ბუდან-გუდან **წ**იკა,
დათვთან მიდის ნიკა.

ბუდან-გუდან **წ**აშო,
დათვს უმღერის მაშო.

ბუდან-გუდან **წ**ინო,
დათვს უღიმის ნინო.[1]

შენიშვნა: როცა ბავშვები ქარგას გაითავისებენ, შეუძლიათ, მსგავსი რითმები თავადაც შეთხზან სხვა სიტყვებისა და სახელების გამოყენებით.

ციყვი ხეზე

აქტივობის შესახებ

თამაშისთვის საჭიროა იმდენი სურათიანი ბარათი, რამდენი მონაწილეცაა. ერთ ბარათზე მელაა გამოსახული. დანარჩენი ბარათები რითმულად უნდა წყვილდებოდეს. თამაში შეიძლება შესრულდეს შენობაში (საკლასო ოთახში ან დარბაზში) ან გარეთ.

რესურსი: სურათიანი ბარათები.

მსვლელობა

- მასწავლებელი წინასწარ მოამზადებს სურათიანი ბარათების ორ დასტას. პირველ დასტაში ჩასმული თითოეული სიტყვა უნდა ერითმებოდეს მეორე დასტის მხოლოდ ერთ სიტყვას (ხელი-ბელი, თავი-ნავი, გული-ცული...).
- მასწავლებელი ეუბნება ბავშვებს, რომ ისინი ითამაშებენ „ციყვობანას“.
- ერთ-ერთ მოსწავლეს მიენიჭება მელიის როლი. მელიის მიზანია, რომ დაიჭიროს ციყვები, რომლებიც თავიანთ ხეებზე არ არიან.

[1] შესაძლებელია ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელმა ყველა სტროფში გამოიყენოს მხოლოდ ფორმა „დათვთან მიდის...“

- მასწავლებელი დანარჩენ ბავშვებს დაყოფს ორ ჯგუფად. ერთი ჯგუფის ბავშვები ხეები იქნებიან, მეორე ჯგუფის ბავშვები – ციყვები.
- მასწავლებელი დაურიგებს „ციყვებს“ თითო სურათიან ბარათს პირველი დასტიდან, ხოლო „ხეებს“ – მეორე დასტიდან.
- „ხეები“ ოთახის/მოედნის სხვადასხვა ადგილას დადგებიან. ისინი არ მოძრაობენ და თავიანთ ბარათებს იმგვარად დაიჭერენ, რომ ყველა ხედავდეს.

შენიშვნა: შესაძლებელია, რომ „ხეებმა“ თავიანთი სიტყვები ხმამაღლა წარმოთქვან, რათა ციყვებმა გაიგონონ.

- „ციყვებმა“ უნდა იპოვონ მეწყვილეები, ანუ ყველა ციყვი ეძებს იმ ხეს, რომლის სიტყვაც მისას ერითმება.
- თამაშის დასაწყებად მასწავლებელი ამბობს: „აი, მელა მოდის. ადით თქვენს ხეებზე!“ ციყვები ეძებენ თავიანთ ხეებს. მელა ცდილობს, დაიჭიროს ციყვი, რომელიც „ხეზე არ არის“ ან ციყვი, რომელიც „შეცდომით არის ხეზე“. ვისაც დაიჭერს, მომდევნო თამაშში მელაც ის იქნება. „ხეები“ როლებს გაუცვლიან „ციყვებს“ და თამაში თავიდან იწყება.

ვარიაციები: შესაძლებელია ბავშვები დაწყვილდნენ ხვა რომელიმე პრინციპის მიხედვით: ა) სიტყვებში მარცვლების რაოდენობა (ხე-ბუ, კუ-ცა, ხელი-კარი, მაგიდა-კარადა...), ბ) პირველი ბგერის მიხედვით (მაგიდა-მაიმუნი, ნემსი-ნიანგი...) და სხვ.

მარცვლები და დამარცვლა

სიტყვაში მარცვლების ამოცნობაზე მუშაობა მეტად მნიშვნელოვანია. მოსწავლეები იგებენ, რომ სიტყვები შეიძლება შემადგენელ ნაწილებად დაიშალოს. ჩვენი საბოლოო მიზანია, რომ ცალკეულ ბგერებად დაშლამდე მივიდეთ, მაგრამ ამისთვის ბავშვები ჯერ სიტყვის დაშლაში უნდა ვავარჯიშოთ. როგორც წესი, ბავშვებისთვის უფრო ადვილია, დანაწევრება სიტყვის უფრო მოზრდილი ნაწილებით დაიწყონ და შემდეგ გადავიდნენ მის უმცირეს ერთეულებზე ანუ ცალკეულ ბგერებზე.

ტაში სახელებზე

აქტივობის შესახებ

მოსწავლეები ტაშს დაუკრავენ თავისი სახელის თითოეულ მარცვალზე. ასევე, დათვლიან და დაასახელებენ მარცვლების რაოდენობას.

რესურსი: სპეციალური რესურსი საჭირო არ არის.

მსვლელობა

- თავდაპირველად მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს აქტივობის მოდელს – რამდენიმე სახელს ამბობს დამარცვლით და თითოეულ მარცვალზე უკრავს ტაშს.
- შემდეგ კი სთხოვს ბავშვებს, რომ მასთან ერთად შეასრულონ იგივე აქტივობა. მასწავლებელი სვამს შეკითხვას: „რამდენი მარცვალი გაიგონეთ?“
- მომდევნო ეტაპზე მასწავლებელი სთხოვს ყველა ბავშვს სათითაოდ, რომ დამარცვლითა და ტაშით წარმოთქვან საკუთარი სახელი, შემდეგ კი თქვან, რამდენი მარცვლისგან შედგება მათი სახელი.
- შემდეგ იგივე აქტივობა სრულდება გვარებით.
- მოგვიანებით კი ბავშვები გადადიან სხვა სიტყვების ტაშით დამარცვლაზეც.

ვარიაციები

- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ ტაშის აყოლებით დამარცვლონ თავიანთი სახელი და გვარი.
- სრულდება იგივე აქტივობა, ოღონდ ტაშის ნაცვლად მოსწავლეები თითებზე ითვლიან მარცვლებს.
- მასწავლებელი დაუკრავს ერთ, ორ ან რამდენიმე ტაშს (უხმოდ, მხოლოდ ტაშით „ამბობს“ ბავშვების სახელებს). ბავშვებმა უნდა გამოიცნონ, ვისი სახელი შეიძლება იყოს ეს (ამ აქტივობის გამოყენება ასევე კარგია დაწერილი სიტყვების გამოსაცნობად ამოკითხვის გარეშე).

ცუნცულა ციყვი

აქტივობის შესახებ

ეს მეტად სახალისო თამაშია. პირველ ეტაპზე ბავშვები ტაშის აყოლებით დამარცვლით წარმოთქვამენ საკუთარ სახელებს. როცა ამ თამაშს ალღოს აუღებენ, მასწავლებელს შეუძლია სხვა ისეთი სიტყვებიც ჩართოს თამაშში, რომლებსაც მეტი მარცვლები აქვს.

რესურსი: სათამაშო ციყვი ან ციყვის სურათი (ან ბავშვებისთვის სახალისო ნებისმიერი სხვა არსება. შესაბამისად, თამაშსაც შეეცვლება სახელი. მაგალითად, კრეჭია კურდღელი, თავხედი მელია, ღრენია მგელი... ასეთი ჩანაცვლება ლექსიკურ მარაგს გაამდიდრებს.).

მსვლელობა

- მასწავლებელი დასხამს ბავშვებს წრედ და თავადაც შეუერთდება მოსწავლეებს.
- დაიკავებს ხელში სათამაშო ციყვს ან ციყვის სურათს.
- მიდის ერთ-ერთ ბავშვთან და გზად წარმოთქვამს (ან წაიმღერებს) ფრაზას: „ვარ ცუნცუ-

ლა ციყვი, სახელს ხომ არ იტყვი?“ ან „ვარ პატარა ბელი, თქვი სახელი, გელი“.

- ბავშვი: „თა-მუ-ნა.“
- მასწავლებელი: „მოდი, ყველამ ერთად ვთქვათ“.
- კლასი ხმამაღლა ერთად წარმოთქვამს სახელს „თა-მუ-ნა“. თან ყოველ მარცვალზე ტაშს უკრავენ.
- მასწავლებელი: „მოდი, ახლა ყველამ ერთად ვთქვათ, ოღონდ ჩურჩულით“.
- კლასი გუნდურად, ჩურჩულით ამბობს სახელს, თან ხმადაბალ ტაშს უკრავენ თითოეულ მარცვალზე.
- მასწავლებელი და კლასი: „ცუნცულ, ბუნცულ, ვი, მადლობა, რომ თქვი.“
- მასწავლებელი ახლა სხვა მოსწავლესთან გადადის და გაიმეორებს იმავეს მის სახელზე.
- თამაშის ათვისებასთან ერთად შესაძლებელია, რომ მოსწავლეებს „მასწავლებლის“ როლის შესრულების შესაძლებლობა მიეცეთ.

„ია–იაო“

აქტივობის შესახებ

ეს არის აქტივობა, რომელიც მარცვლების მოსმენის, მარცვლებად დაშლისა და მარცვლების გადაბმის უნარებს უვითარებს ბავშვებს. აქტივობა აგებულია სიმღერის ქარგაზე: „ია-იაო“. აქტივობის ჩატარებამდე საჭიროა, რომ ბავშვებმა მოისმინონ და ისწავლონ ეს სიმღერა (იხ. ვებ-გვერდი: https://www.youtube.com/watch?v=aXeuGFDff9E).

რესურსი: ლეპტოპი/მაგნიტოფონი, ინტერნეტი/სიმღერის ჩანაწერი.

მსვლელობა

ვარიანტი 1. წარმოთქმული სიტყვების მარცვლებად დაშლა

- მასწავლებელი ეუბნება ბავშვებს, რომ ახალ თამაშს ისწავლიან.
- ჯერ თავად იწყებს სიმღერას „ია-იაო“. ცხოველების დასახელებისას დამარცვლავს მათ სახელებს (შესაძლებელია თითოეულ მარცვალზე ტაშის დაკვრაც):

„ერთად ვცხოვრობთ ძველ ფერმაში, ია, იაო.
ღორი, ცხვარი და კამეჩი, ია, იაო;
კნავის კატა, კატა... კა – ტა,
ჭყივის გოჭი, გოჭი... გო – ჭი;
ზმუის ძროხა, ძროხა... ძრო – ხა.
აბა ჩქარა, აბა ტაში, ია, იაო.
ვითამაშოთ ერთ დიდ სახლში ია, იაო.
ბღავის ცხვარი, ცხვარი... ცხვა – რი,
წივის ბატი, ბატი... ბა – ტი,
ყმუის ძაღლი, ძაღლი... ძაღ – ლი,
კნავის კატა, კატა... კა – ტა.
რაო? კატაო? არა ნიანგიო!
უი, ნიანგიო...

- სიმღერის დროს უჩვენებს ბავშვებს სიმღერაში შემოტანილი ცხოველების სურათებს (რომლებიც წინასწარ შეიძლება გააკრას დაფაზე). სიმღერის დასრულების შემდეგ ისაუბრეთ ამ ცხოველების შესახებ.

ვარიანტი 2. მარცვლების გადაბმა

- მასწავლებელი სიმღერაში შეცვლის ერთ ან რამდენიმე ცხოველს და წარმოთქვამს მათ სახელებს დამარცვლით.

ნიმუში:

ერთად ვცხოვრობთ ძველ ფერმაში, ია, იაო.
ღორი, ცხვარი და კამეჩი, ია, იაო;
კნავის **ლომი** (მასწავლებელი), **ლომი** (ბავშვები), **ლო-მი** (ბავშვები),
ჭყივის **მგელი** (მასწავლებელი), **მგელი** (ბავშვები), **მგე-ლი** (ბავშვები);
ზმუის **დათვი** (მასწავლებელი), **დათვი** (ბავშვები), **დათ-ვი** (ბავშვები)...

- სიმღერის დასრულების შემდეგ მასწავლებელი უჩვენებს ბავშვებს ტექსტში ჩამატებული ცხოველების სურათებს და კლასთან ერთად საუბრობს ამ ცხოველების შესახებ.

მარცვლებად დაჭრილი ბარათები

აქტივობის შესახებ

მოსწავლეები ცდილობენ გამოიცნონ სიტყვის შემადგენელი მარცვლები ზოლებად დანაწევრებული სურათის მიხედვით, რომლის თითოეული ზოლი თითო მარცვალს შეესაბამება. სავარჯიშო ეხმარება ბავშვებს, სწორად დაშალონ სიტყვები მარცვლებად.

რესურსი: ვერტიკალური ხაზებით დაყოფილი სურათიანი ბარათები.

მსვლელობა

- მასწავლებელი უჩვენებს ბავშვს სურათს რაიმე გამოსახულებით (მაგ., სოკო)
- ხმამაღლა დაუმარცვლავს ამ სიტყვას („სო-კო“).
- მასთან ერთად დამარცვლავს სხვა სიტყვას (მაგ., „ხელი“).
- მისცემს მოსწავლეს სურათიან ბარათს, რომელზეც გამოსახულება იმდენ ნაწილად არის დაყოფილი ვერტიკალური ხაზებით, რამდენი მარცვლისგანაც შედგება ეს სიტყვა (ამგვარი ბარათის თითოეული ზოლი სიტყვის თითო მარცვალს შეესაბამება).
- განუმარტავს, რომ ნახატი იმდენ ნაწილად არის დაყოფილი, რამდენი მარცვალიცაა სიტყვაში და რომ ეს დაეხმარება სწორად დამარცვლაში. თავადაც უკეთებს მოდელირებას ერთ ნიმუშზე (შეიძლება „მარცვლებზე“ თითის დადებაც).
- ბავშვები ამოიცნობენ მასწავლებლის მიერ მინიშნებულ ცალკეულ მარცვლებს ან მარცვალ-მარცვალ წარმოთქვამენ სურათზე გამოსახულ სიტყვებს.
- შემდეგ გადადიან სხვა სურათზე.

შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სავარჯიშოს ერთად შესრულება.

- მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს დაჭრილ სურათებს და სთხოვს, თვითონ დამარცვლონ.
- მასწავლებელი თანდათანობით გაართულებს სიტყვებს (გაზრდის მარცვლებისა და ბგერების რაოდენობას).

ვარიაცია

მასწავლებელი სურათზე ჩამოსმულ ვერტიკალურ ხაზებზე ნახევრად ჩაჭრის ბარათს, აკეცავს ბარათის ამა თუ იმ ზოლს და ჰკითხავს ბავშვებს, თუ რომელი მარცვალია „აკეცილი“.

შენიშვნა: შესაძლებელია ამავე აქტივობის ჩატარება ბგერებად დაშლილ სიტყვებზე სავარჯიშოდაც (იხ. ქვემოთ აქტივობა №20).



„სულელური“ წინადადებები

აქტივობის შესახებ

მოსალოდნელსა და რეალურად გაგონილს შორის განსხვავების ამოცნობის მეშვეობით მოსწავლეებს უვითარდებათ ყურადღებით მოსმენისა და დაკვირვების უნარი. თამაშის დროს მოსწავლეები ცდილობენ ამოიცნონ, რა შეცდომას შეიცავს მასწავლებლის მიერ ნათქვამი ფრაზა/წინადადება. თამაში ძალიან სახალისოა და ეფექტურად გამოიყენება როგორც სიტყვებისა და წინადადებების სწორად გაგების გასავარჯიშებლად, აგრეთვე, ფონოლოგიური უნარ-ჩვევების გასავითარებლადაც.

რესურსი: ნაცნობი მოთხრობიდან ან ლექსიდან აღებული წინადადებების/ფრაზების სახეცვლილი ვარიანტი.

მსვლელობა

- მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, დახუჭონ თვალები და ყურადღებით მოუსმინონ მას.
- ხმამაღლა უკითხავს ნაცნობ მოთხრობას ან ლექსს, ოღონდ ალაგ-ალაგ ზოგიერთ სიტყვას ისე შეცვლის, რომ უაზრო ან შინაარსობრივად არასწორი ფრაზა გამოვიდეს. მოსწავლეებმა უნდა შენიშნონ ასეთი ცვლილებები და გამოეხმაურონ.
- როცა შენიშნავენ და გამოეხმაურებიან, მასწავლებელი სთხოვს განმარტონ, თუ რა იყო არასწორი.
- ქვემოთ მოცემული მაგალითების მსგავსად, მასწავლებელს შეუძლია ტექსტში სხვადასხვა ტიპისა და სირთულის ცვლილებები შეიტანოს, მაგ., შეცვალოს ცალკეული ბგერები, სიტყვები, გრამატიკული ფორმები, მნიშვნელობები და სხვ. თავდაპირველად მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებები შედარებით თვალსაჩინო და ადვილად ამოცნობადი იყოს.

მაგალითები:

1. ყვითელქუდამ ბებიას ნაზუქები მიუტანა.
2. შუშისფერმა მგელმა სტაფილო შეახრამუნა.

3. სპილოს აქვს უზარმაზარი ფრთები.
4. კვირას სკოლაში ექვსი გაკვეთილი გვქონდა.
5. წითელქუდამ ურდული გადასწია და სახლში შევიდა. ამ დროს ტყეში მგელი შეხვდა.
6. წითელქუდა სკამში შევიდა და ოთახზე დასკუპდა.
7. დაღამდა. მზეზე ცამ გამოანათა.
8. აგურის მგელმა დაანგრია ნაფნაფის ვერ სახლი.
9. ბებო ჭურჭელს კარატეში ინახავს.
10. გიორგი ღონიერი კიჭია.
11. მინდორში უამრავი ყვავი იყო გაშლილი.

შენიშვნა: შესაძლებელია მასწავლებელმა მოიფიქროს: ა) შედარებით მარტივი მაგალითები: „კლასში დგას ორი მაგიდა“, „კედელზე არის მერხი“; ბ) მაგალითები მოსწავლეების მიერ წინა გაკვეთილებზე ათვისებული მასალის მიხედვით: „მალვინა არის ბიჭი“; „ძროხას აქვს ორი თავი.“

პირველი ბგერის ამოცნობა

პირველი ბგერის ამოცნობის სწავლებას რამდენიმე დანიშნულება აქვს. გაბმული მეტყველების მოსმენის დროს პირველი ბგერა სიტყვების ერთმანეთისგან გამიჯვნაში გვეხმარება. რაც შეეხება კითხვის პროცესს, პირველი ასო-ბგერის იდენტიფიცირება სიტყვის წაკითხვაშიც (ამოცნობაშიც) გვიწყობს ხელს და მნიშვნელობის გაგებაშიც.

ნივთების პოვნა

აქტივობის შესახებ

მოსწავლეები ეუფლებიან პირველი ბგერის ამოცნობის უნარს.

რესურსი: წინასწარ დამზადებული სურათიანი ბარათები

აქტივობის მსვლელობა

- მასწავლებელი დააწყობს რამდენიმე სურათიან ბარათს მაგიდაზე.
- სთხოვს მოსწავლეებს, რომ იპოვონ ისეთი ბარათები, რომელთა შესაბამისი სიტყვებიც კონკრეტულ ბგერაზე იწყება.
- ყოველ ჯერზე, როცა მოსწავლე იპოვის ბარათს, მან უნდა წარმოთქვას მთელი სიტყვა და მისი პირველი ბგერა.

ვარიაციები

- მასწავლებელი თანაბარი რაოდენობით შეარჩევს ბარათებს ორ ბგერაზე დაწყებული სიტყვებით (მაგ., „გ“ და „დ“). დადებს ერთი ბგერის შესაბამის ბარათს მაგიდის ერთ მხარეს, მეორე ბგერისას კი – მეორე მხარეს (შესაძლებელია ამ აქტივობის დაფაზე ჩატარებაც დიდი ბარათებით). მოსწავლეები დანარჩენი, შერჩეული ბარათების დასტიდან აიღებენ ბარათს, წარმოთქვამენ მთლიან სიტყვას, შემდეგ წარმოთქვამენ ამ სიტყვის პირველ ბგერას და დადებენ ბარათს მაგიდაზე შესაბამის ბარათთან (ან ბარათზე). მასწავლებელს შეუძლია თანდათანობით გაზარდოს შერჩეული პირველი ბგერებისა და ბარათების რაოდენობა.

სიტყვების წყვილები (ბგერის ამოგდება)

აქტივობის შესახებ

ეს აქტივობა ეხმარება ბავშვს იმის გაცნობიერებაში, რომ სიტყვის ბგერითი შედგენილობის მცირე ცვლილებაც კი შეიძლება მისი მნიშვნელობის ცვლილებას იწვევდეს. ბავშვები დარწმუნდებიან, რომ პირველი ბგერის სიტყვიდან ამოღებით შეიძლება სრულიად განსხვავებული სიტყვა მივიღოთ.

რესურსი: სპეციალური რესურსი საჭირო არ არის.

მსვლელობა

- მასწავლებელი განუმარტავს ბავშვებს, რომ ზოგჯერ, როცა სიტყვიდან ბგერას ამოვიღებთ, სულ სხვა სიტყვას ვიღებთ.
- შემდეგ მოიყვანს მაგალითს: „სია“. წარმოთქვამს ამ სიტყვას ისე, რომ პირველი თანხმოვანი გაწელოს – „სსსს-ია“ და სთხოვს ბავშვებს, მასთან ერთად გაიმეორონ.
- შემდეგ ამბობს სხვა სიტყვას: „ია“ და კვლავ სთხოვს ბავშვებს, გაიმეორონ.
- ეკითხება, თუ რომელი ბგერა ამოიღო პირველი სიტყვიდან.
- მკაფიოდ გაიმეორებს რამდენიმეჯერ: „სსსს-ია – ია“, „სსსს-ია – ია“.

შენიშვნა: მასწავლებელმა ამგვარ სიტყვებზე ხშირად უნდა ავარჯიშოს ბავშვები. სასურველია ჯერ დაიწყოს მარტივი ბგერებით, ნელ-ნელა კი გადავიდეს შედარებით რთულ თანხმოვნებზე (შავი-ავი, შველი-ველი, სველი-ველი, ცომი-ომი, ლომი-ომი, ცხელი-ხელი, ჩუმი-უმი, ჩადის-ადის, შორი-ორი, ხალი-ალი).

მოსწავლეებს უადვილდებათ სიტყვებში „ჩამალული“ სიტყვების პოვნა, მაგრამ ზოგიერთ ბავშვს შეიძლება გაუჭირდეს ამოღებული ბგერის ამოცნობა. გასათვალისწინებელია, რომ ხშირად ბავშვები პირველი ბგერის ჩამოშორების ნაცვლად გარითმულ სიტყვებს გამოთქვამენ ხოლმე (მაგ., შავი-თავი). ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს ეს აქტივობა გარითმვის სავარჯიშოებში არ აერიოთ.

ვარიაციები

- იმის ხაზგასასმელად, რომ თავდაპირველი და მიღებული სიტყვების მნიშვნელობები ნამდვილად განსხვავდება, შესაძლებელია მასწავლებელმა დაავალოს ბავშვებს ამ სიტყვებზე წინადადებების შედგენა.
- მასწავლებელი მოსწავლის სახელს წინ დაამატებს ერთ ბგერას/მარცვალს. ბავშვებმა უნდა გამოიცნონ, რომელი მოსწავლის სახელი წარმოთქვა მასწავლებელმა. მაგ., ჯარჩილი – არჩილი, ბაგიორგი – გიორგი...
- მასწავლებელი ხმამაღლა წარმოთქვამს ბავშვების სახელებს პირველი ბგერის გარეშე ბავშვებმა უნდა გამოიცნონ, ვისი სახელი წარმოითქვა და რომელი ბგერა იყო გამოტოვებული. მაგ., ოჩა – გოჩა.

ბგერების გადაბმა

ბგერების გადაბმის უნარი ერთ-ერთი აუცილებელი საყრდენია კითხვისა და წერის სწავლისას. ამ უნარის გამოყენებით ბავშვი ცნობს სიტყვას მისი შემადგენელი ცალკეული ბგერების წარმოთქმის შემდეგ. ბგერების გადაბმის სავარჯიშოები შეამზადებს ბავშვს წაკითხული სიტყვების დეკოდირებისა და გაწაფული კითხვისათვის, ამიტომ როგორც წინასაანბანო, ასევე საანბანო პერიოდში მასწავლებელმა სათანადო დრო და ყურადღება უნდა დაუთმოს მის განსავითარებელ აქტივობებს.

კვირიას უცნაური ლაპარაკი

აქტივობის შესახებ

მოსწავლეები გაივარჯიშებენ ცალკეული ბგერების გადაბმისა და მათგან სიტყვის აგების უნარს.

რესურსი: სურათიანი ბარათები.

მსვლელობა

- ბავშვები მასწავლებელთან ერთად სხდებიან წრედ. მასწავლებელი ყვება ამბავს:

ერთხელ ქვეყანაზე ერთი ღვთაება ცხოვრობდა. მას კვირია ერქვა. მას ადამიანებისთვის სიტყვების ჩუქება უყვარდა. კვირია ძალიან უცნაურად ლაპარაკობდა. ის ცალკეულ ბგერებს წარმოთქვამდა. მაგალითად, თუ უნდოდა, რომ ბავშვისთვის სიტყვა „ბურთი“ ეჩუქებინა, ასე ეუბნებოდა: „ბ – უ – რ – თ – ი“. სანამ ბავშვი ვერ მიხვდებოდა, რა სიტყვა უთხრა, სიტყვას არ აძლევდა. თუ ბავშვი მიუხვდებოდა, კვირია ბედნიერი იყო. ახლა მე გავითამაშებ, ვითომ კვირია ვარ. მე ერთ-ერთ თქვენგანს ვეტყვი სიტყვას ბგერა-ბგერა, თქვენ კი უნდა გამოიცნოთ, რა სიტყვას გაჩუქებთ.

- მასწავლებელი შეარჩევს ერთ-ერთ ბავშვს და ეუბნება „საჩუქარ“ სიტყვას ბგერა-ბგერა. როცა ბავშვი გამოიცნობს, შეაქებს და სხვა ბავშვთან გადაინაცვლებს.

სასურველია აქტივობის დაწყება მოკლე, სამ- ან ოთხბგერიანი სიტყვებით. თითო ჯერზე (დღეში) შესაძლებელია ჩაერთოს ოთხი-ხუთი ბავშვი, რომ აქტივობა დროში არ გაიწელოს (მაგ., „ბალი“, „ყველი“, „ქადა“, „ბურთი“...).

შენიშვნა: შესაძლებელია პერსონაჟების ცვლა. მაგალითები: ოჩოპინტრე (რომელიც მხოლოდ მარცვლებად დანაწევრებულ სიტყვებს წარმოთქვამს, მაგ., შო-კო-ლა-დი), ჯუჯიკა (რომელიც არეულად წარმოთქვამს მარცვლებს, მაგ., კო-ლა-დი-შო) და სხვ.

ვარიაცია

1. მასწავლებელი ყველა ბავშვს ურიგებს ერთ, ორ ან სამ ცალ „საიდუმლო“ სურათიან ბარათს, რომლებსაც მოსწავლეები მხოლოდ თვითონ ნახულობენ. თითოეულმა ბავშვმა ბგერა-ბგერა უნდა დაშალოს ბარათზე გამოსახული სიტყვა და უთხრას კლასს. დანარჩენმა მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, რა სიტყვა „აჩუქა“ კვირიამ მოსწავლეს.

შენიშვნა: ამ შემთხვევაში მოსწავლეები პირიქით ასრულებენ მოქმედებას: მათ მოუწევთ ნახატზე გამოსახული საგნის სახელის, ანუ მთლიანი სიტყვის ბგერებად დაშლა.

2. წერა-კითხვის ფაზაზე გადასვლისას შეიძლება ამ აქტივობის კიდევ რამდენიმე ვარიაციის შეტანა საკლასო ოთახში: ა) უკუღმა ამოტრიალებული ბარათი, რომელზეც დაწერილია სიტყვა. ბავშვმა უნდა ამოიკითხოს, რა სიტყვა წერია ბარათზე; ბ) ბარათი, რომელზეც სიტყვა შებრუნებულადაა დაწერილი (მაგ., ი ლ შ ა ვ). მოსწავლემ უნდა გამოიცნოს, რა სიტყვა წერია ბარათზე.

ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებისთვის

არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის საჭიროა ტექსტის გამარტივება: „კვირია ბავშვებს აძლევს საჩუქრებს. საჩუქარს ასე ამბობს: ბ-უ-რ-თ-ი, თ-ო-ჯ-ი-ნ-ა. ვინც სწორად იტყვის, ის მიიღებს საჩუქარს.“ თუ ზოგიერთი მოსწავლე ვერ გაიგებს, რა უნდა გააკეთოს, მიეცით დრო, რომ სხვებს დააკვირდეს და მოგვიანებით ჩაერთოს თამაშში.

ბგერებად დაჭრილი ნახატები



აქტივობის შესახებ

მოსწავლეები ცდილობენ გამოიცნონ სიტყვის შემადგენელი ბგერები ზოლებად დანაწევრებული სურათის მიხედვით, რომლის თითოეული ზოლი თითო ბგერას შეესაბამება (იხ. სურათი). სავარჯიშო ეხმარება ბავშვებს სიტყვების ბგერებად სწორად დაშლაში.

რესურსი: ვერტიკალური ხაზებით დაყოფილი სურათიანი ბარათები.

მსვლელობა

- მასწავლებელი უჩვენებს ბავშვს სურათს რაიმე გამოსახულებით (მაგ. სოკო)
- ხმამაღლა დაუშლის ბგერებად ამ სიტყვას (ს-ო-კ-ო).
- მასთან ერთად დაშლის ბგერებად სხვა სიტყვას (მაგ. „ხელი“).
- მისცემს მოსწავლეს სურათიან ბარათს, რომელზეც გამოსახულება იმდენ ნაწილად არის დაყოფილი ვერტიკალური ხაზებით, რამდენი ბგერისგანაც შედგება იგი (ამგვარი ბარათის თითოეული ზოლი სიტყვის თითო ბგერას შეესაბამება).
- განუმარტავს, რომ ნახატი იმდენ ნაწილად არის დაყოფილი, რამდენი ბგერაცაა სიტყვაში და რომ ეს დაეხმარება ბგერებად სწორად დაშლაში. თავადაც უკეთებს მოდელირებას ერთ ნიმუშზე (შეიძლება „ბგერებზე“ თითის დადებაც).
- ბავშვები ამოიცნობენ მასწავლებლის მიერ მინიშნებულ ცალკეულ ბგერებს ან ბგერა-ბგერა წარმოთქვამენ სურათზე გამოსახულ სიტყვებს.
- შემდეგ გადადიან სხვა სურათზე.
- შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სავარჯიშოს ერთად შესრულება.
- მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს დაჭრილ სურათებს და სთხოვს, თვითონ დაშალონ ბგერებად.
- მასწავლებელი თანდათანობით გაართულებს სიტყვებს (გაზრდის მარცვლებისა და ბგერების რაოდენობას).



ვარიაცია

მასწავლებელი სურათზე ჩამოსმულ ვერტიკალურ ხაზებზე ნახევრად ჩაჭრის ბარათს, აკეცავს ბარათის ამა თუ იმ ზოლს და ჰკითხავს ბავშვებს, თუ რომელი ბგერაა „აკეცილი“.

შენიშვნა: შესაძლებელია ამავე აქტივობის ჩატარება მარცვლებად დაშლილ სიტყვებზე სავარჯიშოდაც (იხ. ზემოთ აქტივობა №15).

გადავაბათ ბგერები

აქტივობის შესახებ

მოსწავლეები სურათიანი ბარათების მეშვეობით განივითარებენ ბგერების გადაბმის უნარს.

რესურსი: სურათიანი ბარათები.

თითოეული ბარათი შეიცავს სამ- და ოთხბგერიანი სიტყვების სურათებს. სურათის ქვეშ დახატულია იმდენი მცირე ზომის რკალი (◡), რამდენი ბგერაცაა სიტყვაში.

მსვლელობა

- მასწავლებელი გააცნობს ბავშვებს თითოეული ბარათის სიტყვას. „ბავშვებო, ჩვენ ახლა ვითამაშებთ ბგერების გადაბმას. მე გიჩვენებთ ბარათს.“ მასწავლებელი მიმდევრობით უჩვენებს ბარათებს და ასახელებს შესაბამის სიტყვებს.
- მასწავლებელი დაიკავებს ბარათების დასტას ისე, რომ ბავშვები ვერ ხედავდნენ სურათებს.
- მასწავლებელი ხმამაღლა, დანაწევრებულად, მკაფიოდ წარმოთქვამს სიტყვის ბგერებს პირველი ბარათიდან („თ – ა – ვ – ი“).
- ერთ-ერთი ბავშვი გადააბამს ბგერებს და დაასახელებს სიტყვას, რათა ამოიცნოს დაფარული სურათი.
- მასწავლებელი შემოაბრუნებს ბარათს და დაანახვებს ბავშვებს.

ვარიაცია: მასწავლებელი დაიკავებს ორ ბარათს რკალებით და უჩვენებს ბავშვს (ხოჭო და ჭიამაია). შემდეგ დანაწევრებით, ბგერა-ბგერა წარმოთქვამს ერთ-ერთი ბარათის სიტყვას (მაჩვენე „ხ – ო – ჭ – ო“). ბავშვი მიუთითებს სწორ ბარათს და გადაბმით, სრულად წარმოთქვამს მთელ სიტყვას.

შენიშვნა: თამაშის გასართულებლად მასწავლებელი შედარებით გრძელი პაუზებით წარმოთქვამს ბგერებს. მაგ., „გ --- უ --- ლ --- ი“.

ბგერებად დაშლის აქტივობები

სიტყვის ბგერებად დანაწევრების უნარის დაუფლება წიგნიერების განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია. ამ ფონოლოგიურ უნარ-ჩვევას განსაკუთრებული წვლილი შეაქვს წერის სწავლაში. სიტყვის დასაწერად ბავშვმა უნდა დაშალოს იგი შემადგენელ ბგერებად და შემდეგ შეარჩიოს თითოეული ბგერის შესაბამისი ასო.

თავი – მხრები – მუცელი – მუხლები

აქტივობის შესახებ

ეს სახალისო ფიზიკური აქტივობა ავითარებს სიტყვის ბგერებად დაშლის (ფონოლოგიურ) უნარ-ჩვევას. მოსწავლეები სიტყვის თითოეული ბგერის წარმოთქმისას თანმიმდევრულად იდებენ ხელებს თავზე, მხრებზე, მუცელსა და მუხლებზე.

რესურსი: ორ-, სამ- ან ოთხბგერიანი სიტყვები.

მსვლელობა

- მასწავლებელი ან მოსწავლე ხმამაღლა წარმოთქვამს ორ-, სამ- ან ოთხბგერიან სიტყვას.
- მოსწავლეები ბგერა-ბგერა წარმოთქვამენ სიტყვას და თან თითოეული ბგერის წარმოთქმისას თანმიმდევრულად იდებენ ხელებს თავზე, მხრებზე, მუცელსა და მუხლებზე.

მაგ., სამბგერიანი სიტყვა: **ჩაი**

ჩ – მოსწავლეები ხელებს იდებენ თავზე;

ა – მოსწავლეები ხელებს იდებენ მხრებზე;

ი – მოსწავლეები ხელებს იდებენ მუცელზე.

ვარიაცია

ამ აქტივობის გამოყენება შესაძლებელია სიტყვების დასამარცვლადაც.

ჩავიფიქრე სიტყვა

აქტივობის შესახებ

აქტივობა ხორციელდება მარტივი ქარგის გამოყენებით. მოსწავლეებმა უნდა გაამთლიანონ მასწავლებლის მიერ ნაკარნახევი, ბგერებად დაშლილი სიტყვა და გამოიცნონ, რა სიტყვა ჩაიფიქრა მასწავლებელმა.

რესურსი: სპეციალური რესურსი საჭირო არ არის.

მსვლელობა

- მასწავლებელი ან რომელიმე მოსწავლე წამღერებით ეუბნება ბავშვებს:

მე ჩავიფიქრე სიტყვა,

აბა, დამიგდეთ ყური,

სულ არის ხუთი ბგერა,

სულაც არ არის რთული:

ს – ა – ხ – ლ – ი

ბავშვებმა უნდა გაამთლიანონ მასწავლებლის/თანაკლასელის მიერ ნაკარნახევი ბგერები, გამოიცნონ, რა სიტყვაა ჩაფიქრებული და უპასუხონ:

თქვენ ჩაიფიქრეთ სიტყვა,

ჩვენ კი დაგიგდეთ ყური,

სულ არის ხუთი ბგერა,

სულაც არ არის რთული,

სახლი

შენიშვნა:

მასწავლებელმა ხშირად უნდა ცვალოს სიტყვები და თანდათანობით გაართულოს ისინი. აქტივობის დაწყება სასურველია ხშირი სამ- და ოთხბგერიანი სიტყვებით.

ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებისთვის

ტექსტის გამარტივებული ვერსია:

მე მოვიფიქრე სიტყვა (მასწავლებელი თითს დაიდებს საფეთქელზე.)

სულ არის ხუთი ბგერა. (გაშლილი ხელით აჩვენებს რაოდენობას.)

რომ გამოიცნო გინდა?

ეს სიტყვა არის – - – - – -.

„აკრძალული“ ბგერები

აქტივობის შესახებ

ეს თამაში ბავშვებს უვითარებს სიტყვაში ბგერების გამოკვეთის უნარს.

რესურსი: სურათიანი ბარათები.

მსვლელობა

- მასწავლებელი დაუსახელებს მოსწავლეებს „აკრძალულ“ ბგერას და ეუბნება, რომ ამ ბგერის გამოთქმა არ შეიძლება, „აკრძალულია“. თუ ეს ბგერა სიტყვაში შეგვხვდა, ის არ უნდა გამოვთქვათ. მაგ., „აკრძალული“ ბგერაა „ზ“.
- მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს თითო სურათიან ბარათს (ცხოველები, ნივთები...) და ეკითხება, რა არის მასზე გამოსახული. შეიძლება მინიშნებების მიცემაც (მაგ., „ეს ცხოველი ძალიან ჰგავს ცხენს“; „ეს არის დიდი მტაცებელი თევზი“...)
- მოსწავლე ცდილობს, წარმოთქვას სიტყვა „აკრძალული“ ბგერის გარეშე („ებრა“, „ვიგენი“...).

შენიშვნა: სასურველია, პირველ ეტაპზე აკრძალული ბგერა სიტყვაში პირველი იყოს, შემდეგ კი – სიტყვის სხვა ადგილებშიც.

ბგერები წრეში

აქტივობის შესახებ

მოსწავლეები მასწავლებლის მიერ ნაკარნახევ წინადადებას შლიან სიტყვებად, სიტყვებს კი – ბგერებად.

რესურსი: სპეციალური რესურსი საჭირო არ არის.

მსვლელობა

- მასწავლებელი მოსწავლეებს დასხამს წრედ.
- შემდეგ კარნახობს წინადადებას. სასურველია, წინადადებისა და სიტყვების სიგრძე არ იყოს ძალიან მოკლე ან ძალიან გრძელი. შეიძლება, წინადადება იყოს სასაცილო, სულელური (მაგ., კოღომ სპილო ჩაყლაპა.).
- ბავშვები პირველ ეტაპზე წინადადებას დაშლიან სიტყვებად.
- ამის მერე მოსწავლეებმა მთელი წინადადება ბგერა-ბგერა უნდა წარმოთქვან. ის მოსწავლეები, რომელთაც შეხვდებათ სიტყვების პირველი და ბოლო ბგერები, უნდა ადგნენ ფეხზე.

ფონოლოგიური უნარ-ჩვევების შემოწმება

ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განმავითარებელი შეფასება მოიცავს სკრინინგს, დიაგნოსტიკურ შეფასებას და პროგრესის მონიტორინგს. სკრინინგისა და დიაგნოსტიკური შეფასებისთვის ეფექტურად გამოიყენება სიტყვის ბგერებად დანაწევრების ტესტი. სასწავლო წლის მანძილზე პროგრესის მონიტორინგისთვის კარგია ზემოთ აღწერილი ძირითადი ფონოლოგიური სავარჯიშოებისა და ფონოლოგიური უნარ-ჩვევების შეფასების სქემის/რუბრიკის გამოყენება.

სიტყვის ფონემებად/ბგერებად დანაწევრების ტესტი

ტესტის დანიშნულება: ზეპირად წარმოთქმული სიტყვის ბგერებად დანაწევრებისა და გამოთქმის უნარის შემოწმება. ეს არის ფონოლოგიური უნარ-ჩვევების ფლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი (მაჩვენებელი).

ტესტის ტიპი: ინდივიდუალური, ზეპირი. არ ახლავს მოსწავლის ფურცელი.

ტესტის ჩატარების ვადები: ქართული ენა: პირველი კლასი. ქართული, როგორც მეორე ენა: პირველი, მეორე და მესამე კლასები. სასურველია სკრინინგის ჩატარება თითოეული სმესტრის დასაწყისში. დიაგნოსტიკური ტესტირება შეიძლება ჩატარდეს რამდენჯერმე სასწავლო წლის განმავლობაში. ზოგიერთი მოსწავლისთვის შესაძლებელია ტესტის ჩატარება მეორე კლასის დასაწყისშიც.

ტესტის ხანგრძლივობა: 60 წამი

ტესტის ჩასატარებლად საჭირო რესურსი: ა) ტესტის ფურცელი შემფასებლისთვის/მასწავლებლისთვის, ბ) საათი ან წამზომი.

ტესტის ჩატარების პროცედურა: შემფასებელი (მასწავლებელი) მიმდევრობით კითხულობს მთლიან სიტყვებს ხმამაღლა სვეტიდან „მასწავლებელი ამბობს“. ამავე სვეტში ის ვერტიკალურ ხაზებს ჩამოუსვამს სიტყვაში იმ ასო-ბგერებს შორის, რომლებსაც მოსწავლე დანაწევრებისას

გამიჯნავს (მაგ. ნ|ა|ყ|ი|ნ|ი). ერთი წუთის გასვლის შემდეგ შემფასებელი მოსწავლის მიერ წარმოთქმული ბოლო მარცვლის შემდეგ ტესტის ფორმაზე დასვამს მართკუთხა ფრჩხილს (]). თუ მოსწავლე დანაწევრების გარეშე გამოთქვამს მთლიან სიტყვას, შემფასებელი შემოხაზავს ამ სიტყვას. თუ მოსწავლე არ გამოთქვამს რომელიმე ბგერას, შემფასებელი შემოხაზავს ამ ბგერას. თუ მოსწავლე გადააკეთებს ერთ ან რამდენიმე ბგერას ან შეცვლის სიტყვას, შემფასებელი ჩაწერს გამოთქმულ ვარიანტს სვეტში „შენიშვნა“.

შემფასებლის მითითებები მოსწავლეს. „ახლა მე და შენ უნდა ვითამაშოთ სიტყვებით. ჯერ კარგად მოისმინე სიტყვა, რომელსაც მე გეტყვი. შემდეგ სათითაოდ თქვი ყველა ბგერა, რომელსაც გაიგონებ. მაგალითად, თუ მე ვიტყვი: **კარი,** შენ უნდა თქვა ასე: **კ / ა / რ / ი**. მოდი, ერთად ვცადოთ სხვა სიტყვა: **სკოლა**. შემფასებელმა და მოსწავლემ ერთობლივად უნდა თქვან: **ს / კ / ო / ლ / ა**. ახლა შენ სცადე კიდევ ერთი სიტყვა: **ჩიტი**. მოსწავლემ უნდა თქვას: **ჩ / ი / ტ / ი**. გასაგებია, რა უნდა გააკეთო? აბა დავიწყოთ!“ ტესტირების დასრულების შემდეგ შემფასებელი ამბობს: „ყოჩაღ, დიდი მადლობა“.

ქულების მინიჭება

- თუ მოსწავლე ერთდროულად ერთზე მეტ ფონემას წარმოთქვამს, მიანიჭეთ მხოლოდ 1 ქულა. მაგალითად: ბ|ა|ნ|ა|ნი. აქ მოსწავლემ შეცდომა დაუშვა. მან არ დაანაწევრა ბოლო ორი ფონემა (ნ და ი).

- მოსწავლეს **არ აკლდება ქულები** დამატებითი ფონემების წარმოთქმისათვის.

- თუ მოსწავლე არასწორად წარმოთქვამს ფონემას/ფონემებს, მონიშნეთ შეცდომა თქვენს ფურცელზე. მაგალითი: ფარი. მოსწავლემ თქვა /ბ/ა/რ/ი/. ამ შემთხვევაში მოსწავლე მიიღებს სამ ქულას. შემფასებელი შენიშვნების გრაფაში ჩაწერს შეცდომით გამოთქმულ სიტყვას.

ტესტის დასრულებისთანავე (სანამ მომდევნო მოსწავლესთან დაიწყებთ ტესტის ჩატარებას) დააჯამეთ ქულები და ჩაწერეთ ცხრილის ქვემოთ.

ნიმუში: I კლასი

სიტყვის ბგერებად დანაწევრების ტესტი

მასწავლებლის ფურცელი

მოსწავლე: კლასი:

მასწავლებელი: თარიღი:

№	მასწავლებელი ამბობს	შენიშვნა
1	ი ქ	
2	დ ა	
3	ვ ა რ	
4	გ უ ლ ი	
5	უ ფ რ ო	
6	ტ ბ ა	
7	მ ი წ ა	
8	წ რ ე	
9	ყ ე ფ ს	
10	ჯ ა რ ი	
11	ო ჯ ა ხ ი	
12	გ უ შ ი ნ	
13	ო რ მ ო	
14	პ ო ე ტ ი	
15	ე ტ ლ ი	
16	ჯ ო გ ი	
17	ზ ე მ ო თ	
18	ს პ ი ლ ო	
19	წ ი ნ დ ა	
20	ჩ ა ქ უ ჩ ი	

ჯამური ქულა: _____ 81-დან

#	მასწავლებელი ამბობს		შენიშვნა
1	დ ა	2	
2	ი ქ	2	
3	ვ ა რ	3	
4	უ ფ რ ო	4	
5	გ უ ლ ი	4	
6	წ რ ე	3	
7	მ ი წ ა	4	
8	ტ ბ ა	3	
9	ჯ ა რ ი	4	
10	ყ ფ ს	3	
11	ო ჯ ა ხ ი	4	
12	ო რ მ ო	4	
13	გ უ შ ი ნ	4	
14	პ ო ე ტ ი	5	

ფონოლოგიური უნარ-ჩვევების შეფასების რუბრიკა

დაბალი	საშუალო	მაღალი
– არ შეუძლია სიტყვის მარცვლებად დაყოფა და გაერთიანება; – ვერ ითვლის სიტყვაში მარცვალთა რაოდენობას; – მასწავლებლის ჩამოთვლილ სიტყვებში ან სურათებზე ვერ გამოარჩევს იმ სიტყვებს, რომლებიც შეიცავს წინასწარ მითითებულ ბგერას/ზეპირ მარცვალს; – არ შეუძლია მარცვლების რაოდენობის შესაბამისი რაოდენობის სიმბოლოთი წარმოდგენა; – არ შეუძლია სიტყვაში მითითებული მარცვლის ადგილმდებარეობის ამოცნობა (დასაწყისში, შუაში, ბოლოში) და ვერ მიუთითებს შესაბამის სიმბოლოს; – მოსმენილ წინადადებაში ვერ გამოყოფს სიტყვებს და არ შეუძლია მათი სიმბოლოთი აღნიშვნა; – არ შეუძლია სიტყვების ბგერებად დაშლა და გაერთიანება; – ერთმანეთისგან ვერ განარჩევს მსგავსი ჟღერადობის მარცვლებს/სიტყვებს; მითითებულ მარცვალში ვერ განსაზღვრავს ბგერის ადგილმდებარეობას (მარცვლის დასაწყისში, შუაში, ბოლოში).	– ადვილად ვერ ყოფს და აერთიანებს სიტყვებს მარცვლებად; – ადვილად ვერ ითვლის სიტყვაში მარცვალთა რაოდენობას; – მარტივად ვერ ახერხებს მასწავლებლის მიერ ჩამოთვლილი სიტყვებიდან ან სურათებზე იმ სიტყვების გამორჩევას, რომლებიც შეიცავს წინასწარ მითითებულ ბგერას/ზეპირ მარცვალს; – განსაზღვრავს სიტყვაში მარცვლების რაოდენობას, თუმცა ადვილად ვერ წარმოადგენს ამ რაოდენობას შესაბამისი სიმბოლოებით; – ზოგჯერ ვერ ახერხებს სიტყვაში მითითებული მარცვლის ადგილმდებარეობის ამოცნობას (დასაწყისში, შუაში, ბოლოში) და მისი შესაბამისი სიმბოლოს მითითებას/მონიშვნას; – მოსმენილ წინადადებაში გამოყოფს სიტყვებს, თუმცა ადვილად ვერ ახერხებს მათი რაოდენობის სიმბოლოებით აღნიშვნას (მაგ., წითელქუდა ბებიასთან წავიდა – სამი ხაზი: _____ _____ _____); – ნაწილობრივ ახერხებს სიტყვების ბგერებად დაშლასა და გაერთიანებას; – ხარვეზებით განარჩევს მსგავსი ჟღერადობის მარცვლებს/სიტყვებს ერთმანეთისგან; – ადვილად ვერ პოულობს სიტყვის სათანადო მარცვალში ბგერის ადგილმდებარეობას (მარცვლის დასაწყისში, შუაში, ბოლოში).	– სიტყვას ყოფს მარცვლებად, მარცვლებს აერთიანებს სიტყვებად; – ამოიცნობს და/ან ითვლის სიტყვაში მარცვალთა რაოდენობას; – მასწავლებლის მიერ ჩამოთვლილ სიტყვებში ან სურათებზე ამოიცნობს იმ სიტყვებს, რომლებიც შეიცავს წინასწარ მითითებულ ბგერას/ზეპირ მარცვალს; – მარცვლების რაოდენობას წარმოადგენს შესაბამისი რაოდენობის სიმბოლოთი (მაგ., ერთმარცვლიან სიტყვას ერთი რკალით ◡, ორმარცვლიანს – ორი რკალით ½◡ და ა. შ.); – ამოიცნობს სიტყვაში მითითებული მარცვლის ადგილმდებარეობას და მონიშნავს შესაბამის სიმბოლოს (მაგ., სამმარცვლიანი სიტყვის გამომხატველი სამი რკალიდან აფერადებს მითითებული მარცვლის შესაბამის რკალს); – მოსმენილ წინადადებაში გამოყოფს სიტყვებს და სიმბოლოებით აღნიშნავს მათ რაოდენობას (მაგ., წითელქუდა ბებიასთან წავიდა – სამი ხაზი: _____ _____ _____); – სიტყვებს შლის ბგერებად, ბგერებს აერთიანებს სიტყვებად; – განარჩევს მსგავსი ჟღერადობის მარცვლებს/სიტყვებს; – სიტყვის სათანადო მარცვალში პოულობს ბგერის ადგილმდებარეობას (მარცვლის დასაწყისში, შუაში, ბოლოში).

მეორე/უცხოური ენის მასწავლებლებისთვის

ქართულის, როგორც მეორე ენის შემსწავლელთა ფონოლოგიური უნარ-ჩვევების შესამოწმებლად ზემოთ ჩამოთვლილ ინდიკატორებს დაემატება შემდეგი:

– ვერ აღიქვამს და სწორად ვერ წარმოთქვამს მშობლიური ენისთვის უცხო ბგერებს; – ერთმანეთში ურევს თანხმოვანთა სამეულების ბგერებს (დ-ტ-თ, გ-კ-ქ და სხვ.).	– ადვილად ვერ ახერხებს მშობლიური ენისთვის უცხო ზოგიერთი ბგერის აღქმასა და წარმოთქმას; – ერთმანეთში ურევს თანხმოვანთა სამეულების ზოგიერთ ბგერას (დ-ტ-თ, გ-კ-ქ და სხვ.).	– სწორად აღიქვამს და წარმოთქვამს მშობლიური ენისთვის უცხო ბგერებს; – მკაფიოდ მიჯნავს (მოსმენისა და წარმოთქმისას) თანხმოვანთა სამეულების ბგერებს (დ-ტ-თ, გ-კ-ქ და სხვ.).

ანბანისა და სიტყვების წაკითხვის სწავლება

- *რა არის დეკოდირება და რა როლი აქვს მას გაწაფულად კითხვაში?*
- *როგორ ვითარდება სიტყვების წაკითხვის უნარი?*
- *რა სტრატეგიებს იყენებენ ბავშვები სიტყვების წაკითხვისას?*
- *რა არის ცნობადი სიტყვები და რატომ უნდა ვასწავლოთ ბავშვებს მათი ცნობა?*
- *როგორ ვასწავლოთ ანბანი და სიტყვების დეკოდირება?*
- *როგორ შევამოწმოთ ანბანის ცოდნა და სიტყვების დეკოდირების უნარი?*

ანბანისა და სიტყვების წაკითხვის სწავლების აქტივობების ცხრილი

მეთოდი / აქტივობა	რესურსი	გვერდი
ხუთი საბაზისო მეთოდი		
საჩვენებელი/სამოდელო კითხვა	მოსწავლეების ცოდნის შესაბამისი დონის მხატვრული ან საინფორმაციო ტექსტი	85
საჩვენებელი/სამოდელო წერა	დაფა და ცარცი/დიდფორმატიანი ქაღალდი და მარკერი	86
ერთობლივი კითხვა და მისი ვარიაციები	დიდი წიგნი/დიდფორმატიან ქაღალდზე, პოსტერზე ან დაფაზე დიდი ასოებით დაწერილი ტექსტი/პროექტორით გაშვებული ელექტრონული წიგნი	88
ერთობლივი წერა	დაფა და ცარცი/ფორმატი და მარკერი	89
ენობრივი პრაქტიკა ანუ „მასწავლებელი – კალამი“	დაფა და ცარცი/დიდფორმატიანი ქაღალდი და მარკერი, სასურველია თვალსაჩინოება	90
ანბანის სწავლების აქტივობები		
ასოების დალაგება	სურათიანი ბარათები; ასოებიანი ბარათები, რომლებიც საჭიროა სურათზე გამოსახული საგნის/მცენარის/ცხოველის და ა. შ. ასაწყობად	93
ანბანის ლოტო	ბოთლის თავსახურებზე/ბარათებზე დაწერილი ასოები	94
ანბანის ფურცლები	ფერადი ფანქრები, ჟურნალ-გაზეთები, პლასტელინი, მაკრატელი, გარემოში არსებული საგნები, წებო, „სკოტჩი“, ფურცელი (შესაძლებელია სპეციალურად დამზადებული „ანბანის ფურცლის“ გამოყენებაც. იხ. დანართი)	94
ანბანის მაძიებლები	ფერადი ფანქრები, ფურცლები	95
მზარეულობანა	მარკერი, მუყაო/ფურცლები, ჯამი და კოვზი, ქაღალდის ან პლასტმასის თეფში, სათამაშო ფული	96
ანბანის ბუშტები	ბუშტები (ღია ფერის), პერმანენტული მარკერები (მუქი ფერის)	97
ანბანი წრეში	ფერადი ბარათები ანბანის ასოებით (თითო ბარათზე თითო ასო), მაგნიტოფონი/ლეპტოპი, ქუდი/ტომარა	98
ლურჯი და წითელი ასოები	დაფა და ცარცი/ფორმატი და მარკერი; რვეული/ფურცელი, ორი ფერის ფანქარი/კალამი	99
ფერადი სიტყვები	დაფა და ცარცი/ფორმატი და მარკერი; რვეული/ფურცელი, ორი ფერის ფანქარი/კალამი	100
ასოები გაზეთში	ძველი ჟურნალ-გაზეთები, მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები, ბროშურები, ფურცელი, წებო, მაკრატელი	100
სიტყვის ასოები გზაჯვარედინზე	დიდი ფორმატის ფურცელი/დაფა, მარკერი/ცარცი	101
ყირამალა და მისი ვარიაციები	ტექსტი/წიგნი/ სახელმძღვანელო მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით	102
კლასის ანბანი	სიტყვის ბარათები, გამოგონილი კოდების ცხრილი	103
შეცვალე ასო	ერთი დიდი ზომის სიტყვის ბარათი, დაფა და ცარცი	103
ანბანური სიტყვების კედელი	ასოების ბარათები, სიტყვის ბარათები	104

სიტყვების წაკითხვის სწავლების აქტივობები		
დღის მესიჯი	დიდფორმატიანი ქაღალდზე დაწერილი ტექსტი, ფანქრები/ფლომასტერები, ფურცლები	104
სიტყვების კედელი	სიტყვების ბარათები (თაბახის ფურცლის მესამედის ზომის)	105
იარლიყები კლასში	დიდი ზომის სიტყვის ბარათები	106
სიტყვები მაგიდაზე ან იატაკზე	სიტყვის ბარათები	107
სიტყვების ამოკითხვა წყვილებში	სიტყვების სია/დიდი ზომის სიტყვის ბარათები, წამმზომი, დაფა და მაგნიტები/ცარცი	108
იპოვე წყვილები	ბანქოს ზომის კვადრატული ბარათების დასტა სიტყვებითა და ნახატებით	109
სინონიმების ბანქო ნახატებით	ბანქოს ზომის ბარათების დასტა სიტყვებითა და ნახატებით	110
ბოთლის დატრიალება	სიტყვის ბარათები, პლასტიკატის ბოთლი	111
სიტყვების ლოტო	სიტყვის ბარათები	111
სიტყვების მარკეტი	სიტყვის ბარათები	112
მოკარნახე ზმნები	სიტყვის ბარათები	112
სიტყვების გარითმვა	სიტყვის ბარათები, ფურცელი, კალამი	113
სიტყვების მასაჟი	მცირე ზომის სიტყვის ბარათების დასტა	113
დავიმახსოვროთ სიტყვების მწკრივი	სიტყვის ბარათები	114
დახედე, გადააბრუნე, დაწერე, შეამოწმე	სიტყვის ბარათები	115
გაელვება	სიტყვის ბარათები	115
სიტყვების მათემატიკა	სიტყვის ბარათების დასტა, ფურცელი, კალამი	116
სიტყვების მოძებნა (სნაიპერი)	წიგნები, ჟურნალები, ბროშურები, გაზეთები	116
ფოსტალიონი	მცირე ზომის სიტყვის ბარათები	117
„ბახ“	ბანქოს ზომის სიტყვის ბარათები, 5-6 ბარათი სიტყვით „ბახ“	117
რთული – ადვილი	სიტყვის ბარათები	118
ცხოველების სახლი	დაფა, ცარცი, სიტყვის ბარათები (საჭიროებისამებრ)	118
დამატებითი ეფექტური აქტივობები ანბანისა და სიტყვების წაკითხვის სწავლებისათვის		
აფრინდა, აფრინდა!		120
სიტყვაში მარცვლის იდენტიფიცირება		120
ქურდს უნდა...		120
შეცვალე ასო		120
იპოვე სიტყვა		120
გადახაზე არასწორი სიტყვა		120
აკლია მარცვალი		120

არეული მარცვლების დაკავ-შირება		121
სიტყვების ანბანური რიგით დაწყობა		121
მოცემული მარცვლებით სი-ტყვების შედგენა		121
სიტყვების გადაწერა სიგრძის მიხედვით		121
შესაბამისი სიტყვის პოვნა და გადაწერა		121
სიტყვების გარკვეული ნიშნით გადაწერა		122
შინაარსობრივი წყვილები		122
სიტყვის ტრანსფორმირება		122
დიდ სიტყვაში პატარა სიტყვის პოვნა		122
სიტყვების გადაწერა და ნაკარ-ნახევ სიტყვებთან დაწყვილება		122
იდუმალი სიტყვა		122
წაკითხული წინადადების შესა-ბამისი ვარიანტის პოვნა		122
პიცა		122

სიტყვების წაკითხვის უნარი და მისი განვითარების საფეხურები

სიტყვების სწორად და სწრაფად **დეკოდირება** კითხვის სწავლება-სწავლის საკვანძო მიზანია. ესაა დაწერილი სიტყვის, როგორც ცალკეული ასოებისგან შედგენილი ერთი მთლიანი კოდის, გაშიფვრა. *სიტყვის დეკოდირებას* ზოგჯერ *სიტყვის ცნობას* ან *იდენტიფიცირებას* უწოდებენ.

თუ გაწაფულ კითხვას დავაკვირდებით, აუცილებლად აღმოვაჩენთ, რომ მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო მახასიათებელი სიტყვების სწრაფად, უშეცდომოდ, დანაწევრების გარეშე წაკითხვაა. კითხვის უნარის (იგულისხმება კითხვის ტექნიკაც და გაგება-გააზრებაც) განვითარების გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა, როცა ბავშვი კითხვის დროს აღარ იყენებს ასო-ასო ან მარცვალ-მარცვალ დეკოდირებას. ამის ნაცვლად იგი ავტომატურად ცნობს სიტყვებს. კითხვის პროცესში სიტყვების მთლიანად, ავტომატურად ცნობა გაწაფული კითხვის მთავარი საყრდენიცაა და ინდიკატორიც. თუ სიტყვების უმრავლესობას პირველი დანახვისთანავე ვერ ვცნობთ, მათ გაშიფვრაზე (ნაწილ-ნაწილ დეკოდირებაზე) გადავდივართ, რაც ყურადღების კონცენტრაციას და სხვადასხვა უნარის მიზნობრივად მოშველიებას მოითხოვს. ამის შედეგად ტექსტის გააზრებაზე დასახარჯი ენერგია კითხვის ტექნიკური ბარიერების დაძლევაზე გვეხარჯება. თუ საქმე მოზრდილ და/ან რთულ ტექსტთან გვაქვს, პროცესი კიდევ უფრო მძიმდება. ჩვენ მალე ვიღლებით და ფრუსტრაცია გვეუფლება. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ კითხვის სწავლის გარკვეულ ფაზაზე სიტყვების მთლიანად წაკითხვაზე გადავიდეთ.

კვლევების მიხედვით, თუ ბავშვი ცნობს სიტყვების უმრავლესობას წინადადებაში, მას უადვილდება ამ წინადადების თავიდან ბოლომდე წაკითხვა; დანარჩენს, ანუ უცნობ სიტყვებს, ის დეკოდირების, კონტექსტის, ილუსტრაციებისა და ფონეტიკური გასაღებების დახმარებით უმკლავდება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბავშვს ძალუძს ასეთი წინადადების გაგება-გააზრება.

ქართულ ენაზე კითხვის სწავლება და სწავლა ადვილი არ არის. ამ საქმეს რთული სიტყვების სიმრავლე ამძიმებს. საბავშვო ტექსტებში კი ასეთ სიტყვებს ხშირად ვაწყდებით. რთულ სიტყვებში იგულისხმება:

- გრძელი, 6-ზე მეტი ასოსგან შემდგარი სიტყვები (მაგ., მანდარინი, შუქნიშანი, სასიამოვნო, ფარშავანგი);
- თანხმოვანთა კომპლექსის მქონე სიტყვები (მაგ., კურდღელი, შეინძრა, ჯანმრთელობა, მერცხლის);
- ძნელად გასაგები მნიშვნელობის მქონე სიტყვები (მაგ., ეშურება, გაისარჯე);
- იშვიათად გამოყენებული სიტყვები, რომლებიც, როგორც წესი, მეხსიერებაში დიდხანს ვერ იკიდებს ფეხს (მაგ., დიდედა, სათითე, ზღურბლი, ამშვენებდა, დღენიადაგ);
- რთული გრამატიკული კონსტრუქციის მქონე სიტყვები (მაგ., ათხოვა, ნაგაზისა, შეუძინა, ცხვრისთვის, წამირთმევია);
- იდიომების ან ფრაზეოლოგიზმების შემადგენელი სიტყვები (მაგ., აბუჩად ჰყავდა აგდებული, მუსრი გაავლო).

ხშირად ამა თუ იმ კონკრეტულ სიტყვას სირთულის რამდენიმე კრიტერიუმი ერთდროულად მიესადაგება, მაგალითად, ***ოთხმარცვლიანი***. ზოგჯერ ისეთ სიტყვებსაც ვხვდებით, რომლებსაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმი ახასიათებს, მაგალითად: ***მკლავგაწვდილი***.

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეს, რომ მან ფრუსტრაციის გარეშე დაძლიოს კითხვაში გაწაფვის რთული საფეხური? გაწაფული კითხვის თემაზე დაგროვილი გამოცდილება რამდენიმე ფუნდამენტური მიდგომისა და მეთოდის გამოყენებას გვთავაზობს, კერძოდ:

- გავუვარჯიშოთ ბავშვებს ფონოლოგიური უნარ-ჩვევები (იხ. წინა თავი);
- დროულად ვასწავლოთ ბავშვებს ასო-ბგერები და ანბანური პრინციპის გამოყენება;

- რაც შეიძლება ადრე დავაწყებინოთ ბავშვებს დასურათებული საბავშვო წიგნების (სრული ტექსტების) კითხვა ერთობლივი კითხვის მეთოდით;
- საჩვენებელი/სამოდელო კითხვისა და მართული პრაქტიკისთვის შევარჩიოთ ადეკვატური სირთულის ტექსტები;
- გამოვიყენოთ ენობრივი პრაქტიკის მეთოდი და ერთობლივი წერა;
- ვასწავლოთ ბავშვებს ცნობადი[1] და ხშირი[2] სიტყვების ავტომატურად წაკითხვა.

სიტყვის დეკოდირება/ცნობა ორი ძირითადი მოქმედების შესრულებას გულისხმობს: სიტყვის გონებაში გახმოვანებას (ე.წ. შინაგანი „გაბგერება“) და მისთვის მნიშვნელობის „მინიჭებას“. ეს უკანასკნელი ნიშნავს არა სიტყვისთვის ახალი შინაარსის მიკუთვნებას, არამედ მოცემულ კონტექსტში კონკრეტული ინდივიდის მიერ ამ დაწერილი სიტყვის დაკავშირებას მის მნიშვნელობასთან. მას შემდეგ, რაც სიტყვების დეკოდირება ავტომატურ რეჟიმზე გადაერთვება, მკითხველი ადვილად „გამოიხმობს“ მათ მნიშვნელობას „გონებრივი ლექსიკონიდან“, რაც წაკითხულის გააზრებას საგრძნობლად აადვილებს.

როგორ სწავლობენ ბავშვები სიტყვების დეკოდირებას/ცნობას?

სიტყვების დეკოდირების უნარის განვითარების ძირითადი საფეხურებია:

ლოგოგრაფიული კითხვა	სკოლამდელი ასაკი და პირველი კლასი	ბავშვი ზოგიერთ ცნობად სიტყვას აღიქვამს ერთი მთლიანი გამოსახულების სახით, მისი ვიზუალური ხატისა და გარეგნული მახასიათებლების მიხედვით, ასოებად დაშლის გარეშე. მაგ. „პური“, „რძე“, „მარკეტი“[3].
გარდამავალი ანბანური კითხვა	პირველი კლასის დასაწყისი	ბავშვი ცდილობს სიტყვების წაკითხვას ცალკეული ასოების მეშვეობით, მაგრამ ყველა ასოს ვერ ცნობს. ის კითხულობს ზოგიერთი სიტყვის პირველ ასოს (უფრო ხშირად თანხმოვანს), მაგრამ ხშირად წარმოთქვამს სხვა სიტყვას, რომელიც ამავე ასოთი იწყება. შეიძლება დაბეჭდილი სიტყვა „გემი“ მისთვის ასე გამოიყურებოდეს: „gxxx“.
ანბანური კითხვა	პირველი კლასის შუა პერიოდიდან მეორე კლასის დასაწყისამდე[4]	ბავშვი სულ უფრო მეტ ასოს ცნობს სიტყვებში. როგორც წესი, კითხულობს ასო-ასო ან მარცვალ-მარცვალ, თითოეული ასოს/მარცვლის გაბგერებით, რასაც ფონოლოგიურ რეკოდირებასაც უწოდებენ. თანდათან ეზრდება ცნობადი სიტყვების მარაგი, რომლებსაც სწრაფად და უშეცდომოდ ამოიცნობს, დეკოდირების გარეშე.

[1] ცნობადია ის სიტყვები, რომლებსაც მკითხველი მყისიერად ცნობს შეყოვნებისა და ამოკითხვის (ასოების გაშიფვრის) გარეშე.

[2] ხშირია ის სიტყვები, რომლებიც ხშირად გამოიყენება ზეპირმეტყველებასა და წერილობით ტექსტებში. ხშირი სიტყვები ენაში ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს. სასურველია, მოსწავლემ სწორედ ეს სიტყვები აქციოს ცნობად სიტყვებად.

[3] შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს კითხვა არ არის. თუ ბავშვი რძის ეტიკეტზე კითხულობს სიტყვას „რძე“, ეს არაა იმის გარანტი, რომ სხვა კონტექსტშიც წაიკითხავს ამ სიტყვას. მიუხედავად ამისა, სიტყვების ლოგოგრაფიულად აღქმა სიმბოლოს დეკოდირების ჩანასახოვანი ფორმაა. ამ უნარის გამოყენება მეტად სასარგებლოა დამწყები მკითხველებისთვის.

[4] მითითებული პერიოდები ძირითადად ემთხვევა იმ მოსწავლეების შემთხვევებსაც, რომლებიც ქართულს სწავლობენ როგორც მეორე ენას. ეროვნული სასწავლო გეგმის ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტის პირველი კლასის პროგრამის მიხედვით მოსწავლე სასწავლო წლის ბოლოს უნდა ცნობდეს ანბანის ყველა ასოს. იქვე აღნიშნულია, რომ პირველი და მეორე კლასები წარმოადგენს სისტემურ კითხვაზე გადასვლის შემამზადებელ საფეხურს.

ორთოგრაფიული კითხვა	პირველი კლასის მეორე ნახევრიდან მესამე კლასამდე	ბავშვი სიტყვას აღიქვამს არა ასოების თანმიმდევრობის, არამედ ორთოგრაფიული ქარგის სახით. აღიქვამს სიტყვის ნაწილებს: ფუძეს და აფიქსებს (მაგ., „სა/ქათმ/ე“), რთული სიტყვის შემადგენელ სიტყვებს (მაგ., „გულ/კეთილი“). სიტყვის სწორად წაკითხვისათვის იყენებს წინადადების კონტექსტს. სწრაფად იზრდება ცნობადი სიტყვების მარაგი.
სიტყვათწარმოებითი კითხვა	მეოთხე ან მეხუთე კლასიდან	ბავშვმა იცის, რომ ბევრი შედგენილი სიტყვა მისთვის ნაცნობ ნაწილებს შეიცავს: მაგ., „ავტო/პორტრეტი“ ან „ავტო/ბიო/გრაფია“. სიტყვების წაკითხვისას ერთდროულად იყენებს სიტყვის ცნობისა და მისი მნიშვნელობის წვდომის სტრატეგიებს.

სიტყვის დეკოდირების/ცნობის სტრატეგიები

არსებობს სიტყვის დეკოდირების/ცნობის რამდენიმე ძირითადი სტრატეგია. სასურველია, მოსწავლეები გაიწაფონ თითოეული მათგანის გამოყენებაში.

სიტყვის ასო-ასო ამოკითხვა. ესაა ე. წ. ანბანური პრინციპის, ანუ ასოებსა და ბგერებს შორის მიმართებების გამოყენება სიტყვის დეკოდირებისათვის. მოსწავლე ჯერ ამოიცნობს თვალით აღქმულ თითოეულ ასოს და „გამოიხმობს“ შესაბამის ბგერებს. შემდეგ ხმამაღლა (ფონოლოგიური რეკოდირება) ან უხმოდ გადააბამს ასო-ბგერებს და სიტყვაში გაამთლიანებს მათ.

ცნობადი სიტყვების აღქმა. ცნობადია ის სიტყვები, რომლებსაც მკითხველი მყისიერად ცნობს შეყოვნებისა და ამოკითხვის (ასოების გაშიფვრის) გარეშე. თუ სიტყვა ტექსტებში ბევრჯერ შეგვხვდა, მისი ფორმა და მნიშვნელობა „გონებრივ ლექსიკონში“ იმკვიდრებს ადგილს. რაც უფრო გაწაფულია ადამიანი კითხვაში, მით უფრო მეტ სიტყვას ცნობს ავტომატურად და პირიქით.

კონტექსტური მინიშნებების გამოყენება. ესაა ტექსტის წინადადებების, ილუსტრაციების, ასევე, სხვა ნაცნობი სიტყვების გამოყენება უცნობი სიტყვის ამოსაცნობად. მაგალითისთვის, წარმოვიდგინოთ, რომ სიტყვა „უფუნქციო“ უცნობია წინადადებაში: „ხანგრძლივი გამოყენების შედეგად მონიტორი უფუნქციო ნივთად გადაიქცა.“ დავუკვირდეთ, რა მინიშნებები გვეხმარება ამ სიტყვის სწრაფად და სწორად დეკოდირებაში: 1. **სემანტიკური (მნიშვნელობასთან დაკავშირებული) მინიშნებები**. ამავე წინადადებაში შემავალი სხვა ნაცნობი სიტყვები გვიბიძგებს ამ სიტყვის სწორად წასაკითხად; 2. **ორთოგრაფიული/ანბანური მინიშნებები.** სიტყვაში პირველი ასოების ცნობა გვიადვილებს მთლიანი სიტყვის წაკითხვას; 3. **სიტყვის გრამატიკულ სტრუქტურასთან დაკავშირებული მინიშნებები.** ამ სიტყვის წინსართის ცნობა გვიადვილებს ბოლოსართისა და მთლიანი სიტყვის ამოცნობასაც.

სიტყვის ნაწილების ამოცნობა. ესაა ნაცნობ ასოთა ჯგუფების გამოყენება სიტყვის დეკოდირებისას. მაგალითად, მარცვლების, ასოთა კომბინაციების, სიტყვის ფუძის, აფიქსების და სხვა ნაწილების ცნობა შეიძლება დაგვეხმაროს სიტყვის გაშიფვრაში.

კვლევების მიხედვით, აღწერილ სტრატეგიებს შორის კითხვის ტექნიკის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ანბანური პრინციპის ეფექტურად გამოყენებას. კარგი მკითხველები ოთხივე სტრატეგიას იყენებენ, თუმცა ასოების ავტომატურად ცნობა და გადაბმა ყველაზე მძლავრი ინსტრუმენტია სიტყვების ცნობის, გაწაფული კითხვისა და, საბოლოოდ, გაგება-გააზრებისთვის.

სიტყვების დეკოდირების/ცნობის სწავლება

სიტყვების ცნობის უნარის განვითარების გზაზე პირველ კლასს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სასურველია, რომ პირველი კლასის დასაწყისშივე (წინასაანბანო პერიოდში) ბავშვებმა:

- გააცნობიერონ, რომ წიგნში მხოლოდ ნახატები კი არ „გვიყვება“ ამბავს, არამედ უფრო მეტად – ნაბეჭდი სიტყვები;
- გააცნობიერონ, რომ ენა შედგება სიტყვებისაგან;
- გააცნობიერონ, რომ ზეპირად წარმოთქმული სიტყვები ბგერებად იშლება, ხოლო დაწერილი სიტყვები – ასოებად;
- შეძლონ 50-100 ხშირად გამოყენებული სიტყვის ლოგოგრაფიულად ცნობა;
- გაივარჯიშონ ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, რაც შემდგომ ეტაპზე ასოების ბგერებთან დაკავშირების აუცილებელი საფუძველია;
- დაიწყონ სიტყვების ცნობა წინადადებებისა და ფრაზების კონტექსტში.

სასწავლო პროცესში ამ ელემენტებზე ყურადღების გამახვილება სათანადოდ შეამზადებს ყველა მოსწავლეს საანბანო პერიოდისა და ორთოგრაფიული კითხვის ფაზის რთული ამოცანების დასაძლევად.

კითხვის სწავლება–სწავლის პირველი ნაბიჯები

წინასაანბანო პერიოდში ბავშვების უმრავლესობა რამდენიმე სიტყვას მაინც ცნობს ლოგოგრაფიულად (მაგ., მარკეტი, პური, ია, კუ, ნაყინი და სხვ.). ამგვარ სიტყვათა მარაგის შევსებასთან ერთად ბავშვები თანდათანობით დაიწყებენ მათში ცალკეული ასოების ამოცნობას და შესაბამის ბგერებთან დაკავშირებასაც.

ჯერ კიდევ სკოლაში წასვლამდე პატარები გარკვეულ გამოცდილებას იძენენ და მეტ-ნაკლებად ივითარებენ კითხვის შესწავლისათვის საჭირო უნარებს. სწორედ ამ საფუძვლებს ეყრდნობიან სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები. ითვალისწინებენ, თუ როგორ ვითარდება ბავშვის ენობრივი უნარები და ადგენენ კითხვის სასწავლო გეგმას, არჩევენ სწავლების ეფექტურ მეთოდებს, ადვილად გამოსაყენებელ შეფასების ინსტრუმენტებს.

რა მიდგომითა და მეთოდებით უნდა ვასწავლოთ კითხვა? დღეისათვის გავრცელებულია კითხვის სწავლების სამი ძირითადი მიდგომა:

- აღმავალი / სინთეზური / ნაწილებიდან მთელისკენ მიმართული;
- დაღმავალი / ანალიზური / მთელიდან ნაწილებისკენ მიმართული;
- დაბალანსებული / ანალიზურ-სინთეზური / დაღმავალ-აღმავალი / მთელი-ნაწილი-მთელი.

აღმავალ მიდგომას (ნაწილები → მთელი) საფუძვლად უდევს დებულება: „ასოს, მარცვლისა და სიტყვის ცნობის გარეშე შეუძლებელია კითხვა“. კითხვა იწყება ცალკეული ასოების გარჩევით/ცნობით, გრძელდება ასო-ბგერების მარცვლებად, შემდეგ კი – სიტყვებად გამთლიანებით.

ამ მიდგომით პირველ ეტაპზე ბავშვი სწავლობს ასოების მხედველობით გარჩევას და მათ დაკავშირებას შესაბამის ბგერასთან. მეორე ეტაპზე ბავშვი ასო-ბგერებს გადააბამს და სიტყვებად აერთიანებს. მესამე ეტაპზე სიტყვები ერთიანდება წინადადებებად, რომლებშიც ხდება ცალკეული სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა. ამრიგად, პროცესი მიმდინარეობს ქვემოდან ზემოთ, ნაწილებიდან (ასო-ბგერიდან) მთელისაკენ (სიტყვისაკენ). რაც შეეხება წაკითხულის გაგებას და აზრის გამოტანას, ეს წერილობითი კოდის გაშიფვრის (დეკოდირების) წესების სწავლის შედეგია.

ცნობილია, რომ კითხვის პროცესში მკითხველი აქტიურად იყენებს ტექსტში არსებულ ისეთ დამხმარე გასაღებებს, როგორებიცაა სიტყვის პირველი ასო/მარცვალი, წინა და მომდევნო სიტყვები, წინადადების/აბზაცის სავარაუდო შინაარსი, ილუსტრაციები, ყდა და სხვ. აღმავალი მოდელის არსებით ხარვეზად სწორედ ამ ასპექტის უგულებელყოფა მიიჩნევა. ამ მიდგომის მიმდევარი მასწავლებლები საგაკვეთილო დროის ძირითად ნაწილს ასო-ბგერების დასწავლასა და დეკოდირების სავარჯიშოებს უთმობენ. ბევრი მოსწავლე წვალობს და კარგავს თავდაჯერებულობას ამგვარი დამღლელი სავარჯიშოების შესრულების შედეგად.

დაღმავალ მიდგომას (მთელი → ნაწილები) საფუძვლად უდევს დებულება: „კითხვა, მოსმენის მსგავსად, მთლიანი ტექსტიდან აზრის გამოტანის პროცესია. კითხვა იწყება წიგნებში, ჟურნალებში, სარეკლამო დაფებზე, შენობების აბრებზე, იარლიყებზე, მენიუებში ლოგოების, ციფრების, ხშირი სიტყვების შემჩნევითა და გამორჩევით. ამაში ბავშვს ილუსტრაციები და სხვა კონტექსტური გასაღებები ეხმარება. თანდათანობით ამ სიტყვებში ბავშვი გამოარჩევს ცალკეულ ასოებს (კოდებს) და იმავდროულად აცნობიერებს, თუ რაში გვჭირდება ეს კოდები. დაღმავალი მიდგომის მიხედვით კითხვის პროცესი მეტყველების პროცესს ჰგავს. ცალკეული ასო-ბგერა აზრს მოკლებულია და მისი ცნობა სიტყვაში უფრო ადვილია, ვიდრე ცალკე. კითხვის დროს მთავარია მნიშვნელობის გაგება, რომლის საფუძველზეც მოხდება დაწერილი სიტყვის და მასში შემავალი ასო-ბგერების ცნობა. შესაბამისად, მკითხველი ეცნობა მისთვის საინტერესო ტექსტის შინაარსს და ამ კონტექსტში სწავლობს ასოებსა და მათ კომბინაციებს.

დაღმავალი მიდგომით პირველ ეტაპზე ბავშვი ათვალიერებს წიგნებს და საუბრობს მათ შინაარსზე. შემდეგ მასწავლებლის დახმარებით გამოყოფს ტექსტიდან „ყველაზე მნიშვნელოვან“ სიტყვებს, შლის მათ მარცვლებად და ასო-ბგერებად, რასაც მოსდევს დეკოდირების სავარჯიშოები. ამრიგად, პროცესი მიმდინარეობს ზემოდან ქვემოთ, მთელი ტექსტიდან ნაწილებისაკენ (ასო-ბგერებისკენ). რაც შეეხება წაკითხულის გაგებას და აზრის გამოტანას, ეს აღწერილი პროცესის თანმდევი კომპონენტია.

ამ მიდგომას ხშირად შეცდომით აიგივებენ „მთელი სიტყვებით სწავლების“ მეთოდთან, რომელიც, თავის მხრივ, რაც შეიძლება მეტი სიტყვის ლოგოგრაფიული ხატის მეხსიერებაში შენახვასა და კითხვის დროს გამოყენებას გულისხმობს.

დაღმავალი მიდგომის ხარვეზად იმას მიუთითებენ, რომ უგულებელყოფილია სიტყვის დეკოდირების ექსპლიციტურად სწავლების აუცილებლობა. ანბანური პრინციპის დაუფლება და დეკოდირებაში გაწაფვა მნიშვნელოვანი საფეხურია იმისათვის, რომ კარგმა მკითხველმა სიტყვების უმრავლესობა ავტომატურად ამოიცნოს. დაღმავალი მიდგომის მიმდევარი მასწავლებლები საგაკვეთილო დროის დიდ ნაწილს სიტყვის/წინადადების გარეგნულ ხატსა და მნიშვნელობაზე მუშაობას უთმობენ.

დაბალანსებული მიდგომის (მთელი → ნაწილები → მთელი) მიხედვით კითხვის პროცესი ორივე მიმართულებას მოიცავს – დაღმავალსაც და აღმავალსაც. კითხვის პროცესში ერთდროულად მუშაობს რამდენიმე პროცესორი: ორთოგრაფიული (ასოების აღქმა), ფონოლოგიური (ბგერების აღქმა), სემანტიკური (სიტყვებისთვის მნიშვნელობის „მინიჭება“), სინტაქსური (სიტყვების დაკავშირება გრამატიკული წესების გამოყენებით), კონტექსტური (სიტყვებისა და წინადადებების გააზრება-გამთლიანება). ამდენად, კითხვა ერთდროულად მოიცავს დეკოდირებასაც და ტექსტის მნიშვნელობის გაგებასაც.

დაბალანსებული მიდგომა კითხვის სწავლება-სწავლის პროცესში აერთიანებს დაღმავალი და აღმავალი მიდგომების ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტებს – ერთი მხრივ, მთლიანი ტექსტის აღქმასა და დამუშავებას, მეორე მხრივ კი, მისი შემადგენელი სიტყვებისა და ასო-ბგერების დეკოდირებაზე ვარჯიშს. რასაკვირველია, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთი საკითხავი მასალის შერჩევას, რომელიც შეესაბამება ხუთი-ექვსი წლის ბავშვის თემატურ ინტერესებს, ყოფით გამოცდილებას, ენობრივ კომპეტენციებს. ყურადღება უნდა გამახვილდეს ტექსტების

მოცულობაზე, მისი სტრუქტურის სიმარტივეზე, შრიფტის ზომაზე, სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებაზე, ილუსტრაციების გამომსახველობით მხარეზე.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი იცნობდეს სამივე მიდგომის ძლიერ და სუსტ მხარეებს და კითხვის სწავლებისას გააზრებული გადაწყვეტილებები მიიღოს კონკრეტული მეთოდებისა და რესურსების შერჩევის დროს. ზოგადად აღიარებულია, რომ დაბალანსებული მიდგომის გამოყენებას უკეთესი შედეგი მოაქვს, ვიდრე მხოლოდ დაღმავალი ან მხოლოდ აღმავალი მიდგომით მუშაობას. კითხვის შესწავლის რომელ მეთოდსაც არ უნდა მიანიჭოს უპირატესობა მასწავლებელმა, პირველ კლასში მან უნდა შეძლოს კითხვის სწავლების სამი ძირითადი საფეხურის ეფექტურად ორგანიზება. ესენია: წინასაანბანო, საანბანო და ანბანისშემდგომი პერიოდები. შერჩეული მიდგომისა და მეთოდის შესაბამისად შეიცვლება – გაიზრდება ან შემცირდება – თითოეული საფეხურის ხანგრძლივობა და შინაარსი. მაგალითად, დაბალანსებული მიდგომით სწავლების შემთხვევაში წინასაანბანო პერიოდი გაიზრდება და გამდიდრდება ისეთი აქტივობებით, როგორებიცაა ენობრივი პრაქტიკა, დიდი წიგნების ერთობლივი კითხვა, საჩვენებელი/სამოდელო კითხვა, ერთობლივი წერა, იარლიყები კლასში, დღის მესიჯი, თამაშები ელვა-ბარათებით და ა.შ.

დაბალანსებული / „მთელი – ნაწილი – მთელი“ მიდგომის მიხედვით კითხვის აქტივობა იწყება მთლიანი ავთენტური[1] ტექსტით, რომელიც კონკრეტულ, ბავშვებისათვის საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. ასეთია, მაგალითად, მოთხრობები და ზღაპრები, ლექსები და გამოცანები, იუმორისტული ამბები, საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტები გარემოში არსებულ ნივთებსა და მოვლენებზე. როგორც ვთქვით, მნიშვნელოვანია, რომ ტექსტს ჰქონდეს შემდეგი მახასიათებლები:

ის უნდა იყოს

- მცირე ზომის;
- მოკლე და მარტივი წინადადებებით აგებული;
- ხშირი და ნაცნობი სიტყვებით შედგენილი;
- მსხვილი ასოებით დაბეჭდილი/დაწერილი;
- ილუსტრირებული.

ასეთი სასწავლო რესურსი შესაძლოა მზა სახით არსებობდეს (მაგალითად, დიდი წიგნები, ტექსტიანი პოსტერები და სხვ.) ან მასწავლებელმა დაამზადოს გაკვეთილამდე თუ უშუალოდ გაკვეთილის მსვლელობისას.

მასწავლებელი კლასში მუშაობას იწყებს თემაზე ფოკუსირებით, შესამზადებელი დისკუსიით, ბავშვებისთვის ტექსტის ხმამაღლა წაკითხვით ან ტექსტის ერთობლივად შექმნით (იხ. ენობრივი პრაქტიკის მეთოდი ანუ „მასწავლებელი – კალამი“). შემდეგ ბავშვებსაც უჩვენებს ტექსტს და ერთობლივი კითხვის მეთოდის გამოყენებით ჩართავს მათ კითხვის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ანბანი და წერილობითი კოდის გაშიფვრა ჯერ სრულყოფილად არ აუთვისებიათ, ბავშვები ხალისით ერთვებიან აქტივობაში. მეტიც, ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა ტექსტის წინასწარი მიმოხილვა, საჩვენებელი კითხვა მასწავლებლის მიერ, ენობრივი პრაქტიკა, ერთობლივი კითხვა (და მისი ვარიაციები), სიტყვების პოვნა და სხვ. დიდ დახმარებას უწევს მოსწავლეებს არა მხოლოდ კონტექსტური გასაღებების მიგნებით კითხვაში, არამედ დეკოდირების უნარის დაუფლებაში.

[1] ავთენტური ნიშნავს რეალურთან მიახლოებულს, პრაქტიკულ გამოცდილებასა და გარემოში არსებულს. ავთენტურია ისეთი საბავშვო ტექსტი, რომელიც თავისი შინაარსით, სტრუქტურითა და დიზაინით ჰგავს ჩვეულებრივ საბავშვო ლიტერატურის ნიმუშებს, რომელსაც ბავშვი ყოველდღიურად ნახულობს და რომელიც მკვეთრად განსხვავდება სახელმძღვანელოებში დეკოდირების მიზნით ჩადებული სავარჯიშო ტექსტებისაგან.

ცხადია, მნიშვნელოვანია, რომ პატარა მკითხველებს თანმიმდევრული დახმარება გავუწიოთ მთლიან ტექსტებში „ნავიგაციის“ დროს. გავამდიდროთ კითხვის გარემო მრავალფეროვანი დამხმარე საშუალებებით: ილუსტრაციებით, ასო-ბგერებისა და სიტყვების გამოსახულებებით და სხვ. მასწავლებელმა პრობლემად არ უნდა მიიჩნიოს ის, რომ მოსწავლეთა ნაწილმა ჯერ არ იცის ანბანის ყველა ასო და არ არის გაწაფული მათ გადაბმაში. კითხვის სწავლების პირველ ეტაპზე მასწავლებელი სხვადასხვა სტრატეგიით ცდილობს, დაეხმაროს მოსწავლეებს წიგნებთან/ტექსტებთან ურთიერთობის დამყარებაში – სათაურის, ილუსტრაციების, ცნობადი სიტყვების გამოყენებაში. ამგვარი მიდგომით მოსწავლეები ენთუზიაზმით მონაწილეობენ კითხვის აქტივობებში და უმტკივნეულოდ გადადიან დეკოდირებისა და ფონოლოგიური რეკოდირების (ასოების ხმამაღლა გაბგერების) ნაკლებად სასიამოვნო ვარჯიშებზე. ისინი იწყებენ იმის გარჩევას, თუ ტექსტის რომელი წინადადება გამოხატავს საინტერესო აზრს, იმახსოვრებენ საკვანძო სიტყვების გრაფიკულ გამოსახულებას, თანდათანობით იწყებენ ამოცნობილი სიტყვების შემადგენელ ელემენტებზე დაკვირვებას. ბავშვები მთლიანიდან ნაწილისაკენ მიდიან და შეუძლიათ ამ ნაწილებით – ასო-ბგერებითა და მარცვლებით – სხვადასხვა სიტყვის აწყობა, აზრების გადმოცემა.

როგორც ვხედავთ, „მთელი-ნაწილი-მთელი“ მიდგომის ამოსავალი პრინციპია დეკოდირების სწავლის დაწყება არა ცალკეული სიტყვებით, არამედ ავთენტური წინადადებებით ან ტექსტებით. რაც შეეხება ამ პროცესის მეორე, აღმავალ ნაწილს, ანუ ნაწილების (ასო-ბგერებისა და მარცვლების) სინთეზირების სწავლებას, ის მრავალფეროვანი სავარჯიშოებისა და თამაშების დახმარებით მიმდინარეობს. აქაც მნიშვნელოვანია, რომ პროცესი ცალკეულ სიტყვებზე არ შეჩერდეს და ბავშვებმა ახლად შესწავლილი ასოებისა და მარცვლების ავთენტურ წინადადებებში გამოყენება სწრაფადვე მოსინჯონ კითხვასა და წერაში.

ქვემოთ მოცემული სქემა ასახავს კითხვის სწავლება-სწავლის ძირითად ელემენტებს ტექსტიდან ასო-ბგერამდე და შემდეგ პირუკუ, ანუ კვლავ წინადადებებამდე და ტექსტებამდე. ამგვარად წარმართული პროცესი განაპირობებს კითხვის ხუთივე კომპონენტის სინქრონულად განვითარებას და, რაც მთავარია, უნარჩუნებს მოსწავლეს ინტერესსა და მოტივაციას.

კითხვის დაბალანსებული მიდგომით სწავლების სქემა

ა								ა
ვ								ვ
თ								თ
ე								ე
ნ								ნ
ტ								ტ
უ	წ						წ	უ
რ	ი			ა			ი	რ
ი	ნ		მ	ს	მ		ნ	ი
	ა		ა	ო	ა		ა	
ტ	დ	ს	რ		რ	ს	დ	ტ
ე	ა	ი	ც	ბ	ც	ი	ა	ე
ქ	დ	ტ	ვ	გ	ვ	ტ	დ	ქ
ს	ე	ყ	ა	ე	ა	ყ	ე	ს
ტ	ბ	ვ	ლ	რ	ლ	ვ	ბ	ტ
ი	ა	ა	ი	ა	ი	ა	ა	ი
	მთელი →			→ ნაწილები			მთელი	

კითხვის სწავლების პერიოდები

ტრადიციული მიდგომის მიხედვით წინასაანბანო პერიოდი საკმაოდ ხანმოკლეა (დაახლოებით ორი კვირა). სამაგიეროდ, გაცილებით უფრო ხანგრძლივად მიმდინარეობს ანბანის დასწავლა (5-6 თვე), რასაც მოსდევს შედარებით მცირე ხანგრძლივობის ანბანისშემდგომი პერიოდი (2-3 თვე). ეს მიდგომა მთავარ ორიენტირად სწორედ ანბანური პრინციპის სრულად ათვისებას ისახავს და დროც, ძირითადად, მარცვლებისა და სიტყვების უშეცდომო დეკოდირებაზე იხარჯება. მიდგომის სუსტი მხარე ისაა, რომ ბავშვები ნაკლებად ვარჯიშობენ ტექსტების გაგება-გააზრებაში, სიტყვებისა და წინადადებების მნიშვნელობის წვდომაში, კონტექსტური მინიშნებების/გასაღებების გამოყენებაში.

ინოვაციური, დაბალანსებული მიდგომის დანერგვა რამდენიმე ცვლილების განხორციელებას მოითხოვს:

წინასაანბანო პერიოდში საჭიროა რამდენიმე ტიპის მნიშვნელოვანი აქტივობის დამატება, რაც მის გახანგრძლივებას გამოიწვევს (ერთი თვიდან თვენახევრამდე); სასურველია, ტრადიციულ სასწავლო აქტივობებს დაემატოს გულისყურით მოსმენის აქტივობები, საფეხურებად წარმართული ფონოლოგიური სავარჯიშოები/თამაშები, ხშირი/ცნობადი სიტყვების ლოგოგრაფიულად ცნობის სავარჯიშოები, ენობრივი პრაქტიკა, ერთობლივი კითხვა და სხვ. ასეთი აქტივობები სათანადოდ შეამზადებს ბავშვებს ანბანური პრინციპის ათვისებისა და სიტყვების დეკოდირებისათვის.

საანბანო პერიოდში დაბალანსებული მეთოდით მუშაობისას მასწავლებლმა უნდა განაგრძოს მრავალფეროვანი ტექსტების გამოყენება და სისტემური ხასიათი მისცეს ასო-ბგერების სწავლებას. მთავარია, ბავშვებს შეუყვარდეთ კითხვა და არ დაკარგონ კითხვის მოტივაცია დეკოდირების სავარჯიშოების შესრულებისას. იმისთვის, რომ დეკოდირების სავარჯიშოები მტანჯველი არ გახდეს ბავშვისთვის და სწავლაშიც საჭირო ეფექტი მივიღოთ, უნდა გავითვალისწინოთ სამი მნიშვნელოვანი მიდგომა:

1. ბავშვებს ვარჯიშისთვის შევთავაზოთ მათთვის ავთენტური, კონკრეტული აზრის მატარებელი, საინტერესო კონტექსტიდან – ზღაპრებიდან, ილუსტრაციებიდან, რეალური სიტუაციებიდან – აღებული სიტყვები და ფრაზები;
2. სავარჯიშოები გავახალისოთ თამაშის ელემენტების შემოტანით. შევარჩიოთ ახალი და საინტერესო აქტივობები, ანდაც შევქმნათ ჩვენ მიერ მრავალგზის ნაცადი სავარჯიშოების მოდიფიცირებული ვარიანტები;
3. ამ სავარჯიშოებისთვის გამოვყოთ ადეკვატური დრო. განვსაზღვროთ, სასწავლო წლის რომელ პერიოდში რა სიხშირით ჩავატარებთ მათ და გაკვეთილის რომელ მონაკვეთში რამდენ წუთს დავუთმობთ.

ამ პერიოდის ძირითად აქტივობებს შორის კვლავ რჩება ერთობლივი კითხვა, ერთობლივი წერა და ენობრივი პრაქტიკა. მათი ინტენსიური გამოყენებითა და დეკოდირების სავარჯიშოებთან ინტეგრირებით მასწავლებელი მოამზადებს ბავშვებს დამოუკიდებელი კითხვის ეტაპზე გადასასვლელად. რასაკვირველია, არ უნდა დაგვავიწყდეს თითოეული მოსწავლის უნართა უწყვეტი მონიტორინგი.

ანბანისშემდგომი პერიოდის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ერთობლივი კითხვიდან დამოუკიდებელ კითხვაზე გადასვლა. ამისათვის მასწავლებელს შეუძლია დაიწყოს მართული კითხვის აქტივობის გამოყენება და კითხვის ისეთი საბაზისო სტრატეგიების სწავლება, როგორებიცაა: ვარაუდების გამოთქმა, წაკითხულის წარმოსახვაში გაცოცხლება, შეკითხვების დასმა, პარალელების გავლება პირად გამოცდილებასთან თუ ადრე წაკითხულთან და სხვ. ცხადია, გადამწყვეტი როლი ენიჭება ტექსტების შერჩევას, რისთვისაც უნდა გავითვალისწინოთ სამი მიდგომა:

1. შევთავაზოთ ბავშვებს მრავალფეროვანი ტექსტები, რაც გულისხმობს დამატებითი ტექსტების/წიგნების მოძიებას. არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ სახელმძღვანელოებით;

2. განვსაზღვროთ თითოეული მოსწავლის კითხვის დონე დიაგნოსტიკური ტესტირებისა და დაკვირვების საფუძველზე;

3. შევურჩიოთ და/ან ასარჩევად შევთავაზოთ ბავშვებს ადეკვატური სირთულის (მათი კითხვის დონის შესაბამისი) ტექსტები.

თუ მთელი წლის განმავლობაში მასწავლებელი ეფექტურად გამოიყენებს პასუხისმგებლობის ნაბიჯ-ნაბიჯ გადაცემის მოდელს, საანბანო პერიოდი უმტკივნეულოდ ჩაივლის, ბავშვები დაძლევენ კითხვის სწავლის პირველ ნაბიჯებთან დაკავშირებულ სირთულეებს. სასწავლო წლის ბოლოსთვის ისინი მომზადებული იქნებიან დამოუკიდებელი კითხვის საფეხურზე გადასასვლელად და ექნებათ მყარი საფუძველი გამართული კითხვისა და წაკითხულის გააზრებისათვის.

ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებისთვის

პირველი კლასის ამგვარი „პერიოდიზაცია“ გარკვეულ სახეცვლილებებს განიცდის არაქართულენოვან სკოლებში და დამოკიდებულია მოსწავლეთა მზაობაზე, წინარე ცოდნაზე, ლექსიკურ მარაგზე. კვლევებით დადასტურებულია, რომ მშობლიურ ენაზე ძირითადი ენობრივი უნარების განვითარება მნიშვნელოვან საფუძველს უყრის და საგრძნობლად აჩქარებს მეორე ენაზე კითხვის სწავლას. ამის გათვალისწინებით წინასაანბანო პერიოდის ხანგრძლივობა შესაძლოა გაიზარდოს. თუმცა მასწავლებელმა ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ მეორე კლასის დასაწყისში ყველა მოსწავლეს მოეთხოვება ანბანური პრინციპის გამოყენება.



სქემის მიხედვით მეორე ენაზე კითხვის დაწყებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს განვითარებული ჰქონდეს ფონოლოგიური უნარ-ჩვევები და ზეპირმეტყველების უნარები, გააჩნდეს საკმარისი ლექსიკური მარაგი და მშობლიურ ენაზე კითხვის საბაზისო უნარები. ვინაიდან მეორე ენაზე კითხვის სწავლის დროს მოსწავლე მშობლიურ ენაზე გავარიჯშებული უნარების ტრანსფერს მიმართავს, სასურველია, მშობლიურ ენაზეც კითხვის სწავლება-სწავლა დაეფუძნოს წინამდებარე სარესურსო წიგნში წარმოდგენილ მიდგომებსა და მეთოდებს.

ქვემოთ წარმოდგენილია აქტივობათა და რესურსთა არასრული ჩამონათვალი, რომელთა გეგმაზომიერად გამოყენება განაპირობებს კითხვის სწავლების დაბალანსებას პირველ კლასში.

	წინასაანბანო	საანბანო	ანბანისშემდგომი
აქტივობები	საუბარი თვალსაჩინოებებზე (პოსტერები, სურათები, ნივთები და სხვ.); მასწავლებლის მიერ ხმამაღლა წაკითხვა/საჩვენებელი წაკითხვა; აუდიოჩანაწერების მოსმენა; ფონოლოგიური სავარჯიშოები/თამაშები; ლექსიკური მარაგის გამამდიდრებელი თამაშები; მთლიანი სიტყვების ცნობა; „გასეირნება“ დიდ წიგნებში (წიგნთან მუშაობის საწყისი უნარ-ჩვევები); ენობრივი პრაქტიკა; ხატვა და ნახატზე მინაწერის გაკეთება; ერთობლივი კითხვა; ერთობლივი წერა.	მასწავლებლის მიერ ხმამაღლა წაკითხვა და საუბარი წაკითხულის შესახებ; ერთობლივი კითხვა; ენობრივი პრაქტიკა; ერთობლივი წერა; ტექსტის დაშლა წინადადებებად და სიტყვებად; ტექსტის აწყობა წინადადებებით და წინადადების აწყობა სიტყვებით; სიტყვების დაშლა მარცვლებად და ასო-ბგერებად; სიტყვების აწყობა მარცვლებით და ასო-ბგერებით. ცნობადი/ხშირი სიტყვების ცნობა; ანბანური თამაშები; სიტყვების დეკოდირების თამაშები; მარტივად დეკოდირებადი ტექსტების წაკითხვა.	მცირე ზომის ტექსტების კითხვა; კითხვის საბაზისო სტრატეგიების (წინარე ცოდნის გააქტიურება, ვარაუდების გამოთქმა, წაკითხულზე მსჯელობა) მოდელირება და მართული პრაქტიკა; მართული კითხვის აქტივობა; დამოუკიდებელი კითხვის ბლოკი; ლექსიკურ ერთეულებთან მუშაობისა და გაგება-გააზრების საწყისი სტრატეგიების მინი-სესიები; კონტექსტის გამოყენებით სიტყვის ცნობის სტრატეგიის სწავლება; ხმამაღლა ფიქრი; დამოუკიდებლად წერა.
რესურსები	თვალსაჩინოებები (პოსტერები, სურათები, დიდი წიგნები, სათამაშოები, საყოფაცხოვრებო ნივთები და სხვ.); სურათიანი ბარათები; ხელის თოჯინები; ნახატები და გასაფერადებლები; სიტყვების კედელი.	დიდი წიგნები; პატარა, ილუსტრირებული საკითხავი წიგნები; კლასში შექმნილი ტექსტები; თემატური პოსტერები; სიტყვების კედელი; სიტყვების ლოტო; სიტყვის ბარათები; ასაწყობი წიგნები; სიუჟეტური ბარათები; მოძრავი ანბანი; დომინო და ლოტო; „ბუკის“ თამაშები.	სხვადასხვა ტიპისა და სირთულის ტექსტები/წიგნები; საკლასო ბიბილიოთეკა; ელექტრონული ბიბლიოთეკა; მოსწავლეების მიერ შექმნილი წიგნები; აუდიოტექსტები; სიტყვების კედელი.

მიუხედავად იმისა, თუ კითხვის სწავლების რომელ მიდგომას ემხრობიან სკოლის მასწავლებლები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ჩატარდეს დიაგნოსტიკური კვლევა, რომელიც გამოავლენს თითოეული მოსწავლის წიგნიერების ინდივიდუალურ პროფილს. კითხვის სწავლებისას მასწავლებლის უპირველესი მოვალეობაა, შეარჩიოს კითხვის სწავლების მიდგომა ისე, რომ გარკვეულწილად მისცეს მოსწავლეებს საშუალება, აირჩიონ მათთვის ყველაზე მოსახერხებელი სტრატეგია. ასე კითხვა გახდება სასიამოვნო აქტივობა როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლებისთვის.

ცნობადი სიტყვების სწავლება

სიტყვების სწორად დეკოდირება დიდი კოგნიტური ძალისხმევის გარეშე მნიშვნელოვან საფუძველს უქმნის მათ ავტომატურად, გაწაფულად წაკითხვას. არსებობს სიტყვების კორპუსი, რომელთა მყისიერი ამოცნობა (ასო-ბგერებად დანაწევრების გარეშე), დიდ დახმარებას უწევს მოსწავლეს კითხვის სწავლის გზაზე. ესაა ე. წ. „ცნობადი სიტყვები“, რომლებიც ძალიან ხშირად გვხვდება ზეპირმეტყველებასა და დაწერილ ტექსტებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცნობადია სიტყვა, რომელსაც მოსწავლე ნაწერ ტექსტში მყისიერად აღიქვამს და ავტომატურად ცნობს. ცხადია, ცნობადი სიტყვების უმრავლესობა ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვებია. მაგალითად, სიტყვები „და“ და „არ“ ყველაზე ხშირად გვხვდება ნებისმიერი ტიპის, შინაარსისა და სირთულის ტექსტში.[1]

ცნობადი სიტყვებია ის ნაცვალსახელები, კავშირები, არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები და ზმნები, რომლებიც დაწერილი ტექსტების საკმაო ნაწილს შეადგენს. ბევრი მათგანის სწავლება, როგორც წესი, ძნელია გათვალსაჩინოებით. მაგალითად, წარმოიდგინეთ, როგორ აუხსნიდით ბავშვს ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა: „რომ“, „ხან“, „უნდა“ და სხვ.

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ცნობადი სიტყვები მოსწავლისთვის თავიდანვე არაა ცნობადი და ვერც გახდება, სანამ ტვინი ბევრჯერ არ აღიქვამს და „გონებრივ ლექსიკონში“ არ გადაიტანს მათ. ამ სიტყვებზე მუშაობას სპეციალური ძალისხმევა სჭირდება. შესაძლოა, ცნობად სიტყვად გადავუქციოთ მოსწავლეს სიტყვა „ეგების“ ანდა „იავარქმნა“. რამდენად სასარგებლო იქნება დამწყები მკითხველისთვის ამ სიტყვების ცნობა? სად შეხვდება ან რამდენად ხშირად შეხვდება ის მსგავს სიტყვებს? შესაბამისად, უნდა ვეცადოთ, რომ ცნობადი სიტყვების სიმრავლე უმეტესწილად ემთხვეოდეს ხშირი სიტყვების სიმრავლეს.

მშობლიურ ენაზე ბავშვები ცნობადი და ხშირი სიტყვების გარკვეულ ნაწილს სკოლამდელ ასაკში ეცნობიან. მეორე ენის შემსწავლელი ბავშვების უმრავლესობა კი ამ სიტყვებს სკოლაში ითვისებს. ამიტომ საჭიროა, რომ მასწავლებელმა სათანადო დრო და რესურსი გამოყოს ცნობადი და ხშირი სიტყვების სწავლებისათვის. ამ მიზნის მიღწევაში გვეხმარება მრავალფეროვანი, სახალისო, ეფექტური მეთოდები და სტრატეგიები.

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში ჩატარდა სახელმძღვანელოებისა და სხვადასხვა საბავშვო ტექსტის ანალიზი, რომლის საფუძველზეც გამოიყო ცნობადი და ხშირად გამოყენებული სიტყვების სია. თუ სიაში ჩავიხედავთ, ადვილად აღმოვაჩენთ, რომ ცნობადი სიტყვების საკმაო ნაწილი ერთგვარი „წებოვანი სიტყვებია“ (მაგ., რომ, და, თუ, არ...). ისინი წინადადების ნაწილებს შორის აზრობრივი კავშირის დასამყარებლად, მათ ერთმანეთზე გადასაბმელად გამოიყენება. ამ სიტყვების ცალ-ცალკე სწავლა ბავშვისთვის ადვილი არ არის ერთი მარტივი მიზეზით: მათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნიათ. მეორე მხრივ, ხშირად გამოყენებულ სიტყვებს შორის ისეთი სიტყვებიც გვხვდება, რომლებიც კონკრეტული მნიშვნელობის მატარებელია (მაგ., სახლი, დედა, უთხრა...).

სასურველია, მოსწავლეებმა ყურადღება გაამახვილონ ამ სიტყვების გარეგნულ მხარესა და მოყვანილობაზე, მრავალჯერადი დანახვა-აღქმის გზით ჩაიბეჭდონ ისინი მეხსიერებაში. ვინაიდან ეს სიტყვები მთლიანი ტექსტის საკმაო ნაწილს იკავებს, მათი ავტომატურად და მთლიანად აღქმა საგრძნობლად გააადვილებს მოსწავლეთა კითხვაში გაწაფვას.

[1] სიტყვების სიხშირე განისაზღვრა საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში ჩატარებული ტექსტების ანალიზის შედეგად ტექსტის პარამეტრების დამთვლელი სპეციალური პროგრამის – WordCalc – გამოყენებით.

რატომ არის საჭირო ცნობადი და ხშირი სიტყვების სწავლება?

1. ცნობადი სიტყვების ცოდნა ზრდის მკითხველის თვითრწმენას. არ უნდა დავივიწყოთ თავდაჯერებულობის მნიშვნელოვანი როლი სწავლის პროცესში. მოსწავლეები ბევრად უკეთ იძენენ ცოდნას, თუკი სჯერათ საკუთარი შესაძლებლობების. პატარები საკმაოდ გონებაგამჭრიახნი არიან! ყოველთვის როდი იჯერებენ ჩვენს ნათქვამს, რომ შეძლებენ დავალების შესრულებას. მათ თავად უნდა ირწმუნონ, რომ შესწევთ საამისო უნარი. ცნობადი სიტყვების სწრაფად წაკითხვა კი პატარა მკითხველს საკუთარ უნარიანობას უდასტურებს. როცა დამწყები მკითხველი დაინახავს ბევრ ნაცნობ სიტყვას ტექსტში, იგი მეტი თავდაჯერებულობით შეუდგება და გააგრძელებს კითხვას.

2. ცნობადი სიტყვები გამოათავისუფლებს ბავშვის ენერგიას უფრო რთულ და უცხო სიტყვებთან სამუშაოდ. კითხვა საკმაოდ მძიმე შრომაა! გაწაფული მკითხველი ხშირად ვერ აღიქვამს რამხელა ენერგიასა და კონცენტრაციას მოითხოვს უცნობი სიტყვებით სავსე ტექსტის წაკითხვა. როცა ბავშვებს წინადადებაში თითოეული სიტყვის დეკოდირება უწევთ, ისინი ფრუსტრაციას განიცდიან და ტექსტის შინაარსსაც ვეღარ იაზრებენ. სიტყვების სწორად წარმოთქმას იმდენად დიდ ყურადღებას უთმობენ, რომ მნიშვნელობის აღქმა უძნელდებათ. როცა ბავშვებს ეცოდინებათ ხშირი, ცნობადი სიტყვები, მხოლოდ ახალი და რთული სიტყვების დეკოდირებისთვის მოუხდებათ შეყოვნება.

3. ცნობადი სიტყვები გასაღებია წინადადების შინაარსის გასაგებად. ცნობად სიტყვებს, რომელთაგან ბევრი 6 ასოზე ნაკლებს შეიცავს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტექსტში. საბავშვო წიგნებში ტექსტს თან ახლავს ხოლმე ილუსტრაციები, მაგრამ ჩვენი მთავარი მიზანია, დამწყებმა მკითხველებმა ძირითადად სიტყვების წაკითხვითა და გააზრებით შეძლონ ტექსტის შინაარსის გაგება. ცნობადი სიტყვები ერთგვარი გასაღებია, რომელიც ეხმარება ბავშვს წასაკითხი ფრაზის ან წინადადების მნიშვნელობის გააზრებაში.

4. ცნობადი სიტყვები საფუძველს ქმნის ახალი, უფრო რთული სიტყვების წაკითხვისთვის. ქართულ ენაში მრავალი ისეთი სიტყვის ფორმაა, რომლის დეკოდირებას პატარა მკითხველი ადვილად ვერ ახერხებს. ბევრი მათგანი ხშირად გვხვდება ტექსტებში. მაგ., სიტყვები „მათი“, „გავიდა“, „დიდმა“, ჩვეულებრივ, მეორდება საბავშვო მოთხრობებში. სასურველია, რომ ამ სიტყვების წაკითხვისას ბავშვი უკვე ცნობდეს სიტყვებს „მათ“, „წავიდა“, „დიდი“, რადგან ეს უთუოდ დაეხმარება დეკოდირებასა და გააზრებაში. ეს და კიდევ ბევრი სხვა ცნობადი სიტყვა აუცილებლად უნდა ვასწავლოთ დამწყებ მკითხველებს, რათა მათ მყისიერად, ძალისხმევის გარეშე შეძლონ სიტყვების ამოცნობა და გაგება.

5. ცნობადი სიტყვები ხელს უწყობს ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება-სწავლას. ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ქართული ენის პრაქტიკული გამოყენებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაა. ცნობადი სიტყვების შესწავლა დიდ დახმარებას უწევს მოსწავლეებს, ვინაიდან ბევრი ცნობადი სიტყვა ძალიან ხშირად გვხვდება როგორც საბავშვო მოთხრობებში, ასევე ყოველდღიურ საუბრებში. ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების დროს უაღრესად მომგებიანია ყურადღების გამახვილება ცნობად სიტყვებზე. გარდა ამისა, ფორმის ცვლილებები, რომელთაც განიცდის „ხშირი“ ზმნები (მაგალითად, **ყოფნა ან თქმა**) არ ემორჩილება მკაცრად განსაზღვრულ წესებს, მათი უღლების შესასწავლად ყველაზე ეფექტური გზა დამახსოვრებაა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ცნობადი სიტყვების ცოდნა მეტად სასარგებლოა კითხვაში გაწაფვისა და წაკითხულის უკეთ გააზრებისთვის. თუ ბავშვებს ვასწავლით ცნობადი სიტყვების მყისიერად ამოცნობას, მათ შესაძლებლობა ექნებათ, მეტი ენერგია გამოყონ წაკითხულის შინაარსის გააზრებისთვის, კითხვის სწავლის პროცესი დაჩქარდება და ბავშვებისთვის ბევრად უფრო სასიამოვნო გახდება.

ცნობადი სიტყვების სარეკომენდაციო სია

და, არ, რა, რომ, მე, პატარა, არც, კი, იყო, ძალიან, ერთხელ, ის, მერე, სულ, ერთი, არა, დიდი, თუ, ისევ, დედა, ბიჭი, არის, იცი, უცებ, როგორ, მაგრამ, უნდა, ხარ, ხე, მოდის, აქვს, ეზო, აღარ, ეს, ვარ, ამ, კარგი, აბა, შენ, ერთ, ვერ, მალე, ხომ, უფრო, თქვა, ბებია, დღეს, ხმა, ჰკითხა, ახლა, ვინ, აი, ისე, ბოლოს, მამა, რას, აქ, თავისი, ჩემი, უპასუხა, წყალი, კარგად, მოდი, ხან, იქ, რაც, შენი, კიდევ, ერთად, მას, ნუ, ბევრი, რატომ, ორი, ჩვენ, გზა, მაქვს, წავიდა, მეორე, კაცი, ან, იქით, აქეთ, თავი, პური, პაპა, ყველა, ლამაზი, გული, სად, ტყე, ჯერ, მინდა, ცივა, ცხელა, როცა, ასე, შინ, წვიმა, კატა, ხელი, მზე, ყველი, უთხრა, მეც, შემდეგ, თურმე, მხოლოდ, დილა, თვალი, იგი, სიტყვა, ეგ, როგორი, იმიტომ, ბაბუა, თქვენი, პირველი, რომელი, მიერ, გინდა, რამდენი, მათ, შენც, ამის, შავი, რის, შვილი, ხილი, მისი, ვის, სხვა, როდის, იდგა, ქუდი, თან, ჰქვია, იმ, მაინც, რაღაც, ქვეშ, ცოტა, ამიტომ, ჩიტი, ჩვენი, მთელი, მაშინ, ასეთი, ახალი, ძველი, სახლი, მაგიდა, სკამი, ფეხი, მარტო, სადაც, ალბათ.

ანბანისა და სიტყვების წაკითხვის სწავლების აქტივობების შესახებ

ქვემოთ მოცემულია ეფექტური აქტივობების ბანკი ასო-ბგერების შესწავლის, ცნობადი, ხშირი და სხვადასხვა სირთულის სიტყვის დეკოდირების უნარის განვითარებისათვის. აქტივობები სასარგებლოა სიტყვებსა და ასო-ბგერებზე რეგულარული ვარჯიშისთვის, რაც გაწაფული/გამართული კითხვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. აქტივობები ძირითადად პირველ კლასში გამოიყენება, თუმცა თუ ზედა კლასებში დიაგნოსტიკურმა ტესტირებამ სიტყვების წაკითხვის პრობლემა გამოავლინა, მათი ჩატარება შეიძლება მოსწავლეთა ნაწილთან დიფერენცირებული მიდგომით.

მოცემული თამაშები და სავარჯიშოები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ მათ წარმართვას მინიმალური მომზადება და რესურსი ესაჭიროება. აქტივობები სხვადასხვა მიზნით გამოიყენება: ახალი სიტყვების/ასო-ბგერების შესასწავლად, ადრე ნასწავლი სიტყვების/ასო-ბგერების გასამეორებლად, მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად და/ან არაფორმალურად გადასამოწმებლად. მათი ნაწილი შეიძლება ჩატარდეს საკლასო ოთახის გარეთაც, ექსკურსიებსა და სხვა ღონისძიებებზე.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ხშირად ცვალოს თამაშები და სავარჯიშოები. პატარებისთვის დამღლელია ყოველდღიურად და ყოველკვირეულად ერთი და იმავე აქტივობების შესრულება. თამაშის/აქტივობის დაწყებამდე სასარგებლოა მისი მოდელირება, რათა ბავშვებმა გაიგონ, თუ რა უნდა გააკეთონ და როგორ. ამ მიზნით ეფექტურად გამოიყენება ***გათვალსაჩინოებისა*** და ***ხმამაღლა ფიქრის*** მეთოდები. შესაძლებელია ამ აქტივობების მოდიფიცირება, განვრცობა ან სინთეზირება სასწავლო მიზნებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მასწავლებელს შეუძლია თავადაც შექმნას მსგავსი აქტივობები და გაუზიაროს ისინი კოლეგებს.

ანბანისა და სიტყვების წაკითხვის სწავლების აქტივობები შემდეგნაირადაა განაწილებული:

1. ხუთი საბაზისო მეთოდი;
2. ასო-ბგერების შესასწავლი აქტივობები (ბარათებითა და მათ გარეშე);
3. სიტყვების წაკითხვის სწავლების აქტივობები (ბარათებითა და მათ გარეშე).

აქტივობების ნუმერაცია პირობითია და არ გულისხმობს, რომ მასწავლებელმა მათი გამოყენებისას რაიმე რიგითობა უნდა დაიცვას (მაგ., ჯერ სიტყვების აქტივობები, შემდეგ – ასო-ბგერათა ან პირიქით.). მასწავლებელმა საგაკვეთილო მიზნებისა და მოსწავლეთა შესაძლებლობების/ინტერესების გათვალისწინებით ხშირად უნდა ცვალოს მათი თანმიმდევრობა (მაგ., ერთობლივი წერის პროცესში ჩართოს აქტივობები სიტყვების/ასოების ბარათების გამოყენებით. ბარათებზე უნდა

ეწეროს სწორედ ის სიტყვები/ასოები, რომლებიც ერთობლივი წერის დროს შექმნილ ტექსტშია გამოყენებული.).

აქტივობების ჩასატარებლად სხვადასხვა ტიპისა და ზომის (დიდი ან პატარა) ბარათებია საჭირო, კერძოდ:

- ასო-ბგერის ბარათები;
- ბარათები მხოლოდ სურათებით (სურათიანი ბარათები);
- ბარათები სურათებითა და სიტყვებით (ორმაგი ბარათები);
- ბარათები მხოლოდ სიტყვებით (სიტყვის ბარათები).

ვინაიდან ასო-ბგერისა და სიტყვის ბარათების დამზადება ადვილია და დიდ ხარჯს არ მოითხოვს, შესაძლებელია, რომ მასწავლებლებმა თავადაც შექმნან ისინი.

ძირითადი მეთოდური რეკომენდაციები ბარათებით მუშაობისთვის

- ითამაშეთ სიტყვებით. თამაშით სწავლის დროს ბავშვები დიდ წარმატებებს აღწევენ. სიტყვებით თამაში საუკეთესო შედეგებს იძლევა!
- არასოდეს დაგავიწყდეთ, რომ ცნობადი და ხშირი სიტყვების ბარათებით მნიშვნელოვან მიზანს ვაღწევთ: ბავშვს დიდ ნაბიჯებს ვადგმევინებთ გაწაფული/გამართული კითხვისკენ და გაგება-გააზრებისკენ.
- ბავშვის საკუთარი სახელი საუკეთესო რესურსია კითხვისა და წერის საწყისი უნარების გასავითარებლად. ჩაატარეთ ისეთი თამაშები და აქტივობები, რომლებიც ბავშის მიერ საკუთარი სახელის დეკოდირებას ან დაწერას მოითხოვს.
- გამოიყენეთ სიტყვის ბარათები ყოველდღიურად. რეგულარული ვარჯიში კარგად განამტკიცებს სიტყვების ავტომატურად ცნობის უნარს.
- პერიოდულად მიეცით ბავშვებს შესაძლებლობა, რომ თვითონ მოიფიქრონ სიტყვებზე თამაშები ან მათი ვარიაციები. მაგალითად, სთხოვეთ თვითონ შემოგთავაზონ, რა ნიშნით დააჯგუფოთ ან მოძებნოთ სიტყვები.
- პერიოდულად მიანიჭეთ ბავშვებს მასწავლებლის როლი. სთხოვეთ გაუძღვნენ სიტყვების აქტივობებს და თამაშებს. თქვენ დარწმუნდებით, რომ ასეთ მიდგომას საუკეთესო შედეგი მოაქვს.

ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებისთვის

მოსწავლეებისთვის, რომელთათვისაც ქართული მშობლიური ენა არაა, ამ თავში წარმოდგენილი აქტივობების გამოყენება საჭიროა მეორე და მესამე კლასებშიც. ზოგადადაც, მეორე-მეოთხე კლასებში სიტყვის ბარათების გამოყენებაზე დაფუძნებული აქტივობების ჩატარება სასურველია ახალი ან რთული სიტყვების გამოყენებით. აგრეთვე:

- ასოებისა და სიტყვების სწავლებისთვის გამოიყენეთ ავთენტური კონტექსტი. სწავლება დააფუძნეთ რეალურ ნივთებსა და საგნებზე, კომუნიკაციურ სიტუაციებზე.
- გამოიყენეთ თემატურ სასაუბრო პოსტერებზე ასახული სიტყვები.
- მოსწავლეს უნდა ესმოდეს თითოეული სიტყვის მნიშვნელობა, რომელიც გამოიყენება ანბანისა და სიტყვების სწავლებისას. ეს სიტყვები დამუშავებული უნდა იყოს ზეპირმეტყველებაშიც – მოსწავლეს უნდა შეეძლოს მათი სწორად აღქმა და წარმოთქმა.

- ნებისმიერი აქტივობა დააფუძნეთ თქვენი მოსწავლეების ლექსიკურ და ენობრივ კომპეტენციებზე. არ შეგაშინოთ იმან, რომ ზოგიერთი აქტივობის ჩატარებისას მოსწავლეებმა ქართულ ენაზე შეიძლება ვერ შემოგთავაზონ ვრცელი, შინაარსიანი და გამონათქვამები.
- არ მოგერიდოთ უცნობი ლექსიკური ერთეულებისა და ენობრივი კონსტრუქციების ზომიერად, მიზანმიმართულად გამოყენება.
- უხვად მიმართეთ ილუსტრირებას, არ დაიზაროთ დემონსტრირებები.
- ითანამშრომლეთ მშობლიური ენის მასწავლებელთან. სთხოვეთ, მშობლიური ენის გაკვეთილზე დაამუშაონ ის თემატიკა (მაგალითად, წითელქუდას ამბავი ანდაც კომბლეს ზღაპარი), რომლის „გავლასაც“ თქვენ აპირებთ მომავალ კვირას.

ანბანისა და სიტყვების წაკითხვის სწავლების მეთოდები/აქტივობები

ხუთი საბაზისო მეთოდი

საჩვენებელი სამოდელო კითხვა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

საჩვენებელი კითხვა (მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისათვის ხმამაღლა კითხვა) არის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო მეთოდი, რომელიც მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს მოსწავლეთა წიგნიერების განვითარებისათვის. როდესაც მოსწავლეები უსმენენ, როგორ კითხულობს მასწავლებელი ხმამაღლა, მათ უვითარდებათ წიგნიერებისათვის საჭირო უმნიშვნელოვანესი უნარები, უმაღლდებათ კითხვის მოტივაცია. ისინი იწყებენ იმის გააზრებას, რომ კითხვა არის ახალი ინფორმაციის მოპოვების, სწავლისა და სიამოვნების მიღების საშუალება. გაწაფული, ბგერების სწორად და მკვეთრად გამოთქმით კითხვა ამდიდრებს მსმენელის ლექსიკონს. ხმამაღლა წაკითხული წიგნების მოსმენა და მათ შესახებ საუბარი მოსწავლეებს უვითარებს ზეპირმეტყველების უნარს, ეხმარება გაგება-გააზრების იმ სტრატეგიების ჩამოყალიბებაში, რომელთა გამოყენება მათ თავადაც შეუძლიათ კითხვის დროს (მაგ., მთავარი აზრისა და დამხმარე დეტალების აღმოჩენა, ვიზუალიზება, პირად გამოცდილებასთან დაკავშირება და სხვ.). საჩვენებელი კითხვის გამოყენებით მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის ტექსტების სტრუქტურას.

საჩვენებელი კითხვის მნიშვნელოვანი ნაწილია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ვერბალური ინტერაქცია. მასწავლებლის კომენტარები და შეკითხვები ტექსტის წაკითხვამდე და წაკითხვის შემდეგ, ასევე, პერიოდულად, წაკითხვის პროცესში მის მიერ ხმამაღლა ფიქრის მეშვეობით კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის დემონსტრირება მნიშვნელოვნად ეხმარება მოსწავლეებს ტექსტის გაგება-გააზრებაში.

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი ან მცირე ჯგუფი

რესურსი: *მოსწავლეების ცოდნის შესაბამისი დონის მხატვრული ან საინფორმაციო ტექსტი.*

მსვლელობა

საფეხური 1. წასაკითხი წიგნის/ტექსტის წინასწარი მიმოხილვა. უშუალოდ კითხვის პროცესზე გადასვლამდე მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს წასაკითხი წიგნის სათაურს, აჩვენებს ყდას, ილუსტრაციებს და წარმართავს ხანმოკლე საუბარს მოსწავლეთა მოლოდინებისა და შთაბეჭდილებების შესახებ.

საფეხური 2. საჩვენებელი კითხვა. მასწავლებელი კითხულობს ტექსტს ხმამაღლა, მკაფიოდ, გამომეტყველებით. გზადაგზა ჩერდება, სვამს წაკითხულ მონაკვეთთან დაკავშირებულ შეკითხვებს, განმარტავს ბუნდოვან სიტყვებსა და ფრაზებს, გამოათქმევინებს მოსწავლეებს ვარაუდებს და ა.შ. ამგვარად კითხულობს მასწავლებელი მთელ ტექსტს.

შენიშვნა: კითხვის დასრულების შემდეგ საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი ხელახლა უკითხავს მოსწავლეებს ტექსტს, კვლავ ჩერდება მონაკვეთების წაკითხვის შემდეგ, ცვლის შეკითხვებს და ეხმარება მოსწავლეებს, უფრო სიღრმისეულად დაუკვირდნენ ტექსტის დეტალებს.

საფეხური 3. წაკითხული ტექსტის შეჯამება. მომდევნო ეტაპზე მოსწავლეები გადმოსცემენ წაკითხულს (ხატვით, ზეპირად ან წერილობით, საჭიროების მიხედვით). მუშაობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად საუბრობს მათ ნამუშევრებზე და შეკითხვების მეშვეობით წარმართავს ტექსტის შესახებ მსჯელობას/დისკუსიას.

ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებისთვის

L1 L2

საჩვენებელი კითხვის როლი და მნიშვნელობა იზრდება ქართულის, როგორც მეორე ენის შემსწავლელი პატარებისთვის. ისინი დამატებით სარგებელს იღებენ, რადგან ივითარებენ ფონოლოგიურ უნარ-ჩვევებსაც, ეჩვევიან ქართული ენისათვის დამახასიათებელ ინტონაციას, სპეციფიკური ბგერების ჟღერადობას, იმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს.

ამ აქტივობის ჩატარებისას უმნიშვნელოვანესია სამი რამ: 1. ადეკვატური სირთულის ტექსტი; 2. მკაფიო, მეტყველი ილუსტრაციები; 3. გამომსახველობითი და სათანადო მიმიკა-ჟესტიკულაციით წაკითხვა.

არ უნდა შეიზღუდოს მოსწავლეთა მიერ მოსაზრებების გამოთქმა, ემოციების გამომჟღავნება და კომენტარების გაკეთება მშობლიურ ენაზე. მეტიც, მასწავლებელმა საშუალება უნდა მისცეს „მიმხვედრ“ მოსწავლეებს საჭირო განმარტებებიც გააკეთონ მშობლიურ ენაზე.

გარდა მარტივი ენით დაწერილი ტექსტებისა, შესაძლებელია მოსწავლეთათვის უკვე ნაცნობი (ოჯახიდან, მშობლიური ენის გაკვეთილებიდან და სხვ.) ზღაპრებისა და ამბების ადაპტირებული ვერსიების წაკითხვა. მაგალითად, ყველასათვის ნაცნობი „წითელქუდას“ ტექსტის ადაპტირება, შემოკლება.

საჩვენებელი/სამოდელო წერა

მეთოდის/აქტივობის შესახებ



საჩვენებელი წერის გამოყენებით მასწავლებელი მთელი კლასის წინაშე ახდენს წერის რომელიმე კონკრეტული ასპექტის დემონსტრირებას და ყურადღებას ამახვილებს ტექსტის ჟანრზე, ფორმატზე, სტრუქტურაზე და სხვ. მეთოდი აქტიურად გამოიყენება მანამ, სანამ მოსწავლეები გაიწაფებიან წერის სტრატეგიების გამოყენებაში და შეძლებენ დამოუკიდებლად წერას. მასწავლებელი წინასწარ გეგმავს წერის პროცესს მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე. ტექსტი, რომელიც მასწავლებელმა დაფაზე/ფორმატზე უნდა დაწეროს საჩვენებელი წერის დროს, გაკვეთილზევე იქმნება ბავშვებისა და მასწავლებლის მიერ. მნიშვნელოვანია, რომ ტექსტის თემატიკა იყოს მოსწავლეებისთვის ავთენტური, ეყრდნობოდეს მათ წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რათა ბავშვებს გაუადვილდეთ შექმნის პროცესში ჩართვა. მასწავლებელს მწერლის როლი აქვს მორგებული. იგი ხმამაღლა ფიქრის მეშვეობით ახდენს იმ ნაბიჯების დემონსტრირებას, რომელთაც ავტორი გადის წერის პროცესში (მაგ., იდეების გენერირება, ფიქრებისა და ემოციების გადმოცემისათვის შესაფერისი ფორმის შერჩევა, წინარე ცოდნის გააქტიურება და სხვ.). წერის დროს ამა თუ იმ სიტყვის სწორად შერჩევისას, გრამატიკის/მართლწერის წესების გამოყენებისას მასწავლებელი ხმამაღლა ფიქრით განმარტავს თავის ქმედებებს. წერის პროცესში იგი აქტიურად იყენებს საკლასო რესუსებს (სიტყვების კედელი, ლექსიკონი და სხვ.)

მასწავლებელზე დაკვირვებისას მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ მწერლებმაც შეიძლება დაუშვან შეცდომები, რომ წერის პროცესში ნამუშევარი შეიძლება არაერთხელ შეიცვალოს და/ან ჩასწორდეს.

სასურველია, საჩვენებელი წერა გაკვეთილის ყოველდღიურ, 10-წუთიან ნაწილს შეადგენდეს. მისი გამოყენება შესაძლებელია მოსწავლეებთან 5-6 წლის ასაკიდან და ზევით.

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი

რესურსი: დაფა და ცარცი/დიდფორმატიანი ქაღალდი და მარკერი.

მსვლელობა

საფეხური 1. წერის მიზნის გაცნობა. მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს, თუ რის შესახებ მოუწევთ მათ წერა (მაგ., საყიდლების სიის შედგენა).

ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს უფრო მარტივი თემა, მაგ., „ჩვენი კლასი“.

საფეხური 2. წინარე ცოდნის გააქტიურება. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გამოთქვან მოსაზრებები დასახელებულ თემასთან დაკავშირებით (მაგ., როგორ ადგენენ მათი მშობლები საყიდლების სიას, რას ყიდულობენ სხვადასხვა მაღაზიაში და ა.შ.).

როგორია ჩვენი საკლასო ოთახი, რა დგას აქ, რამდენი გოგოა და რამდენი ბიჭი და ა.შ.

საფეხური 3. საჩვენებელი წერა. მასწავლებელი წერს ტექსტს დაფაზე, გზადაგზა ხმამაღლა ფიქრის მეშვეობით აღწერს წერის პროცესს და განმარტავს, როგორ უნდა შეარჩიოს დასაწყისისა და დასასრულის წინადადებები ან ესა თუ ის სიტყვა, როგორ უნდა იყოს ტექსტი სტრუქტურირებული (მაგ., როგორ უნდა შედგეს საყიდლების სია, რაში ეხმარება ამ სიის ჩამოწერა, რა პროდუქტები უნდა იყიდოს ამჯერად და სხვ.).

რამდენი მოსწავლეა, რა ფერის კედლებია, რა ჩანს ფანჯრიდან და სხვ.

საფეხური 4. ტექსტის გადახედვა/რედაქტირება. მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს ტექსტს, რათა ჩაასწოროს შეცდომები, შეავსოს ან ამოიღოს ზედმეტი მონაკვეთები, გზადაგზა ხმამაღლა ფიქრის მეშვეობით განმარტავს თავის ნაბიჯებს.

საფეხური 5. გაზიარება/პრეზენტაცია. მასწავლებელი დაკიდებს ტექსტს თვალსაჩინო ადგილას, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ მისი წაკითხვის საშუალება.

ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებისთვის

ქართულის, როგორც მეორე ენის გაკვეთილზე კარგი იქნება, თუ ერთი და იგივე თემატიკა და ტექსტიც კი რამდენჯერმე გამეორდება. ანუ მასწავლებელი, მაგალითად, ტექსტს „ჩვენი კლასი“ ერთი ან ორი კვირის შემდეგ მეორედაც დაწერს. მეორე ენის შემსწავლელებისთვის მეორედ თვალყურის დევნება გაცილებით „ორიენტირებული“ და ინფორმაციული იქნება. ამასთან, შესაძლოა, გარკვეული შედარების საშუალებაც წარმოიქმნას, თუ მეორე ტექსტის დაწერისას განსხვავებული სიტუაცია იქნება საკლასო ოთახში (მაგალითად, დგას არა 12, არამედ 13 მერხი.).

ერთობლივი კითხვა და მისი ვარიაციები

მეთოდის/აქტივობის შესახებ

ერთობლივი კითხვა საუკეთესო მეთოდია გაწაფული კითხვის საბაზისო უნარების გასავითარებლად, რაც ხელს უწყობს ტექსტების შეგნებულად წაკითხვას. ეს არის დამწყებ მკითხველებთან სამუშაო მეთოდი, რომელიც ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში მასწავლებელი საჩვენებელი კითხვით აცნობს ტექსტს მოსწავლეებს, ხოლო მეორე ნაწილში კითხვის პროცესში მოსწავლეებიც ერთვებიან. სასურველია, რომ მასწავლებელმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭოს ამ მეთოდის სისტემატურ გამოყენებას. ერთობლივი კითხვისათვის გამოიყენება როგორც მხატვრული, ისე საინფორმაციო ტიპის ტექსტები. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ტექსტები იყოს მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისი სირთულის, რათა ბავშვებში დემოტივაცია და იმედგაცრუება არ გამოიწვიოს.

მუშაობის ფორმა: მცირე ჯგუფები, მთელი კლასი

რესურსი: დიდი წიგნი/დიდფორმატიან ქაღალდზე, პოსტერზე ან დაფაზე დიდი ასოებით დაწერილი ტექსტი/პროექტორით გაშვებული ელექტრონული წიგნი.

მსვლელობა

საფეხური 1. წიგნისა და ილუსტრაციების წინასწარი მიმოხილვა. მასწავლებელი წარუდგენს მოსწავლეებს წიგნს (ტექსტს), გააცნობს სათაურსა და ავტორს, მიმოიხილავს ყდასა და წიგნში არსებულ ილუსტრაციებს. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს, თუ რის შესახებ შეიძლება იყოს ტექსტი. შესაძლებელია, მასწავლებელმა წინასწარ გააცნოს ბავშვებს ტექსტში არსებული უცნობი ლექსიკური ერთეულები, გამოათქმევინოს მათი მნიშვნელობების შესახებ ვარაუდები და მათი პასუხები ჩაინიშნოს დაფაზე, მოგვიანებით კი მოსწავლეები მიაბრუნოს სიტყვების განმარტებებთან და დაეხმაროს მათ, კონტექსტური გასაღებების მეშვეობით დაადგინონ/გადაამოწმონ სიტყვების მნიშვნელობები.

საფეხური 2. საჩვენებელი კითხვა. მასწავლებელი საჩვენებელი კითხვის მეთოდის გამოყენებით ხმამაღლა და მკაფიოდ რამდენჯერმე უკითხავს მოსწავლეებს ტექსტს და კითხვისას ხელს გააყოლებს სიტყვებს.

საფეხური 3. ერთობლივი კითხვა – მოსწავლე და მასწავლებელი. მასწავლებლის მიერ საჩვენებელი წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები მას გუნდურად აჰყვებიან იმ სიტყვებისა და ფრაზების წაკითხვისას, რომელთაც უკვე ცნობენ. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ხმამაღლა კითხულობს ტექსტს.

საფეხური 4. ერთობლივი კითხვა დამოუკიდებლად. მოსწავლეები ერთობლივად, მასწავლებლის ჩარევის გარეშე კითხულობენ ტექსტს (ზოგჯერ მასწავლებელი ხელს გააყოლებს წასაკითხ სიტყვებს).

მნიშვნელოვანია, რომ ეს აქტივობა რამდენჯერმე გამეორდეს, ოღონდ იმგვარად, რომ მოსწავლეებისთვის სახალისო იყოს. ამისათვის მასწავლებელმა მარტივი, სახალისო მახასიათებლებით უნდა შეარჩიოს მკითხველები ყოველი მომდევნო წაკითხვისას (მაგ., წაიკითხონ მათ, ვისაც უყვარს შოკოლადი; მათ, ვისაც აქვთ ყავისფერი თვალები და სხვ.).

საფეხური 5. განვრცობის აქტივობები. მოსწავლეები ასრულებენ მრავალფეროვან დავალებებს ტექსტის გარშემო. ეს შეიძლება იყოს საყვარელი მონაკვეთის ან კონკრეტული აბზაცის ილუსტრირება, „დამალული“ სიტყვების გახსენება კონტექსტის მიხედვით, არეული წინადადებებისა და სიტყვების დალაგება და სხვ.

ერთობლივი კითხვის ვარიაციები

გუნდური კითხვა: მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად კითხულობენ ტექსტს. კითხვის პროცესში მასწავლებელი ხელის/ჯოხის გამოყენებით მიუთითებს წასაკითხ სიტყვებს.

ექოს ტიპის კითხვა: მასწავლებელი კითხულობს ერთ წინადადებას. შემდეგ მოსწავლეები ერთხმად კითხულობენ მასწავლებლის მიერ წაკითხულს. ამგვარად იკითხება მთელი ტექსტი.

ქოროს ტიპის კითხვა: მასწავლებელი კლასს ყოფს ორ გუნდად. ტექსტის ერთ წინადადებას კითხულობს ერთი გუნდი, მომდევნო წინადადებას – მეორე გუნდი. ამგვარად, ქოროს პრინციპით, იკითხება მთელი ტექსტი.

რეკომენდაციები დიდი წიგნის შექმნისთვის

- **აიღეთ** მცირე ზომის ტექსტი და დაყავით ნაწილებად (4-6 ნაწილი);
- **ტექსტი** შეიძლება იყოს ერთობლივი წერის პროცესში შეთხზული, ცნობილი ადაპტირებული ზღაპარი, თქვენ მიერ შეთხზული ამბავი;
- **შექმენით წიგნის ყდა.** დახატეთ მასზე საკვანძო ილუსტრაცია, რომელიც საშუალებას მისცემს პატარებს გამოთქვან ვარაუდები წიგნის შინაარსის შესახებ. დააწერეთ სათაური და ავტორი. კარგი იქნება თუ გამოცემის წელს და „გამომცემლობასაც“ მიუთითებთ;
- წიგნის თითოეულ განშლაზე უნდა იყოს ილუსტრაცია და ტექსტი. გაითვალისწინთ, ასოების ზომა უნდა იყოს დაახლოებით 6-8 სმ, საკლასო ოთახის ბოლოდანაც რომ ადვილად იკითხებოდეს;
- სასურველია, ტექსტი არ იყოს გადატვირთული რთული სიტყვებითა და გრძელი წინადადებებით. კარგი იქნება, თუ გამოყენებული იქნება ხშირი და ცნობადი სიტყვები, შორისდებულები, ასოთა დუბლირებები (მაგ., ჩუუუუ! ფრრრრრრ!);
- ყურადღება მიაქციეთ ასოებსა და სიტყვებს შორის დაშორებებს და ასოების მოხაზულობას, რომ ტექსტი თვალისთვისაც ადვილად აღსაქმელი იყოს.

ერთობლივი წერა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

ერთობლივი წერა წერის სწავლების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდია. ეს არის შუალედური რგოლი საჩვენებელ წერასა (მასწავლებლის მიერ წერის მოდელირება) და მოსწავლის მიერ დამოუკიდებლად წერას შორის. ერთობლივი წერის პროცესში მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეებს და ითვალისწინებს, თუ რა სახის დახმარება ესაჭიროება თითოეულ ბავშვს წერის უნარის გასაუმჯობესებლად.

მასწავლებელი დაფაზე/ფორმატზე წერს ტექსტს და, ამავე დროს, მოსწავლეებს აქტიურად რთავს როგორც უშუალოდ წერის პროცესში, ასევე ტექსტის შედგენასთან დაკავშირებულ დისკუსიაში. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა წინასწარ განსაზღვროს და მოსწავლეებს გააცნოს წერითი აქტივობის მიზანი, ეს ბავშვებს პროცესში ჩართვის უკეთეს შესაძლებლობას მისცემს და მათ მოტივაციას გაზრდის (მაგ., სტატია საკლასო გაზეთისათვის; წესები ახალი თამაშისათვის; სახუმარო ამბავი; საინფორმაციო ტექსტი და სხვ.).

ცალკე უნდა ითქვას წერის დროს ბავშვების მიერ დაშვებულ შეცდომებზე რეაგირების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა თავად კი არ შეასწოროს ეს შეცდომები, არამედ შეკითხვების საშუალებით მიანიშნოს მოსწავლეს და მისცეს შეცდომის დამოუკიდებლად გამოსწორების საშუალება.

მუშაობის ფორმა: ჯგუფები, მთელი კლასი

რესურსი: დაფა და ცარცი/ფორმატი და მარკერი

მსვლელობა

საფეხური 1. წინარე ცოდნის გააქტიურება. საწერი თემის ერთობლივი შერჩევა. წერის დაწყებამდე მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ და შეარჩევენ საკითხს, რომლის შესახებაც სურთ წერა. მასწავლებელი განავრცობს ბავშვების ზოგად/ფონურ ცოდნას და ასევე ენობრივ ცოდნას მათთვის საინტერესო თემასთან ან გამოცდილებასთან დაკავშირებით.

საფეხური 2. მასწავლებელი თავად წერს მთელ ტექსტს დაფაზე/ფორმატზე მოსწავლეების თვალწინ და, ამავე დროს, სთხოვს ბავშვებს, მონაწილეობა მიიღონ წერის პროცესში. მაგალითად, ზოგიერთ მოსწავლეს წერტილს დაასმევინებს, ზოგს ამა თუ იმ სიტყვის ან სათაურის ადგილმდებარეობას შეარჩევინებს, ზოგიერთს ასოს დააწერინებს, ზოგს – მთლიან სიტყვას, ზოგიერთს კი სთხოვს წინადადების განვრცობასა თუ შემოკლებაში დახმარებას.

საფეხური 3. ტექსტის წაკითხვა და შეცდომების ჩასწორება. წერის პროცესის დასრულებამდე მასწავლებელი პერიოდულად თავიდან გადაუკითხავს ტექსტს მოსწავლეებს, რითაც წერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიის მოდელირებასაც აკეთებს მათთვის. ამ პროცესში ის მოსწავლეებს ეკითხება, რამდენად სწორადაა გადმოცემული ტექსტის შინაარსი, რამდენად გამართულია წინადადებები, რა უნდა დაიწეროს შემდეგ და ა.შ. ამავე დროს, მასწავლებელი შეკითხვებისა თუ მინიშნებების, ე.წ. „ხარაჩოების“ მეშვეობით ეხმარება მოსწავლეებს შეცდომების გასწორებაში.

საფეხური 4. შეჯამება. წერის დასრულების შემდეგ მასწავლებელი უკითხავს დასრულებულ მოთხრობას მოსწავლეებს და აძლევს მათ შესაძლებლობას, ზეპირად შეაჯამონ ტექსტი, ისაუბრონ, ერთი მხრივ, რა შეიტყვეს ახალი იმ თემის შესახებ, რაზეც წერდნენ, მეორე მხრივ კი, რა ისწავლეს უშუალოდ წერის პროცესის შესახებ.

სასურველია, ტექსტი გამოიფინოს საკლასო ოთახში და მოსწავლეებს ჰქონდეთ საშუალება, შემდეგი რამდენიმე დღის/კვირის განმავლობაში იკითხონ და გამოიყენონ იგი.

ენობრივი პრაქტიკა ანუ „მასწავლებელი _ კალამი“

მეთოდის/აქტივობის შესახებ

ენობრივი პრაქტიკის მეთოდი არის წიგნიერების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ეფექტური საშუალება, რომელიც ერთდროულად ავითარებს ყველა ენობრივ უნარს: ზეპირმეტყველებას, კითხვასა და წერას. მეთოდის მიხედვით მასწავლებელი დაფაზე თვალსაჩინოდ წერს მოსწავლეების მიერ მოფიქრებულ ტექსტს, რომელსაც შემდეგ ერთობლივად ამუშავებენ. ამრიგად, იგი ოთხი საბაზისო მეთოდის (საჩვენებელი კითხვა, საჩვენებელი წერა, ერთობლივი კითხვა, ერთობლივი წერა) ერთგვარ ნაზავს წარმოადგენს.

მეთოდის სასარგებლო შედეგებს შორის ერთ-ერთი უმთავრესია ნაფიქრსა და დაწერილს შორის კავშირის გაბმა, ასევე, ტექსტის ძირითადი მახასიათებლების გააზრება, რაც მოსწავლეს ეხმარება, გააცნობიეროს კომუნიკაციის საკვანძო ასპექტები. კერძოდ:

- ✓ რასაც ვფიქრობთ, შეიძლება გამოითქვას.
- ✓ რასაც ვამბობთ, შეიძლება დაიწეროს.
- ✓ რაც დაწერილია, შეიძლება წავიკითხოთ.
- ✓ მე შემიძლია წავიკითხო ის, რაც თვითონ დავწერე და, აგრეთვე, ისიც, რაც სხვამ დაწერა ჩემთვის წასაკითხად.

ენობრივი პრაქტიკის გაკვეთილი **მოსწავლეების მიერ მასწავლებლის დახმარებით შედგენილ ტექსტს** ეფუძნება. ასეთი ტექსტები საუკეთესოა პატარა მკითხველების გააქტიურებისათვის. მოსწავლეები თანაავტორის როლს ასრულებენ, შესაბამისად, ტექსტი ნაცნობ ლექსიკურ ერთეულებს შეიცავს და ადვილი გასაგებია ბავშვებისთვის, რაც ზრდის მათ მოტივაციას.

ენობრივი პრაქტიკა ეფექტიანად გამოიყენება წინასაანბანო პერიოდიდანვე, 5-6 წლის ასაკიდან, როდესაც მოსწავლეებს უკვე გამომუშავებული აქვთ მეტყველების უნარები და იწყებენ წერა-კითხვის სწავლას. მეთოდი გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ტექსტების შესაქმნელად. დამწყები მკითხველები ეცნობიან ტექსტის ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა, მაგ., სათაური, აბზაცი, სტრიქონი და ა.შ. იმავდროულად, მოსწავლეებს უვითარდებათ ფანტაზია, ინფორმაციის სტრუქტურირებისა და თხზვის უნარები.

საწყის ეტაპზე მასწავლებელს შეუძლია, ენობრივი პრაქტიკის მეთოდი კარგად გამოიყენოს სხვადასხვა ფუნქციით, მაგალითად, საგანთა კლასიფიკაციისთვის, მარტივი საინფორმაციო ტექსტის შესაქმნელად. III-IV კლასებში ენობრივი პრაქტიკა შეიძლება გამოვიყენოთ მართლწერისა და გრამატიკის სწავლებისათვისაც, ასევე, პრობლემურ მკითხველებთან მუშაობისას.

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი ან ერთი ჯგუფი

რესურსი: დაფა და ცარცი/დიდფორმატიანი ქაღალდი და მარკერი, სასურველია თვალსაჩინოება.

მსვლელობა

საფეხური 1. თემის შერჩევა და მიმოხილვა. მასწავლებელი შესთავაზებს ბავშვებს მათთვის საინტერესო თემას და ეუბნება, რომ მალე ისინი ამ თემაზე ტექსტს/ამბავს/მოთხრობას დაწერენ. მასწავლებელი უძღვება მოსწავლეთა საუბარს შერჩეულ თემაზე. მასწავლებელს შეუძლია:

- ასაუბროს ბავშვები საინტერესო საკლასო ან კლასის გარეთ გამართული აქტივობის შესახებ. ეს შეიძლება იყოს ეზოში თამაში, ექსკურსია, ხელსაქმე, ნახატების დათვალიერება და სხვა;
- სასაუბრო მასალად გამოიყენოს ვიზუალური მასალა – პოსტერები, ფოტოები, სახელმძღვანელოში ან საბავშო ჟურნალში მოცემული სურათები, სათამაშოები, ნივთები და სხვა;
- გამოიყენოს სასაუბრო თემად ის სიტყვა, რომელიც სახელმძღვანელოშია მოცემული კონკრეტული ასო-ბგერის შესწავლის მიზნით. მაგალითად, თუ ბავშვები სწავლობენ ასო-ბგერა „ზ“-ს, მასწავლებელს შეუძლია, ენობრივი პრაქტიკის თემად აირჩიოს „თევზი“. შესაძლებელია, საუბარში სახელმძღვანელოს ტექსტიდან ერთი-ორი ისეთი სიტყვის შემოტანაც, რომლებსაც ბავშვები ტექსტის შედგენის დროს გამოიყენებენ (მაგ., „ზვიგენი“).

საფეხური 2. ტექსტის შექმნა. მასწავლებელი ცდილობს გააააქტიუროს მოსწავლეთა დისკუსია. იგი თვალსაჩინოდ წერს მოსწავლეების მიერ გამოთქმულ წინადადებებს დაფაზე ან დიდ ქაღალდზე ისე, რომ გამოვიდეს მოთხრობა/ტექსტი.

სასურველია, მასწავლებელმა წინადადებების ჩაწერისას გამოიყენოს **ერთობლივი წერის** მეთოდი და ბავშვებიც ჩართოს ტექსტის წერის პროცესში. მაგალითად, ზოგიერთ მოსწავლეს წერტილი დაასმევინოს, ზოგს ამა თუ იმ სიტყვის ან სათაურის ადგილმდებარეობა შეარჩევინოს, ზოგიერთს ასო ან მთლიანი სიტყვა დააწერინოს.

შენიშვნა: ზოგჯერ მოსწავლეებს უჭირთ დასაწერი ტექსტისთვის სათაურის მოფიქრება. მასწავლებელს შეუძლია თავად შესთავაზოს საკუთარი ვერსია ან ისე წარმართოს დისკუსია, რომ ბავშვები თვითონვე მივიდნენ „სასურველ“ სათაურამდე.



ენობრივი პრაქტიკის მეთოდით შექმნილი ტექსტი

საფეხური 3. წაკითხვა. მასწავლებელი ხმამაღლა, ხელის გაყოლებით წაუკითხავს ბავშვებს ერთობლივად შექმნილ მოთხრობას/ტექსტს. შემდეგ მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად ხმამაღლა გუნდურად კითხულობენ ტექსტს და საუბრობენ შინაარსის შესახებ. ბავშვები კითხულობენ ტექსტს ერთობლივი კითხვის ვარიაციების გამოყენებით (იხ. მეთოდი №3). შესაძლებელია, მოსწავლეებმა მცირე ჯგუფებში ან დამოუკიდებლადაც სცადონ წაკითხვა.

შენიშვნა: ზოგჯერ შესაძლებელია, მასწავლებელმა მოსწავლეების დახმარებით დაწეროს გადამუშავებული ვერსია. ამისათვის ის ეკითხება ბავშვებს, სურთ თუ არა ტექსტში ცვლილებების შეტანა.

საფეხური 4. ტექსტის დაშლა და აწყობა. ბავშვები წყვილებში ან ინდივიდუალურად შლიან ტექსტს წინადადებებად, წინადადებებს – სიტყვებად. წინადადებების დაშლისა და აწყობისათვის იყენებენ ზოლებად დაჭრილ ფურცლებს, რომლებზეც ტექსტის შემადგენელი წინადადებები და სიტყვებია დაწერილი. შესაძლებელია ცალკეულ ცნობად სიტყვებზე, მარცვლებზე და ანბანის ასოებზე მრავალფეროვანი პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულება.

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვების მიერ შექმნილი ტექსტი მასწავლებელმა შემდგომ გაკვეთილებზეც აქტიურად გამოიყენოს სხვადასხვა მიზნით (მაგალითად, სიტყვების ამოცნობა, ტექსტში ასოებისა და მარცვლების იდენტიფიცირება, სიტყვებისა და წინადადებების გადაწერა...). არ არის აუცილებელი, ეს მეორე დღესვე მოხდეს, შესაძლებელია, მასწავლებელი რამდენიმედღიანი ინტერვალის შემდეგ დაუბრუნდეს იმავე ტექსტს, რათა მოსწავლეებს მიეცეთ ტექსტთან დამოუკიდებლად მუშაობის საშუალება და გაუმყარდეთ შეძენილი/გავარჯიშებული უნარები.

საფეხური 5. განვრცობის აქტივობები. მოსწავლეები ასრულებენ მრავალფეროვან დავალებებს ტექსტის გამოყენებით. ეს შეიძლება იყოს ილუსტრირება, შეკითხვების დასმა, წიგნის დამზადება და სხვ.

ანბანის სწავლების აქტივობები

ასოების დალაგება

მეთოდის/აქტივობის შესახებ

ამ მეთოდით მუშაობისას მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ფონოლოგიურ უნარებს, კერძოდ, ბგერებად დაშლის უნარს უკავშირებენ ანბანის (ასო-ბგერების) ცოდნას.

რესურსი: სურათიანი ბარათები; ასოებიანი ბარათები, რომლებიც საჭიროა სურათზე გამოსახული საგნის/მცენარის/ცხოველის და ა. შ. ასაწყობად.

მსვლელობა

დაფაზე გაკრულია პურის სურათი. იქვე არეულად არის დამაგრებული ასოების ბარათები [პ], [უ], [რ], [ი].



მასწავლებელი: „ელენე, რა ბგერებია სიტყვაში „პური“?

ელენე: „პ-უ-რ-ი.“

მასწავლებელი: „მოდი, შენ კიდევ წარმოთქვი ბგერები. მე ასოებს დავალაგებ.“

ელენე: „პ-უ-რ-ი.“

თითოეული ბგერის წარმოთქმისას მასწავლებელი თითო ასოს გადაიტანს სურათის მარჯვენა მხარეს.

მასწავლებელი: „ელენე, ახლა შენ გააკეთე იგივე სიტყვაზე „ბალი“.



ანბანის ლოტო

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები ვარჯიშობენ ასო-ბგერების სწორად და სწრაფად ამოცნობაში.

მეთოდის გამოყენებით მოსწავლეები:

- განიმტკიცებენ ანბანის ცოდნას;
- განივითარებენ ასოს შესაბამის ბგერასთან დაკავშირების უნარს;
- გაიაქტიურებენ დეკოდირების უნარს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები

რესურსი: ბოთლის თავსახურებზე/ბარათებზე დაწერილი ასოები

მსვლელობა

- მასწავლებელი პოლიეთილენის ბოთლის თავსახურების შიდა მხარეს წერს ასო-ბგერებს. თითეულ თავსახურში უნდა ეწეროს თითო ასო. რესურსის უქონლობის შემთხვევაში შესაძლებელია ასოები დაიწეროს ბარათებზეც (თითო ასო თითო ბარათზე).
- მასწავლებელი A4 ზომის ფურცელს დაყოფს 9 ტოლ ნაწილად. თითოეულ უჯრედში ჩაწერს თითო ასო-ბგერას არეული თანმიმდევრობით.
- მასწავლებელი ფურცლებს დაურიგებს თამაშის მონაწილეებს. აქტივობის წყვილებში წარმართვის შემთხვევაში თითო ფურცელი შეხვდება მოსწავლეთა წყვილს.
- მასწავლებელი ჩაყრის ბოთლის თავსახურებს/ბარათებს ტომარაში ან ყუთში.
- მასწავლებელმა ან წამყვანის როლის შემსრულებელმა ერთ-ერთმა მოსწავლემ რიგრიგობით უნდა ამოიღოს თავსახურები/ბარათები ტომრიდან, ხმამაღლა წარმოთქვას ასო-ბგერა და უჩვენოს მონაწილეებს.
- მონაწილე მოსწავლეები აკვირდებიან თავიანთ ფურცლებს. თუ ტომრიდან ამოღებული ასო მათ ფურცელზეც აღმოჩნდა, მოსწავლემ მას კენჭი/ნიჟარა ან რაიმე პატარა ნივთი უნდა დაადოს.
- ვის დაფაზეც პირველად დაემთხვევა მწკრივში სამი ასო – ჰორიზონტალურად, ვერტიკალურად ან დიაგონალზე, დაიყვირებს: „ბინგო!“, ამოიკითხავს ასოებს და ყველა დარწმუნდება, რომ ასოები მართლაც დაემთხვა.
- თუკი მოსწავლის ბარათზე ყველა ასო მოინიშნება, მან უნდა დაიძახოს სიტყვა „სუპერბინგო“.
- ამის შემდეგ გამარჯვებული ხდება წამყვანი, ისევ აგროვებს ბოთლის თავსახურებს/ასოების ბარათებს, ტომარაში ყრის და თამაში თავიდან იწყება.

ანბანის ფურცლები

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები მოიფიქრებენ და შეაგროვებენ სიტყვებს ასო-ბგერებზე. აქტივობა არ მოიცავს მხოლოდ ერთ ან რამდენიმე გაკვეთილს. მასწავლებელს შეუძლია იგი მინი სასწავლო პროექტად გადააქციოს და მისი ხანგრძლივობა საანბანო პერიოდის ბოლომდე გაზარდოს.

მეთოდის დახმარებით მოსწავლეები:

- განიმტკიცებენ ანბანის ცოდნას;
- გაიმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს;
- განივითარებენ ასოს შესაბამის ბგერასთან დაკავშირების უნარს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური.

რესურსი: ფერადი ფანქრები, ჟურნალ-გაზეთები, პლასტელინი, მაკრატელი, გარემოში არსებული საგნები, წებო, „სკოტჩი“, ფურცელი (შესაძლებელია სპეციალურად დამზადებული ანბანის ფურცლის გამოყენებაც. იხ. დანართი)

მსვლელობა

- მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს თაბახის/სახატავ ფურცლებს და სთხოვს, რომ დაწერონ ახლად შესწავლილი ასო-ბგერა და მოიფიქრონ მასზე დაწყებული რამდენიმე სიტყვა. მოსწავლეებს შეუძლიათ: ა) დახატონ საგანი; ბ) გამოძერწონ და დააკრან ფურცელზე; გ) მასწავლებლის მიერ წინასწარ მომზადებულ ჟურნალ-გაზეთებში მოძებნონ და ამოჭრან სასურველ ასო-ბგერაზე დაწყებული სიტყვის გამოსახულება; დ) სკოლის ეზოში/საკლასო ოთახში მოიძიონ შესაბამისი საგანი და დააწებონ ფურცელზე (მაგ., **ფ** – ფოთოლი, **ქ**-ქვა, **ტ**-ტოტი, **ც**-ცარცი და სხვ.).
- დავალების შესრულების შემდეგ მსურველი მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს კლასის წინაშე.
- „ანბანის ფურცლის“ მეორე გვერდზე მოსწავლეები ეტაპობრივად მიამატებენ კონკრეტულ ასო-ბგერაზე დაწყებულ ახალშესწავლილ სიტყვებს.

შენიშვნა: მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დააგროვებენ „ანბანის ფურცლების“ გარკვეულ რაოდენობას, მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს რამდენიმე ფორმა შესთავაზოს მათი ნამუშევრების გამოსაფენად: ა) წიგნებად აკინძვა; ბ) ფურცლების სიგრძეზე გადაბმა და „ანბანის კედლის“ გაკეთება; გ) თითო ასო-ბგერაზე კლასში დაგროვილ ნამუშევრებს შორის საუკეთესო ნაშრომის შერჩევა თავად მოსწავლეების მიერ და „ანბანის გამოფენის“ მოწყობა (აუცილებელია, რომ შეირჩეს ყველა ბავშვის თითო ნამუშევარი მაინც).

ანბანის მაძიებლები

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები მოიფიქრებენ სიტყვებს მასწავლებლის მიერ დასახელებულ ასო-ბგერებზე და ხატავენ შესაბამის საგნებს. აქტივობა ტარდება მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაეუფლებიან, სულ მცირე, 7-8 ასო-ბგერას.

მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეები:

- განიმტკიცებენ ანბანის ცოდნას;
- განივითარებენ დეკოდირების უნარს;
- გაიმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები

რესურსი: ფერადი ფანქრები, ფურცლები

მსვლელობა

- მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს შესწავლილ ასოებს და სთხოვს მოსწავლეებს, რომ

რაც შეიძლება სწრაფად გაიხსენონ ამ ასო-ბგერებზე დაწყებული საგნები. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარ ნივთებს შორის ან საკლასო გარემოში მოძებნონ ამ ასო-ბგერებზე დაწყებული საგნები, ხოლო თუ ვერ იპოვიან, მოიფიქრონ და დახატონ. თითო ასო-ბგერაზე შეიძლება მხოლოდ ერთი საგნის მოძიება ან დახატვა. დავალების შესასრულებლად მოსწავლეებს ეძლევათ 5 წუთი.

- დროის ამოწურვის შემდეგ მასწავლებელი თანმიმდევრობით დაუსახელებს მოსწავლეებს ასო-ბგერებს და სთხოვს მათ, რომ აჩვენონ ამ ასო-ბგერაზე დაწყებული საგანი ან ნახატი. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა წაახალისოს განსხვავებული სიტყვების მაძიებელი მოსწავლეები.

მზარეულობანა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები „გამოაცხობენ“ სიტყვებს ასოების პატარა ბარათებით.

მეთოდის გამოყენებით მოსწავლეები:

- განიმტკიცებენ ანბანის ცოდნას;
- განივითარებენ დეკოდირების უნარს;
- გაიაქტიურებენ სიტყვების ვერბალური და ვიზუალური ხატის ერთმანეთთან დაკავშირების უნარს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, მცირე ჯგუფები.

რესურსი: მარკერი, მუყაო/ფურცლები, ჯამი და კოვზი, ქაღალდის ან პლასტმასის თეფში, სათამაშო ფული.

მსვლელობა

- მასწავლებელი წინასწარ ჩამოწერს მუყაოზე ან ფურცელზე ანბანის ყველა ასო-ბგერას ერთმანეთისგან დაახლოებით ორი თითის ინტერვალის დაშორებით (შესაძლებელია ამ პროცესში მოსწავლეების ჩართვაც). შემდეგ კი დაჭრის მათ პატარა კვადრატებად. მნიშვნელოვანია, რომ ხუთივე ხმოვანი მინიმუმ ორ-ორ ფირფიტაზე მაინც ეწეროს.
- მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ დღეს ისინი ითამაშებენ მზარეულობანას ანუ ექნებათ საცხობი და „გამოაცხობენ“ „გემრიელ“ სიტყვებს. ფქვილისა და შაქრის მაგივრად კი გამოიყენებენ ასო-ბგერების ბარათებს.
- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ ერთად შეადგინონ მენიუ და ჩამოწერონ, რომელი სიტყვების „გამოცხობა“ შეუძლიათ (თუ მოსწავლეებს ჯერ არ აქვთ წერის უნარი სათანადოდ განვითარებული, მასწავლებელი თავად ჩამოწერს დაფაზე).

შენიშვნა: ეს შეიძლება იყოს ერთმარცვლიანი სიტყვები (რომელთა დიდი ნაწილის შესწავლა ხდება წინასაანბანო პერიოდშივე, მაგ.: ხე, ტბა, მთა, მზე, ცა, გზა, რუ, ბუ, სკა, ფრთა და ა.შ.), სახელმძღვანელოდან ახლად შესწავლილი სიტყვები, სხვადასხვა თემასთან დაკავშირებული სიტყვები და სხვ.

- მასწავლებელი ანაწილებს როლებს: ბავშვების ნაწილი იქნება „მცხობელი“, ნაწილი – „მყიდველი“. „მცხობელები“ ჯამში ჩაყრიან ასო-ბგერების ბარათებს და კოვზით არევენ. „მყიდველები“ ნახავენ მენიუს და „შეუკვეთენ“ სხვადასხვა სიტყვის „გამოცხობას“. მას შემდეგ, რაც „მცხობელი“ გაიგონებს „შეკვეთილ“ სიტყვას, მან უნდა აურიოს „ინგრედიენტები“, შემდეგ კი ჩაიხედოს ჯამში იმ ასო-ბგერების მოსაძიებლად, რომლებიც „შეკვეთილ“ სიტყვაშია. მაგ., თუკი „შეკვეთილი სიტყვაა „ტყე“, ბავშვმა ჯამში უნდა მოძებნოს „ტ“, „ყ“ და „ე“, დააწყოს ისინი თეფშზე და უთხრას „მყიდველს“, რომ მისი „შეკვეთა“ მზადაა. თუკი სიტყვა სწორად არის დაწერილი, „მყიდველი“ გადაიხდის

„საფასურს“ და მადლობას ეტყვის „მზარეულს“. იმ შემთხვევაში, თუ „მყიდველი“ სიტყვაში შეცდომას აღმოაჩენს, მან უნდა უთხრას „მცხობელს“, რომ ეს არ არის მისი შეკვეთა და შესაძლებელია დაეხმაროს შეცდომის მოძებნაში.

- მოგვიანებით მოსწავლეები გაცვლიან როლებს.

შენიშვნა: აქტივობა ეფექტურია ზეპირმეტყველების უნარის გასავარჯიშებლადაც. მასწავლებელი შეახსენებს ბავშვებს, რომ მათ უნდა გამოიყენონ მიმართვის თავაზიანი ფორმები (მაგ., „თუ შეიძლება“, „ინებეთ“, „გემრიელად მიირთვით“, „გმადლობ“, „ბოდიშს გიხდით“, „კარგად ბრძანდებოდეთ“ და სხვ.).

ანბანის ბუშტები

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები ვარჯიშობენ ასო-ბგერების ცნობასა და წარმოთქმაში.

მეთოდის გამოყენებით მოსწავლეები:

- განიმტკიცებენ ანბანის ცოდნას;
- განივითარებენ ასოს შესაბამის ბგერასთან დაკავშირების უნარს.

მუშაობის ფორმა: ჯგუფები, მთელი კლასი.

რესურსი: ბუშტები (ღია ფერის), პერმანენტული მარკერები (მუქი ფერის).

მსვლელობა

- მასწავლებელი წინასწარ გაბერავს ბუშტებს. თითოეულ ბუშტზე, სულ მცირე, ორ ადგილას, რაც შეიძლება მსხვილად დააწერს თითო შესწავლილ ასო-ბგერას პერმანენტული მარკერით. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა ადვილად დაინახონ ჰაერში აგდებულ ბუშტზე გამოსახული ასო. უმჯობესია მასწავლებელმა გამოიყენოს ღია ფერის ბუშტები და მუქი ფერის მარკერები.
- მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, რომ დადგნენ წრეზე. ააგდებს ბუშტს ჰაერში და დაიძახებს მასზე გამოსახულ ასო-ბგერას. ბავშვებმა ბუშტი რაც შეიძლება დიდი ხნით უნდა გააჩერონ ჰაერში ისე, რომ ის იატაკს არ შეეხოს. ვინც ბუშტს ხელს შეახებს, თან უნდა დაიძახოს მასზე გამოსახული ასო-ბგერა.
- მასწავლებელი მცირე ინტერვალებით დაამატებს თითო ბუშტს და შეახსენებს ბავშვებს, რომ უნდა ამა თუ იმ ბუშტზე შეხებისას უნდა დაიძახონ სწორედ მასზე გამოსახული ასო-ბგერა.

შენიშვნა: აღნიშნული აქტივობის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ადრე ნასწავლი ასოების გასახსენებლად, ახალი ასო-ბგერის გასაცნობად, ახლად ნასწავლი ასო-ბგერების ცოდნის განსამტკიცებლად. ასევე შესაძლებელია ასო-ბგერები საგანგებოდ შეირჩეს, რათა ბავშვებმა შეძლონ მათი გამოყენებით სიტყვების შედგენა.

ვარიაცია

ლექსიკური მარაგის თანდათანობით გამდიდრებასთან ერთად მასწავლებელს შეუძლია სთხოვოს ბავშვებს, რომ ბუშტზე შეხებისას დაიძახონ შესაბამისი ასო-ბგერით დაწყებული სიტყვა.

ანბანი წრეში

მეთოდის/აქტივობის შესახებ

ამ მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეები ასახელებენ მოცემული ასოს შესაბამის ბგერას და ამ ბგერაზე დაწყებულ სიტყვას.

მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეები:

- განიმტკიცებენ ანბანის ცოდნას;
- განივითარებენ ფონოლოგიურ უნარებს.

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი

რესურსი: ფერადი ბარათები ანბანის ასოებით (თითო ბარათზე თითო ასო), მაგნიტოფონი/ლეპ-ტოპი, ქუდი/ტომარა.

მსვლელობა

- მოსწავლეები სხდებიან წრეზე. მასწავლებელი ფერად ბარათებზე დაწერილ ასოებს მოათავსებს ქუდში ან დაიჭერს ხელში ისე, რომ ასოები არ ჩანდეს.

შენიშვნა: თუ მოსწავლეებმა არ იციან ანბანის ყველა ასო-ბგერა, შესაძლებელია მასწავლებელმა ქუდში/ტომარაში ან დასტაში მოათავსოს მხოლოდ შესწავლილი ასო-ბგერები.

- მოსწავლეები მორიგეობით იღებენ თითო ბარათს, ჯერ ასახელებენ ასოს-ბგერას, შემდეგ კი მასზე დაწყებულ სიტყვას.
- მას შემდეგ, რაც ყველა მოსწავლე დაასახელებს ასო-ბგერას, მოსწავლეები იატაკზე წრიულად აწყობენ ბარათებს. მასწავლებელი რთავს მუსიკას (მაგ., სახალისო რიტმულ სიმღერას ან მარშს) ან უკრავს ტაშს და მოსწავლეები იწყებენ წრეზე მოძრაობას საათის ისრის მიმართულებით.
- მასწავლებელი წყვეტს მუსიკას/ტაშის დაკვრას. მოსწავლეები ჩერდებიან მათ წინ მდებარე ბარათთან და ასახელებენ ამ ასო-ბგერაზე დაწყებულ სიტყვას. თუ მოსწავლე ვერ ახერხებს სიტყვის ან ბგერის დასახელებას, მასწავლებელი სთხოვს სხვა მოსწავლეს, დაეხმაროს მეგობარს.
- მასწავლებელი იყენებს განმავითარებელ შეფასებას და ამ აქტივობისთვის საგანგებოდ შექმნილ დაკვირვების ფურცელზე მოინიშნავს, ანბანის რომელ ასოს ამოიცნობს მოსწავლე და რომელს – ვერა, შეუძლია თუ არა მოსწავლეს ასოს დაკავშირება ბგერასთან, კონკრეტულ ბგერაზე სიტყვის გახსენება, რამდენად სწრაფად ახერხებს ამას და სხვ.

შენიშვნა: შესაძლოა, მასწავლებელმა ცოტა გაართულოს დავალება და მოსწავლეებს სთხოვოს ისეთი სიტყვის დასახელება, რომელიც არ იწყება მოცემულ ასო-ბგერაზე, მაგრამ შეიცავს მას.

ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებისთვის

ქართულის, როგორც მეორე ენის გაკვეთილზე შეიძლება გამოყენებული იყოს მოსწავლეთა საკუთარი სახელები, ოჯახის წევრთა საკუთარი სახელები, მასწავლებელთა საკუთარი სახელები, საკლასო ნივთების, შინაური ცხოველების, ფერთა აღმნიშვნელი, ციფრთა სახელები და ა. შ.

ლურჯი და წითელი ასოები

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოცემული მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეები მასწავლებლის მიერ მითითებული სიტყვის ასო-ბგერებით ადგენენ ახალ სიტყვებს.

მეთოდის დახმარებით მოსწავლეები:

- გაიაქტიურებენ ლექსიკურ მარაგს;
- შეძლებენ სიტყვების შედარებას ასოთა შედგენილობის მიხედვით.

მუშაობის ფორმა: წყვილები, ჯგუფები, მთელი კლასი (მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად).

რესურსი: დაფა და ცარცი/ფორმატი და მარკერი; რვეული/ფურცელი, ორი ფერის ფანქარი/კალამი.

მსვლელობა

- მასწავლებელი შეარჩევს სიტყვას და დაწერს დაფაზე (მაგ., სიტყვა „ფოტოაპარატი“), შემდეგ კი სთხოვს მოსწავლეებს, რომ ამ სიტყვაში შემავალი ასო-ბგერების გამოყენებით შეადგინონ სხვა სიტყვები.
- მოსწავლეები მასწავლებლის მიერ წინასწარ დათქმული დროის განმავლობაში ჩამოწერენ სიტყვებს.
- დროის ამოწურვის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს უკარნახონ მათ მიერ მოფიქრებული სიტყვები და ჩამოწერს დაფაზე (მაგ., „ფოტო“, „ტირიფი“ და ა.შ.).
- ამის შემდეგ მასწავლებელი დაფაზე თავად ჩამოწერს იმ სიტყვებსაც, რომელთაც ერთი ან ორი განსხვავებული ასო-ბგერა აქვთ შერეული (მაგ., „ფოსტა“, „ჭორფლი“ და სხვ.).
- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სიტყვებს და ამოიცნონ ერთნაირი და განსხვავებული ასოები.
- დაკვირვების შემდეგ მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს, როგორ გადაწერონ სიტყვები რვეულში – ერთნაირი ასოები (ანუ ასო-ბგერები, რომლებიც „ფოტოაპარატის“ ასოებს ემთხვევა) ლურჯი ფერით, განსხვავებული – წითლით.
- სამუშაოს შესრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განათავსებს სიტყვებს სპეციალურ ცხრილში, რომელიც დაფაზეა დახაზული და/ან მოსწავლეებსაც აქვთ დარიგებული.

ფოტოაპარატი

იგივე ასოები	**ერთი განსხვავებული ასო**	**ორი განსხვავებული ასო**
ფოტო	ჟირაფი	თაფლი
ტორტი	ტომარა	კომპოტი
ფარი	ფარანი	ფანჯარა
არა	პარკი	ტარზანი

ფერადი სიტყვები

მეთოდის/აქტივობის შესახებ

აქტივობის გამოყენებისას მოსწავლეები აფერადებენ სიტყვებს მათში შემავალი ასო-ბგერების მიხედვით.

მეთოდის დახმარებით მოსწავლეები:

- გაიაქტიურებენ ასო-ბგერების ცოდნას;
- შეძლებენ სიტყვების დახარისხებას ასოთა შედგენილობის მიხედვით.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები

რესურსი: დაფა და ცარცი/ფორმატი და მარკერი; რვეული/ფურცელი, ორი ფერის ფანქარი/კალამი.

მსვლელობა

- მასწავლებელი გამოაკრავს დაფაზე ორ ასოს და თითოეულს შეუსაბამებს რაიმე ფერს (მაგ., ხ – წითელი ფერისაა, ვ – მწვანე).
- შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს შესთავაზებს ცხრილში ჩასმულ სიტყვათა ჩამონათვალს.

იხ. ნიმუში:

ზღარბი	სახლი	ხელი
თაგვი	თევზი	ბაყაყი
ბიჭი	ყვავი	ხმალი

- სიტყვები, რომლებიც შეიცავს ხ-ს, მოსწავლეებმა უნდა გააფერადონ წითლად, ხოლო სიტყვები, რომლებიც შეიცავს ვ-ს – მწვანედ. ზოგიერთი სიტყვა, რომლებიც არ შეიცავს ორიდან არც ერთ ასოს, მოსწავლეებმა უნდა დატოვონ გაუფერადებლად.

ასოები გაზეთში

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს მოსწავლეები სხვადასხვა ტექსტიდან ამოჭრილი ასოებისგან აწყობენ სიტყვებს.

ამ მეთოდის/აქტივობის გამოყენებით მოსწავლეები:

- გაიწაფებიან სიტყვების დეკოდირებაში;
- გაიაქტიურებენ შესწავლილი ლექსიკური ერთეულების ცოდნას.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილი, მცირე ჯგუფი.

რესურსი: ძველი ჟურნალ-გაზეთები, მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები, ბროშურები, ფურცელი, წებო, მაკრატელი.

მსვლელობა

- მოსწავლეები ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრიან ცალკეულ ასოებს;
- მოსწავლეები ამოჭრილ ასოებს აწებებენ ქაღალდზე ისე, რომ მიიღონ სიტყვები;
- შესაძლებელია, მასწავლებელმა თავად დაუსახელოს მოსწავლეებს რამდენიმე სიტყვა. მოსწავლეებმა ამ სიტყვების შესაბამისი ასოები უნდა მოიძიონ ჟურნალ-გაზეთებში, ამოჭრან და შეადგინონ მოცემული სიტყვები.

სიტყვის ასოები გზაჯვარედინზე

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები წერენ და კითხულობენ სიტყვას სხვადასხვა კომბინაციაში.

მეთოდი/აქტივობა მოსწავლეებს ეხმარება:

- სიტყვების ამოკითხვის/ამოცნობის უნარის განვითარებაში;
- შესწავლილი ლექსიკური ერთეულების ცოდნის გააქტიურებაში;
- მეხსიერების გავარჯიშებაში;
- ყურადღების კონცენტრირებაში.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური.

რესურსი: დიდი ფორმატის ფურცელი/დაფა, მარკერი/ცარცი.

მსვლელობა

- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეარჩიონ ერთი სიტყვა და დაფაზე ან დიდი ფორმატის ქაღალდზე დაწერონ სიტყვა ზემოდან ქვემოთ;
- მოსწავლეები გამოდიან მორიგეობით და თითოეულ ასოს ჰორიზონტალურად მიაწერენ ასოებს ისე, რომ იგივე (ვერტიკალურად დაწერილი) სიტყვა მიიღონ ყველა ჰორიზონტალურ ხაზზეც.

მაგ.:

		თ	ა	გ	ვ	ი
	თ	**ა**	გ	ვ	ი	
თ	ა	**გ**	ვ	ი		
		ვ				
		ი				

შენიშვნა: შესაძლოა, მასწავლებელმა ბავშვებს შესთავაზოს სიტყვის დაწერის განსხვავებული ფორმაც. მაგალითად, სიტყვა ჩამოწერონ სამკუთხედის ფორმით.

მაგ.:

ვ						
ვ	ხ					
ვ	ხ	**ა**				
ვ	ხ	**ა**	ტ			
ვ	ხ	**ა**	ტ	ა		
ვ	ხ	**ა**	ტ	ა	ვ	

ყირამალა და მისი ვარიაციები

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს მოსწავლეები კითხულობენ სიტყვების ბარათებზე მოცემულ სიტყვებს, რომლებიც შემოთავაზებულია სხვადასხვა ფორმით (ამოტრიალებული, მარჯვნიდან მარცხნივ, მხოლოდ თანხმოვნები და სხვ.)

მეთოდის ხშირად გამოყენების შემთხვევაში მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ:

- ყურადღების კონცენტრირების უნარი;
- ასო-ბგერების ამოცნობის უნარი.

მუშაობის ფორმა: ჯგუფური, ინდივიდუალური, მთელი კლასი.

რესურსი: ტექსტი/წიგნი/ სახელმძღვანელო მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით.

მსვლელობა

1. **„ყირამალა“.** მასწავლებელი კედელზე ან დაფაზე სიტყვის ბარათებს თავდაყირა დაამაგრებს. მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ (გაშიფრონ) მოცემული სიტყვები.

2. **„არაბული“.** მასწავლებელი ბარათზე ან დაფაზე უკულმა წერს სიტყვებს (მარჯვნიდან მარცხნივ). მოსწავლეები ცდილობენ ამოიცნონ/გაშიფრონ შემოთავაზებული სიტყვა.

3. **„სიტყვები თანხმოვნებით“.** მასწავლებელი ბარათზე ან დაფაზე წერს სიტყვას ხმოვნების გარეშე. ბავშვებმა უნდა დაასახელონ ნაგულისხმევი სიტყვა.

4. **„არეული ასოები“**. მასწავლებელი დაფაზე ან ბარათზე სიტყვის ასოებს წერს არეულად. ბავშვებმა უნდა გადააწყონ ასოები და სწორად წარმოთქვან/ააწყონ სიტყვა.[1]

[1] პირველ ჯერზე კარგი იქნება თვითონ მოსწავლეთა საკუთარი სახელების გამოყენება. მოსწავლეთა საკუთარი სახელები კარგი „რესურსია“ როგორც მთლიანი სიტყვების ამოკითხვის უნარის გამომუშავებისთვის, ასევე ანბანის ცალკეული ასო-ბგერების სწავლებისთვისაც.

კლასის ანბანი

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს მოსწავლეები სიტყვებს ჩაწერენ ასოებისთვის შერჩეული კოდების გამოყენებით.

ამ აქტივობის ხშირად ჩატარებით მოსწავლეები:

- განივითარებენ დეკოდირების უნარს;
- დაიმახსოვრებენ ანბანის რიგს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, მთელი კლასი

რესურსი: სიტყვის ბარათები, გამოგონილი კოდების ცხრილი.

მსვლელობა

- მასწავლებელი ან მოსწავლეები შეარჩევენ „კლასის კოდებს“. მაგ.; რიცხვები 1-დან 33-ის ჩათვლით, რომლებიც შეესაბამება ანბანის ასოებს; სხვადასხვა სიმბოლო – @ № $ % * +;
- მასწავლებელი ჩამოწერს ასოებს და მათ შესაბამის კოდებს და გამოაკრავს თვალსაჩინო ადგილას;
- მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს სიტყვების ბარათებს ან ჩამოწერს სიტყვებს დაფაზე;
- მოსწავლეები სიტყვებს რვეულში ან დაფაზე დაწერენ კოდების გამოყენებით. მაგ.; კატა – 10.1.19.1.

შენიშვნა: ასოებისთვის რიცხვითი კოდის მინიჭების შემთხვევაში სასურველია, კოდები ერთმანეთისგან წერტილით ან მძიმით გამოიყოს, რომ სიტყვის სწორად ამოკითხვა არ გაჭირდეს.

შეცვალე ასო

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს მოსწავლეები მოცემული სიტყვის მიხედვით ადგენენ ახალ სიტყვებს.

ამ მეთოდის/აქტივობის დახმარებით მოსწავლეებს უვითარდებათ:

- სიტყვის დეკოდირების უნარი;
- სიტყვების შედგენის უნარი;
- ლექსიკური მარაგი;
- წარმოსახვის უნარი.

მუშაობის ფორმა: წყვილები, ჯგუფები, მთელი კლასი.

რესურსი: ერთი დიდი ზომის სიტყვის ბარათი, დაფა და ცარცი.

მსვლელობა

- მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას ან კედელზე აკრავს დიდი ზომის ბარათს, რომელზეც წერია ერთი სიტყვა;

- მოსწავლეები ადგენენ ახალ სიტყვებს ამ სიტყვის მიხედვით. სიტყვებს ჯერ ჩაიწერენ, შემდეგ წარმოადგენენ;
- ყოველ მომდევნო სიტყვაში მოსწავლეები ცვლიან მხოლოდ თითო ასოს. ეს შეიძლება იყოს როგორც პირველი, ისე ნებისმიერი სხვა ასო. მაგალითად: **ბარი** – **ქ**არი – ქა**ლ**ი – **ბ**ალი – ბ**ე**ლი – ბ**ო**ლი.

ანბანური სიტყვების კედელი

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს მოსწავლეები კითხულობენ სიტყვის ბარათებს და ამოიცნობენ სიტყვის პირველ ასოს.

ამ მეთოდის/აქტივობის დახმარებით მოსწავლეებს უვითარდებათ:

- მთლიანი სიტყვის ამოცნობის უნარი;
- ცალკეული ასო-ბგერის ამოკითხვის უნარი.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები.

რესურსი: ასოების ბარათები, სიტყვის ბარათები.

მსვლელობა

- მასწავლებელი ამზადებს სიტყვის ბარათებს და თითოეულს უკან აკრავს მისაწებებელ ქაღალდს (შესაძლებელია, ბარათები სტიკერების გამოყენებით დამზადდეს);
- მასწავლებელი დაფის ზედა ნაწილზე ჰორიზონტალურად აკრავს ანბანის რამდენიმე ასოს;
- მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს გაკრული ასოების შესაბამის სიტყვის ბარათებს;
- მოსწავლეები თავიანთ ბარათებს აკრავენ შესაბამისი ასოს ქვეშ – იმ ასოს ქვეშ, რომელზეც იწყება სიტყვა.სიტყვების წაკითხვის სწავლების აქტივობები

სიტყვების წაკითხვის სწავლების აქტივობები

დღის მესიჯი

მეთოდის/აქტივობის შესახებ

ამ აქტივობის გამოყენებით მოსწავლეები ეჩვევიან ქარგის მიხედვით კითხვასა და წერას. მასწავ-ლებელი მოსწავლეების კარნახით ან/და ერთობლივი წერით ავსებს სპეციალურად მომზადებულ დიდფორმატიან ტექსტს, რომელშიც ადგილებია გამოტოვებული.

ეს აქტივობა მოსწავლეს ეხმარება:

- ყალიბის/ქარგის დახმარებით კითხვის უნარის განვითარებაში;
- სიტყვების დეკოდირებასა და ცნობაში;
- ქარგის მიხედვით წერისთვის შემზადებაში.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, მთელი კლასი.

რესურსი: დიდფორმატიან ქაღალდზე დაწერილი ტექსტი, ფანქრები/ფლომასტერები, ფურცლე-ბი.

მსვლელობა

- მასწავლებელი დიდფორმატიან ქაღალდზე წინასწარ ამზადებს „დღის მესიჯის“ ქარგას, რომელშიც გამოტოვებულია სიტყვები/ფრაზები. ეს ქაღალდი საკლასო ოთახშია გაკრული და ყოველდღიურად ივსება.

დღის მესიჯი

დღეს არის ––––––––– .

დღეს არის –––––––– .

ახლა არის –––––––––– გაკვეთილი. ჩვენ გვაქვს ქართული ენა.

დღეს გარეთ –––––––– .

დღეს ––––––––––––––დაბადების დღეა.

––––––––––––––––––––––––––––––––––– .

- მასწავლებელი მოსწავლეების დახმარებით ყოველდღიურად, გაკვეთილის დასაწყისში ავსებს ტექსტში გამოტოვებულ ადგილებს. ამისათვის შესაძლებელია სიტყვის დიდი ბარათების გამოყენება. შესაძლებელია, „დღის მესიჯი“ დაფაზეც დაიწეროს.

- სასურველია, მასწავლებელმა თავდაპირველად, მოდელირების მიზნით, თავად შეავსოს მოცემული ქარგა საჩვენებელი/სამოდელო წერისა და ხმამაღლა ფიქრის გამოყენებით. ამ დროს მიაკრავს ცარიელ ფურცელს გამოტოვებული სიტყვების ადგილას და დაწერს საჭირო სიტყვებს. მეორე დღეს კი გამოცვლის მიკრულ ფურცლებს და ინფორმაციას განაახლებს. შესაძლებელია ამ პროცესში თანდათანობით ბავშვებმაც მიიღონ მონაწილეობა. მოგვიანებით კი დამოუკიდებლად შეადგინონ „დღის მესიჯი“.

ნიმუში:

დღის მესიჯი

დღეს არის **12 ნოემბერი**.

დღეს არის **ოთხშაბათი**.

ახლა არის **მეორე** გაკვეთილი. ჩვენ გვაქვს ქართული ენა.

დღეს გარეთ **ცივა**.

დღეს **თეონას მამის** დაბადების დღეა.

მე არ მიყვარს ქარი.

სიტყვების კედელი

მეთოდის/აქტივობის შესახებ

კედელზე საგანგებო ადგილას გამოკრულია სხვადასხვა პრინციპით დაჯგუფებული სიტყვების ბარათები. ბარათებზე მოცემული სიტყვები შეიძლება შეირჩეს საყვარელი წიგნებიდან, სახელმძღვანელოებიდან, ჟურნალებიდან და სხვ. მნიშვნელოვანია, სიტყვა კედელზე მოთავსდეს უშუალოდ შესწავლის დროს. სასურველია სიტყვების კედელი განთავსდეს ისეთ ადგილას, რომ ადვილი იყოს მისი დანახვა, სიტყვების დამატება და გადაადგილება.

მეთოდის/აქტივობის გამოყენებით მოსწავლეები:

- კითხულობენ ცნობად, ხშირად გამოყენებულ სიტყვებს, ასევე შესასწავლ სიტყვებს;
- იმახსოვრებენ სიტყვის ვიზუალურ ხატებს;
- ეჩვევიან სიტყვის მთლიანად ამოკითხვას/ცნობას.

მუშაობის ფორმა: ჯგუფები, წყვილები, ინდივიდუალური, მთელი კლასი.

რესურსი: სიტყვების ბარათები (თაბახის ფურცლის მესამედის ზომის).

მსვლელობა

1. **სიტყვების კედლის შექმნა**. მასწავლებელი კედელზე საგანგებო ადგილას აკრავს მცირე ზომის ბარათებზე დაწერილ სიტყვებს. შესასწავლი სიტყვები დაჯგუფებულია სხვადასხვა პრინციპით (მაგ., ჭურჭელი, გარეული ცხოველები, ზმნები, ბ-ზე დაწყებული სიტყვები და სხვ.).
2. **სიტყვების წაკითხვა.** მასწავლებელი სიტყვების კედელზე მოცემულ სიტყვებს იყენებს მრავალფეროვანი აქტივობების ჩასატარებლად:
   - მოსწავლეები კედელზე ეძებენ მასწავლებლის მიერ მითითებულ სიტყვებს;
   - მოსწავლეები სხვადასხვა პრინციპით გადააჯგუფებენ კედელზე მოცემულ სიტყვებს (მაგ., სულიერი და უსულო საგნები, მცენარეები, ზედსართავები, მსგავსი ასოების ან მარცვლების მქონე სიტყვები და სხვ.); საამისოდ, შესაძლოა კედელზე გადააადგილონ ბარათები ან ამოწერონ სიტყვების ჯგუფები;
   - მოსწავლეები მასწავლებლის მიერ მითითებული სიტყვებით ადგენენ წინადადებებს, ამბავს, დიალოგს და სხვ.
3. **ცნობადი სიტყვების კედელი.** მასწავლებელი ცალკე ამზადებს ცნობადი, ხშირად გამოყენებული სიტყვების კედელს. სიტყვები მსხვილი ასოებით არის დაწერილი. სიტყვების კედელი ხშირად უნდა განახლდეს, მაგრამ არ გადაიტვირთოს (კვირაში 5-10 სიტყვა). კედელზე მხოლოდ ის სიტყვებია გამოკრული, რომლებსაც მოსწავლეები ხშირად ხედავენ ტექსტში ან იყენებენ წერის დროს.
4. **სიტყვების კედლის ხუმრობები.** მოსწავლეები სიტყვის კედელზე მოცემული სიტყვების წაკითხვასა და დეკოდირებაში ვარჯიშობენ სხვადასხვა ვარიაციით:
   - **„წიწილები“** – მოსწავლეები „ფრთების“ ქნევით წარმოთქვამენ თითოეულ ასო-ბგერას, შემდეგ კი მთლიანად სიტყვას;
   - **„კინოვარსკვლავები“** – მოსწავლეები კოცნის გაგზავნით წარმოთქვამენ თითოეულ ასო-ბგერას, შემდეგ კი მთლიანად სიტყვას;
   - **„ოპერის მომღერლები“ –** მოსწავლეები სიმღერით წარმოთქვამენ ყველა ბგერას, ბოლოს – გაგრძელებული ბგერებით, მთლიანად სიტყვას;
   - **„ვულკანი“** – მოსწავლეები სიტყვის ყოველი ასო-ბგერის წარმოთქმისას ხმის ტემბრს უმატებენ. მთლიან სიტყვას კი ყვირილით ამბობენ;
   - **„ცხვირი“ –** მოსწავლეები ცხვირზე მოიჭერენ თითებს და ისე გამოთქვამენ ჯერ ბგერებს, შემდეგ კი მთლიანად სიტყვას.

იარლიყები კლასში

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის „იარლიყები კლასში“ გამოყენების დროს საკლასო ოთახში საგნებზე მიკრულია ბარათები/იარლიყები ამავე საგნის სახელწოდებით. მოსწავლეები ყოველდღიურად კითხულობენ იარლიყებზე დაწერილ სიტყვებს.

აქტივობის გამოყენებით მოსწავლეები

- ეჩვევიან სიტყვის მთლიანად ამოკითხვას/ცნობას.
- იმახსოვრებენ სიტყვის ვიზუალურ ხატს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, მთელი კლასი.

რესურსი: დიდი ზომის სიტყვის ბარათები.

მსვლელობა

1. **იარლიყების დამაგრება.** მასწავლებელი რამდენიმე საგანს მიაკრავს ბარათებს/იარლიყებს ამავე საგნის სახელწოდებით. მაგალითად: დაფა, კარი, ფანჯარა და ა.შ.
2. **იარლიყების წაკითხვა.** ყოველდღიურად ამ აქტივობას ეთმობა გაკვეთილის მცირე დრო. მოსწავლეები კითხულობენ იარლიყებზე დაწერილ სიტყვებს.
3. **იარლიყების დამატება.** გარკვეული დროის შემდეგ (ყოველკვირა, სამ დღეში ერთხელ და ა.შ.) მასწავლებელი ამატებს ახალ ბარათებს/იარლიყებს;
4. **სწორი ადგილის პოვნა.** პერიოდულად მასწავლებელი გადაანაცვლებს ბარათებს, მაგალითად: ბარათს „დაფა“ მიაკრავს კარს, ხოლო ბარათს „კარი“ მიაკრავს ფანჯარას. თუ მოსწავლეები ვერ შენიშნავენ ცვლილებას, მასწავლებელი ცდილობს მიახვედროს ისინი, რა შეიცვალა. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები აღმოაჩენენ შეცდომას, არეულ იარლიყებს სწორ ადგილას ამაგრებენ.

სიტყვები მაგიდაზე ან იატაკზე

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს მოსწავლეები ამოიკითხავენ ბარათებზე დაწერილ სიტყვას/სიტყვებს და მათი გამოყენებით ადგენენ წინადადებებს.

მეთოდი მოსწავლეებს უვითარებს შემდეგ უნარებს:

- სიტყვების მთლიანობითი ხატის დამახსოვრება;
- სიტყვის სწრაფად და ეფექტურად ამოკითხვა;
- სიტყვის მნიშვნელობის გააზრება;
- სიტყვის შესაბამის კონტექსტში გამოყენება.

მუშაობის ფორმა: ჯგუფური.

რესურსი: სიტყვის ბარათები.

მსვლელობის ორი ვარიანტი

1. **სიტყვების ბარათების ამოკითხვა.** მასწავლებელი პირქვე გადაბრუნებულ სიტყვის ბარათებს აწყობს მაგიდაზე ან იატაკზე. მის მიერ მიცემულ ნიშანზე მოსწავლეები მორიგეობით აიღებენ თითო ბარათს, აჩვენებენ კლასს და ხმამაღლა წაიკითხავენ.
2. **წინადადებების შედგენა.** მასწავლებელი მაგიდაზე ან იატაკზე განათავსებს ისეთ ბარათებს, რომლებზე მოცემული სიტყვებისგანაც შესაძლებელია წინადადების, ლექსის ტაეპის, აფორიზმის, ანდაზის და ა.შ. აწყობა. მასწავლებლის მითითებით დანიშნულ დროში მოსწავლეები იღებენ ბარათებს, აჩვენებენ კლასს, ამოიკითხავენ სიტყვას, შემდეგ ცდილობენ დადგნენ იმ თანმიმდევრობით, რომ მათი სიტყვებისგან შედგეს წინადადება, რომელსაც ხმამაღლა წაუკითხავენ კლასს.

ვარიაციები

1. მოსწავლე იღებს სიტყვის ბარათს და სიტყვის ამოკითხვის შემდეგ ინდივიდუალურად ადგენს წინადადებას ამ სიტყვის გამოყენებით;

2. სიტყვების ამოკითხვის შემდეგ მოსწავლეები დაჯგუფდებიან/დაწყვილდებიან სხვადასხვა პრინციპით (ერთსა და იმავე ასოზე დაწყებული სიტყვები, ცხოველების სახელები, მცენარეების სახელები, სინონიმები, ანტონიმები და ა.შ.).

სიტყვების ამოკითხვა წყვილებში

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„სიტყვები წყვილებში" არის თამაში, რომელიც ორ გუნდს შორის იმართება. მოსწავლეები ამოიკითხავენ მასწავლებლის მიერ დაფაზე წინასწარ ჩამოწერილ/გაკრულ სიტყვებს. თამაში ორი ეტაპისგან შედგება. პირველ ეტაპზე A გუნდის წევრები წაიკითხავენ სიტყვებს, ხოლო B გუნდის წევრები მოძებნიან შესაბამის ბარათებს დაფაზე. მეორე ეტაპზე გუნდები როლებს გაცვლიან. გაიმარჯვებს ის გუნდი, რომელიც უფრო სწრაფად მოძებნის მოწინააღმდეგე გუნდის მიერ ამოკითხულ ყველა სიტყვას.

აქტივობა მოსწავლეებს უვითარებს შემდეგ უნარებს:

- სიტყვების მთლიანობითი ხატის დამახსოვრება;
- სიტყვის სწრაფად და უშეცდომოდ ამოკითხვა.

მუშაობის ფორმა: ჯგუფები, წყვილები.

რესურსი: სიტყვების სია/დიდი ზომის სიტყვის ბარათები, წამმზომი, დაფა და მაგნიტები/ცარცი.

მსვლელობა

- დაყავით კლასი ორ გუნდად (პირობითად, A და B).
- შეარჩიეთ სიტყვის ბარათები თამაშისთვის (ბარათების რაოდენობა 5-6 ცალით უნდა აღემატებოდეს მოსწავლეთა საერთო რაოდენობას). მაგიდაზე დააწყვეთ ბარათები ნაწერით ქვემოთ, დაფაზე კი გაფანტულად დაწერეთ იგივე სიტყვები.
- გამოიძახეთ დაფასთან რიგრიგობით თითო წყვილი A გუნდიდან და დაინიშნეთ დრო (თითოეული გუნდისათვის დაახლოებით 3 წთ.).
- ერთ-ერთი მეწყვილე აიღებს ერთ ცალ ბარათს, ამოატრიალებს და ხმამაღლა წაიკითხავს. წყვილის მეორე წევრმა სწრაფად უნდა მოძებნოს ამოკითხული სიტყვა დაფაზე ჩამოწერილ სიტყვებში და შემოხაზოს/გახაზოს.
- ამის შემდეგ წყვილი უბრუნდება თავის ადგილს და მათ ჩაანაცვლებს მეორე წყვილი, რომელიც ასრულებს იმავე დავალებას. ასე გრძელდება გუნდისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვამდე.
- დროის ამოწურვისთანავე მიეცით მოსწავლეებს ნიშანი. დათვალეთ A გუნდის მიერ სწორად შემოხაზული სიტყვების რაოდენობა.
- ზუსტად იგივე პროცედურა შეასრულებინეთ B გუნდს.
- გამოავლინეთ გამარჯვებული.

იმსჯელეთ მოსწავლეებთან თამაშის პროცესის შესახებ (რა მოეწონათ და რატომ; რა არის საჭირო წარმატებისთვის).

იპოვე წყვილები

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს მოსწავლეები მაგიდაზე დალაგებულ ბარათებში ეძებენ ნახატისა და სიტყვის ბარათების წყვილებს.

მეთოდი/აქტივობის გამოყენება მოსწავლეებს:

- უვითარებს სიტყვის ნახატთან დაკავშირების უნარს;
- უაქტიურებს შესწავლილი ლექსიკური ერთეულების ცოდნას;
- უმდიდრებს ლექსიკურ მარაგს;
- გაუვარჯიშებს მეხსიერებას;
- უვითარებს ყურადღების კონცენტრირების უნარს.

მუშაობის ფორმა: ორი ან მეტი მოთამაშე.

რესურსი: ბანქოს ზომის კვადრატული ბარათების დასტა სიტყვებითა და ნახატებით.

მსვლელობა

- მასწავლებელი ამზადებს ბარათების წყვილების დასტას. ბარათების წყვილი შეიცავს სიტყვასა და ნახატს;

მაგ.,

ლომი

- თამაშობს ორი მოსწავლე ან მოსწავლეთა ჯგუფი;
- მასწავლებელი ყველა ბარათს პირქვე დააწყობს მაგიდაზე, ისე რომ გამოვიდეს დიდი მართკუთხედი ან კვადრატი. მაგალითად: 4x4 ან 4x3.
- ყოველ სვლაზე მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ორი ბარათის ამობრუნება.
- პირველი მოსწავლე ამოაბრუნებს ნებისმიერ 2 ბარათს და აჩვენებს დანარჩენებს. თუ შეხვდა ბარათების წყვილი, მაშინ მოსწავლე იტოვებს მათ. ისევ მისი სვლაა და ბავშვი ამოაბრუნებს სხვა ორს. თუ ბარათებზე მოცემული სიტყვა ან ნახატი არ შეადგენს წყვილს, მოსწავლე, მას შემდეგ რაც ყველას აჩვენებს, ადგილზე დააბრუნებს ბარათებს (ისევ პირქვე). მოსწავლეები იმახსოვრებენ, რომელი ბარათი სად დევს (მნიშვნელოვანია, რომ ბარათებს ადგილები არ შეეცვალოთ). სვლა გადადის შემდეგ მოსწავლესთან.
- მომდევნო მოსწავლეც ატრიალებს 2 ბარათს. ჯერ იღებს ერთს, თუ ბარათზე მოცემული სიტყვის/ნახატის წყვილი უკვე ნანახი აქვს, ცდილობს, ზუსტად გაიხსენოს მისი ადგილმდებარეობა და აწყვილებს თავის ბარათთან. ასეთივე წესით აგრძელებს დაწყვილებას, სანამ არ შეხვდება ისეთი ბარათი, რომლის წყვილიც ჯერ არ უნახავს ან მის მდებარეობასაც ზუსტად ვერ გაიხსენებს. თუ მოსწავლემ პირველივე ბარათს ვერ მოუძებნა წყვილი, მაგრამ გაიხსენა მეორე ბარათის შესატყვისის ადგილმდებარეობა, მას უფლება აღარ აქვს, დააწყვილოს ეს ბარათები. ამ შემთხვევაში სვლა გადადის შემდეგ მოსწავლეზე.
- ასე გრძელდება, სანამ ყველა ბარათი არ გათამაშდება.

გამარჯვებულია ის მოსწავლე, რომელიც მეტ წყვილს შეაგროვებს.

შენიშვნა: მსგავსი აქტივობის განხორციელება შესაძლებელია ლექსიკის კომპონენტშიც სინონიმების ბარათების წყვილით.

სინონიმების ბანქო ნახატებით

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები შეარჩევენ შეთავაზებული ნახატის შესაბამის სიტყვას ან პირიქით, სიტყვის შესაბამის ნახატს.

ამ მეთოდის/აქტივობის გამოყენებით მოსწავლე:

- გაიწაფება სიტყვების დეკოდირებასა და მთლიანად ამოცნობაში;
- გაიაქტიურებს შესწავლილი ლექსიკური ერთეულების ცოდნას;
- გაიმდიდრებს ლექსიკურ მარაგს.

მუშაობის ფორმა: ორი ან მეტი მოთამაშე.

რესურსი: ბანქოს ზომის ბარათების დასტა სიტყვებითა და ნახატებით.

მსვლელობა

- მასწავლებელი ამზადებს წყვილების „ბანქოს“ დასტას. ბარათის წყვილი შედგება ნახატისა და ნაწერისაგან. ერთ ბარათზე წერია სიტყვა, მეორეზე კი მისი შესაბამისი გამოსახულებაა.

მაგ.,

- მასწავლებელი თითოეულ მოთამაშეს (მოსწავლეს ან მოსწავლეთა წყვილს) დაურიგებს თანაბარი რაოდენობის სიტყვის ბარათებს;
- მასწავლებელი დაიტოვებს ნახატებიან ბარათებს, რომლებსაც დაიკავებს ხელში ან დადებს მაგიდაზე, ნახატით ქვემოთ;
- თამაშის დასაწყებად მასწავლებელი დადებს (ან ამოაბრუნებს) მაგიდაზე ერთ ნახატიან ბარათს;
- მოსწავლეები ეძებენ მაგიდაზე დადებული ნახატიანი ბარათის შესაბამის სიტყვას თავიანთ ბარათებში;
- შესაბამისი სიტყვის მოძებნის შემთხვევაში მოსწავლე სიტყვის ბარათით „გაჭრის“ ნახატიან ბარათს და შემდეგ ორივეს აიღებს;
- გამარჯვებულია ის მოსწავლე (წყვილი), რომელიც ყველაზე მეტ „ბანქოს“ – ბარათების წყვილს დააგროვებს.

ბოთლის დატრიალება

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეებმა სწრაფად უნდა წაიკითხონ ბოთლის მიერ „მითითებული“ სიტყვა.

ამ მეთოდის/აქტივობის გამოყენებით მოსწავლე:

- იწაფება სიტყვების დეკოდირებასა და მთლიანად ამოცნობაში;
- იაქტიურებს შესწავლილი ლექსიკური ერთეულების ცოდნას;
- იმდიდრებს ლექსიკურ მარაგს.

მუშაობის ფორმა: მცირე ჯგუფები, წყვილები.

რესურსი: სიტყვის ბარათები, პლასტიკატის ბოთლი.

მსვლელობა

- მასწავლებელი ამზადებს სიტყვის ბარათებს და აწყობს წრეზე. შუაში მოათავსებს პლასტმასის ბოთლს.
- მოსწავლეები მორიგეობით ატრიალებენ ბოთლს და წარმოთქვამენ იმ სიტყვას, რომელთანაც ბოთლის წვერი გაჩერდება.

სიტყვების ლოტო

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს მოსწავლეები მოცემული სიტყვის ბარათებიდან შეარჩევენ და ფურცელზე გადაწერენ 8 სიტყვას. ასახელებენ ამოწერილ სიტყვას და მოინიშნავენ კლასელების დასახელებულ სიტყვებს (რომლებიც მათსას ემთხვევა) საკუთარ ფურცელში.

მეთოდი მოსწავლეებს ეხმარება:

- სიტყვის ამოკითხვის, ამოცნობის უნარის განვითარებაში;
- სიტყვის ვერბალური და ვიზუალური ხატის ერთმანეთთან დაკავშირების უნარის განვითარებაში;
- შესწავლილი ლექსიკური ერთეულების ცოდნის გააქტიურებაში.

მუშაობის ფორმა: მცირე ჯგუფები, მთელი კლასი.

რესურსი: სიტყვის ბარათები.

მსვლელობა

- მასწავლებელი ამზადებს 20-25 სიტყვის ბარათს და გამოფენს ისე, რომ კარგად ჩანდეს;
- მოსწავლეები A4 ზომის ფურცელს კეცავენ 8 ტოლ ნაწილად;
- მოსწავლეები გაშლიან დაკეცილ ბარათს და მიღებულ უჯრებს შეავსებენ 8 სიტყვით. სიტყვებს აირჩევენ გამოკრული ბარათებიდან. შესაძლოა, გამოიყენონ სიტყვების კედელიც;
- ფურცლის შევსების შემდეგ მოსწავლეები მორიგეობით ხმამაღლა წარმოთქვამენ თითო სიტყვას თავიანთი ფურცლიდან;
- თუ კლასელის მიერ დასახელებული სიტყვა მათ დაწერილს დაემთხვა, ბავშვები მონიშნავენ სიტყვებს თავიანთ უჯრებში;

- მოთამაშეები დაიძახებენ „ბინგო“, როცა მათ ფურცელზე სიტყვა მოინიშნება. გამარჯვებული იქნება ის, ვინც პირველი მონიშნავს ბარათზე ყველა სიტყვას. გამარჯვებული დაიძახებს სიტყვას „სუპერბინგო“.

სიტყვების მარკეტი

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს მოსწავლეები სიტყვის ბარათებს კითხულობენ და უცვლიან ერთმანეთს.

აქტივობა მოსწავლეებს უვითარებს შემდეგ უნარებს:

- სიტყვის ამოკითხვა, ამოცნობა;
- შესწავლილი ლექსიკური ერთეულების ცოდნის გამოყენება;
- სამეტყველო სიტუაციის შესაბამისი ლექსიკის შერჩევა;
- სიტყვების კლასიფიცირება.

მუშაობის ფორმა: წყვილები, მცირე ჯგუფები.

რესურსი: სიტყვის ბარათები.

მსვლელობა

- მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს თანაბარი რაოდენობის განსხვავებულ სიტყვის ბარათებს. ბარათები გარკვეული პრინციპითაა განაწილებული. მოსწავლეების მიზანია შეაგროვონ საერთო კატეგორიაში შემავალი სიტყვები. მაგალითად, ერთ მოსწავლეს შეხვდება „აგური“, „ფიცარი“, „ცემენტი“ და „პამიდორი“. მისი მიზანი იქნება, „პამიდორი“ გადაცვალოს რომელიმე სამშენებლო მასალის აღმნიშვნელ სიტყვაში, რომელიც სხვა მოსწავლეს ექნება. ამ უკანასკნელს კი, თავის მხრივ, მოსაპოვებელი ექნება ბოსტნეულის აღმნიშვნელი სიტყვა;
- ყველა მოსწავლე მაგიდაზე დააწყობს თავის ბარათებს ისე, რომ ჯგუფის თითოეული წევრი კარგად ხედავდეს;
- მოსწავლეები იწყებენ „ვაჭრობას“. ერთი მოსწავლე ამბობს: „ლევან, მე გაგიცვლი ჩემს **„კურდღელს“** შენს **„ვაშლში“**. მეორე მოსწავლეს აქვს არჩევანი, გაუცვალოს თუ არა. მას შეუძლია უპასუხოს: „არა, მაგრამ მე გაგიცვლი ჩემს **„ვაშლს“** შენს **„მაისურში“;**
- მოსწავლეებმა უნდა მოაგროვონ ერთი სახეობის სიტყვები. მაგალითად, ხილი, შინაური ცხოველები, სასწავლო ნივთები, ლურჯი საგნები, საჭმელები, სახატავი ნივთები და სხვ.

მოკარნახე ზმნები

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს მოსწავლეები ასრულებენ ბარათზე დაწერილი ზმნის შესაბამის მოქმედებას.

მეთოდი/აქტივობა მოსწავლეებს უვითარებს შემდეგ უნარებს:

- სიტყვის ამოკითხვა, ამოცნობა;
- სიტყვის მნიშვნელობის გაგება;

- შესწავლილი ლექსიკური ერთეულების ცოდნის გამოყენება.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, მცირე ჯგუფები, მთელი კლასი.

რესურსი: სიტყვის ბარათები

მსვლელობა

- მასწავლებელი შეარჩევს მოქმედების გამომხატველი სიტყვის ბარათებს და მორიგეობით აჩვენებს თითო მოსწავლეს/ჯგუფს თითო ბარათს.
- მოსწავლეები ასრულებენ ბარათზე მოცემული ზმნის შესაბამის მოქმედებას. მაგ., ახტა, აიღო, იყვირა, თვალები დახუჭა, ხელი ასწია, აიხედა, წაიკითხა და სხვ.

სიტყვების გარითმვა

აქტივობის შესახებ

აქტივობის გამოყენების დროს მოსწავლეები ჩამოწერენ სიტყვებს, რომლებიც ერითმება მოცემულ სიტყვას.

ამ აქტივობის გამოყენებით მოსწავლეები:

- განივითარებენ ფონოლოგიურ უნარებს;
- გაიაქტიურებენ შესწავლილი ლექსიკური ერთეულების ცოდნას;
- გაივარჯიშებენ შემოქმედებით უნარებს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, მცირე ჯგუფები.

რესურსი: სიტყვის ბარათები, ფურცლები.

მსვლელობა

- მასწავლებელი ამზადებს სიტყვის ბარათებს და ურიგებს მოსწავლეებს ან წყვილებს/ჯგუფებს.
- მოსწავლეები გარკვეული დროის განმავლობაში ფურცლებზე ჩამოწერენ იმ სიტყვებს, რომლებიც ერითმება ბარათზე მოცემულ სიტყვას.
- გაიმარჯვებს ის მოსწავლე/წყვილი/ჯგუფი, რომელიც ყველაზე მეტ სიტყვას გაურითმავს ერთმანეთს (მაგ., კალათი-ხალათი-ბარათი-სალათი).[1]

სიტყვების მასაჟი

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს მოსწავლეები მეწყვილეებს ზურგზე თითით აწერენ სიტყვებს. მეწყვილეები ცდილობენ, გამოიცნონ სიტყვა.

მეთოდი/აქტივობა მოსწავლეებს უვითარებს შემდეგ უნარებს:

[1] ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელმა შესაძლოა თვითონვე შესთავაზოს მოსწავლეებს სიტყვები, საიდანაც ამოარჩევენ სამიზნე სიტყვის გასარითმ სიტყვას.

- სიტყვის ამოკითხვა, ამოცნობა;
- ყურადღების კონცენტრირება.

მუშაობის ფორმა: წყვილები.

რესურსი: მცირე ზომის სიტყვის ბარათების დასტა.

მსვლელობა

- მასწავლებელი დააწყვილებს მოსწავლეებს და თითოეულ მოსწავლეს აძლევს მცირე ზომის რამდენიმე ბარათს;
- წყვილში ერთი მოსწავლე თავისთვის, ჩუმად წაიკითხავს ბარათზე მოცემულ სიტყვას და მეწყვილეს თითით ასო-ასო დააწერს ზურგზე. პარტნიორმა უნდა გამოიცნოს დაწერილი სიტყვა;
- მოსწავლეები ცვლიან როლებს;
- მეწყვილეები აღრიცხავენ (პლუს-მინუსით მონიშნავენ რვეულში) შედეგებს და წარმოადგენენ კლასში. მაგ., მალხაზმა სწორად გამოიცნო „სახლი“ და „ოთახი“, მაგრამ ვერ გამოიცნო „კიბე“.

შენიშვნა: მასწავლებელი სიტყვებს შეარჩევს გარკვეული პრინციპით. მაგალითად, იმ დღეს აღწერილი სურათის სიტყვებს, შინაური ცხოველების სახელებს, ახლად ან ადრე შესწავლილ სიტყვებს და სხვ.

დავიმახსოვროთ სიტყვების მწკრივი

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები იმახსოვრებენ და ასახელებენ სიტყვების მწკრივს.

მეთოდი/აქტივობა მოსწავლეებს ეხმარება:

- სიტყვების ამოკითხვაში/ამოცნობაში;
- შესწავლილი ლექსიკური ერთეულების ცოდნის გააქტიურებაში;
- დამახსოვრებაში;
- ყურადღების კონცენტრირებაში.

მუშაობის ფორმა: მცირე ჯგუფები ან მთელი კლასი.

რესურსი: სიტყვის ბარათები.

მსვლელობა

- მასწავლებელი ამზადებს სიტყვის ბარათებს და სამ, ოთხ ან ხუთ ბარათს დააწყობს მაგიდაზე ან გააკრავს დაფაზე მწკრივში;
- მოსწავლეები აკვირდებიან ბარათებს და ასახელებენ თითოეულ სიტყვას მარცხნიდან მარჯვნივ;
- მოსწავლეები ხუჭავენ თვალებს, ამ დროს მასწავლებელი ბარათების თანმიმდევრობას გადაანაცვლებს;
- თვალის გახელის შემდეგ მოსწავლეები წარმოთქვამენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს იმავე

პრინციპით. შემდეგ კი ცდილობენ, დააწყონ ბარათები პირვანდელი თანმიმდევრობით;

- შემდეგ ეტაპზე მასწავლებელი ცვლის ამოცანას, ბარათების მწკრივს მოაკლებს ან დაუმატებს ერთ ბარათს. მოსწავლეები ცდილობენ, გამოიცნონ და დაასახელონ ამოღებული/დამატებული ბარათი.

დახედე, გადააბრუნე, დაწერე, შეამოწმე

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს მოსწავლეები იმახსოვრებენ სიტყვის ბარათზე მოცემულ სიტყვას და ჩაწერენ მას ფურცელზე. შემდეგ ამოწმებენ დაწერილს.

მეთოდი/აქტივობა მოსწავლეებს უვითარებს შემდეგ უნარებს:

- სიტყვის ამოკითხვა, ამოცნობა;
- დამახსოვრება;
- ყურადღების კონცენტრირება.

მუაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები.

რესურსი: სიტყვის ბარათები.

მსვლელობა

- მასწავლებელი აძლევს თითოეულ მოსწავლეს რამდენიმე ბარათს;
- მოსწავლეები შეხედავენ სიტყვის ბარათს, გადააბრუნებენ, გაიხსენებენ, რა წერია ბარათზე და დაწერენ სიტყვას ფურცელზე/რვეულში;
- მოსწავლეები ამოაბრუნებენ სიტყვის ბარათს და შეამოწმებენ, სწორად დაწერეს თუ არა. შეცდომის შემთხვევაში შეასწორებენ ნაწერს. იმავეს იმეორებენ ყველა ბარათზე.

გაელვება

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს მოსწავლეები ამოიცნობენ წამიერად ნანახ სიტყვებს.

მეთოდის/აქტივობის ხშირად განხორციელების შემთხვევაში მოსწავლეებს განუვითარდებათ:

- ვიზუალური მეხსიერება;
- ყურადღების კონცენტრირების უნარი;
- სიტყვის მთლიანად ამოცნობის უნარი.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, ჯგუფები.

რესურსი: სიტყვის ბარათები.

მსვლელობა

- მასწავლებელი მოსწავლეებს ძალიან სწრაფად, წამიერად აჩვენებს სიტყვის ბარათს. მოსწავლეებმა უნდა წარმოთქვან ის სიტყვა, რომელიც დაინახეს. შესაძლებელია პასუხების გაცემა როგორც დასწრებით, ასევე მასწავლებლის მითითებით;

- მასწავლებელი ართულებს ამოცანას ჯერ ორი, შემდეგ სამი ბარათის ერთდროულად ჩვენებით.

შენიშვნა: სასურველია მასწავლებელმა ცვალოს ბარათების ჩვენების სიჩქარე ბავშვების შესაძლებლობების მიხედვით. საჭიროებისამებრ, მასწავლებელი სხვადასხვა ბავშვს სხვადასხვა სიჩქარით აჩვენებს ბარათებს.

სიტყვების მათემატიკა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს მოსწავლეები კითხულობენ სიტყვის ბარათებს და ითვლიან სიტყვაში ასოების რაოდენობას.

ამ მეთოდის/აქტივობის დახმარებით მოსწავლეებს უვითარდებათ:

- სიტყვის დეკოდირების უნარი;
- ანგარიშის უნარი.

მუშაობის ფორმა: წყვილები.

რესურსი: სიტყვის ბარათების დასტა, ფურცელი, კალამი.

მსვლელობა

- მასწავლებელი ამზადებს ლუწი რაოდენობის ბარათების დასტას;
- აწყვილებს მოსწავლეებს და თითოეულ წყვილს იატაკზე ან მაგიდაზე უწყობს გადაბრუნებული ბარათების დასტას ლუწი რაოდენობით (4-8 ცალი);
- მოსწავლეები მორიგეობით იღებენ თითო-თითო ბარათს და ხმამაღლა კითხულობენ. შემდეგ თვლიან სიტყვაში ასოების რაოდენობას და წერენ წინასწარ მომზადებულ ფურცელზე;
- მას შემდეგ რაც ყველა ბარათს წაიკითხავენ, მოსწავლეები შეკრებენ ქულებს საკუთარ ფურცლებზე, დააჯამებენ წყვილებში;
- გამარჯვებულად ჩაითვლება ის წყვილი, რომელიც სწორად შეკრებს ქულებს.

სიტყვების მოძებნა (სნაიპერი)

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს მოსწავლეები ჟურნალ-გაზეთებში, წიგნებში, ამობეჭდილ ტექსტებში ეძებენ მასწავლებლის მიერ მითითებულ სიტყვებს.

ამ მეთოდის/აქტივობის გამოყენება მოსწავლეებს:

- უვითარებს სიტყვის მთლიანად ამოკითხვის/ცნობის უნარს;
- ეხმარება სიტყვის ვიზუალური ხატის დამახსოვრებაში.

მუშაობის ფორმა: ჯგუფები, წყვილები, ინდივიდუალური, მთელი კლასი.

რესურსი: წიგნები, ჟურნალები, ბროშურები, გაზეთები.

მსვლელობა

- მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს კონკრეტულ სიტყვებს. მოსწავლეები წიგნებში, ჟურნალ-გაზეთებში, ამობეჭდილ ტექსტებში ეძებენ მასწავლებლის მიერ მითითებულ სიტყვებს და ფანქრით შემოხაზავენ მათ.

შენიშვნა: მოსაძებნი სიტყვების შერჩევა შესაძლებელია სიტყვების კედლიდან ან დაფაზე ჩამოწერილი სიტყვებიდან.

ფოსტალიონი

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს მოსწავლეებს უვითარდებათ:

- სიტყვის დეკოდირების უნარი;
- ყურადღების კონცენტრირების უნარი.

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი, ჯგუფები.

რესურსი: მცირე ზომის სიტყვის ბარათები.

მსვლელობა

- ერთი მოსწავლე ასრულებს ფოსტალიონის როლს. ის ურიგებს „წერილებს“ (თითო სიტყვის ბარათს) დანარჩენ მოსწავლეებს. მნიშვნელოვანია, ბარათები ისე დაუწყოს, რომ სიტყვები არ ჩანდეს;
- როცა ყველა „წერილი“ დარიგდება, თითოეული მოსწავლე მიმდევრობით კითხულობს თავის სიტყვას. ბარათის ამობრუნება დასაშვებია მხოლოდ წაკითხვის წინ;
- მასწავლებელი მოსწავლეებს იძახებს სიტყვის სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით. მაგ., გამოვიდნენ ის მოსწავლეები, რომელთა სიტყვებშიც არის ასო-ბგერა „ე“, ან რომელთა სიტყვაშიც სამი მარცვალია, ოთახის კართან დაჯგუფდნენ მოსწავლეები, რომელთა სიტყვაც იწყება ხმოვანზე და ა.შ.;
- გამოძახებული მოსწავლეები კლასის წინ დგებიან მაღლა აწეული ბარათებით, რომ სხვებმაც წაიკითხონ მათი სიტყვები.

„ბახ“

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები სიტყვის ბარათებით თამაშობენ ბანქოს და ხმამაღლა ამოიკითხავენ მათზე დაწერილ სიტყვებს.

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს მოსწავლეებს:

- უვითარდებათ სიტყვის ამოკითხვისა და ამოცნობის უნარი;
- უაქტიურდებათ ლექსიკური ერთეულების ცოდნა.

მუშაობის ფორმა: წყვილები, ოთხწევრიანი ჯგუფები.

რესურსი: ბანქოს ზომის სიტყვის ბარათები, 5-6 ბარათი სიტყვით „ბახ“.

მსვლელობა

- მასწავლებელი ამზადებს: ა) სიტყვის ბარათებს, ბ) 5-6 ბარათს სიტყვით „ბახ“. სიტყვის ბარათების რაოდენობა მოსწავლეთა რაოდენობაზე მეტი უნდა იყოს. შეურევს ბარათებს და აურევს დასტას;
- მოსწავლეები მორიგეობით იღებენ თითო ბარათს (დასტის პირველ ბარათს), ამოაბრუნებენ, ხმამაღლა კითხულობენ სიტყვას. თუ მოსწავლემ სწორად ამოიკითხა სიტყვა, ის იტოვებს აღებულ ბარათს. თამაშს აგრძელებს სხვა მოსწავლე;
- თუ მოსწავლე შეცდომით ამოიკითხავს სიტყვას, მას მოუწევს ბარათის დასტაში დაბრუნება. ამ შემთხვევაშიც თამაშს აგრძელებს მომდევნო მოსწავლე;
- თუ მოსწავლეს შეხვდა ბარათი სიტყვით „ბახ“, იგი იტოვებს „ბახ“ ბარათს და უკან აბრუნებს ყველა მანამდე აღებულ ბარათს და თავიდან იწყებს ბარათების შეგროვებას;
- იგებს ის, ვისაც დასტის დამთავრებისას ყველაზე მეტი სიტყვის ბარათი დარჩება.

რთული – ადვილი

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს მოსწავლეები განალაგებენ სიტყვის ბარათებს სირთულის მიხედვით (რთულიდან მარტივისკენ).

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს მოსწავლეები:

- ვარჯიშობენ სიტყვის ამოკითხვასა და ამოცნობაში;
- აკვირდებიან სიტყვის მახასიათებლებს;
- ივითარებენ კატეგორიზაციის უნარს.

მუშაობის ფორმა: წყვილები, მცირე ჯგუფები.

რესურსი: სიტყვის ბარათები.

მსვლელობა

- მასწავლებელი ყოფს კლასს წყვილებად ან მცირე ჯგუფებად და თითოეულ წყვილს/ჯგუფს აძლევს რამდენიმე სიტყვის ბარათს;
- მოსწავლეები სიტყვის ბარათებს განალაგებენ სირთულის მიხედვით. ჯერ გამოყოფენ ყველაზე რთულ სიტყვას და ბოლოს – ყველაზე მარტივს;
- მოსწავლეები და მასწავლებელი მსჯელობენ, რატომ მიიჩნიეს ბავშვებმა კონკრეტული სიტყვა შედარებით რთულად ან მარტივად; სვამენ კითხვებს და ასახელებენ სხვადასხვა მახასიათებელს/კრიტერიუმს: მაგ.; დასაწერად, დასამახსოვრებლად, წარმოსათქმელად, გასააზრებლად რთულია და სხვა.

ცხოველების სახლი

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს მოსწავლეები აკვირდებიან მასწავლებლის მიერ დასახელებულ სიტყვებს, ამოიცნობენ პირველ ბგერას, ახდენენ სიტყვების კლასიფიკაციას პირველი ბგერის მიხედვით.

ამ მეთოდის/აქტივობის დახმარებით მოსწავლეებს უვითარდებათ:

- ფონოლოგიური უნარ-ჩვევები;
- ასოებისა და სიტყვების წაკითხვის უნარი.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, ჯგუფები, მთელი კლასი.

რესურსი: დაფა, ცარცი, სიტყვის ბარათები (საჭიროებისამებრ).

მსვლელობა

- მასწავლებელი დაფაზე დახატავს დიდი ზომის ორსართულიან სახლს, რომელსაც ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზებით გაყოფს ოთხ ნაწილად (ეს ნაწილები სახლის ოთახებია). აუხსნის ბავშვებს, რომ ამ სახლს აქვს ოთხი ოთახი. ყველა ოთახში ცხოვრობს თითო ცხოველი: ქვედა სართულზე მარცხნივ ცხოვრობს **ლომი**, ქვედა სართულზე მარჯვნივ ცხოვრობს **მაიმუნი**, ზედა სართულზე მარცხნივ ცხოვრობს **დათვი**, ზედა სართულზე მარჯვნივ ცხოვრობს **კურდღელი**;
- მასწავლებელი ჩაწერს ცხოველების სახელებს შესაბამის „ოთახებში". ამ ცხოველებთან სტუმრად მოდიან ხოლმე სხვა ცხოველები. მასპინძელი ცხოველები მხოლოდ იმ ცხოველებს უღებენ კარს, რომელთა სახელიც იმავე ასო-ბგერით იწყება. მაგალითად, თუ სახლთან მელა მივიდა, მას მიიღებს მაიმუნი და ამიტომ მელა მაიმუნის „ოთახში შევა";
- ფონოლოგიური სავარჯიშოსთვის: მასწავლებელი დაასახელებს ცხოველს. მოსწავლეები ამოიცნობენ დასახელებული ცხოველის პირველ ბგერას და იტყვიან, დახატული სახლის რომელი ცხოველი მიიღებს მას სტუმრად;
- ანბანური სავარჯიშოსთვის: მასწავლებელი უჩვენებს ბავშვებს დაწერილი ცხოველის სახელს. სიტყვა შეიძლება დაწეროს დაფაზე ან გამოიყენოს სიტყვის ბარათები. მოსწავლეები იტყვიან, რომელი ცხოველი მიიღებს სტუმრად ამა თუ იმ სიტყვის შესაბამის ცხოველს.

ვარიაციები

- ოთხი „ოთახის" ნაცვლად ორი „ოთახით" დაწყება;
- „ოთახებში" ცხოველების ჩანაცვლება ანუ პირობაში ჩამოთვლილი ცხოველების ნაცვლად სხვების ჩაწერა;
- ბავშვები ჩაწერენ სწორად გამოცნობილ ცხოველებს შესაბამის ოთახში (დამოუკიდებლად ან ერთობლივი წერით);
- პირდაპირ დასახელების ნაცვლად მასწავლებელი ჯერ ამბობს ცხოველის რამდენიმე მახასიათებელს, რათა მოსწავლეებმა გამოიცნონ (მაგ. „აქვს ულვაშები და ფუმფულა კუდი.");
- სტუმარი ცხოველების ნაცვლად „ოთახებში" ნივთების განაწილება;
- ბავშვებისთვის ბარათების დასტის მიცემა იმის მიხედვით, თუ რომელი უნარის გავარჯიშებაა გამიზნული. თუ ფონოლოგიური სავარჯიშოა, დარიგდება სურათიანი ბარათები და დაფაზეც „ოთახებში" დიდი ზომის სურათიანი ბარათები გაიკვრება. თუ ანბანზე ვარჯიშობენ, დარიგდება სიტყვის ბარათები.

დამატებითი ეფექტური აქტივობები ანბანისა და სიტყვების წაკითხვის სწავლებისათვის

აქტივობები აღებულია წიგნიდან „გზამკვლევი მასწავლებლებისათვის. ქართული ენა და ლიტერატურა 1-6 კლასები“, ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი, 2011

„აფრინდა, აფრინდა!“

მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვებს, მოსწავლეები ხელს ასწევენ მხოლოდ მაშინ, როცა მასწავლებელი წინასწარ მითითებულ ასოს დაწერს.

სიტყვაში მარცვლის იდენტიფიცირება

მასწავლებელი მოსწავლეებს ძლევს სამ სვეტში გადანაწილებულ სამ მარცვალს (მაგ., გა, ტი, გო) და ისეთ სიტყვათა ჩამონათვალს, რომლებიც ამ მარცვლებიდან ერთ-ერთს მაინც შეიცავს. მოსწავლეებმა უნდა იპოვონ სიტყვებში ეს მარცვლები და სათანადო სვეტში გადაანაწილონ ისინი.

შენიშვნა: შეიძლება იმავე ტიპის სავარჯიშო გაკეთდეს ასოების გათვალისწინებით.

„ქურდს უნდა...“

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ტექსტს ან სიტყვათა ჩამონათვალს და ეუბნება, რომ ქურდს სურს, მოიპაროს სიტყვები, რომლებშიც არის ესა თუ ის ასო/ასოები. მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს: „იპოვეთ და ხაზი გაუსვით ამ სიტყვებს და ქურდი მათ ვერ წაიღებს“.

შეცვალე ასო

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს სიტყვებს, რომლებიც ერთი ასოს ჩანაცვლებით იცვლიან მნიშვნელობას (მაგ., ხარი-ბარი, ქარი-კარი). მიუთითებს ჩასანაცვლებელ ასოზე და სთხოვს, რომ მის ნაცვლად ჩასვან სხვა ისეთი ასო, რომ ახალი სიტყვა მიიღონ.

იპოვე სიტყვა

მოსწავლეებს მოეთხოვებათ, განსაზღვრულ დროში ტექსტში იპოვონ განსაზღვრული რაოდენობის ორ/სამმარცვლიანი სიტყვები.

გადახაზე არასწორი სიტყვა

სურათების ქვეშ მიწერილია შესაბამისი სიტყვები (ერთი ან რამდენიმე არასწორადაა მიწერილი). მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ არასწორად მიწერილი სიტყვები და გადახაზონ.

აკლია მარცვალი

მოსწავლეებმა უნდა გადაიწერონ სიტყვები და ჩაამატონ საჭირო მარცვალი.

აკლია მარცვალი	**სიტყვა დაწერე სრულად**
თუ__ყუში	თუთიყუში
ყვა__ლი	_____

არეული მარცვლების დაკავშირება

ცხრილში არეულადაა მოცემული სიტყვის მარცვლები. მოსწავლემ უნდა ამოიცნოს სიტყვა და გადაწეროს იგი.

ბუშ	გა
ბურ	ტი
ქოლ	თი

თი	ში
ყუ	თუ

სიტყვების ანბანური რიგით დაწყობა

მოსწავლეებმა სიტყვათა ჩამონათვალში მოცემული სიტყვები უნდა დააწყონ ანბანური რიგით (ანბანი ხელმისაწვდომი უნდა იყოს).

მოცემული მარცვლებით სიტყვების შედგენა

მოსწავლეებმა მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მარცვლებით განსაზღვრულ დროში უნდა შეადგინონ რაც შეიძლება მეტი სიტყვა.

სიტყვების გადაწერა სიგრძის მიხედვით

მოსწავლეებს ეძლევათ სხვადასხვა სიგრძის სიტყვები. მათ უნდა განალაგონ და გადაიწერონ სიტყვები მათი შემადგენელი ასოების რაოდენობის მიხედვით, ზრდადი ან კლებადი სახით.

შესაბამისი სიტყვის პოვნა და გადაწერა

ცხრილში მოთავსებულია სურათი და ოთხი სიტყვა, რომელთაგან მხოლოდ ერთი შეესაბამება სურათს. მოსწავლემ უნდა იპოვოს და გადაწეროს შესაბამისი სიტყვა.

	დათო	დალი	დათვი	ბალი
	ბურთი	კუდი	ქუდი	ბუშტი

სიტყვების გარკვეული ნიშნით გადაწერა

მოსწავლემ სიტყვების კედლიდან, დიდი წიგნიდან უნდა გადაიწეროს ან ამოწეროს სიტყვები, რომელთაც: ა) დეფისი აქვთ; ბ) იწყება ბ-ზე; გ) ოთხასოიანია და ა.შ.

შინაარსობრივი წყვილები

მასწავლებელი მოსწავლეებს წარუდგენს სიტყვების ორ სვეტს. მოსწავლეებმა უნდა დააწყვილონ სიტყვები, რომლებიც შინაარსობრივად უკავშირდება ერთმანეთს. მაგ., ერთ სვეტში: მეპურე, მეყვავილე, მენაყინე... მეორე სვეტში: ნაყინი, პური, ყვავილი...

სიტყვის ტრანსფორმირება

მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს ოთხ-ხუთ სიტყვას და ინსტრუქციას, რომლის მიხედვითაც მოსწავლემ ზოგიერთ სიტყვას უნდა გამოაკლოს, შეუცვალოს, დაუმატოს ესა თუ ის ასო (მაგ., სიტყვა „ვაშლი“ – სიტყვის ბოლოს დაუმატოს ასო „ა“ და ისე გადაწეროს).

დიდ სიტყვაში პატარა სიტყვის პოვნა

მასწავლებელი ჩამოწერს სიტყვებს, რომელთა წაკითხვაზეც მოსწავლეებს ჯერ არ უვარჯიშიათ. შემდეგ აძლევს მცირე ზომის სიტყვების ჩამონათვალს (მაგ., ხე, ალი, და, კი, ია, თუ, არ) და სთხოვს იპოვონ დიდ სიტყვებში პატარა სიტყვები (მაგ.: მა**ხე**, თვ**ალი** და სხვ.).

სიტყვების გადაწერა და ნაკარნახევ სიტყვებთან დაწყვილება

მოსწავლეები გადაიწერენ დაფიდან 5-6 სიტყვას. შემდეგ მასწავლებელი ამ სიტყვებიდან რამდენიმეს კარნახობს ბავშვებს. მოსწავლეებმა ნაკარნახევი სიტყვები უნდა მიუწერონ სათანადო სიტყვას.

იდუმალი სიტყვა

დაფაზე ჩამოწერილი სიტყვათა ჩამონათვალიდან მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ და გადაწერონ „იდუმალი სიტყვა“. მასწავლებელი მათ გარკვეულ მინიშნებებს აძლევს, მაგ., „იდუმალი სიტყვა იწყება „ზ“ ასოთი და სრულდება „ა“ ასოთი, აღნიშნავს ცხოველს და ა.შ.

წაკითხული წინადადების შესაბამისი ვარიანტის პოვნა

მოსწავლე კითხულობს ერთ წინადადებას. შემდეგ მასწავლებელი მას სთავაზობს ამ წინადადების სამ ვარიანტს. მოსწავლემ უნდა ამოიცნოს, რომელია მის მიერ მანამდე წაკითხული ვარიანტი.

ნიმუში: კომბლეს ოთხი თეთრი ცხვარი ჰყავდა.
ა) კომბლეს ორი თეთრი ცხვარი ჰყავდა;
ბ) კომბლეს ოთხი თეთრი ცხენი ჰყავდა;
გ) კომბლეს ოთხი თეთრი ცხვარი ჰყავდა.

პიცა

ერთჯერადი თეფშის ან მრგვალად გამოჭრილი ფურცლის შუაში მასწავლებელი დააკრავს სიტყვის ძირს, თავსართს ან ბოლოსართს. ცალკე ბარათებზე წერია სიტყვის სხვადასხვა ნაწილი. მოსწავლემ უნდა იპოვოს შესაბამისი ბარათი და სამაგრით დაამაგროს თეფშს/ფურცელს შესაბამის ადგილას (დასაწყისში ან ბოლოს).



ანბანის ცოდნის შემოწმება

ანბანის ცოდნის შემოწმებისთვის ვიყენებთ სკრინინგს, დიაგნოსტიკურ შეფასებას და პროგრესის მონიტორინგს. პირველი კლასის დაწყებისთანავე მეტად მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლის გამოცდილებისა და მზაობის შემოწმება. შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ ზოგიერთი ბავშვი უკვე საკმაოდ კარგად ფლობს არამარტო ასო-ბგერებს, არამედ კითხვის საწყის უნარებსაც. ანბანის ცოდნის შესამოწმებლად ძირითადად ვიყენებთ ასო-ბგერების ცალ-ცალკე (ერთმანეთისაგან იზოლირებულად) ცნობის ტესტს, ხოლო დეკოდირების (ანბანური პრინციპის გამოყენების) საწყისი უნარების შესამოწმებლად – ცალკეული სიტყვების წაკითხვის ტესტს. ამ ორი ტესტის სასწავლო წლის განმავლობაში რამდენჯერმე ჩატარება საკლასო დაკვირვებასა და განმავითარებელ შეფასებებთან ერთად საკმარის ინფორმაციას გვაწვდის მოსწავლეთა მიღწევებისა და საჭიროებების შესახებ.

ასო-ბგერების ცნობის ტესტი

ტესტის დანიშნულება: არეული თანმიმდევრობით მოცემული ასოების იდენტიფიცირებისა და შესაბამის ბგერასთან მისადაგების უნარის შემოწმება. ეს არის სიტყვების დეკოდირების უნარის მნიშვნელოვანი საყრდენი.

ტესტის ტიპი: ინდივიდუალური. ახლავს მოსწავლის ფურცელი.

ტესტის ჩატარების ვადები: ქართული ენა: პირველი კლასი. ქართული, როგორც მეორე ენა: მეორე კლასი. სასურველია სკრინინგის ჩატარება თითოეული სმესტრის დასაწყისში. დიაგნოსტიკური ტესტირება შეიძლება ჩატარდეს რამდენჯერმე სასწავლო წლის განმავლობაში. ზოგიერთი მოსწავლისთვის, საჭიროებისამებრ, შესაძლებელია ტესტის ჩატარება მეორე კლასის დასაწყისშიც.

ტესტის ხანგრძლივობა: 60 წამი

ტესტის ჩასატარებლად საჭირო რესურსი: ა) მასწავლებლის ფურცელი, ბ) მოსწავლის ფურცელი, გ) საათი ან წამმზომი.

ტესტის ჩატარების პროცედურა: დროის ათვლა იწყება მაშინ, როდესაც მოსწავლე პირველი ასო-ბგერის კითხვას დაიწყებს. შემფასებელი მონიშნავს მხოლოდ შეცდომით წარმოთქმულ ასო-ბგერებს დახრილი ხაზის (/) გადასმით. თუ მოსწავლე ხელმეორედ და სწორად წარმოთქვამს შეცდომით წარმოთქმულ ასო-ბგერას, შემფასებელი მეორე დახრილ ხაზს (\) გადაუსვამს ისე, რომ გამოვიდეს (X). ეს თვითშესწორებას ნიშნავს და შეცდომად არ ითვლება. 60 წამის გასვლის შემდეგ შემფასებელი გააჩერებს მოსწავლეს და ბოლოს წარმოთქმული ასოს შემდეგ დასვამს ფიგურულ ფრჩხილს (]). ტესტის ადმინისტრირების დასრულების შემდეგ შემფასებელი დაითვლის სწორად დასახელებული ასო-ბგერების საერთო რაოდენობას და ჩაწერს ცხრილის ქვემოთ.

შემფასებლის მითითებები მოსწავლეს. „შეხედე ამ ფურცელს, აქ ანბანის ასოები წერია. შენ სათითაოდ, ხმამაღლა უნდა წაიკითხო ყველა ასო, რომელსაც აქ ხედავ. კითხვას ფურცლის დასაწყისიდან დაიწყებ (შემფასებელი მიანიშნებს პირველ ასოზე) და მთელ ხაზს ჩაიკითხავ, შემდეგ მეორე ხაზზე გადახვალ (თან თითით უჩვენებს მიმართულებას). თუ რომელიმე ასოს ვერ გაიხსენებ, მე გეტყვი. მერე კი ისევ გააგრძელებ ასოების ხმამაღლა დასახელებას. გასაგებია? აბა, დავიწყოთ!“ თუ მოსწავლე დაკარგავს კითხვის ადგილს, შემფასებელი ეხმარება გაგრძელებაში და მიუთითებს მომდევნო წასაკითხ ასოზე. 60 წამის გასვლის შემდეგ შემფასებელი ამბობს: „მოდი, დავასრულოთ. ყოჩაღ, დიდი მადლობა“.

ქულების მინიჭება

თუ მოსწავლე:

- თავად შეასწორებს შეცდომას, დაწერეთ /თშ/ შესაბამისი ასოს ზემოთ (ან გვერდით) და ჩაუთვალეთ სწორ პასუხად.
- შეცდომით წარმოთქვამს ასო-ბგერას, ირიბი ხაზი გადაუსვით შესაბამის ასოს და ჩაუთვალეთ არასწორ პასუხად.
- 3 წამზე მეტ ხანს შეყოვნდება, თქვენ წარმოთქვით შესაბამისი ასო და ჩაუთვალეთ არასწორ პასუხად.
- გამოტოვებს ასოს, შემოხაზეთ ეს ასო და ჩაუთვალეთ არასწორ პასუხად.

საბოლოო შედეგის ჩასაწერად შემფასებელი დააჯამებს მხოლოდ სწორად წაკითხული ასოების რაოდენობას.

ნიმუში: II კლასი

ასო-ბგერების ცნობის ტესტი

მასწავლებლის ფურცელი

მოსწავლე: კლასი:

მასწავლებელი: თარიღი:

ს	ა	თ	ლ	ე	5
ო	ფ	ხ	ვ	მ	10
ზ	დ	კ	ბ	ტ	15
გ	ჭ	ღ	რ	ჟ	20
ც	ნ	ი	ყ	ჩ	25
შ	უ	ჯ	ქ	პ	30
ჰ	წ	ძ	ა	ს	35
ღ	ზ	ვ	ფ	რ	40
პ	დ	ნ	კ	ჯ	45
ლ	წ	უ	ჟ	ტ	50
ძ	თ	შ	ქ	ჰ	55
ჩ	ი	მ	ჭ	ხ	60
ყ	ბ	ც	ო	გ	65

სწორად ამოიცნო _____ / 65-დან

ასო-ბგერების ცნობა

მოსწავლის ფურცელი

ს	ა	თ	ლ	ე
ო	ფ	ხ	ვ	მ
ზ	დ	კ	ბ	ტ
გ	ჭ	ღ	რ	ჟ
ც	ნ	ი	ყ	ჩ
შ	უ	ჯ	ქ	პ
ჰ	წ	ძ	ა	ს
ღ	ზ	ვ	ფ	რ
პ	დ	ნ	კ	ჯ
ლ	წ	უ	ჟ	ტ
ძ	თ	შ	ქ	ჰ
ჩ	ი	მ	ჭ	ხ
ყ	ბ	ც	ო	გ

ს	ა	თ	ლ	ე	5
ო	ფ	ხ	ვ	~~ფ~~	10
ზ	დ	კ	~~ბ~~	ტ	15
გ	ჯ	ღ	რ	ყ	20
ც	ნ	ი	ყ	ჩ	25
შ	უ	ჯ	ქ	პ	30
ვ	წ	ძ	ა	ს	35
ღ	ზ	ვ	ფ	რ	40
პ	დ	ნ	კ	ჯ	45
ლ	წ	უ	ყ	ტ	50
ძ	თ	შ	ქ	ვ	55
ჩ	ი	მ	ჯ	ხ	60
ყ	ბ	ც	ო	გ	65

სწორია 19 /65

გაწაფული/გამართული კითხვა

- *რა არის გაწაფული კითხვა და რა უნდა შეძლოს კარგმა მკითხველმა?*
- *რა კავშირია გაწაფულ კითხვასა და გაგება-გააზრებას შორის?*
- *როგორ ვასწავლოთ გაწაფული კითხვა? რომელია გაწაფული კითხვის სწავლების ყველაზე ეფექტური მეთოდები?*
- *როგორ შევამოწმოთ გაწაფული კითხვის უნარი?*

გაწაფული კითხვის მეთოდების/აქტივობების ცხრილი

მეთოდი / აქტივობა	სასწავლო რესურსი	გვერდი
კითხვა აუდიოჩანაწერის დახმარებით	წიგნის აუდიოჩანაწერი, ტექსტი (სასწავლო ან დამოუკიდებელი კითხვის დონის), აუდიომაგნიტოფონი (ფლეერი ან კომპიუტერი ხმის გამაძლიერებლებით)	134
კითხვის მატარებელი	ტექსტი/წიგნი/ სახელმძღვანელო მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით	134
ფრაზებად კითხვა I	ფრაზების/ტაეპების ბარათები	135
ფრაზებად კითხვა II (სიტყვების ჯგუფებად წაკითხვა)	დაფაზე/ფორმატზე წინასწარ დაწერილი ტექსტი, რომელშიც სასვენი ნიშნები სხვადასხვა ფერითაა მონიშნული; ტექსტის ასლები/წიგნები მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით, ფერადი ფანქრები (წითელი, სტაფილოსფერი, მწვანე, ლურჯი(	136
წყვილებში კითხვა	ტექსტი/წიგნი/სახელმძღვანელო მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით	137
გამეორებითი კითხვა	ტექსტის ორი ეგზემპლარი, გამეორებითი წაკითხვის აღრიცხვის ფორმა (გრაფიკი), წამმზომი/საათი, ფანქარი	139
ხმამაღლა წაკითხვა შეცდომებით	ტექსტი/წიგნი/სახელმძღვანელო თითოეული მოსწავლისთვის ან მოსწავლეთა წყვილისათვის, ფანქარი	143
მკითხველთა თეატრი და მისი ვარიაცია რადიოკითხვა	ტექსტი/წიგნი/ სახელმძღვანელო თითოეული მოსწავლისთვის	143
კითხვა ბუქსირით	დიდი წიგნი ან დიდ ფორმატზე დაწერილი ტექსტი	148
სიმღერის ტექსტის წაკითხვა	სიმღერის ტექსტი, სიმღერის აუდიოჩანაწერი, აუდიომაგნიტოფონი (ფლეერი ან კომპიუტერი) ხმის გამაძლიერებლებით	149
უცნაური ხმებით კითხვა	ტექსტი მოსწავლეთა რადენობის მიხედვით, ემოციის ბარათები, ყუთი/ქილა/ტომსიკა ბარათების ჩასაყრელად	149
სუპერსიჩქარე	კლასის შესაბამისი სიტყვების ნუსხა	150
მოსწავლის წაკითხულის აუდიოჩანაწერები	შესაფერისი სირთულის ტექსტი; ხმის ჩამწერი მოწყობილობა	151
დახმარებით (სკაფოლდინგით) კითხვა	შესაფერისი სირთულის ტექსტი/წიგნი	152

რა არის გაწაფული/გამართული კითხვა და რატომ არის იგი მნიშვნელოვანი?

გამართულობა/გაწაფულობა ეფექტური კითხვის მნიშვნელოვანი ასპექტია. გაწაფული მკითხველი ა) უშეცდომოდ (სწორად) და ავტომატურად (ძალისხმევის გარეშე, მყისიერად) კითხულობს სიტყვებს, ბ) კითხულობს ასაკისათვის შესაფერისი ტემპით, გ) კითხულობს გამომეტყველებით (ხმის ტონი, მახვილები, პაუზები, ინტონაცია), დ) კითხულობს ფრაზებად (სიტყვების დაჯგუფება) და სასვენი ნიშნების გათვალისწინებით. გაწაფული კითხვა წარმოადგენს ხიდს სიტყვების ამოცნობასა და წაკითხული წინადადებების გაგებას შორის. გაწაფული კითხვის საბაზისო ინდიკატორებია ტექსტში სიტყვების ავტომატურად ამოცნობა და გადაბმა, ასევე, უცნობი სიტყვების სწრაფი დეკოდირება.

გაწაფული კითხვა არ არის გააზრების გარანტი, მაგრამ გაგება რთულდება გაწაფული კითხვის გარეშე. თუ მოსწავლე მუდმივად ყოვნდება უცხო სიტყვების დეკოდირების მიზნით, გააზრება ფერხდება და კითხვის პროცესი ხანგრძლივ, დამღლელ აქტივობად გადაიქცევა. მას მერე, რაც მკითხველი კითხვის ტექნიკურ მხარეს გაწაფავს, ენერგიას გააზრების ისეთ სტრატეგიებზე მიმართავს, როგორებიცაა: ანალიზი, ჩაძიება, ინტერპრეტაცია, დასკვნების გაკეთება, შეკითხვების დასმა და სხვ.

დამწყებ მკითხველებს უჭირთ გამართული კითხვა, რადგან მათი კითხვის ტექნიკური მხარე სრულყოფას მოითხოვს. კითხვის ტექნიკის ავტომატიზების შედეგად გამოთავისუფლდება მკითხველის სააზროვნო ენერგია და ძალისხმევა მეტწილად ტექსტის მნიშვნელობის გაგებას ხმარდება. ამდენად, კითხვის უმთავრესი ფუნქციის ანუ გაგება-გააზრების რეალიზებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია გამართული კითხვის უნარის დროულად და სათანადოდ განვითარება, რაც კონკრეტული მეთოდებისა და რესურსების გამოყენებით მიიღწევა.

გაწაფულ კითხვას ძირითადად ზომავენ **წუთში სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობის** მიხედვით. არსებობს სპეციალური ცხრილები, რომლებშიც მოცემულია დადგენილი ნორმები (კითხვის სიჩქარის დიაპაზონი) კლასების მიხედვით.

გამართული კითხვის სასწავლო ამოცანები/მისაღწევი შედეგები და სწავლის საფეხურები

ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულია გაწაფული/გამართული კითხვის შესაბამისი შედეგები და ინდიკატორები. მათი დახმარებით, ერთი მხრივ, იგეგმება სასწავლო პროცესი, მეორე მხრივ, მოწმდება მოსწავლის მიმდინარე და საბოლოო მიღწევები.

გაწაფულ კითხვასთან მიმართებით, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, პირველ კლასში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქვემოთ ჩამოთვლილი უნარების განვითარებას.

მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- ასოსა და ბგერის დაკავშირება და მათი გამთლიანება მარცვლებად და სიტყვებად;
- მარტივი წინადადებებით შედგენილი მცირე ზომის ტექსტების ხმამაღლა (მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით) წაკითხვა;
- წინადადების ბოლოს პაუზის გაკეთება;
- სხვის მიერ დაწყებული ტექსტის სათანადო ადგილიდან გაგრძელება.

ცხადია, გაწაფული კითხვის ყველაზე მნიშვნელოვანი საყრდენია ანბანის ცოდნა. ამ უნარზე დაშენდება დეკოდირების უნარი, რომელიც ეროვნულ სასწავლო გეგმაში კოდის გაშიფვრის სახელწოდებით არის მოცემული. პირველი კლასიდან მოსწავლემ უნდა შეძლოს წერილობითი კოდის გაშიფვრა, რაც ძირითადად გულისხმობს გრაფიკული ხატის აკუსტიკურ ხატად გარდაქმნას (ასოების ამოცნობას და მათ დაკავშირებას შესაბამის ბგერებთან), ასევე, ბგერების სიტყვად გამთლიანებას, აკუსტიკური ხატის დაკავშირებას სიტყვის მნიშვნელობასთან.

მეორე და მესამე კლასებში აღნიშნული უნარ-ჩვევები ვითარდება და ამას ემატება შემდეგი უნარ-ჩვევა: მცირე ზომის ტექსტების ხმამაღლა წაკითხვა და სასვენ ნიშნებთან პაუზების გაკეთება. კვლავ დიდი მნიშვნელობა ენიჭება წერილობითი კოდის გაშიფვრას სულ უფრო გრძელ, თანხმოვნების კომპლექსებით დატვირთულ სიტყვებში. ამ ფაზის დასრულებისას მოსწავლე მნიშვნელოვან შედეგს აღწევს: გაბმულ ტექსტში ის თავისუფლად (ავტომატურად) ცნობს ნაცნობ სიტყვებს და ადვილად ამოიკითხავს უცნობ სიტყვებს, თანაც, ამ ქმედების შესრულებას სულ უფრო სწრაფად ახერხებს.

მეოთხე კლასში გაწაფულმა კითხვამ სრულფასოვანი სახე უნდა მიიღოს – ამ ეტაპზე მოსწავლემ უკვე უნდა შეძლოს, კლასის წინაშე სასურველი/შერჩეული ნაწყვეტი ნაცნობი ტექსტიდან ხმამაღლა, ინტონაციით წაიკითხოს და გამოხატოს ტექსტში ასახული ემოცია. ასევე უნდა შეძლოს, სასვენი ნიშნების ფუნქციის შესაბამისად გამოიყენოს ინტონაცია.

გაწაფული კითხვის სწავლების ძირითადი პრინციპები

გაწაფული/გამართული კითხვის მახასიათებლებისა და ინდიკატორების ექსპლიციტურად გაცნობა მოსწავლეებისათვის

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა მასწავლებლისგან მიიღონ ინფორმაცია და თავადაც შეძლონ მსჯელობა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: რა არის გაწაფული კითხვა? რა მახასიათებლები აქვს გაწაფულ კითხვას? რა შეუძლია გაწაფულ მკითხველს? რა მიზნებს ვაღწევთ კითხვის გაწაფვის გზაზე?[1]

გამართული/გაწაფული კითხვის მოდელირება

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა თვალსაჩინოდ ნახონ, როგორია გაწაფული კითხვა. ძირითადად, მოდელის როლს მასწავლებელი ასრულებს. ზოგჯერ გამართული კითხვის დემონსტრირებას აკეთებენ მოხალისე მშობლები ან უფროსკლასელები.

გამართული/გაწაფული კითხვის მოდელირების ეფექტური აქტივობებია:

- **ხმამაღლა საჩვენებელი წაკითხვა** – უფროსი ხმამაღლა უკითხავს ბავშვებს საგანგებოდ შერჩეულ ტექსტს;
- **აუდიოწიგნები** – მოსწავლეები უსმენენ წიგნის აუდიოჩანაწერს და თან ტექსტს თვალს აყოლებენ;
- **მეგობრული კითხვა** – გაწაფული მკითხველი (თანაკლასელი, უფროსკლასელი, მშობელი) უკითხავს მოსწავლეს ან მოსწავლეთა ჯგუფს.

ზოგჯერ სასარგებლოა, რომ კლასში გაწაფული კითხვის ნიმუშების პარალელურად გაუწაფავი კითხვის მაგალითებიც განვიხილოთ (უშეცდომოდ კითხვა და შეცდომებით კითხვა; ძალიან სწრაფად ან ძალიან ნელა კითხვა და ადეკვატური სიჩქარით კითხვა; სიტყვა-სიტყვა კითხვა და სიტყვების დაჯგუფებით კითხვა; გამომეტყველების გარეშე, მონოტონურად კითხვა და შესაფერისი ტონით, მახვილებით, პაუზებით კითხვა).

ინტენსიური მართული პრაქტიკა ხმამაღლა კითხვაში

მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ხშირად ჩაერთონ გაწაფული კითხვის მართულ პრაქტიკაში. მართული პრაქტიკა მიმდინარეობს მასწავლებლის, თანაკლასელების ან მშობლების დახმარებით. როგორც წესი, მართული პრაქტიკა მოიცავს მკითხველისათვის მასწავლებლისა და

[1] ენობრივი ბარიერის გამო ამ რეკომენდაციის შესრულება გაჭირდება ქართულის, როგორც მეორე ენის შემსწავლელ III-IV კლასების მოსწავლეებთან. შესაბამისად, სასურველია იგი განხორციელდეს მშობლიური ენის მასწავლებელთან თანამშრომლობით.

თანაკლასელების მიერ უკუკავშირის მიწოდებას.

- **ერთობლივი კითხვა ქოროში/გუნდად** – მასწავლებელი ყველა მოსწავლესთან ერთად კითხულობს შერჩეულ ტექსტს.
- **ექოდ კითხვა** – მასწავლებელი ხმამაღლა, მიმდევრობით კითხულობს ტექსტის მონაკვეთებს (წინადადებას, აბზაცს, გვერდს, ქვეთავს და სხვ.). მოსწავლეები ხმამაღლა ქოროში/გუნდად კითხულობენ ამავე მონაკვეთს.
- **წყვილებში კითხვა** – მოსწავლეები წყვილდებიან. ყველა მოსწავლე დამოუკიდებლად, ჩუმად კითხულობს მთლიან ტექსტს. შესაძლებელია, მასწავლებელმა საჩვენებელი კითხვით ან რომელიმე მოსწავლესთან წყვილში წაკითხვის მოდელირებით დაიწყოს ეს აქტივობა. მასწავლებელი უნაწილებს ტექსტის მონაკვეთებს წყვილებს (მაგ.; პირველები წაიკითხავენ პირველ აბზაცს, მეორეები – მეორეს, პირველები – მესამეს და ა.შ.). მოსწავლეები დამოუკიდებლად, ჩუმად კითხულობენ მეწყვილისთვის წასაკითხ თითო მონაკვეთს. შემდეგ მიბრუნდებიან ერთმანეთისკენ და იწყებენ ხმამაღლა მეწყვილისთვის წაკითხვას. შესაძლებელია, თითეული მონაკვეთი ხმამაღლა ერთხელ, ორჯერ ან სამჯერაც წაიკითხონ. მსმენელი მოსწავლე ყურადღებით უსმენს, შემდეგ კი წაკითხულზე აკეთებს კომენტარს და იძლევა რჩევებს (ასრულებს მასწავლებლის/მწვრთნელის როლს.)
- **კითხვა აუდიოჩანაწერის დახმარებით** – მოსწავლეები თან უსმენენ ტექსტის აუდიოჩანაწერს, თან წიგნს თვალს აყოლებენ და ხმამაღლა ჰყვებიან ჩანაწერის ხმას).
- **მეგობრული კითხვა** – გაწაფული მკითხველი (თანაკლასელი, უფროსკლასელი, მშობელი ან სხვ.) უსმენს მოსწავლის ხმამაღლა წაკითხულს, შემდეგ აკეთებს უკუკავშირს.

სასურველია, რომ კითხვის სავარჯიშოების კეთებისას მოსწავლეებს ჰქონდეთ მკაფიოდ განსაზღვრული მიზანი გაგება-გააზრებაზე ორიენტირებით. ზოგადად, კითხვის უნარის გაუმჯობესებაზე ორიენტირება უკეთეს შედეგს იძლევა, ვიდრე მიზნის განსაზღვრის გარეშე ვარჯიში ან მხოლოდ კითხვის სიჩქარის გაზრდაზე ორიენტირება.

შერჩეული ტექსტების გამეორებითი კითხვა

კითხვის გაწაფვისთვის ეფექტური საშუალებაა ერთი და იმავე ტექსტის რამდენიმეჯერ ხმამაღლა წაკითხვა. თავდაპირველად შეირჩევა მოკლე და მარტივად წასაკითხი ტექსტები, რომლებიც თანდათანობით რთულდება. მოსწავლე თითო ტექსტს გამეორებით წაიკითხავს 3-ჯერ ან 4-ჯერ. 3-4-ჯერ წაკითხვა გაცილებით უკეთეს შედეგებს იძლევა, ვიდრე ორჯერ ან ოთხზე მეტჯერ.

დამოუკიდებელი პრაქტიკა და პრეზენტაცია

ბავშვებს ბევრი ვარჯიში სჭირდებათ კითხვაში გასაწაფად. პრეზენტაცია ეხმარება მოსწავლეებს გამომეტყველებითი კითხვის დაუფლებაში.

დამოუკიდებელი ჩუმი კითხვა სკაფოლდინგით – მოსწავლეები შეარჩევენ დამოუკიდებელი კითხვის დონის ტექსტს და ჩუმად კითხულობენ. შესაძლებელია, მასწავლებელი დაეხმაროს ტექსტის შერჩევაში. ასევე შესაძლებელია ტექსტის/წიგნის შერჩევის კრიტერიუმების ან სტრატეგიების გამოყენება (მაგ., „ხუთი თითის წესი“). კითხვის ეს სესია დაახლოებით 10-15 წუთი გრძელდება. მასწავლებელი კლასში დადის და აკვირდება კითხვის პროცესს. დროდადრო ზოგიერთ მოსწა-

ხუთი თითის წესი

- შეარჩიე წიგნის/ტექსტის დაახლოებით 100-სიტყვიანი (2-3 აბზაცი) მონაკვეთი.
- წაიკითხე ეს მონაკვეთი.
- როცა უცნობ სიტყვას შეხვდები, ასწიე ცერა თითი. როცა მეორე უცნობ სიტყვას შეხვდები, ასწიე საჩვენებელი თითი. ასე განაგრძე.
- თუ ხუთ თითს ასწევ, ეს ტექსტი რთულია. აჯობებს, თუ სხვა წიგნს წაიკითხავ.

ვლესთან ჩერდება და სთხოვს მას, ხმამაღლა წაუკითხოს ნაწყვეტი შერჩეული წიგნიდან. შესაძლებელია, რომ მასწავლებელმა გაგება-გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები დასვას, მისცეს მითითებები ან კონკრეტული დავალება, რომელსაც მოსწავლე კითხვის დასრულების შემდეგ შეასრულებს.

- **მკითხველთა თეატრი** – ტექსტის გადანაწილება და როლებში ხმამაღლა წაკითხვა რამდენიმე მოსწავლის მიერ.
- **რადიოკითხვა** – რადიოკითხვა არის მკითხველთა თეატრის გართულებული სახეცვლილება, როდესაც მოსწავლე კითხულობს მთლიან ტექსტს (ან მის მონაკვეთს) კლასის წინაშე. ასეთ დროს მთელ ტექსტს ერთი მკითხველი კითხულობს და ის ყველა როლს ირგებს.
- **დეკლამაცია (სასცენო კითხვა)** – ეს არის მკითხველთა თეატრისა და დამოუკიდებელი ჩუმი კითხვის კომბინაცია. მასწავლებელი წარუდგენს მოსწავლეებს ახლად შერჩეულ ტექსტს[1] და ყურადღებას გაამახვილებს მის გააზრებაზე. შესაძლებელია, საჭიროებისამებრ, მასწავლებელმა თავდაპირველად ხმამაღლა წაიკითხოს ტექსტი და წარმართოს დისკუსია შინაარსის გარშემო.[2] გამართულად წაკითხვისა და გაგება-გააზრების შემდეგ მასწავლებელი შეარჩევს რამდენიმე მოსწავლეს, რომლებიც დადგამენ წარმოდგენას. იმავდროულად, სხვა მოსწავლეები საკუთარ ეგზემპლარებში თვალს აყოლებენ ტექსტს. აქტივობისთვის კარგია ლექსები და განმეორებით ქარგაზე აგებული თხრობითი ტექსტები.

რამდენიმე საკვანძო მეთოდური რეკომენდაცია გაწაფული კითხვის სწავლებისათვის

წააკითხეთ ყველაფერი ბავშვებს

ეს მხოლოდ წიგნებსა და დაფაზე დაწერილ წინადადებებს როდი ეხება. დაფიქრდით და გაიხსენეთ, რისი წაკითხვა გიწევთ ხოლმე თქვენ. შეიძლება, ეს იყოს აქტივობის ინსტრუქცია, წარწერა პოსტერზე, „დილის მესიჯი“ და ა. შ. ხშირად შესაძლებელია, რომ თქვენ ნაცვლად ტექსტი მოსწავლემ წაიკითხოს. გამოიყენეთ ასეთი შესაძლებლობები მოსწავლეთა გაწაფული კითხვის უნარის გასავარჯიშებლად.

გაწაფული კითხვის აქტივობის ბარათები

მესამე და მეოთხე კლასებში მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა ივარჯიშონ საშუალო ზომის ტექსტების გაწაფულად კითხვაში. საშუალო ზომაში ვგულისხმობთ ისეთ ტექსტებს, რომლებიც ერთ სიტყვას ან რამდენიმესიტყვიან ფრაზას აღემატება, მაგრამ აბზაცზე მცირეა. ამგვარი ვარჯიშისთვის დაამზადეთ 2-3-წინადადებიანი საკითხავი აქტივობის ბარათები. შეგიძლიათ, საჭიროების მიხედვით ცვალოთ ამ ბარათებზე დატანილი წინადადებების ტიპი, სტრუქტურა, არსებითი ენობრივ-გრამატიკული ნიშნები (მაგალითად, ბარათების ერთ პაკეტში შეიტანოთ წინდებულიანი და თანდებულიანი სიტყვები, მეორეში – რიგობითი რიცხვითი სახელები, მესამეში – შედარებები და ა. შ.). ამ სავარჯიშოებს მოსწავლეები მცირე ჯგუფებში ასრულებენ. შეგიძლიათ ბარათების როტაცია ჯგუფებს შორის.

[1] ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელმა შესაძლოა უკვე დამუშავებული ტექსტიც გამოიყენოს.

[2] ამ და მსგავს შემთხვევებში ქართულის, როგორც მეორე ენის გაკვეთილზე, შესაძლოა გამოყენებული იყოს მშობლიური ენაც. მოსწავლეები მშობლიურ ენაზე წარმართავენ მსჯელობას, დისკუსიას, რომელიც მოკლედ შეჯამდება ქართულ ენაზე მოსწავლეებისა და მასწავლებლის მიერ.

ბარათის ნიმუშები:

ᲔᲥᲘᲛᲘᲠᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲗᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲣᲜᲐᲠᲘ: ტექსტის წაკითხვა, ეკვეა-ეაზრვა, ნერა

ყურადღებით წაიკითხე მოცემული ტექსტი და მოკლედ, 2-3 წინადადებით, გადმოეცი შინაარსი.

2 აპრილი – საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე

2 აპრილს, დანიელი მეზღაპრის, ჰანს ქრისტიან ანდერსენის დაბადების თარიღთან დაკავშირებით, საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე აღინიშნება. ეს დღესასწაული 1967 წელს დაარსდა. ჰანს ქრისტიან ანდერსენი მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მეზღაპრეა. თავად მისი ცხოვრებაც ზღაპარს ჰგავდა. ის დანიის ქალაქ ოდენში დაიბადა. მან 70 წელი იცოცხლა და 50 ტომი დაწერა – რომანები, პოემები, პიესები და, რაღა თქმა უნდა, ზღაპრები. დღეს ანდერსენის მშობლიური ქალაქის ქუჩებში მწერლის და მისი ზღაპრების გმირების 18 ქანდაკება დგას.

წიგნის ჰატივსაცემად და კითხვის შესაყვარებლად 1995 წელს 23 აპრილი მსოფლიო წიგნის დღედ გამოცხადდა.

71

III-IV ᲙᲚᲐᲡᲘ


ᲔᲥᲘᲛᲘᲠᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲗᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲣᲜᲐᲠᲘ: ტექსტის წაკითხვა, გაგება-გააზრება

- **წაიკითხეთ ტექსტი.**
- **წყვილში გაინაწილეთ როლები.**
- **ივარჯიშეთ კითხვაში.**
- **ბოლოს წაიკითხეთ ტექსტი მხატვრულად.**

ბუზი და ჭიანჭველა

ერთხელ ბუზმა ჰკითხა ჭიანჭველას:
– რა არის, რომ სულ ჩუმად დადიხარ და ხმას არ იღებ?
– რა ვქნა, ძმაო, ხომ ხედავ, ვმუშაობ... შენ რაღას აკეთებ?
– როგორ თუ რას? არ გესმის, რომ ვბზუი?
– ბზუილი კი მესმის, მაგრამ შენს გაკეთებულს ვერაფერს ვხედავ! – მიუგო ჭიანჭველამ.

18

I-II ᲙᲚᲐᲡᲘ

ლექსები, ლექსები. . .

შექმენით ლექსების ანთოლოგია. შეიტანეთ ანთოლოგიაში ბავშვების საყვარელი, პოპულარული ან ნაკლებად ცნობილი ლექსები. ყველა ბავშვს მიეცით ანთოლოგიის ეგზემპლარი. წლის განმავლობაში თითოეულმა ბავშვმა სულ მცირე ოთხჯერ უნდა წაიკითხოს ყველა ლექსი. ამისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ წინასწარ სპეციალურად დამზადებული მოსწავლის ინდივიდუალური ცხრილები (გააკარით ცხრილები საკლასო ოთახში ან ჩადეთ მოსწავლის პორტფოლიოში). ყოველი ლექსის წაკითხვის მერე ბავშვი ცხრილის შესაბამის უჯრას მონიშნავს. უმჯობესია, თუ კვირის განმავლობაში რამდენიმე კონკრეტულ ლექსს შეარჩევთ წასაკითხად.

მოსწავლე: **კლასი:**

	წაკითხვის თარიღი				ლექსი

საკითხავი მასალის შერჩევა გაწაფული კითხვისთვის

მნიშვნელოვანია, რომ გაწაფული კითხვის განვითარებისთვის გამოყენებულ იქნას მრავალფეროვანი, შესაფერისი სირთულის საკითხავი მასალა: თხრობითი და აღწერითი ტექსტები, ლექსები, ზღაპრები, იგავები, მოთხრობები, საბავშვო პიესები, სიმღერები და სხვ. ტექსტები არ უნდა იყოს ზედმეტად რთული, *ფრუსტრაციული დონის*. მართული პრაქტიკის აქტივობებისთვის ძირითადად გამოიყენება *სასწავლო დონის* ტექსტები, ხოლო დამოუკიდებელი პრაქტიკისთვის – *დამოუკიდებელი კითხვის დონის* ტექსტები.

როგორ შევურჩიოთ ბავშვს შესაფერისი სირთულის ტექსტები (წიგნები?)

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში გამოცემულ წიგნებს მითითებული აქვს, თუ სირთულის რომელ დონეზეა გათვლილი. მაგალითად, ციფრები 3.2 მიანიშნებს, რომ ტექსტი მესამე კლასის მეორე დონისაა. სკრინინგისა და დიაგნოსტიკური ტესტების გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია განსაზღვროს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური კითხვის დონე და დაეხმაროს მათ შესაფერისი სირთულის წიგნების შერჩევაში.

დააჯგუფეთ მოსწავლეები მართული კითხვის აქტივობის დროს კითხვის დონის გათვალისწინებით; დარწმუნდით, რომ წიგნი მოცემული ჯგუფისთვის საინტერესოა და შესაფერისი სირთულისაა.

გაწაფული/გამართული კითხვის განმავითარებელი მეთოდები და აქტივობები

კითხვა აუდიოჩანაწერის დახმარებით

მეთოდის/აქტივობის შესახებ

აუდიოჩანაწერის დახმარებით კითხვის დროს მოსწავლეები უსმენენ ტექსტის აუდიოჩანაწერს, თვალს მიადევნებენ ტექსტს/ნაწერს და აჰყვებიან მკითხველის ხმას.

მეთოდის/აქტივობის დახმარებით მოსწავლეები სწრაფად ივითარებენ გაწაფულად კითხვის უნარს.

მეთოდის გამოყენება მოსწავლეებს გამოუმუშავებს:

- ინტონაციით, გამომეტყველებით კითხვის უნარს;
- ფრაზებად კითხვის უნარს;
- კითხვის ტემპის კონტროლის უნარს.

მუშაობის ფორმა: ჯგუფები, წყვილები, ინდივიდუალური.

რესურსი: წიგნის აუდიოჩანაწერი, ტექსტი (სასწავლო ან დამოუკიდებელი კითხვის დონის), აუდიომაგნიტოფონი (ფლეერი ან კომპიუტერი ხმის გამაძლიერებლებით.)

მსვლელობა

- **აუდიოჩანაწერის მოსმენა:** მასწავლებელი ჩართავს აუდიოჩანაწერს. მოსწავლეები ისმენენ და თითს მიაყოლებენ ტექსტს.
- **ერთად წაკითხვა:** მასწავლებელი თავიდან ჩართავს ჩანაწერს. მოსწავლეები უხმოდ, ტუჩების მოძრაობით მიჰყვებიან მკითხველის ხმას; მომდევნო ჩართვაზე მოსწავლეები თან ისმენენ და თან ხმამაღლა კითხულობენ, მიჰყვებიან მკითხველის ხმას.
- **დამოუკიდებლად წაკითხვა:** მოსწავლეები დამოუკიდებლად (აუდიოჩანაწერის მოსმენის გარეშე) კითხულობენ ტექსტს.

შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მასწავლებელმა აქტივობის მსვლელობიდან ამოიღოს რომელიმე საფეხური.

ვარიაციები

- კარნახის დაწერინება აუდიოჩანაწერით.
- „სტუდიობანა“ – უფროსკლასელების მიერ ჩანაწერების ბანკის შექმნა უმცროსკლასელთათვის.
- „დროის კაფსულა“ – ტექსტის წაკითხვა და აუდიოჩანაწერის გაკეთება, გარკვეული დროის შემდეგ (მაგ., ერთთვიანი ინტერვალი) იმავე ტექსტის მოსმენა და უკუკავშირი (შეცდომები, სიჩქარე, ინტონაცია და სხვ.).

კითხვის მატარებელი

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის გამოყენების დროს მატარებლის ვაგონების მსგავსად ერთ მწკრივად მდგომი მოსწავლეები მიმდევრობით აგრძელებენ ერთი და იმავე ტექსტის კითხვას.

მეთოდის ხშირად გამოყენების შემთხვევაში მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ:

- უშეცდომოდ კითხვის უნარი;
- ყურადღების კონცენტრირების უნარი;
- მოსმენის უნარი.

მუშაობის ფორმა: ჯგუფები.

რესურსი: ტექსტი/წიგნი/ სახელმძღვანელო მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით.

მსვლელობა

- მოსწავლეები მატარებლის მსგავსად დგებიან ერთ რიგად. თითოეულ მოსწავლეს უჭირავს ერთი და იგივე ტექსტი.
- მასწავლებლის მითითებით (ტაშის დაკვრა, სასტვენი და ა.შ.) პირველი მოსწავლე იწყებს ტექსტის ხმამაღლა კითხვას, დანარჩენები ყურადღებით უსმენენ მას და თვალს ადევნებენ ტექსტს.
- მასწავლებლის შემდეგ სიგნალზე მკითხველი წყვეტს კითხვას, გადადის რიგის ბოლოს და კითხვას განაგრძობს მეორე მოსწავლე. თუ მოსწავლე ვერ შეძლებს ტექსტის სათანადო ადგილიდან გაგრძელებას ან შეცდომით ამოიკითხავს სიტყვას, ეთიშება თამაშს.
- თუ ტექსტი დასრულდა, მოსწავლეები ხელახლა იწყებენ მის წაკითხვას. ასე გრძელდება მანამ, სანამ მატარებელში მხოლოდ უშეცდომოდ მკითხველი მოსწავლეები არ დარჩებიან.

შენიშვნა: შესაძლებელია, აქტივობის მსვლელობის დროს მასწავლებელმა დავალება თანდათან გაართულოს: თავდაპირველად კითხვა შეაწყვეტინოს აბზაცების ან წინადადებების ბოლოს, შემდეგ – წინადადების ან სიტყვის შუაში. თუ კლასში ბევრი მოსწავლეა, შეიძლება მასწავლებელმა მატარებლის ორი შემადგენლობა გააკეთოს და ერთმანეთსაც შეაჯიბროს სიზუსტესა და სიჩქარეში.

ფრაზებად კითხვა 1

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეები ტექსტს ფრაზებად/„ულუფებად“ კითხულობენ.

აქტივობა ეფექტური საშუალებაა გაწაფული კითხვის უნარის განსავითარებლად. გაწაფული კითხვის დროს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ასო-ასო ან მარცვალ-მარცვალ კითხვის საფეხურის დაძლევა, არამედ ცალკეული სიტყვების აზრიანად დაჯგუფება და გამთლიანებულ ფრაზებად წაკითხვა. ამდენად, „ფრაზებად კითხვის“ მეთოდის ხშირი გამოყენება მოსწავლეებს გამოუმუშავებს:

- სიტყვების ფრაზებად გამთლიანების უნარს;
- სათანადო ინტონაციით, გამომეტყველებით კითხვის უნარს;
- სასვენი ნიშნების გათვალისწინებით კითხვის უნარს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, ჯგუფები.

რესურსი: ფრაზების/ტაეპების ბარათები.

მსვლელობა

- მასწავლებელი შეარჩევს მოსწავლეთა საყვარელ ლექსს/მცირე ზომის მოთხრობას;
- შერჩეული ლექსის ტაეპებს/მოთხრობის წინადადებებს გადაწერს ცალკეულ ბარათებზე;
- მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ბარათებს და თავდაპირველად თავად უკითხავს

პირველ ორ ბარათზე მოცემულ ტექსტს. აკეთებს პაუზებს სასვენ ნიშნებთან ან აზრის ლოგიკური საჭიროებიდან გამომდინარე.

შენიშვნა: ამგვარი მოდელირება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გაიაზრონ, როგორ კითხულობენ კარგი მკითხველები ტექსტის მთლიან „ულუფებს“ სიტყვების ცალ-ცალკე წარმოთქმის ნაცვლად.

- შემდეგ მოსწავლეები ინდივიდუალურად ან ერთობლივად, ხმამაღლა კითხულობენ იმავე ტაეპს/ფრაზას და ცდილობენ, ამჯერად თავად გააკეთონ პაუზები სწორად. ამგვარად კითხულობენ მოსწავლეები დანარჩენ ბარათებსაც.
- მასწავლებელი კვირის განმავლობაში რამდენჯერმე იმეორებს მოცემულ აქტივობას ერთი და იმავე ტექსტის გამოყენებით.
- მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაიწაფებიან ბარათებზე მოცემული ტექსტის კითხვაში, მასწავლებელი იმავე ლექსს/მოთხრობას უკვე პირდაპირ წიგნიდან ან დაფიდან აკითხებს მათ. ასე გრძელდება მანამ, სანამ მოსწავლეები გაწაფულად არ მოახერხებენ მთლიანი ტექსტის წაკითხვას.

მაგალითი: „დასათესი დაითესა, / ასაკრეფი აიკრიფა / ან იკრიფება. / ზოგან შეიძლება ამოსაღებია შაქრის ჭარხალი, / მაგრამ / 19 ნოემბრამდე მასაც მოათავებენ. / სულ მალე / აღმოსავლეთ საქართველოს მინდვრებზე / ბაღი და ბოსტანი დაცარიელდება, / სახლში წასაღები / აღარა იქნება-რა.~

(„ბუნების კალენდარი – ნოემბერი“. ნიკო კეცხოველი)

ფრაზებად კითხვა 2 (სიტყვების ჯგუფებად წაკითხვა)

მეთოდის/აქტივობის შესახებ

ფრაზებად კითხვა გულისხმობს მოსწავლეების მიერ ტექსტის წაკითხვას ფრაზებად, სასვენ ნიშნებთან შეჩერებითა და სათანადო ინტონაციით.

ამ მეთოდის/აქტივობის გამოყენებით მოსწავლეები:

- შეძლებენ ტექსტის წაკითხვას ფრაზებად (სიტყვების დაჯგუფებით);
- შეძლებენ პაუზებისა და წყვეტების გაკეთებას სასვენ ნიშნებთან;
- შეძლებენ ხმის ტემბრისა და ტონის ადეკვატურ ცვლას სასვენ ნიშნებთან.

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი, ჯგუფები.

რესურსი: დაფაზე/ფორმატზე წინასწარ დაწერილი ტექსტი, რომელშიც სასვენი ნიშნები სხვადასხვა ფერითაა მონიშნული; ტექსტის ასლები/წიგნები მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით, ფერადი ფანქრები (წითელი, სტაფილოსფერი, მწვანე, ლურჯი).

მსვლელობა

მიმოხილვა და ახსნა: მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ დღეს ისინი ივარჯიშებენ ტექსტის ფრაზებად წაკითხვაში. ფრაზებად წაკითხვის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია, რომ არ გავაკეთოთ პაუზა ან არ შევწყვიტოთ კითხვა სასვენ ნიშანთან მისვლამდე. სასვენი ნიშნები გვეხმარება იმის გაგებაში, თუ სად უნდა შევჩერდეთ და გავაკეთოთ პაუზა. ასევე, სასვენ ნიშანთან ჩვენ ავუწევთ ან დავუწევთ ხმას (მასწავლებელი აკეთებს ხმის აწევისა და დაწევის დემონსტრირებას).

მასწავლებელი ეუბნება ბავშვებს, რომ ფრაზებად კითხვა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მსმენელი დაინტერესდეს ტექსტით და კარგად გაიგოს იგი. ამგვარად, ფრაზებად კითხვა კარგი მკითხველის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია.

მოდელირება: მასწავლებელი ხმამაღლა, ფრაზების მკვეთრად გამოყოფით წაუკითხავს ბავშვებს ტექსტს, რომელიც დაწერილია დაფაზე ან ფორმატზე. ტექსტში თითოეული სასვენი ნიშანი სხვადასხვა ფერით არის მონიშნული: მაგ., წერტილი არის ყველგან წითლად აღნიშნული, მასთან მოსწავლეები უნდა შეჩერდნენ და ხმა დაადაბლონ. სტაფილოსფერით აღნიშნულია მძიმეები, ამ სასვენ ნიშანთან მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ მოკლე პაუზა, ცოტათი დაადაბლონ ხმა და გააგრძელონ კითხვა. ლურჯი ფერით აღნიშნულია ძახილის ნიშნები, მასთან მოსწავლეები უნდა შეჩერდნენ და ხმას აუწიონ. დიალოგის ტირეები კი აღნიშნულია მწვანედ, რაც მოსწავლეებს მიანიშნებს, რომ აქ ვიღაც ლაპარაკობს და წარმოთქმისას მისი ინტონაცია გადმოვცეთ. სანამ ხმამაღლა კითხვას დაიწყებდეს, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, თვალი მიადევნონ ტექსტს და დააკვირდნენ, როგორ იცვლება მასწავლებლის ხმა თითოეულ სასვენ ნიშანთან.

არასწორად წაკითხვა: ამჯერად მასწავლებელი მოსწავლეებს ტექსტს უკითხავს არა ფრაზებად, არა პაუზებით, არამედ ყურადღებას აღარ აქცევს სასვენ ნიშნებს. ის კიდევ ერთხელ სთხოვს მოსწავლეებს, თვალი ადევნონ ტექსტს და ფერად სასვენ ნიშნებს, რათა ამოიცნონ, რა უნდა გაეკეთებინა და არ გააკეთა მასწავლებელმა კითხვის დროს.

მოკლე დისკუსია: მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ, თუ რა შენიშნეს მასწავლებლის მიერ ტექსტის კითხვის პროცესში. სასურველია მასწავლებელმა დაფაზე/ფორმატზე ჩაინიშნოს მოსწავლეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები.

მართული პრაქტიკა მთელ კლასთან: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კითხულობს ტექსტს ექოს ტიპის კითხვით. ის ფრაზებად და სათანადო ინტონაციით კითხულობს ტექსტის პირველ წინადადებას, ბავშვები კი ერთობლივად იმეორებენ ამ წინადადებას, თან ცდილობენ, რომ წაიკითხონ ფრაზებად და სწორი ინტონაციით.

ერთობლივი კითხვა: მასწავლებელი და მოსწავლეები ქოროს ტიპის კითხვის გამოყენებით კითხულობენ ტექსტს ფრაზებად და ინტონაციით. კითხვის დაწყებამდე მასწავლებელი:

ა) შეახსენებს მოსწავლეებს, რომ მასთან ერთად წაიკითხონ ტექსტი და თან თვალი მიადევნონ მის კალამს/ხელს, რომელსაც ტექსტს აყოლებს;

ბ) შეახსენებს მოსწავლეებს, რომ მათ უნდა წაიკითხონ გაბმულად და პაუზები/წყვეტები გააკეთონ მხოლოდ სასვენ ნიშნებთან.

წყვილებში კითხვა: ერთი მოსწავლე კითხულობს ტექსტის ნაწილს, მეორე კი უსმენს და აფასებს მის წაკითხულს. მომდევნო მონაკვეთზე მოსწავლეები ცვლიან როლებს. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, რომ შეფასების დროს ყურადღება გაამახვილონ, გაითვალისწინა თუ არა მათმა მეწყვილემ სასვენი ნიშნები კითხვის დროს.

წყვილებში კითხვა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეები წყვილებში კითხულობენ ნაცნობ ტექსტს, აფასებენ როგორც საკუთარ, ისე მეწყვილის წაკითხულს და ცდილობენ, ერთმანეთს დაეხმარონ გაწაფული კითხვის უნარის დახვეწაში. მეთოდი მოსწავლეებს სტიმულს აძლევს, წაიკითხონ იმაზე უკეთ, ვიდრე ამას ჩვეულებრივ აკეთებენ.

ამ მეთოდით კითხვის დროს მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ:

- სათანადო ინტონაციით, სასვენი ნიშნების გათვალისწინებით კითხვის უნარი;
- სიტყვების ფრაზებად გამთლიანების უნარი;
- უშეცდომოდ კითხვის უნარი;
- ყურადღების კონცენტრირების უნარი;
- მოსმენის უნარი;
- თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარები (კონსტრუქციული უკუკავშირის უნარი);
- თანამშრომლობის და ურთიერთდახმარებით სწავლის უნარი.

მუშაობის ფორმა: წყვილები

რესურსი: ტექსტი/წიგნი/სახელმძღვანელო მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით.

მსვლელობა

- **აქტივობისთვის მზადება:** მასწავლებელი მოსწავლეებს წყვილებად გადაანაწილებს. შეარჩევს საკითხავ ტექსტს. წყვილში საკითხავად შეიძლება როგორც მრავალფეროვანი ტექსტების, ასევე ცალკეული წინადადების, აბზაცის, გვერდის ან თავის გამოყენება.

შენიშვნა: მოსწავლეთა საჭიროებებისა და საგაკვეთილო მიზნების გათვალისწინებით, შესაძლებელია მასწავლებელმა დაწყვილების სხვადასხვა გზას მიმართოს: მაგ., უფრო კარგი მკითხველი ნაკლებად გაწაფულ მკითხველთან დააწყვილოს ან კითხვაში თანაბრად გაწაფული მოსწავლეები ერთად მოახვედროს.

- **ტექსტის კითხვა მეწყვილისთვის:** მასწავლებელი წყვილებს უნაწილებს ტექსტის მონაკვეთებს (მაგ., პირველ აბზაცს წაიკითხავენ პირველი ნომრები, მეორე აბზაცს – მეორე ნომრები, მესამე აბზაცს – ისევ პირველები და ა.შ.).

  მოსწავლეები ჯერ დამოუკიდებლად, ჩუმად კითხულობენ თავიანთ მონაკვეთებს, შემდეგ მიუბრუნდებიან ერთმანეთს და იწყებენ მეწყვილისთვის ხმამაღლა წაკითხვას. წყვილები ერთდროულად (პარალელურად) კითხულობენ საშუალოზე ოდნავ დაბალი ხმით.

- **შეცდომების გასწორება:** მსმენელი მოსწავლე ყურადღებით უსმენს მეწყვილეს. წაკითხვის შემდეგ შეუსწორებს შეცდომებს და აფასებს წაკითხულს, აძლევს რჩევებს ანუ ერთგვარად მასწავლებლის/მწვრთნელის როლს ასრულებს.

შენიშვნა: სასურველია მსმენელმა მეწყვილემ ჩაინიშნოს მკითხველი მეწყვილის მიერ დაშვებული შეცდომები და გასაუმჯობესებელი მახასიათებლები. ასევე სასურველია, რომ უკუკავშირისთვის კლასში გამოიყენონ გაწაფული კითხვის რუბრიკა (შეფასების სქემა) ან საგანგებო პოსტერი.

- **წყვილში წაკითხვის შემდეგ:** კითხვაში გავარჯიშების შემდეგ ყოველი მოსწავლე გამოთქვამს მოსაზრებას როგორც საკუთარი, ასევე მეწყვილის წაკითხულთან დაკავშირებით.

ვარიაცია

არსებობს „წყვილებში კითხვის“ სხვაგვარი ვერსია, როდესაც წყვილი კითხულობს არა ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთს მორიგეობით, არამედ – ერთსა და იმავეს ერთდროულად, ხმამაღლა, ზომიერი ტემპით. ცხადია, წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი კვლავ აძლევს მათ საშუალებას, ისაუბრონ იმის შესახებ, თუ როგორ წაიკითხეს და გაუზიარონ ერთმანეთს შთაბეჭდილებები.

გამეორებითი კითხვა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„გამეორებითი კითხვა“ გულისხმობს ერთი და იმავე ტექსტის რამდენჯერმე წაკითხვას. სასურველია, ტექსტის წაკითხვებს შორის იყოს ერთდღიანი შუალედი, თუმცა შესაძლებელია ტექსტის წაკითხვა მიყოლებით, პაუზების გარეშეც.

მეთოდის ხშირად გამოყენება ხელს უწყობს:

- კითხვის სიჩქარის თანდათანობით ზრდას;
- სიტყვებისა და ფრაზების უშეცდომოდ კითხვის უნარს;
- სათანადო ინტონაციით კითხვის უნარს;
- ყურადღების კონცენტრირების უნარს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური (მასწავლებელი მუშაობს ერთ მოსწავლესთან).

რესურსი:

- ტექსტი/წიგნი, რომელიც მოსწავლეს უკვე წაკითხული აქვს და დამოუკიდებელი კითხვის დონისაა (მოსწავლე უშეცდომოდ კითხულობს სიტყვების 95%-ს მაინც);
- ტექსტის ორი ეგზემპლარი (ერთი მოსწავლისთვის და ერთი მასწავლებლისთვის);
- გამეორებითი წაკითხვის აღრიცხვის ფორმა (გრაფიკი);
- წამმზომი ან საათი;
- ფანქარი.

მსვლელობა

პირველი ცდა: მასწავლებელი შეურჩევს მოსწავლეს (ან ერთობლივად შეარჩევენ) ტექსტს/ტექსტიდან მონაკვეთს, რომელიც დამოუკიდებელი კითხვის დონისაა (საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, შერჩეული ტექსტი ერთხელ უკვე წაკითხული ჰქონდეს მოსწავლეს აღრიცხვის დაწყებამდე). სთხოვს მას, წაიკითხოს მითითებული მონაკვეთი შეუჩერებლად, მისთვის სასურველი, ბუნებრივი სიჩქარით.

მასწავლებელი ტექსტის საკუთარ ვარიანტში მოინიშნავს მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომებს (თუ მოსწავლე დაშვებულ შეცდომას თავადვე გამოასწორებს, შეცდომად აღარ ჩაითვლება).

პარალელურად მასწავლებელი წამმზომის გამოყენებით ინიშნავს დროს, რომელსაც მოსწავლე ტექსტის კითხვას მოანდომებს. მიღებული შედეგების გათვალისწინებით იგი გამოიანგარიშებს წუთში სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობას (წსწს) სპეციალური ფორმულის გამოყენებით.

წუთში სწორად წაკითხული სიტყვების (წსწს) გამოსათვლელი ფორმულაა:

წსწს =(n-m)x60/t

სადაც: n არის წაკითხული ტექსტის სიტყვათა სრული რაოდენობა;

m არის შეცდომით წაკითხულ სიტყვათა რაოდენობა;

t არის მოცემული ტექსტის წაკითხვის დრო წამებში.

მაგ., გაგამ 126-სიტყვიანი ტექსტის წაკითხვას 2 წუთი და 35 წამი მოანდომა. მან 7 სიტყვა არასწორად წაიკითხა. **n** = 126; **m** = 7; **t** = 155

ამ მონაცემების ფორმულაში ჩასმით გამოვითვლით გაგას წსწს მაჩვენებელს:

წსწს = (126-7)X60/155 = 46

მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს, მომდევნო შეხვედრამდე დამოუკიდებლად გაივარჯიშოს ტექსტის კითხვაში.

მეორე ცდა: მომდევნო ცდის დროს მასწავლებელი კვლავ წააკითხებს მოსწავლეს ტექსტს იმავე პრინციპით და ხელახლა დაიანგარიშებს წსწს-ს. ასე გრძელდება რამდენჯერმე (3-4-ჯერ).

მომდევნო გვერდზე მოცემულია გამეორებითი კითხვის აქტივობის აღრიცხვის ფურცელი. მასწავლებელს შეუძლია დაამზადოს ამ ფუცლის ასლი და გამოიყენოს მოსწავლეებთან მუშაობისას.

გამეორებითი წაკითხვის აღრიცხვის ფორმა (გრაფიკი)

მოსწავლე: კლასი: ტექსტი:

100-101					შენიშნვნები და დასკვნები
98-99					
96-97					
94-95					
92-93					
90-91					
88-89					
86-87					
84-85					
82-83					
80-81					
78-79					
76-77					
74-75					
72-73					
70-71					
68-69					
66-67					
64-65					
62-63					
60-61					
58-59					
56-57					
54-55					
52-53					
50-51					
47-49					
46-47					
44-45					
42-43					
40-41					
38-39					
36-37					
34-35					
32-33					
30-31					
28-29					
26-27					
24-25					
23-24					
22-23					
20-21					
18-19					
16-17					
14-15					
12-13					
10-11					
თარიღი					
წაკითხვის რიგითი №					

სურათი. გამეორებითი კითხვის აღრიცხვის შევსებული ფორმის ნიმუშები: ა) ინდივიდუალური ბ) მთელი კლასი





ხმამაღლა წაკითხვა შეცდომებით

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„ხმამაღლა წაკითხვა შეცდომებით“ არის ეფექტური გზა გაწაფული კითხვის უნარის დასახვეწად. მასწავლებლის მიერ განგებ არასწორად წაკითხულ ტექსტში შეცდომების აღმოჩენა მოსწავლეებს ეხმარება მნიშვნელოვანი უნარების გამომუშავებაში. ესენია:

- სიტყვებისა და ფრაზების უშეცდომოდ კითხვის უნარი;
- ყურადღების კონცენტრირების უნარი;
- მოსმენის უნარი.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები.

რესურსი: ტექსტი/წიგნი/სახელმძღვანელო თითოეული მოსწავლისთვის ან მოსწავლეთა წყვილისათვის, ფანქარი.

მსვლელობა

- მასწავლებელი ხმამაღლა უკითხავს მოსწავლეებს ნაცნობ ან უკვე კარგად დამუშავებულ ტექსტს;
- მოსწავლეები ყურადღებით უსმენენ წაკითხულს და თვალს მიადევნებენ ტექსტს;
- კითხვის პროცესში მასწავლებელი მოულოდნელად ზოგიერთ სიტყვას ჩაანაცვლებს მსგავსი მნიშვნელობის სხვა სიტყვით (ცხადია, შესაძლებელია განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვით ჩანაცვლებაც);
- მოსწავლეები ცდილობენ გაარკვიონ, რომელი სიტყვა ჩაანაცვლა მასწავლებელმა, მოძებნონ იგი ტექსტში და შემოხაზონ.

შენიშვნა: კარგი იქნება, თუ მასწავლებელი ამ აქტივობას შეჯიბრის სახეს მისცემს და ტექსტის წაკითხვის შემდეგ გამოავლენს გამარჯვებულებს, ანუ მოსწავლეებს, რომელთაც მასწავლებლის მიერ შეცდომით წაკითხული ყველა სიტყვა მოძებნეს და მონიშნეს ტექსტში. ეს გაზრდის მოსწავლეთა ინტერესსა და მოტივაციას.

მკითხველთა თეატრი და მისი ვარიაცია

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„მკითხველთა თეატრი“ არის მეთოდი, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა მიერ წინასწარ შერჩეული ტექსტის როლებში წაკითხვას.

მეთოდი ძალიან ეფექტური და თანაც ბუნებრივი გზაა გაწაფული კითხვის უნარის დასახვეწად, რადგანაც მოსწავლეები თავიანთ როლებზე მუშაობის პროცესში ვარჯიშობენ კითხვაში.

„მკითხველთა თეატრი“ საუკეთესო ეფექტს იძლევა ხშირი გამეორების შემთხვევაში. ამიტომაც სასურველია წლის განმავლობაში მისი არაერთხელ განხორციელება.

მეთოდის ხშირად გამოყენება მნიშვნელოვანი უნარების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ესენია:

- გამართულად (გაბმულად, სწრაფად, უშეცდომოდ, ინტონაციით) კითხვის უნარი;
- ყურადღების კონცენტრირების უნარი;
- მოსმენისა და მეტყველების უნარები;

- სოციალური, თანამშრომლობითი და ინტერპერსონალური უნარები;
- თვითშეფასების უნარი.

მუშაობის ფორმა: ჯგუფები.

რესურსი: ტექსტი/წიგნი/ სახელმძღვანელო თითოეული მოსწავლისთვის.

მსვლელობა

- მასწავლებელი შეარჩევს ნაწარმოებს. სასურველია, ეს იყოს ნარატიული/თხრობითი სახის ტექსტი საინტერესო გმირებითა და სიუჟეტით.
- მასწავლებელი ტექსტს დაამუშავებს კლასში სამფაზიანი მოდელის გამოყენებით;
- მას შემდეგ, რაც მოსწავლეები კარგად გაიაზრებენ ნაწარმოებს, მასწავლებელი მოამზადებს ტექსტს „მკითხველთა თეატრის“ დასადგმელად. პირველ რიგში, იგი განსაზღვრავს საჭირო რაოდენობის როლებს;

შენიშვნა: თუ როლების რაოდენობა ზუსტად არ ემთხვევა მოსწავლეთა რაოდენობას კლასში, შესაძლებელია მთხრობელის ტექსტის დანაწევრება და გადანაწილება მოსწავლეებს შორის.

- მასწავლებელი ტექსტს გადააკეთებს ისე, რომ მითითებული იყოს, ვინ წაიკითხავს ტექსტის თითოეულ მონაკვეთს (პიესის ტექსტის მსგავსად). (ტექსტის ნიმუში იხ. ქვემოთ);
- მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს როლებად დანაწევრებულ ტექსტს და ანაწილებს როლებს;

შენიშვნა: სასურველია, თავდაპირველად ვრცელი და უფრო რთული მონაკვეთები შედარებით წარმატებულ მკითხველებს დაურიგდეს.

- მოსწავლეები ინდივიდუალურად, ჩუმად ეცნობიან საკუთარ მონაკვეთებს და ცდილობენ წარმოიდგინონ, როგორ წაიკითხავენ ტექსტს ინტონაციისა და ჟესტების გამოყენებით;
- ინდივიდუალურად მუშაობის შემდეგ მოსწავლეები წყვილში/ჯგუფში არაერთხელ კითხულობენ ტექსტს და ერთმანეთის დახმარებით ცდილობენ, დახვეწონ გამოთქმა, ინტონაცია, ჟესტები და ა.შ.;

შენიშვნა: კარგი იქნება, თუ მოსწავლეები თავადვე იზრუნებენ საკუთარი პერსონაჟისთვის სახასიათო, მარტივი რეკვიზიტის დამზადებაზეც.

- ბოლოს მოსწავლეები წარმოადგენენ „მკითხველთა თეატრს;
- აქტივობის შემდეგ მასწავლებელი გამართავს შემაჯამებელ დისკუსიას. მოსწავლეები ფიქრობენ და მსჯელობენ წარმოდგენის ძლიერ და დასახვეწ ასპექტებზე, საკუთარი როლის შესრულების ეფექტურობაზე. შესაძლებელია, შეჯამება სხვაგვარადაც წარიმართოს. კერძოდ: 1. მოსწავლეებმა შეავსონ თვითშეფასების რუბრიკა, რომელიც შეიცავს შესატყვის კრიტერიუმებსა და მაჩვენებლებს; (ნიმუში იხ. ქვემოთ) 2. თუ მოსწავლეები მიმოწერის დღიურებს აწარმოებენ (იხ. წერის კომპონენტი), სასურველია, რამდენიმე ჩანაწერი ჩატარებული გაკვეთილის მიმოხილვას მიეძღვნას.

შენიშვნა: მრავალრიცხოვანი კლასის შემთხვევაში შესაძლებელია კლასის ორ თანაბარ ნაწილად გაყოფა. ასეთ დროს პირველი ჯგუფი დადგამს წარმოდგენას, ხოლო მეორე აუდიტორიის/მაყურებლის როლს შეასრულებს. შემდეგ როლები შეიცვლება.

მკითხველთა თეატრის შეფასება

ვარიანტი 1: ნაწარმოების წაკითხვის დასრულების შემდეგ მასწავლებელი გამართავს შემაჯამებელ დისკუსიას მოსწავლეთა რეფლექსიაზე ორიენტირებული შეკითხვების დასმით:

- რას გრძნობდით წარმოდგენის მსვლელობისას?
- მოგეწონათ თუ არა ჩვენი წამოდგენა?
- რა მოგეწონათ ყველაზე მეტად?
- რის გაუმჯობესება შეიძლება შემდგომი წარმოდგენისათვის?

ვარიანტი 2: მოსწავლეები აკეთებენ თვითშეფასების ინდივიდუალურ ჩანაწერებს. სავარაუდო შეკითხვები:

- როგორ შეაფასებდი საკუთარ როლს?
- ვისი წაკითხული მოგეწონა ყველაზე მეტად? რატომ?
- შენ რას გააუმჯობესებდი?
- რა უნდა გავაუმჯობესოთ (კითხვის ტექნიკის კუთხით) კლასში?

სასურველია, მასწავლებელმა შეიმუშაოს რუბრიკა შესატყვისი კრიტერიუმებით და მაჩვენებლებით. პირველი წარმოდგენის შემდეგ მოსწავლეები გაეცნობიან რუბრიკას და იმსჯელებენ იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამებოდა წარმოდგენა ამა თუ იმ კრიტერიუმს. შესაძლოა, დისკუსიის ან ჩანაწერების გაცნობის შედეგად რუბრიკა შეივსოს/ჩასწორდეს.

ქვემოთ მოცემულია რუბრიკის ნიმუში. იგი გამოდგება როგორც ცალკეული მოსწავლის შესაფასებლად, ისე მთლიანი პროცესის შესაჯამებლად. როგორც უკვე აღინიშნა, მასწავლებელს შეუძლია გადააკეთოს ან დაამატოს ესა თუ ის კრიტერიუმი და შესაბამისი ინდიკატორი/მაჩვენებლები:

	გასაუმჯობესებელი	დამაკმაყოფილებელი	საუკეთესო
უშეცდომოდ წაკითხვა	შეცდომით წაკითხული სიტყვების რაოდენობა დიდია.	შეცდომით წაკითხული სიტყვების რაოდენობა უმნიშვნელოა.	შეცდომით წაკითხული სიტყვები არ არის.
გამომეტყველებით კითხვა	ხმის ტემბრი მონოტონური და ერთგვაროვანია. არ იყენებს მახვილებსა და პაუზებს.	ზოგჯერ ცვლის ხმის ტონალობას. ზოგჯერ არ იყენებს მახვილებსა და პაუზებს.	ხშირად ცვლის ხმის ტონალობას. იყენებს მახვილებსა და პაუზებს.
მიმიკისა და ჟესტების გამოყენება	სახის გამომეტყველება და სხეულის მოძრაობა უცვლელია.	უმნიშვნელოდ ცვლის სახის გამომეტყველებას და სხეულის მოძრაობას.	ამდიდრებს გამოთქმულ წინადადებებს/ფრაზებს შესატყვისი მიმიკითა და სხეულის მოძრაობით.

ჯეკი და ჯადოსნური ცერცვის ხე

(ბაქსნორთ თროუთის მიხედვით)

მთხრობელი 1: ვინც ჯეკს იცნობდა, ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ იგი სრულიად ახალგაზრდა გამდიდრდებოდა. შარვლის მარცხენა გამოხეული ტოტიდან მუხლი მოუჩანდა, დაგლეჯილი მარჯვენა ფეხსაცმლიდან კი – ცერა თითი. კბილებში მუდამ ჩალის გამხმარი ღერო ჰქონდა გაჩხერილი. მოკლედ, ვერ იტყოდით, იღბლიანი ბიჭიაო. მაგრამ, აი, რა გადახდა თავს.

მთხრობელი 2: ჯეკი დედასთან ერთად ცხოვრობდა. ღატაკები იყვნენ. ერთადერთი გაძვალტყავებული ძროხა ჰყავდათ, სახელად თეთრა. იმ წელიწადს მათ გაჭირვებას გვალვაც დაერთო. მარცვლის მოსავალი მთლიანად განადგურდა. სახლიდან ქათმებიც კი გარბოდნენ უკეთესი თავშესაფრის საძებნად. თეთრასაც რძე გაუშრა.

ჯეკის დედა: ჯეკ, წაიყვანე ჩვენი თეთრა ბაზარში, იქნებ ვინმემ იყიდოს. წადი, შვილო, ცოტა ფული მაინც მოიტანე.

ჯეკი: კარგი, დედი, წავიყვან.

მთხრობელი 2: უთხრა ჯეკმა და ძროხას გასძახა. ორივენი გზას გაუყვნენ. დიდი მანძილი არ გაუვლიათ, რომ კუნძზე ჩამომჯდარ ერთ უცნაურ მოხუც კაცს გადაეყარნენ.

მოხუცი კაცი: დილა მშვიდობისა, ჯეკ!

ჯეკი: დილა მშვიდობისა.

მოხუცი კაცი: ჭკვიანი ბიჭი ჩანხარ, მაგრამ სანაძლეოს დავდებ, ვერ მეტყვი, რას ნიშნავს „ხუთი“.

ჯეკი: როგორ არა. ხუთი ნიშნავს ორ-ორს თითო ხელში და ერთსაც – პირში.

მოხუცი კაცი: ძალიან კარგი, შენ მართლაც საზრიანი ყოფილხარ. იცი, რას გეტყვი, დამითმე ეგ ძროხა და სანაცვლოდ ჯადოსნურ ცერცვის მარცვლებს მოგცემ.

მთხრობელი 3: მოხუცმა ჯეკს უცნაური ფერისა და ფორმის ცერცვის მარცვლები გაუწოდა.

ჯეკი: თავი დამანებე, სახლში ფული უნდა მივიტანო.

მოხუცი კაცი: დამიჯერე, ჯეკ, ეს ჯადოსნური მარცვლებია, ფულსაც მოგიტანს და ბედნიერებასაც.

მთხრობელი 3: ჯეკმა ჯერ ნიკაპი მოიქექა, მერე თავის გაძვალტყავებულ ძროხას გახედა და მოხუცს მარცვლები გამოართვა. დედამ ჯეკი ძროხის გარეშე რომ დაინახა, სიხარულით შეჰყვირა:

ჯეკის დედა: ასე სწრაფად დაბრუნდი, ჯეკ? რამდენი მოგცეს ძროხაში? 3 ვერცხლი? თუ 5? ოჰ, ჯეკ, არ მითხრა, 10 ვერცხლი ავიღეო……

ჯეკი: შეხედე ამ მარცვლებს, დედილო! იცი, ეს რა არის?..

მთხრობელი 4: გაცეცხლებულმა დედამ მარცვლებს ფანჯარაში გადაუძახა, შემდეგ ჯეკს მიუბრუნდა და ისე წაუთაქა თავში, რომ ბიჭის გარშემო ფერად-ფერადმა ჩიტებმა დაიწყეს ფრენა. ჯეკი გაიქცა და საწოლის ქვეშ დაიმალა.

მთხრობელი 5: დილით ფანჯრიდან მზის ყვითელი შუქის ნაცვლად ჯეკს სიმწვანე შეეგება. ბიჭმა თვალები მოიფშვნიტა და ისევ ფანჯარაში გაიხედა. ჰოი, ჰოი, საოცრებავ, ზუსტად მისი ფანჯრის წინ ცერცვის უზარმაზარი ხე ცისკენ ატყორცნილიყო. ჯეკი ფანჯრიდან გადაძვრა და ხეს ახედა. ხე ისეთი მაღალი იყო, რომ კენწერო არ უჩანდა.

მთხრობელი 6: ჯეკმა ხეზე აცოცება დაიწყო. იცოცა, იცოცა, იცოცა, იცოცა, იცოცა მანამ, სანამ ცამდე არ აცოცდა. ხიდან ღრუბელი ფეხით მოსინჯა და ზედ გადააბიჯა. მერე ღრუბლიდან ღრუ-

ბელზე ნავარდი დაიწყო. ამასობაში მოშივდა კიდეც. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ლამის მთელი ცა გადაკვეთა და ბოლოს დიდ ციხე-კოშკს მიადგა. დააკაკუნა. მალე კარი გაიღო. მის წინ იდგა ყველაზე მაღალი, ყველაზე დიდი, გოლიათი ქალი, რომლის მსგავსი ჯერ არასოდეს არავის ენახა.

ჯეკი: დილა მშვიდობისა, ქალბატონო. საუზმედ რა გაქვთ?

მთხრობელი 6: ეს თქვა, მოხერხებულად გაძვრა ქალის ფეხებს შუა და პირდაპირ სამზარეულოში შეიჭრა. უზარმაზარი სკამის ფეხს ააცოცდა, შემდეგ მაგიდაზე გადავიდა და უზარმაზარი ჯამიდან ფაფის ჭამას შეუდგა.

გოლიათის ცოლი: ჩემმა გოლიათმა ქმარმა არ მოგისწროს და არ დაგინახოს, როგორ მიირთმევ მის ფაფას. იცოდე, შენ თვითონ გახდები მისი კერძი.

მთხრობელი 6: ამ დროს დიდი, მძიმე კარის მოჯახუნების ხმა გაისმა.

გოლიათი (წამღერებით):

იე – ფიე – ფოე – ფუმს,
ვგრძნობ რაღაც უცნაურ სუნს!
ყველას ჩავაკნატუნებ
შემწვარს, მოხარშულს თუ უმს!

გოლიათის ცოლი: ამ სპილენძის ქვაბში დაიმალე, სწრაფად, ჯეკ.

მთხრობელი 7: ბიჭი სპილენძის ქვაბში ჩახტა და სახურავი გადაიფარა. ქვაბი დიდ კავზე იყო ჩამოკიდული. საკმარისი იყო, ვინმეს საჩხრეკით ნაღვერდალი გაექექა, რომ ჯეკი ცეცხლზე მოიხარშებოდა და კერძად გადაიქცეოდა.

მთხრობელი 8: გოლიათი დაჯდა და სადილს შეექცა. კარგად რომ დანაყრდა, ცოლს თავისი ოქროს მონეტები მოატანინა და თვლას შეუდგა.

გოლიათი: „სამი, თერთმეტი, ცხრა, ორი, თოთხმეტი“.

მთხრობელი 9: გოლიათებს მათემატიკა არცთუ კარგად ეხერხებათ. ჩვენი გოლიათიც მალე დაღალა ანგარიშმა და ძილმორეულმა თავის კანტური დაიწყო. ამ დროს ჯეკი ქვაბიდან სწრაფად ამოხტა, ხელი სტაცა მონეტებით სავსე ჩანთას, შურდულივით გავარდა კარში, ხტუნვით გადაუქროლა ღრუბლებს და ცერცვის ხეზე თავქვე დაეშვა.

მას შემდეგ დედასთან ერთად ბედნიერად ცხოვრობდა……

მთხრობელი 10: ……მხოლოდ ცოტა ხნით. მალე ჯეკს კვლავ ეწვია თავგადასავლის სურვილი. ჰოდა, ისევ აუყვა ცერცვის ხეს. იცოცა, იცოცა, იცოცა და იცოცა, ხტუნვა-ხტუნვით გადაირბინა ღრუბლები და გოლიათის სასახლეში კიდევ ერთხელ ამოყო თავი.

გოლიათი: იე, ფიე, ფოე, ფუმ! ……

მთხრობელი 11: ძლივს გადაურჩა იმ საშინელ გოლიათს და ამჯერად დედალი გააყოლა ხელს. ეს დედალი ოქროს კვერცხებს დებდა. ჯეკი კვლავ შურდულივით გავარდა კარში, გადაახტა ღრუბლებს და მეორედ ჩამოსრიალდა ხიდან. მიწაზე დაშვების შემდეგ ჯეკი და დედამისი კიდევ უფრო ბედნიერად ცხოვრობდნენ…….. .

მთხრობელი 12: ……მხოლოდ მცირე ხნით. ჯეკს ისევ წამოუარა თავგადასავლის წადილმა. ჰოდა, ისევ აცოცდა, იხტუნა, აკაკუნა, მიირთვა და…

გოლიათი: იე, ფიე, ფოე, ფუმ!. . .

მთხრობელი 12: ამჯერად ძლივს გადაურჩა გოლიათს.

მთხრობელი 13: აი, როგორ მოხდა ეს. როცა გოლიათი სამზარეულოში შევიდა, ჯეკი ისევ ქვაბში დაიმალა. გოლიათმა თავისი ქნარი მოითხოვა, რომელზეც თვითონვე უკრავდა. რა თქმა უნდა, სამი ტაქტის დაკვრაც კი ვერ მოასწრო, რომ ხვრინვა ამოუშვა. ჯეკი ქვაბიდან ამოხტა და ქნარს ხელი სტაცა. მაგრამ საკრავმა კივილი მორთო.

ქნარი: ბატონო, ბატონო!

მთხრობელი 14: ვინ იფიქრებდა, რომ ამ ლამაზ ინსტრუმენტს ასეთი გამკივანი ხმა ექნებოდა?! გოლიათს გამოეღვიძა და ჯეკს გამოენთო. მიუხედავად იმისა, რომ თავქუდმოგლეჯილი მიქროდა, ჯეკმა მაინც ძლივს მიასწრო ცერცვის ხემდე.

მთხრობელი 15: ჯეკი თავქვე მიცოცავდა და მიცოცავდა, გოლიათი წამოეწია და კინაღამ დაიჭირა.

ჯეკი: ცული, დედა, ცული მომიტანე, ჩქარა!

მთხრობელი 15: მიწაზე ფეხი დადგა თუ არა, დედას ცული გამოგლიჯა და...

ყველა ერთად: ჯახ! ჯახ! ჯახ! ჯახ!

მთხრობელი 15: ბიჭმა ცერცვის ხე ძირში გადაჭრა.

გოლიათი: ვაიიიიი!

მთხრობელი 16: ხე ძირს დაეცა. მასთან ერთად გოლიათიც დაენარცხა და მიწა ჩაიტანა. იმ ადგილას უზარმაზარი, ღრმა ორმო გაჩნდა, რომელიც ერთ-ორ წელიწადში წყლით გაივსო და მშვენიერ ტბად გადაიქცა. როგორც ვიცი, დედა-შვილი ახლაც ბედნიერად ცხოვრობს. თუ მათ სახლთან ახლოს ჩაივლით, მოკითხვა გადაეცით...

რადიოკითხვა (მკითხველთა თეატრის ვარიაცია)

რადიოკითხვა არის „მკითხველთა თეატრის“ გართულებული ნაირსახეობა, როდესაც მოსწავლე კითხულობს მთლიან ტექსტს კლასის წინაშე და ყველა როლს თვითონ განასახიერებს.

კითხვა ბუქსირით

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„კითხვა ბუქსირით“ ეფექტური მეთოდია გაწაფული კითხვის უნარის განსავითარებლად.

მისი ხშირად გამოყენების შემთხვევაში მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ:

- უშეცდომოდ კითხვის უნარი;
- ყურადღების კონცენტრირების უნარი;
- მოსმენის უნარი.

მუშაობის ფორმა: ჯგუფები, მთელი კლასი.

რესურსი: დიდი წიგნი ან დიდ ფორმატზე დაწერილი ტექსტი.

მსვლელობა

- მასწავლებელი კითხულობს მოსწავლეებისათვის თვალსაჩინოდ განთავსებულ ტექსტს;
- მოსწავლეები ექოდ კითხულობენ მის წაკითხულს;
- მასწავლებელი ბავშვებისთვის მოულოდნელად ცვლის კითხვის ტემპს (კითხულობს უფრო ნელა, ან უფრო სწრაფად;
- მოსწავლეები ცდილობენ, მასწავლებლის მსგავსად წაიკითხონ ტექსტი;
- ტემპის ცვლილების შემდეგ მასწავლებელი ცვლის ხმის ტემბრს და ტონს. მაგალითად, კითხულობს უფრო ბოხი ან ჩუმი ხმით, სიმღერით და ა.შ.
- მოსწავლეები შეძლებისდაგვარად იმეორებენ იმას, რასაც მასწავლებელი აკეთებს.

სიმღერის ტექსტის წაკითხვა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდი გულისხმობს ნაცნობი სიმღერის ტექსტის კითხვაში გავარჯიშებას.

აქტივობის ხშირი გამოყენებით მოსწავლეებს უვითარდებათ:

- გაწაფული კითხვის უნარი;
- მოსმენის უნარი;
- ყურადღების კონცენტრირების უნარი.

მუშაობის ფორმა: ჯგუფები, წყვილები, მთელი კლასი.

რესურსი: სიმღერის ტექსტი, სიმღერის აუდიოჩანაწერი, აუდიომაგნიტოფონი (ფლეერი ან კომ-პიუტერი) ხმის გამაძლიერებლებით.

მსვლელობა

- მასწავლებელი არჩევს მოსწავლეთა საყვარელ ან მათთვის ნაცნობ სიმღერას. ამზადებს სიმღერის აუდიოჩანაწერს და ტექსტის თითო ეგზემპლარს ყველა მოსწავლისათვის;
- მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეებს სიმღერის ჩანაწერს და ყურადღებას ამახვილებინებს მის ტექსტზე;
- შემდეგ ურიგებს მოსწავლეებს სიმღერის ტექსტს და ავარჯიშებს მის გაწაფულად კითხვაში;

შენიშვნა: შესაძლებელია ამ დროს მასწავლებელმა გამოიყენოს კითხვის სხვადასხვა სტრატეგია: ქოროს ტიპის კითხვა, ექოდ კითხვა, წყვილში კითხვა და ა.შ.

- მოსწავლეები ვარჯიშობენ მანამ, სანამ ტექსტის უშეცდომოდ და ეფექტურად წაკითხვას არ შეძლებენ;
- ბოლო ეტაპზე მოსწავლეები ტექსტს მელოდიის თანხლებით კითხულობენ.

უცნაური ხმებით კითხვა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„უცნაური ხმებით კითხვა“ გულისხმობს ნაცნობი ტექსტის არაერთხელ წაკითხვას სხვადასხვა ხმით.

მისი ხშირად გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის კითხვის მოტივაციას და აუმჯობესებს კითხვის ტექნიკას.

ამ მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებს უვითარდებათ:

- გაწაფული კითხვის უნარი;
- ყურადღების კონცენტრირების უნარი;
- მოსმენისა და მეტყველების უნარები.

მუშაობის ფორმა: ჯგუფები, წყვილები, ინდივიდუალური.

რესურსი: ტექსტი მოსწავლეთა რადენობის მიხედვით, ემოციის ბარათები, ყუთი/ქილა/ტომსიკა ბარათების ჩასაყრელად.

მსვლელობა

- მასწავლებელი ამზადებს „ემოციის ბარათებს“. ეს არის მცირე ზომის ბარათები, რომლებზეც სხვადასხვა ემოციის გამომსახველი ნახატებია მოცემული და მიწერილი აქვს ემოციის შესაბამისი სიტყვა;
- მასწავლებელი ათავსებს ბარათებს პატარა ყუთში/ქილაში/ტომსიკაში და მოსწავლეებს ურიგებს წინასწარ შერჩეულ წასაკითხ ტექსტს;
- მოსწავლეები მორიგეობით ამოიღებენ ყუთიდან ბარათებს და მასზე მოცემული ემოციის შესაბამისად კითხულობენ ტექსტს/ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთს. მაგ., მოსწავლე, რომელსაც შეხვდა ბარათი „მომღერალი“, წამღერებით კითხულობს ტექსტს, „მყვირალი“ ხმის აწევით კითხულობს სათანადო მონაკვეთს და ა.შ.

სუპერსიჩქარე

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები ერთი წუთის განმავლობაში წყვილებში მორიგეობით კითხულობენ თითო სიტყვას მათთვის გადაცემული სიტყვების ნუსხიდან. მომდევნო წაკითხვისას ისინი ცდილობენ გააუმჯობესონ წინა ჯერზე მიღწეული შედეგი ანუ უფრო მეტი სიტყვის წაკითხვა მოასწრონ. მისი განხორციელება შეიძლება კვირაში რამდენჯერმე.

ამ აქტივობის გამოყენებით მოსწავლეებს:

- განუვითარდებათ სიტყვების მყისიერად და ავტომატურად ცნობის უნარი;
- დაამახსოვრდებათ ბევრი ხშირი/ცნობადი სიტყვის გრაფიკული ხატი;
- განუვითარდებათ სწრაფად კითხვის უნარი.

რესურსი: კლასის შესაბამისი სიტყვების ნუსხა (100 ან 200 სიტყვით).

მუშაობის ფორმა: წყვილები.

მსვლელობა

- მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს „სუპერსიჩქარის“ სიტყვების სიას;

შენიშვნა: მეორე და მესამე კლასებში საკმარისია 100-სიტყვიანი სიის შექმნა, ხოლო მეოთხე კლასში საჭიროა 150 ან 200-სიტყვიანი სია. მასწავლებელს შეუძლია პირდაპირ აიღოს სიტყვები ქვემოთ მოცემული ხშირი/ცნობადი სიტყვების ნუსხიდან ან ჩაანაცვლოს ზოგიერთი სიტყვა განვლილი ტექსტებიდან (სიტყვების სიის ნიმუში იხ. ქვემოთ).

- მასწავლებელი დააწყვილებს ერთმანეთთან მაღალი და დაბალი მოსწრების მქონე მოსწავლეებს. შესაძლებელია სამწევრიანი ჯგუფების შექმნაც;
- სთხოვს მოსწავლეებს, გაინაწილონ ნომრები (პირველი და მეორე ან პირველი, მეორე და მესამე);
- მისცემს რამდენიმე წუთს, რათა სიტყვებს გადახედონ;
- მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს: „გთხოვთ, რომ მიმდევრობით წაიკითხოთ თითო სიტყვა მოცემული სიიდან რაც შეიძლება სწრაფად. პირველ სიტყვას წაიკითხავს პირველი ნომერი, მეორეს – მეორე, შემდეგს ისევ პირველი, მომდევნოს მეორე და ასე შემდეგ. გთხოვთ, რომ სიტყვები წაიკითხოთ გაელვებასავით, ანუ სუპერსწრაფად. ამისთვის ერთ წუთს გაძლევთ. თუ სიტყვას ვერ იცნობთ, მეწყვილემ წაიკითხოს“;

- ინიშნავს ერთი წუთს და დროის ამოწურვისთანავე შეაჩერებს ბავშვებს;
- სთხოვს წყვილებს, რომ ხაზი ჩამოუსვან იმ სიტყვის შემდეგ, რომელიც ბოლოს წაიკითხეს;
- აძლევს შედეგის გაუმჯობესების შესაძლებლობას და სთხოვს, თავიდან დაიწყონ, ოღონდ ამჯერად სიტყვების კითხვას მეორე დაიწყებს (ამგვარად, ორივე მოსწავლეს მოუწევს ყველა სიტყვის წაკითხვა)

სიტყვების სია

და, არ, რა, რომ, მე, პატარა, არც, კი, იყო, ძალიან, ერთხელ, ის, დაინახა, მერე, სულ, ერთი, არა, დიდი, თუ, ისევ, დედა, ბიჭი, არის, იცი, უცებ, როგორ, მაგრამ, უნდა, ხარ, ხე, მოდის, აქვს, ეზო, აღარ, ეს, ვარ, ხოჭო, აცვია, ამ, კარგი, აბა, შენ, ერთ, ვერ, მალე, ხომ, უფრო, თქვა, ბებია, დღეს, ხმა, ჰკითხა, ახლა, ვინ, აი, ისე, ბოლოს, მამა, რას, აქ, თავისი, ჩემი, უპასუხა, წყალი, კარგად, მოდი, ხან, იქ, რაც, შენი, კიდევ, ერთად, მას, მივიდა, ნუ, ბევრი, რატომ, ორი, ჩვენ, გზა, მაქვს, წავიდა, ჩემს, დროს, მეორე, კაცი, ან, იქით, აქეთ, ღრუბელი, თავი, სპილო, პური, პაპა, ყველა, ლამაზი, გული, სად, ტყე, ჯერ, ნაძვი, მინდა, ცივა, ცხელა, როცა, ასე, შინ, წვიმა, კატა, ხელი, მზე, ყველი, უთხრა, მეც, შემდეგ, თურმე, ცხოვრობს, ფერადი, მხოლოდ, დილა, თვალი, ყველაზე, იგი, სიტყვა, წინადადება, ეგ, როგორი, იმიტომ, ბაბუა, შემოდგომა, თქვენი, ცოდნა, პირველი, რომელი, შესახებ, მიერ, გინდა, რამდენი, მათ, შენც, ფოთოლი, ტექსტი, ამის, შავი, რის, ზღაპარი, რის, ტკბილი, შვილი, ხილი, მისი, ვის, სხვა, კვლავ, ამოიღო, მოთხრობა, ოქრო, როდის, იდგა, ქუდი, იპოვა, თან, ჰქვია, იმ, მაინც, იცინის, გაიქცა, რაღაც, ქვეშ, ჭრელი, ნახე, ცოტა, მთვარე, ამიტომ, ჩიტი, ჩვენი, მთელი, მაშინ, ასეთი, პეპელა, ახალი, ძველი, საღამო, თაგვი, ყვავილი, კუდი, თამაშობს, ქოლგა, შეიძლება, სახლი, მაგიდა, სკამი, ფეხი, მარტო, აკეთებს, სადაც, მეგობარი, კედელი, ალბათ.

მოსწავლის წაკითხულის აუდიოჩანაწერები

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები აკეთებენ საკუთარი წაკითხულის აუდიოჩანაწერს. ჯერ დამოუკიდებლად ვარჯიშობენ შერჩეული ტექსტის წაკითხვაში, შემდეგ ხმამაღლა კითხულობენ და თან აკეთებენ აუდიოჩანაწერს. ჩასაწერად შესაძლებელია სხვადასხვა მოწყობილობის გამოყენება. ერთ-ერთია კომპიუტერული პროგრამა AUDACITY, რომელიც შეგიძლიათ უფასოდ ჩამოტვირთოთ ვებგვერდიდან: http://sourceforge.net/projects/audacity/. ამ პროგრამას მოსწავლეები ადვილად აითვისებენ. შესაძლებელია ხმის ჩასაწერად მობილური ტელეფონის საშუალებითაც.

ამ აქტივობის გამოყენებით მოსწავლეებს განუვითარდებათ:

- გაწაფულად კითხვის უნარი;
- საკუთარი და სხვის მიერ ხმამაღლა წაკითხულის შეფასების უნარი;
- ხმამაღლა წაკითხვის სხვადასხვა ასპექტზე ყურადღების გამახვილების უნარი.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური.

რესურსი: შესაფერისი სირთულის ტექსტი; ხმის ჩამწერი მოწყობილობა.

მსვლელობა

- მასწავლებელი მოსწავლესთან შეთანხმებით შეარჩევს ჩასაწერ ტექსტს;
- სთხოვს მოსწავლეს, რომ კლასში სამჯერ წაიკითხოს ტექსტი. შესაძლებელია, ტექსტის შინ გატანებაც დამატებით სავარჯიშოდ;
- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს, გააკეთოს წაკითხულის აუდიოჩანაწერი;

შენიშვნა: ჩანაწერის გაკეთება შესაძლებელია: ა) კლასში, როცა მოსწავლეთა ძირითადი ჯგუფი ჩუმად ასრულებს დამოუკიდებელ სამუშაოს; ბ) გაკვეთილების შემდეგ; გ) საშინაო დავალების სახით.

- მასწავლებელი მოასმენინებს მოსწავლეს ჩანაწერს და სთხოვს, დააკვირდეს გაწაფული კითხვის მახასიათებლებს (სასურველია, გამოიყენოს შეფასების რუბრიკა ან პოსტერი;)
- სთხოვს, რომ შეავსოს თვითშეფასების ფორმა (მაგ., დაწერე ორი კომპლიმენტი და და ერთი რჩევა);
- შემდეგ ხელახლა წაიკითხოს და გააკეთოს ჩანაწერი;
- მოუსმინოს და დააკვირდეს, რამდენად გაუმჯობესდა წაკითხვა (სასურველია ამ დროს გამოიყენოს თვითშეფასების შევსებული ფორმა);
- მოსწავლემ უნდა შეინახოს საბოლოო ჩანაწერი და აუდიოფაილი გაუგზავნოს მასწავლებელს.

დახმარებით (სკაფოლდინგით) კითხვა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

ამ მარტივი და ეფექტური აქტივობის შესრულებისას მოსწავლე ხმამაღლა კითხულობს ტექტს, ხოლო გაწაფული მკითხველი ჩუმად მიადევნებს თვალს. თუ მოსწავლემ შეცდომა დაუშვა, დამხმარე მკითხველი მას შეცდომას შეუსწორებს.

რესურსი: შესაფერისი სირთულის ტექსტი/წიგნი.

მუშაობის ფორმა: წყვილები (მოსწავლე და დამხმარე.)

მსვლელობა

მომზადება: მასწავლებელი, მშობელი, უფროსკლასელი ან თანაკლასელი, რომელიც დამხმარე მკითხველის როლს შეასრულებს, წინასწარ უნდა გაეცნოს დახმარებით კითხვის მეთოდს (პროცედურას.)

- მასწავლებელი ჯდება მოსწავლესთან ერთად მშვიდ ადგილას, ხმაურისგან მოშორებით. დაიდებს ტექსტს იმგვარად, რომ მოსწავლეც და თავადაც კარგად ხედავდნენ მას. შესაძლებელია სამუშაოდ ტექსტის ორი ეგზემპლარის გამოყენება;
- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს, დაიწყოს ხმამაღლა კითხვა. სთხოვს, რომ რაც შეიძლება კარგად წაიკითხოს;
- მოსწავლის კითხვისას მასწავლებელი თვალს აყოლებს ტექსტს;
- თუ მოსწავლე არასწორად ამოიკითხავს სიტყვას ან 5 წამზე მეტხანს გაჩერდება ამა თუ იმ სიტყვასთან, მასწავლებელი ეუბნება სიტყვის სწორ ვარიანტს და სთხოვს, რომ ხელახლა წაიკითხოს სიტყვა. შემდეგ მოსწავლე კვლავ აგრძელებს ხმამაღლა კითხვას;

შენიშვნა: შეცდომით წაკითხული სიტყვის ხელახლა წაკითხვის შემდეგ შესაძლებელია, მასწავლებელმა იგივე წინადადება ხელახლა წააკითხოს მოსწავლეს.

მასწავლებელი დროდადრო შეაქებს მოსწავლეს კარგად წაკითხვისთვის. შექებისას ყურადღებას გაამახვილებს კითხვის ამა თუ იმ კონკრეტულ ასპექტზე (მაგ., „შენ კარგად წარმოთქვამ გრძელ სიტყვებს. ყოჩაღ, მომწონს!“)

გაწაფული კითხვის შემოწმება, პროგრესის მონიტორინგი და შეფასება

გაწაფული კითხვის მონიტორინგისა და შეფასებისთვის გამოიყენება რამდენიმე ეფექტური ინსტრუმენტი:

- **სიტყვების წაკითხვის ერთწუთიანი ინდივიდუალური ტესტი**. მოსწავლე ხმამაღლა კითხულობს ცალკეულ სიტყვებს. ტესტის დასრულების შემდეგ მასწავლებელი დაიანგარიშებს წუთში სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობას.

- **ტექსტის წაკითხვის ერთწუთიანი ინდივიდუალური ტესტი**. მოსწავლე ხმამაღლა კითხულობს გაბმულ ტექსტს. ტესტის დასრულების შემდეგ მასწავლებელი დაიანგარიშებს წუთში სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობას.

- **ფსევდოსიტყვების წაკითხვის ერთწუთიანი ინდივიდუალური ტესტი**. მოსწავლე ხმამაღლა კითხულობს ცალკეულ ფსევდოსიტყვებს. ტესტის დასრულების შემდეგ მასწავლებელი დაიანგარიშებს სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობას, ასევე, მონიშნავს იმ ასოებს, რომლებზეც მოსწავლე ყველაზე ხშირად უშვებდა შეცდომას ან ფერხდებოდა.

- **გაწაფული კითხვის შეფასების რუბრიკები**. გაწაფულ კითხვაში თვითშეფასება მეტად სასარგებლოა მოსწავლეებისთვის. ამისათვის კარგია სპეციალური რუბრიკის გამოყენება. საუკეთესო შემთხვევაში გაწაფული კითხვის პოსტერი საკლასო ოთახში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული. პერიოდულად მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმსჯელონ საკუთარი კითხვის გაწაფულობაზე პოსტერზე მოცემული კრიტერიუმების მიხედვით.

- **მართული პრაქტიკის პროცესი.** მასწავლებელი თვალყურს მიადევნებს ხმამაღლა კითხვის პროცესს და აკეთებს ჩანიშვნებს საკუთარ წიგნაკში/რვეულში. ჩანიშვნები ეხმარება მასწავლებელს მოსწავლეთა მიღწევებისა და საჭიროებების განსაზღვრაში, პრაქტიკული სავარჯიშოებისა და საკითხავი მასალის შერჩევაში, მოსწავლეთა დაწყვილებასა და დაჯგუფებაში.

1. სიტყვების წაკითხვის ტესტი

ტესტის დანიშნულება: სიტყვების დეკოდირებისა და/ან ავტომატურად ცნობის უნარის შემოწმება. კითხვის დროს სწორი და სწრაფი დეკოდირების, ასოებისა და ასოთა კომბინაციების გადაბმის უნარი გამართული კითხვის მნიშვნელოვანი საყრდენია.

ტესტის ტიპი: ინდივიდუალური. ახლავს მოსწავლის ფურცელი.

ტესტის ჩატარების ვადები: ქართული ენა: პირველი და მეორე კლასები. ქართული, როგორც მეორე ენა: მეორე, მესამე და მეოთხე კლასები. სასურველია სკრინინგის ჩატარება თითოეული სემესტრის დასაწყისში. დიაგნოსტიკური ტესტირება შეიძლება ჩატარდეს რამდენჯერმე სასწავლო წლის განმავლობაში. ზოგიერთი მოსწავლისთვის, საჭიროებისამებრ, შესაძლებელია ტესტის ჩატარება დაწყებითი საფეხურის ზედა კლასებშიც.

ტესტის ხანგრძლივობა: 60 წამი

ტესტის ჩასატარებლად საჭირო რესურსი: ა) მასწავლებლის ფურცელი, ბ) მოსწავლის ფურცელი, გ) საათი ან წამზომი.

ტესტის ჩატარების პროცედურა: დროის ათვლა იწყება მაშინ, როდესაც მოსწავლე პირველი სიტყვის კითხვას დაიწყებს. შემფასებელი მონიშნავს მხოლოდ შეცდომით წაკითხულ სიტყვებს მათზე დახრილი ხაზის (/) გადასმით. თუ მოსწავლე ვერ წაიკითხავს სიტყვას 3 წამის განმავლობაში, შემფასებელი წაუკითხავს და გადახაზავს ამ სიტყვას, მოსწავლე კი აგრძელებს მომდევნო სიტყვის წაკითხვას. თუ მოსწავლე ფონემებად/ბგერებად ან მარცვლებად კითხულობს და შემდგომ ვერ

აერთიანებს ან არასწორად აერთიანებს, ეს შეცდომად ეთვლება და შემფასებელი გადახაზავს ამ სიტყვას. თუ მოსწავლე ხელმეორედ და სწორად წაიკითხავს შეცდომით წაკითხულ სიტყვას, შემფასებელი მეორე დახრილ ხაზს (\) გადაუსვამს ისე, რომ გამოვიდეს (X). ეს თვითშესწორებას ნიშნავს და შეცდომად არ ითვლება. 60 წამის გასვლის შემდეგ შემფასებელი გააჩერებს მოსწავლეს და ბოლოს წარმოთქმული სიტყვის შემდეგ დასვამს ფიგურულ ფრჩხილს (]). ტესტის ადმინისტრირების დასრულების შემდეგ შემფასებელი დაითვლის სწორად დასახელებული სიტყვების საერთო რაოდენობას და ჩაწერს ცხრილის ქვემოთ.

შემფასებლის მითითებები მოსწავლეს. „მოდი, ახლა სიტყვები წავიკითხოთ ხმამაღლა. კითხვას ფურცლის დასაწყისიდან დაიწყებ (შემფასებელი მიანიშნებს პირველ სიტყვაზე) და მთელ ხაზს ჩაიკითხავ, შემდეგ მეორე ხაზზე გადახვალ (შემფასებელი თან უჩვენებს თითის გაყოლებით). თუ რომელიმე სიტყვა ძნელი წასაკითხი იქნება, მე დაგეხმარები და წაგიკითხავ ამ სიტყვას, შემდეგ კი ისევ გააგრძელებ კითხვას. გასაგებია? მაშინ დავიწყოთ“. ზემოაღნიშნულის დემონსტრირებისათვის შემფასებელი სიტყვების პირველ ორ ხაზზე გააყოლებს თითს მარცხნიდან მარჯვნივ. დროის ათვლა იწყება მაშინ, როდესაც მოსწავლე კითხვას შეუდგება (და არა მითითებების მიცემისას). ტესტირების დასრულების შემდეგ შემფასებელი ამბობს: „ყოჩაღ, დიდი მადლობა!“

ქულების მინიჭება

თუ მოსწავლე:

- თავად შეასწორებს მის მიერ დაშვებულ შეცდომას, ამ სიტყვის ზემოთ დაწერეთ /თშ/ და ჩათვალეთ სწორ პასუხად.
- არასწორად წაიკითხავს სიტყვას, გადახაზეთ ეს სიტყვა და ჩაუთვალეთ არასწორ პასუხად.
- 3 წამზე მეტ ხანს ვერ წაიკითხავს სიტყვას, თქვენ წარმოთქვით ეს სიტყვა და ჩაუთვალეთ არასწორ პასუხად.

სიტყვას გამოტოვებს, შემოხაზეთ სიტყვა და მოსწავლეს არასწორ პასუხად ჩაუთვალეთ.

ნიმუში: II კლასი **სიტყვების წაკითხვა**

მასწავლებლის ფურცელი

მოსწავლე: კლასი:

მასწავლებელი: თარიღი:

ხე	რა	კარი	ჩვენ	მიდის	5
დილა	მაგიდა	წვიმს	მთვარე	აბაზანა	10
ვარ	მეტი	გვიან	ფილმი	ახლოს	15
კარაქი	ადგომა	ცივი	თხოვნა	ავტორი	20
ზეგ	შავი	ქუჩა	ბარგი	მაღალი	25
ცელქი	ბოდიში	ახველებს	ჟურნალი	ყურადღებით	30
მეტი	ჭერი	ყავა	სუფთა	თვითონ	35
მოტანა	წამალი	გაჩერება	საუზმე	დარეკვა	40
ბუნება	თვე	აუზი	შაქარი	მწიფე	45
ლამაზი	ნისლი	ოთხშაბათი	ანდაზა	მღერის	50
მეტი	ცირკი	საგანი	მარდად	ნაყოფი	55
ჩახჩახა	კლოუნი	უცნობი	აღწერს	ნებართვა	60
არაყი	ქერქი	პასუხი	ფრიალა	მნათობი	65
ჯეჯილი	უნებლიეთ	დრუნჩი	აძვრა	ცეცხლი	70
ცომი	არსება	მშვიდი	იწერება	დარაჯი	75
მომავალი	გიზგიზი	ტყემალი	ზოგჯერ	ცარიელი	80
ნაზად	მეპურე	ჭიშკარი	უღრანი	სამკაული	85
ჩაკბიჩა	უნაგირი	შხაპუნა	ბორბალი	მისალმება	90
ფესვი	ათეული	ტრაბახი	წარწერა	შეარჩიე	95
უთავაზა	მარჯვე	ყუნწი	ხელმწიფე	ზედმეტი	100
ჯიში	საჭირო	ტყუილი	ბარდნის	მსგავსი	105
იარაღი	განწყობა	პატიოსანი	სიბრალული	მწყემსი	110
რატომ	მუქთა	შანდალი	სიძუნწე	მოჭადრაკე	115
რებუსი	სხვადასხვა	წათვლიმა	განაგრძე	ფოტოაპარატი	120

სწორია: _____ / 120

სიტყვების წაკითხვა

მოსწავლის ფურცელი

ხე	რა	კარი	ჩვენ	მიდის
დილა	მაგიდა	წვიმს	მთვარე	აბაზანა
ვარ	მეტი	გვიან	ფილმი	ახლოს
კარაქი	ადგომა	ცივი	თხოვნა	ავტორი
ზეგ	შავი	ქუჩა	ბარგი	მაღალი
ცელქი	ბოდიში	ახველებს	ჟურნალი	ყურადღებით
მეტი	ჭერი	ყავა	სუფთა	თვითონ
მოტანა	წამალი	გაჩერება	საუზმე	დარეკვა
ბუნება	თვე	აუზი	შაქარი	მწიფე
ლამაზი	ნისლი	ოთხშაბათი	ანდაზა	მღერის
მეტი	ცირკი	საგანი	მარდად	ნაყოფი
ჩახჩახა	კლოუნი	უცნობი	აღწერს	ნებართვა
არაყი	ქერქი	პასუხი	ფრიალა	მნათობი
ჯეჯილი	უნებლიეთ	დრუნჩი	აძვრა	ცეცხლი
ცომი	არსება	მშვიდი	იწერება	დარაჯი
მომავალი	გიზგიზი	ტყემალი	ზოგჯერ	ცარიელი
ნაზად	მეპურე	ჭიშკარი	უღრანი	სამკაული
ჩაკბიჩა	უნაგირი	შხაპუნა	ბორბალი	მისალმება
ფესვი	ათეული	ტრაბახი	წარწერა	შეარჩიე
უთავაზა	მარჯვე	ყუნწი	ხელმწიფე	ზედმეტი
ჯიში	საჭირო	ტყუილი	ბარდნის	მსგავსი
იარაღი	განწყობა	პატიოსანი	სიბრალული	მწყემსი
რატომ	მუქთა	შანდალი	სიძუნწე	მოჭადრაკე
რებუსი	სხვადასხვა	წათვლიმა	განაგრძე	ფოტოაპარატი

2. ფსევდოსიტყვების წაკითხვის ტესტი

ტესტის დანიშნულება: ტესტი ამოწმებს დეკოდირების უნარს. დეკოდირება გამართული/გაწაფული კითხვის ტექნიკის ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტია. ის მოიცავს ასოების სწორად ამოცნობისა და გადაბმის უნარებს. ზოგჯერ ამ უნარების გადამოწმება საჭიროა იმაში დასარწმუნებლად, რომ მოსწავლე მთლიანი სიტყვების ავტომატურად ცნობის გარდა სწორად დეკოდირებასაც ახერხებს.

ტესტის ტიპი: ინდივიდუალური.

ტესტის ჩატარების ვადები: მეორე და მესამე კლასები. სასურველია სკრინინგის ჩატარება სასწავლო წლის დასაწყისში. დიაგნოსტიკური ტესტირება შეიძლება ჩატარდეს რამდენჯერმე სასწავლო წლის განმავლობაში.

ტესტის ხანგრძლივობა: 60 წამი .

ტესტის ჩასატარებლად საჭირო რესურსი: ა) მასწავლებლის ფურცელი; ბ) მოსწავლის ფურცელი; გ) საათი ან წამმზომი.

ტესტის ჩატარების პროცედურა: დროის ათვლა იწყება მაშინ, როდესაც მოსწავლე პირველი სიტყვის კითხვას დაიწყებს. მასწავლებელი მონიშნავს მხოლოდ შეცდომით წაკითხულ სიტყვებს დახრილი ხაზის (/) გადასმით. თუ მოსწავლე ხელმეორედ და სწორად წაიკითხავს შეცდომით წაკითხულ სიტყვას, მასწავლებელი მეორე დახრილ ხაზს (\) გადაუსვამს ისე, რომ გამოვიდეს (X), რაც თვითშესწორებას ნიშნავს და შეცდომად არ ითვლება. თუ მოსწავლე ვერ წაიკითხავს სიტყვას, მასწავლებელი წაუკითხავს და გადახაზავს მას. 60 წამის გასვლის შემდეგ მასწავლებელი გააჩერებს მოსწავლეს და ბოლოს წარმოთქმული სიტყვის შემდეგ დასვამს კვადრატულ ფრჩხილს (]). ტესტის ადმინისტრირების დასრულების შემდეგ შემფასებელი დაითვლის სწორად ამოკითხული სიტყვების საერთო რაოდენობას და ჩაწერს ცხრილის ქვემოთ.

მითითებები მოსწავლეს. „ამ ფურცელზე უცნაური სიტყვები წერია. მოდი, ვცადოთ და ეს სიტყვები ხმამაღლა წავიკითხოთ. კითხვას ფურცლის თავიდან დაიწყებ (მასწავლებელი მიანიშნებს პირველ სიტყვაზე) და მთელ ხაზს ჩაიკითხავ, შემდეგ მეორე ხაზზე გადახვალ (მასწავლებელი თან უჩვენებს თითის გაყოლებით). თუ რომელიმე სიტყვა ძნელი წასაკითხი იქნება, მე დაგეხმარები და წაგიკითხავ, შემდეგ კი ისევ გააგრძელებ კითხვას. გასაგებია? მაშინ, დავიწყოთ“. ტესტირების დასრულების შემდეგ მასწავლებელი ამბობს: „ყოჩაღ, დიდი მადლობა»!

ფსევდოსიტყვების წაკითხვის ტესტი

მასწავლებლის ფურცელი

მოსწავლე: კლასი:

მასწავლებელი: თარიღი:

სუზ	ბივი	ეგუ	დოს	კელ	5
იჯელ	ზიგი	ატინ	სგურ	ილან	10
ათქე	პონუფ	რირხი	გიწმა	კტისე	15
დვატეკ	ხოპიე	ქიცბა	ჩეჰუნ	ბუვუხ	20
ოვროხი	შოდაძა	თიპლან	ლუპრე	გვიზი	25
სნეფურ	დარწამ	ღმიშკელა	პუწედი	ქისკო	30

სწორია: ––––– / 30

ფსევდოსიტყვების წაკითხვა

მოსწავლის ფურცელი

სუზ	ბივი	ეგუ	დოს	კელ
იჯელ	ზიგი	ატინ	სგურ	ილან
ათქე	პონუფ	რირხი	გიწმა	კტისე
დვატეკ	ხოპიე	ქიცბა	ჩეჰუნ	ბუვუხ
ოვროხი	შოდაძა	თიპლან	ლუპრე	გვიზი
სნეფურ	დარწამ	ღმიშკელა	პუწედი	ქისკო

3. ტექსტის წაკითხვის ტესტი

ტესტის დანიშნულება: ტექსტის გამართულად წაკითხვის უნარის შემოწმება. გამართული კითხვის ტექნიკა კითხვის ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტია. ის მოიცავს ტექსტის უშეცდომოდ, გაბმულად, სწრაფად და გამომეტყველებით წაკითხვას. კითხვის ტექნიკური მხარის გამართვა ხელს უწყობს მოსწავლეს გაგება-გააზრებაში.

ტესტის ტიპი: ინდივიდუალური. ახლავს მოსწავლის ფურცელი.

ტესტის ჩატარების ვადები: ქართული ენა: მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე კლასები. ქართული, როგორც მეორე ენა: მესამე, მეოთხე და მეხუთე კლასები. სასურველია სკრინინგის ჩატარება თითოეული სემესტრის დასაწყისში. დიაგნოსტიკური ტესტირება შეიძლება ჩატარდეს რამდენჯერმე სასწავლო წლის განმავლობაში.

ტესტის ხანგრძლივობა: 60 წამი

ტესტის ჩასატარებლად საჭირო რესურსი: ა) მასწავლებლის ფურცელი; ბ) მოსწავლის ფურცელი; გ) საათი ან წამმზომი.

ტესტის ჩატარების პროცედურა: დროის ათვლა იწყება მაშინ, როდესაც მოსწავლე სათაურის შემდეგ პირველი სიტყვის კითხვას დაიწყებს. შემფასებელი მონიშნავს მხოლოდ შეცდომით წაკითხულ სიტყვებს დახრილი ხაზის **(/)** გადასმით. თუ მოსწავლე ხელმეორედ და სწორად წაიკითხავს შეცდომით წაკითხულ სიტყვას, შემფასებელი მეორე დახრილ ხაზს **(\ )** გადაუსვამს ისე, რომ გამოვიდეს (X), რაც თვითშესწორებას ნიშნავს და შეცდომად არ ითვლება. თუ მოსწავლე ვერ წაიკითხავს სიტყვას 3 წამის განმავლობაში, შემფასებელი უკითხავს ამ სიტყვას და გადახაზავს მას. 60 წამის გასვლის შემდეგ შემფასებელი გააჩერებს მოსწავლეს და ბოლოს წარმოთქმული სიტყვის შემდეგ დასვამს კვადრატულ ფრჩხილს **( ])**. დროის ამოწურვის მერე შემფასებელი მოსწავლეს დაასრულებინებს დაწყებული წინადადების ან აბზაცის წაკითხვას. კითხვის დამთავრების შემდეგ აღინიშნება, კითხულობდა თუ არა მოსწავლე სასვენი ნიშნების გათვალისწინებითა და ინტონაციით. თუ მოსწავლე სათაურს წაიკითხავს, სათაურის მარჯვნივ დაუსვით (+). საბოლოო ქულის გამოსათვლელად შემფასებელი მოსწავლის მიერ წაკითხული სიტყვების საერთო რაოდენობას გამოაკლებს შეცდომით წაკითხული/გამოტოვებული სიტყვების რაოდენობას, რაც გვაძლევს 60 წამში სწორად წაკითხული სიტყვების საერთო რაოდენობას (წსწს). სათაურის წაკითხვა-არწაკითხვა ქულებით არ ფასდება.

მითითებები მოსწავლეს: „ახლა მე გადმოგცემ ფურცელს, რომელზეც მოთხრობა წერია. შენ უნდა წაიკითხო ის ხმამაღლა, ჩვეულებრივად, როგორც კითხულობ ხოლმე. კითხვას აი, აქედან დაიწყებ (შემფასებელი თითით უჩვენებს პირველ სიტყვას). თუ რომელიმე სიტყვა ძნელი წასაკითხი იქნება, მე დაგეხმარები და გეტყვი ამ სიტყვას, შემდეგ კი ისევ გააგრძელებ კითხვას. ეცადე, ყურადღებითა და დიდი მონდომებით შეასრულო ეს დავალება. გასაგებია? მაშინ, დავიწყოთ“.

ტესტირების დასრულების შემდეგ მასწავლებელი ამბობს: „ყოჩაღ, დიდი მადლობა»!

ქულების მინიჭება

- მოსწავლე ყოველ სწორად წაკითხულ სიტყვაში 1 ქულას იღებს.
- თუ მოსწავლე სიტყვას არასწორად წარმოთქვამს, შემფასებელი შესაბამის სიტყვას გადაუსვამს დახრილ შტრიხს (/) (ეს შეცდომას ნიშნავს).
- თუ მოსწავლე ხელმეორედ და უკვე სწორად წაიკითხავს თავდაპირველად შეცდომით წაკითხულ სიტყვას, შემფასებელმა ამ სიტყვასთან უნდა მიაწეროს **(თშ)**, რაც თვითშესწორებას ნიშნავს. **ქულების საბოლოო დაჯამებისას თვითშესწორება შეცდომად არ ითვლება (მოსწავლე იღებს ქულას).**
- საბოლოო ქულის გამოსათვლელად შემფასებელი წაკითხული სიტყვების საერთო რაოდენობას გამოაკლებს შეცდომებით წაკითხული (გადახაზული) სიტყვების რაოდენობას, რაც გვაძლევს ”60 წამში სწორად წაკითხული სიტყვების საერთო რაოდენობას”.

ტექსტის წაკითხვის ტესტი

მასწავლებლის ფურცელი

მოსწავლე: კლასი:

მასწავლებელი: თარიღი:

ჭიანჭველა და ფუტკარი	
იდგა გაზაფხული. მინდორში ფერადი ყვავილები ამოსულიყო. ირგვლივ საოცარი სურნელი ტრიალებდა. ერთმა ჭიანჭველამ ლამაზი ყვავილი იპოვა. ჯერ ღეროზე აცოცდა, შემდეგ გულში ჩაცოცდა და საქმეს შეუდგა. ამასობაში ფუტკარიც მოფრინდა. ჭიანჭველას არ ესიამოვნა მისი დანახვა.	8 18 28 32
– თავი ნუ ამატკივე ამდენი ბზუილით! მე შენზე ნაკლებს არ ვშრომობ, მაგრამ ქვეყანას არ ვაყრუებ ტრაბახით! – შეუტია ჭიანჭველამ ფუტკარს. თაფლის ოსტატს გაეცინა, ოდნავადაც არ გაბრაზებულა.	44 53 56
– რა ვქნა, ძმაო! შენ თუ მუშაობ, მხოლოდ შენი თავისთვის, მე კი ჩემი შრომით ჩემს თავსაც ვადგები და ხალხსაც. ტრაბახი კი გულშიც არ გამივლია, ღმერთმა ასეთი ბზუილა გამაჩინა, – მშიდად მიუგო ფუტკარმა და სხვა ყვავილისკენ გაფრინდა.	70 82 90
წაკითხული სიტყვების რაოდენობა: _____ , შეცდომების რაოდენობა: _____ , ერთ წუთში სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობა: _____ .	

1. კითხულობდა თუ არა მოსწავლე სასვენი ნიშნების გათვალისწინებით?

ა) კი ბ) არა

2. კითხულობდა თუ არა მოსწავლე ინტონაციით?

ა) კი ბ) არა

ტექსტის წაკითხვა

მოსწავლის ფურცელი

ჭიანჭველა და ფუტკარი

იდგა გაზაფხული. მინდორში ფერადი ყვავილები ამოსულიყო. ირგვლივ საოცარი სურნელი ტრიალებდა. ერთმა ჭიანჭველამ ლამაზი ყვავილი იპოვა. ჯერ ღეროზე აცოცდა, შემდეგ გულში ჩაცოცდა და საქმეს შეუდგა. ამასობაში ფუტკარიც მოფრინდა. ჭიანჭველას არ ესიამოვნა მისი დანახვა.

– თავი ნუ ამატკივე ამდენი ბზუილით! მე შენზე ნაკლებს არ ვშრომობ, მაგრამ ქვეყანას არ ვაყრუებ ტრაბახით! – შეუტია ჭიანჭველამ ფუტკარს. თაფლის ოსტატს გაეცინა, ოდნავადაც არ გაბრაზებულა.

– რა ვქნა, ძმაო! შენ თუ მუშაობ, მხოლოდ შენი თავისთვის, მე კი ჩემი შრომით ჩემს თავსაც ვადგები და ხალხსაც. ტრაბახი კი გულშიც არ გამივლია, ღმერთმა ასეთი ბზუილა გამაჩინა, – მშვიდად მიუგო ფუტკარმა და სხვა ყვავილისკენ გაფრინდა.

ტესტის შევსებული ვარიანტი

ჭიანჭველა და ფუტკარი	
იდგა გაზაფხული. მინდორში ფერადი ყვავილები ამოსულიყო. ირგვლივ საოცარი	8
სურნელი ტრიალებდა. ერთმა ჭიანჭველამ ლამაზი ყვავილი იპოვა. ჯერ ღეროზე აცოცდა,	18
შემდეგ გულში ჩაცოცდა და საქმეს შეუდგა. ამასობაში ფუტკარიც მოფრინდა. ჭიანჭველას	28
არ ესიამოვნა მისი დანახვა.	32
– თავი ნუ ამატკივე ამდენი ბზუილით! მე შენზე ნაკლებს არ ვშრომობ, მაგრამ ქვეყანას	44
არ ვაყრუებ ტრაბახით! – შეუტია ჭიანჭველამ ფუტკარს. თაფლის ოსტატს გაეცინა,	53
ოდნავადაც არ გაბრაზებულა.	56
– რა ვქნა, ძმაო! შენ თუ მუშაობ, მხოლოდ შენი თავისთვის, მე კი ჩემი შრომით ჩემს	70
თავსაც ვადგები და ხალხსაც. ტრაბახი კი გულშიც არ გამივლია, ღმერთმა ასეთი ბზუილა	82
გამაჩინა, – მშიდად მიუგო ფუტკარმა და სხვა ყვავილისკენ გაფრინდა.	90

წაკითხული სიტყვების რაოდენობა: 4 , შეცდომების რაოდენობა: 3 ,
ერთ წუთში სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობა: 1 .

1. **კითხულობდა თუ არა მოსწავლე სასვენი ნიშნების გათვალისწინებით?**
   ა) კი (ბ) არა

2. **კითხულობდა თუ არა მოსწავლე ინტონაციით?**
   ა) კი (ბ) არა

გამართული კითხვის შეფასების (თვითშეფასების) რუბრიკა

1. ფრაზებად კითხვა/სიტყვების დაჯგუფება. მე ვიცი, რომ აზრს რამდენიმე სიტყვა ერთად გადმოსცემს. ამიტომ ხმამაღლა კითხვისას სიტყვათა ჯგუფებს ვკითხულობ და არა ცალკეულ სიტყვებს. ჩემი წაკითხული ადვილი მოსასმენია და აზრს კარგად გადმოსცემს.

კითხვისას მე ფრაზებად ვაჯგუფებ სიტყვებს. ფრაზებად წაკითხული უკეთ გადმოსცემს აზრსა და ემოციას.	მე ცალკეულ სიტყვებს ვკითხულობ. ზოგჯერ სიტყვებსაც ასო-ასო და მარცვალ-მარცვალ ვკითხულობ, რობოტივით გამომდის.	მე ვცდილობ, ფრაზებად დავაჯგუფო სიტყვები. ზოგჯერ ორ-სამ სიტყვას გადავაბამ ხოლმე, თუმცა ზოგჯერ ისევ თითო-თითო სიტყვას ვკითხულობ, რობოტივით.

2. კითხვის ტემპი. მე ზომიერი ტემპით ვკითხულობ, არც ზედმეტად სწრაფად და არც ძალიან ნელა.

ისე ვკითხულობ, როგორც ვლაპარაკობ. მხოლოდ მაშინ ვანელებ კითხვას, როცა ეს აზრის და გრძნობის უკეთ გამოსახატადაა საჭირო.	მე ვანელებ კითხვას, როცა უცნობ სიტყვას ვხვდები. ასეთ დროს ვჩერდები და სიტყვას ვიმეორებ. ზოგჯერ ნელა ვკითხულობ, ზოგჯერ ზედმეტად სწრაფად. ზოგჯერ წაკითხულიდან აზრი ვერ გამომაქვს და ვყოვნდები.	მე ძალიან ნელა ვკითხულობ. ყოველი სიტყვის წაკითხვას დიდ ხანს ვანდომებ. იმდენად ნელა ვკითხულობ, რომ აზრის გამოტანა ძნელია.

3. პუნქტუაცია / სასვენი ნიშნები. მე ვითვალისწინებ სასვენ ნიშნებს, რომლებიც მეხმარება კარგად წაკითხვაში. ვუკვირდები, რა გავლენას ახდენს სასვენი ნიშნები წინადადებაში გადმოცემულ აზრზე. სასვენი ნიშნების გათვალისწინებით კითხვა კარგი მოსასმენია და აზრის გაგებასაც აადვილებს.

ყოველთვის ვითვალისწინებ სასვენ ნიშნებს. ამიტომ ჩემ მიერ წაკითხული კარგად ისმინება და მსმენელს აზრის გამოტანაც უადვილდება.	როგორც წესი, ყურადღებას ვაქცევ სასვენ ნიშნებს. ზოგჯერ შეცდომას ვუშვებ კითხვაში მათი გამოყენებისას.	მე ყურადღებას არ ვაქცევ წერტილებს, მძიმეებს, კითხვის ნიშნებს, ძახილის ნიშნებსა და ბრჭყალებს. ჩემი წაკითხული კარგად არ ისმინება და აზრის გამოტანაც ძნელია.

4. გამომეტყველებით წაკითხვა. მე გამართულად ვკითხულობ. ვცვლი ინტონაციას და ხმის ტემბრს. ამიტომ წაკითხული საინტერესოდ ისმინება და აზრის გამოტანა ადვილია.

მე გამომეტყველებით ვკითხულობ. ვცვლი ხმის ტემბრს და ინტონაციას. სწორად ვაკეთებ პაუზებსა და მახვილებს. ჩემი წაკითხული საინტერესო და ემოციურია.	ვცდილობ, წაკითხვა მონოტონური და მოსაწყენი არ იყოს. ზოგჯერ არასწორად ვიყენებ ინტონაციასა და ხმას.	მოსაწყენად ვკითხულობ. არ ვცვლი ხმის ტემბრსა და ტონს.

საკლასო პოსტერი გამართული/გაწაფული კითხვის თვითშეფასებისთვის

ლექსიკური მარაგი

- *რა არის ლექსიკური მარაგი და რა კავშირი აქვს მას გაგება-გააზრებასთან?*
- *როგორ სწავლობენ ბავშვები სიტყვებს?*
- *როგორ გავუმდიდროთ მოსწავლეებს ლექსიკური მარაგი? ეფექტური მეთოდები და რესურსები.*
- *როგორ შევამოწმოთ მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი?*

ლექსიკური მარაგის აქტივობების ცხრილი

მეთოდი / აქტივობა	რესურსი	გვერდი
გონებრივი რუკა		172
სიტყვის/ცნების რუკა	ფურცელი, კალამი / შესავსები სქემა (სქემების ამოსაბეჭდი ვერსიები იხ. დანართში)	173
სიტყვის ვერბალური და ვიზუალური ასოციაციების სქემა	ფურცელი, კალამი / შესავსები სქემა, კალამი (სქემის ამოსაბეჭდი ვერსია იხ. დანართში)	177
ჩამოწერე და განმარტე სიტყვები	ფურცელი და კალამი	179
სიტყვების გამომძიებელი	ფურცელი, კალამი / შესავსები სქემა, კალამი (სქემის ამოსაბეჭდი ვერსია იხ. დანართში)	179
სიტყვის პირამიდა	ფურცელი, კალამი / შესავსები სქემა, კალამი (სქემის ამოსაბეჭდი ვერსია იხ. დანართში)	180
დაკარგული სიტყვები	შესავსები ტექსტი	182
დღის სიტყვა	საგანგებოდ შერჩეული დიდი ზომის სიტყვის ბარათი, ფურცლები	182
სიტყვები წყვილებში (წაშალე სიტყვა I)	ცარცი ან მარკერი, დაფა	183
წაშალე სიტყვა II	ცარცი/მარკერი, დაფა	184
სინონიმების ბანქო I	ბანქოს ზომის ბარათების დასტა სინონიმური სიტყვებით	185
სინონიმების ბანქო II	ბანქოს ზომის კვადრატული ბარათების დასტა სინონიმური სიტყვებით	185
სიტყვა სიტყვაში	დაფა, ცარცი, ფურცელი/რვეული, კალამი	186
სიტყვის დაშლა (სიტყვები სიტყვაში)	დაფა, ცარცი, ფურცელი/რვეული, კალამი	187
სიტყვების გროვა	დაფა, ცარცი, ფურცელი/რვეული, კალამი	188
მნიშვნელოვანი სიტყვები	ტექსტი, მცირე ზომის წებოვანი ბარათები	189
წინადადების განვრცობა	ბარათები შეკითხვებით, ბარათები მარტივი წინადადებებით, დაფა, ცარცი/მარკერი, ფურცელი	190
შესაძლო წინადადებები საკვანძო სიტყვების გამოყენებით	ფურცელი, კალამი	191
ფანტაზიორები და რეალისტები (უცნაური წინადადებები)	სიტყვის ბარათები, ფურცელი, კალამი	192
სიტყვების დაჯგუფება კატეგორიებში	ფურცელზე ჩამოწერილი სიტყვების ნუსხა თითოეული მოსწავლისათვის/ჯგუფისთვის, კატეგორიების ცხრილი	193
სიტყვების ბანკი I	მცირე ზომის ბარათები ზედ დაწერილი სიტყვებით	194
სიტყვების ბანკი II (სიტყვების რვეული)	საქაღალდე, სიტყვის/ცნების სქემები	195
ფრეიერის სქემა	ფურცელი, კალამი / შესავსები სქემა, კალამი (სქემის ამოსაბეჭდი ვერსია იხ. დანართში)	195
გასასვლელი სიტყვები	ფურცელი და კალამი	197
სინონიმთა და ანტონიმთა წრე		198

რა არის ლექსიკური მარაგი და რატომ არის იგი მნიშვნელოვანი?

მდიდარი ლექსიკური მარაგი კითხვასა და სწავლაში წარმატების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. გააზრებული კითხვაცა და წერაც მნიშვნელოვანწილად ლექსიკურ მარაგზეა დამოკიდებული. გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემების უმთავრესი მიზეზი სწორედ ლექსიკური მარაგის სიმწირეა. კარგი მკითხველები გამოირჩევიან სიტყვების ცოდნით და შეუძლიათ, დიდი ძალისხმევის გარეშე გამოიყენონ ისინი საჭიროების მიხედვით. სიტყვების ცოდნა მჭიდროდ უკავშირდება აკადემიურ წარმატებას ყველა საგანში, ვინაიდან მდიდარი ლექსიკური მარაგის მქონე მოსწავლე უფრო სწრაფად და უკეთ იგებს ახალ ცნებებს, აზრებსა და იდეებს, ვიდრე მწირი ლექსიკური მარაგის მქონე.

ლექსიკა არის ენაში არსებული სიტყვების მარაგი, რომლის საშუალებითაც ჩვენ ვამყარებთ ზეპირ და წერით კომუნიკაციას. სიტყვების ცოდნა მართლაც არსებითია გაგება-გააზრებისათვის. ადამიანი ვერ გამოიტანს აზრს წაკითხულიდან, თუკი ტექსტის სიტყვათა უმრავლესობის მნიშვნელობა არ ესმის. რაც შეეხება სასწავლო დონის ტექსტებს, არსებობს რეკომენდაციები მათში ნაცნობი სიტყვების სასურველი რაოდენობის შესახებ. საშუალოდ, ნაცნობ სიტყვათა რაოდენობა უნდა მერყეობდეს 90-დან 95%-მდე. კიდევ უფრო აქტუალურია ნაცნობ სიტყვათა ადეკვატური რაოდენობა კითხვის ტექნიკის გამართვის ფაზაში, როცა მოსწავლის კითხვა ჯერ კიდევ არ არის გაწაფული.

ლექსიკის გამდიდრებაზე ორიენტირებული აქტივობები ეხმარება მოსწავლეს იმ სიტყვათა ათვისებაში, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში იშვიათად ან საერთოდ არ ხვდება. გარდა ამისა, მოსწავლეები უნდა გაეცნონ ე. წ. საკვანძო, საყრდენ ან მნიშვნელოვან სიტყვებს, რომლებიც აუცილებელია მოცემული ტექსტის დასამუშავებლად. სიტყვების სხვადასხვა სავარჯიშოსა და მრავალფეროვან კონტექსტში გამოყენების აქტივობებს გაცილებით უკეთესი შედეგი აქვს, ვიდრე თვით ამ სიტყვების ან მათი განმარტებების დაზეპირებას.

სიტყვის ცოდნა ნიშნავს, რომ ბავშვს შეუძლია მისი განმარტება (თავისი სიტყვებით) და გამოყენება სხვადასხვა კონტექსტში. უნდა განვასხვავოთ სიტყვის *დეფინიციური ცოდნა* (როდესაც შეგვიძლია სიტყვის განმარტება) სიტყვის *კონტექსტუალური ცოდნისგან* (როცა შეგვიძლია სიტყვის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება). მაგალითად, მოსწავლემ შესაძლოა თავისი სიტყვებით განმარტოს ესა თუ ის სიტყვა, მაგრამ ვერ შეძლოს ამ სიტყვის მნიშვნელობის ადეკვატურად აღქმა წინადადებაში ან ვერ შეადგინოს წინადადება ამ სიტყვის გამოყენებით. მეორე მხრივ, შეიძლება ბავშვს არ გაუჭირდეს ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობის გაგება წინადადების კონტექტში, მაგრამ ვერ განმარტოს იგი. სიტყვების ცოდნა ასევე შეიძლება მოიცავდეს სიტყვის მორფოლოგიურ ანალიზს, სიტყვის ნაწილებისა და მათი თანმიმდევრობის გააზრებას.

სკოლაში ბავშვები განსხვავებული ლექსიკური მარაგით შედიან – ეს მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ოჯახის სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობასა და კულტურულ მახასიათებლებზე. ბავშვები, რომლებსაც სკოლაში შესვლამდე უფრო მდიდარი ლექსიკური მარაგი აქვთ, სწავლაში უფრო იოლად აღწევენ წარმატებებს. ისინი კი, ვისაც მწირი საწყისი ლექსიკური მარაგი აქვთ, ნელა და ძნელად აღწევენ იმავე შედეგებს. თუ ლექსიკური მარაგის გაზრდასა და გაწაფულ კითხვაში პრობლემები გაუჩნდება, ბავშვი უფრო იშვიათად და უფრო ნაკლებს წაიკითხავს. სწორედ კითხვისთვის თავის არიდება იწვევს ლექსიკური მარაგის სიმწირეს. არ კითხულობ – არ გაქვს მდიდარი ლექსიკა! არ გაქვს მდიდარი ლექსიკა – წაკითხულს ვერ იგებ და ამიტომ არც კითხულობ! სასკოლო ტექსტებს კი ემატება და ემატება მოცულობა, სირთულე...

ლექსიკური მარაგის სწავლების ძირითადი მიდგომები და სტრატეგიები

მიმოვიხილოთ ლექსიკური მარაგის სწავლების ძირითადი მიდგომები და სტრატეგიები. პირველ რიგში, გავმიჯნოთ სიტყვების სწავლებისა და ათვისების ორი გზა, ესენია: **პირდაპირი** (ექსპლიციტური) და **თანმდევი**. ბავშვები სიტყვების უმრავლესობას არაპირდაპირი, თანმდევი გზით ითვისებენ[1].

ეს ეხებათ იმ მოსწავლეებსაც, რომლებისთვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა. ისინი ქართულ სიტყვათა უმეტესობას არაპირდაპირი, თანმდევი გზით ითვისებენ. ამიტომ არის მიზანშეწონილი ბუნებრივი მიდგომის, ავთენტური ტექსტების კითხვის, ინტერაქტიული თამაშების გამოყენება, რომლებიც სიტყვების არაპირდაპირი გზით ათვისების კარგი საშუალებებია.

სიტყვების არაპირდაპირი გზით სწავლების ყველაზე ეფექტური საშუალებებია:

- **საუბრები და დისკუსიები მრავალფეროვან, საინტერესო საკითხებზე**. საუბარში გაგონილ სიტყვებს ბავშვები ნაბეჭდ ტექსტებშიც ადვილად ცნობენ და იაზრებენ;
- **ბავშვისათვის ხმამაღლა წაკითხვა**. ეს აქტივობა განსაკუთრებით ეფექტურია, როცა მკითხველი ჩერდება უცნობ სიტყვასთან და განმარტავს მას, ასევე, წაკითხვის შემდეგ განიხილავს ასეთ სიტყვებს მოსწავლეების მონაწილეობით;
- **დამოუკიდებელი კითხვა**. დღეს ბევრ საკლასო ოთახში 10-15-წუთიანი დამოუკიდებელი კითხვის ბლოკი ერთ-ერთ ხშირად გამოყენებულ, რეგულარულ აქტივობად იქცა. გასათვალისწინებელია, რომ პრობლემურ მკითხველებს უჭირთ დიდი ხნით კონცენტრირებულად კითხვა. ამიტომ დამოუკიდებელი კითხვის დროს მათ პერიოდულად კარგ მკითხველთან აწყვილებენ ხოლმე.

კვლევა და პედაგოგიური პრაქტიკა ცხადყოფს, რომ გაგება-გააზრების გასაუმჯობესებლად განსაკუთრებით სასარგებლოა ლექსიკის სწავლების ორი მიდგომის გამოყენება: სიტყვების უწყვეტად და რეგულარულად სწავლება (Beck, Perfetti, & McKeown, 1982) და საკითხავი დავალების შესრულებამდე (ან ტექსტის წაკითხვამდე) სიტყვების სწავლება (Brett, Rothlein, & Hurley, 1996; Wixson, 1986).

როგორც ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ისე მეორე/უცხოურ ენასა და სხვა საგნებში აკადემიური წარმატების მისაღწევად ბავშვებს ესაჭიროებათ გარკვეული სიტყვების პირდაპირი, ფორმალიზებული გზით სწავლება. ამ მიზნით მეტად სასარგებლოა ახალი სიტყვების წინასწარ გაცნობა ტექსტის წაკითხვამდე, შესწავლილ ლექსიკურ ერთეულებზე პერიოდულად სავარჯიშოების შესრულება, მათი სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება და ა. შ. ცალკეული სიტყვის პირდაპირი, ექსპლიციტური სწავლების ყველაზე ეფექტური საშუალებებია:

- სიტყვების წინასწარ განხილვა ტექსტის წაკითხვამდე;
- პირდაპირი განმარტება (მასწავლებლის მიერ ან სახელმძღვანელოდან);
- სიტყვის ლექსიკონში მოძებნა;
- გათვალსაჩინოება (სურათით, სქემატური მონახაზით, რეალური საგნებით, მოქმედებით, ხატვით, ჟესტ-მიმიკით);
- მორფოლოგიური ანალიზი სიტყვათწარმოების წესების მიხედვით; სიტყვის დაშლა შემადგენელ ნაწილებად;
- მნიშვნელობის ამოცნობა კონტექსტის დახმარებით (როცა მასწავლებელი აკეთებს მოდელირებას და ავარჯიშებს მოსწავლეებს ამ ტექნიკის გამოყენებაში);

[1] არსებობს სიტყვების ათვისების მრავალფეროვანი წყაროები. აღმოჩნდა, რომ ბავშვები ყველაზე მეტ სიტყვას ყოველდღიური საუბრებიდან, დამოუკიდებლად წაკითხული წიგნებიდან და ჟურნალებიდან, ტელევიზორიდან და ინტერნეტიდან იღებენ.

- სინონიმებისა და ანტონიმების მოშველიება (მსგავსი და/ან საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვასთან დაწყვილება და დაკვირვება);
- დამხმარე გრაფიკული სქემების გამოყენება (მაგ., „სიტყვის პირამიდა“, „ასოციაციური რუკა“, „სიტყვის ვერბალური და ვიზუალური ასოციაციების სქემა“, „სიტყვის/ცნების რუკა“, „ფრეიერის სქემა“ და სხვ.).

არსებობს კიდევ ორი საკვანძო სტრატეგია, რომლებიც ხელს უწყობს სიტყვების გაცნობიერებას და სიტყვებისადმი შინაგანი ინტერესის გაღვივებას. ესენია: **ინტენსიური კითხვა** და **თავისუფალი წერა**. სთხოვეთ მოსწავლეებს, ყურადღება გაამახვილონ ავტორების „საყვარელ“ სიტყვებსა და ფრაზებზე, შეთხზან ლექსები, შაირები, რეპის ჟანრის ტექსტები და სხვ. პერიოდულად ესაუბრეთ მოსწავლეებს ამა თუ იმ სიტყვის ისტორიაზე და მათთან ერთად იმსჯელეთ, როგორ შეიცვალა სიტყვის მნიშვნელობა, როგორ ვიყენებთ მას დღეს ყოველდღიურ მეტყველებაში.

მნიშვნელოვანია, რომ სიტყვის სწავლების სტრატეგიები ასაკობრივად ადეკვატური იყოს და გათვალისწინებული იყოს ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობებიც. ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებმა კი საგანგებო ყურადღება უნდა მიაქციონ მოსწავლეთა ლექსიკური მარაგისა და ენობრივი კომპეტენციების ინდიკატორებსაც.

რომელი სიტყვები ვასწავლოთ?

შესასწავლი სიტყვა ბევრია, სწავლებისთვის გამოყოფილი დრო კი – არასაკმარისი. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ წაკითხულის გააზრება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სიტყვების ცოდნაზე. დაწერილი ტექსტების გასააზრებლად საჭირო სიტყვების უმრავლესობას ჩვენ ისევ და ისევ დაწერილ ტექსტებთან ურთიერთობისას ვითვისებთ. მეორე მხრივ, კარგად ვიცით, რომ წაკითხული ტექსტის გააზრება შეუძლებელია, თუკი მის შემადგენელ სიტყვათა უმრავლესობას ვერ გავიგებთ.[1]

ლექსიკურ მარაგთან დაკავშირებული მეორე პრობლემა ისაა, რომ სიტყვათა უმრავლესობა ცალკეულ ტექსტში მხოლოდ თითოჯერაა გამოყენებული. აკადემიური წარმატების მისაღწევად მოსწავლემ ათიათასობით სიტყვა უნდა იცოდეს. ამ ამოცანის შესრულებას ორი ფაქტორი ართულებს: 1. მოსწავლეს დროის გარკვეულ მონაკვეთში შეზღუდული რაოდენობის სიტყვების დაუფლება შეუძლია; 2. სიტყვები განსხვავდება სირთულითა და გამოყენების სიხშირით.

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს ლექსიკური მარაგის მუდმივად გამდიდრებაში, რაც რთული ტექსტების გააზრების აუცილებელი საფუძველია? ამისათვის მხოლოდ ორი ზოგადი მიდგომა არსებობს: 1. შევასწავლოთ მათ ის სიტყვები, რომლებიც დასჭირდებათ ტექსტების გააზრებისთვის (ექსპლიციტური სწავლება); 2. მივცეთ საშუალება, რომ უშუალოდ კითხვის პროცესში აითვისონ ახალი სიტყვები (იმპლიციტური სწავლა).

სიტყვების ექსპლიციტურად სწავლება კარგ შედეგს იძლევა, მაგრამ ასათვისებელი სიტყვების რაოდენობას თუ გავითვალისწინებთ, საკმარისი არ არის. დაწყებით საფეხურზე (6 წლის განმავლობაში) კვირაში საშუალოდ 20 სიტყვის სწავლების შემთხვევაშიც კი სულ 4000 სიტყვას ვიღებთ. ეს კი საჭირო სიტყვების რაოდენობაზე ბევრად ნაკლებია. ზემოთ აღწერილ დილემას ლექსიკის სწავლების ოპტიმიზაციის აუცილებლობამდე მივყავართ. სიტყვების ექსპლიციტურად სწავლების პროცესში საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ის სიტყვები, რომელთა სწავლებასაც დროს დავუთმობთ. როგორ გავაკეთოთ ეს?

დასაუფლებელი სიტყვები ექსპლიციტური სწავლებისათვის მიზანმიმართულად უნდა შეირჩეს

[1] გავიხსენოთ, რომ ტექსტის სიტყვების 90-95%-ზე ნაკლების გაგება მკითხველის ფრუსტრაციას იწვევს.

(როგორც წესი, შესასწავლ სიტყვებს სახელმძღვანელოების ავტორები არჩევენ. ისინი ქმნიან ტექსტებს, ლექსიკური ერთეულების განმარტებებს, ლექსიკურ სავარჯიშოებს და სხვ.). უშუალოდ სასწავლო პროცესში დასამუშავებელ სიტყვებს მასწავლებლები გამოარჩევენ. ისინი წინასწარ განსაზღვრავენ იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც, სავარაუდოდ, უცხო ან ბუნდოვანი იქნება მოცემული კლასის მოსწავლეებისთვის.

დაბოლოს, ამ მსჯელობიდან კარგად ჩანს, თუ რამხელა როლი აქვს ბავშვის წარმატებაში არა მხოლოდ სასკოლო ტექსტების, არამედ მრავალფეროვანი ლიტერატურის ინტენსიურად კითხვას.

სიტყვების რანჟირება

როცა სწავლებისათვის სიტყვების შერჩევას ვიწყებთ, სასურველია, გავითვალისწინოთ სამი ძირითადი ფაქტორი:

1. რამდენად სასარგებლოა ამ სიტყვის ცოდნა? რამდენად ხშირად შეხვდებიან მოსწავლეები მას სხვა ტექსტებში (მაგ., „აგებულება“, „ხარჯი“)? რამდენად გამოადგებათ მოსწავლეებს ეს სიტყვა საკუთარი გამოცდილების აღსაწერად (მაგ., „კომენტარი“, „განრისხდა“, „აღრიცხვა“)? რამდენად დაეხმარება ეს სიტყვა ამა თუ იმ საგნის სპეციფიკური საკითხების გააზრებაში (მაგ., „შრე“, „ბარომეტრი“)?
2. რა მიმართებაა ამ სიტყვასა და სხვა სიტყვებს/ცნებებს/იდეებს შორის, რომლებიც მოსწავლეებმა უკვე ისწავლეს ან რომლებსაც ახლა სწავლობენ? რამდენად აზუსტებს ან განავრცობს ეს სიტყვა ადრე ნასწავლ ცნებებსა და იდეებს?
3. რა როლი აქვს სიტყვას მოცემული ტექსტის ნაწილების გაგების თვალსაზრისით? რამდენად დაეხმარება მისი ცოდნა მკითხველს წინამდებარე კონტექსტის აღქმაში? (მაგ., „ბაზიერი“, „ჩაიფუფქა“ – თბილისზე ლეგენდის გააზრებისათვის).

შესაბამისად, თუ სიტყვა შესაძლებელია ბავშვისათვის გასაგებად აიხსნას (მისთვის ნაცნობი სიტყვებით) და თუ ეს სიტყვა ხშირად გამოადგება მოსწავლეს სხვადასხვა საკითხზე მსჯელობის/წერის დროს, მაშინ მისი სწავლება საჭირო და სასარგებლოა.

ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებისთვის

მასწავლებელმა ერთმანეთისგან უნდა გამიჯნოს ზეპირი და კითხვითი ლექსიკური მარაგი. **ზეპირი ლექსიკა** არის იმგვარ სიტყვათა ერთობლიობა, რომელთაც ადამიანი ყოველდღიური საუბრისას იყენებს. **კითხვითი ლექსიკა** კი იმ სიტყვებს გულისხმობს, რომლებიც ტექსტების კითხვისას არის საჭირო. ზეპირი ლექსიკური მარაგი არის საყრდენი და საფუძველი კითხვითი ლექსიკური მარაგის დაგროვებისთვის.

აუცილებელია, რომ მოსწავლეებს ვასწავლოთ წინასწარ შერჩეული სიტყვები (რომლებიც გამოიყენება როგორც ზეპირი საუბრისას, ასევე ტექსტების კითხვისას). ამისთვის უნდა გამოვიყენოთ შემდეგი მეთოდები:

- ჟესტებით ჩვენება (ილუსტრირება);
- რეალური ნივთების ჩვენება;
- სურათებზე (პოსტერებზე, დასურათებულ ბარათებზე, ილუსტრაციებზე) მითითება;
- დაფაზე დახატვა;
- როლური გათამაშება და პანტომიმა;

- მასწავლებლის მიერ მშობლიურ ენაზე სიტყვის დასახელება და მოსწავლეების მიერ მისი ქართულად წარმოთქმა (თუ მასწავლებელმა იცის მოსწავლეთა მშობლიური ენა).

რეალური საგნებისა და თემატური პოსტერების გამოყენების დროს სასარგებლოა „ბუნებრივი მიდგომის“ გამოყენება, რომელიც სამ საფეხურად შეიძლება დავყოთ:

- **სრული ფიზიკური რეაქცია** – ამ დროს აქცენტი გაკეთებულია მოსწავლეთა მოსმენის უნარის გაწაფვაზე. მასწავლებელი ასახელებს შესაბამის საგანს, მოქმედებას, მოსწავლეები კი რეაგირებენ ფიზიკურად – აქნევენ თავს დადებითი ან უარყოფითი პასუხის ნიშნად (შეიძლება უპასუხონ დიახ/არა); ასრულებენ მასწავლებლის მითითებებს (მაგ., „თუ ეს წიგნია, თითი მიიდეთ ცხვირზე“, „ თუ ეს მაისური წითელია, ნარინე ადგეს ფეხზე“ და ა.შ.).
- **ერთსიტყვიანი პასუხები** – რეალურ საგნებსა და თემატურ პოსტერებზე დაყრდნობით მოსწავლეები უპასუხებენ მასწავლებლის შეკითხვებს ერთი სიტყვით (მაგ., „ეს რა არის? – რვეული“, „სად დევს ჩანთა? – კარადაში“, „რას აკეთებს ანა? – ლაპარაკობს“ და ა.შ.).
- **განვრცობილი პასუხები** – მოსწავლეები ფრაზებით, წინადადებებით უპასუხებენ მასწავლებლის შეკითხვებს ან/და თვითონვე იწყებენ საუბარს ამ საგნების თუ პოსტერზე ასახული სიტუაციის შესახებ.

ლექსიკის ათვისებას მნიშვნელოვანწილად ეხმარება ისეთი მეთოდების სისტემატური გამოყენება, როგორებიცაა დიდი წიგნების ერთობლივი კითხვა, საჩვენებელი კითხვა, ენობრივი პრაქტიკა (ეს მეთოდები დაწვრილებითაა აღწერილი თავში „ანბანისა და სიტყვების წაკითხვის სწავლება“).

ერთი სემანტიკური ველის (მაგ., ხილი, სასკოლო ნივთები, შინაური ცხოველები/ფრინველები, ფერები, ტრანსპორტი, კვირის დღეები და სხვ.) სიტყვების გამოყენებით შედგენილი სავარჯიშოები აადვილებს ველში შემავალი ლექსიკური ერთეულების ათვისებას, დამახსოვრებას. ამ სიტყვებთან პერიოდულად მიბრუნება, მათზე საუბარი განამტკიცებს ლექსიკურ ცოდნას და თავდაჯერებულობასაც შეჰმატებს მოსწავლეს.

სიტყვების სწავლებისთვის მეტად სასარგებლოა სიტყვების ბარათების გამოყენება. სიტყვების ბარათების სხვადასხვა ფორმატი (მხოლოდ სურათიანი, სურათიანი და წარწერიანი, მხოლოდ წარწერიანი) იძლევა მათი გამოყენებით მრავალფეროვანი აქტივობების დაგეგმვის საშუალებას. მასწავლებელმა ინტენსიურად უნდა გამოიყენოს ბარათები, რითაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას და მის ინტეგრირებას სიტყვების წაკითხვის სწავლებასთან.

ქვემოთ მოცემულია სხვადასხვა მეთოდი/აქტივობა, რომლებიც გვეხმარება ლექსიკური მარაგის დაგროვებასა და გამდიდრებაში. სავარაუდოდ, ზოგიერთი მათგანი რთული იქნება ქართულის, როგორც მეორე ენის შემსწავლელი კონკრეტული კლასის მოსწავლეებისთვის. მასწავლებელმა თავად უნდა გაამარტივოს მეთოდი და მოარგოს მოსწავლეთა საჭიროებებს.

სიტყვების მნიშვნელობის სწავლებისა და ლექსიკური მარაგის გამდიდრების მეთოდები/აქტივობები

გონებრივი რუკა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„გონებრივი რუკა“ არის გრაფიკული სქემა, რომელიც ეხმარება მოსწავლეს ინფორმაციის თვალსაჩინოდ ორგანიზებასა და წარმოდგენაში. იგი გამოიყენება როგორც საინფორმაციო-შემეცნებითი, ისე მხატვრული ტექსტების გააზრებისათვის, ახალი და/ან რთული ლექსიკური ერთეულების შესასწავლად. გონებრივი რუკის ცენტრში მოთავსებულია ცნება/თემა, ხოლო მისგან იშლება ამ ცნებასთან/თემასთან დაკავშირებული ძირითადი მახასიათებლები/ცნებები/ქვეთემები. იმის გამო, რომ მახასიათებლები გონებრივი რუკის ცენტრიდან კლასტერებად[1] იშლება, მას ხშირად კლასტერულ რუკასაც უწოდებენ.

„გონებრივ რუკას“ მრავალი დანიშნულებით იყენებენ:

ა) წინარე ცოდნის გასააქტიურებლად;
ბ) წაკითხული ტექსტის გასააზრებლად;
გ) წერითი ნამუშევრის დასაგეგმად;
დ) განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტად;
ე) იდეის/ცნების განსამარტად.

ამ მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებს განუვითარდებათ:

- ინფორმაციის გააზრებისა და დამახსოვრების უნარები;
- ცნებების/სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირების უნარი;
- ინფორმაციის დახარისხების უნარი;
- სააზროვნო პროცესის გრაფიკულად წარმოდგენის უნარი.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილი, მცირე ჯგუფი, მთელი კლასი

რესურსი: სპეციალური რესურსი არ არის საჭირო.

მსვლელობა

- მასწავლებელი დაფაზე დაუწერს მოსწავლეებს სამიზნე ცნებას/თემას;
- სთხოვს მათ, გაიხსენონ ამ ცნებასთან/იდეასთან დაკავშირებული მახასიათებლები/ცნებები/ქვეთემები.
- მოსწავლე დაწერს ცენტრალურ ცნებასთან/თემასთან ლოგიკურად დაკავშირებულ მახასიათებლებს/ცნებებს/ქვეთემებს და ხაზებით ან ისრებით დააკავშირებს მათ სამიზნე ცნებასთან.
- შემდეგ ეტაპზე მოსწავლეები თითოეულ ახალ განშტოებას კიდევ ჩაშლიან ახალ ცნებებად და მახასიათებლებად, რომლებსაც შეძლებისდაგვარად ხაზებით დაუკავშირებენ ერთმანეთს.

შენიშვნა: მნიშვნელოვანია, რომ საწყის ეტაპზე მასწავლებელმა თავად გააკეთოს კლასის წინაშე „გონებრივი რუკის“ შევსების მოდელირება ხმამაღლა ფიქრის[2] მეშვეობით.

---

[1] კლასტერი – საგანთა ჯგუფი, რომელიც შედგენილია მსგავსი ნიშან-თვისებების მიხედვით.

[2] ხმამაღლა ფიქრის გამოყენებამ არ უნდა დააფრთხოს ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელი თვით პირველ კლასშიც კი. ცხადია, ამ შემთხვევაში მისი „ფიქრი“ უნდა იყოს რაც შეიძლება მარტივი, მოსწავლეთა

ნიმუშები:





სიტყვის/ცნების რუკა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„ცნების რუკა“ გამოიყენება როგორც ახალი ლექსიკური ერთეულის შესასწავლად, ისე უკვე ნაცნობი სიტყვის/ცნების მნიშვნელობის სიღრმისეულად გასააზრებლად. ის განსაკუთრებით სასარგებლოა საინფორმაციო ტექსტებზე სამუშაოდ. სიტყვის/ცნების რუკა ეფექტურად გამოიყენება გაგება-გააზრების უნარის გასავითარებლადაც. არსებობს ამ მეთოდის სხვადასხვა ვარიანტი, რომლებიც ქვემოთაა შემოთავაზებული. მასწავლებელი საკუთარი შეხედულებით შეარჩევს რომელიმე მათგანს კონკრეტული საგაკვეთილო მიზნების შესაბამისად.

მეთოდის გამოყენებით მოსწავლეები:

- აცნობიერებენ კავშირებსა და მიმართებებს ცნებებს შორის;
- მრავალი კუთხით გაიაზრებენ ცნებას (სიტყვას) და მასთან დაკავშირებულ სხვა ცნებებს;
- იმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილი, მცირე ჯგუფები, მთელი კლასი

რესურსი: შესავსები სქემა (სქემის ამოსაბეჭდი ვერსია იხ. დანართში)

მსვლელობა

- მასწავლებელი წინასწარ შეარჩევს ტექსტის გასააზრებლად მნიშვნელოვან უცნობ ცნებას/სიტყვას;
- მასწავლებელი წარუდგენს მოსწავლეებს დასამუშავებელ ლექსიკურ ერთეულს;
- თუ მოსწავლეები პირველად ასრულებენ ამ ტიპის სავარჯიშოს, მასწავლებელი გააცნობს მათ სიტყვის/ცნების რუკას და ასწავლის შევსების წესს. პროცედურა დამოკიდებულია იმაზე, თუ რუკის რომელი ვარიანტი ივსება (ვარიანტები იხ. ქვემოთ). ამისათვის შეარჩევს სიტყვას, ჩაწერს მას სქემის ცენტრში და ნაბიჯ-ნაბიჯ შეავსებს რუკის სხვა უჯრებს.

შენიშვნა: შესაძლებელია, ამ სამოდელო აქტივობის მსვლელობაში მოსწავლეებიც ჩაერთონ.

გონებრივ, ლექსიკურ, სინტაქსურ შესაძლებლობებს მორგებული (თუმცა, თავისუფლად შესაძლებელია, მასწავლებლის მიერ ხმამაღლა ფიქრის დროს გამოყენებული ზოგიერთი სიტყვა/ფრაზა მოსწავლეთათვის ჯერ კიდევ არ იყოს ნაცნობი.). „ხმამაღლა ფიქრის“ მაგალითი გონებრივი რუკის შევსებისას სიტყვაზე „ვაშლი“: „ვაშლი არის წითელი... წითელი უნდა დავწერო აქ (თან წერს.)... კიდევ რა არის წითელი? წითელი კიდევ არის ბალი, კიდევ არის მზე... არა, მზე არ არის წითელი... მოდი, ჯერ დავწერო „ბალი“...

- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიფიქრონ სინონიმები, ანტონიმები, არაზუსტი მაგალითები, ილუსტრაციები, ამ სიტყვით ნაწარმოები სხვა სიტყვები, რომლებიც დაეხმარებათ მის გაანალიზებასა და დამახსოვრებაში.

  მნიშვნელოვანია, რომ სინონიმებისა და ანტონიმების მოფიქრებისას მასწავლებელმა არ შეზღუდოს მოსწავლეები მხოლოდ იმ სიტყვებით, რომელთა მნიშვნელობა ზუსტად ემთხვევა ან უპირისპირდება სამიზნე სიტყვის მნიშვნელობას. სასურველია, მოსწავლემ რაც შეიძლება მეტი მსგავსი/საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა გაიხსენოს და ჩაწეროს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ემთხვევა ეს ვარიანტები ლექსიკონისეულ ვერსიას (მაგ., **სამიზნე სიტყვა** – მოღუშული; **სინონიმი** – მოჭმუხნული, მოწყენილი, დაღონებული; **ანტონიმი** – ღიმილიანი, გახარებული, ბედნიერი). ამ პროცესში მთავარია სიტყვებს შორის სემანტიკური კავშირების დამყარება, რაც მათი გააზრების, დამახსოვრებისა და სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების ეფექტური საშუალებაა. მასწავლებელს შეუძლია ექსპლიციტური მსჯელობითა და კონტექსტური მინიშნებებით დაეხმაროს მოსწავლეს სიტყვებს შორის მიმართებების დაზუსტებაში. მასწავლებელი უნდა მოერიდოს უშუალოდ სქემის შევსებისას მოსწავლის აზროვნების პროცესში ჩარევას და, ერთი შეხედვით, არასწორი მაგალითების ჩასწორებას.

- მოსწავლეები იწყებენ სქემის შევსებას; მუშაობისას მოუწევთ, რამდენჯერმე მიუბრუნდნენ ტექსტს;
- სქემის შევსების შემდეგ მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს, განიხილავენ სქემებს და მუშაობენ მათ დაზუსტება-დახვეწაზე ტექსტის მოშველიებითა და მსჯელობით.

სიტყვის/ცნების რუკის ვარიაციები

სქემა 1.



სქემა 2.



სქემა 3.

სიტყვა	
განმარტება	
სინონიმი	ანტონიმი
ფრაზა/წინადადება ტექსტიდან	
მოსწავლის ფრაზა/წინადადება	

სქემა 4.

სიტყვა	**წიგნის გვერდი**	**სიტყვა ნათესაობით ბრუნვაში**
განმარტება		**სიტყვის ფორმები**
სინონიმი	**ანტონიმი**	**მაგალითები**
წინადადება/ფრაზა ტექსტიდან		
წინადადება/ფრაზა სიტყვის გამოყენებით		

შევსებული სქემების ნიმუშები



სიტყვა მომთაბარე	**გვერდი** 2	**სიტყვა ნათესაობით ბრუნვაში** მომთაბარის(ა)
განმარტება ვინც ერთ ადგილას არ ცხოვრობს		**სიტყვის ფორმები** მომთაბარეობა; მომთაბარეობს
სინონიმი მოხეტიალე	**ანტონიმი** მკვიდრი, ბინადარი	**მაგალითი/ასოციაცია** მწყემსი, ბოშა, მომთაბარე ტომი, მონღოლები
წინადადება/ფრაზა ტექსტიდან „კუნძულის მოსახლეობა მომთაბარე ცხოვრებას ეწევა“.		
წინადადება/ფრაზა სიტყვის გამოყენებით მონღოლები მომთაბარე ხალხი იყო.		

სიტყვის ვერბალური და ვიზუალური ასოციაციების რუკა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

ვერბალური და ვიზუალური ასოციაციების რუკა კიდევ ერთი სქემატური აქტივობაა ლექსიკურ ერთეულებზე სამუშაოდ. მოსწავლეები ავსებენ სქემას მასწავლებლის მიერ წინასწარ შერჩეულ სიტყვაზე (ახალ და/ან მნიშვნელოვან ლექსიკურ ერთეულზე).

სიტყვა	**ნახატი**
განმარტება	**მაგალითი / ასოციაცია**

ამ სქემის გამოყენება მოსწავლეს ეხმარება:

- ახალი სიტყვის/ცნების მნიშვნელობის გააზრებასა და დამახსოვრებაში;
- ტექსტის გაგება-გააზრებაში;
- წარმოსახვისა და ფიქრის უნარის გააქტიურებაში;
- დამოუკიდებელი/თანამშრომლობითი მუშაობის ჩვევის გამომუშავებაში.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, ჯგუფები

რესურსი: შესავსები სქემა (სქემის ამოსაბეჭდი ვერსია იხ. დანართში), კალამი, ფლომასტერი ან ფანქარი.

მსვლელობა

- მაწავლებელი წინასწარ შეარჩევს სქემაში განსამარტ სიტყვებს (მაგ., წასაკითხი ტექსტის მნიშვნელოვან ან/და ახალ ლექსიკურ ერთეულებს,);
- მასწავლებელი არიგებს წინასწარ გამზადებულ შესავსებ სქემას;
- ზედა მარცხენა უჯრაში მოსწავლე წერს შესასწავლ (განსამარტ) სიტყვას;
- ზედა მარჯვენა უჯრაში ხატავს/ხაზავს ამ სიტყვის შესაბამის გამოსახულებას;
- ქვედა მარცხენა უჯრაში წერს ამ სიტყვის/ცნების განმარტებას საკუთარი სიტყვებით;
- ქვედა მარჯვენა უჯრაში წერს შესაბამის მაგალითებსა და ასოციაციებს.

შევსებული ნიმუშები

სიტყვა ხიდაი	ნახატი
განმარტება საშიშია ბასაჭირი სიბნდილი	მაგალითი/ასოციაცია ჭალი სასხლიანი გვიმანი ფიფიანია ზღვაში

სიტყვა ლაკ ლაკი	ნახატი
განმარტება ლაკ ლაკი - ჭრჭყვინავს მაგალითა ლ: წყალი ლაკლაკებს	მაგალითი/ასოციაცია მე გამახსენდა წყალი და წყალში ბევრ ანთებული და გამახსენდა ნიჩბები.

ჩამოწერე და განმარტე სიტყვები

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები მასწავლებლის ინსტრუქციის მიხედვით ჩამოწერენ სიტყვებს და განმარტავენ მათ.

ამ აქტივობის გამოყენება მოსწავლეს:

- უმდიდრებს ლექსიკურ მარაგს;
- უაქტიურებს უკვე ნასწავლი ლექსიკური ერთეულების ცოდნას;
- უღრმავებს მოტივაციას რაც შეიძლება მეტი ახალი სიტყვის შესასწავლად;
- აჩვევს სწრაფად აზროვნებას.

მუშაობის ფორმა: წყვილები, ჯგუფები.

რესურსი: ფურცლები.

მსვლელობა

- მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ორ ან მეტ გუნდად;
- მოსწავლეებმა 3-5 წუთის განმავლობაში უნდა ჩამოწერონ რაც შეიძლება ბევრი სიტყვა მითითებულ თემაზე, ასო-ბგერაზე, ილუსტრაციაზე და სხვ.;
- გუნდები მორიგეობით კითხულობენ თითო სიტყვას და განმარტავენ. იმ შემთხვევაში, თუ გუნდი ვერ ახსნის სიტყვას, მას მოწინააღმდეგე გუნდი განმარტავს.
- იმარჯვებს ის გუნდი, რომელსაც ყველაზე მეტი სიტყვა ექნება ჩამოწერილი და სწორად განმარტებული.

შენიშვნა: შესაძლებელია ამ მეთოდის მრავალფეროვანი ვარიაციების მოფიქრება და ჩატარება.

სიტყვების გამომძიებელი

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები ჯერ საკუთარი ვარაუდით/ცოდნით განმარტავენ მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ სიტყვებს, შემდეგ – კონტექსტის მიხედვით, ბოლოს – ლექსიკონის გამოყენებითაც.

ამ აქტივობის გამოყენებით მოსწავლე:

- იმდიდრებს ლექსიკურ მარაგს;
- ეჩვევა ვარაუდების გამოთქმას სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით;
- სწავლობს სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობას კონტექსტის მიხედვით;
- ეჩვევა ლექსიკონის გამოყენებას სიტყვის მნიშვნელობის მოსაძიებლად ან დასაზუსტებლად.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, ჯგუფები.

რესურსი: შესავსები სქემები. სქემის ამოსაბეჭდი ვერსია იხ. დანართში)

მსვლელობა

- მასწავლებელი კედელზე აკრავს (ან დაფაზე ხაზავს) საგანგებოდ მომზადებულ სამსვეტიან ცხრილს სათაურით: „სიტყვების გამომძიებელი“. მოსწავლეები ცხრილს გადაიხაზავენ თავიანთ რვეულებში. შესაძლებელია, მასწავლებელმა მოსწავლეებს წინასწარ დამზადებული სქემები დაურიგოს.
- ცხრილის პირველ სვეტში მასწავლებელი ჩამოწერს რამე კონკრეტული ტექსტიდან ამოკრეფილ ისეთ სიტყვებს, რომლებიც მოსწავლეებისთვის სავარაუდოდ უცნობი იქნება. მნიშვნელოვანია, რომ ამ სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობა შესაძლებელი იყოს კონტექსტის მიხედვით.
- ცხრილის მეორე სვეტში მოსწავლეები წერენ თითოეული სიტყვის სავარაუდო მნიშვნელობას.
- ტექსტის წაკითხვისას მოსწავლეები კონტექსტით დადგენილ მნიშვნელობას შეადარებენ თავიანთ ვარაუდებს და გზადაგზა შეავსებენ ცხრილის მესამე სვეტს – სიტყვის კონტექსტური მნიშვნელობის სვეტს.

ვარიაციები

- შესაძლებელია ცხრილისთვის მეოთხე სვეტის დამატება. ამ სვეტში მოსწავლეები ტექსტის წაკითხვის შემდეგ ლექსიკონში მოძებნიან სიტყვების განმარტებას და ჩაწერენ. ან შეიძლება მასწავლებელმა ლექსიკონიდან ამოწერილი განმარტებები (მაგ., ანბანის მიხედვით დალაგებული) თავად შესთავაზოს მოსწავლეებს.
- ასევე შესაძლებელია, მეოთხე სვეტში მოსწავლეებმა მოიფიქრონ და ჩაწერონ ამ სიტყვების გამოყენებით შედგენილი წინადადებები.

მაგალითი

სიტყვა	ჩემი განმარტება	სიტყვის მნიშვნელობა ტექსტის მიხედვით	განმარტება ლექსიკონში
მიჯნა	ჯინაზე, ჯიბრით	ყანის საზღვარი	საზღვარი, ზღვარი; საზღვრის ნიშანი; სამანი
მაცივარი	კარადა სამზარეულოში	ნივთი, რომელშიც საჭმელს ინახავენ.	სპეციალური მოწყობილობა რაიმეს გასაცივებლად და შესანახად

სიტყვის პირამიდა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

სიტყვის პირამიდა ეფექტირუ საშუალებაა ახალ ლექსიკურ ერთეულებზე სამუშაოდ.

მოსწავლეები ავსებენ ქვემოთ მოცემულ სქემას შერჩეულ სიტყვაზე:



მისი მეშვეობით მოსწავლე:

- განმარტავს ახალ, სამიზნე სიტყვას;
- მოიშველიებს სინონიმს ამ სიტყვის მნიშვნელობის კიდევ უფრო დასაზუსტებლად;
- იაქტიურებს უკვე ნასწავლი ლექსიკური ერთეულების ცოდნას;
- ივითარებს ახალი ლექსიკური ერთეულის პრაქტიკულად გამოყენების ჩვევას.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, ჯგუფები.

რესურსი: შესავსები სქემები (სქემის ამოსაბეჭდი ვერსია იხ. დანართში)

მსვლელობა

- მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს წინასწარ გამზადებულ სქემებს.
- პირამიდის წვეროში, სულ ზედა საფეხურზე, წერია სამიზნე სიტყვა.
- ამ სიტყვის ქვეშ მოსწავლეები წერენ ამ სიტყვის განმარტებას.
- განმარტებას ქვეშ მიუწერენ სინონიმს.
- სულ ქვევით, ბოლო საფეხურზე, მოსწავლეები წერენ ამ სიტყვის გამოყენებით შედგენილ წინადადებას.

ნიმუშები:





დაკარგული სიტყვები

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები ავსებენ ტექსტის მონაკვეთს, რომელშიც გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. ამ მეთოდის გამოყენებით მოსწავლე:

- იმდიდრებს ლექსიკურ მარაგს;
- სწავლობს საჭირო სიტყვის ამოცნობას კონტექსტის მიხედვით;
- აცნობიერებს, რომ ერთი და იგივე აზრი შეიძლება სხვადასხვაგვარად გადმოვცეთ;
- ეჩვევა კითხვის პროცესში სწრაფ აზროვნებას.

მუშაობის ფორმა: ჯგუფური, წყვილები, ინდივიდუალური.

რესურსი: შესავსები ტექსტები.

მსვლელობა

- მასწავლებელი წინასწარ შეარჩევს მცირე ზომის ტექტს/ტექსტის მონაკვეთს, რომლიდანაც ამოიღებს რამდენიმე სიტყვას. მნიშვნელოვანია, რომ ეს სიტყვები ადვილად ამოსაცნობი იყოს კონტექსტის მიხედვით და მეტ-ნაკლებად თანაბრად გაფანტული ტექსტში;
- მოსწავლეები კითხულობენ და ცდილობენ, დაუბრუნონ ტექსტს „დაკარგული“ სიტყვები, ანუ გამოიცნონ და საჭირო ადგილას ჩაწერონ გამოტოვებული სიტყვები;
- ერთი გამოტოვებული სიტყვის ადგილას მოსწავლეებს შეუძლიათ, რამდენიმე სავარაუდო ვარიანტი ჩაწერონ, თუკი მოცემული კონტექსტი იძლევა ამის შესაძლებლობას;
- მუშაობის დასრულების შემდეგ შესაძლებელია მოსწავლეებმა, თუ დამოუკიდებლად მუშაობდნენ, წყვილებში ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი ნამუშევრები. შეაჯერონ და გადაამოწმონ, სწორად ჩასვეს თუ არა გამოტოვებული სიტყვები.
- მოსწავლეები მსჯელობენ, თუ რა დაეხმარათ ამა თუ იმ სიტყვის შერჩევაში.
- მუშაობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ტექსტის ავტორისეულ ვარიანტს.

ვარიაცია: ჩასასმელ სიტყვას მოსწავლეები შეარჩევენ მასწავლებლის მიერ შეთავაზებული სამი სიტყვიდან.

დღის სიტყვა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

წაკითხული ტექსტებიდან ან სიტყვის კედლიდან შეირჩევა ერთ-ერთი სიტყვა, რომელსაც იმ დღის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა.

ამ აქტივობის დახმარებით მოსწავლეები:

- ეჩვევიან მსჯელობას;
- სწავლობენ ტექსტთან (საკითხთან) დაკავშირებული მნიშვნელოვანი სიტყვების შერჩევას;
- იაქტიურებენ უკვე ნასწავლი ლექსიკური ერთეულების ცოდნას;
- იმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს.

მუშაობის ფორმა: წყვილები, ინდივიდუალური.

რესურსი: საგანგებოდ შერჩეული დიდი ზომის სიტყვის ბარათი, ფურცლები.

მსვლელობა

- კლასში ერთობლივი მსჯელობით შეირჩევა „დღის სიტყვა“.
- მოსწავლეები ჩამოთვლიან „დღის სიტყვის“ რაც შეიძლება მეტ მახასიათებელს;

მაგალითი

შერჩეული სიტყვა: **მერცხალი**

მახასიათებლები: იწყება თანხმოვანზე. არის სამმარცვლიანი. შეიცავს სიტყვებს „ალი“, „მე“ და „ხალი“. შედგება რვა ასოსგან: აქედან ხუთი თანხმოვანია, სამი ხმოვანი. ყველა ხმოვანი განსხვავებულია. ყველა თანხმოვანიც განსხვავებულია. აღნიშნავს სულიერ არსებას, ფრინველს. დაესმის შეკითხვა „რა?“ წაკითხული მაქვს ლექსი ამ სათაურით...

სიტყვები წყვილებში (წაშალე სიტყვა I)

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები სხვადასხვა მრავალფეროვან სავარჯიშოს ასრულებენ მასწავლებლის მიერ დაფაზე ჩამოწერილ სიტყვებზე.

ამ აქტივობის გამოყენებით მოსწავლე:

- სწავლობს ლექსიკური ერთეულების პრაქტიკულ გამოყენებას, გავრცობილი წინადადებების აგებას;
- ივითარებს ზეპირმეტყველების უნარს;
- იძენს ამა თუ იმ თემაზე თამამად საუბრის უნარს;
- სწავლობს შეჯიბრისას ემოციების მართვას.

მუშაობის ფორმა: წყვილები

რესურსი: ცარცი ან მარკერი, დაფა.

მსვლელობა

- მასწავლებელი, მიზნის შესაბამისად, წინასწარ შეარჩევს სიტყვებს კონკრეტული ტექსტიდან ან ნებისმიერი თემიდან (სასურველია, იყოს ნაკლებად ცნობილი სიტყვები);
- შემდეგ დაფაზე ორ სვეტად ჩამოწერს გარკვეული რაოდენობის შერჩეულ სიტყვებს (შეიძლება დაიწყოთ თითო სვეტში 3-4 სიტყვით და თანდათან გაზარდოთ მათი რაოდენობა);
- კლასიდან შეარჩევს ორ მოსწავლეს, რომლებიც დგებიან დაფის წინ, ერთმანეთთან ახლოს;
- მასწავლებლის ნიშანზე მოსწავლეები რიგრიგობით წარმოთქვამენ წინადადებებს იმ სიტყვების გამოყენებით, რომლებიც დაფაზე წერია – ერთი მოსწავლე ერთი სვეტიდან, მეორე – მეორე სვეტიდან;
- მოსწავლეები თანდათან წაშლიან იმ სიტყვებს, რომლებიც გამოიყენეს (სიტყვების გამოყენებისას მათ თანმიმდევრობას მნიშვნელობა არა აქვს); თავიდან შეიძლება მოსწავლეთა წარმოთქმული წინადადებები ერთმანეთს აზრობრივად არ უკავშირდებოდეს, მაგრამ,

შემდეგ ეტაპზე, სასურველია, მოსწავლეთა წარმოთქმული წინადადებები ერთმანეთს აგრძელებდეს აზრობრივად (ერთ თემას ეხებოდეს).

- იმარჯვებს ის მოსწავლე, რომელიც ყველა (ან უფრო მეტ) სიტყვას წაშლის/შემოხაზავს (ანუ გამოიყენებს).

შენიშვნა: ეს აქტივობა შეიძლება გამოვიყენოთ შესწავლილი ან წაკითხული ტექსტის შინაარსის გადმოსაცემად (ახალი სიტყვების გამოყენებით), ან ახალშესწავლილი სიტყვების გასააქტიურებლად (წინადადებებში მათი ჩასმით).

ვარიაცია

შესაძლებელია ეს აქტივობა წერილობითაც განხორციელდეს ანუ მოსწავლეებმა მასწავლებლის მიერ ჩამოწერილ სიტყვებზე არა ზეპირად, არამედ წერილობით შეადგინონ წინადადებები.

წაშალე სიტყვა II

მეთოდის/აქტივობის შესახებ

ორ გუნდად დაყოფილი მოსწავლეები რიგრიგობით განმარტავენ მასწავლებლის მიერ დაფაზე ჩამოწერილ სიტყვებს.

ამ აქტივობის გამოყენებით მოსწავლე:

- იაქტიურებს შესწავლილი ლექსიკური ერთეულების ცოდნას;
- ეჩვევა სწრაფად აზროვნებას;
- იმდიდრებს ლექსიკურ მარაგს.

მუშაობის ფორმა: ჯგუფები.

რესურსი: ცარცი/მარკერი, დაფა.

მსვლელობა

- მასწავლებელი დაფაზე ორ სვეტად ჩამოწერს გარკვეული რაოდენობის სიტყვებს (შეიძლება დაიწყოთ თითო სვეტში 3-4 სიტყვით და თანდათან გაზარდოთ მათი რაოდენობა);
- შემდეგ მოსწავლეებს დაყოფს ორ გუნდად. ორივე გუნდი ჩამწკრივდება დაფის წინ;
- მასწავლებლის ნიშანზე ჯერ ერთი გუნდის წევრი კითხულობს სიტყვას თავისი სვეტიდან და განმარტავს მის მნიშვნელობას, შემდეგ – მეორე გუნდის წევრი;
- სიტყვის განმარტების შემდეგ მოსწავლე წაშლის სიტყვას და დგება თავისი მწკრივის ბოლოში. თუ სიტყვის განმარტება არასწორი იქნება, მაშინ მოსწავლეს არ ეძლევა სიტყვის წაშლის უფლება;
- ასე რიგრიგობით განიმარტება და წაიშლება ყველა სიტყვა;
- იმარჯვებს ის გუნდი, რომელიც ყველა (ან უფრო მეტ) სიტყვას წაშლის (ანუ განმარტავს).

შენიშვნა: მოსწავლეს უფლება აქვს, სიტყვის მნიშვნელობა ნებისმიერად გამოხატოს: პირდაპირი განმარტებით, ჟესტიკულაციით, მიმიკით, გათამაშებით, დახატვით, სქემით, უშუალო ჩვენებით და სხვ.

სინონიმების ბანქო I

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები ეძებენ მასწავლებლის მიერ დარიგებულ სიტყვათა ბანქოში მოცემული სიტყვის სინონიმებს.

ამ აქტივობის გამოყენებით მოსწავლე:

- სწავლობს სიტყვების სინონიმებს;
- იაქტიურებს შესწავლილი ლექსიკური ერთეულების ცოდნას;
- იმდიდრებს ლექსიკურ მარაგს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, მცირე ჯგუფები.

რესურსი: ბანქოს ზომის ბარათების დასტა სინონიმური სიტყვებით.

მსვლელობა

- მასწავლებელი ამზადებს „ბანქოს“ დასტას – ბარათების წყვილებს სინონიმური სიტყვებით (მაგ., ლამაზი, მშვენიერი). თითო ბარათზე წერია სინონიმური წყვილის თითო სიტყვა.
- თამაშობს ორი მოსწავლე ან მოსწავლეთა ორი ჯგუფი. ასევე შესაძლებელია, თამაში გაიმართოს მოსწავლეთა წყვილებს შორის.
- მასწავლებელი თითოეულ მოთამაშეს (მოსწავლეს ან მოსწავლეთა წყვილს/ჯგუფს) დაურიგებს თანაბარი რაოდენობის ბარათებს.
- მასწავლებელი დაიტოვებს ბარათების ერთ ნახევარს, დაიკავებს ხელში ან დადებს მაგიდაზე წარწერით ქვემოთ.
- თამაშის დასაწყებად მასწავლებელი დადებს (ან ამოაბრუნებს) მაგიდაზე ერთ ბარათს.
- მოსწავლეები (ან წყვილები) ეძებენ მაგიდაზე დადებულ ბარათზე დაწერილი სიტყვის სინონიმურ სიტყვას თავიანთ ბარათებში.
- სინონიმის მოძებნის შემთხვევაში მოსწავლე ამ სიტყვას დადებს მაგიდაზე დადებულ ბარათზე, შემდეგ კი ორივე ბარათს აიღებს.
- გამარჯვებულია ის მოსწავლე (ჯგუფი), რომელიც ყველაზე მეტ „ბანქოს“ (სინონიმებიან ბარათებს) დააგროვებს.

ვარიაცია (სიტყვის წაკითხვა): პირველ და მეორე კლასებში მოსწავლეებს ურიგდებათ სიტყვების ბარათები, მასწავლებელი იტოვებს სიტყვების შესაბამისი ნახატების ბარათებს. თამაში საუკეთესოა სიტყვის დეკოდირების/მთლიანად ამოცნობის უნარის განსავითარებლად.

სინონიმების ბანქო II

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები ეძებენ სინონიმური წყვილების ბარათებს.

მეთოდის გამოყენებით მოსწავლეები:

- შეისწავლიან და დაიმახსოვრებენ სინონიმურ წყვილებს;

- გაიაქტიურებენ შესწავლილი ლექსიკური ერთეულების ცოდნას;
- გაივარჯიშებენ ყურადღების კონცენტრირების უნარს.

მუშაობის ფორმა: ორი ან მეტი მოთამაშე.

რესურსი: ბანქოს ზომის კვადრატული ბარათების დასტა სინონიმური სიტყვებით.

მსვლელობა

- მასწავლებელი ამზადებს სინონიმების დასტას ბარათების წყვილებს სინონიმური სიტყვებით (მაგ., მამაცი, გულადი). თითო ბარათზე წერია სინონიმური წყვილის თითო სიტყვა;
- მასწავლებელი ყველა ბარათს პირქვე დააწყობს მაგიდაზე, მაგალითად: 5x4 ან 6x5;
- ყოველ სვლაზე მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ორი ბარათის ამობრუნება;
- პირველი მოსწავლე ამოაბრუნებს ნებისმიერ 2 ბარათს და აჩვენებს დანარჩენებს. თუ ბარათებზე წერია სინონიმები, მაშინ მოსწავლე იტოვებს მათ. ისევ მისი სვლაა და ახლა ამოაბრუნებს სხვა ორს. თუ ბარათებზე მოცემული სიტყვები არ შეადგენს სინონიმურ წყვილს, მოსწავლე, მას შემდეგ, რაც ყველას აჩვენებს, თავ-თავის ადგილზე აბრუნებს ბარათებს (ისევ საწყის მდგომარეობაში). მოსწავლეები იმახსოვრებენ, რომელი ბარათი სად დევს;

შენიშვნა: აუცილებელია, რომ ბარათებს ადგილები არ შეეცვალოთ.

- მომდევნო მოსწავლესაც, წინას მსგავსად, აქვს მხოლოდ 2 ბარათის აღების უფლება. ჯერ იღებს ერთს, ცდილობს გაიხსენოს, სად დევს მისი სინონიმი (თუ წინა მოსწავლის აღებული ერთ-ერთი ბარათი შეესაბამებოდა) და აწყვილებს მას აღებულ ბარათთან. ასეთ შემთხვევაში ისევ მისი სვლაა;
- თუ მოსწავლემ ბარათს ვერ მოუძებნა წყვილი, სვლა გადადის შემდეგ მოთამაშეზე;
- აქტივობა გრძელდება ყველა ბარათის გათამაშებამდე;
- გამარჯვებულია ის მოსწავლე, რომელიც ყველაზე მეტ სინონიმურ წყვილს შეაგროვებს.

შენიშვნა: მსგავსი აქტივობის განხორციელება შესაძლებელია სიტყვების წაკითხვის კომპონენტშიც ნახატისა და სიტყვის ბარათების წყვილით (იხ. ანბანისა და სიტყვების წაკითხვის სწავლების ბლოკი).

სიტყვა სიტყვაში

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები უკვირდებიან რთულ, ნაწარმოებ სიტყვას, ამოიცნობენ მის მნიშვნელობას, შლიან მას და ასახელებენ მსგავსად წარმოებულ სიტყვებს.

ამ აქტივობის სისტემატური გამოყენება მოსწავლეს:

- უმდიდრებს ლექსიკურ მარაგს;
- უვითარებს პრაქტიკულ გრამატიკულ უნარ-ჩვევებს;
- ეხმარება, კარგად გაიაზროს სიტყვის მნიშვნელობა;
- უვითარებს შემოქმედებით უნარს.

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი (ინდივიდუალურად ან წყვილებში)

რესურსი: დაფა, ცარცი, ფურცელი/რვეული, კალამი.

მსვლელობა

- მასწავლებელი დაფაზე დაწერს სიტყვას, რომელიც მიღებულია სიტყვაზე თავსართ-ბოლოსართის დართვით (მაგ., „გამხეცებული“, „მექუდე“, კუდიანი, უკუდო, მოშავო);
- მოსწავლეები აკვირდებიან ამ სიტყვას და ცდილობენ, ამოიცნონ, რომელი სიტყვისგანაა იგი მიღებული;
- ამოცნობის შემდეგ მოსწავლეები ასახელებენ საყრდენ სიტყვას (ამ შემთხვევაში – „მხეცი“, „ქუდი“);
- მოსწავლეები, მასწავლებლის დახმარებით, ნაწილებად შლიან ასახსნელ სიტყვას – გამოყოფენ მის ძირითად ნაწილს და თავსართ-ბოლოსართს (ამ ტერმინის თეორიული განმარტების გარეშე — მხოლოდ პრაქტიკულ-კონკრეტულ კონტექსტში. მაგ.: გა-მხეც-ებული, მე-ქუდ-ე);
- მოსწავლეები იხსენებენ სხვა, მსგავსად მიღებულ, ნაცნობ სიტყვებს (მაგ., „გაქვავებული“, „განყალებული“, „მეპურე“, „მეკარე“...) და მათი გათვალისწინებით გაიაზრებენ დასამუშავებელი სიტყვის („გამხეცებული“) მნიშვნელობას;
- მოსწავლეები ანალოგიით თვითონ ქმნიან მსგავს სიტყვებს (ჯიუტი – გაჯიუტებული, ბავშვი – გაბავშვებული... მეწიგნე, მემაწვნე).
- ბავშვები ასევე მოიფიქრებენ ისეთ სიტყვებს, რომლებიც ამ საყრდენი სიტყვისგანაა ნაწარმოები (მაგ., სამხეცე, მხეცურად... ქუდიანი, უქუდო...).

სიტყვის დაშლა (სიტყვები სიტყვაში)

მეთოდის/აქტივობის შესახებ

ეს აქტივობა გამოიყენება რთული სიტყვების (კომპოზიტების) მნიშვნელობის გასააზრებლად.

ამ მეთოდის სისტემატური გამოყენება მოსწავლეს:

- უმდიდრებს ლექსიკურ მარაგს;
- გამოუმუშავებს პრაქტიკულ გრამატიკულ უნარ-ჩვევებს;
- ხელს უწყობს, კარგად გაიაზროს სიტყვის შემადგენლობა და, შესაბამისად, მისი მნიშვნელობა;
- უაქტიურებს უკვე ნასწავლი ლექსიკური ერთეულების ცოდნას.

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი (ინდივიდუალურად ან წყვილებში)

რესურსი: დაფა, ცარცი, ფურცელი/რვეული, კალამი.

მსვლელობა

- მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, სიტყვების გროვიდან (ან მითითებული ტექსტიდან) ამოიწერონ ისეთი უცნობი სიტყვები, რომლებიც ორი (ან სამი) სიტყვისგან შედგება (უნდა იყოს უდეფისო სიტყვები);
- მოსწავლეები ეძებენ და ამოიწერენ უდეფისო რთულ სიტყვებს (მაგ., „ადგილმდებარეობა“, „დაბალხმიანი“, „ციცინათელა“, „ცისარტყელა“, „ზურგჩანთა“);
- მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები აკვირდებიან ამოწერილ სიტყვას და ასახელებენ მის შემადგენელ სიტყვებს („ადგილი“ და „მდებარეობა“, „დაბალი“ და „ხმა“);.
- შემდეგ გაიაზრებენ შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობას (ისინი მათთვის ნაცნობი

უნდა იყოს) და, მათზე დაყრდნობით, ამოიცნობენ და გაიაზრებენ უცნობი რთული სიტყვის მნიშვნელობას.

მაგალითი

გასააზრებელია სიტყვის „ქარბორბალა " მნიშვნელობა. მოსწავლეები აკვირდებიან ამ სიტყვას და გამოყოფენ მის შემადგენელ სიტყვებს: „ქარი" და „ბორბალი". ამ ორივე სიტყვის მნიშვნელობა მათ უკვე იციან და მათზე დაყრდნობით თავად აღმოაჩენენ უცნობი სიტყვის მნიშვნელობას (ქარბორბალა – ძლიერი ქარი, რომელიც ბორბალივით ტრიალებს).

შენიშვნა: ეს მეთოდი არ გამოდგება ყველა სახის რთული სიტყვისთვის. პირველ ყოვლისა, არ გამოდგება დეფისიანი რთული სიტყვებისთვის. ასევე არ გამოდგება ისეთი რთული სიტყვებისთვის, რომელთა შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობა არ შეესაბამება მთლიანი სიტყვის მნიშვნელობას. მაგალითად, სიტყვა „ქინძისთავი" დაიშლება ორ სიტყვად: „ქინძი" და „თავი", მაგრამ მათი მნიშვნელობების ცოდნა ვერ გვეხმარება სიტყვა ქინძისთავის მნიშვნელობის გარკვევაში. ასეთივე სიტყვებია: კენჭისყრა, თავდადება და სხვ.

სიტყვების გროვა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები მასწავლებლის მიერ შერჩეული სიტყვების გროვიდან შეარჩევენ საჭირო სიტყვებს და ასრულებენ სხვადასხვა დავალებას.

ამ აქტივობის გამოყენებით მოსწავლე**:**

- იაქტიურებს უკვე ნასწავლი ლექსიკური ერთეულების ცოდნას;
- ივითარებს ახალი ლექსიკური ერთეულების პრაქტიკულად გამოყენების ჩვევას;
- იაქტიურებს შემოქმედებით უნარს;
- ივითარებს პრაქტიკულ გრამატიკულ უნარ-ჩვევებს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, ჯგუფები.

რესურსი: დაფა, ცარცი/მარკერი, ფურცელი.

მსვლელობა

- მასწავლებელი, გაკვეთილის/აქტივობის მიზნის შესაბამისად, წინასწარ შეარჩევს სიტყვებს;
- შერჩეულ სიტყვებს უწესრიგოდ მიმოფანტავს დაფაზე (დაწერს ან სიტყვის ბარათებს გააკრავს);
- შემდეგ მოსწავლეებს აძლევს მიზნის შესაბამის დავალებებს და განსაზღვრავს დროს;
- მოსწავლეები აკვირდებიან სიტყვების გროვას და ეძებენ დავალების შესაბამის სიტყვებს;
- სიტყვების მოძებნის ან შერჩევის შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ დავალებას და აკეთებენ პრეზენტაციებს.

დავალების მაგალითები

1. სიტყვების გროვაში მოძებნონ 6 ისეთი სიტყვა, რომლებსაც დაესმის კითხვა „სად?" ან „როდის?" და მათი გამოყენებით შეადგინონ წინადადებები (სასურველია, თითოეულ წინადადებაში არ იყოს 5 სიტყვაზე ნაკლები. შეიძლება, ერთ წინადადებაში 2 ან 3 შერჩეული სიტყვა ერთად გამოიყენონ).

2. სურვილისამებრ ამოირჩიონ 10 სიტყვა და მათი გამოყენებით შეთხზან მოთხრობა, ზღაპარი ან ლექსი.
3. მოძებნონ და ამოიწერონ მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვათა წყვილები.
4. მოძებნონ და ამოიწერონ ერთმანეთის საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვათა წყვილები.
5. მოძებნონ და შემდეგ ცალ-ცალკე სვეტებში ჩამოწერონ სიტყვები, რომლებსაც დაესმის კითხვა „რა?“, „რას?“, „ვინ?“, „ვის?“.
6. მოძებნონ და ამოიწერონ სიტყვები, რომლებიც მრავლობით რიცხვშია.
7. მოძებნონ და ამოიწერონ სიტყვები, რომლებითაც გადმოცემულია ადამიანის გრძნობები (სიხარული, ყოყმანი, შიში და სხვ.).
8. მოძებნონ და ამოიწერონ სიტყვები, რომლებიც გვიჩვენებენ, როგორია საგანი.
9. მოძებნონ ისეთი სიტყვები, რომლებიც ორი სიტყვისგანაა შედგენილი. შემდეგ ცალ-ცალკე სვეტებში ჩამოწერონ დეფისიანები და უდეფისოები.
10. სიტყვების გროვაში მოძებნონ და ამოიწერონ 5 წყვილი ისეთი სიტყვებისა, რომლებიც ერთმანეთს ერითმება.
11. მოძებნონ და ამოიწერონ კითხვითი და უარყოფითი სიტყვები.

მნიშვნელოვანი სიტყვები

მეთოდის/აქტივობის შესახებ

ამ მეთოდის გამოყენებისას მოსწავლეები წაკითხული ტექსტიდან ამოიწერენ იმ სიტყვებს, რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია ამ ტექსტში.

ამ მეთოდის გამოყენებით მოსწავლეები:

- იმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს;
- ივითარებენ ახალ სიტყვებზე მუშაობისა და სხვადასხვა კონტექსტში მათი ადეკვატურად გამოყენების უნარ-ჩვევას;
- სწავლობენ მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გარჩევას და, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი და ნაკლებმნიშვნელოვანი სიტყვების გამოყოფას;
- ივითარებენ მსჯელობის, წაკითხული ტექსტის გაგებისა და ანალიზის უნარებს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები.

რესურსი: ტექსტი, მცირე ზომის წებოვანი ბარათები.

მსვლელობა

- მასწავლებელი წინასწარ შეარჩევს აღწერითი ტიპის ტექსტს;
- თითოეულ მოსწავლეს/წყვილს ურიგებს ტექსტის თითო ეგზემპლარს და 5-10 წებოვან ბარათს – სტიკერს (თავდაპირველად სასურველია სიტყვათა მცირე რაოდენობით დაწყება, მაგალითად, 3-4 სიტყვით, შემდეგ კი სიტყვების რაოდენობა ნელ-ნელა გაიზრდება);
- მოსწავლეები წინასწარ განსაზღვრულ დროში (ტექსტის სიდიდისა და სირთულის გათვალისწინებით) ყურადღებით კითხულობენ ტექსტს და იქიდან ბარათებზე ამოიწერენ, მათი აზრით, ტექსტის შინაარსის გასააზრებლად ყველაზე მნიშვნელოვან რამდენიმე სიტყვას (თითო ბარათზე – თითო სიტყვა);

- როდესაც ყველა მოსწავლე დაასრულებს სიტყვების ამოწერას, დაფაზე (ან ფორმატის ქაღალდზე) იწყებენ სიტყვების სვეტების შექმნას: ერთი მოსწავლე/წყვილი ჰორიზონტალურად განათავსებს თავის ბარათებს, მეორე კი იმ სიტყვებს, რომლებიც მის ბარათებზეც მეორდება, მიაკრავს უკვე გაკრული ამავე სიტყვების ქვეშ (ანუ დაიწყებს ვერტიკალური სვეტის შექმნას), ხოლო დანარჩენებს ისევ ჰორიზონტალურ რიგში განათავსებს;
- ყველა მოსწავლე ანალოგიური პრინციპით განალაგებს თავის ამოწერილ სიტყვებს დაფაზე (ან ფორმატზე);
- მასწავლებელი ითვლის, რამდენჯერ მეორდება ესა თუ ის სიტყვა და გამოავლენს ყველაზე რეიტინგულ სიტყვებს.
- მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, გაიმართება დისკუსია (მაგ., რომელი სიტყვები შეირჩა ყველაზე ხშირად? თქვენი აზრით, ტექსტში რომ არ ყოფილიყო ეს სიტყვა, მოაკლდებოდა თუ არა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ტექსტს? და ა.შ.).

შენიშვნა: შესაძლებელია მასწავლებელმა მნიშვნელოვანი სიტყვების გამოყენებით მოსწავლეებს წყვილებში ან ჯგუფებში შეასრულებინოს სხვადასხვა ტიპის დავალებები (მაგ., სინონიმების/ანტონიმების შერჩევა, ასოციაციური რუკის შედგენა, ილუსტრირება, პანტომიმით გაცოცხლება და ა.შ.).

წინადადების განვრცობა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები ამდიდრებენ, განავრცობენ შეთავაზებულ წინადადებას შეკითხვების მიხედვით.

ამ აქტივობის შედეგად მოსწავლე:

- ივითარებს გავრცობილი წინადადებების ჩამოყალიბების უნარს;
- იაქტიურებს უკვე ნასწავლი ლექსიკური ერთეულების ცოდნას;
- იმდიდრებს ლექსიკურ მარაგს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, ჯგუფები

რესურსი: ბარათები შეკითხვებით, ბარათები მარტივი წინადადებებით, დაფა, ცარცი/მარკერი, ფურცელი.

მსვლელობა

- მასწავლებელი ამზადებს ბარათებს შეკითხვებით. თითო ბარათზე თითო შეკითხვაა: სად? როდის? როგორ? როგორი? რატომ? რისთვის?
- მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ან დააწერინებს მარტივ წინადადებებს (მაგ., „მამამ წამიყვანა.“). შესაძლებელია ერთი წინადადება დაურიგოს ყველას, შესაძლებელია, სხვადასხვა;
- მოსწავლეები ბარათების საერთო დასტიდან რიგრიგობით იღებენ შეკითხვებიან ბარათებს და ჩაწერილ მარტივ წინადადებებს ამ შეკითხვების მიხედვით განავრცობენ – ამატებენ წევრებს ზეპირად ან წერილობით (ანდა ჯერ ზეპირად, შემდეგ წერილობით);
- დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეები კლასს წარუდგენენ თავიანთ განვრცობილ წინადადებებს.

მაგალითი

მარტივი წინადადება: მამამ წამიყვანა.

განვრცობა შეკითხვების გამოყენებით:

სად? – მამამ **ტყეში** წამიყვანა.

როდის? – **გუშინ** მამამ ტყეში წამიყვანა.

როგორ? – გუშინ მამამ **უღრან** ტყეში წამიყვანა.

რისთვის? – გუშინ მამამ უღრან ტყეში წამიყვანა **სოკოების დასაკრეფად.**

როგორი? – გუშინ მამამ უღრან ტყეში წამიყვანა **წითელქუდიანი** სოკოების დასაკრეფად.

შესაძლო წინადადებები საკვანძო სიტყვების გამოყენებით

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები ტექსტის წაკითხვამდე ტექსტში არსებული სიტყვების გამოყენებით ადგენენ წინადადებებს, ერთგვარად პროგნოზირებენ ტექსტის შინაარსს.

ამ მეთოდის გამოყენება მოსწავლეებს:

- უვითარებს ახალ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობისა და სხვადასხვა კონტექსტში მათი გამოყენების უნარ-ჩვევას;
- უვითარებს ტექსტში მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციების გარჩევის უნარ-ჩვევას;
- უმდიდრებს ლექსიკურ მარაგს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები

რესურსი: ფურცლები.

მსვლელობა

- მასწავლებელი ტექსტიდან წინასწარ შეარჩევს და დაფაზე (ან ფორმატზე) ჩამოწერს საკვანძო ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ტექსტის გასააზრებლად (შესაძლებელია, რომელიმე სიტყვა უცნობი იყოს მოსწავლეთა უმრავლესობისთვის);
- სიტყვები ჩამოიწერება იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც გვხვდება ტექსტში;
- მასწავლებელი ხმამაღლა და გარკვევით კითხულობს თითოეულ სიტყვას;
- მოსწავლეები მსჯელობენ ამ სიტყვების მნიშვნელობის შესახებ, აზუსტებენ მნიშვნელობებს;
- მოსწავლეები ჩამოწერილი სიტყვების გამოყენებით, წერილობით ან ზეპირად, ადგენენ შესაძლო წინადადებებს, ანუ ისეთ წინადადებებს, რომლებიც, სავარაუდოდ, ტექსტში შეხვდებათ;
- ტექსტის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები ისევ მიუბრუნდებიან წაკითხვამდე ჩამოყალიბებულ შესაძლო წინადადებებს და თავიანთ ვერსიებს შეადარებენ ტექსტში ამოკითხულს;
- მოსწავლეები მსჯელობენ, თუ რამდენად დაემთხვა მათი წინადადებების შინაარსი ტექსტის წინადადებების შინაარსს.

შენიშვნა: ზოგჯერ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ტექსტის კითხვისას თუ ნუსხაში მოცემულ სიტყვას იპოვიან, მონიშნონ იგი (გახაზონ/შემოხაზონ), ან ასწიონ შეკრული/გაშლილი ხელი.

ფანტაზიორები და რეალისტები (უცნაური წინადადებები)

მეთოდის/აქტივობის შესახებ

ორ ჯგუფად დაყოფილი მოსწავლეები ერთი და იმავე სიტყვების გამოყენებით ადგენენ რეალისტურ და ფანტასტიკურ წინადადებებს.

ამ აქტივობის მეშვეობით მოსწავლეები:

- იმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს;
- იაქტიურებენ უკვე ნასწავლი ლექსიკური ერთეულების ცოდნას;
- ეჩვევიან დაკვირვებას, ყურადღების მობილიზებას, სიტყვის/წინადადების მნიშვნელობის კარგად გააზრებას;
- ივითარებენ შემოქმედებით და სოციალურ უნარებს.

სამუშაო ფორმა: წყვილები, მცირე ჯგუფები

რესურსი: სიტყვის ბარათები, ფურცელი.

მსვლელობა

- მასწავლებელი კლასს ყოფს ორ ჯგუფად. ერთ ჯგუფს ჰქვია „ფანტაზიორები“, მეორეს – „რეალისტები“;
- მასწავლებელი „ფანტაზიორებისა“ და „რეალისტების“ წყვილებს/ჯგუფებს ურიგებს სიტყვების ბარათებს (ორივეს ერთნაირს);
- „ფანტაზიორები“ ამ სიტყვების გამოყენებით ადგენენ უცნაურ (აბსურდული შინაარსის) წინადადებებს;
- „რეალისტები“ ამავე სიტყვების გამოყენებით ადგენენ ჩვეულებრივ, რეალური შინაარსის მქონე წინადადებებს;
- ჯგუფები წარადგენენ თავიანთ წინადადებებს და დაფაზე აკრავენ (ან წერენ). ისინი ერთსა და იმავე სიტყვებზე შედგენილ წინადადებებს ერთმანეთის გვერდით განათავსებენ და მსჯელობენ მათ შესახებ.

მაგალითი

სიტყვა: ხორთუმი.

„ფანტაზიორების“ წინადადება:

ჩემმა ძაღლმა თავისი გრძელი ხორთუმით ყურებზე ბაფთები გაიკეთა.

„რეალისტების“ წინადადება:

აფრიკულ სპილოს ძალიან გრძელი ხორთუმი აქვს.

სიტყვების დაჯგუფება კატეგორიებში

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები აჯგუფებენ შეთავაზებულ სიტყვებს გარკვეული ნიშან-თვისებების/კატეგორიების მიხედვით და მსჯელობენ ამის შესახებ.

ამ მეთოდის გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეებში:

- ლექსიკური მარაგის გამდიდრებას;
- შესწავლილი ლექსიკური ერთეულების ცოდნის გააქტიურებას;
- სიტყვებს/ცნებებს შორის მიმართებების გაცნობიერებას;
- სიტყვის/ცნების კატეგორიზებას.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, მცირე ჯგუფები;

რესურსი: ფურცელზე ჩამოწერილი სიტყვების ნუსხა თითოეული მოსწავლისათვის/ჯგუფისთვის, კატეგორიების ცხრილი.

მსვლელობა

I ვარიანტი

- მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს/ჯგუფს ურიგებს ფურცელს წინასწარ შერჩეული სიტყვების ნუსხით; ნუსხა შესაძლოა ერთნაირი იყოს ყველა მოსწავლისათვის/ჯგუფისთვის, შესაძლოა – განსხვავებული.
- შემდეგ აცხადებს კატეგორიას/კატეგორიებს (მაგ., ცხოველები, საკვები და ა.შ.);
- მოსწავლეები სიტყვების ნუსხაში ეძებენ დასახელებული კატეგორიის შესაბამის სიტყვებს და ამოწერენ ფურცელზე;
- სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები ხმამაღლა კითხულობენ თავიანთ ნამუშევრებს და, მასწავლებლის დახმარებით, გადაამოწმებენ, სწორად დააჯგუფეს თუ არა სიტყვები.

შენიშვნა: შესაძლებელია, მოსწავლეებმა თვითონაც მოიფიქრონ სიტყვები მასწავლებლის მიერ დასახელებული ამა თუ იმ კატეგორიისათვის.

II ვარიანტი

- მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს/ჯგუფს ურიგებს ფურცელს წინასწარ შერჩეული სიტყვების ნუსხით; ნუსხა შესაძლოა ერთნაირი იყოს ყველა მოსწავლისათვის/ჯგუფისთვის, შესაძლოა – განსხვავებული.
- მოსწავლეები, ნუსხის სიტყვებზე დაკვირვებით, თვითონ მოიფიქრებენ კატეგორიებს და ნუსხის სიტყვებს ამ კატეგორიებში დააჯგუფებენ;
- სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები ხმამაღლა კითხულობენ თავიანთ ნამუშევრებს და მასწავლებლის დახმარებით გადაამოწმებენ, სწორად შეურჩიეს თუ არა სიტყვებს კატეგორიები.

შესაძლო კატეგორიები

- ვინ ჯგუფის სახელები, რა ჯგუფის სახელები, სიტყვები მხოლობით რიცხვში, სიტყვები მრავლობით რიცხვში.
- ჭურჭელი, ავეჯი, ტანსაცმელი, სათამაშო, საკვები.

- მცენარე, ცხოველი, ფრინველი, მწერი.
- თვისებები, გრძნობები, გარემოებები (სად, როდის, როგორ...).
- რთული სიტყვები, სიტყვები ანბანის მიხედვით, სიტყვები მარცვალთა/ასოთა რაოდენობის მიხედვით.

ემოციები/გრძნობები	თვისებები	ვითარებები/გარემოებები
დანაღვლიანდა	მოუთმენელი	ღამდებოდა
აღფრთოვანდა	გულჩვილი	სხვებთან ერთად

ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებისთვის

მეორე ენის მოსწავლეებისათვის მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს მარტივი კატეგორიები

ცხოველი	საჭმელი	გარეგნობა
ზღარბი	ნამცხვარი	დიდყურა
კურდღელი	შემწვარი კარტოფილი	მსუქანი

სიტყვების ბანკი I

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები აგროვებენ სიტყვებს, რომლებიც კლასში სხვადასხვა წერითი თუ ზეპირი აქტივობების დროს არის ხოლმე გამოყენებული (მაგ., „დაკარგული სიტყვების“ აქტივობის განხორციელებისას „ნაპოვნი“ სიტყვები). მოსწავლეები პერიოდულად უბრუნდებიან ამ სიტყვებს და ასრულებენ სხვადასხვა დავალებას.

ამ აქტივობის გამოყენება მოსწავლეებს:

- უაქტიურებს შესწავლილი ლექსიკური ერთეულების ცოდნას;
- აჩვევს მათ პრაქტიკულ გამოყენებას, წინადადებების აგებას;
- უვითარებს ზეპირმეტყველების უნარს;
- უმდიდრებს ლექსიკურ მარაგს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, ჯგუფები.

რესურსი: მცირე ზომის ბარათები ზედ დაწერილი სიტყვებით.

მსვლელობა

- მასწავლებელი მოსწავლეებს დააწერინებს სიტყვებს ბარათებზე და ჩააწყობინებს საგანგებოდ დამზადებულ უჯრებიან ყუთში ან ჯიბეებიან კედლის ჩანთაში.
- როცა „სიტყვების ბანკში“ საკმაო რაოდენობის სიტყვები დაგროვდება, შეიძლება მათი დაჯგუფება, კატეგორიზება და ჩაწყობა სხვადასხვა უჯრაში/ჯიბეში, რომელთაც ექნება შესაბამისი წარწერები (მაგალითად., „ცხოველები“, „ნივთები“...).

აქტივობები „სიტყვების ბანკისთვის“:

- ცხოველების უჯრიდან/ჯიბიდან ამოიღე ერთი ბარათი და ისაუბრე მასზე დაწერილი ცხოველის შესახებ (როგორია გარეგნულად, როგორი თვისებები აქვს, რა ზღაპარი, მოთხრობა წაგიკითხავს მის შესახებ და ა.შ.);
- ნივთების უჯრიდან/ჯიბიდან ამოიღე ერთი ბარათი და ისაუბრე მასზე დაწერილი ნივთის შესახებ (რაში გამოიყენება, სად გინახავს, შენ გაქვს თუ არა შინ, აღწერე როგორია და ა.შ.);
- სათამაშოების უჯრიდან/ჯიბიდან ამოიღე 3 ბარათი და განმარტე ზედ დაწერილი სიტყვა;
- ნებისმიერი უჯრიდან/ჯიბიდან ამოიღე ერთი სიტყვა და მისი გამოყენებით შეადგინე წინადადება, ან რაიმე ტექსტი (მაგ., ამბავი, რეკლამა, პატარა სტატია, ზღაპარი და სხვ.);
- ნებისმიერი უჯრიდან/ჯიბიდან ამოიღე ერთი სიტყვა და დასვი/დაწერე მასთან დაკავშირებული 3 შეკითხვა;
- ნებისმიერი უჯრიდან/ჯიბიდან ამოიღე ერთი სიტყვა და გაიხსენე იმ ტექსტის მოკლე შინაარსი, რომელშიც ეს სიტყვა შეგვხვდა.

სიტყვების ბანკი II (სიტყვების რვეული)

მეთოდის/აქტივობის შესახებ

სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კლასში შეიძლება შეიქმნას სიტყვების ბანკი/სალარო, სიტყვების რვეული. აქ მოსწავლეები „შეინახავენ“ გაკვეთილებზე განხილულ სიტყვებს.

სამუშაო ფორმა: მთელი კლასი

რესურსი: საქაღალდე, სიტყვის/ცნების სქემები.

მსვლელობა

- მოსწავლეები აგროვებენ ახალ, რთულ, საინტერესო სიტყვებს სპეციალურ რვეულში, წიგნაკში (ბლოკნოტში) ან საქაღალდეში.
- „ბანკში“ შეტანილ თითოეულ სიტყვას დაერთვის ახსნა-განმარტება (ილუსტრაციების, პირდაპირი განმარტებების, სემანტიკური სქემების, სინონიმებისა და ანტონიმების, წინადადების ნიმუშების და სხვ.) სახით.
- პერიოდულად მასწავლებელი ამოალაგებს „ბანკში“ შენახულ სიტყვებს. საუბრობენ მათზე, იხსენებენ – როდის შეინახეს და რატომ, ამატებენ ახალ ინფორმაციას.

ფრეიერის სქემა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

ფრეიერის სქემა საუკეთესო საშუალებაა უცნობ ლექსიკურ ერთეულებზე სამუშაოდ. მისი მეშვეობით მოსწავლეები ერთმანეთს უკავშირებენ ნაცნობ და უცნობ სიტყვებს. მათ უნდა განმარტონ სამიზნე სიტყვა/ცნება და გამოიყენონ ეს განმარტება ზუსტი და არაზუსტი მაგალითების შესადგენად. ფრეიერის სქემა უფრო ხშირად გამოიყენება საინფორმაციო ტექსტებზე სამუშაოდ, შედარებით რთული ცნებებისა და ტერმინების განმარტებისათვის.

ფრეიერის სქემის ნიმუში



ამ სქემის გამოყენება მოსწავლეს ეხმარება:

- კარგად გაიაზროს უცნობი სიტყვის მნიშვნელობა;
- განივითაროს კრიტიკული აზროვნების უნარი;
- ისწავლოს ახალი სიტყვის შესაბამის კონტექსტში გამოყენება.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, ჯგუფები, მთელი კლასი.

რესურსი: შესავსები სქემა (სქემის ამოსაბეჭდი ვერსია იხ. დანართში), ფურცლები.

მსვლელობა

- მასწავლებელი წინასწარ შეადგენს წასაკითხი ტექსტის საკვანძო სიტყვების ნუსხას;
- გააცნობს მოსწავლეებს ფრეიერის სქემას და აუხსნის, თუ როგორ ივსება იგი. მოდელირების მიზნით მასწავლებელი ხმამაღლა ფიქრის მეშვეობით მოსწავლეებთან ერთად თავადაც ავსებს სქემას რომელიმე ნაცნობი სიტყვის/ცნების მიხედვით;

შენიშვნა: მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ხმამაღლა ფიქრის პროცესში განუმარტოს მოსწავლეებს, რომ სქემის შევსებისას მთავარი პრინციპია სიტყვის/ცნების მახასიათებლებზე დაფიქრება, მსგავსებებისა და განსხვავებების გააზრება და არაზუსტი მაგალითების შერჩევა, პრინციპით: „ჰგავს, მაგრამ არ არის“.

- ტექსტის წაკითხვამდე მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად მიმოიხილავს საკვანძო სიტყვების ნუსხას კლასში;
- მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს შესავსებ სქემას (ან დაფაზე ხაზავს და მოსწავლეები გადაიხაზავენ);
- მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და ავსებენ სქემას:
- სქემის **შუაში** წერია უცნობი სიტყვა;
  - ✓ **ზედა მარცხენა კუთხეში** მოსწავლეები წერენ ამ სიტყვის/ცნების განმარტებას თავიანთი სიტყვებით ან ლექსიკონის/მასწავლებლის დახმარებით;
  - ✓ **ზედა მარჯვენა კუთხეში** წერენ ფაქტებს/მახასიათებლებს ახალ სიტყვასთან დაკავშირებით და, სურვილის შემთხვევაში, აკეთებენ ილუსტრაციას;
  - ✓ **ქვედა მარცხენა კუთხეში** წერენ ზუსტ მაგალითებს;
  - ✓ **ქვედა მარჯვენა კუთხეში** წერენ არაზუსტ მაგალითებს, ანუ ისეთ სიტყვებს, რომლებიც გარკვეულწილად ჰგავს სამიზნე სიტყვას, მაგრამ სინამდვილეში არ შეესაბამება მის მნიშვნელობას.

შენიშვნა: შესაძლებელია, მოსწავლეებმა სქემის შევსება დაიწყონ ტექსტის წაკითხვამდე, წაკითხვის შემდეგ კი მიუბრუნდნენ და შეავსონ/შეცვალონ თავიანთი მოსაზრებები.

- მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციებს და იმართება საერთო მსჯელობა, რამდენად სწორადაა შევსებული სქემა.

განმარტება ბუმბულიანი ცხოველი, რომელსაც აქვს ფრთები და ნიკარტი, მას შეუძლია ფრენა.	**მახასიათებლები** დებს კვერცხს; იკვებება მცენარეებით, მწერებით, ხორცით; გარეულია ან შინაური; შეიძლება იყოს მტაცებელი.
სიტყვა/ცნება ფრინველი	
ზუსტი მაგალითი ბელურა პინგვინი სირაქლემა	**მსგავსი, მაგრამ არასწორი მაგალითი** ღამურა, ბუზი, მფრინავი თევზი

გასასვლელი სიტყვები

მეთოდის/აქტივობის შესახებ

ეს აქტივობა არის „გასასვლელი ბარათების“ ერთ-ერთი ვარიაცია.

მისი გამოყენებით მოსწავლეები:

- განიმტკიცებენ ლექსიკური ერთეულების ცოდნას;
- გადაამოწმებენ, სწორად გაიგეს თუ არა ახალი სიტყვების მნიშვნელობა;
- ეჩვევიან ყურადღების მობილიზებას.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური.

რესურსი: ფურცელი და კალამი.

მსვლელობა

- გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს ურიგებს თითო ბარათს და სთხოვს, მასზე დაწეროს იმ დღეს შესწავლილი რამდენიმე (რაოდენობას მასწავლებელი განსაზღვრავს) სიტყვა და განმარტოს;
- მოსწავლეები ბარათზე წერენ მითითებული რაოდენობის ახალშესწავლილ სიტყვებს და განმარტავენ;
- კლასიდან გასვლისას მოსწავლეები შევსებულ ბარათებს მასწავლებლის მაგიდაზე აწყობენ;
- მასწავლებელი ამოწმებს ბარათებს და, თუ რომელიმე სიტყვა არასწორადაა განმარტებული, მეორე დღეს კლასში კიდევ ერთხელ განმარტავენ ამ სიტყვას.

სინონიმთა და ანტონიმთა წრე

მეთოდის/აქტივობის შესახებ

სინონიმთა და ანტონიმთა წრე ძალზე მარტივი და სახალისო მეთოდია. ის ხელს უწყობს ლექსიკური ერთეულების ერთმანეთთან დაკავშირებასა და დამახსოვრებას.

მუშაობის ფორმა: ჯგუფი ან მთელი კლასი;

რესურსი: სპეციალური რესურსი არ არის საჭირო.

მსვლელობა

- მოსწავლეები სხდებიან წრეში;
- ერთი მოსწავლე ამბობს სიტყვას, მეორე კი მის სინონიმს. ასე გრძელდება მანამ, სანამ არ ამოიწურება ვარიანტები;
- ის ვინც ვერ მოიფიქრებს სინონიმს, ამბობს დასახელებული სიტყვის ანტონიმს;
- შემდეგი მოსწავლე ასახელებს ანტონიმის სინონიმს და ასე გრძელდება მანამ, სანამ სიტყვათა მარაგი არ გამოელევათ.
- თამაში განახლდება წრის იმ ადგილიდან, სადაც მოსწავლე ამბობს ახალ ლექსიკურ ერთეულს.

ვარიაციები

1. შესაძლებელი აქტივობის საჭიროებისამებრ გართულება ან გამარტივება. მაგალითად, მეხუთე-მეექვსე კლასებში შეიძლება წრეში ფრაზეოლოგიზმებისა და მათი განმარტებების ან სხვა ენობრივი ელემენტების შემოტანა. ერთი მოსწავლე იტყვის ფრაზეოლოგიზმს, მეორე – მის განმარტებას. შემდეგ ის, ვინც სწორად განმარტა ფრაზეოლოგიზმი, ამბობს სხვა ხატოვან გამოთქმას და ა. შ.

2. შედარებით დაბალ კლასებში ან ქართულის როგორც მეორე ენის შემსწავლელებთან (როცა მოსწავლეებს არ აქვთ საკმარისი ლექსიკური მარაგი) შესაძლებელია სინონიმებისა და ანტონიმების ნაცვლად დაასახელონ ერთ კატეგორიაში შემავალი სიტყვები, მაგალითად, შინაური ცხოველები, ხილი, ამინდთან დაკავშირებული სიტყვები და სხვ.

შენიშვნა: თამაშს დასრულების შემდეგ მასწავლებელმა შეიძლება რეფლექსიის ელემენტიც ჩართოს და სთხოვოს მოსწავლეებს, დასახელებულ სიტყვებს შორის რომელი იყო მანამდე მათთვის უცნობი. შეიძლება მასწავლებელმა ჩაანიშნინოს მოსწავლეებს უცნობი სიტყვები და დაავალოს მათზე წინადადებების შედგენა.

ლექსიკური მარაგის (სიტყვების ცოდნის) შემოწმება

არსებობს ლექსიკური მარაგის (სიტყვების ცოდნის) შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები. იმის მიხედვით, თუ შეფასება კონკრეტულად რა სახის ცოდნის შემოწმებას ისახავს მიზნად, მოსწავლეს შეიძლება მოეთხოვებოდეს, რომ:

- შეუსაბამოს სიტყვა მის გამოსახულებას;
- ამოარჩიოს მოცემული განმარტების შესაბამისი სიტყვა სიტყვების ჩამონათვალში;
- დააჯგუფოს სიტყვები კატეგორიების შესაბამისად;
- ამოიცნოს სიტყვა, რომელიც არ მიეკუთვნება მოცემულ სიტყვათა ჯგუფს;
- გამოიყენოს კონტექსტი, რათა ამოიცნოს სიტყვის მნიშვნელობა;
- სწორად შეარჩიოს მოცემული სიტყვის მნიშვნელობა, სინონიმი ან ანტონიმი მოცემული ვარიანტებიდან;
- სწორად ჩასვას წინადადებაში/ტექსტში გამოტოვებული სიტყვები;
- მოძებნოს სიტყვის განმარტება ლექსიკონში და სხვ.

ლექსიკური მარაგის შესამოწმებელი დავალებები და ტესტები ორ ძირითად კატეგორიად იყოფა, ესენია: 1) ცალკე აღებული სიტყვის მნიშვნელობის დადგენა და 2) კონტექსტში მოცემული სიტყვის მნიშვნელობის დადგენა. გაგება-გააზრებაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესში უპირატესობა მეორე კატეგორიის დავალებებს/ტესტებს ენიჭება. ქვემოთ მოცემულია ასეთი ტესტის ნიმუში.

ლექსიკური მარაგის ტესტი

ტესტის დანიშნულება: ლექსიკური ერთეულის გაგებისა და კონტექსტის გათვალისწინებით სწორად გამოყენების უნარის შემოწმება.

ტესტის ტიპი: ჯგუფური ან ინდივიდუალური; წერითი.

ტესტის ჩატარების ვადები: ქართული ენა: მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კლასები. ქართული, როგორც მეორე ენა: მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კლასები. სასურველია სკრინინგის ჩატარება თითოეული სმესტრის დასაწყისში. დიაგნოსტიკური ტესტირება შეიძლება ჩატარდეს რამდენჯერმე სასწავლო წლის განმავლობაში.

ტესტის ხანგრძლივობა: 10 წუთი

ტესტის ჩასატარებლად საჭირო რესურსი: ა) მოსწავლის ინდივიდუალური სამუშაო ფურცელი, ბ) საათი ან წამმზომი.

ტესტის ჩატარების პროცედურა: მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს და ამბობს: „ბავშვებო, ახლა თქვენ დაგირიგდათ ფურცლები, რომლებზეც წერია წინადადებები. ზოგიერთ წინადადებაში სიტყვაა გამოტოვებული. თქვენ ჩამოთვლილი სიტყვებიდან ყველაზე შესაფერისი უნდა შეარჩიოთ და მონიშნოთ. ზოგ წინადადებაში გამუქებული სიტყვა შეგხვდებათ და ჩამოთვლილი სიტყვებიდან უნდა შეარჩიოთ მისი სინონიმი/იმავე მნიშვნელობის მქონე სიტყვა. გთხოვთ, დახედოთ თქვენს ფურცელს. განვიხილოთ აქ მოცემული მაგალითები.

პირველი მაგალითი:

მხდალი კურდღელი დათვის დანახვისთანავე ბუჩქებში მიიმალა.

ამ წინადადებაში სიტყვა **მხდალი** ნიშნავს: ა) მორცხვს, ბ) მშიშარას, გ) სწრაფს.

უნდა შემოხაზოთ პასუხი ბ) მშიშარას, რადგანაც ამ წინადადებაში სიტყვა „მხდალი“ „მშიშარას“ ნიშნავს.

მეორე მაგალითი:

ფუტკარი ზუზუნებს, ცხენი _____ .

ა) ყროყინებს ბ) ჭიკჭიკებს გ) ჭიხვინებს

უნდა შემოხაზოთ პასუხი გ) ჭიხვინებს.

ასეთ წინადადებაში არ ჩაწეროთ გამოტოვებული სიტყვა, მხოლოდ შემოხაზეთ.

გასაგებია, ბავშვებო? მაშინ, ახლა თქვენი ჯერია. თუ შეიძლება, შემოხაზეთ ის პასუხი, რომელიც, თქვენი აზრით, სწორია. ამ დავალების შესასრულებლად 10 წუთი გეძლევათ. მე შეგახსენებთ დასრულების დროს. ახლა ყველამ მიჩვენეთ კალმები. მზად ხართ? მაშინ, შეგიძლიათ, დაიწყოთ. იმუშავეთ მშვიდად“.

ქულების მინიჭება

მოსწავლე ყოველ სწორად შემოხაზულ ვარიანტში 1 ქულას იღებენ.

ნიმუში: II კლასი

მოსწავლის სამუშაო ფურცელი

მოსწავლე: **თარიღი:**

წაიკითხე თითოეული წინადადება. ყოველი წინადადების ქვეშ მოცემულია სამი სავარაუდო პასუხი (ა, ბ, გ). შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

პირველი მაგალითი:

მხდალი კურდღელი დათვის დანახვისთანავე ბუჩქებში მიიმალა. ამ წინადადებაში სიტყვა **მხდალი** ნიშნავს:

ა) მორცხვს ბ) მშიშარას გ) სწრაფს

უნდა შემოხაზო პასუხი (ბ) **მშიშარას**, რადგანაც ამ წინადადებაში სიტყვა მხდალი მშიშარას ნიშნავს.

მეორე მაგალითი:

ფუტკარი ზუზუნებს, ცხენი _____ .

ა) ყროყინებს ბ) ჭიკჭიკებს გ) ჭიხვინებს

უნდა შემოხაზო პასუხი (გ) **ჭიხვინებს**.

ასეთ წინადადებაში არ ჩაწერო გამოტოვებული სიტყვა, მხოლოდ შემოხაზე.

---

1. გიორგი **ბევჯითი** ბიჭია. **ბევჯითი** აქ ნიშნავს:

   ა) კეთილს ბ) უსაქმურს გ) შრომისმოყვარეს

2. ფანჯრიდან **იმზირება** გახარებული მარი. **იმზირება** ნიშნავს, რომ:

   ა) იყურება ბ) უცინის გ) ხედავს

3. ნინომ საჩუქრად კომპიუტერი მიიღო და _____ გადახედა სტუმრებს.

   ა) გულმოსულად ბ) თავმომწონედ გ) ნაღვლიანად

4. ანი ადვილად მიხვდა პასუხს, რადგან გონიერი გოგონა იყო. რას ნიშნავს გონიერი?

   ა) გონებადაფანტულს ბ) მამაცს გ) ჭკვიანს

5. ლექსოს ერიდებოდა თავის ჯილდოებზე ლაპარაკი. მორცხვი და _____ ბიჭუნა იყო.

   ა) ბოღმიანი ბ) გაგულისებული გ) თავმდაბალი

6. მთელი დღის **საგზალი** მოიმარაგა და ჩანთაში ჩაიწყო. რას ნიშნავს **საგზალი**?

ა) სასკოლო ნივთებს ბ) საჭმელს გ) ფულს

7. გიორგის **შეჭამანდი** არ მოეწონა და გაბრაზებულმა გასწია თეფში. რას ნიშნავს **შეჭამანდი**?

ა) ნივთს ბ) საჭმელს გ) ჭურჭელს

8. მარადმწვანე მცენარეა:

ა) ვაშლი ბ) მუხა გ) ნაძვი

9. თოვლი, წვიმა, სეტყვა არის ბუნებრივი _____ .

ა) ნალექი ბ) ნარჩენი გ) წყალი

10. ფიჭვი _____ მცენარეა.

ა) კვირტოვანი ბ) ფოთლოვანი გ) წიწვოვანი

11. შეშინებულ კურდღელს მგელი **შემოეყარა**. **შემოეყარა** ნიშნავს, რომ:

ა) დაემალა ბ) დაემუქრა გ) შეხვდა

შევსებული ტესტის ნიმუში

1. გიორგი **ბეჯითი** ბიჭია. **ბეჯითი** აქ ნიშნავს:

ა) კეთილს (ბ) უსაქმურს გ) შრომისმოყვარეს

2. ფანჯრიდან **იმზირება** გახარებული მარი. **იმზირება** ნიშნავს, **რომ**:

ა) იყურება (ბ) უცინის (გ) ხედავს

3. ნინომ საჩუქრად კომპიუტერი მიიღო და _____ გადახედა სტუმრებს.

ა) გულმოსულად ბ) თავმომწონედ (გ) ნაღვლიანად

„დაკარგული სიტყვების“ აქტივობა, როგორც ლექსიკური უნარის შეფასების საშუალება

„დაკარგული სიტყვები“ (და მისი ადაპტირებული ვარიანტი – „ამომხტარი სიტყვები“) ეფექტური სტრატეგიაა როგორც სიტყვებზე მუშაობის უნარის განვითარებისთვის, ასევე ლექსიკური უნარის შესაფასებლადაც.

ტესტის დანიშნულება: ლექსიკური ერთეულის გაგებისა და კონტექსტის გათვალისწინებით სწორად გამოყენების უნარის შემოწმება. ეს არის კითხვის კომპონენტი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეს ტექსტის გაგება-გააზრებაში.

ტესტის ტიპი: ინდივიდუალური; წერითი.

ტესტის ჩატარების ვადები: მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კლასები. სასურველია სკრინინგის ჩატარება სასწავლო წლის დასაწყისში. დიაგნოსტიკური ტესტირება შეიძლება ჩატარდეს რამდენჯერმე სასწავლო წლის განმავლობაში.

ტესტის ხანგრძლივობა: 15-20 წუთი (ტექსტის სირთულისა და ზომის შესაბამისად)

ტესტის ჩასატარებლად საჭირო რესურსი: ა) მოსწავლის ინდივიდუალური სამუშაო ფურცელი, ბ) საათი

ტესტის ჩატარების პროცედურა: მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს და ამბობს: „ბავშვებო, ახლა თქვენ დაგირიგდათ ფურცლები, რომელზეც მოცემულია მცირე ზომის ტექტი, საიდანაც ამოიღებულია/დაკარგულია რამდენიმე სიტყვა. წაიკითხეთ ტექსტი და „დააბრუნეთ“ „დაკარგული“ სიტყვები თავიანთ ადგილებზე. ერთი გამოტოვებული სიტყვის ადგილას შეგიძლიათ, რამდენიმე სავარაუდო ვარიანტი ჩაწეროთ.

„დაკარგული სიტყვების“ ტესტი

მასწავლებლის ფურცელი

სილის კოშკი

ზღვის პირას ორი ბიჭი გულმოდგინედ აგებს სილის კოშკს. ორივეს ბრიალა თაფლისფერი თვალები აქვს, ჩალისფერი თმები. ვერაფრით გაარჩევთ ერთმანეთისაგან. ალბათ მიხვდით, რატომაც. დიახ, ისინი ტყუპები არიან: ლაშა და ირაკლი, ან ასე ვთქვათ: ირაკლი და ლაშა. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს?! მარიტამ დიდხანს უცქირა მათ გამალებულ მუშაობას, გულმა აღარ მოუთმინა და მორიდებულად სთხოვა ბიჭებს:

– მეც ავაგებ კოშკს თქვენთან ერთად.

– სად გაგონილა, რომ გოგონები აგებდნენ კოშკებს, ეს რა ქალის საქმეა?! – იუკადრისა ირაკლიმ.

ცრემლები რომ დაემალა, წამწამები ააფახუნა გოგონამ.

– მარიტა, მარიტუნა, ჩვენ ავაგებთ კოშკებს, შენ კი ამ კოშკის მზეთუნახავი იქნები, – სხაპასხუპით მიუგო ლაშამ, ძმას დაუბღვირა, – ვითომ რატომ არაა ქალის საქმე?!

ირაკლიმ მორცხვად ჩაღუნა თავი, მერე თავისი ნიჩაბი გაუწოდა გოგონას. გახარებულმა მარიტამ გაუღიმა, გამოართვა და ბიჭებზე არანაკლები მონდომებით შეუდგა მუშაობას.

კოშკი მართლაც ზღაპრული გამოუვიდათ, მარიტასნაირ გოგოს რომ შეეფერებოდა, ისეთი.

შინ წასვლა აღარ უნდოდათ მეგობრებს. მზის ჩასვლამდე ისხდნენ ზღვის პირას და ათასნაირ ამბავს თხზავდნენ კოშკში ჩაკეტილ მზეთუნახავსა და გულად რაინდზე.

მეორე დილით ადრიანად მიაშურეს ბიჭებმა სანაპიროს, მაგრამ სადღა იყო კოშკი?! მის ადგილას ველოსიპედის ბორბლის ნაკვალევი დახვდათ. ერთმანეთს უსიტყვოდ შეხედეს, უსიტყვოდვე სასწრაფოდ შეუდგნენ ახალი, ზუსტად ისეთივე კოშკის აგებას. ჩქარობდნენ, მალე მარიტაც გამოჩნდებოდა სანაპიროზე.

„დაკარგული სიტყვების“ ტესტი

მოსწავლის ფურცელი

მოსწავლე: **თარიღი:**

სილის კოშკი

ზღვის პირას ორი ბიჭი გულმოდგინედ _____ სილის კოშკს. ორივეს ბრიალა თაფლისფერი _____ აქვს, ჩალისფერი თმები. ვერაფრით გაარჩევთ _____ . ალბათ მიხვდით, რატომაც. დიახ, ისინი _____ არიან: ლაშა და ირაკლი, ან _____ ვთქვათ: ირაკლი და ლაშა. თუმცა, _____ მნიშვნელობა აქვს?!

მარიტამ დიდხანს უცქირა _____ გამალებულ მუშაობას, გულმა აღარ მოუთმინა _____ მორიდებულად სთხოვა ბიჭებს:

– მეც ავაგებ _____ თქვენთან ერთად.

– სად გაგონილა, რომ _____ აგებდნენ კოშკებს, ეს რა ქალის _____ – იუკადრისა ირაკლიმ.

ცრემლები რომ დაემალა, _____ ააფახუნა გოგონამ.

– მარიტა, მარიტუნა, ჩვენ _____ კოშკებს, შენ კი ამ კოშკის _____ იქნები, – სხაპასხუპით მიუგო ლაშამ, ძმას დაუბღვირა, – ვითომ რატომ არაა ქალის _____?!

ირაკლიმ მორცხვად ჩაღუნა თავი, მერე _____ ნიჩაბი გაუწოდა გოგონას. გახარებულმა მარიტამ _____, გამოართვა და ბიჭებზე არანაკლები მონდომებით _____ მუშაობას.

კოშკი მართლაც ზღაპრული გამოუვიდათ, _____ გოგოს რომ შეეფერებოდა, ისეთი. შინ _____ აღარ უნდოდათ მეგობრებს. მზის ჩასვლამდე _____ ზღვის პირას და ათასნაირ ამბავს _____ კოშკში ჩაკეტილ მზეთუნახავსა და გულად _____.

მეორე დილით ადრიანად მიაშურეს ბიჭებმა _____, მაგრამ სადღა იყო კოშკი?! მის _____ ველოსიპედის ბორბლის ნაკვალევი დახვდათ. ერთმანეთს _____ შეხედეს, უსიტყვოდვე სასწრაფოდ შეუდგნენ ახალი, _____ ისეთივე კოშკის აგებას. ჩქარობდნენ, მალე _____ გამოჩნდებოდა სანაპიროზე.

„ამომხტარი სიტყვების“ აქტივობის ბარათის ნიმუში



აქტივობის ბარათი კითხვის და წერის სწავლებისათვის

უნარები: ტექსტის წაკითხვა, გაგება-გააზრება, წერა

მოცემულ სიტყვებს მოუძებნე ადგილი ტექსტში:

შევუშინდი, ლომაც, სანადირო, ხანია, სიცილით, მოვიმარჯვე, სოფელში, მოისროლა, გამოვიდოდა, მოტრფიალე, საგმირო, ტყეში.

ნიმუში: 1 – სოფელში

ეს ამბავი იმერეთის ერთ-ერთ ___1___ მოხდა და, მიუხედავად იმისა, რომ ამ ყველაფრიდან საკმაოდ დიდი ___2___ გასული, მას დღემდე ანეკდოტად ყვებიან...

მაშინ სოფელში ცხოვრობდა ერთი ნადირობის ___3___ კაცი, ონისე მხეიძე, ძაღლიც ჰყავდა, ღრმად პატივცემული ლომა. ___4___ ონისე გარეთ, დავჯდებოდა საფიხვნოში და თავის ___5___ საქმეებს მოუთხრობდა იქ მყოფთ:

– ავიღე ერთ დღეს ჩემი ___6___ თოფი, შენ ხარ ჩემი ბატონი, და, წავედი ___7___. რასაკვირველია, თან ___8___ გევიყოლიე, აბა, სხვანაირად როგორ მოვიქცეოდი?! ვიფიქრე: შემომხვდება კურდღელი ან მწყერი-მეთქი და... დათვი არ შემხვდა?! არ ___9___ და თოფი ___10___, მაგრამ ვინ დამაცადა სროლა?! გაჰკრა ამ შეჩვენებულმა თოფს ხელი და ___11___ სადღაც ჯანდაბაში!

– შენ რა გეგონა, ერთი, ონისე, ჭკუით გატენილო, გაგიწვებოდა ის დათვი წინ და აქეთ შეგეხვეწებოდა: შენს ბედნიერებას, მომკალიო?! ჰა? – ___12___ დაეკითხა მონადირეს ულვაშა, ოდნავ ჩასხმული იოსები, რომელიც სულ წაჰკბენდა ხოლმე ონისეს.

64

V-VI კლასი

თავი VI

გაგება-გააზრება

- *რა არის კითხვის მთავარი დანიშნულება?*
- *რას ნიშნავს წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრება და როგორ კითხულობენ ეფექტური მკითხველები?*
- *როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს გაგება-გააზრების სტრატეგიები?*
- *რა მეთოდები გამოვიყენოთ გაგება-გააზრებაზე მუშაობის დროს?*
- *როგორ შევაფასოთ გაგება-გააზრების უნარი?*

გაგება-გააზრების მეთოდების/აქტივობების ცხრილი

მეთოდი / აქტივობა	რესურსი	გვერდი
კლასტერული/გონებრივი რუკა	ფურცელი და კალამი	226
პირველი სტრიქონები	წინასწარ შერჩეული ტექსტი	228
მოლოდინების გზამკვლევი	დაფა/დიდი ფორმატი, ცარცი/მარკერი	228
საგაზეთო სტატიის სათაური	ფურცელი, კალამი, დაფა, ცარცი ან მარკერი	229
მართული კითხვის აქტივობა	ტექსტი (ან ტექსტები) მოსწავლეთა კითხვის დონის, საჭიროებების ან ინტერესების გათ-ვალისწინებით; ფურცელი, კალამი	230
პერსონაჟის რუკა	კალამი, ფურცელი / შესავსები სქემა (სქემების ამოსაბეჭდი ვერსიები იხ. დანართში)	233
დებატები		236
სოკრატესეული (სოკრატული) დიალოგი		237
დაამყარე კავშირი	კალამი, ფურცელი / შესავსები სქემა (სქემის ამოსაბეჭდი ვერსია იხ. დანართში)	239
პარალელების გავლება / კავშირების დამყარება	წინასწარ შერჩეული ტექსტი, კალამი, ფურცე-ლი / შესავსები სქემა (სქემის ამოსაბეჭდი ვერსია იხ. დანართში)	240
ურთიერთსწავლება	წინასწარ შერჩეული ტექსტი, დაფა, ცარცი/ მარკერი, კალამი, ფურცელი, შესავსები სქემა (სქემის ამოსაბეჭდი ვერსია იხ. დანართში)	242
მოზაიკა	მოსწავლეთა ჯგუფების რაოდენობის მიხედ-ვით დაყოფილი ტექსტი, ფერადი/დანომრილი ბარათები	244
ოთხი კუთხე	სიტყვის ბარათები, დიდი ფორმატის ქაღალდი/ დაფა, მარკერი/ცარცი	246
ცოცხალი ქვიზი/ა-ბ-გ-დ კუთხეები	ა-ბ-გ-დ იარლიყები; მოკლე შეკითხვები ოთხი სავარაუდო პასუხით	247
5 კითხვა (ვინ? სად? რა? როდის? რატომ?)	დაფა, ცარცი/მარკერი, კალამი, ფურცელი/ შესავსები სქემა (სქემის ამოსაბეჭდი ვერსია იხ. დანართში)	248
კითხვები და პასუხები (QAR)	წინასწარ შერჩეული ტექსტი, კალამი, ფურცე-ლი/შესავსები სქემა (სქემის ამოსაბეჭდი ვერსია იხ. დანართში)	249
დაფიქრდი – დაწყვილდი – გაუზიარე	დაფა/დიდი ფორმატის ქაღალდი, ცარცი/მარკ-ერი, ფურცელი, კალამი	251
3-2-1და მისი ვარიაციები	დაფა, ცარცი/მარკერი, ტექსტი, ფურცელი/ რვეული, კალამი	252
სამწუთიანი პაუზა	წინასწარ მომზადებული დაუსრულებელი წინადადებები ყველა მოსწავლისათვის, დაფა, ცარცი/მარკერი, კალამი, რვეული	253
მიბრუნდი და ისაუბრე	რვეული/ფურცელი, კალამი	254
ერთწინადადებიანი შეჯამება (რეზიუმე)	ფურცელი, კალამი	255
ერთსიტყვიანი შეჯამება (რეზიუმე)	ფურცელი, კალამი, დაფა, ცარცი/მარკერი	255

„ანაბანა“ რეზიუმე	რვეული/სამუშაო ფურცელი, კალამი	256
რეზიუმე და შეკითხვები ბარათებზე	სამუშაო ფურცელი, კალამი	257
შეჯამების ბურთი	რბილი ბურთი ან რბილი სათამაშო	258
მახასიათებლების ცხრილი	სამუშაო ფურცელი/რვეული, კალამი, დაფა, ცარცი/მარკერი	258
ვიღაცას – უნდოდა – მაგრამ – საბ-ოლოოდ	წინასწარ შერჩეული ტექსტი, სამუშაო ფურცე-ლი.	259
ტექსტი ამბობს – მე ვფიქრობ – ამი-ტომაც	სამუშაო ფურცელი, კალამი	260
შეჯამების ვარსკვლავი	ტექსტი, ფურცელი/შესავსები სქემა (სქემის ამოსაბეჭდი ვერსია იხ. დანართში)	262
გასასვლელი ბილეთები	მცირე ზომის ბარათები, კალამი, დაფა, ცარ-ცი/მარკერი	263
შესასვლელი ბილეთები	მცირე ზომის ბარათები, კალამი, დაფა, ცარცი/მარკერი	264
შიდა წრე – გარე წრე	ფურცელი, კალამი	265
ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ	ფურცელი, კალამი	266
გავიგე – ვერ გავიგე	ფურცელი, კალამი	266
ცოცხალი ქანდაკება/გაყინული ეპიზო-დი/ცოცხალი სურათები	მცირე რეკვიზიტისა და კოსტიუმისთვის საჭ-ირო მასალა	267
თოვლის გუნდები	ფურცელი, დაფა, ცარცი/მარკერი	268
დიორამა	დასამუშავებელი ტექსტი (მხატვრული ან საინფორმაციო), მცირე ზომის ყუთი; პლას-ტელინი, ფერადი ქაღალდები/ფურცლები, სტიკერები, სახატავი ფანქრები, ფლომასტერე-ბი, პასტელები, წებო, მცირე ზომის ფიგურები, ფერადი ძაფები და სხვ.	268
ფოტოფინიში	სამუშაო ფურცელი, ფერადი ფანქრები	269
კომიქსი	ფურცელი, ფანქარი, საშლელი, ფერადი ფან-ქრები	270
ეფექტური აქტივობები წაკითხვამდე, კითხვის დროს და წაკითხვის შემდეგ		
ციტატები წიგნის დასაწყისიდან, შუა ნაწილიდან და დასასრულიდან		273
წერილები		273
წერილი პროდიუსერს		273
წიგნის რეკლამა		273
დრამატული მონოლოგი		273
დებატები ორ ფურცელზე		274
წიგნების ბაზრობა		274
ჰაიკუ		274
წიგნის რეცენზია		274

ძვირფასო ავტორო!		274
დროის ღერძი		274
ნაწარმოებთან დაკავშირებული ხელოვნების ნიმუშები		274
ფილმის თრეილერი		274
ადაპტაცია		274
სახვითი ხელოვნება		274
სპექტაკლი/წარმოდგენა		275
კოლაჟი		275
ზედსართავები		275
ძვირფასო დღიურო!		275
რა იქნებოდა...		275
ინტერვიუ პერსონაჟთან		275
პიროვნული რეკლამა		275
ჩაამატე		275
დროის მანქანა		275
ბიოგრაფია		275
ავტობიოგრაფია		275
მეორე შანსი		275
მკითხველის რეაქციის დღიური		276
ციტატები და კომენტარები		276
ძვირფასო კლასელო!		276
კავშირი მედიასთან		276
ჩაიხედე ტვინში		276
უცნაური ინტერვიუ პერსონაჟთან / ავტორთან		276
მხოლოდ ფაქტები		276
გენდერული ჩანაცვლება		276
თოქშოუ		276
ურთიერთსწავლება		276

რა არის გაგება–გააზრება და რატომ არის იგი მნიშვნელოვანი?

შეფიქრიანებული სამოცივე ბურბუშელა უკან იხრება, რათა სახანძრო იასამანი უღიმღამოდ გაიბზაროს.

ალბათ ამ წინადადების ყველა სიტყვა ნაცნობია თქვენთვის და ყოველი მათგანის მნიშვნელობაც კარგად იცით. მეტიც, გარკვეული წარმატებით თითოეული სიტყვისა და მთელი წინადადების გრამატიკული ანალიზიც შეგიძლიათ. მიუხედავად ამისა, რამდენიმე წაკითხვის შემდეგაც კი, რაიმე აზრი გამოგაქვთ? ალბათ, არა.

ტექსტის გაგებასთან დაკავშირებული ყველაზე გავრცელებული წარმოდგენა ასეთია: თუ სიტყვები იცი, წინადადებებსაც გაიგებ. რასაკვირველია, სიტყვების გაგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტექსტის გააზრების პროცესში.[1] თუმცა ეს საკმარისი არ არის. დავფიქრდეთ, რა განსხვავებაა სიტყვების წაკითხვასა და ტექსტის გაგება-გააზრებას შორის. მაშინაც კი, როცა თქვენ ცნობთ ყოველ სიტყვას (ავტომატურად შიფრავთ ორთოგრაფიულ ხატს) და თითოეულ მათგანს მყისიერად ანიჭებთ შესაბამის მნიშვნელობას, გამთლიანებული, კონკრეტული აზრის ჩამოყალიბებას მაინც ვერ ახერხებთ. წარმოიდგინეთ, ამგვარი წინადადებებით აწყობილი რამდენიმე გვერდი რომ გქონოდათ წასაკითხი. თანაც, ყოველ მეორე წინადადებაში თითო ან ორ-ორ უცხო სიტყვასაც შეხვედროდით. ალბათ ყველაფერს იღონებდით, რომ ასეთი მტანჯველი საქმისთვის თავი აგერიდებინათ.

კითხვა გააზრების გარეშე კითხვა არ არის. გინახავთ ბავშვი რომელსაც შეუძლია, სწორად წაიკითხოს სიტყვები, მაგრამ თუ ჰკითხავთ, რა წაიკითხა, ვერაფერს ამბობს? ამ მოვლენას შეიძლება რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს, კერძოდ:

- მოსწავლე იმდენად დიდ ენერგიას ხარჯავს სიტყვების ამოცნობასა და „გაბგერებაზე“, რომ მათი მნიშვნელობა „ეკარგება“ (გაუწაფავი კითხვა);

- მოსწავლეს იმდენად არ სჭირდება ან არ აინტერესებს ტექსტის თემა და შინაარსი, რომ ვერ ახერხებს მასში გადმოცემულ ინფორმაციაზე კონცენტრირებას (მოტივაციის არქონა);

- ტექსტი იმდენად რთულია ლექსიკური, სინტაქსური ან კონცეპტუალური კუთხით, რომ მოსწავლე ვერ ახერხებს აზრების გამოტანას და ერთმანეთზე გადაბმას (მოსწავლის კითხვის დონესა და ტექსტის კითხვადობას შორის შეუსაბამობა).

წაკითხვისა და გააზრების პროცესები მჭიდროდაა ერთმანეთზე გადაჯაჭვული და ერთდროულად მიმდინარეობს. კითხვის ამ ორ დიდ კომპონენტს შორის განსხვავებას გაწაფული მკითხველები ვერ ვგრძნობთ – კითხვა ერთიანი, განუყოფელი პროცესი გვგონია. პატარა მკითხველებისთვის კი სიტყვების ამოკითხვასა და ტექსტის გააზრებას შორის კავშირი ასეთივე მკაფიო და თავისთავადი სულაც არ არის. მათი ძალისხმევა ძირითადად დეკოდირების ანუ სიმბოლოთა გაშიფვრის პროცესზეა მიმართული. ამიტომ, სანამ სიტყვების ამოცნობაში გაიწაფებიან, გააზრებისა და ინტერპრეტაციისთვის ნაკლები ენერგია რჩებათ.

სიტყვების ამოცნობის უნარის გაწაფვა (სწრაფი დეკოდირება და მნიშვნელობის მინიჭება) კარგი კითხვის უმნიშვნელოვანესი საყრდენია. თუმცა ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. მთავარია, მოსწავლეებმა შეძლონ სხვადასხვა ტიპის ტექსტიდან აზრის გამოტანა, საკუთარ გონებაში წარმოდგენების კონსტრუირება და იმის გაცნობიერება, თუ რას ეუბნება ავტორი მკითხველს.

[1] კვლევების მიხედვით, თუ ტექსტის სიტყვათა 5%-ზე მეტი გაუგებარია, მკითხველს ფრუსტრაცია ეუფლება. სწორედ ამ კანონზომიერებას ეყრდნობა წიგნის შერჩევის „ხუთი თითის“ წესიც.

გაგება-გააზრება კითხვის ყველაზე მნიშვნელოვანი სამიზნე კომპონენტია.

მოკლედ რომ ვთქვათ, იგი წაკითხულიდან აზრის გამოტანაა. ერთი შეხედვით, ეს მარტივ მოქმედებად აღიქმება. მაგრამ პროცესი საკმაოდ რთულია და მისი სწავლება, სწავლა და პრაქტიკაში გადატანა ადვილი არ არის. გაგება-გააზრება ნებელობითი (შეგნებული), აქტიური, ინტერაქტიული (იგულისხმება ინტერაქცია ავტორთან) პროცესია. ის იწყება წაკითხვამდე, მიმდინარეობს კითხვის დროს და წაკითხვის შემდეგაც გრძელდება. არსებობს გაგება-გააზრების სხვადასხვა დონე: სიტყვასიტყვითი, ანალიტიკური და შეფასებითი. მკითხველი იაზრებს ტექსტში მოცემულ ექსპლიციტურ, ფაქტობრივ ინფორმაციას და ასევე იმპლიციტურ, ტექსტში დაფარული სახით არსებულ ინფორმაციას.

განვიხილოთ უფრო დეტალურად. როცა ბავშვი კითხულობს, მის გონებაში სინქრონულად მუშაობს რამდენიმე „პროცესორი“:

- **ანბანური/ორთოგრაფიული პროცესორი**, რომელიც ასოებს აღიქვამს; კვლევების უმრავლესობა გვარწმუნებს, რომ გაწაფული მკითხველი ავტომატურად ცნობს ყოველ სიტყვას და მის შემადგენელ ყველა ასოს;

- **ფონოლოგიური პროცესორი**, რომელიც აღქმულ მთლიან სიტყვებს გონებაში ახმოვანებს;

- **სემანტიკური პროცესორი**, რომელიც თითოეულ დეკოდირებულ სიტყვას მნიშვნელობას ანიჭებს;

- **სინტაქსური (გრამატიკული) პროცესორი,** რომელიც სიტყვებს აღიქვამს და აერთიანებს სხვა სიტყვებთან წინასწარ განსაზღვრული გრამატიკული წესების მიხედვით;

- **კონტექსტური პროცესორი**, რომელიც უფრო მსხვილ იდეებში აერთიანებს სიტყვებს და ფრაზებს, აყალიბებს ვარაუდებს მომდევნო სიტყვებისა და აბზაცების შინაარსის შესახებ. ეს ბოლო პროცესორი ვერ იმუშავებს წინა პროცესორებისგან მოწყვეტილად. თუმცა ოთხივე პროცესორის ერთდროული მუშაობა ხელს უწყობს ერთმანეთის ეფექტურობას.

გაწაფული მკითხველის გონებაში კითხვის ტექნიკურ მხარეზე პასუხისმგებელი პროცესორები იმდენად სწრაფად და ხარისხიანად მუშაობენ, რომ მკითხველს გააზრებისათვის საუკეთესო წინაპიროებებს უქმნის. გაგება-გააზრების სიღრმესა და სიცხადეს სემანტიკური და კონტექსტური პროცესორების ინტენსიური, შეთანხმებული მუშაობა განაპირობებს. თუ რომელიმე პროცესორი შეფერხდა, სააზროვნო ენერგია ასო-ბგერებისა და სიტყვების დამუშავებაზე იხარჯება, რაც შინაარსში წვდომისთვის საჭირო ენერგიას სხვა პროცესებისკენ მიმართავს.

გაგება-გააზრებასა და ლექსიკურ მარაგს შორის არსებობს კვლევით დადასტურებული მჭიდრო კავშირი, კერძოდ, ბავშვები, რომლებმაც მეტი სიტყვა იციან, უკეთ იგებენ ტექსტებს. ტექსტის გასაგებად მკითხველმა მასში გამოყენებული სიტყვები უნდა გაიგოს. თუ ცალკეული სიტყვები გაუგებარია, მთლიანი ტექსტიც გაუგებარი დარჩება. ტექსტის ყოველი სიტყვისათვის მნიშვნელობის მინიჭების გარდა, ბავშვმა უნდა შეძლოს მათი ლოგიკური მსჯელობით უერთიერთდაკავშირება და გამთლიანება. სწორედ ეს განაპირობებს ტექსტის გაგება-გააზრებას და ამიტომ არის საჭირო, რომ ბავშვებმა უწყვეტად გაიმდიდრონ ლექსიკური მარაგი ახალი სიტყვებით. წინა თავში ჩვენ უკვე შევეხეთ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობის საუკეთესო მეთოდებს და რესურსებს. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა აქტიურად გამოიყენონ ისინი წაკითხვამდე, კითხვის პროცესში და წაკითხვის შემდეგ.

ცნობილია, რომ ტექსტის გაგება-გააზრებაზე ორიენტირებული მკითხველები იყენებენ **გააზრების სტრატეგიებს**. ესენია: შეკითხვების დასმა და პასუხების ძიება, ტექსტის სტრუქტურაზე დაკვირვება, შეჯამება, წარმოსახვაში გაცოცხლება, გაგების მონიტორინგი და სხვ.

როგორ ვითარდება გაგება-გააზრების უნარი?

პატარა მკითხველები გაგება-გააზრების უნარს ადვილად, სწრაფად და თავისთავად ვერ ეუფლებიან. წაკითხულის გაგება-გააზრების სტრატეგიების გამოყენება ხანგრძლივად ისწავლება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ტექსტების კითხვასთან ერთად გაგება-გააზრებაც თავისთავად გაღრმავდება. სამწუხაროდ, ხშირად ასე არ ხდება. გააზრების უნარ-ჩვევებს/სტრატეგიებს შევსება, გამდიდრება, გაძლიერება და უწყვეტი გადახალისება სჭირდება. მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა ტიპის ტექსტს გააზრების განსხვავებული სტრატეგიები მიესადაგება. მხატვრული, თხრობითი ტექსტების გააზრება განსხვავდება საბუნებისმეტყველო ტექსტების გააზრებისაგან, რომელიც, თავის მხრივ, განსხვავდება საგაზეთო სტატიის გააზრებისაგან და ა.შ. ასე რომ, გაგება-გააზრების ათვისება მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის, სიღრმის და დიაპაზონის ტექსტებს კითხულობს ადამიანი.

გაგება-გააზრებაზე ოთხი ფაქტორი ზემოქმედებს, ესენია: 1) მკითხველი, 2) ტექსტი, 3) მიზანი და 4) სიტუაციური კონტექსტი/გარემო. **მკითხველი** არის სუბიექტი, რომელიც ჩართულია გაგება-გააზრების პროცესში (მაგალითად, მესამეკლასელი ელენე ან მეექვსეკლასელი მურადი). **ტექსტი** არის საკითხავი მასალა, რომელსაც იაზრებს მკითხველი (მოთხრობა, სტატია, ლექსი, სარეკლამო განცხადება და სხვ.). **მიზანი** გულისხმობს გააზრების ამოცანას, რომლის შესრულებასაც ცდილობს მკითხველი და იმ სტრატეგიებს, რომლებსაც ამისათვის იყენებს (მაგალითად, არგუმენტირებული ესეისთვის ინფორმაციის მოძიება, კონსტრუქტორის აწყობის პროცედურის გაცნობა, ნაწარმოების ძირითადი იდეის დადგენა, მოვლენების თანმიმდევრობის დროით ღერძზე წარმოდგენა, პერსონაჟის განზრახვის ამოცნობა და სხვ.). **კონტექსტი** კი არის იმ გარემოებათა ერთობლიობა, რომელშიც მიმდინარეობს კითხვის პროცესი.



როგორც ზემოთ ვთქვით, წაკითხულის გააზრება სამ სხვადასხვა **დონეზეა** შესაძლებელი: ა) სიტყვასიტყვითი გაგების დონეზე, ბ) ანალიზისა და დასკვნის გამოტანის (ჩაწვდომის) დონეზე და გ) კრიტიკული შეფასების დონეზე. შესაბამისად, გაგება-გააზრებისათვის მკითხველმა უნდა შეძლოს ტექსტის მრავალმხრივი ინტერპრეტაცია, რაც მოითხოვს:

- ნაცნობი სიტყვების ავტომატურად ამოცნობას და მათი მნიშვნელობის გახსენებას;
- უცნობი სიტყვების სწრაფად დეკოდირებას და მათთვის მნიშვნელობის მინიჭებას;
- კონტექსტური მინიშნებების/გასაღებების ამოცნობას და გამოყენებას;

- წინადადებებში გადმოცემული აზრების ერთმანეთთან დაკავშირებას;
- ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის დაკავშირებას საკუთარ გამოცდილებასთან;
- წაკითხულის გასააზრებლად ისეთი სტრატეგიების გამოყენებას, როგორიცაა: ვიზუალიზება, შეჯამება, მთავარი იდეის გამოკვეთა, ტექსტის ნაწილებს შორის მიმართების დადგენა, სხვადასხვა დონის კითხვების დასმა, დასკვნების გაკეთება, ვარაუდების გამოთქმა და სხვ.

მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი რიგ სირთულეებს აწყდება წაკითხულის გააზრებაში, ამიტომ საჭიროა მიმოვიხილოთ ამ სირთულეების განმაპირობებელი ფაქტორები, რათა შევიმუშავოთ სწორი სტრატეგიები/მიდგომები და გამოვიყენოთ შესაბამისი მეთოდები მათ აღმოსაფხვრელად.

ის მკითხველი, რომელიც წაკითხულის გააზრების ძლიერი უნარებით გამოირჩევა, კითხვისას მრავალ კოგნიტურ სტრატეგიას იყენებს, როგორიცაა წარმოდგენა და წარმოსახვა – წაკითხული სცენების, მოქმედებების, გმირების, სიტუაციების ვიზუალიზება. ტექსტის წაკითხვისას მას ებადება კითხვები და ცდილობს, ამ კითხვებზე პასუხების გაცემას, კითხვისას აკონტროლებს, რა გაიგო და რა – ვერა, წაკითხულს კრიტიკულად იაზრებს, შეუძლია ტექსტში გადმოცემული ძირითადი აზრების შეჯამება და ვარაუდების გამოთქმა. ყოველივე ზემოთქმულის განსახორციელებლად კარგი მკითხველი შეიძლება ხშირად დაუბრუნდეს წაკითხულ ეპიზოდებს და კითხვის მიზნების შესაბამისად ცვალოს კითხვის სტრატეგიები.

სასწავლო ამოცანები (მისაღწევი შედეგები) და სწავლის ტრაექტორია

პირველი, საბაზისო დონეა სიტყვასიტყვით აზრის გაგება. ამ დონეზე მკითხველს შეუძლია ტექსტიდან ფაქტობრივი ინფორმაციის ამოღება (სად ხდება მოქმედება, რა ჰქვია მთავარ გმირს, რა პროფესიისაა და ა. შ.).

ანალიტიკური კითხვის დონეზე მკითხველმა უნდა შეძლოს ტექსტში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დასკვნების გამოტანა, მაგ., პერსონაჟი დაახასიათოს მისი მეტყველების და ქცევის მიხედვით. ამ დროს, გარდა იმისა, რომ მკითხველი აკეთებს დასკვნებს, შეუძლია ტექსტში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შემდგომი მოვლენებიც ივარაუდოს. კარგი მკითხველები ცდილობენ გამოკვეთონ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები, გამოიტანონ დასკვნები მათი მიზეზებისა და შესაძლო შედეგების შესახებ. ეს აუცილებელი უნარებია ტექსტის გასააზრებლად, ვინაიდან ავტორი ყველა დეტალს ვერ გააშუქებს, ხშირად ის არაპირდაპირი, იმლიციტური სახით გვაწვდის იდეებს თითოეული დეტალის საგანგებო აღწერისა და ახსნა-განმარტების გარეშე.

კრიტიკული კითხვა კი ის დონეა, როცა მკითხველს წაკითხულის გააზრებასთან ერთად მისი შეფასებაც შეუძლია, მაგ., შეუძლია აზრი გამოთქვას ავტორის მიზნის, ჩანაფიქრის, სტილის, იდეისა თუ თვალთახედვის შესახებ. აგრეთვე, შეუძლია წაკითხული ტექსტის ძირითადი აზრის გამოკვეთა, მისი სხვა ავტორების იდეებთან შედარება და საკუთარი დამოკიდებულების განსაზღვრა.

როგორც ვხედავთ, გაგება-გააზრება კომპლექსური უნარია, რომლის განვითარებას საკმაო დრო და ძალისხმევა ესაჭიროება. ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის შედარებით ახალია ეროვნული სასწავლო გეგმის ისეთი ასპექტები, როგორიცაა:

- კითხვის სწავლების დასაწყისშივე გაგება-გააზრებაზე ორიენტირება ანბანისა და დეკოდირების სწავლების პარალელურად (პირველ კლასში);
- გაგება-გააზრების საწყისი სტრატეგიების მოდელირება და გავარჯიშება (ჯერ კიდევ პირველი კლასიდან);
- მხატვრული ტექსტების პარალელურად საინფორმაციო ტექსტების წაკითხვის სწავლება.

კარგი მკითხველის უნარ-ჩვევები და სტრატეგიები

მონიშვნები და ჩანაწერები. კარგი მკითხველი კითხვის დროს აკეთებს აღნიშვნებს საინტერესო, გაუგებარ, საკვანძო სიტყვებზე, წინადადებებსა და აბზაცებზე. ამოიწერს ბარათზე ან რვეულში უცნობ სიტყვებს, ტერმინებს, ციტატებს და სხვ.

კავშირები ტექსტში. კითხვის დროს და წაკითხვის შემდეგაც გააცნობიერებს, თუ რა კავშირია ტექსტსა და საკუთარ გამოცდილებას შორის, ასევე, რა კავშირშია ეს ტექსტი სხვა ტექსტებთან და გარესამყაროსთან.

ვიზუალიზაცია. კითხვისას ცდილობს, მკაფიოდ წარმოიდგინოს პერსონაჟები, მოვლენები, საგნები და მიმართებები.

შეკითხვების დასმა. უსვამს შეკითხვებს საკუთარ თავს და ავტორს წაკითხვამდე, წაკითხვის დროს და წაკითხვის შემდეგ.

ხელმეორედ წაკითხვა. ხელახლა უბრუნდება და კითხულობს ტექსტს ზოგიერთი დეტალის დასაზუსტებლად და წამოჭრილ შეკითხვებზე პასუხის მოსაძიებლად ან გააზრების პროცესში აღმოცენებული ბარიერების დასაძლევად.

ტექსტის ნაწილებად დაყოფა. თითო ჯერზე კითხულობს მხოლოდ ერთი-ორ აბზაცს ან რამდენიმე წინადადებას. პაუზის გაკეთებისას დაფიქრდება წაკითხულ მონაკვეთზე, იყენებს კითხვის სტრატეგიებს და ამის შემდეგ აგრძელებს კითხვას.

„სამი დათვის“ პრინციპი (ადეკვატური ტექსტების შერჩევა). ბიბლიოთეკაში, წიგნის მაღაზიაში თუ საკლასო ოთახში წიგნის შერჩევისას ითვალისწინებს, რომ წიგნი არ უნდა იყოს ზედმეტად რთული ან ზედმეტად მარტივი. ზედმეტად რთულია წიგნი, რომლის ერთ გვერდზე 5-ზე მეტი გაუგებარი სიტყვაა. შესაფერისია ისეთი წიგნი, რომლის თითო გვერდზე შეიძლება იყოს ერთი-ორი უცნობი სიტყვა, მაგრამ მთლიანობაში ტექსტის შინაარსი გასაგებია.

კითხვა მეწყვილესთან ერთად. ხმამაღლა კითხულობს თითო აბზაცს მეწყვილესთან ერთად. ყოველი აბზაცის შემდეგ ერთად შეაჯამებენ და განიხილავენ წაკითხულს. კითხვის პროცესში ხმამაღლა გამოთქვამს შეკითხვებს და აზრებს. მაგალითად, თუ პერსონაჟმა ვინმე გაახსენა, ჩერდება და საუბრობს ამ ასოციაციის შესახებ. ეს ტექნიკა შემდგომშიც დაეხმარება წაკითხულის გახსენებაში.

დღიურის წარმოება. კითხვის პროცესში აკეთებს ჩანაწერებს სპეციალურ „მკითხველის“ დღიურში. სხვებსაც უზიარებს საკუთარ შთაბეჭდილებებს და შეხედულებებს მიმოწერის დღიურებში.

ონლაინ კომუნიკაცია წაკითხულის შესახებ. განათავსებს საკუთარ ჩანაწერებს და შთაბეჭდილებებს ინტერნეტ სივრცეში (ბლოგზე, ფორუმებზე, სოციალურ ქსელში და ა.შ.) კითხულობს სხვათა ჩანაწერებს და მონაწილეობს ონლაინ განხილვებში.

გრაფიკული სქემები. ქმნის გრაფიკულ სქემებს და ცხრილებს, რომლებშიც ვიზუალურად ასახავს ტექსტში გადმოცემულ ინფორმაციას. სქემებს იყენებს საკუთარი ტექსტის გააზრებისა და საკუთარი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებისათვის.

გაგება-გააზრების სწავლების ზოგადი პრინციპები

წაკითხულის გაგება-გააზრების უნარი ყველაზე უკეთ მაშინ ვითარდება, როცა მასწავლებელი მას ექსპლიციტურად – ჩვენების, ახსნისა და მართული პრაქტიკის გზით ასწავლის მოსწავლეებს. ასევე კარგი შედეგი აქვს სტრატეგიების კომბინირებულად გამოყენებას (მაგალითად, როცა მოსწავლეები ცდილობენ, შეკითხვების დასმისა და შეჯამების სტრატეგიები ერთდროულად გამოიყენონ). მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება, რომ განსხვავებული ტიპისა და ჟანრის ტექსტებთან იმუშაონ და გამოიყენონ ათვისებული სტრატეგიები. გაგება-გააზრების სწავლებაში წარმატების ოქროს გასაღები კარგად სტრუქტურირებული აქტივობებია.

რა აძლიერებს გაგება-გააზრების სწავლება-სწავლის პროცესს?

- ტექსტის გაგება-გააზრების სტრატეგიების სწავლება;
- ტექსტზე ფოკუსირებული დისკუსიები მოსწავლეებს შორის;
- თანამშრომლობითი სწავლა წყვილებსა და მცირე ჯგუფებში;
- ადეკვატური, მაგრამ განსხვავებული სირთულის, სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტებთან მუშაობა;
- ლექსიკური მარაგის აქტივობების ინტეგრირება გააზრების აქტივობებში;
- წერითი აქტივობების გამოყენება ტექსტის გააზრების ინტრუმენტის სახით.

რა არის გააზრების სტრატეგია და რომელი სტრატეგიები უნდა ვასწავლოთ იმისათვის, რომ მოსწავლემ ეფექტურად შეძლოს წაკითხული ტექსტების გაგება-გააზრება?

გაგება-გააზრების სტრატეგია არის ნაბიჯების განსაზღვრული თანმიმდევრობა, ანუ პროცედურა, რომელსაც კარგი მკითხველები მიზნობრივად და შეგნებულად იყენებენ ტექსტიდან აზრის გამოსატანად. გაგების სტრატეგიების სწავლება ეხმარება მოსწავლეს, ჩამოყალიბდეს აქტიურ, მიზანზე ორიენტირებულ მკითხველად, რომელიც კითხვის დროს აკონტროლებს იმას, თუ რა და როგორ გაიგო.

ქვემოთ მოცემულია იმ ძირითადი სტრატეგიების ნუსხა, რომლებიც ტექსტის გაგება-გააზრებას საგრძნობლად აუმჯობესებს.

სტრატეგია	სტრატეგიის აღწერა	მკითხველის შეკითხვის მაგალითები
წინარე ცოდნის გააქტიურება	მკითხველი გაიხსენებს და გააააქტიურებს ტექსტის საკვანძო თემაზე საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას, დააკავშირებს წინარე ცოდნას კითხვის მიზანთან ან დავალებასთან.	რა ვიცი ამის შესახებ? სად რა წამიკითხავს ან მინახავს?
ვარაუდების გამოთქმა	მკითხველი კონტექსტის გამოყენებით წარმოიდგენს მოსალოდნელ მოვლენებს. წინასწარ განჭვრეტს, თუ რა მიმართულებით განავითარებს ავტორი ამბის მსვლელობას ან საკითხის განხილვას.	რა მოხდება შემდეგ? რას იტყვის ავტორი ამის შემდეგ?
ტექსტის სტრუქტურის დადგენა	მკითხველი დააკვირდება და ამოიცნობს ტექსტის სტრუქტურულ ელემენტებს და ჟანრობრივ მახასიათებლებს.	რა ტიპის ტექსტია? თხრობითია თუ ინფორმაციული? რა ნაწილებისგან შედგება?
კავშირების დამყარება / პარალელების გავლება	მკითხველი ამყარებს სამი ტიპის კავშირებს: წაკითხული ტექსტი – საკუთარი გამოცდილება, წაკითხული ტექსტი – სხვა ტექსტები, წაკითხული ტექსტი – გარესამყარო.	რასთან შეიძლება ამ მოვლენის/იდეის დაკავშირება? რა პარალელების გავლებაა შესაძლებელი?

შეკითხვების დასმა	მკითხველი საკუთარ თავს უსვამს ტექსტთან დაკავშირებულ შეკითხვებს წაკითხვამდე, კითხვის დროს, წაკითხვის შემდეგ; შეკითხვები შეიძლება ემსახურებოდეს ფაქტობრივი ინფორმაციის ამოღებას, ცნებების/მოვლენების ანალიზს ან შინაარსის კრიტიკულად გააზრებას. შეკითხვების დასმით მოსწავლე დაადგენს, თუ როგორ მიმდინარეობს წაკითხულის გაგება-გააზრება.	ვინ? სად? რა? როდის? როგორ? რატომ? რისთვის?
წარმოსახვა/ვიზუალიზება	მკითხველი წარმოსახვაში აცოცხლებს, „გონებაში“ აღიქვამს გმირებს, გარემოებებს, მოქმედებებს, საგნებს, მოვლენებს, კავშირებს და ა. შ.	რას ვხედავ? როგორ გამოიყურება? რა ფერისაა?
შეჯამება და ძირითადი აზრის გამოკვეთა	მკითხველი გამოკვეთს წაკითხული მონაკვეთების ძირითად აზრს და მოკლედ აყალიბებს მას სხვა/საკუთარი სიტყვებით. ერთმანეთს უკავშირებს საკვანძო იდეებს, ამოაგდებს მეორეხარისხოვან ინფორმაციას და კარგად იმახსოვრებს წაკითხულს.	რომელი ინფორმაციაა პირველხარისხოვანი? როგორ შემიძლება ამის თქმა მოკლედ?
ჩაწვდომა/მიხვედრა/დასკვნების გამოტანა	მკითხველი მიაგნებს კონტექსტურ მინიშნებებს/გასაღებებს, ამოიცნობს მოვლენების მიზეზებს და შედეგებს, გამოაქვს დასკვნები ტექსტში მოცემულ ფაქტებზე დაყრდნობით, განმარტავს უცნობი სიტყვების მნიშვნელობას.	რამ გამოიწვია ..... ? რას შეიძლება ნიშნავდეს ..... ? რას გულისხმობს ავტორი?
თვითმონიტორინგი	მკითხველი ცდილობს გაგება-გააზრებაში შეფერხების დაფიქსირებას და აღმოფხვრას. დააკვირდება, თუ რა ესმის კარგად და რა არა. თუ კარგად ვერ იგებს, სწრაფად შეარჩევს და გამოიყენებს საჭირო სტრატეგიებს – ხელახლა წაკითხვას, კონტექსტზე ფოკუსირებას, კითხვის ტემპის შეცვლას, სიტყვის მნიშვნელობის ლექსიკონში მოძიებას და ა. შ.	რომელი ადგილია გაუგებარი? რა არის გაუგებარი? რა გავაკეთო ამ ადგილის გასააზრებლად?

გაგება-გააზრების სწავლების საუკეთესო გზაა პირდაპირი, ექსპლიციტური სწავლება. ექსპლიციტური სწავლება გულისხმობს, რომ მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, თუ რატომ და როდის ვიყენებთ სტრატეგიებს, რომელ სტრატეგიებს ვიყენებთ და როგორ ვიყენებთ მათ. ჩვეულებრივ, ექსპლიციტური სწავლება ოთხ საფეხურს მოიცავს: პირდაპირი ახსნა-განმარტება, მასწავლებლის მიერ მოდელის/მაგალითების ჩვენება, მართული პრაქტიკა/ვარჯიში და დამოუკიდებლად გამოყენება.

პირდაპირი ახსნა-განმარტება	მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რატომ გვიწყობს ხელს მოცემული სტრატეგია ტექსტის გააზრებაში და როდის გამოვიყენოთ იგი.
მოდელირება	კონკრეტულ ტექსტთან მუშაობის დემონსტრირების გზით მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს, თუ როგორ ვიყენებთ მოცემულ სტრატეგიას. როგორც წესი, ამ აქტივობას მასწავლებელი „ხმამაღლა ფიქრით“ ახორციელებს.
მართული პრაქტიკა/ვარჯიში	მასწავლებელი უძღვება და ეხმარება მოსწავლეებს სტრატეგიის დაუფლების პროცესში, როცა ისინი ცდილობენ, პრაქტიკულად გამოიყენონ იგი.
გამოყენება	მასწავლებელი წაახალისებს მოსწავლეებს, როდესაც ისინი დამოუკიდებლად იყენებენ მოცემულ სტრატეგიას.

გაგება-გააზრების სტრატეგიების ეფექტურად სწავლება შეიძლება განხორციელდეს **თანამშრომლობითი სწავლით**, რაც მოსწავლეების წყვილებსა და მცირე ჯგუფებში მუშაობას გულისხმობს. ამ დროს ჯგუფის წინაშე მდგარი ამოცანა ზუსტად და მკაფიოდაა განსაზღვრული. ბავშვები ერთად ცდილობენ ტექსტის გაგებას, ეხმარებიან ერთმანეთს სტრატეგიების გამოყენებაში. ამავდროულად, მასწავლებლები ეწვევიან ხოლმე მოსწავლეთა ჯგუფებს და საჭიროებისამებრ ეხმარებიან მათ ამა თუ იმ დავალების შესრულების პროცესში. შესაძლოა, მასწავლებელმა კიდევ ერთხელ შეახსენოს მოსწავლეთა ჯგუფს, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ესა თუ ის სტრატეგია, უჩვენოს მათ პრაქტიკული მაგალითები, მისცეს მინიშნებები ან პრაქტიკული მითითებები.

გააზრების უნარ-ჩვევებისა და სტრატეგიების ნაბიჯ-ნაბიჯ დანერგვის მოდელი

ზემოთ აღწერილი უნარ-ჩვევებისა და სტრატეგიების ასათვისებლად სასურველია გამოიყენოთ პასუხისმგებლობის ნაბიჯ-ნაბიჯ გადაცემის მოდელი.

ნაბიჯი 1. თავდაპირველად უჩვენეთ ბავშვს, თუ როგორ იყენებთ სამიზნე უნარ-ჩვევას/სტრატეგიას თქვენ თვითონ. შეარჩიეთ ამისთვის თქვენი მოსწავლეებისთვის საინტერესო წიგნი. გამოიყენეთ ხმამაღლა ფიქრის ტექნიკა.

ნაბიჯი 2. გადადით ერთობლივ პრაქტიკაზე. გამოიყენეთ სამიზნე უნარ-ჩვევა/სტრატეგია ერთობლივად. დემონსტრირების პროცესი თქვენ წარმართეთ და პერიოდულად ჩართეთ მასში მოსწავლე/მოსწავლეები.

ნაბიჯი 3. ჩაატარეთ მართული პრაქტიკის აქტივობები. შესთავაზეთ მოსწავლეებს უნარ-ჩვევების/სტრატეგიების გამოყენება წყვილებსა და მცირე ჯგუფებში. შეარჩიეთ ამისთვის ადეკვატური სირთულის ტექსტები/წიგნები. მიაწოდეთ კონსტრუქციული უკუკავშირი, მინიშნებები და რჩევები.

ნაბიჯი 4. მიეცით საშუალება მოსწავლეს/მოსწავლეებს დამოუკიდებლად გამოიყენოს სამიზნე უნარ-ჩვევა/სტრატეგია. მიეცით სტრატეგიების გამოყენების შედეგებზე საუბრის, საკუთარი გამოცდილების გაზიარებისა და შთაბეჭდილებების გამოხატვის საშუალება.

აუცილებლად განიხილეთ კლასში ამა თუ იმ უნარ-ჩვევის/სტრატეგიის გამოყენების დადებითი და გასაუმჯობესებელი მხარეები. შეიძლება სტრატეგიის მოდელირებისა და ერთობლივი გავარჯიშების ხელახალი ციკლის ჩატარება დაგჭირდეთ. მთავარია, რომ თანდათანობით მოსწავლის მიერ სტრატეგიის ბუნებრივად, ადვილად და სრულიად დამოუკიდებლად გამოყენებას მიაღწიოთ.

სასარგებლოა გაგების სტრატეგიების კლასიფიკაცია იმის მიხედვით, თუ რა დონის აზროვნებას მოითხოვს ისინი.

სიტყვასიტყვითი გაგება-გააზრება	მოსწავლისგან მოითხოვს ტექსტში ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის გახსენებას, საგნებისა და მოვლენების აღწერა-დახასიათებას.
ანალიტიკური გაგება (ინტერპრეტაცია)	მოსწავლისგან მოითხოვს შინაარსში ჩაწვდომას, მნიშვნელოვანი საკითხების შეჯამებას, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების აღმოჩენას და დასკვნების გაკეთებას.
შეფასებითი გაგება-გააზრება (კრიტიკული რეფლექსია)	მოსწავლისგან მოითხოვს ავტორის ნათქვამზე სიღრმისეულ მსჯელობას, განზოგადებული მოსაზრებების გამოთქმას, მთავარ იდეაზე საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებას და მის დასაბუთებას.

მნიშვნელოვანია, რომ აქაც ნაბიჯ-ნაბიჯ დანერგვის მიდგომას მივმართოთ. ეს ეხება როგორც ცალკეული ტექსტის დამუშავებას, ისე მთლიანად კითხვის სწავლების პროცესსაც. მოსწავლეებმა ჯერ დაბალი საფეხურის გაგების სტრატეგიები უნდა გამოიყენონ და ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის დაუფლების შემდეგ გადავიდნენ ინტერპრეტაციისა და შეფასებითი (კრიტიკული გააზრების) საფეხურებზე.

„ხმამაღლა ფიქრის“ ტექნიკის გამოყენება გაგება-გააზრების სწავლებისათვის

გააზრების სტრატეგიების სწავლებისათვის საუკეთესო საშუალებაა მასწავლებლის მიერ მოდელირება „ხმამაღლა ფიქრის“ ტექნიკის გამოყენებით. ზოგადად, ფიქრი ადამიანის გონებაში მიმდინარე უხილავი პროცესია. სხვა ადამიანის აზროვნებას ხელით ვერ ვეხებით, თვალით ვერ ვხედავთ და ყურით ვერ ვისმენთ. სწორედ ამიტომ, მოდელირების მიზნით, მასწავლებლები პერიოდულად ახმოვანებენ გააზრების პროცესს და თვალსაჩინოდ უჩვენებენ მოსწავლეებს, თუ როგორ აზროვნებენ კარგი მკითხველები წაკითხვამდე, კითხვის დროს და წაკითხვის შემდეგ.

განვიხილოთ გააზრების სტრატეგიების სწავლების მიზნით ხმამაღლა ფიქრის ტექნიკის გამოყენების ნიმუში კონკრეტული ტექსტის მაგალითზე (ჯანი როდარის ზღაპარი „ტროლეიბუსი №75“). ეს ნიმუში გვიჩვენებს, თუ როგორ ატარებს მასწავლებელი **წინარე ცოდნის გააქტიურების, ვარაუდების გამოთქმისა და ვიზუალიზების (წარმოსახვაში გაცოცხლების)** სტრატეგიების მოდელირების მინიგაკვეთილს ხმამაღლა ფიქრის გამოყენებით.

მინიგაკვეთილის ფაზა	**მასწავლებლის მოქმედება**	**მასწავლებლის ტექსტი**
მინიგაკვეთილის შესავალი	მასწავლებელი იღებს წიგნს და შეამზადებს მოსწავლეებს ხმამაღლა ფიქრის აქტივობისთვის (მინიგაკვეთილისთვის). ის აყალიბებს კითხვის მიზანს, შემდეგ მიმოიხილავს სათაურს, ათვალიერებს წიგნის გვერდებს და ლაპარაკობს ტექსტის ელემენტების შესახებ (ქვესათაურები, გამუქებული სიტყვები, ილუსტრაციები). კითხულობს სათაურს და ხმამაღლა ამბობს, რა იცის უკვე. აყალიბებს ვარაუდებს და სვამს შეკითხვებს. კითხვის დაწყების წინ სთხოვს ბავშვებს, რომ პაუზების დროს არ განაგრძონ ტექსტის დამოუკიდებლად კითხვა, ვიდრე თავად არ ეტყვის.	დღეს მე გიჩვენებთ, თუ როგორ კითხულობს კარგი მკითხველი. ამისათვის მე ჩემს ფიქრებს ხმამაღლა გამოვთქვამ. თქვენ დაინახავთ და გაიგონებთ, რა ხდება ჩემს გონებაში, როცა მე ვკითხულობ. ასე რომ, დღეს ძალიან საინტერესო მოგზაურობა გელით – თქვენ ჩემი ფიქრების სამყაროში იმოგზაურებთ. მაშ, ასე, დავიწყოთ. პირველ რიგში, სათაურს წავიკითხავ და დავფიქრდები – სათაური ხომ საკმაოდ მნიშვნელოვანია. წიგნის სათაურია „ტროლეიბუსი №75“. **(წინარე ცოდნის გააქტიურება)** რა ვიცი უკვე ტროლეიბუსზე? ვიცი, რომ ის ტრანსპორტია, რომ ქალაქში მოძრაობს, გადაადგილდება ბიგელების მეშვეობით, რომლებიც დენის მავთულებზეა ჩაბმული,
	სასურველია, მასწავლებელმა ტექსტში პერსონაჟების მონაცვლეობის მიხედვით ცვალოს ტემბრი/ტონი/ინტონაცია/გამომეტყველება/პოზა.	ბიგელების გარეშე ადგილიდანაც ვერ დაიძვრება, რადგან საწვავზე არ მუშაობს. ჰო, კიდევ ისიც ვიცი, რომ ნომრები აქვს, N 27, 51, 75... ეს ნომრები იმისთვისაა საჭირო, რომ ადამიანები ადვილად მიხვდნენ, საით მიდის და ამის მიხედვით ჩასხდნენ შიგ. საიდან ვიცი? ვმჯდარვარ, თან საკმაოდ ხშირადაც – პატარაობისას ბაბუასთან ერთად ზოოპარკში ტროლეიბუსით მივდიოდი

		ხოლმე, ოღონდ რა ნომრით, ეგ აღარ მახსოვს... ახლაც ხომ ვისაუბრეთ და კიდევ რაღაცები გავიხსენეთ მის შესახებ. აბა, ვნახოთ რაზე იქნება მოთხრობა, რომელსაც, ცოტა არ იყოს, უცნაური სათაური აქვს. მოდი, ახლა პირველ წინადადებას წავიკითხავ.
ტექსტის წაკითხვა ხმამაღლა ფიქრით	მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს პირველ წინადადებას. *„ვერასდროს გამოიცნობთ, რა მოხდა ერთ მშვენიერ, თითქოსდა ჩვეულებრივ დილას!“* მასწავლებელი ხურავს წიგნს, თავს მაღლა სწევს, აკეთებს მცირე პაუზას და იწყებს საუბარს. საუბრის შემდეგ აგრძელებს კითხვას, კითხულობს რამდენიმე მომდევნო წინადადებას. *„ტროლეიბუსი №75, რომელიც საერთოდ პარკიდან მოედნამდე დადის, ჩვეული გ ზით კი არ წავიდა, გარეუბნისკენ გადაუხვია... ჯერ ორ წუთსაც არ გაევლო, რომ იმხელა ტროლეიბუსმა ქალაქი უკან მოიტოვა და ტრიალ მინდორზე დარეტიანებულივით გავარდა.“* შემდეგ ისევ ჩერდება და აგრძელებს ლაპარაკს.	**(ვარაუდების გამოთქმა)** „ნეტავ რა უნდა მომხდარიყო ასეთი უცნაური და არაჩვეულებრივი? თან ისეთი, ვერასდროს რომ ვერ გამოვიცნობთ? ჩემი აზრით, ტროლეიბუსი აღარ დახვდა მძღოლს სადგომზე. შეიძლება ტროლეიბუსში მოხდა ჩხუბი მგზავრებს შორის? ან, ალბათ, შუა გზაში გაფუჭდა.“ **(შეკითხვების დასმა)** „კი მაგრამ, შეიძლება, რომ ტროლეიბუსმა ბიგელების გარეშე იმოძრაოს? თუ რაღაც განსაკუთრებული ტროლეიბუსი იყო? იქნებ მძღოლი ნასვამი იყო და საჭე ვეღარ დაიმორჩილა? მაგრამ დილაადრიან სად დათვრებოდა... იქნებ გამოუძინებელი იყო და ჩაეძინა საჭესთან საწყალს...“ **(ვიზუალიზება)** „აბა, ერთი წამით თვალები დავხუჭოთ და ყველამ წარმოვიდგინოთ ეს მომენტი... მასწავლებელი თავადაც ხუჭავს თვალებს და ბავშვებსაც იმავეს სთხოვს. ახლა დავინახე, როგორ მიქრის დარეტიანებული ტროლეიბუსი მინდორზე, ბიგელები ცაში აქვს აშვერილი და შხუილით ჩაუქროლებს ხალხს, ხეებს... რა სანახავი იქნებოდა!..)
მინიგაკვეთილის შეჯამება	მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ისაუბრონ მოდელირებული სტრატეგიების შესახებ. სთხოვს მოსწავლეებს გამოიყენონ მოდელირებული სტრატეგიები მართული კითხვისა და დამოუკიდებელი კითხვის დროს.	რას იტყვით, რა დაგამახსოვრდათ? რომელი სტრატეგიები გაჩვენეთ? რა მოგეწონათ? როგორ გამოიყენებთ ჩემ მიერ ნაჩვენებ სტრატეგიებს კითხვის დროს? ახლა გთხოვთ, თქვენ გააგრძელოთ ტექსტის წაკითხვა და გამოიყენოთ ჩემ მიერ მოდელირებული სტრატეგიები.

ცხრილში წარმოდგენილი მინიგაკვეთილის მიზანია კონკრეტული სტრატეგიების ანდა რამდენიმე სტრატეგიის კომბინაციის მოდელირება მართულ პრაქტიკაზე გადასვლამდე. უმჯობესია, თუ თავდაპირველად თითო ასეთი მინიგაკვეთილი ერთი კონკრეტული სტრატეგიის სწავლებაზე იქნება კონცენტრირებული. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ თანდათანობით მოსწავლეებმა სტრატეგიების კომბინირებულად გამოყენებაშიც ივარჯიშონ. სასურველია, ხმამაღლა ფიქრის მინიგაკვეთილები სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში გაგრძელდეს. სტრატეგიის სწავლების პირველ ეტაპზე მაწავლებელი ასეთ მინიგაკვეთილებს მთელი კლასისთვის ატარებს. მართული პრაქტიკის დროს კი მასწავლებელმა შეიძლება ხმამაღლა ფიქრი გამოიყენოს მოსწავლეთა ჯგუფის/ წყვილის დახმარების მიზნით.[1]

[1] ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელმა ხმამაღლა ფიქრის მეთოდით მუშაობის დროს უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა შესაძლებლობები და უხვად უნდა მიმართოს ილუსტრირებისა და მიმიკა-ჟესტიკულაციის გამოყენების სტრატეგიებს. ცხადია, მასწავლებელს შერჩეული უნდა ჰქონდეს ადეკვატური სირთულის საინტერესო და „ადვილად საფიქრალი“ ტექსტი.

შეკითხვების დასმა და პასუხების ძიება, როგორც გაგება-გააზრების მთავარი სტრატეგია

ტექსტის გაგება-გააზრებისათვის კარგი მკითხველები საკუთარ თავს უსვამენ შეკითხვებს წაკითხვამდე, კითხვის დროს და წაკითხვის შემდეგ. ეს შეკითხვები საშუალებას აძლევს მკითხველს, თვალყური ადევნოს ტექსტის შინაარსს, სტრუქტურას და ენობრივ მახასიათებლებს. შეკითხვები სხვადასხვა მიზნით დაისმის. მათი მთავარი დანიშნულებაა იმის გაგება, თუ რას ამბობს ავტორი და როგორ აყალიბებს იგი სათქმელს. ზოგჯერ კარგი მკითხველები ავტორს უსვამენ შეკითხვებს.

ტექსტის წაკითხვამდე	**კითხვის დროს**	**წაკითხვის შემდეგ**
მნიშვნელოვანია, რომ გავააქტიურო წინარე ცოდნა ამ კონკრეტული თემის, ასევე, ტექსტის სტრუქტურის გარშემო; გამოვკვეთო ტექსტთან დაკავშირებული მოლოდინები.	მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაქციო, რამდენად კარგად ვიაზრებ წაკითხულს. თუ სათანადოდ ვერ ვიაზრებ, არ უნდა ავჩქარდე. აჯობებს, რომ შევჩერდე, მოვიშველიო კითხვის სტრატეგიები, კარგად გავიაზრო ტექსტი და მხოლოდ ამის შემდეგ განვაგრძო კითხვა.	მნიშვნელოვანია, რომ წაკითხულს გამოვეხმაურო; დავაკავშირო მისი შინაარსი სხვა ტექსტებთან და იდეებთან; გავიღრმავო საკითხის ცოდნა, გავაანალიზო და შევაფასო გადმოცემული იდეები; შევაფასო ტექსტის გააზრების ხარისხი.
- რა მიზნით ვაპირებ ამ ტექსტის წაკითხვას? რაში დამეხმარება ეს ტექსტი? - რას მეუბნება სათაური და ავტორის ვინაობა? რას მეუბნება სარჩევი, სურათები, გამოკვეთილი სიტყვები? - რომელი ტიპის ნაწარმოებია: მხატვრული, საინფორმაციო? როგორ მივხვდი? - რა ინფორმაცია მაქვს უკვე ამ თემაზე? რა მახსენდება? რა ასოციაციები მიჩნდება? - რა მოლოდინი მაქვს, რა ინფორმაციას მივიღებ ამ ტექსტიდან? რა შეკითხვებზე გამცემს პასუხს ეს ტექსტი?	- რაზე დამაფიქრა ტექსტის დასაწყისის წაკითხვამ? რამ დამაინტერესა? - რა აზრები გამომაქვს წაკითხული აბზაციდან/მონაკვეთიდან? შემიძლია შევაჯამო აბზაცის შინაარსი? - როგორ შემიძლია მოკლედ გადმოვცე ამ მონაკვეთის/აბზაცის მთავარი აზრი? - რა დამეხმარება უცნობი სიტყვის მნიშვნელობის გაგებაში? - შემიძლია შეაჯამო ის, რაც უკვე წავიკითხე? - რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი აზრები? - რა ახალი ფაქტები აღმოვაჩინე? - რა ვარაუდები მიჩნდება? რა მოხდება შემდეგ? - ხომ არ მჭირდება აბზაცის/მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა მისი შინაარსის გასააზრებლად? - ხომ არ მჭირდება კითხვის შენელება მისი შინაარსის გასააზრებლად?	- რამდენად გაეცა პასუხი წაკითხვამდე და კითხვის დროს დასმულ შეკითხვებს? - რამდენად გამართლდა წაკითხვამდე და კითხვის დროს ჩამოყალიბებული ვარაუდები? - რა იყო ამ ტექსტის მთავარი იდეა და ძირითადი სათქმელი? რა ზოგადი დასკვნების გამოტანა შეიძლება? - რა მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და კანონზომიერებები დამანახა ტექსტმა? - რა ტექსტებს და იდეებს დავუკავშირე ამ ტექსტის შინაარსი? - რაზე ვფიქრობ და რაზე მსჯელობის სურვილი მაქვს ტექსტის წაკითხვის შემდეგ?
- რატომ დაწერა ავტორმა ეს ნაწარმოები?	- ტექსტის რომელი დეტალების წარმოსახვაში გაცოცხლება დამეხმარება იმისათვის, რომ უკეთესად გავიაზრო ეს ტექსტი? - ხომ არ შემხვდა ისეთი უცნობი სიტყვა, რომლის მნიშვნელობის ცოდნა საჭიროა ტექსტის მთავარი აზრის გასაგებად? ხომ არ მჭირდება შეჩერება და უცნობი სიტყვის მნიშვნელობის გასაგებად ლექსიკონის ან სხვა წყაროების გამოყენება?	- როგორ გადმოსცა ავტორმა სათქმელი? რა ხერხები გამოიყენა? - რა არის ამ ტექსტის ზოგადი თემა? - ვურჩევდი სხვებს ამ ტექსტის წაკითხვას? რატომ?

ძირითადი რჩევები მოსწავლეთა გაგება-გააზრების უნარის განსავითარებლად

1. **დაუსახეთ წაკითხვის მიზანი.** კონკრეტულად განსაზღვრეთ, თუ რა მიზნით უნდა წაიკითხონ ბავშვებმა ტექსტი: ინფორმაციის მოსაძიებლად, საკითხის შესაჯამებლად, შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, კლასელებისთვის მოსაყოლად, დღიურში ჩანაწერების გასაკეთებლად, ილუსტრაციის გასაფერადებლად და სხვ. გაცნობიერებული მიზანი დადებით გავლენას ახდენს ადამიანის მოქმედებებზე და შესწავლილი ინფორმაციის დამახსოვრებასაც უწყობს ხელს.

   გააკეთეთ მოდელირება. ესაუბრეთ იმის შესახებ, თუ რატომ ვკითხულობთ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ტექსტებს. შემდეგ სთხოვეთ, თვითონაც გააკეთონ გონებრივი იერიში. მკაფიოდ დაანახეთ, რომ კითხვის მიზანი მხოლოდ საშინაო დავალების შესრულება ან ტესტის ჩაბარება არ არის. წაუკითხეთ სამი განსხვავებული ტიპის ტექსტი (მაგ., ანეკდოტი გაზეთიდან, საქმიანი ელექტრონული წერილი და საკვები პროდუქტის შემადგენლობა შეფუთვაზე). ესაუბრეთ, რა მიზნით კითხულობთ თითოეულ შემთხვევაში და რა განსხვავებებს იწვევს ისინი კითხვის პროცესში.

2. **შეარჩიეთ შესაფერისი ტექსტები.** გაგება-გააზრებისთვის შეარჩიეთ მოსწავლის კითხვის დონის შესაფერისი ტექსტები. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთისგან გამიჯნოთ ტექსტების/წიგნების ორი კატეგორია: 1) ტექსტები, რომლითაც კითხვას ვსწავლობთ, 2) ტექსტები, რომელთა კითხვითაც სხვადასხვა საკითხებს ვსწავლობთ. როცა კითხვის უნარის დასაუფლებელ ტექსტს (1) ვარჩევთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ **მოსწავლის კითხვის დონე**. ტექსტი ბავშვისთვის არც ძალიან რთული უნდა იყოს და არც ძალიან მარტივი. ყურადღება მიაქციეთ **ტექსტის სირთულის** ძირითად პარამეტრებს. სცადეთ ისეთი ტექსტების შერჩევა, რომლებშიც ძნელად დეკოდირებადი სიტყვების რაოდენობა არ აღემატება 10%-ს, ხოლო უცნობი სიტყვების რაოდენობა – 5%-ს.

   ასწავლეთ ბავშვებს ტექსტების შერჩევა. დამოუკიდებელი კითხვის ბლოკისათვის მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა თავადვე შეძლონ შესაფერისი ტექსტების მიგნება. ამისათვის გაუვარჯიშეთ **ხუთი თითის ტექნიკა** (იხ. თავი IV, გაწაფული/გამართული კითხვა). ტექსტების შერჩევისას გამოიყენეთ შემდეგი კრიტერიუმები: თემატიკა, ტექსტის მოცულობა, ტექსტის სტრუქტურა და ელემენტები (სარჩევი, თავები და ქვეთავები, სიტყვების საძიებელი და სხვ.), ჟანრი, ენობრივი მახასიათებლები (ლექსიკური არსენალი, უცხო სიტყვების რაოდენობა, წინადადებების სიგრძე, გრამატიკული კონსტრუქციები), დიზაინი და გაფორმება (მდიდარი ილუსტრაციები, სურათები და სქემები, შრიფტის ზომა, თითო გვერდზე სიტყვების რაოდენობა).

3. **გამოიყენეთ ხმამაღლა ფიქრი.** ფიქრის გახმოვანებისა და ილუსტრირების მეთოდი დიდ დახმარებას უწევს პატარა მკითხველებს. ამ დროს ბავშვები თვალსაჩინოდ „ხედავენ“, თუ როგორ მიმდინარეობს გაგება-გააზრების პროცესი და დემონსტრირებულ მოქმედებებს თვითონაც იყენებენ დამოუკიდებელი კითხვისას.

4. **დასვით „რატომ?“ შეკითხვები.** მკითხველი ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავშირებს სხვა ინფორმაციასთან და საბოლოოდ აზრების ინტეგრირებით ქმნის ახალ მნიშვნელობას. სასურველია მასწავლებელმა წინასწარ შეარჩიოს ტექსტში საგანგებო ადგილები (მაგ. ყოველი აბზაცის ან ქვეთავის ბოლო) და დაუსვას მოსწავლეებს „რატომ?“ შეკითხვები. ეს უბიძგებს მათ ტექსტის ღრმად გააზრებისა და ნაყოფიერი სწავლისკენ. ასევე სასარგებლოა, თუ მოსწავლეები თავადაც დასვამენ „რატომ“ შეკითხვებს.

5. **ასწავლეთ ტექსტის ტიპები და სტრუქტურა.** სასურველია მოსწავლეებმა რაც შეიძლება ადრე დაიწყონ ტექსტის ტიპური სტრუქტურების ცნობა და ერთმანეთისგან გარჩევა. გააცნობიერონ, რომ წერის დროს ავტორები სხვადასხვაგვარად აორგანიზებენ ინფორმაციას. მაგალითად, საინფორმაციო ტექსტი შეიძლება აიგოს აღწერის, თანმიმდევრობის,

მიზეზ-შედეგობრიობის, მსგავსება-განსხვავებისა და პრობლემის გადაჭრის სტრუქტურული ქარგის მიხედვით. კარგი მკითხველები ტექსტის ტიპისა და სტრუქტურის დასადგენად იყენებენ თვალის გადავლებისა და სკანირების ტექნიკას, გასაღებ სიტყვებს, გრაფიკულ სქემებს, დიზაინის ელემენტებს. ტექსტის სტრუქტურას ბავშვები ყველაზე უკეთ ითვისებენ ექსპლიციტური ახსნა-განმარტების, თვალსაჩინოდ მოდელირებისა და მართული პრაქტიკის გზით. ასევე სასარგებლოა ისეთი სავარჯიშოები, როგორიცაა წერა ამა თუ იმ სტრუქტურული ქარგის მიხედვით, ერთი სტრუქტურის ტექსტის გადაწერა სხვა სტრუქტურის სახით, სტრუქტურასთან დაკავშირებული გრაფიკული სქემების გამოყენება და სხვა.

6. **გაუმდიდრეთ მოსწავლეებს ლექსიკური მარაგი.** გაგება-გააზრების უმთავრესი საყრდენი ლექსიკური მარაგია. მასწავლებელი გამუდმებით უნდა მუშაობდეს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებისთვის, იყენებდეს მრავალფეროვან მეთოდებს, სავარჯიშოებსა და გრაფიკულ სქემებს.

7. **დააკავშირეთ კითხვა წერასთან.** კარგი მკითხველები კითხვის დროს ხშირად ფანქრით ან კალმით მუშაობენ. ისინი აკეთებენ მონიშვნებს, ჩანიშვნებს, ამონაწერებსა და ჩანაწერებს, რაც წაკითხულის გაგება-გააზრებაში ეხმარებათ. ტრადიციული ან ონლაინ ჩანაწერები კარგი საშუალებაა რეფლექსიის, საკუთარი აზრის გაზიარებისა და წაკითხულის უკეთ დამახსოვრებისთვის. ასეთი „ჩანაწერები“ მდიდარი რესურსია ფორმალიზებული წერითი დავალებების შესრულებისთვის მოსამზადებლადაც (მაგ. თხზულების ან ესეის დაწერა).

8. **ხშირად გამართეთ დისკუსიები, ასაუბრეთ მოსწავლეები წაკითხულის შესახებ.** წაკითხულის შესახებ საუბარი ტექსტის გააზრების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა.[1] საუბრის დროს შესაძლებლობა გვეძლევა, დავსვათ შეკითხვები, საკუთარი სიტყვებით გადმოვცეთ წაკითხული ტექსტის შინაარსი, მოვისმინოთ განსხვავებული შეხედულებები, გამოვხატოთ ემოციები, აღმოვაჩინოთ ახალი დეტალები, გავცვალოთ არგუმენტები და ა.შ. ამ უნარების ჩამოყალიბებისთვის ზრუნვა დაწყებით საფეხურზევეა საჭირო.

9. **მიაჩვიეთ მოსწავლეები გაგება-გააზრების მონიტორინგს.** მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები მიეჩვიონ გააზრების პროცესში შეფერხების დაფიქსირებას და შესაფერისი სტრატეგიების შერჩევას მისი აღმოფხვრის მიზნით. ამისათვის სასარგებლოა, რომ მოსწავლემ შეძლოს წაკითხვამდე მიზნის განსაზღვრა, ტექსტის მიმოხილვა, წაკითხვის ტემპის შერჩევა. წაკითხვის შემდეგ უნდა გადაამოწმოს, რა გაიგო კარგად და რა ვერ გაიგო. გაგება-გააზრების მონიტორინგისთვის საჭიროა: კონკრეტულად იდენტიფიცირება, თუ სად გაჩნდა გააზრების პრობლემა, პრობლემის დადგენა, რთული ან გაუგებარი წინადადების (მონაკვეთის) ხელახლა ჩამოყალიბება საკუთარი სიტყვებით, ტექსტთან უკან მიბრუნება, ტექსტის მომდევნო ნაწილების გადახედვა და ისეთი ინფორმაციის ამოღება, რომელიც შეიძლება დაეხმაროს ამ ნაწილის გაგებაში.

10. **ასწავლეთ მოსწავლეებს ვიზუალური სქემების /გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება.** გრაფიკული სქემები ეხმარება მოსწავლეს ახალი ინფორმაციის სტრუქტურირებაში, არსებულ და ახალ ინფორმაციებს შორის მიმართებების ანალიზში, გააზრების თვალსაჩინოდ დემონსტრირებაში, წერილობითი ნამუშევრის მომზადებაში. სქემების გამოყენება სასარგებლოა გაკვეთილის ყველა ეტაპზე, როგორც წაკითხვამდე, ასევე წაკითხვის დროს და წაკითხვის შემდგომ.

   არსებობს სხვადასხვა დანიშნულებისა და დიზაინის გრაფიკული სქემები (იხ. დანართი). გრაფიკულ სქემებს ვიყენებთ ცნებებისა და მათ შორის კავშირების გასააზრებლად, ტე-

[1] მოსწავლის მიერ მოვლენების აღწერა, ამბების მოყოლა, მოსმენილის ან ნანახის ზეპირად გადმოცემა, დისკუსიებში ჩართვა დიდ როლს ასრულებს როგორც ზეპირმეტყველების, ისე გაგება-გააზრების უნარების განვითარებაში.

ქსტის სტრუქტურის დასადგენად, პერსონაჟების დასახალიათებლად, ძირითადი აზრის გამოსაკვეთად და სხვ. სქემების გამოყენება და მასზე ვარჯიში იმიტომაცაა კარგი, რომ თანდათანობით ისინი მკითხველის გონებაში გადაინაცვლებს და კითხვის პროცესში ავტომატიზებული სახით ამოქმედდება.

11. **დააკვირდით, თვალყური ადევნეთ და შეაფასეთ.** მოსწავლეებს გაუწიეთ მუდმივი მონიტორინგი, მოაგროვეთ ინფორმაცია და მიეცით საჭირო უკუკავშირი. გამოიყენეთ დაკვირვების სხვადასხვა ინსტრუმენტი – დაკვირვების ფურცლები, რუბრიკები, მასწავლებლის სწრაფი/მორბენალი ჩანაწერები და სხვ.

ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებისთვის

გაგება-გააზრების სტრატეგიებზე მუშაობა აუცილებელია დავიწყოთ პირველივე კლასიდან, კითხვის სწავლების პირველივე ეტაპიდან. შესაძლებელია თუ არა ამის მიღწევა ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების შემთხვევაში?

მოსწავლე, რომელმაც სიტყვაც კი არ იცის სამიზნე ენაზე, პირველ კლასში უკვე აზროვნებს, ფიქრობს, აქვს საკმაო ცოდნა და ინფორმაცია გარემომცველი სამყაროს შესახებ, აქვს საკუთარი წარმოსახვა, ოცნებები, მოუსმენია და იცის სხვადასხვა ამბავი, უყურებია უამრავი მულტ-ფილმისა თუ ფილმისთვის. შესაბამისად, ასეთ მოსწავლეს ძნელია შეუზღუდო გაკვეთილზე (მათ შორის, მეორე/უცხოური ენის გაკვეთილზე) ფიქრისა და აზროვნების უნარი. წარმატებულია ის პედაგოგი, რომელიც სააზროვნო პროცესების წარმართვითა და გაგება-გააზრების სტრატეგიების გავარჯიშებით მოახერხებს მოსწავლეებისთვის კითხვის ყველა კომპონენტის სწავლებას **(წიგნთან მუშაობის საწყისი უნარ-ჩვევები, ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, ანბანისა და სიტყვების წაკითხვის სწავლება, ლექსიკური მარაგი, გაწაფული კითხვა)**.

სასურველია კითხვის თითოეული კომპონენტის სწავლება მიმდინარეობდეს გამთლიანებულ, ავთენტურ კონტექსტში.

მაგალითად:

- წიგნთან მუშაობის საწყისი უნარ-ჩვევების სწავლებისას მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ დიდი წიგნები, ვესაუბროთ მათზე, წავუკითხოთ ისინი. მაგალითად, დიდი წიგნი „წითელქუდა“. ეს ზღაპარი ყველა ბავშვისთვის ცნობილია მშობლიურ ენაზე. მისი შინაარსობრივი და სტრუქტურული დაწურვა, ილუსტრირება და დიდი წიგნის ფორმატში მოქცევა სრულიად ხელმისაწვდომს გახდის მას მეორე/უცხოური ენის შემსწავლელი ბავშვებისთვისაც (სულაც არ არის აუცილებელი, რომ ყველა სიტყვა და გრამატიკული კონსტრუქცია პირველივე წაკითხვაზე გასაგები იყოს მეორე ენის შემსწავლელისთვის. გავიხსენოთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენთვის პრიორიტეტული სხვა მიზნებია, კერძოდ, წიგნთან მუშაობის საწყისი უნარების გამომუშავება.). ერთი დღის განმავლობაში ტექსტის რამდენჯერმე წაკითხვა, საუბარი, მეორე და შემდგომ დღეებში მასთან პერიოდულად მიბრუნება ამ ტექსტს ნაცნობსა და საყვარელს გახდის მოსწავლეებისთვის.
- ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარებაც პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს. მაგალითად, როდესაც ვკითხულობთ დიდ წიგნს „წითელქუდა“, მოსწავლეებს შევასრულებინოთ ფონოლოგიური სავარჯიშოები იმ სიტყვებზე, რომლებიც გვხდება ტექსტში: „წითელქუდა“, „მგელი“, „ბებია“, „დედა“, „მონადირე“, „სახლი“ და ა.შ.

დანარჩენი კომპონენტებიც, ცხადია, სწორედ გაგება-გააზრებაზე დაფუძნებული აქტივობებით უნდა განვითარდეს.

გაგება-გააზრების სტრატეგიების სწავლებისას მასწავლებლის მეტყველება არ უნდა გადაიტვირთოს არც უცნობი ლექსიკური ერთეულებით, არც ვრცელი და რთული სინტაქსური კონსტრუქციებით. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასწავლებელმა პირველკლასელ მოსწავლეებს არ უნდა დაუსვას „რატომ“ ტიპის შეკითხვები, იმის შიშით, რომ ისინი ლექსიკური მარაგის სიმწირის გამო ვერ მოახერხებენ ამ შეკითხვაზე სრულფასოვანი პასუხის გაცემას. ზოგიერთ, გამონაკლის შემთხვევაში მოწავლეს საშუალება უნდა მიეცეს მშობლიურ ენაზეც გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები, ფიქრები, აზრები. არ აქვს მნიშვნელობა, მასწავლებელს ესმის თუ არა მოსწავლის მშობლიური ენა.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში ისეთი არაქართულენოვანი სკოლები/სექტორებიცაა, სადაც მოსწავლეებმა ქართული ენა გარკვეულ დონეზე უკვე იციან სკოლაში შესვლამდე. შესაბამისად, ამ სკოლებში/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელს არ გაუჭირდება არც ერთი ქვემოთ შემოთავაზებული აქტივობის ჩატარება. თუ აქტივობის ჩატარება ვერ მოხერხდება მოსწავლეთა მწირი ლექსიკური მარაგის ან/და მათივე არასაკმარისი სხვა ენობრივი კომპეტენციების გამო, გამოიყენეთ ისეთი მიდგომები, რომელთა შესახებაც წინა თავებშიც იყო საუბარი. კერძოდ:

- გაამარტივეთ მეთოდი, მაგალითად, ამოიღეთ/შეცვალეთ ზოგიერთი საფეხური/ნაწილი;
- მიმართეთ მკაფიო და ხშირ მოდელირებას;
- შეძლებისდაგვარად განტვირთეთ აქტივობა და ტექსტი უცნობი ლექსიკური ერთეულებისგან, რთული ენობრივი კონსტრუქციებისგან;
- განახორციელეთ აქტივობა დანაწევრებულად – ერთი ნაწილი ერთ გაკვეთილზე, მეორე – შემდეგ გაკვეთილზე;
- აქტივობის რომელიმე ნაწილში მიეცით მოსწავლეებს საშუალება გამოიყენონ მშობლიური ენა;
- აქტივობის იდეა და შინაარსი გაუზიარეთ მშობლიური/უცხოური ენის მასწავლებელს, რათა მანაც გამოიყენოს ესა თუ ის მეთოდი.
- გადადეთ ისეთი მეთოდის გამოყენება, რომელიც ზედმეტ, არაადეკვატურ დროსა და ენერგიას წაიღებს თქვენგან, მისი ეფექტურობა კი უმნიშვნელო იქნება.

გაგება-გააზრების სწავლების მეთოდები/აქტივობები

კლასტერული/გონებრივი რუკა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„კლასტერული რუკა“ არის სქემა, რომელიც გვეხმარება ინფორმაციის თვალსაჩინოდ ორგანიზებაში. შესაბამისად, მისი შექმნა ხელს უწყობს ინფორმაციის უკეთ გააზრებასა და დამახსოვრებას. „კლასტერული რუკის“ შექმნისას ცნების მახასიათებლები ჯგუფდება სხვადასხვა კატეგორიაში და განაწილდება სქემაში.

ამ აქტივობის გამოყენებით მოსწავლეები:

- მრავალი კუთხით გაიზრებენ ცნებას (სიტყვას) და მასთან დაკავშირებულ სხვა ცნებებს;
- სწავლობენ ტექსტში მოცემული ინფორმაციის თვალსაჩინოდ ორგანიზებას;
- შეაჯერებენ ძველ და ახალ ცოდნას და ასწორებენ შეცდომებს (მცდარ წარმოდგენებს).

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, მთელი კლასი

რესურსი: დაფა, ცარცი/მარკერი, ფურცელი.

მსვლელობა

I ეტაპი (ტექსტის წაკითხვამდე)

- მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, სამი წუთის განმავლობაში ინდივიდუალურად ჩამოწერონ სულ მცირე, სამი რამ, რაც იციან მითითებულ ცნებაზე (მაგალითად, ცხენთევზაზე);
- სამი წუთის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, თავიანთი ჩამონათვალი გაუზიარონ მეწყვილეს და შეაჯერონ საკუთარი ნააზრევი;
- მასწავლებელი თითოეული წყვილის პასუხებს თავად წერს დაფაზე ან დიდი ზომის ფურცელზე.

შენიშვნა: მასწავლებელმა ყველა მოსაზრება უნდა დააფიქსიროს – მართებულიც და მცდარიც (მოსწავლეები გაკვეთილის მომდევნო ეტაპზე, ტექსტზე მუშაობის დროს, დააზუსტებენ ამ მოსაზრებათა მართებულობა-მცდარობას). თუ კლასში ბევრი მოსწავლეა, შესაძლებელია, მასწავლებელმა თითოეულ წყვილს მხოლოდ თითო პასუხის გაზიარება სთხოვოს. თუ სხვადასხვა წყვილს ერთი და იგივე პასუხი აღმოაჩნდა, მათი ცალ-ცალკე ჩანიშვნა არ არის საჭირო.

- მახასიათებელთა/თვისებათა დაფაზე ჩამოწერის შემდეგ მოსწავლეები იწყებენ ისეთ მახასიათებელთა/თვისებათა შერჩევას, რომლებიც რაღაც ნიშნით ერთ ჯგუფში/კატეგორიაში შეიძლება გაერთიანდეს (მაგ., მწვანე, პატარა, აქვს ქერცლი – ეს თვისებები გაერთიანდება კატეგორიაში „გარეგნობა“). ასე შეიქმნება მახასიათებელთა რამდენიმე სვეტი თავიანთი დასათაურებით (სვეტების სათაურები შეიძლება იყოს: „საბინადრო ადგილი“, „კვება“, „გამრავლება“ და სხვ.).

გარეგნობა	კვება	...	...	...



მახასიათებელთა სვეტებად ჩამოწერის შემდეგ მასწავლებელი იწყებს „კლასტერული რუკის“ შექმნას დაფაზე ან დიდფორმატიან ქაღალდზე. „კლასტერული რუკის“ შუაში, წრეში, იწერება ის ცნება, რომელზეც ივსება სქემა, ხოლო მასთან ხაზებით დაკავშირებულ წრეებში – ჯგუფის სახელები (კატეგორიები) კონკრეტულ მახასიათებლებთან ერთად. (ნიმუში იხ. ქვემოთ)

- დაფაზე შექმნილ „კლასტერულ რუკას“ მოსწავლეები თავიანთ რვეულებში გადაიხაზავენ.

II ეტაპი (ტექსტის წაკითხვის შემდეგ)

- ტექსტზე მუშაობის შემდეგ მოსწავლეები ჩაასწორებენ ან ჩაამატებენ ინფორმაციას პირველად შექმნილ რუკაში.
- განახლებული ჩამონათვალის გათვალისწინებით ბავშვები შეასწორებენ (დაამატებენ ან მოაკლებენ მახასიათებლებს) სვეტებსაც.

ბოლოს ისინი მიუბრუნდებიან საკუთარ რვეულებში გადატანილ „კლასტერულ რუკას“ და დაასრულებენ მის შევსებას.

შევსებული ნიმუში



პირველი სტრიქონები

მეთოდის/აქტივობის შესახებ

პირველი სტრიქონები არის გაგება-გააზრების სტრატეგია, რომელსაც წაკითხვამდე ვიყენებთ. მოსწავლეები წაიკითხავენ წიგნის/ტექსტის პირველ რამოდენიმე სტრიქონს და ამის შემდეგ გამოთქვამენ ვარუდებს მისი შინაარსის შესახებ. ეს შეიძლება იყოს მოთხრობა, ლექსი, სტატია და სხვ. ტექსტის დამუშავების შემდეგ მოსწაავლეები გამართავენ დისკუსიას და გადახედავენ თავდაპირველ ვარაუდებს. მეთოდის გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს:

- ვარაუდების გამოთქმის სტრატეგიის გამოყენებაში;
- ტექსტის შინაარსზე ფოკუსირებაში.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, მცირე ჯგუფები, მთელი კლასი

რესურსი: წინასწარ შერჩეული ტექსტი

მსვლელობა

- მასწავლებელი წარუდგენს მოსწავლეებს წასაკითხ ტექსტს/წიგნს; სთხოვს მათ, რომ წაიკითხონ ამ ტექსტის მხოლოდ პირველი წინადადება/სტრიქონი (ან რამდენიმე სტრიქონი). თუ მასწავლებელი ხმამაღლა წაკითხვას გეგმავს, წაუკითხავს მათ მხოლოდ პირველ სტრიქონს;
- მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს წასაკითხი ტექსტის შინაარსის შესახებ მხოლოდ პირველ წინადადებაზე/სტრიქონზე დაყრდნობით;
- მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას გამოთქმული ვარაუდების გარშემო; შესაძლებელია, მასწავლებელმა დაფაზე ჩამოწეროს რამდენიმე შეჯერებული ვარიანტი;
- ტექსტის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები მიუბრუნდებიან თავდაპირველ ვარაუდებს და იმსჯელებენ, თუ რამდენად გამართლდა ისინი. ამასთან, მოიშველიებენ კონკრეტულ დეტალებს ტექსტიდან.

შენიშვნა: ამ მეთოდის გამოყენება სასარგებლო იქნება წერასთან ინტეგრირების მიზნითაც. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში აქცენტი არ უნდა გაკეთდეს მოსწავლეთა ნაწერებში შეცდომების აღმოჩენასა და მათ გასწორებაზე. ეს უკანასკნელი შენიშვნა განსაკუთრებით უნდა გაითვალისწინონ მეორე/უცხოური ენის მასწავლებლებმა.

მოლოდინების გზამკვლევი

მეთოდის/აქტივობის შესახებ

აქტივობა „მოლოდინების გზამკვლევი“ ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა შესასწავლი თემის/ტექსტის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გასაღვივებლად. მოსწავლეები მსჯელობენ მასწავლებლის მიერ შეთავაზებული თეზისების მართებულობის შესახებ.

აქტივობის გამოყენებით მოსწავლეებს:

- უვითარდებათ არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;
- უვითარდებათ მოსაზრების ჩამოყალიბების უნარი;
- უჩნდებათ/უძლიერდებათ ინტერესი შესასწავლი თემის მიმართ.

მუშაობის ფორმა: ჯგუფები, მთელი კლასი

რესურსი: დაფა/დიდი ფორმატი, ცარცი/მარკერი.

მსვლელობა

- მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს 2-3 წინადადებას/თეზისს შესასწავლი საკითხის შესახებ[1], რომლებზეც ცალსახა პოზიციის ქონა ადვილი არ არის და სთხოვს მოსწავლეებს დაეთანხმონ ან უარყონ მოცემული მოსაზრებები;
- მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ შეხედულებებს და მსჯელობენ/კამათობენ მოცემული თეზისების შესახებ;
- მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, წაიკითხონ ტექსტი და მოიძიონ ინფორმაცია თეზისებში წამოჭრილ საკითხზე;
- ტექსტის დამუშავების შემდეგ მოსწავლეები მიუბრუნდებიან დაფაზე ჩამოწერილ წინადადებებს/თეზისებს და შეაჯამებენ მიღებულ ინფორმაციას.

მაგალითი

ვთქვათ, შესასწავლი გვაქვს საინფორმაციო ტექსტი კოსმოსის შესახებ. მასწავლებელი ტექსტის წაკითხვამდე სთავაზობს მოსწავლეებს ორ თეზისს:

1. დედამიწის გარდა კოსმოსში არსად არ არის სიცოცხლე.

   ა) **დიახ** ბ) **არა**

2. მზე არის ერთ-ერთი პატარა ვარსკვლავი.

   ა) **დიახ** ბ) **არა**

საგაზეთო სტატიის სათაური

მეთოდის/აქტივობის შესახებ

ამ მეთოდის გამოყენებისას მოსწავლეები მოიფიქრებენ სათაურს წარმოსახვითი საგაზეთო სტატიისათვის.

ამ აქტივობის გამოყენება მოსწავლეებს:

- აჩვევს კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული სიტყვების, აზრების მობილიზებას;
- უაქტიურებს ამა თუ იმ შესწავლილი თემის/საკითხის ცოდნას;
- ასწავლის თემის/საკითხის და სათაურის გააზრებას ერთმანეთთან კავშირში;
- უვითარებს შემოქმედებით უნარებს.

მუშაობის ფორმა: მცირე ჯგუფები, წყვილები

რესურსი: ფურცელი, კალამი, დაფა, ცარცი ან მარკერი.

მსვლელობა

- მასწავლებელი თვითონ (ან მოსწავლეებთან ერთად) შეარჩევს უკვე გავლილი თემებიდან ერთ-ერთს;
- მოსწავლეები მოიფიქრებენ სათაურს წარმოსახვითი საგაზეთო სტატიისათვის (შერჩეულ თემაზე). სათაური უნდა ასახავდეს სტატიაში განხილული ამბის, მოვლენის მთავარ აზრს;

[1] აუცილებელი არაა, რომ თეზისი ეთანხმებოდეს ტექსტში მოცემულ მოსაზრებას. მთავარია, რომ ტექსტი დაეხმაროს მკითხველს საკითხის გააზრებასა და საკუთარი მოსაზრების დაზუსტებაში.

- მოსწავლეები წარადგენენ წარმოსახვითი საგაზეთო სტატიის სათაურს და სტატიის მოკლე სქემატურ შინაარსს წერილობით, ორი-სამი წინადადებით;
- საგანგებო ჟიური გამოავლენს ყველაზე შესაფერის სათაურს შერჩეულ თემაზე შექმნილი საგაზეთო სტატიისათვის.
- შესაძლებელია, მოსწავლეებს დავალებად მიეცეთ სტატიის დაწერა უკვე მოფიქრებული სათაურებით. ეს სტატიები შეიძლება განთავსდეს კედლის გაზეთში, რომელსაც საერთო თემატური სათაური ექნება.

შენიშვნა: თავდაპირველად, სანამ მოსწავლეები გაიწაფებიან, უმჯობესი იქნება, მასწავლებელმა ნიმუშის სახით თვითონ მისცეს მოსწავლეებს მზა სათაური შერჩეულ თემაზე. შემდეგ, როცა ნიმუშები ექნებათ, მოსწავლეებს უფრო გაუადვილდებათ სათაურების შერჩევა და, ზოგადად, ამ აქტივობის განხორციელება.

მაგალითი

ვთქვათ, შეირჩა თემა „ადამიანი და ბუნება“.

მოსწავლეებმა მოიფიქრეს სათაურები: 1. „განადგურებული ტყე-პარკი“; 2. „გაწბილებული ბავშვები“; 3. „ვუშველოთ ნაძვის ხეებს“.

მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ მოფიქრებულ სათაურებს სტატიის მოკლე სქემატურ შინაარსთან ერთად:

- „განადგურებული ტყე-პარკი“ ან „გაწბილებული ბავშვები“ – სტატიაში მოთხრობილი იქნება, ერთ-ერთმა სამშენებლო კომპანიამ კორპუსების ასაშენებლად როგორ გაანადგურა მშვენიერი ტყე-პარკი, სადაც ბავშვები თამაშობდნენ ხოლმე.
- „ვუშველოთ ნაძვის ხეებს“ – სტატიაში საუბარი იქნება, თუ როგორ დაუნდობლად ჭრიან ადამიანები ახალი წლისთვის ნორჩ ნაძვებს.

მართული კითხვის აქტივობა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მართული კითხვის აქტივობა – ესაა მცირე, მოქნილ, ერთგვაროვან/ჰომოგენურ ჯგუფებში მუშაობის მეთოდი. იგი მიზნად ისახავს ტექსტის წაკითხვას და კითხვის კონკრეტული უნარების განვითარებას. აქტივობა საშუალებას აძლევს მასწავლებელს, გააანალიზოს და გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის საჭიროებები, ხოლო მოსწავლეებს ეხმარება, ნაბიჯ-ნაბიჯ განივითარონ კითხვის ის უნარები (მაგალითად, გამოიმუშავონ სიტყვის დეკოდირების ან გაგება-გააზრების სტრატეგიები), რომლებშიც უფრო მეტად სჭირდებათ გაწაფვა.

ჯგუფების შემადგენლობა უცვლელი არ არის – რამდენიმე კვირის შემდეგ მოსწავლე შეიძლება გადავიდეს ერთი ჯგუფიდან მეორეში, იმის გათვალისწინებით, თუ რა დონეს მიაღწია კითხვაში ან რა ინტერესები და საჭიროებები აქვს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე მოხვდეს ისეთ ჯგუფში, რომელშიც მას კითხვაში წარმატების მიღწევის მაქსიმალური შესაძლებლობა მიეცემა. მართული კითხვის აქტივობა არ უნდა გაგრძელდეს **25 წუთზე** დიდხანს.

აქტივობის საყრდენი პრინციპები:

- მოსწავლეების დაჯგუფება საჭიროებების, უნარების, ინტერესების გათვალისწინებით;
- თითოეული ჯგუფისთვის შესაფერისი სირთულის ტექსტისა და დავალებების შერჩევა.
- საჭიროების შემთხვევაში ჯგუფებისთვის მიზნობრივი დახმარების გაწევა.

მუშაობის ფორმა: ერთგვაროვანი ჯგუფები

რესურსი: ტექსტი (ან ტექსტები) მოსწავლეთა კითხვის დონის, საჭიროებების ან ინტერესების გათვალისწინებით; ფურცელი, კალამი.

მსვლელობა

- მასწავლებელი აჯგუფებს მოსწავლეებს კითხვაში მზაობის ან საჭიროებების გათვალისწინებით (მაგ., კითხვაში გაწაფულები, კითხვაში ხარვეზების მქონენი და გაუწაფავი მკითხველები);
- წინასწარ შეარჩევს ტექსტს ჯგუფებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ჯგუფისთვის შეირჩეს ადეკვატური სირთულის ტექსტი;
- მასწავლებელი შერჩეულ ტექსტს (ან ტექსტებს) წარუდგენს ჯგუფებს, დაუსახავს კითხვის მიზანს და აძლევს შესაბამის დავალებებს;

  შენიშვნა: საჭიროებისამებრ, მასწავლებელმა შეიძლება ჩაატაროს სამიზნე უნარის/სტრატეგიის მოდელირებისა და ერთობლივად გავარჯიშების მინი-სესია.
- მოსწავლეები ჯგუფებში დამოუკიდებლად კითხულობენ მთლიან ტექსტს ან მის გარკვეულ ნაწილს მითითებული/მოდელირებული სტრატეგიის გამოყენებით. კითხვის პროცესში (ან დავალებების შესრულებისას) მოსწავლეები მასწავლებლისგან ითხოვენ დახმარებას წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის მიზნით.
- მასწავლებელი აკვირდება ჯგუფებში მოსწავლეთა მუშაობის პროცესს, მათ მიერ კითხვის სტრატეგიების გამოყენებას, დავალებების შესრულების მცდელობას და ცალკეულ მოსწავლეს ან ჯგუფს ეხმარება პრობლემის გადაჭრაში;
- ჯგუფები ასრულებენ ტექსტთან დაკავშირებულ განსხვავებული სირთულის დავალებებს.

შენიშვნა: მართული კითხვის აქტივობის ჩატარებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეთა **კითხვის დონის შესაფერისი ტექსტების შერჩევა.**

ტექსტის შერჩევისას გასათვალისწინებელი კრიტერიუმები:

- შინაარსი შეესაბამება ჯგუფში გაერთიანებულ მოსწავლეთა წინარე ცოდნა-გამოცდილებას;
- თემატურად საინტერესოა; ძნელად წასაკითხი (დეკოდირების თვალსაზრისით) სიტყვების რაოდენობა არ აღემატება 10%-ს;
- უცნობი სიტყვების რაოდენობა არ აღემატება 5%-ს.

მართული კითხვის აქტივობის სქემა

	წაკითხვამდე	კითხვის დროს	წაკითხვის შემდეგ
მასწავლებელი	• შეარჩევს შესაფერის ტექსტს მკითხველთა ცოდნისა და ინტერესების გათვალისწინებით; (გაკვეთილისთვის მზადება) • მოემზადება მოთხრობის/ ნაწარმოების მოსწავლეებისათვის გასაცნობად (გაკვეთილისთვის მზადება); • მოკლედ წარუდგენს ტექსტს/ტექსტებს მოსწავლეებს; ყურადღებას ამახვილებს ტექსტის შინაარსზე, სტრუქტურულ ელემენტებზე, ლექსიკურ ერთეულებზე, ენობრივ ფორმებზე და ვიზუალურ ინფორმაციაზე); • ზოგიერთ შეკითხვას ღიად ტოვებს, რათა მოსწავლეებმა კითხვის პროცესში უპასუხონ მათ; • მოსწავლეებს დაუსახავს კითხვის მიზანს და აძლევს შესაბამის დავალებებს.	• აკვირდება და აფიქსირებს მკითხველთა ქცევებს, კითხვის სტრატეგიების გამოყენებას; • აფიქსირებს მოსწავლის მიერ დავალების შესრულებას (პრობლემების გადაჭრის მცდელობას და წარმატებას); • საჭიროების შემთხვევაში ეხმარება ზოგიერთ მოსწავლეს (ან მოსწავლეთა ჯგუფს) პრობლემის გადაჭრაში.	• ფასილიტაციას უწევს წაკითხული ტექსტის შესახებ მოსწავლეთა მსჯელობას; ცდილობს ყველას გამოათქმევინოს საკუთარი მოსაზრებები; • მიაბრუნებს მოსწავლეებს ტექსტთან გამოთქმული მოსაზრებების დასაბუთების მიზნით; • აფასებს, თუ რა და როგორ გაიგეს მოსწავლეებმა ტექსტის წაკითხვის შედეგად; • ჩართავს მოსწავლეებს დამატებით წერისა და კითხვის აქტივობებში; • ამუშავებს მოსწავლეებს სიტყვებზე.
მოსწავლეები	• საუბრობენ ტექსტის შესახებ, გამოთქვამენ ვარაუდებს; • სვამენ შეკითხვებს; • აკვირდებიან ტექსტის ელემენტებს; ცდილობენ მოიძიონ და „მოიმარაგონ“ შინაარსობრივი, ლექსიკური და ვიზუალური გასაღებები; • აკეთებენ გარკვეულ ჩანიშვნებს მასწავლებლის განმარტებებისა და მითითებების საფუძველზე.	• დამოუკიდებლად კითხულობენ მთლიან ტექსტს ან მის გარკვეულ ნაწილს (ჩუმად ან ხმამაღლა); • კითხვის პროცესში / დავალების შესრულებისას წამოჭრილი პრობლემის გადაჭრის მიზნით ითხოვენ დახმარებას.	• მსჯელობენ ტექსტის შესახებ, გამოაქვთ მნიშვნელოვანი დასკვნები; • გადაამოწმებენ ვარაუდებს და გამოხატავენ პირად დამოკიდებულებას ტექსტის ან ინფორმაციის მიმართ; • მიღებული ცოდნის გასაღრმავებლად ერთვებიან სხვადასხვა ტიპის აქტივობებში; • აღწერენ და აფასებენ გამოყენებულ სტრატეგიებს.

პერსონაჟის რუკა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პერსონაჟის რუკის შექმნა. **იგი ხელს უწყობს:**

- ტექსტში პერსონაჟის შესახებ ყველა ინფორმაციის მოძებნას, გააზრებასა და დასკვნების გამოტანას;
- არგუმენტირების უნარის განვითარებას ტექსტიდან სათანადო ადგილების მოშველიებით;
- პერსონაჟის მიმართ დამოკიდებულების გამოხატვის უნარის განვითარებას.

მუშაობის ფორმა: ჯგუფები, წყვილები, ინდივიდუალური, მთელი კლასი

რესურსი: სამუშაო ფურცელი / შესავსები სქემა (სქემის ამოსაბეჭდი ვერსია იხ. დანართში), კალამი.

მსვლელობა

- მასწავლებელი წინასწარ შეარჩევს ნაწარმოების ისეთ პერსონაჟს (პერსონაჟებს), რომელსაც ტექსტში მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს (ან მთავარი პერსონაჟია, ანდა მასთან მიმართებით უკეთ წარმოჩინდება მთავარი პერსონაჟის მახასიათებლები);
- ტექსტის წაკითხვის დროს ან შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს შესავსებ სქემას;
- მოსწავლეები იწყებენ სქემის შევსებას, მუშაობისას რამდენჯერმე მიუბრუნდებიან ტექსტს, ეძებენ და აკვირდებიან პერსონაჟის დამახასიათებელ ადგილებს;
- სქემის შევსების შემდეგ მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს;
- შემდეგ განიხილავენ სქემებს და მუშაობენ მათ დაზუსტება-დახვეწაზე ტექსტის მოშველიებითა და მსჯელობით;
- დაზუსტებული სქემა დაიხაზება დაფაზე, შემდეგ მოსწავლეები მას რვეულებში გადაიტანენ.

შენიშვნა: ქვემოთ შემოთავაზებულია პერსონაჟის რუკის რამდენიმე ვერსია. მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს მათგან ერთ-ერთი, გაკვეთილის მიზნებისა და ტექსტის სპეციფიკიდან გამომდინარე.

სქემა 1.



სქემა 2.



სქემა 3.



სქემა 4.



დებატები

მეთოდის/აქტივობის შესახებ

დებატი და დისკუსია, რომლებშიც მოსწავლეები მონაწილეობენ, აქტიური სწავლების საუკეთესო საშუალებებია. ძალიან ხშირად მათ აიგივებენ, მაგრამ ისინი თავიანთი მიზნებითა და მიმდინარეობით მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

დებატის მიზანია ორი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებიდან ერთ-ერთის გამარჯვება (არგუმენტირების გზით), ხოლო დისკუსიის მიზანია დასმული საკითხის შესახებ მოსაზრებების გამოთქმა და ბოლოს მათი შეჯერება. დისკუსიისას სასურველია რაღაც საერთო აზრამდე მისვლა, დებატის დროს კი პირიქით – ერთ-ერთმა უნდა გაიმარჯვოს.

დებატისა და დისკუსიის დროს განსხვავებულია კლასის ორგანიზების ფორმებიც – დისკუსიის დროს მერხები წრიულადაა განლაგებული (რაც ხაზს უსვამს იმას, რომ ყველა მონაწილე თანაბარ პირობებშია და თანაბარი უფლება აქვს), დებატის დროს კი მონაწილე ჯგუფები ცალ-ცალკე სხდებიან. ცალკე ადგილია გამოყოფილი ჟიურისთვისაც.

დებატი (ისევე, როგორც დისკუსია) მოსწავლეებს:

- ეხმარება საკითხის, პრობლემის სიღრმისეულ გააზრებაში;
- უვითარებს საკუთარი პოზიციის არგუმენტირებული მსჯელობით დაცვის უნარს;
- აჩვევს არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების ჩამოყალიბებას;
- უვითარებს რიტორიკულ და ლოგიკურ უნარებს;
- ხელს უწყობს ურთიერთთანამშრომლობითი უნარების გამომუშავება-განვითარებას.

მუშაობის ფორმა: ჯგუფები

რესურსი: სპეციალური რესურსი საჭირო არ არის.

მსვლელობა

- მასწავლებელი შეარჩევს ისეთ საკითხს, რომლის შესახებ ორი საპირისპირო მოსაზრება არსებობს;
- შემდეგ კლასში გამოყოფს ორ ჯგუფს. ერთმა ჯგუფმა უნდა დაიცვას ერთი მოსაზრება, მეორემ – მეორე;
- მასწავლებელი ჯგუფებს წინასწარ აძლევს დროს არგუმენტების მოსაძიებელ-მოსაფიქრებლად (შესაძლებელია, საკითხები ერთი-ორი დღით ადრეც მისცეს);
- ჯგუფები სხდებიან აუდიტორიის სხვადასხვა მხარეს, ერთმანეთის პირისპირ. თავიანთი მოსაზრებების დაცვისას წარმოადგენენ არგუმენტებს;
- არგუმენტებს ინიშნავს საგანგებოდ შერჩეული ჟიური;
- იმარჯვებს ის ჯგუფი, რომელიც უფრო მეტ და უფრო დამაჯერებელ არგუმენტს წარმოადგენს თავისი მოსაზრების გასამყარებლად.

შენიშვნა: დებატში მონაწილე ჯგუფებისა და ჟიურის გარდა კლასში შეიძლება იყვნენ მაყურებლებიც.

სოკრატესეული (სოკრატული) დიალოგი

მეთოდის/აქტივობის შესახებ

სოკრატესეული დიალოგი აქტიური სწავლების ერთ-ერთი მეთოდია. იგი გულისხმობს შეკითხვებით, დიალოგითა და მასწავლებლის მინიშნებებით საკითხის არსის მიხვედრას თავად მოსწავლის მიერ, ხოლო მასწავლებელმა ამ პროცესის დროს მხოლოდ დამხმარის (ფასილიტატორის) როლი უნდა შეასრულოს.

სოკრატესეული დიალოგი ძირითადად მაშინ გამოიყენება, როცა მოსწავლეს საკითხი ჯერ ნასწავლი არა აქვს, მაგრამ საშინაო დავალებით (ან სხვა რაიმე სახით) ნაწილობრივ შემზადებულია ახალი საკითხის არსის გასარკვევად. ოღონდ მასწავლებელს კარგად უნდა ჰქონდეს მოფიქრებული ის შეკითხვები და მოსწავლეთა სავარაუდო პასუხები, რომლებიც მოსწავლეებს ნაბიჯ-ნაბიჯ მიაახლოებს ახალი საკითხის არსთან და გაარკვევინებს მას.

ამ მეთოდით სწავლებისას მოსწავლეები:

- ეჩვევიან დამოუკიდებელ აზროვნებას, მსჯელობას, დასკვნების გამოტანას;
- ღრმად გაიაზრებენ საკითხს, პრობლემას;
- დამოუკიდებლად (მასწავლებლის მხოლოდ მცირედი დახმარებით) გაარკვევენ და ჩასწვდებიან საკითხის არსს.

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი.

რესურსი: სპეციალური რესურსი არ არის საჭირო.

მსვლელობა

- მასწავლებელი საგანგებოდ შეარჩევს ისეთ საკითხს (პრობლემას), რომელიც ბოლომდე ნათელი არაა და გააზრება სჭირდება;
- დიალოგს იწყებს შემზადებით – ისეთი საკითხის დასმით, რომელზეც მოსწავლეები ადვილად უპასუხებენ და სავარაუდოდ, ერთ აზრზე არიან. ამით მასწავლებელი მონაწილეებს ადვილად აიყოლიებს საჭირო მიმართულების მქონე მსჯელობა-განხილვაში;
- მასწავლებელი მსჯელობისას სვამს ისეთ პრობლემას (შეკითხვის სახით), რომელიც „ჩიხში მოაქცევს“ დიალოგის მონაწილეებს ან აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევს. ამის შემდეგ მასწავლებელი იწყებს სასწავლო „ხარაჩოების აგებას“, რათა სასურველი (სწორი) მიმართულებით წარმართოს მოსწავლეთა აზროვნება;
- ბოლოს მასწავლებელს შეკითხვებითა და „ხარაჩოებით“ მოსწავლეები სასურველ (მართებულ) დასკვნამდე მიჰყავს. ამ დასკვნას თვითონ მოსწავლეები აყალიბებენ (ხშირად ეს დასკვნა საპირისპიროა იმ აზრებისა, რომლებსაც მოსწავლეები აქტივობის დასაწყისში გამოთქვამდნენ).

შენიშვნა: სოკრატესეულ დიალოგს ზოგჯერ დისკუსიასთან აიგივებენ, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაა. დისკუსია უფრო ხშირად ნასწავლი, წაკითხული, გაგონილი საკითხის ირგვლივ იმართება, მისი მიზანია ამ საკითხის შესახებ სხვადასხვა შეხედულების გამოთქმა და ბოლოს ერთ გარკვეულ საერთო აზრამდე მისვლა. თუმცა, გამორიცხული არაა, რომ აზრთა შეჯერება ვერ მოხდეს და მონაწილეები სხვადასხვა თვალსაზრისზე დარჩნენ. სოკრატესეული დიალოგის მიზანი კი არის ჯერ კიდევ უცნობი საკითხის არსის გარკვევა, პრობლემის გადაჭრა.

ამ აქტივობის მსვლელობაც განსხვავებულია დისკუსიის მსვლელობისგან. დისკუსიისას ყველა მონაწილე რიგრიგობით გამოთქვამს თავის აზრს (რეგლამენტის დაცვით), ხოლო სოკრატესეული

დიალოგის დროს ყოველი მონაწილის (მოსწავლის) პასუხის შემდეგ აქტიურად ერთვება მასწავლებელი, რომელსაც მომზადებული აქვს მომდევნო შეკითხვები. ამ შეკითხვებზე პასუხს კი მოსწავლეები საბოლოოდ საკითხის არსის გარკვევამდე მიჰყავს.

არსებობს სოკრატული შეკითხვების ექვსი ძირითადი ტიპი, რომლებიც მიზნობრივად გამოიყენება დიალოგის დროს. ესენია:

შენიშვნა: მეორე ენის გაკვეთილებზე ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელი იქნება მეხუთე-მეექვსე კლასებიდან. სასურველია მასწავლებელმა თავდაპირველად დასვას ისეთი შეკითხვები, რომლებიც არ მოითხოვს რთული და აბსტრაქტული ცნებების შესახებ მსჯელობას, აზრების განვრცობილად გადმოცემას, ალტერნატიული პოზიციების სიღრმისეულად განხილვას. ასევე, სასურველია, მეთოდის მიხედვით მოსწავლეები ნამუშევრები იყვნენ მშობლიური ენის გაკვეთილებზეც.

№	**შეკითხვის ტიპები**	**მაგალითები**	**ნიმუშები „სამი გოჭის“ მიხედვით**
1	შეკითხვები ცნებებისა და იდეების დასაზუსტებლად	რას დაამატებდით? უფრო დაწვრილებით ხომ არ აგვიხსნიდი? რამ მიგიყვანათ ამ აზრამდე? რატომ არის ეს თემა მნიშვნელოვანი?	რატომ იყო საჭირო ზამთრისთვის სახლის აშენება? შენ ამბობ, რომ მგელი სუსტი იყო. რას გულისხმობ და რატომ ფიქრობ ასე?
2	შეკითხვები დაშვებებისა და წანამძღვრების შესახებ	ვინმეს სხვა აზრი ხომ არ აქვს? რა ვარაუდი გაქვთ? ანუ თქვენ ფიქრობთ რომ ყოველთვის ასეა თუ არსებობს გამონაკლისები?	მაკამ თქვა, რომ ნუფნუფი და ნიფნიფი ზარმაცები არ იყვნენ. ყველანი ეთანხმებით? ვინც ბევრს თამაშობს, ზარმაცია?
3	შეკითხვები არგუმენტებისა და ფაქტების შესახებ	რა ფაქტებით გაამყარებდით თქვენს მოსაზრებას? ხომ არ არსებობს სხვა წყაროები და ინფორმაცია ამ მოსაზრების გასამყარებლად? ხომ არ შეგიძლიათ განსხვავებული ან საპირისპირო ფაქტების მოყვანა? რა მაგალითის მოხმობა შეგიძლიათ? საიდან იცით? რატომ ფიქრობთ, რომ ეს მართლაც ასეა? რამ მიგიყვანათ ამის დაჯერებამდე? რა ფაქტები შეგიცვლიდათ მოსაზრებას?	კონკრეტულად რა მოხდა ტექსტში ისეთი, რომ მგელს გაუმაძღარი ვუწოდოთ? სხვა ტექსტებშიც ხომ არ არის ამაზე ლაპარაკი?
4	შეკითხვები ალტერნატიული მოსაზრებებისა და პოზიციების შესახებ	სხვა კუთხით ხომ არ გიცდიათ ამის დანახვა? ხომ არ გაქვთ განსხვავებული მოსაზრება? რა განსხვავებაა ამ ორ მოსაზრებას შორის? როგორ შეხედავდა ამას – - – – - – – - ? რა იქნებოდა საპირისპირო მოსაზრების შესაბამისი ყველაზე ძლიერი არგუმენტი?	ზოგიერთი თვლის, რომ მგელს და გოჭებს ერთად ცხოვრება შეეძლოთ. როგორ დავუსაბუთებთ, რომ ეს ასე არაა? თქვენი აზრით რას იტყოდა ავტორი ამ მოსაზრებაზე?

5	შეკითხვები ინტერ-პრეტაციისა და დასკვნების შესახებ	რას გულისხმობთ? რა მოხ-დებოდა თუკი ... ? რა შედეგს მოიტანდა ეს? ეს ნამდვილად მოხდებოდა თუ შეიძლებოდა არც მომხდარიყო?	რა შედეგი მოაქვს უდარდელად ყოფნას და ზედმეტ გართობას? დამატებით რა უნდა გაეკეთე-ბინა ნაფნაფს, ძმებს რომ მისთვის დაეჯერებინათ?
6	შეკითხვები შეკითხვების შესახებ	როგორ ფიქრობთ, რატომ დავს-ვი ეს შეკითხვა? შეიძლება ამ შეკითხვის ჩაშლა? რამდენად ნათელია შეკითხვა? რთული შეკითხვაა თუ მარტივი? რა არის საჭირო ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად? როგორ მოვიძიოთ ამ შეკითხვაზე პასუხი?	მაინტერესებს, რა გრძნობა გაგიჩნდათ, როდესაც მგლის შესახებ შეგეკითხეთ. როგორ ფიქრობთ, რატომ გეკითხებით ამას?

დაამყარე კავშირი

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„დაამყარე კავშირი“ არის გაგება-გააზრების უნარის განსავითარებელი აქტივობა. ასევე, ის გან-მავითარებელი შეფასების ეფექტური მეთოდია.

მეთოდის გამოყენების დროს:

- მოსწავლეები შესწავლილ თემას/ნაწარმოებს უკავშირებენ რეალურ ცხოვრებას;
- მოსწავლეები იაქტიურებენ წინარე ცოდნას;
- მასწავლებელს შეუძლია სწრაფად დაადგინოს, თუ რა იციან მოსწავლეებმა თემის/ნაწარ-მოების გავლის შემდეგ.

მუშაობის ფორმა: ჯგუფები.

რესურსი: შესავსები სქემა (სქემის ამოსაბეჭდი ვერსია იხ. დანართში), კალამი.

მსვლელობა

- მასწავლებელი მოსწავლეებს უსახელებს თემას ან შესთავაზებს თემების ჩამონათვალი-დან ერთ-ერთის შერჩევას (მაგ.: „ტყუილის თქმა“, „საქმის გადადება“, „დაუფიქრებელი მოქმედება“, „ხელმეორედ ცდა“).
- მოსწავლეები ავსებენ ქვემოთ მოცემულ ცხრილს.

საკითხი/ პრობლემა	**მაგალითი ყოველდღიურობიდან**
კავშირი რომელიმე ნაწარმოებთან	**ჩემი აზრით...**

ნიმუში:

საკითხი/ პრობლემა ტყუილის თქმა	**მაგალითი ყოველდღიურობიდან** ჩემი და მოვატყუე, რომ წამალი ტკბილი იყო. ლაშამ ნიკოს უთხრა, რომ მათემატიკაში დავალება არ გვქონდა.
კავშირი სხვა ნაწარმოებთან ბარონი მიუნჰაუზენი ნაცარქექია	**ჩემი აზრით...** ტომ სოიერი იტყუებოდა, რომ მოსწონდა ღობის შეთეთრება, რათა სხვებს მონდომებოდათ მისი საქმის გაკეთება...

შენიშვნა: გასათვალისწინებელია, რომ ეს აქტივობა მოითხოვს მოსწავლისაგან წერითი უნარების გამოყენებასა და გავარჯიშებას, მაგრამ არაა სასურველი მასწავლებელმა ნაწერებში ყურადღება ორთოგრაფიულ შეცდომებზე გაამახვილოს.

ეს შენიშვნა კიდევ უფრო აქტუალურია ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებისას, რადგანაც მოსწავლეები, ბუნებრივია, ბევრ შეცდომას დაუშვებენ. მასწავლებელმა უნდა ჩაინიშნოს შეცდომები მონიტორინგის რვეულში, რათა მათ აღმოფხვრაზე სხვა დროს იმუშაოს.

პარალელების გავლება / კავშირების დამყარება

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მას შემდეგ, რაც დეკოდირების საბაზისო უნარებს დაეუფლებიან, მოსწავლეებს სულ უფრო მეტი დახმარება სჭირდებათ გაგება-გააზრების სტრატეგიების გამოყენების კუთხით, რაც მათ დამოუკიდებელ მკითხველებად აყალიბებს. როცა მოსწავლე კითხვის დროს კავშირებს ამყარებს, ის უკეთესად იაზრებს წაკითხულს. გარდა ამისა, პარალელების გავლება აქტიურ აზროვნებასა და ჩართულობას მოითხოვს. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა კარგად აუხსნას და დაანახოს ბავშვებს, როგორ ავლებენ კარგი მკითხველები პარალელებს საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, სხვა ტექსტებთან და გარესამყაროსთან. ეს ეფექტურ მოდელირებასა და პრაქტიკულ ვარჯიშს მოითხოვს.

მეთოდი/აქტივობა მოსწავლეებს ეხმარება:

- წინარე ცოდნის გააქტიურებაში;
- ტექსტის ვიზუალიზებაში;
- ტექსტის მონაკვეთების სიღრმისეულად გააზრებაში.

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი.

რესურსი: წინასწარ შერჩეული ტექსტი, შესავსები სქემა (სქემის ამოსაბეჭდი ვერსია იხ. დანართში).

მსვლელობა

- მასწავლებელი წინასწარ შექმნის საკუთარი პარალელების ნუსხას შერჩეულ კონკრეტულ ტექსტზე;
- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ დაფიქრდნენ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებზე (შეკითხვები წინასწარ არის ჩამოწერილი დაფაზე ან დიდფორმატიან ქაღალდზე);

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ კარგი მკითხველები, ინფორმაციის უკეთ გააზრების მიზნით, ხშირად ავლებენ სხვადასხვა სახის პარალელებს საკუთარ ცხოვრებასთან, სხვა ტექსტებთან, გარესამყაროსთან:

პარალელები ჩემს ცხოვრებასთან

- რა საერთო გაქვს პერსონაჟებთან?
- რას გახსენდება შენი ცხოვრებიდან?

პარალელები სხვა ტექსტებთან

- რა გახსენდება სხვა ტექსტებიდან?
- რით ჰგავს ეს ტექსტი სხვა წიგნებში წაკითხულს?
- რით განსხვავდება ამ ტექსტში მოცემული ინფორმაცია სხვაგან წაკითხულისგან?

პარალელები გარესამყაროსთან

- რა გახსენდება გარესამყაროდან/რეალური მოვლენებიდან?
- რით ჰგავს ამ ტექსტში აღწერილი მოვლენები გარესამყაროს მოვლენებს?
- რით განსხვავდება ამ ტექსტში აღწერილი მოვლენები გარესამყაროს მოვლენებისგან?

ამ მიზნით სასურველია საგანგებო პოსტერის გამოყენება.

- მასწავლებელი ხმამაღლა ფიქრის სტრატეგიის გამოყენებით მის მიერ წინასწარ შერჩეულ ტექსტზე უჩვენებს მოსწავლეებს პარალელების გავლების (კავშირების დამყარების) კონკრეტულ ნიმუშებს. ამასთან, ის ხაზს უსვამს, რომ ზოგიერთი პარალელი მეტად ეხმარება მკითხველს ტექსტის სიღრმისეულად გააზრებაში, ზოგიერთი კი – ნაკლებად.
- **მაგალითი 1 (პარალელი, რომელიც გვეხმარება სიღრმისეულ გააზრებაში):** მეორე კლასში რომ ვიყავი, ჩემი მეზობლის ძაღლს ლეკვები გაუჩნდა. ერთი ლეკვი მეზობელმა ჩვენ გვაჩუქა. ორი კვირის განმავლობაში ლეკვის დედა ყმუოდა, ლეკვიც წკმუტუნებდა. ბაბუამ გაგვაფრთხილა, რომ ლეკვი დედისთვის არ გვეჩვენებინა. მგონია, რომ ეს განშორება ძაღლისთვისაც და ლეკვისთვისაც ძალიან მტკივნეული იყო. ალბათ, ავტორიც მსგავს მოვლენაზე გვამახვილებინებს ყურადღებას.
- **მაგალითი 2 (პარალელი, რომელიც ნაკლებად გვეხმარება სიღრმისეულ გააზრებაში):** მარიკელას უყვარს სოფელი და ცხოველები. მეც ძალიან მიყვარს სოფელი და ცხოველები.
- მასწავლებელი დაურიგებს მოსწავლეებს ორსვეტიანი ჩანაწერების სქემას (იხ. ქვემოთ) ან პარალელების გავლების სქემას (იხ. დანართი) და სთხოვს კონკრეტული ტექსტის წაკითხვის დროს შეავსონ იგი.

ორსვეტიანი ჩანაწერის სქემა

ამონაწერი ტექსტიდან	ჩემი კომენტარი

ურთიერთსწავლება

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„ურთიერთსწავლების“ მეთოდი ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა წაკითხული ტექსტის გასააზრებლად. მისი გამოყენების დროს მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში, ირგებენ სხვადასხვა „როლს“ და ტექსტის დამუშავებისას თავად წარმართავენ „სწავლებისა“ და „სწავლის“ პროცესს. ძირითადი აქტივობები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლეები ტექსტზე მუშაობენ, არის:

- შეჯამება;
- კითხვების დასმა;
- ბუნდოვანი ადგილების ახსნა-განმარტება;
- ვარაუდების გამოთქმა.

ამ მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებს უვითარდებათ მნიშვნელოვანი უნარები:

- წინარე ცოდნის გამოყენების უნარი;
- მიღებული ინფორმაციის მოკლედ შეჯამების უნარი;
- შეკითხვების დასმის უნარი;

- კონტექსტური გასაღებების გამოყენებით ბუნდოვანი ადგილების განმარტების უნარი;
- ვარაუდების ჩამოყალიბების უნარი;
- მოსმენის უნარი;
- საკუთარი მოსაზრებების თამამად გამოთქმის უნარი;
- ყურადღების კონცენტრირების უნარი;
- ურთიერთთანამშრომლობის უნარი.

მუშაობის ფორმა: ოთხკაციანი ჯგუფები (შესაძლებელია, ზოგიერთ ჯგუფს თითო წევრი დაემატოს.)

რესურსი: ტექსტი (ოთხ ან მეტ ნაწილად გაყოფილი), შესავსები სქემა (სქემის ამოსაბეჭდი ვერსია იხ. დანართში), კალამი, დაფა, ცარცი/მარკერი.

მსვლელობა

- მასწავლებელი შეარჩევს ტექსტს, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, ოთხკაციან ჯგუფებში შეასრულონ მეთოდით გათვალისწინებული ყველა ტიპის სამუშაო: მისი თითოეული ნაწილის (აბზაცის) ირგვლივ დასვან კითხვები, დააზუსტონ ბუნდოვანი ადგილები ან ტერმინები, შეაჯამონ წაკითხული მონაკვეთი და გამოთქვან ვარაუდები.

  პარალელურად მასწავლებელი ამზადებს სამუშაო ფურცელს ჯგუფის წევრებისათვის.

- მასწავლებელი კლასს ყოფს ოთხკაციან ჯგუფებად და ჯგუფის წევრებს გაუნაწილებს შემდეგ როლებს: **შემაჯამებელი, კითხვების დამსმელი, ამხსნელი** და **ვარაუდების გამომთქმელი.**[1] (შესაძლებელია მასწავლებელმა როლების განაწილების დროს სპეციალური იარლიყებიც გამოიყენოს. იხ. დანართი) მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცლებსა და ტექსტს[2], რომელიც დაყოფილია მონაკვეთებად/აბზაცებად. მკაფიოდ განუმარტავს მათ, რომ ყოველი მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ (ხმამაღლა ან ჩუმად), თითოეულმა მოსწავლემ უნდა შეასრულოს თავისი როლის შესაბამისი დავალება:

  შემაჯამებელი ჯგუფში ფასილიტაციას უწევს წაკითხული მონაკვეთის/აბზაცის შეჯამებას. სვამს მასთან დაკავშირებულ შეკითხვებს, მაგ.: „რა არის ამ მონაკვეთის მთავარი აზრი?“ „რა გავიგეთ ამ ნაწყვეტიდან?“ საბოლოო დასკვნებს ერთი ან ორი წინადადებით აყალიბებს და სამუშაო ფურცელზე ჩაინიშნავს.

  კითხვების დამსმელი სვამს შეკითხვებს წაკითხულის ირგვლივ. შეკითხვები ეხება ძირითად აზრს, მნიშვნელოვან დეტალს ან შესაძლო დასკვნას, თუ რის შესახებ არის საუბარი ამ ნაწყვეტში. სასურველია, მან ჩაინიშნოს ყველა კითხვა, რომლებიც ამ მონაკვეთის ირგვლივ გაუჩნდებათ ჯგუფის წევრებს.

  ამხსნელი ცდილობს, თავად ან ჯგუფის წევრების დახმარებით ახსნას ის ლექსიკური ერთეული (სიტყვა, ტერმინი, ცნება), ინფორმაცია, რომელიც ყველასთვის არ არის გასაგები. განმარტებებს ჩაინიშნავს სამუშაო ფურცელზე.

  ვარაუდების გამომთქმელი წაკითხული მონაკვეთიდან გამომდინარე, ცდილობს, დაფიქრდეს და გამოთქვას მოსაზრება, როგორ შეიძლება გაგრძელდეს ამბავი შემდეგ ნაწილში. მოგვიანებით იგი თავის ვარაუდებს შეუდარებს ჯგუფის სხვა წევრების მოსაზრებებს, საბოლოოდ კი მიღწეულ შეთანხმებას წერილობით დააფიქსირებს ფურცელზე. მაგ.: „ამ აბზაცის ბოლო წინადადებიდან გამომდინარე, შემდეგ ნაწილში ალბათ საუბარი იქნება...“

[1] თუ მოსწავლეთა რაოდენობა ზუსტად არ იყოფა ოთხზე, შესაძლებელია ზოგიერთ ჯგუფში ესა თუ ის როლი მოსწავლეთა წყვილმა შეასრულოს.

[2] ტექსტი საერთოა ყველა მოსწავლისათვის. სასურველია, ყველა მოსწავლეს შეხვდეს მომზადებული ტექსტის საკუთარი ეგზემპლარი.

შენიშვნა: მოსწავლეები წინასწარ განსაზღვრული დროის განმავლობაში ერთდროულად მუშაობენ ტექსტის პირველ ნაწილზე/აბზაცზე.

- პირველ ნაწილზე მუშაობის დასრულების შემდეგ ჯგუფის თითოეული წევრი აკეთებს საკუთარი ნამუშევრის პრეზენტაციას. იმისათვის, რომ ეს პროცესი ორგანიზებულად წარიმართოს, უმჯობესია, პირველი ნაწილი კლასის წინაშე წარმოადგინოს მხოლოდ ერთმა ჯგუფმა, დანარჩენებმა კი ის განსხვავებული მოსაზრებებით შეავსონ.
- მეორე მონაკვეთზე მუშაობის დაწყების წინ ჯგუფის წევრები საათის ისრის მიმართულებით ცვლიან როლებს, სამუშაო ფურცლებს და აგრძელებენ ტექსტის მეორე მონაკვეთის/აბზაცის დამუშავებას.
- მომდევნო ეტაპებზეც ამ პრინციპით გრძელდება მუშაობა და, შესაბამისად, თითოეული ნაწილის დამუშავების შემდეგ ჯგუფში როლები იცვლება. საბოლოოდ, გაკვეთილის განმავლობაში ყველა მოსწავლეს მოუწევს ოთხივე ტიპის დავალების შესრულება. კლასის წინაშე თითო ჯგუფი თითო პრეზენტაციას აკეთებს, მაგრამ სამუშაო ფურცლებს ყველა მონაკვეთთან დაკავშირებით შეავსებს.

შენიშვნები:

1. შესაძლებელია, თითოეული ჯგუფისთვის შეიქმნას საპრეზენტაციო სქემა, რომელზეც განთავსდება მათი სამუშაო ფურცლები და საბოლოოდ შეჯამდება ჯგუფის საქმიანობა.
2. მეთოდში შემავალ აქტივობათა ზემოთ მოცემული თანმიმდევრობა არ არის გადამწყვეტი. მასწავლებელს შეუძლია, კლასის საჭიროებებისა და სწავლების სტილის შესაბამისად შეცვალოს იგი. შესაძლებელია, ჩაანაცვლოს ან დაამატოს სტრატეგიები. მაგ.: მკითხველი – მოსწავლე, რომელიც ხმამაღლა წაუკითხავს ტექსტს ჯგუფის წევრებს; ილუსტრატორი – ვინც დაასურათებს ეპიზოდებს; „წამმზომი“ – ის, ვინც გააკონტროლებს დროს და ა.შ.

მოზაიკა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეები ჯგუფებში კითხულობენ ტექსტის ერთ კონკრეტულ ნაწილს, შემდეგ გადაინაცვლებენ ახალ ჯგუფებში და მიღებული ინფორმაციის შეჯერებით ამთლიანებენ ტექსტს.

მეთოდის/აქტივობის გამოყენებით მოსწავლეები:

- სწავლობენ მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოყოფას;
- ვარჯიშობენ ინფორმაციის დამუშავებასა და გამთლიანებაში;
- ივითარებენ სინთეზისა და ანალიზის უნარს.

მუშაობის ფორმა: ჯგუფები

რესურსი: მოსწავლეთა ჯგუფების რაოდენობის მიხედვით დაყოფილი ტექსტი, დანომრილი/ფერადი ბარათები თითოეული ჯგუფისთვის

მსვლელობა

- მასწავლებელი წინასწარ დაყოფს ტექსტს იმდენ ნაწილად, რამდენი ჯგუფიც იმუშავებს კლასში.
- მასწავლებელი კლასს ყოფს 3-5-კაციან ჯგუფებად (მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფებისა და ჯგუფის წევრების რაოდენობა ერთმანეთს ემთხვეოდეს. მაგ., თუ არის 4 ჯგუფი,

თითო ჯგუფში უნდა იყოს 4 წევრი. თუ ზუსტად არ იყოფა ბავშვების რაოდენობა, შესაძლებელია ერთი ინდივიდის როლი წყვილმა შეასრულოს.). მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს მიანიჭებს გარკვეულ ნომერს/ფერს და ურიგებს შესაბამის ბარათებს (მაგ., მეორე ჯგუფის ყველა წევრი მიიღებს ბარათს 2-იანის გამოსახულებით). ეს მნიშვნელოვნად დაეხმარება მოსწავლეებს გადაჯგუფების პროცესში.

- მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს დასამუშავებლად აძლევს ტექსტის თითო ნაწილს და სთავაზობს, რომ გამოიყენონ კითხვისა და ურთიერთგაზიარების კონკრეტული სტრატეგიები. შესაძლებელია, მასწავლებელმა მოსწავლეებს სამუშაოდ მისცეს წინასწარ მომზადებული აქტივობის ბარათები (შეკითხვებით, მინიშნებებითა და ინსტრუქციებით).
- ყველა ჯგუფი ამუშავებს ტექსტის მიცემულ ნაწილს მასწავლებლის მიერ მითითებული სტრატეგიების გამოყენებით.
- მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ჩაინიშნავენ ტექსტიდან მნიშვნელოვან ინფორმაციას, მასწავლებელი გადააჯგუფებს მოსწავლეებს. ახალი ჯგუფების დაკომპლექტების პრინციპი ასეთია: თითოეულ ახალ ჯგუფში თავს იყრის თავდაპირველი ჯგუფის თითო წევრი (იხ. სქემა). ამგვარი დაჯგუფება აუცილებელია იმისათვის, რომ ყველა ჯგუფში მოხერხდეს ტექსტის ყველა ნაწილის შეჯერება და გამთლიანება.

ფაზა 1. მუშაობა საწყის ჯგუფებში



ფაზა 2. მუშაობა ახალ ჯგუფებში

- მოსწავლეები ჯგუფის წევრებს გაუზიარებენ ინფორმაციას, გაამთლიანებენ ტექსტს და მოემზადებიან წაკითხვის შემდგომი აქტივობებისთვის.

შენიშვნა: შესაძლოა მოზაიკის უფრო რთული ვარიანტის განხორციელებაც. მას შემდეგ, რაც ტექსტი გამთლიანდება, მოსწავლეები უბრუნდებიან საწყის ჯგუფებს და საბოლოოდ შეაჯერებენ ინფორმაციას, გაამთლიანებენ ტექსტს საკუთარ ჯგუფში.

ვარიაცია

- წინა ვერსიისაგან განსხვავებით, საწყის ჯგუფებში მოსწავლეებს დასამუშავებლად ეძლევათ ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთი.
- მათი დამუშავების შემდეგ მასწავლებელი ქმნის ახალ ჯგუფებს (ე.წ. „ექსპერტთა ჯგუფებს“), რომლებშიც ერთი და იმავე ნომრის მქონე მოსწავლეები შეაჯერებენ და სიღრმისეულად გაიაზრებენ ტექსტის ერთ კონკრეტულ ნაწილს (მაგალითად, ყველა, ვისაც აქვს ბარათი ნომრით „2“, ერთობლივად იმუშავებს ტექსტის მეორე ნაწილზე). ამ ამოცანის შესასრულებლად შესაძლებელია მასწავლებელი დაეხმაროს ჯგუფებს წინასწარ

მომზადებული აქტივობის ბარათებით.

- მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ექსპერტთა ჯგუფებში განიმტკიცებენ მიცემული ნაწილის ცოდნას, ისინი ბრუნდებიან საწყის ჯგუფებში და საბოლოოდ გაამთლიანებენ ტექსტს.

ფაზა 1. მუშაობა ახალ ჯგუფებში



ფაზა 2. მუშაობა ახალ/ექსპერტთა ჯგუფებში



ფაზა 3. მუშაობა საწყის ჯგუფებში



ოთხი კუთხე

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„ოთხი კუთხე“ არის სასწავლო სტრატეგია, რომელიც ავითარებს გაგება-გააზრების უნარს და, ამავე დროს, არის კარგი აქტივობა განმავითარებელი შეფასების გასაკეთებლად. მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეები მსჯელობენ საკამათო საკითხებზე.

მუშაობის ფორმა: ჯგუფური, მთელი კლასი

რესურსი: სიტყვის ბარათები, დიდი ფორმატის ქაღალდი/დაფა, მარკერი/ცარცი

მსვლელობა

- მასწავლებელი შეარჩევს საკამათო საკითხს და ფორმატზე ან დაფაზე დაწერს თეზისს მტკიცებითი ფორმით (მაგ.: მოსწავლემ არასოდეს უნდა გამოიყენოს კომპიუტერი საშინაო დავალების შესასრულებლად).
- შემდეგ მასწავლებელი გაათავისუფლებს ოთახის ოთხივე კუთხეს და ყველა კუთხეში გააკრავს სხვადასხვა წარწერას: „ვეთანხმები“; „უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები“; „უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები“; „არ ვეთანხმები“.
- მოსწავლეები ინდივიდუალურად ფურცელზე ჩამოწერენ არგუმენტებს თავიანთი პოზიციების გასამყარებლად.
- მოსწავლეები დგებიან იმ კუთხეში, რომელიც მათ პოზიციას შეესაბამება.
- მას შემდეგ, რაც მოსწავლეები კუთხეებში გადანაწილდებიან:

- მოსწავლეები ჯგუფურად მსჯელობენ, შეაჯერებენ თავიანთ მოსაზრებებს და აყალიბებენ არგუმენტებს, შემდეგ კი ამზადებენ არგუმენტირებულ, მტკიცებითი შინაარსის პრეზენტაციას;
- სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელი მოსწავლეები გააცნობენ დანარჩენ ჯგუფებს თავიანთ პოზიციასა და არგუმენტებს. სხვა ჯგუფების წარმომადგენლები აკეთებენ თითო მცირე კომენტარს.
- მას შემდეგ, რაც ჯგუფები ინფორმაციას გაცვლიან, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ, შეიცვალა თუ არა მათი პოზიცია, და ამის მიხედვით თავიდან გადანაწილდნენ ოთხ კუთხეში.

შენიშვნა: ეს აქტივობა გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას გამოხატონ და დაიცვან საკუთარი მოსაზრებები. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეთა საუბარში გამოვლენილი იქნება სხვადასხვაგვარი შეცდომები, არაა სასურველი მასწავლებელი მუდმივად რეაგირებდეს მათზე და ამით აფერხებდეს მსჯელობას. მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან გამომდინარე საკითხი უმარტივესიც კი შეიძლება იყოს, მაგალითად, „ფეხბურთი უფრო პოპულარული თამაშია, ვიდრე რაგბი."

ცოცხალი ქვიზი/ა-ბ-გ-დ კუთხეები

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„ცოცხალი ქვიზი" ეფექტურად გამოიყენება ტექსტის დამუშავების შემდეგ წინასწარ მომზადებულ შეკითხვებზე საპასუხოდ. ამავე დროს, არის კარგი აქტივობა განმავითარებელი შეფასებისთვის. მოსწავლეებს ეძლევათ კლასში მოძრაობის საშუალება. ცოდნის ამგვარი შემოწმება იძენს შეჯიბრისა და თამაშის ფორმას.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, მთელი კლასი

რესურსი: ა-ბ-გ-დ იარლიყები; მოკლე შეკითხვები ოთხი სავარაუდო პასუხით

მსვლელობა

- მასწავლებელი წინასწარ ამზადებს რამდენიმე სხვადასხვა დონის შეკითხვას ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხით.
- მასწავლებელი კუთხეებში ამაგრებს „ა", „ბ", „გ", „დ" იარლიყებს.
- სვამს შეკითხვას და მოსწავლეებს წარუდგენს ოთხ სავარაუდო პასუხს ა), ბ), გ) და დ).
- მოსწავლეები შეარჩევენ პასუხს, რომელიც სწორად მიაჩნიათ და გადანაწილდებიან შესაბამის კუთხეებში.
- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაიხმარონ ტექსტი თავიანთი პასუხების დასაბუთებლად.

ნიმუში 1.

რატომ მიასწრო მგელმა წითელქუდას ბებიას სახლამდე?

ა) უფრო მოკლე გზით წავიდა;

ბ) მგელი უფრო სწრაფად დარბოდა;

გ) წითელქუდა ყვავილების კრეფით გაერთო;

დ) ყველა პასუხი სწორია.

ნიმუში 2.

რომელი ვეშაპები მღერიან?

ა) მამალი

ბ) დედალი

გ) მამალიც და დედალიც

დ) ვეშაპები არ მღერიან.

5 კითხვა (ვინ? სად? რა? როდის? რატომ?)

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„ხუთი კითხვის" გამოყენების დროს მოსწავლეები ავსებენ ხუთსვეტიან ცხრილს და თითოეულ სვეტში წერენ დასმული კითხვის შესაბამის ინფორმაციას.

მეთოდის/აქტივობის გამოყენებით მოსწავლეები:

- იაზრებენ ნაწარმოების სიუჟეტურ ხაზს;
- სწავლობენ ინფორმაციის გამოყოფა-დახარისხებას;
- ივითარებენ ანალიზის უნარს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, ჯგუფური, წყვილები

რესურსი: დაფა, ცარცი/მარკერი, კალამი, ფურცელი/შესავსები სქემა (სქემის ამოსაბეჭდი ვერსია იხ. დანართში)

მსვლელობა

- მასწავლებელი დიდი ფორმატის ქაღალდზე ან დაფაზე ხაზავს ხუთსვეტიან ცხრილს. თითოეული სვეტის ზედა ნაწილში მოცემულია კონკრეტული კითხვა (ვინ?/რა? სად? რას შვრება?/რა ქნა? როდის? რატომ?).
- მოსწავლეები თავიანთ რვეულებში გადაიხაზავენ ცხრილს. შესაძლოა, მასწავლებელმა დაურიგოს ცხრილის წინასწარ დამზადებული შაბლონი.
- ტექსტის დამუშავების შემდეგ მოსწავლეები ავსებენ ხუთსვეტიან ცხრილს.

შენიშვნა: საწყის ეტაპზე სასურველია, მასწავლებელმა აქტივობის ნიმუშად შეავსოს ერთი სტრიქონი.

მაგალითი: „ნაპოვნი სავარცხელი", იაკობ გოგებაშვილი

ვინ/რა?	სად?	რას შვრება/რა ქნა?	როდის?	რატომ?
ორმა მელოტმა კაცმა	გზაჯვარედინზე	სავარცხელი იპოვა; სავარცხლისთვის ჩხუბი ატეხა.	ერთხელ	ორივეს უნდოდა სავარცხელი

ვარიაცია

„5+1 კითხვა" გულისხმობს ზემოთ აღწერილ ხუთ შეკითხვაზე ერთი შეკითხვის („როგორ?") დამატებას. ამ მეთოდის გამოყენებისას მოსწავლეები შეავსებენ ექვსსვეტიან სქემას ან გაშლილი ხელის მტევნის ფორმის სქემას.



კითხვები და პასუხები (QAR)

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს მოსწავლეები უპასუხებენ მოცემულ კითხვებს და პასუ-ხებთან ერთად მათ სწორად გადაანაწილებენ ცხრილში.

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს მოსწავლეები:

- ივითარებენ გაგება-გააზრების უნარს;
- აცნობიერებენ, რა სტრატეგიებს იყენებენ კითხვაზე პასუხის გასაცემად;
- ახდენენ ინფორმაციის კატეგორიზებას.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, ჯგუფები, წყვილები

რესურსი: წინასწარ შერჩეული ტექსტი, კალამი, ფურცელი/შესავსები სქემა (სქემის ამოსაბეჭდი ვერსია იხ. დანართში)

მსვლელობა

- მასწავლებელი შეარჩევს წასაკითხ ტექსტს და ჩამოაყალიბებს მასთან დაკავშირებულ შეკითხვებს, რომელთაც ჩამოწერს დაფაზე.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მეთოდით მხოლოდ მცირე ჯგუფი მუშაობს, მასწავლებელი ჯგუფის წევრებს ინდივიდუალურად დაურიგებს შეკითხვებს.

- მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს წინასწარ მომზადებულ ცხრილს (შესაძლებელია დაფაზე დახაზვაც), რომელიც შედგება ოთხი უჯრისაგან (იხ. ნიმუში).
- ზედა მარცხენა უჯრას აწერია **„იქვე, ტექსტში“**. აქ იწერება ისეთი კითხვა (და მასზე პასუხი), რომელიც პირდაპირ, ექსპლიციტურად, არის მოცემული ტექსტში;

- ქვედა მარცხენა უჯრაში – **„იფიქრე და მოიძიე“** – იწერება ისეთი კითხვები (და პასუხები), რომლებზე პასუხის გასაცემად მოსწავლემ ინფორმაცია ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში უნდა მოძებნოს.
- ზედა მარჯვენა უჯრაში – **„ავტორი და მე“** — იწერება იმპლიციტური ინფორმაცია, ანუ ის ინფორმაცია, რომელიც ტექსტში პირდაპირ არ არის მოცემული, მაგრამ იგულისხმება. მოსწავლეებმა ტექსტში მოცემული ინფორმაცია უნდა დაუკავშირონ წინარე ცოდნას და ისე გასცენ პასუხი კითხვას.
- ქვედა მარჯვენა უჯრაში – **„მე თვითონ“** — იწერება განზოგადებული ინფორმაცია, ისეთი კითხვების პასუხები, რომლებსაც ტექსტის წაკითხვის გარეშეც, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიძლება გაეცეს პასუხი, მაგრამ შინაარსობრივად ტექსტს უკავშირდება.

შენიშვნა: მოსწავლეებმა ცხრილში სწორად უნდა გადაანაწილონ შეკითხვები (და, შესაბამისად, პასუხებიც).

ნიმუში: „ენით დაკოდილი“, სულხან-საბა ორბელიანი

ტექსტში	**ჩემს გონებაში**
პასუხი ტექსტშია, იქვე რა სთხოვა დათვმა კაცს? დათვმა კაცს სთხოვა, თავში ცული დამკარიო.	**ავტორი და მე** როგორი ადამიანი ყოფილა კაცი? კაცი ყოფილა სტუმართმოყვარე, ერთგული ადამიანი.
იფიქრე და მოიძიე რამდენჯერ ხვდებიან ნაწარმოებში ერთმანეთს კაცი და დათვი? დათვი და კაცი ერთმანეთს ხვდებიან სამჯერ	**მე თვითონ** რა არის წყენა? წყენა არის გულისტკივილი, დარდი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს საყვარელი ადამიანისგან ცუდი სიტყვის, დაცინვის მოსმენამ.

ვარიანტი 2

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაიწაფებიან „QAR“ მეთოდით ტექსტის დამუშავებაში, შესაძლებელია მასწავლებელმა მათ შესთავაზოს აქტივობის უფრო გართულებული ვერსია:

მოსწავლეები ავსებენ ცხრილს, მაგრამ ამჯერად თვითონ უნდა მოიფიქრონ თითოეული კატეგორიის (უჯრის) შესაბამისი კითხვები (მასწავლებელის მიერ შეთავაზებული კითხვების უჯრებში გადანაწილების ნაცვლად).

დაფიქრდი – დაწყვილდი – გაუზიარე

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„დაფიქრდი – დაწყვილდი – გაუზიარე“ არის მეთოდი, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი და გაუზიაროს ის სხვებს. ეს სტრატეგია მოსწავლის რეფლექსი-ის გამოწვევისა და, ამავდროულად, გაგება-გააზრების შემოწმების ეფექტური საშუალებაა.

მეთოდის/აქტივობის ხშირი გამოყენება მოსწავლეს უვითარებს:

- საკუთარი თვალსაზრისის/პოზიციის/დასკვნების გამოხატვის უნარს;
- კომუნიკაციის უნარს;
- შეჯამებისა და დასკვნების გაკეთების უნარებს;
- ანალიტიკური აზროვნების უნარს;
- აჩვევს მოსწავლეებს სხვათა აზრის პატივისცემას, მოსმენასა და თანამშრომლობას.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, ჯგუფები, მთელი კლასი

რესურსი: დაფა/დიდი ფორმატის ქაღალდი, ცარცი/მარკერი, ფურცელი, კალამი

მსვლელობა

„დაფიქრდი“

- მასწავლებელი სვამს შეკითხვას, რომელიც შესასწავლ საკითხს უკავშირდება, და აძლევს განსაზღვრულ დროს ფიქრისთვის.
- მოსწავლეები ინდივიდუალურად ჩამოწერენ საკუთარ მოსაზრებებს.

„დაწყვილდი“

- მასწავლებელი აწყვილებს მოსწავლეებს, რათა ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი შეხედულებები და შეჯერებული მოსაზრება წარუდგინონ კლასს.
- რამდენიმე წუთის განმავლობაში მოსწავლეები წყვილებში განიხილავენ თავიანთ პასუხებს.

„გაუზიარე“

- მას შემდეგ, რაც წყვილები შეაჯერებენ მოსაზრებებს, მასწავლებელი სთხოვს მათ თავიანთი აზრი კლასს გააცნონ.

შენიშვნა: კარგი იქნება, თუ მოსწავლეები საკუთარ ნააზრევს წერილობითაც დააფიქსირებენ. ამისთვის მასწავლებელმა შესაძლებელია სპეციალური სამუშაო ფურცელიც კი შექმნას:

შეკითხვა	**მე რა ვიფიქრე...**	**მეწყვილემ რა იფიქრა...**	**რა გავუზიაროთ კლასს...**

მეთოდის ვარიაციები

- მოსწავლეები კლასს უზიარებენ არა წყვილის ერთობლივ, არამედ მეწყვილის მოსაზრებას.
- იმის მიხედვით, თუ რა სამუშაოს ასრულებენ მოსწავლეები აქტივობის პირველ საფეხურზე,

მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს შესთავაზოს მეთოდის/აქტივობის სხვა ვარიანტები:

- ჩამოთვალე – დაწყვილდი – გაუზიარე;
- შეაჯამე – დაწყვილდი – გაუზიარე;
- დახატე – დაწყვილდი – გაუზიარე.

3–2–1 და მისი ვარიაციები

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„3-2-1“ ერთ-ერთი ძლიერი აქტივობაა ტექსტების გასააზრებლად. იგი უფრო ხშირად საინფორმაციო ტექსტზე სამუშაოდ გამოიყენება. იგი მკითხველს აძლევს შესაძლებლობას, მიღებული ინფორმაცია დაახარისხოს სხვადასხვა პრინციპით, დასვას შეკითხვები, შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი, ხოლო მასწავლებელს ეხმარება, თვალი გაადევნოს მოსწავლის მიერ ინფორმაციის გააზრების პროცესს.

„3-2-1“ მასწავლებელს შეუძლია ეფექტურად გამოიყენოს როგორც ტექსტის/გაკვეთილის შეჯამებისას, ისე ტექსტის წაკითხვამდეც/გაკვეთილის პირველ ფაზაზე. ამის მიხედვით დავალებები სხვადასხვაგვარი იქნება.

მეთოდის/აქტივობის გამოყენებით მოსწავლეებს უვითარდებათ:

- მიღებული ინფორმაციის კატეგორიზების უნარი;
- მთავარი და მეორეხარისხოვანი ასპექტების გარჩევის უნარი;
- შეკითხვის დასმის უნარი;
- საკუთარი მოსაზრებების გამართულად ჩამოყალიბებისა და მსჯელობის უნარები.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, ჯგუფური, მთელი კლასი

რესურსი: დაფა, ცარცი/მარკერი, ტექსტი, ფურცელი/რვეული, კალამი

დავალებები ტექსტის წაკითხვის შემდეგ

- 3 მნიშვნელოვანი ფაქტი; 2 საინტერესო ფაქტი; 1 მნიშვნელოვანი დასკვნა.
- 3 რამ, რაც მომეწონა; 2 რამ, რასაც შევცვლიდი ტექსტში; 1 რჩევა ავტორს/პერსონაჟს.
- 3 შეკითხვა ტექსტის შესახებ (გაუგებარი სიტყვები, ნაწყვეტი ან იდეები); 2 ვარაუდი ტექსტზე დაყრდნობით (რა მოხდება შემდეგ?); 1 რამ, რითაც ეს ტექსტი უკავშირდება თქვენს გამოცდილებას.

დავალებები ტექსტის წაკითხვამდე (სათაურზე, ქვეთავის სათაურებზე, ყდაზე, ილუსტრაციებზე, გამუქებულ სიტყვებზე დაყრდნობით)**:**

- 3 რამ, რაზეც შესაძლოა იყოს ტექსტი; 2 რამ, რაც მინდა გავიგო მოცემულ საკითხთან დაკავშირებით; 1 მოლოდინი, რომელიც ახლა მაქვს.
- 3 რამ, რაც უკვე ვიცი ამ საკითხზე; 2 ფაქტი ჩემი ცხოვრებიდან, რომლებიც ამ თემას უკავშირდება; 1 შეკითხვა, რომელიც გამიჩნდა ტექსტის წაკითხვამდე.

ვარიაცია

არსებობს მეთოდის „3-2-1“ განვრცობილი ვარიანტები „3-2-1-2-3“/„1-2-3-2-1“, რომლებიც უფრო ხშირად დაწყებითი საფეხურის ზედა კლასის მოსწავლეებთან გამოიყენება. მეთოდი ეფექტურია

შედარებით ვრცელი, ინფორმაციულად დატვირთული ტექსტების დეტალურად გასააზრებლად. ამ დროს შესაძლებელია ზემოთ მოცემული დავალებების სხვადასხვა კომბინაციის გამოყენება.

მაგალითი

- 3 რამ, რაც მნიშვნელოვანი იყო ტექსტში;
- 2 შეკითხვა ტექსტთან/საკითხთან დაკავშირებით;
- 1 კომენტარი;
- 2 რამ, რასაც შევცვლიდი;
- 3 რამ, რაზეც მეტი ინფორმაციის მიღებას ვისურვებდი.

სამწუთიანი პაუზა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეებს ეძლევათ სამი წუთი, რათა დაფიქრდნენ, როგორ შეიძლება შესწავლილი ცნებები და იდეები საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას დაუკავშირონ. აქტივობის გამოყენება მოსწავლეებს გამოუმუშავებს:

- გაგება-გააზრებისა და ანალიზის უნარებს;
- მიღებული ინფორმაციის საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებასთან დაკავშირების უნარს;
- შესწავლილი საკითხების ახლებურად/თავისებურად ინტერპრეტაციის უნარს.

მუშაობის ფორმა: წყვილები, ინდივიდუალური

რესურსი: წინასწარ მომზადებული დაუსრულებელი წინადადებები ყველა მოსწავლისათვის, დაფა, ცარცი/მარკერი, კალამი, რვეული.

მსვლელობა

- მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს (ან დაფაზე ჩამოწერს) დაუსრულებელ წინადადებებს, რომლებიც მოსწავლეებმა თავად უნდა დაასრულონ. მაგალითად:
  1. მე შემეცვალა წარმოდგენა _____-ის შესახებ.
  2. მე უკეთ გავიგე _____.
  3. მე გამიკვირდა, რომ _____.
  4. მე ვიგრძენი _____.
  5. მე _____ დავუკავშირე _____-ს.
  6. მე თანაგრძნობა გამიჩნდა _____-ის მიმართ და ა.შ.

  შეკითხვების შინაარსი და რაოდენობა შეიძლება განსხვავებული იყოს ტექსტისა და ამოცანების მიხედვით.
- მოსწავლეები მუშაობენ წყვილში/ინდივიდუალურად, ასრულებენ წინადადებებს და ბოლოს საკუთარ ვერსიებს აცნობენ მთელ კლასს.

შენიშვნა: ამ აქტივობის შესასრულებლად მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს დაურიგოს ინდივიდუალური სპეციალური სამუშაო ფურცლები.

მიბრუნდი და ისაუბრე

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდი „მიბრუნდი და ისაუბრე“ გულისხმობს შესწავლილი მასალის შეჯამებას წყვილის მიერ და ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის ერთი წინადადებით გადმოცემას. მეთოდის ხშირი გამოყენება ავითარებს:

- საკითხის ლაკონურად შეჯამების უნარს;
- მნიშვნელოვანი და ნაკლებმნიშვნელოვანი ინფორმაციის ერთმანეთისგან გარჩევისა და გამიჯვნის უნარს;
- ინფორმაციის გაგება-გააზრებისა და ანალიზის უნარებს.

მუშაობის ფორმა: წყვილები

რესურსი: რვეული/ფურცელი, კალამი

მსვლელობა

- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მიუბრუნდნენ მეწყვილეს და განიხილონ, რა იყო შესწავლილ საკითხში მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც აუცილებლად უნდა დაიმახსოვრონ.
- მოსწავლეები ჯერ ზეპირად განიხილავენ საკითხს, შემდეგ დაწერენ ერთ შემაჯამებელ წინადადებას გაკვეთილზე შესწავლილი ძირითადი ცნებების/სიტყვების გამოყენებით; ბოლოს მოსწავლეები თავიანთ შემაჯამებელ წინადადებებს აცნობენ მთელ კლასს.

რეზიუმე/შეჯამება

რეზიუმე – ესაა რაიმე ტექსტის ძალიან მოკლე, შეკუმშული შინაარსი, რომელიც შედგენილია ტექსტის ძირითად, კონცეპტუალურ წინადადებებზე დაყრდნობით. იგი საუკეთესო საშუალებაა რაიმე თემის ან ტექსტის, განსაკუთრებით კი – საინფორმაციო-სამეცნიერო ტექსტის, შესაჯამებლად.

შეჯამება უვითარებს მოსწავლეს უნარს, ტექსტიდან გამოყოს ყველაზე მნიშვნელოვანი იდეები, უგულებელყოს მეორეხარისხოვანი ინფორმაცია და ერთმანეთთან დააკავშიროს ძირითადი აზრები. იგი ხელს უწყობს წაკითხულის დამახსოვრებას, საკვანძო სიტყვებსა და ფრაზებზე კონცენტრირებას, ასწავლის, როგორ იმუშაოს ვრცელ ტექსტთან და დაიყვანოს იგი ძირითად საკითხებამდე. შეჯამებისას ძირითადი შეკითხვებია: რომელია ამ საკითხის/ტექსტის მთავარი იდეები? რომელია მნიშვნელოვანი დამხმარე დეტალები? რომელი ინფორმაციაა უმნიშვნელო/მეორეხარისხოვანი? მნიშვნელოვანია, რომ შეჯამებისას მოსწავლემ გამოიყენოს ტექსტის საკვანძო სიტყვები და ფრაზები.

შეჯამების სტრატეგიებს ყველა საგანში ვიყენებთ. საკითხი/ტექსტი შეიძლება შეჯამდეს წერილობით (იხ. წერის კომპონენტის აქტივობები), ზეპირად, დრამით, ხატვით და სხვ.

ერთწინადადებიანი შეჯამება (რეზიუმე)

მეთოდის/აქტივობის შესახებ

აქტივობა ეხმარება

- სიღრმისეულად გაიაზრონ ტექსტი;
- ისწავლონ ტექსტიდან მთავარი ინფორმაციის ამოღება შეჯამებისთვის;
- გაიაქტიურონ შესწავლილი ლექსიკური ერთეულების ცოდნა.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, ჯგუფები

რესურსი: ფურცელი, კალამი.

მსვლელობა

- მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დაწერონ ერთი შემაჯამებელი წინადადება, რომლის წევრები უპასუხებს თემასთან დაკავშირებულ შეკითხვებს: ვინ? სად? როდის? რატომ? როგორ? როგორი? რისთვის? და სხვა.
- მოსწავლეები წერენ წინადადებას, რომლის წევრები უპასუხებს ზემოთ დასახელებულ (და სხვა) კითხვებს.

შენიშვნა: რაც უფრო მეტ შეკითხვას უპასუხებს, ანუ ტექსტიდან რაც უფრო მეტ ინფორმაციას მოგვაწვდის წინადადება, მით უკეთესი იქნება.

შესაძლებელია, მოსწავლეთა დაწერილი შემაჯამებელი წინადადებები დაფაზე ჩამოიწეროს და იქიდან მსჯელობით შეირჩეს საუკეთესო, ანუ ისეთი, რომელიც ყველაზე სრულყოფილად შეაჯამებს ტექსტს.

შენიშვნა: ტექსტის ზომიდან და სირთულიდან გამომდინარე, მასწავლებელმა შეიძლება წინადადებების რაოდენობა გაზარდოს. მაგალითად, მოსწავლეებს დაავალოს ორწინადადებიანი, სამწინადადებიანი და ა.შ. შეჯამების დაწერა.

ერთსიტყვიანი შეჯამება (რეზიუმე)

მეთოდის/აქტივობის შესახებ

ერთსიტყვიანი რეზიუმე, ფაქტობრივად, ტექსტის (თემის) ალტერნატიული სათაურია იმდენად, რამდენადაც აქცენტს, მინიშნებას აკეთებს მის უმთავრეს, არსებით ინფორმაციაზე ან საზრისზე (როგორც სათაური).

მეთოდი ეხმარება მოსწავლეებს:

- კარგად გაიაზრონ ტექსტი;
- ისწავლონ ტექსტში მთავარი, საკვანძო სიტყვის შერჩევა შეჯამებისთვის;
- გააცნობიერონ კავშირი შერჩეულ სიტყვასა და ტექსტის მთავარ ინფორმაციას შორის;
- გაიმდიდრონ ლექსიკური მარაგი;
- გაიაქტიურონ შესწავლილი ლექსიკური ერთეულების ცოდნა.

მუშაობის ფორმა: ჯგუფები, წყვილები, ინდივიდუალური

რესურსი: ფურცელი, კალამი, დაფა, ცარცი/მარკერი

მსვლელობა

- თემაზე (ტექსტზე) მუშაობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, მის მიერ მითითებული სიტყვებიდან ან წაკითხული ტექსტიდან შეარჩიონ (ან თვითონ მოიფიქრონ) ერთი სიტყვა, რომელიც ყველაზე სრულყოფილად შეაჯამებს თემას (ტექსტს).
- მოსწავლეები ასახელებენ სიტყვებს, შემდეგ დაფაზე წერენ.
- საერთო-საკლასო მუშაობით განიხილავენ დაფაზე დაწერილ სიტყვებს.
- საბოლოოდ შეირჩევა ერთი შემაჯამებელი სიტყვა.

„ანაბანა“ რეზიუმე

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდი გამოიყენება შესწავლილი საკითხის მოკლედ შესაჯამებლად. მისი გამოყენება მოსწავლეებს უვითარებს:

- გაგება-გააზრებისა და ანალიზის უნარებს;
- საკითხის ლაკონურად შეჯამების უნარს;
- მნიშვნელოვანი და ნაკლებმნიშვნელოვანი ინფორმაციის ერთმანეთისგან გარჩევისა და გამიჯვნის უნარს;
- შემოქმედებითი და სხარტი აზროვნების უნარებს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები

რესურსი: რვეული/სამუშაო ფურცელი, კალამი

მსვლელობა

- მასწავლებელი კლასის თითოეულ მოსწავლეს/წყვილს არეულად უნაწილებს ანბანის ამა თუ იმ ასო-ბგერას. შემდეგ აძლევს მათ დავალებას, მოიფიქრონ ამ ასოზე დაწყებული ერთი სიტყვა ან წინადადება, რომლითაც შეაჯამებენ შესწავლილ საკითხს.
- მოსწავლეები ცდილობენ, შეარჩიონ სიტყვები და მოიფიქრონ ლაკონური წინადადება, რომელიც შესწავლილი საკითხის მთავარ აზრს გადმოსცემს. წინადადება მათთვის მითითებული ასო-ბგერით უნდა დაიწყონ (მაგალითად: წ – წყალი ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია; ა – არათანაბარ ბრძოლაში ქართველებს გამარჯვება მათმა მოხერხებულობამ მოუტანა.).
- მასწავლებელი გამოიკითხავს პასუხებს ანბანური თანმიმდევრობით.

შენიშვნა: თუ საკითხი იძლევა ვრცლად და მრავალფეროვნად შეჯამების საშუალებას, შესაძლებელია, მასწავლებელმა თავად დაამზადოს სამუშაო ფურცელი და სთხოვოს მოსწავლეებს, რაც შეიძლება მეტი წინადადება შეადგინონ მითითებულ დროში.

სამუშაო ფურცლის ნიმუში

- გაიხსენე შესწავლილი საკითხი.
- მოიფიქრე კონკრეტული ასო-ბგერით დაწყებული მოკლე შემაჯამებელი წინადადებები.
- ჩაწერე თითოეული წინადადება შესაბამის უჯრაში.
- ეცადე, შეავსო რაც შეიძლება მეტი უჯრა.

ა		მ	მეცნიერები ცდილობენ, სხვა პლანეტებზეც აღმოაჩინონ წყალი.	ღ	
ბ		ნ		ყ	ყველაზე მეტად დედამიწას ჰგავს მარსი.
გ		ო		შ	შავ ზღვაში მლაშე წყალია.
დ	დედამიწის ზედაპირზე გაცილებით მეტი წყალია, ვიდრე ხმელეთი.	პ		ჩ	
ე		ჟ		ც	
ვ		რ		ძ	
ზ	ზღვის წყალი არ ისმევა.	ს		წ	
თ		ტ		ჭ	
ი		უ		ხ	
კ		ფ		ჯ	
ლ		ქ		ჰ	

რეზიუმე და შეკითხვები ბარათებზე

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდი გამოიყენება შესწავლილი საკითხის შესაჯამებლად, ძირითადი ცნებებისა და იდეების მოკლედ ჩამოსაყალიბებლად.

მეთოდის/აქტივობის გამოყენება მოსწავლეებს უვითარებს:

- გაგება-გააზრებისა და ანალიზის უნარებს;
- საკითხის ლაკონურად შეჯამების უნარს;
- მნიშვნელოვანი და ნაკლებმნიშვნელოვანი ინფორმაციების ერთმანეთისგან გარჩევისა და გამიჯვნის უნარს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები

რესურსი: სამუშაო ფურცელი, კალამი

მსვლელობა

- მასწავლებელი შესწავლილ საკითხზე უკუკავშირის მიღების მიზნით მოსწავლეს/წყვილს ურიგებს სამუშაო ბარათებს.
- მოსწავლეები ბარათების ერთ მხარეს წერენ ყველაზე მნიშვნელოვან ან შთამბეჭდავ ინფორმაციას, რომელიც გაიგეს და დაამახსოვრდათ შესწავლილი საკითხიდან.
- ბარათის მეორე მხარეს წერენ შეკითხვას ან თხრობითი წინადადების სახით ჩამოაყალიბებენ, რაც მათთვის ბუნდოვანი იყო საკითხის შესწავლის პროცესში.
- მოსწავლეები აკეთებენ თავიანთი ნამუშევრების პრეზენტაციას. მასწავლებლის დახმარებით აჯამებენ საკითხს და ერთობლივად ცდილობენ ბუნდოვანი ადგილების ახსნა-განმარტებას.

შეჯამების ბურთი

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„შეჯამების ბურთი“ არის რბილი ბურთი ან რბილი სათამაშო, რომელიც გამოიყენება გაკვეთილის/საკითხის მიმოხილვისთვის.

ამ აქტივობის გამოყენებით მოსწავლეები ეჩვევიან:

- ყურადღების მობილიზებას და სწრაფად აზროვნებას;
- ტექსტის/გაკვეთილის მნიშვნელოვანი ასპექტების გამოყოფას;
- საკუთარი მოსაზრებების ხმამაღლა გამოთქმას;
- საკითხის ზეპირად შეჯამებას.

მუშაობის ფორმა: მცირე ჯგუფები, მთელი კლასი

რესურსი: რბილი ბურთი ან რბილი სათამაშო

მსვლელობა

- ტექსტის/თემის დამუშავების შემდეგ მოსწავლეები საკლასო ოთახში წრეში დგებიან;
- მასწავლებელი ბურთს გადაუგდებს რომელიმე მოსწავლეს. იგი დაიჭერს ბურთს და 5 წამის განმავლობაში ამბობს მნიშვნელოვან იდეას/ფაქტს/ცნებას ტექსტიდან/გაკვეთილიდან;
- პასუხის შემდეგ მოსწავლე ბურთს გადაუგდებს სხვა მოსწავლეს, რომელსაც ჯერ არ უსაუბრია;
- თითოეული მოსწავლე ახალ/განხვავებულ აზრს ამატებს უკვე ნათქვამ მოსაზრებებს;
- ის მოსწავლე, რომელიც ვერაფერს დაამატებს ან გაიმეორებს სხვების ნათქვამს, ა) ეთიშება თამაშს ან ბ) სვლას გადასცემს სიტყვით „პასი“/„გავიარე“;
- პირველი ვარიანტით მიმდინარე თამაში გრძელდება მანამ, სანამ წრიდან მხოლოდ ერთი მოსწავლე დარჩება.

მახასიათებლების ცხრილი

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„მახასიათებლების ცხრილი“ არის გრაფიკული გამოსახულება, რომელიც ეფექტურად გამოიყენება ამა თუ იმ საგნის, პერსონაჟის, მოვლენის მახასიათებლებისა თუ მსგავსება-განსხვავებების გამოსაკვეთად. „მახასიათებლების ცხრილი“ ეხმარება მოსწავლეებს ტექსტის გაგება-გააზრებაში, ინფორმაციის დახარისხებაში, საგანთა / პერონაჟთა / მოვლენათა თვისებების გამოკვეთასა და მსგავსება-განსხვავებების დადგენაში. ცხრილის შევსების პროცესში მოსწავლეები უკეთ ახერხებენ ახალი ინფორმაციის გაანალიზებას.

ამ მეთოდით მუშაობის პროცესში მოსწავლეებს უვითარდებათ:

- გაგება-გააზრების უნარი;
- ინფორმაციის კატეგორიზება-დახარისხების უნარი;
- ძირითადი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გარჩევისა და გამიჯვნის უნარი.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, ჯგუფები

რესურსი: სამუშაო ფურცელი/რვეული, კალამი, დაფა, ცარცი/მარკერი.

მსვლელობა

- მასწავლებელი ადგენს ცხრილს და განსაზღვრავს მახასიათებლებს, რომელთა მიხედვითაც მოსწავლეებმა უნდა დაახარისხონ/შეაჯამონ ტექსტში მოცემული ინფორმაცია. მახასიათებლების ცხრილი შეიძლება შეიცავდეს ასეთი ტიპის შეკითხვებს: როგორია საგანი? სად გვხვდება? რისგან შედგება? და სხვ. ცხრილში მოცემული შეკითხვები/ მახასიათებლები დამოკიდებულია ტექსტის შინაარსზე და შეიძლება შეიცვალოს მისი სპეციფიკის მიხედვით.
- მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და ცდილობენ, ინფორმაცია ამოკრიფონ და დაახარისხონ მოცემული შეკითხვების/მახასიათებლების გათვალისწინებით;
- მოსწავლეები ავსებენ მახასიათებლების ცხრილს ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში. შევსებულ ცხრილებს განიხილავენ კლასში. შესაძლებელია საერთო ცხრილის შედგენა.

ნიმუში

საგანი	როგორია?	სად გვხვდება?	რა ახასიათებს?
აქლემი	ორკუზიანი, მაღალი	უდაბნოში, აფრიკაში	დიდხანს ძლებს უწყლოდ, შეუძლია დიდი ტვირთის ტარება
ვირი	დაბალი, კუზი არ აქვს	მთაშიც და ბარშიც.	შეუძლია დიდი ტვირთის ტარება, ჯიუტია, მშრომელია.

ვარიაცია

მასწავლებელს შეუძლია შეკითხვების ნაცვლად საკვანძო მახასიათებლები ჩაწეროს ცხრილში. მოსწავლეები მხოლოდ მონიშნავენ შესაბამის გრაფას.

ამ ტიპის ცხრილის გამოყენება შესაძლებელია ტექსტის მოსმენის პროცესშიც.

საგანი	ჩლიქოსანი	ძლებს უწყლოდ	იკვებება ხორცით	მშრომელი	უდაბნო
აქლემი	√	√		√	√
ვირი	√			√	

ვიღაცას – უნდოდა – მაგრამ – საბოლოოდ

მეთოდის/აქტივობის შესახებ

ეს აქტივობა გამოიყენება იმისათვის, რათა მოსწავლეებმა გაიაზრონ ტექსტის მნიშვნელოვანი ელემენტი: კონფლიქტი (ან პრობლემა და მისი გადაჭრა. ამავდროულად, ესაა შეჯამების ეფექტური სტრატეგია ისტორიასა და საზოგადოებრივ მეცნიერებებში, ვინაიდან ბევრი რამ ცხოვრებაში სწორედ ადამიანთა სურვილებსა და საჭიროებებს უკავშირდება. აქტივობის გამოყენებისას მოსწავლეები ავსებენ სპეციალურ სქემას.

სქემის ნიმუში:

ვიღაცას	უნდოდა	მაგრამ	საბოლოოდ

ამ აქტივობის გამოყენება მოსწავლეებს ეხმარება:

- პერსონაჟთან დაკავშირებული პრობლემისა და მისი გადაჭრის გზების გააზრებაში;
- მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვაში;
- ტექსტის გააზრება-შეჯამებაში.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, მცირე ჯგუფები

რესურსი: წინასწარ შერჩეული ტექსტი, სამუშაო ფურცელი.

მსვლელობა

- მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს (ან დაფაზე ხაზავს) ოთხსვეტიან სქემას. მისი ყოველი სვეტი დასათაურებულია შემდეგი თანმიმდევრობით: „ვიღაცას“, „უნდოდა“, „მაგრამ“, „საბოლოოდ“;
- მოსწავლეები რვეულებში გადაიხაზავენ სქემას და თანმიმდევრულად წერენ შესაბამის ინფორმაციას ყოველი სვეტის სათაურის ქვეშ. ისინი დაადგენენ, თუ ვის უნდოდა, რა უნდოდა, რა კონფლიქტი/პრობლემა წამოიჭრა და როგორ გადაიჭრა (ან რატომ ვერ გადაიჭრა) იგი.
- მოსწავლეები, მასწავლებელთან ერთად, კლასში განიხილავენ შევსებულ სქემას და, საჭიროების შემთხვევაში, შეაქვთ შესწორებები.

მაგალითი

ვიღაცას	უნდოდა	მაგრამ	საბოლოოდ
დიდ მგელს	გოჭების შეჭმა.	გოჭები დაიმალნენ აგურის სახლში.	მგელი ხახამშრალი დარჩა.
ალექსანდრე მაკედონელს	სამეფოების დაპყრობით ყველა დროის ყველაზე ძლიერი იმპერიის შექმნა.	33 წლის ასაკში, ერთ-ერთი მომდევნო ლაშქრობისთვის მზადებისას, დაავადდა და მალევე გარდაიცვალა.	დაპყრობილი ტერიტორიები მისმა მიმდევრებმა დაანაწევრეს და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მართავდნენ.

ტექსტი ამბობს – მე ვფიქრობ – ამიტომაც

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდი ეფექტურად გამოიყენება ტექსტის გაგება-გააზრებისათვის. მოსწავლეები ტექსტის წაკითხვისას ავსებენ სქემას.

შეკითხვა	ტექსტი ამბობს...	მე ვფიქრობ...	ამიტომაც...

ამ აქტივობის გამოყენებით მოსწავლეები:

- ეჩვევიან ავტორისა და თავიანთი ნააზრევის შეჯერებასა და დასკვნების გამოტანას;
- სწავლობენ ტექსტში მოცემული ინფორმაციის ორგანიზებას, რაც ხელს უწყობს ტექსტის სიღრმისეულ გააზრებას;
- სწავლობენ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვა-გააზრებას.

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი, ჯგუფები

რესურსი: სამუშაო ფურცელი, კალამი.

მსვლელობა

- მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ოთხსვეტიან ცხრილს, რომლის პირველ სვეტში წერია წინასწარ მომზადებული შეკითხვები;
- მოსწავლეები წაკითხვისას ან წაკითხვის შემდეგ უპასუხებენ პირველ სვეტში მოცემულ შეკითხვებს. ამისათვის იყენებენ ტექსტში მოცემულ ინფორმაციას. ამ ინფორმაციას ჩაწერენ მეორე სვეტის შესაბამის უჯრაში („ტექსტი ამბობს“). შეკითხვაზე პასუხის გასაცემად ეს ინფორმაცია საკმარისი არ არის, ამიტომ ბავშვი ამატებს საკუთარ ცოდნას, რომელსაც წერს გრაფაში „მე ვფიქრობ“. ამ ორი ინფორმაციის შეჯერების საფუძველზე პირველ სვეტში მოცემულ შეკითხვაზე პასუხს წერს მეოთხე სვეტის გრაფაში „ამიტომაც“. ასევე ივსება მეორე, მესამე და ა.შ. სტრიქონები.
- ცხრილის შევსების პროცესში მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეების მუშაობას და აძლევს უკუკავშირს;
- მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები აკეთებენ შევსებული ცხრილების პრეზენტაციას.
    - პირდაპირ არ იყოს პასუხი ტექსტში;
    - მოსწავლეს ჰქონდეს დრო ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად;
    - შესაძლებელი იყოს ამ ორ ინფორმაციაზე (ტექსტის და მოსწავლის) დაყრდნობით გარკვეული დასკვნის გამოტანა.

ნიმუში „სამი გოჭის“ მიხედვით

შეკითხვა	**ტექსტი ამბობს**	**მე ვფიქრობ**	**ამიტომაც / აქედან გამომდინარე**
რატომ ვერ ააშენა ნუფნუფმა აგურის სახლი?	ნუფნუფი და ნიფნიფი მთელი ზაფხული და შემოდგომა თამაშობდნენ.	აგურის სახლის აშენებას დიდი დრო სჭირდება.	ნუფნუფმა ზამთრამდე ვეღარ მოასწრო აგურის სახლის აშენება.
რა ფერის შპალერი ჰქონდა სახლში ნაფნაფს?	ნაფნაფმა აგურის სახლი ააშენა.	გოჭები ვარდისფერები არიან, ვარდისფერს უხდება ლურჯი.	ნაფნაფს სახლის კედლებზე ლურჯი შპალერი ექნებოდა გაკრული.

ნიმუში ჯანი როდარის „ტროლეიბუსი 75“-ის მიხედვით

შეკითხვა	ტექსტი ამბობს	მე ვფიქრობ	ამიტომაც / აქედან გამომდინარე
როგორ გადაუხვია ტროლეიბუსმა ჩვეული გზიდან?	გარეუბნისკენ გადაუხვია... ქალაქი უკან მოიტოვა და ტრიალ მინდორზე დარეტიანებულივით გავარდა... გზიდან გადავიდა და ტყის პირას გაჩერდა. ამის გამო მძღოლიც გაკვირვებული იყო და ამბობდა, ტროლეიბუსი საჭეს აღარ ემორჩილება, თავის ნებაზე დაგვარბენინებსო.	ტროლეიბუსი ბიგელებით არის მიბმული დაკიდებულ ელექტროსადენებზე. თუ დენი არ მიეწოდება, ვერ იმოძრავებს. ტროლეიბუსს საკუთარი ნების გარდა ადამიანის სხვა თვისებებიც გაუჩნდებოდა, მაგალითად, მეხსიერება და სურვილები.	ზღაპრის ამ ნაწილში ტროლეიბუსი კეთილ ჯადოქრად გადაიქცა.

შეჯამების ვარსკვლავი

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„შეჯამების ვარსკვლავი“ ეხმარება მოსწავლეს ტექსტის მნიშვნელოვან ელემენტებზე დაფიქრებასა და შეჯამებაში.

ამ აქტივობის მეშვეობით მოსწავლეები ივითარებენ:

- ტექსტის მნიშვნელოვან ელემენტებზე ფოკუსირების უნარს;
- საკუთარ გრძნობებზე დაკვირვებისა და მათი სიტყვებით გამოხატვის უნარს;
- ტექსტის მოკლედ შეჯამების უნარს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, მცირე ჯგუფები

რესურსი: ტექსტი, ფურცელი/შესავსები სქემა (სქემის ამოსაბეჭდი ვერსია იხ. დანართში)

მსვლელობა

- ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ხუთქიმიანი ვარსკვლავის ფორმის შაბლონს და დავალებების ბარათს. ბარათზე მოცემულია ხუთი სახის დავალება (ქიმების რაოდენობის შესაბამისად):
    1. მოუფიქრე ტექსტს ერთსიტყვიანი სათაური;
    2. გამოხატე გრძნობები, რომლებიც გაგიჩნდა ტექსტის კითხვისას;
    3. აღწერე ტექსტში მოცემული გარემოებები;
    4. აღწერე ტექსტში წამოჭრილი პრობლემა;
    5. აღწერე პრობლემის გადაჭრის გზა/გზები.
- მოსწავლეები თანმიმდევრობით ასრულებენ ბარათზე მოცემულ დავალებებს და პასუხებს წერენ შაბლონში (ვარსკვლავის თითო ქიმში იწერება თითო დავალების პასუხი).

ნიმუში (სქემა შევსებულია მოთხრობის „ცუგა“ მიხედვით)

შენიშვნა: ამ სქემის გამოყენება შეიძლება გრამატიკის სწავლებისთვისაც. ჩვეულებრივ, სათაური იქნება არსებითი სახელი, გრძნობები – ზედსართავი სახელები, გარემოებები – ზმნიზედები, ხოლო პრობლემა და მისი გადაჭრა – სრული წინადადებები. მასწავლებელს შეუძლია, შაბლონის გამოყენების ნაცვლად, სქემა დაფაზე დახაზოს.

გასასვლელი ბილეთები

მეთოდის/აქტივობის შესახებ

გასასვლელი ბილეთების გამოყენებისას მოსწავლეებს ურიგდებათ ბარათები. ამ ბილეთებზე მათ უნდა დაწერონ პასუხი მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვაზე და გაკვეთილის დასრულებისას, ოთახიდან გასვლამდე, უკან დაუბრუნონ მასწავლებელს. ეს შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს, შეამოწმოს, რამდენად ეფექტურად აითვისეს მოსწავლეებმა გაკვეთილზე განხილული ძირითადი საკითხები და ცნებები. მეთოდი ეფექტურია იმ საკვანძო შეცდომების აღმოსაჩენადაც, რომლებსაც ხშირად უშვებენ ხოლმე მოსწავლეები.

მეთოდი/აქტივობა მოსწავლეებს უვითარებს:

- გაგება-გააზრებისა და ანალიზის უნარებს;
- მიღებული ცოდნის გამოყენების უნარს;
- კითხვაზე პასუხის გაცემის უნარს;
- მიღებული ინფორმაციის შეჯამების უნარს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური

რესურსი: მცირე ზომის ბარათები, კალამი, დაფა, ცარცი/მარკერი

მსვლელობა

- გაკვეთილის დასრულებისას მასწავლებელი დაფაზე წერს შეკითხვას გავლილი თემის/საკითხის შესაჯამებლად (მაგალითად: რა იყო შესწავლილი ტექსტის მთავარი სათქმელი?);
- მოსწავლეები მცირე ზომის „ბილეთებზე“ (თაბახის ფურცლის მეოთხედი ზომის ქაღალდი) წერენ პასუხს დასმულ შეკითხვაზე;

- კლასიდან გასვლამდე მოსწავლეები შევსებულ „ბილეთებს“ ტოვებენ განსაზღვრულ ადგილას (საკლასო ოთახის კართან ახლოს, მასწავლებლის მაგიდაზე...);
- მასწავლებელი ეცნობა შევსებულ „ბილეთებს“ და ახარისხებს მათ ორ კატეგორიად: „გაიგო/აითვისა“ და „ვერ გაიგო/ვერ აითვისა“.

შენიშვნა: მასწავლებელს შეუძლია, სთხოვოს მოსწავლეებს, ბარათზე დაწერონ თავიანთი „შავი ლაქები“, ანუ ის, რაც მათთვის ყველაზე დამაბნეველი ან ბუნდოვანი აღმოჩნდა გაკვეთილზე.

გასასვლელი ბილეთების მაგალითები

- რა კავშირია ——————————-სა და ——————————-ს შორის?
- რამ დაგაბნია იმ მასალაში, რომელზედაც დღეს ვიმუშავეთ?
- დაასახელე სამი ახალი სიტყვა, რომლებიც დღეს ვისწავლეთ. შეადგინე წინადადება ამ სიტყვების გამოყენებით.
- დაწერე მოკლე რეზიუმე წაკითხული მოთხრობის შესახებ.
- მოიყვანე რეალური, ცხოვრებისეული პრობლემის მაგალითი, რომელიც დღევანდელ მოთხრობაში განხილული პრობლემას ჰგავს.

გასასვლელი ბილეთების მაგალითები უკუკავშირისთვის

- მინდა გავიგო უფრო მეტი .....ის შესახებ...
- ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც დღეს ვისწავლე...
- მე გამიკვირდა ის, რომ ...
- მე მსურს, რომ...
- მინდა, უკეთ გამომივიდეს ...
- მქონდა იდეა, რომლის გაზიარების საშუალებაც გაკვეთილზე არ მომეცა და მსურს, ახლა გაგიზიაროთ:
- დღევანდელი გაკვეთილის საუკეთესო ნაწილი
- მჭირდება დახმარება შემდეგ საკითხში...

შენიშვნა: მოცემული აქტივობის გამოყენება შესაძლებელია ყველა საგანსა და კლასში. სასურველია, ბილეთები ანონიმური იყოს.

შესასვლელი ბილეთები

მეთოდის/აქტივობის შესახებ

შესასვლელი ბილეთები არის ერთგვარი ვარიაცია აქტივობისა გასასვლელი ბილეთები. მისი გამოყენების დროს მოსწავლეები მცირე ზომის ბარათებზე წერენ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვაზე პასუხს. ამ შემთხვევაში მოსწავლეები გაკვეთილის დასაწყისში აკეთებენ რეფლექსიას წინა გაკვეთილის ან საშინაო დავალების მასალაზე და გამოავლენენ, როგორ აითვისეს იგი. მეთოდი ეხმარება დაბალი მოსწრების მქონე მოსწავლეებს, არ მოერიდოთ საკუთარი თუნდაც მცდარი წარმოდგენის გამოვლენა. იგი უვითარებს მოსწავლეებს.

- გაგება-გააზრებისა და ანალიზის უნარებს;
- მიღებული ცოდნის გამოყენების უნარს;
- კითხვაზე პასუხის გაცემის უნარს;
- მიღებული ინფორმაციის შეჯამების უნარს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური

რესურსი: მცირე ზომის ბარათები, კალამი, დაფა, ცარცი/მარკერი

მსვლელობა

- გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი დაფაზე წერს შეკითხვას წინა გაკვეთილზე გავლილი საკითხის შესაჯამებლად.
- მოსწავლეები მცირე ზომის „ბილეთებზე" წერენ პასუხს დასმულ შეკითხვაზე.
- მასწავლებელი აგროვებს ბარათებს, თვალს გადაავლებს მოსწავლეთა პასუხებს და ცდილობს, ზეპირი კომენტარებით გამოეხმაუროს მათ.

შენიშვნა: ვინაიდან ბილეთები გაკვეთილის დასაწყისში გამოიყენება, ამ აქტივობას სხვაგვარად „გახსნით ბარათებსაც" უწოდებენ.

შიდა წრე – გარე წრე

მეთოდის/აქტივობის შესახებ
„შიდა წრე – გარე წრე" არის გაგება-გააზრების უნარის გასავითარებელი აქტივობა. ასევე, განმავითარებელი შეფასების ეფექტური მეთოდი/აქტივობაა.

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს:

- მასწავლებელს შეუძლია სწრაფად დაადგინოს, თუ რა იციან მოსწავლეებმა თემის/თავის/მოთხრობის ეპიზოდის გავლის შემდეგ;
- მოსწავლეები იაქტიურებენ წინარე ცოდნას;
- მოსწავლეები აყალიბებენ და ჩამოწერენ კითხვებს;
- უპასუხებენ თანაკლასელთა შეკითხვებს.

მუშაობის ფორმა: ჯგუფები

რესურსი: ფურცელი, კალამი

მსვლელობა

- მოსწავლეები ფურცელზე ჩამოწერენ კითხვებს განვლილი ტექსტის/თემის/ეპიზოდის შესახებ;
- მოსწავლეები (5-7 მოსწავლე) დგებიან წრეში (გარე წრე). წრის შიგნით დგება 5-7 მოსწავლე და ქმნის შიდა წრეს. შიდა და გარე წრის წარმომადგენლები ერთმანეთის პირისპირ დგანან;
- აუცილებელია, რომ გარე წრის თითოეულ მოსწავლეს ჰყავდეს თავისი მეწყვილე შიდა წრეში;
- მასწავლებლის ნიშანზე (მაგ.: ტაშის შემოკვრა) გარე წრის მოსწავლეები შიდა წრის მეწყვილეებს უსვამენ წინასწარ მომზადებულ შეკითხვებს (ერთდროულად), შიდა წრეში მდგომნი კი პასუხობენ (1-2 წუთის განმავლობაში);
- მასწავლებლის მომდევნო ნიშანზე გარე წრეში მდგომი მოსწავლეები გადაადგილდებიან საათის ისრის მიმართულებით და მომდევნო თანაკლასელის პირისპირ დგებიან. ასე იქმნება შიდა და გარე წრის წევრების ახალი წყვილები;
- აღნიშნული მოქმედება მეორდება მანამ, სანამ გარე წრის წევრები არ დაუბრუნდებიან თავდაპირველ მეწყვილეებს;

- მასწავლებელი დგება წრის შუაში ან მოძრაობს წრის გარეთ, აკვირდება მოსწავლეების საუბარს და აკეთებს ჩანიშვნებს.
- შესაძლებელია, მოგვიანებით შიდა და გარე წრეების მოსწავლეებმა გაცვალონ როლები.

ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ“ არის გაგება-გააზრების უნარის განსავითარებელი აქტივობა. ასევე, განმავითარებელი შეფასების ეფექტური მეთოდიცაა.

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს:

- მასწავლებელს შეუძლია სწრაფად დაადგინოს, თუ რა იციან მოსწავლეებმა თემის/თავის/მოთხრობის მონაკვეთის/ეპიზოდის გავლის შემდეგ;
- მოსწავლეები იაქტიურებენ არსებულ ცოდნას;
- მოსწავლეები ტექსტიდან ამოკრეფენ მნიშვნელოვან ინფორმაციას;
- გამიჯნავენ მთავარ და მეორეხარისხოვან ინფორმაციას.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური

რესურსი: ფურცელი, კალამი

მსვლელობა

- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ფურცელზე ჩამოწერონ ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც შეიტყვეს წიგნის ან მოთხრობის რომელიმე პერსონაჟის შესახებ. მაგ.; თვისებები, პერსონაჟის სიტყვები, მისი მოქმედებები, ის, რასაც სხვები ამბობენ პერსონაჟის შესახებ, როგორ იცვლება პერსონაჟი დროთა განმავლობაში და სხვ.
- მოსწავლეები წაიკითხავენ თავიანთ მოსაზრებებს და დაასაბუთებენ, რატომ მიიჩნიეს მნიშვნელოვნად ესა თუ ის საკითხი.

გავიგე – ვერ გავიგე

მეთოდის/აქტივობის შესახებ

აქტივობა „გავიგე – ვერ გავიგე“ არის გაგება-გააზრების უნარის განსავითარებელი აქტივობა. ასევე, განმავითარებელი შეფასების ეფექტური მეთოდიცაა.

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს:

- მასწავლებელს შეუძლია სწრაფად დაადგინოს, თუ რა იციან მოსწავლეებმა თემის/თავის/მოთხრობის ეპიზოდის გავლის შემდეგ;
- მოსწავლეები იაქტიურებენ წინარე ცოდნას;
- გამიჯნავენ მთავარ და მეორეხარისხოვან ინფორმაციას;
- ლაკონურად აყალიბებენ მოსაზრებებს;
- გამოყოფენ საკითხებს, რომლებიც ვერ გაიგეს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური

რესურსი: ფურცელი, კალამი

მსვლელობა

- მასწავლებლი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ შესწავლილი თემა/ეპიზოდი/ ნაწარმოები, გამოკვეთონ მთავარი აზრი და ჩაწერონ ფურცელზე მაქსიმუმ 3 წინადადებით.
- მოსწავლეები ფურცლის ერთ მხარეს 3 წინადადებით ჩაწერენ თემის მთავარ აზრს, მეორე მხარეს კი დაწერენ იმას, თუ რა ვერ გაიგეს კონკრეტულ თემაში/ნაწარმოებში.

შენიშვნა: შესაძლოა, მოსწავლეებმა დაწერონ რამდენიმე შეკითხვა, რომლებიც გაუჩნდათ თემის შესწავლის დროს.

ცოცხალი ქანდაკება/გაყინული ეპიზოდი/ცოცხალი სურათები

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეები დგამენ ნაწარმოების კონკრეტული ეპიზოდის ამსახველ სცენას, ჟესტებისა და მიმიკის საშუალებით ასახიერებენ პერსონაჟს.

მეთოდის/აქტივობის გამოყენებით მოსწავლეები:

- სწავლობენ პერსონაჟის ხასიათზე/გრძნობებზე დაკვირვებას;
- ამოიცნობენ/აკვირდებიან ნაწარმოებში დაზუსტებულ ან დაუზუსტებელ მნიშვნელოვან დეტალებს;
- გამოყოფენ ნაწარმოების მნიშვნელოვან ეპიზოდებს;
- განარჩევენ ერთმანეთისაგან ძირითად და მეორეხარისხოვან ინფორმაციას.

მუშაობის ფორმა: ჯგუფური

რესურსი: მცირე რეკვიზიტისა და კოსტიუმისთვის საჭირო მასალა

მსვლელობა

- **ეპიზოდებად დაყოფა.** მოსწავლეები მასწავლებელის დახმარებით ყოფენ კონკრეტულ ნაწარმოებს რამდენიმე ეპიზოდად. ისინი ერთიანდებიან მცირე ჯგუფებად და შეარჩევენ „გასაცოცხლებელ“ ეპიზოდს. შესაძლოა ეს ეპიზოდები ჯგუფებს დაუნაწილოს მასწავლებელმა ან შეირჩეს შემთხვევითობის პრინციპით (მაგ., ფურცელზე ჩამოწერონ ეპიზოდების ნომრები და ჩაყარონ ტომსიკაში ან ქუდში). სასურველია, ჯგუფებმა არ იცოდნენ, ვის რა ეპიზოდი შეხვდა და წარმოდგენისას სცადონ გამოცნობა.
- **წარმოდგენისთვის მზადება.** მოსწავლეები თავად ან უფროსის დახმარებით ქმნიან წარმოდგენისთვის საჭირო მცირე რეკვიზიტს, კოსტიუმის სახასიათო დეტალს, გადიან რეპეტიციას ჯგუფებში.
- **წარმოდგენა.** გუნდები მორიგეობით გამოდიან კლასის შუაგულში იმპროვიზებულ სცენაზე, მოსწავლეები შეშდებიან გარკვეულ პოზებში. დანარჩენმა მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, ნაწარმოების რომელი ეპიზოდია წარმოდგენილი. მასწავლებელი იღებს ფოტოებს.
- **შეჯამება.** მას შემდეგ, რაც ყველა ჯგუფი წარმოადგენს „გაყინულ ეპიზოდს“, მოსწავლეები განიხილავენ, თუ რომელი სცენა მოეწონათ ყველაზე მეტად, რამდენად ზუსტად იყო გადმოცემული პერსონაჟის განცდები, ხასიათი და სხვ.

შენიშვნა: შეიძლება, მოსწავლეებმა გადაღებული ფოტოები დაალაგონ ნაწარმოების სიუჟეტის მიხედვით.

თოვლის გუნდები

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„თოვლის გუნდები“ არის გაგება-გააზრების უნარის გასავითარებელი აქტივობა. ასევე, განმავითარებელი შეფასების ეფექტური მეთოდი/აქტივობაცაა.

მეთოდის/აქტივობის გამოყენების დროს:

- მასწავლებელს შეუძლია, სწრაფად დაადგინოს, თუ რა იციან მოსწავლეებმა განვლილი ნაწარმოების/საკითხის შესახებ;
- მოსწავლეები იაქტიურებენ არსებულ ცოდნას;
- მოსწავლეები წერილობით აყალიბებენ და მეგობრებს უზიარებენ საკუთარ ნაწერს;
- მსჯელობენ თანაკლასელთა მოსაზრებების შესახებ;

მუშაობის ფორმა: წყვილები, მცირე ჯგუფები, მთელი კლასი.

რესურსი: ფურცელი, დაფა, ცარცი/მარკერი

მსვლელობა

- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ, რა იციან განვლილი საკითხის/ნაწარმოების შესახებ და აძლევს რამდენიმე წუთს მოსაფიქრებლად.
- დაფიქრების შემდეგ მოსწავლეები მეწყვილესთან ან მცირე ჯგუფში შეაჯერებენ მოსაზრებებს. მასწავლებელი დადის მოსწავლეებს შორის და უსმენს მათ საუბარს.
- მასწავლებელი მოსწავლეებს დაურიგებს თაბახის ფურცლის ნახევარს და სთხოვს, ფურცელზე დაწერონ ერთი (ყველაზე მნიშვნელოვანი) რამ საკითხის/ნაწარმოების შესახებ.
- მოსწავლეები დაწერენ თავიანთ მოსაზრებებს, შემდეგ ჭმუჭნიან ფურცელს და მესამე თვლაზე თავიანთ „თოვლის გუნდას“ ესვრიან მასწავლებლის მიერ მონიშნულ სამიზნეს (მაგ.; დაფაზე დახაზულ წრეს).
- მოსწავლეები მიირბენენ თოვლის გუნდებთან და აიღებენ თითო-თითოს, დგებიან წრეში და კითხულობენ იმას, რაც წერია ფურცელზე. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, ეთანხმებიან თუ არა ისინი ქაღალდზე დაწერილ მოსაზრებებს.
- მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეაჯამებს მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და ჩამოწერს დაფაზე/დიდი ფორმატის ქაღალდზე.

შენიშვნა: შესაძლოა აქტივობის გამოყენება თემის შესწავლის დაწყებამდეც. მაგ.; მასწავლებელი ვეშაპების შესწავლამდე სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ, რა იციან ვეშაპების შესახებ.

დიორამა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„დიორამის“ დამზადების დროს მოსწავლეები ქმნიან სამგანზომილებიან მინიატურულ სცენას წაკითხული/დამუშავებული ტექსტის მიხედვით.

მეთოდის/აქტივობის გამოყენებით მოსწავლეები:

- ივითარებენ გაგება-გააზრების უნარს;
- ეჩვევიან დეტალებზე დაკვირვებას და მათ შორის კავშირების აღმოჩენას;
- ვარჯიშობენ ტექსტის წარმოსახვაში, გაცოცხლებაში.

მუშაობის ფორმა: ჯგუფური

რესურსი

- დასამუშავებელი ტექსტი (მხატვრული ან საინფორმაციო);
- მცირე ზომის ყუთი;
- პლასტელინი;
- ფერადი ქაღალდები/ფურცლები;
- სტიკერები;
- სახატავი ფანქრები, ფლომასტერები, პასტელები;
- წებო;
- მცირე ზომის ფიგურები, ფერადი ძაფები და სხვ.

მსვლელობა

- მოსწავლეები, მასწავლებლის დახმარებით, შეარჩევენ რამდენიმე ეპიზოდს შესწავლილი მხატვრული ან საინფორმაციო ნაწარმოებიდან. შესაძლებელია, მასწავლებელმა თავად წინასწარ შეარჩიოს სცენები დიორამისთვის: ჩამოწეროს ეპიზოდების სათაურები პატარა ფურცლებზე, ჩაყაროს ტომარაში ან ქუდში და გუნდებად დაყოფილ მოსწავლეებს დაუნაწილოს წილისყრით.

- კლასი იყოფა რამდენიმე 3-4 კაციან ჯგუფად.
- მოსწავლეები წინასწარ მომზადებული მასალის გამოყენებით ქმნიან ნაწარმოების კონკრეტული ეპიზოდის, ბუნების სურათის, ოთახის ინტერიერის ამსახველ სივრცულ მაკეტს.
- მასწავლებელი აკვირდება მუშაობის პროცესს და, თუ საჭიროა, ეხმარება მოსწავლეებს.
- სამუშაოს დასრულების შემდეგ ჯგუფები შეარჩევენ პრეზენტატორს, რომელიც კლასს წარუდგენს შექმნილ დიორამას. სასურველია, მოსწავლეებმა ისაუბრონ დიორამის შექმნის პროცესზე.

შენიშვნა: ნამუშევრების შეფასება შესაძლებელია შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით: ნაწარმოების შინაარსთან კავშირი, კომპოზიციური სისრულე (საგნები, დეკორაციები და მათი განაწილება), შემოქმედებითი/ორიგინალური მიდგომა.

ფოტოფინიში

მეთოდის/აქტივობის შესახებ

ფოტოფინიში – ესაა ტექსტის მთავარი აზრების ან შინაარსის გამომხატველი ფოტოკადრები. იგი განსაკუთრებით წაახალისებს ვიზუალურ-სივრცითი უნარის მქონე მოსწავლეებს, რადგან მათ საშუალება ეძლევათ, თავიანთი ცოდნა ილუსტრაციების მეშვეობით გადმოსცენ.

ამ აქტივობის მეშვეობით მოსწავლეები:

- ეჩვევიან საკითხის (ტექსტის) მნიშვნელოვანი მომენტების გამოყოფას;
- სწავლობენ დაკვირვებას ამბის, მოვლენის განვითარებაზე, მოვლენათა თანმიმდევრობაზე, მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე;
- ივითარებენ შემოქმედებით უნარებს (წარმოსახვა, წარმოდგენა, ვიზუალიზება).

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, მცირე ჯგუფები

რესურსი: სამუშაო ფურცელი, ფერადი ფანქრები.

მსვლელობა

- რაიმე თემის, საკითხის გავლის შემდეგ მასწავლებელი და მოსწავლეები მსჯელობენ, თუ როგორ შეიძლება, მოცემული თემა ადვილად დასამახსოვრებელი გახადონ ილუსტრაციების მეშვეობით;
- მასწავლებელი აკეთებს მოდელირებას, თუ როგორ შეარჩევს დასასურათებლად საკვანძო მომენტებს (გადახედავს ტექსტს და ხმამაღლა მსჯელობს, ტექტის რომელი მონაკვეთია უფრო მნიშვნელოვანი და ეფექტური დასასურათებლად);
- შემდეგ მოსწავლეებს ავალებს, დამოუკიდებლად შეარჩიონ ილუსტრაციით გადმოსაცემი იდეები, პერსონაჟები, საკვანძო მომენტები;
- საკვანძო მომენტების შერჩევის შემდეგ მოსწავლეები განსაზღვრავენ, თუ რომელი გამოსახულებების ან ილუსტრაციების მეშვეობით შეიძლება მათი გამოხატვა;
- მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს (ან დაფაზე ხაზავს) ფოტოფინიშის სქემებს, რომლებშიც მოსწავლეები განათავსებენ თავიანთ ნამუშევრებს (ამ სქემას მაწავლებელი ადგენს მიცემული დავალების შესაბამისად).

ფოტოფინიშით შეიძლება გადმოიცეს:

1. ნაწარმოების პერსონაჟები;
2. მნიშვნელოვანი მოვლენები, სიუჟეტის განვითარების საფეხურები;
3. მიზეზ-შედეგობრიობა;
4. მოვლენათა თანმიმდევრობა;
5. პერსონაჟის თანდათანობითი ცვლილება;
6. ნაწარმოების დასაწყისი, შუა, დასასრული და სხვ.

კომიქსი

მეთოდის/აქტივობის შესახებ

კომიქსი ძალზე ეფექტური საშუალებაა იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ტექსტის გააზ-რება თავიანთი შემოქმედებითი უნარების აქტიური გამოყენებით.

მეთოდი ეხმარება მოსწავლეებს:

- წარმოსახვისა და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში;
- წაკითხული ტექსტის მიხედვით ილუსტრაციების შექმნაში;
- კითხვისა და წერის მოტივაციის ამაღლებაში;
- წვრილი მოტორიკის განვითარებაში.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები

რესურსი: ფურცელი, ფანქარი, საშლელი, ფერადი ფანქრები

მსვლელობა

- მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეარჩევს კომიქსის თემას. ეს შეიძლება იყოს ახლად დამუშავებული ნაწარმოები, მასწავლებლის ან რომელიმე მოსწავლის მიერ მოყოლილი ისტორია, სკოლაში მომხდარი რაიმე ამბავი, კარიკატურა, უბრალოდ, საკითხი, რომელიც მათ აინტერესებთ, აღელვებთ და სხვ.;
- მასწავლებელი შეკითხვების მეშვეობით შეახსენებს მოსწავლეებს, რომ კომიქსი შედგება გამოსახულებებისა და ტექსტის კომბინაციისაგან. აგრეთვე, ერთად ჩამოთვლიან კომიქსის შექმნის ძირითად პრინციპებს – ტექსტიდან მნიშვნელოვანი/საკვანძო მონაკვეთების გამოყოფა, პერსონაჟებისა და გარემოებების შერჩევა, ფანტაზიის, შემოქმედებითობის, იუმორის გამოყენება და სხვ. (თუკი მოსწავლეები პირველად მონაწილეობენ ამგვარ აქტივობაში, სასურველია მასწავლებელმა უფრო ხანგრძლივი დრო დაუთმოს კომიქსის დეტალებზე საუბარს და დაფაზეც ჩამოწეროს მისი ძირითადი ელემენტები);
- თემის შერჩევის შემდეგ მოსწავლეები შეარჩევენ ტექსტის/ამბის საკვანძო ადგილებს კომიქსში ჩასახატად;
- მოსწავლეები მოამზადებენ ჩარჩოს სურათების ჩასახატად (ან მასწავლებელი თავად ურიგებს მათ დახაზულ ფურცლებს);
- მოსწავლეები კომიქსის სურათებს მიაწერენ ტექსტს დიალოგური ბუშტების ან ტიტრების სახით;
- მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები სხვადასხვა ფორმით წარადგენენ თავიანთ ნამუშევარს კლასის წინაშე (გამოფენა, წიგნად აკინძული კომიქსების პრეზენტაცია, ნახატის გახმოვანება და სხვ.).



ნიმუშები

ეფექტური აქტივობები წაკითხვამდე, წაკითხვის დროს და წაკითხვის შემდეგ

ჯიმ ბურკის სტატიის „103 Things to Do Before/During/After Reading“ მიხედვით

ქვემოთ მოცემულია ეფექტური აქტივობები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს ტექსტთან მუშაობის პროცესში, უვითარებს მათ წაკითხულის გაგება-გააზრების უნარს. აქტივობების გამოყენება შესაძლებელია კითხვის სხვადასხვა ფაზაზე. შეიძლება ამ აქტივობების გამოყენება სხვადასხვა მიზნით და განსხვავებულ კონტექსტში: საკლასო ან საშინაო დავალების სახით, ინდივიდუალური ან ჯგუფური მუშაობისთვის. შესაძლებელია აქტივობების მოდიფიცირება მოსწავლეთა ასაკის, უნარ-ჩვევებისა და საჭიროებების მიხედვით.

ციტატები წიგნის დასაწყისიდან, შუა ნაწილიდან და დასასრულიდან. შეარჩიეთ სამი ციტატა წიგნის დასაწყისიდან, შუა ნაწილიდან და დასასრულიდან. ახსენით (ზეპირად ან წერილობით), რატომ მიგაჩნიათ ეს ციტატები მნიშვნელოვნად.

წერილები. შესაძლებელია სხვადასხვა სახის წერილის დაწერა ნაწარმოების მიხედვით:

- მისწერეთ მეგობარს წერილი, რომელშიც ურჩევდით ან არ ურჩევდით თქვენ მიერ წაკითხული წიგნის წაკითხვას. ახსენით თქვენი პოზიცია.
- მისწერეთ ავტორს წერილი მისი წიგნის ამა თუ იმ ასპექტის შესახებ.
- მისწერეთ წერილი წიგნის რომელიმე პერსონაჟს. ესაუბრეთ მისი ქმედებების, ფიქრებისა და გრძნობების შესახებ.
- წარმოიდგინეთ, რომ წიგნის ერთ-ერთი პერსონაჟი ან თვით ავტორი ხართ. შეარჩიეთ თქვენი წერილის შესაძლო მკითხველი (აუდიტორია/ადრესატი. მაგ. მომავალი მკითხველები, მეგობარი, წიგნის სხვა პერსონაჟი და სხვ.) და მისწერეთ.
- წარმოიდგინეთ, რომ მოცემული წიგნის პერსონაჟი ხართ. მისწერეთ სხვა წიგნის რომელიმე პერსონაჟს, რათა დაამყაროთ კავშირი ნაწარმოებებსა და მათ პერსონაჟებს შორის.

წერილი პროდიუსერს. მისწერეთ ერთგვერდიანი წერილი პროდიუსერს, რომელშიც აუხსნით, თუ რატომ გამოვიდოდა (ან პირიქით, არ გამოვიდოდა) ამ მოთხრობის მიხედვით კარგი მხატვრული ან ანიმაციური ფილმი. თუკი ნაწარმოებს რეკომენდაციას გაუწევთ, რომელ მონაკვეთებს დატოვებდით და რომელს ამოიღებდით? რატომ?

წიგნის რეკლამა. შეარჩიეთ ყველაზე შთამბეჭდავი ეპიზოდები, სურათები და მეტაფორები ნაწარმოებიდან; შექმენით რეკლამა განსაზღვრული სამიზნე აუდიტორიისთვის. შეიძლება რეკლამის შექმნა გაზეთისთვის, ჟურნალისთვის, ბილბორდისთვის, სატელევიზიო ჩანართისთვის და ა. შ.

დრამატული მონოლოგი. შექმენით რომელიმე პერსონაჟის მონოლოგის ტექსტი; სცადეთ, გასცდეთ წიგნის ტექსტს და დაამატოთ თქვენი შეხედულებები პერსონაჟის ფიქრებისა და განცდების

შესახებ. მონოლოგისთვის შეარჩიეთ საკვანძო სცენები, რომლებიც ნაწარმოების ძირითად პრობლემას შეეხება (სასურველია, შეარჩიოთ თითო სცენა დასაწყისიდან, შუა ნაწილიდან და დასასრულიდან).

დებატები ორ ფურცელზე. თუ წიგნში იდეურ-მსოფლმხედველობრივ წინააღმდეგობებს ან საკამათო საკითხებს შეხვდით, დაწერეთ ორი ტექსტი, რომელთაგან ერთში ერთ-ერთ პოზიციას ახსნით და დაიცავთ, მეორეში კი – მეორეს.

წიგნების ბაზრობა. შეარჩიეთ წიგნი, რომელიც მოგწონთ. თუ ფიქრობთ, რომ ეს წიგნი სხვა ბავშვებსაც მოეწონებათ, მოამზადეთ ორ-სამწუთიანი ზეპირი სარეკლამო პრეზენტაცია. გააკეთეთ პრეზენტაცია კლასში.

ჰაიკუ. შეარჩიეთ წიგნის ორი ან სამი პერსონაჟი. დაწერეთ ჰაიკუ თითოეული პერსონაჟის შესახებ, რომელიც გამოხატავს მათ გრძნობებს და მათ შორის დამოკიდებულებებს.

რა არის ჰაკიუ? ეს არის გაურითმავი სამსტრიქონიანი ლექსი, რომელიც იაპონურ ტრადიციას განეკუთვნება. არსებობს ჰაიკუს რამდენიმე ძირითადი ქარგა. ქართულ ენას უკეთ ერგება ჰაიკუ, რომლის პირველი და მესამე სტრიქონები ხუთმარცვლიანია, ხოლო მეორე სტრიქონი – შვიდმარცვლიანი. ტრადიციულად, ჰაიკუ წელიწადის დროებსა და ბუნებას შეეხება, თუმცა სხვა თემების არჩევაც თავისუფლად შეიძლება. კიდევ ერთი რამ, რაც უნდა გაითვალისწინოთ ჰაიკუს შექმნის დროს: როგორც წესი, ჰაიკუს ბოლო სტრიქონში გადმოცემულია რაღაც საინტერესო და საყურადღებო პირველ სტრიქონში მოცემულ თემაზე.

წიგნის რეცენზია. დაწერეთ წიგნის რეცენზია სამიზნე აუდიტორიისთვის. შეგიძლიათ შეეხოთ ნაწარმოების სხვადასხვა ელემენტს: თემას, სტრუქტურას, ტონს, პერსპექტივას, პერსონაჟებს, სირთულეს და ა. შ.

ძვირფასო ავტორო! მისწერეთ წერილი რომელიმე თანამედროვე მწერალს. სცადეთ აუხსნათ, თუ რა გიზიდავთ მის ნაწარმოებებში ყველაზე მეტად. დაასახელეთ კონკრეტული გმირები, ეპიზოდები, პრობლემები და ა.შ.

დროის ღერძი. შექმენით დროის ღერძი, რომელიც ასახავს ნაწარმოების მოვლენებს და ისტორიულ ცნობებს ტექსტში ასახული პერიოდის შესახებ.

ნაწარმოებთან დაკავშირებული ხელოვნების ნიმუშები. მოიძიეთ ნაწარმოების მიხედვით შექმნილი ხელოვნების ნიმუშები, მაგალითად მხატვრული ან ანიმაციური ფილმები, ნახატები და ა. შ. აღწერეთ (ზეპირად ან წერილობით) ეს ნიმუშები და მათი კავშირი ნაწარმოებთან; შეადარეთ, განიხილეთ და იმსჯელეთ.

ფილმის თრეილერი. თრეილერი სწრაფად და თანმიმდევრულად გვიჩვენებს ფილმის საუკეთესო ეპიზოდებს, რაც ამ ფილმის ნახვის სურვილს აღგვიძრავს. შეარჩიეთ ეპიზოდები კითხვის პროცესში და შექმენით თრეილერის სცენარი წიგნის მიხედვით.

ადაპტაცია. შექმენით ნაწარმოების ადაპტირებული ვარიანტი სხვადასხვა აუდიტორიისთვის:

- წიგნი პატარა ბავშვებისთვის
- სცენარის მონახაზი ფილმის რეჟისორისთვის
- სცენარის მონახაზი ვიდეოკლიპისთვის
- მცირე ზომის მოთხრობა
- ეპიკური ლექსი
- პაროდია
- სატირული ჟანრის ჩანახატი

სახვითი ხელოვნება. შექმენით ნაწარმოების ან მისი რომელიმე ნაწილის ილუსტრაცია ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი ტექნიკის გამოყენებით:

- გააკეთეთ კადრირება ნაწარმოების საუკეთესო ეპიზოდების მიხედვით;
- შექმენით კომიქსი;
- დახატეთ ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდი;
- დახატეთ ნახატი, რომელიც გამოხატავს პერსონაჟის, მოვლენის ან სიმბოლოს არსებით მახასიათებლებს;
- გადაიღეთ ვიდეოკლიპი.

სპექტაკლი/წარმოდგენა. დადგით წარმოდგენა, რომელიც ასახავს პერსონაჟის, მოვლენის ან იდეის არსებით მახასიათებლებს. შეგიძლიათ შეარჩიოთ სხვადასხვა ჟანრი:

- ტრადიციული სპექტაკლი
- მიუზიკლი
- ცეკვა
- სიმღერა

კოლაჟი. დაამზადეთ კოლაჟი ნაწარმოებში მოცემული საკითხების, მეტაფორების, სურათ-ხატების, სიმბოლოების, პერსონაჟების გარშემო. დაწერეთ თქვენი კოლაჟის სამაბზაციანი პრეზენტაცია.

ზედსართავები. შეარჩიეთ ხუთი ზედსართავი სახელი თქვენ მიერ წაკითხული მოთხრობისთვის (ან პერსონაჟისთვის). ახსენით თქენი არჩევანი და დაუკავშირეთ ის ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთებს.

ძვირფასო დღიურო! წარმოიდგინეთ, რომ ხართ წიგნის ერთ-ერთი პერსონაჟი. აწარმოეთ დღიური ჩანაწერებით. აღწერეთ წიგნში გადმოცემული მოვლენები და აღწერეთ, როგორ ზემოქმედებს ეს მოვლენები თქვენზე, როგორც გმირზე.

რა იქნებოდა... დაწერეთ და იმსჯელეთ, როგორ შეიცვლებოდა ნაწარმოები იმ შემთხვევაში, თუ პერსონაჟები სხვანაირები იქნებოდნენ (ეთნიკურად, რელიგიურად, გენდერულად, ასაკით, სოციალური სტატუსით და სხვ.)

ინტერვიუ პერსონაჟთან. შეარჩიეთ ერთ-ერთი პერსონაჟი და ჩამოაყალიბეთ შეკითხვები და ამ პერსონაჟის პასუხები, რომლებიც შეესაბამება მის ქცევებს/მოქმედებებს. გასცდით უშუალოდ წიგნში მოცემულ ინფორმაციას.

პიროვნული რეკლამა. შეარჩიეთ რამდენიმე პერსონაჟი წიგნიდან და მოამზადეთ პიროვნების წარდგენა მწერლის მიერ გადმოცემული მახასიათებლების მიხედვით.

ჩაამატე. მოძებნეთ მოთხრობაში „ხვრელი“, სადაც ესა თუ ის პერსონაჟი დროებით აღარ ჩანს. აღწერეთ, რას აკეთებს, რას ფიქრობს, რას გრძნობს და რას აპირებს იგი ამ დროს.

დროის მანქანა. დაწერეთ სცენა ან ამბავი, რომელიც მოგვითხრობს პერსონაჟის მოგზაურობას დღევანდელ დროში.

ბიოგრაფია. დაწერეთ რომელიმე თქვენთვის საინტერესო პერსონაჟის მოკლე ბიოგრაფია. შეგიძლიათ წიგნის კითხვის პროცესში დაიწყოთ და თანდათანობით შეავსოთ ან წაკითხვის შემდეგ დაასრულოთ.

ავტობიოგრაფია. შეარჩიეთ რომელიმე საინტერესო პერსონაჟი და დაწერეთ მისი ავტობიოგრაფია, რომელიც მოიცავს პერიოდებს მოთხრობაში გადმოცემული ამბების დაწყებამდე, მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგ.

მეორე შანსი. დაწერეთ იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვლებოდა მოთხრობაში გადმოცემული ამბები იმ შემთხვევაში, თუკი მოთხრობის დასაწყისში პერსონაჟი სხვა გადაწყვეტილებას მიიღებდა.

მკითხველის რეაქციის დღიური. შეარჩიეთ ტექსტში ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვა/სტრიქონი/მოვლენა/საგანი და ახსენით, რატომ გააკეთეთ ეს არჩევანი. მოიშველიეთ კონკრეტული ადგილები ტექსტიდან.

ციტატები და კომენტარები. ვერტიკალური ხაზით გაყავით ფურცელი ორ ნაწილად. დაწერეთ მარცხენა სვეტში ციტატა ტექსტიდან, ხოლო მარჯვენა სვეტში – თქვენი კომენტარი.

ძვირფასო კლასელო! მიმოწერის დღიურის ან ელექტრონული ფოსტის გამოყენებით აწარმოეთ მიმოწერა რომელიმე კლასელთან წიგნის კითხვის პროცესში.

კავშირი მედიასთან. გადახედეთ გაზეთებს, ჟურნალებს, ინტერნეტს და მოიძიეთ სტატიები (ან სხვა მასალა), რომლებიც ამა თუ იმ სახით უკავშირდება წაკითხულ წიგნში გადმოცემულ მოვლენებს და აზრებს. ამოწერეთ სტატიის სათაურები და გვერდზე მიუწერეთ თქვენი მოსაზრებები წიგნსა და სტატიებს შორის კავშირის შესახებ.

ჩაიხედე ტვინში. დახატეთ ცარიელი თავი და შიგნით ჩახატეთ/ჩაწერეთ სიმბოლოები, სიტყვები და სურათები, რომლებიც, თქვენი აზრით, წიგნის ამა თუ იმ პერსონაჟს გონებაში უტრიალებს. ახსენით და იმსჯელეთ.

უცნაური ინტერვიუ პერსონაჟთან/ავტორთან. წამოიდგინეთ, რომ წაკითხული წიგნის ავტორი ან რომელიმე პერსონაჟი ხართ. უპასუხეთ კლასელებისა და მასწავლებლის შეკითხვებს წარმოსახვითი პერსპექტივიდან.

მხოლოდ ფაქტები. იყავით ჟურნალის ან გაზეთის რეპორტიორი. შეარჩიეთ წიგნიდან ეპიზოდი და დაწერეთ მის შესახებ მოკლე საგაზეთო რეპორტაჟი, რომელიც მხოლოდ ძირითად ფაქტობრივ შეკითხვებს პასუხობს: ვინ? რა? სად? როდის? რატომ? როგორ?

გენდერული ჩანაცვლება. გადაწერეთ სცენა ისე, რომ შეცვალოთ პერსონაჟთა სქესი. საინტერესოა, როგორ შეიცვლებოდა წიგნში გადმოცემული მოვლენები. გამართეთ დისკუსია.

თოქშოუ. გამართეთ თოქშოუ: მოსწავლეები ითამაშებენ მასპინძელს, ავტორს, პერსონაჟთა როლის შემსრულებლებს. წაახალისეთ შეკითხვები აუდიტორიიდან.

წარმოსახვითი მეგობარი. პერსონაჟებიდან რომელს ისურვებდით მეგობრად? რატომ? რაზე ილაპარაკებდით ამ პირთან?

ურთიერთსწავლება. ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს ეძლევა დავალება, რომ ასწავლოს (წაუკითხოს, წარუდგინოს) მეორე ჯგუფს (ან მთელ კლასს) ნაწარმოების რომელიმე მონაკვეთი. მოაწყვეთ სწავლება-სწავლის შემდგომი დისკუსია.

აქტივობები და დავალებები ტექსტთან სამუშაოდ მესამე ფაზაზე (წაკითხვის შემდეგ)

- მისწერე წერილი რომელიმე მთავარ პერსონაჟს. ასევე, დაწერე საპასუხო წერილი მისგან.
- შეცვალე ტექსტის დასასრული.
- წარმოიდგინე, რომ თოქშოუს წამყვანი ხარ. მოამზადე შეკითხვები პერსონაჟთან საუბრისათვის.
- შექმენი მეგზური (საინფორმაციო ფურცელი) ნაწარმოების მთავარ პერსონაჟთა გარემოცვაში სამოგზაუროდ.
- გადაწერე მოთხრობის შინაარსი უმცროსი ბავშვებისთვის.
- დაწერე საგაზეთო რეპორტაჟი მოთხრობის რომელიმე მოვლენის შესახებ.
- დაწერე, რა გადაწყვეტილებებს მიიღებდი პერსონაჟის ნაცვლად.
- გაითამაშე სცენა კლასელებთან ერთად ან თოჯინების დახმარებით.
- გააკეთე დღიურის ჩანაწერი იმის შესახებ, რასაც კითხულობ.
- შეარჩიე ორი პერსონაჟი. დაწერე მათი შესაძლო დიალოგი.
- მისწერე წერილი მეგობარს, რომელშიც ურჩევ, რატომ წაიკითხოს ან არ წაიკითხოს ეს წიგნი.
- გააკეთე ახალი და საინტერესო სიტყვების ლექსიკონი წიგნის მიხედვით.
- მოამზადე სატელევიზიო რეკლამა წიგნის შესახებ. წარუდგინე რეკლამა კლასელებს.
- როგორ ფიქრობ, წაიკითხავენ ამ წიგნს 100 წლის შემდეგ? რატომ ფიქრობ ასე? დაასაბუთე ნაწარმოების მიხედვით.
- ისაუბრე ერთი კონკრეტული ეპიზოდის შესახებ, რომელიც ყველაზე უკეთ დაგამახსოვრდა. ახსენი, რატომ დაგამახსოვრდა ეს ეპიზოდი ასე მკაფიოდ.
- მისწერე წერილი წიგნის ავტორს.
- დაწერე სიმღერის ტექსტი ნაწარმოების პერსონაჟებისა და მოვლენების შესახებ. გამოიყენე რომელიმე სიმღერის მელოდია და უმღერე კლასს.
- წაუკითხე სცენურად წიგნის რომელიმე მონაკვეთი კლასელებს.
- დეტალურად დაახასიათე მოთხრობის ორი ან სამი გმირი. ჩამოწერე მიზეზები იმისა, თუ რატომ ისურვებდი (ან არ ისურვებდი) მათ გაცნობას.
- შექმენი პოსტერი ან წიგნის ყდა, რომელიც გამოხატავს მოთხრობის კულმინაციას.
- დახატე რამდენიმე სცენა მოთხრობიდან.
- დაამზადე დიორამა მოთხრობის მიხედვით.

შეკითხვების დასმა კითხვის სამ ფაზაზე

ტექსტის გაგება-გააზრებისათვის კარგი მკითხველები ერთ-ერთ საკვანძო სტრატეგიას იყენებენ: ისინი სვამენ შეკითხვებს წაკითხვამდე, კითხვის დროს და წაკითხვის შემდეგ. ეს შეკითხვები ძირითადად შეეხება ტექსტის შინაარსს, სტრუქტურას, სიტყვების მნიშვნელობას და ენობრივ მახასიათებლებს. შეკითხვები სხვადასხვა მიზნით დაისმის. მათი მთავარი დანიშნულებაა იმის გაგება, თუ რას ამბობს ავტორი და როგორ აყალიბებს იგი სათქმელს.

ტექსტის წაკითხვამდე	კითხვის დროს	წაკითხვის შემდეგ
მნიშვნელოვანია: გავააქტიურო წინარე ცოდნა ამ კონკრეტული თემის, ასევე, ტექსტის სტრუქტურის გარშემო; გამოვკვეთო ტექსტთან დაკავშირებული მოლოდინები. რა ვარაუდები მიჩნდება ამ ეტაპზე? რომელი ტიპის ნაწარმოებია: მხატვრული, საინფორმაციო თუ პოეტური? როგორ მივხვდი? რა ინფორმაცია მაქვს უკვე ამ თემის შესახებ? რა მახსენდება? რა ასოციაციები მიჩნდება? რა შეკითხვები მაქვს ამ ეტაპზე ტექსტის შინაარსთან დაკავშირებით? რას მეუბნება სათაური, სარჩევი, ილუსტრაციები? რა ინფორმაცია გაამდიდრებდა და გააღრმავებდა ჩემს ცოდნას ამ საკითხზე? რატომ ვკითხულობ ამ ტექსტს? რა მიზანი მაქვს? რა მოლოდინი მაქვს, რა ინფომრაციას მივიღებ ამ ტექსტიდან? რა შეკითხვებზე გამცემს პასუხს ეს ტექსტი? რა ვიცი ამ ავტორისა და მისი ნამუშევრების შესახებ? ჩემი აზრით, რატომ დაწერა ავტორმა ეს ნაწარმოები? ტექსტის გადახედვის შედეგად რა ელემენტები დამეხმარება წაკითხვაში?	**მნიშვნელოვანია: ყურადღება მივაქციო იმას, თუ რამდენად კარგად ვიაზრებ წაკითხულს. თუ სათანადოდ ვერ ვიაზრებ, არ უნდა ავჩქარდე. აჯობებს, რომ შევჩერდე, მოვიშველიო კითხვის სტრატეგიები, კარგად გავიაზრო ტექსტი და მხოლოდ ამის შემდეგ განვაგრძო კითხვა.** რაზე დამაფიქრა ტექსტის დასაწყისის წაკითხვამ? რამ დამაინტერესა? რა ვარაუდები მიჩნდება? რა მოხდება შემდეგ? ტექსტის რომელი დეტალების ვიზუალიზება, ანუ წარმოსახვაში გაცოცხლება დამეხმარება გააზრებაში? რა აზრები გამომაქვს წაკითხული აბზაციდან/მონაკვეთიდან? შემიძლია თუ არა შევაჯამო, ანუ ჩემი სიტყვებით მოკლედ ვთქვა წაკითხულის შინაარსი? რომელი სამი სიტყვა გადმოსცემს ამ მონაკვეთის/აბზაცის მთავარ აზრს? ხომ არ შემხვდა ისეთი უცნობი სიტყვა, რომლის მნიშვნელობის ცოდნა ნამდვილად საჭიროა ტექსტის მთავარი აზრის გასაგებად? ხომ არ მჭირდება შეჩერება და უცნობი სიტყვის მნიშვნელობის გასაგებად კონტექსტის, ლექსიკონის ან სხვა წყაროების გამოყენება? რა დამეხმარება უცნობი სიტყვის მნიშვნელობის გაგებაში? შემიძლია თუ არა შევაჯამო, ანუ ჩემი სიტყვებით, მოკლედ ვთქვა ის, რაც უკვე წავიკითხე? რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი აზრები? რა ახალი ფაქტები აღმოვაჩინე? ხომ არ მჭირდება წინადადების ან აბზაცის ხელახლა წაკითხვა მისი შინაარსის გასააზრებლად? ხომ არ მჭირდება კითხვის შენელება მისი შინაარსის გასააზრებლად?	**მნიშვნელოვანია: გამოვეხმაურო წაკითხულს; დავაკავშირო მისი შინაარსი სხვა ტექსტებთან და იდეებთან; გავიღრმავო საკითხის ცოდნა, გავაანალიზო და შევაფასო გადმოცემული იდეები; შევაფასო ტექსტის გააზრების ხარისხი.** რამდენად გასცა პასუხი ამ ტექსტმა წაკითხვამდე დასმულ შეკითხვებს? რამდენად გამართლდა წაკითხვამდე და კითხვის დროს ჩამოყალიბებული ვარაუდები? რა იყო ამ ტექსტის მთავარი იდეა და ძირითადი სათქმელი? რა ზოგადი დასკვნების გამოტანა შეიძლება? რა მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და კანონზომიერებები დამანახა ტექსტმა? რა ტექსტებს და იდეებს დავუკავშირე ამ ტექსტის შინაარსი? რაზე ვფიქრობ და რაზე მსურს მსჯელობა ამ ტექსტის წაკითხვის შემდეგ? როგორ გადმოსცა ავტორმა სათქმელი? რა ხერხები გამოიყენა? რა არის ამ ტექსტის ზოგადი თემა? ვურჩევდი სხვებს ამ ტექსტის წაკითხვას? რატომ?

გაგება-გააზრების უნარის შემოწმება და შეფასება

გაგება-გააზრების უნარის შემოწმების/შეფასების ყველაზე გავრცელებული ხერხის მიხედვით, მოსწავლეს ვთხოვთ შესაფერისი სირთულის ტექსტის წაკითხვას და შემდეგ ვუსვამთ ამ ტექსტის შინაარსთან დაკავშირებულ შეკითხვებს. შეკითხვები შეიძლება ეხებოდეს ტექსტში პირდაპირ მოცემულ, ფაქტობრივ ინფორმაციას ან დაფარულ, ნაგულიხმევ აზრებს, რომლებზე პასუხიც ანალიზს და ჩაწვდომას მოითხოვს. არსებობს შემოწმების სხვა ხერხებიც. მაგალითად, შეიძლება მოსწავლეს ვთხოვოთ, რომ წაკითხული ტექსტი საკუთარი სიტყვებით გადმოსცეს ან შეაჯამოს და მთავარი აზრი დაასახელოს. კიდევ ერთი გავრცელებული ტესტია „დაკარგული სიტყვები", რომელიც მოსწავლისგან ტექსტში გამოტოვებული ადგილების შესაფერისი სიტყვებით შევსებას მოითხოვს. ეს ტექსტი შეგვხვდა ლექსიკური მარაგის შეფასების ინსტრუმენტებს შორისაც. მას წარმატებით ვიყენებთ გაგება-გააზრების შესამოწმებლადაც.

ზოგჯერ ტექსტის გაგება-გააზრების შემოწმება/შეფასება კომბინირებულია ტექსტის გამართულად წაკითხვის შემოწმებასთან. ასეთ შემთხვევაში მოსწავლე ხმამაღლა წაიკითხავს ტექსტს და მასწავლებელი ჩაინიშნავს დაშვებულ შეცდომებს. ამის შემდეგ მასწავლებელი რამდენიმე შეკითხვას დაუსვამს მოსწავლეს. უმჯობესია, თუ კომბინირებულ ტესტს მესამე კლასიდან გამოვიყენებთ. საქმე ისაა, რომ დამწყები მკითხველისთვის ადვილი არ არის ხმამაღლა წაკითხული ტექსტის სათანადო დონეზე გააზრება. როცა ბავშვები ხმამაღლა კითხულობენ, როგორც წესი, უშეცდომოდ წაკითხვაზე არიან კონცენტრირებულნი და გაგება-გააზრებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ამიტომ კომბინირებული ტესტები მას შემდეგ უნდა გამოვიყენოთ, რაც ხმამაღლა წაკითხვაში ასე თუ ისე გაიწაფებიან მოსწავლეები. გაგება-გააზრების ტესტი ყველაზე ეფექტურია მაშინ, როცა ბავშვი სხვას კი არ უკითხავს, არამედ თავისთვის კითხულობს.

გააზრების შეფასება ადვილი არ არის. ის ხომ მეტად კომპლექსური უნარია. გარდა ამისა, ის არაფრის რაოდენობა არ არის. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე ტექსტის ნიმუში გაგება-გააზრების უნარის შეფასებისთვის.

ტექსტის მოსმენა და გააზრება

ტესტის დანიშნულება: სხვის მიერ ხმამაღლა წაკითხული ტექსტის მოსმენით გაგება-გააზრების უნარის შემოწმება. ეს უნარი წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საყრდენია. ჩვეულებრივ, მოსმენილი ტექსტის გაგების ტესტირება წინ უსწრებს წაკითხული ტექსტის გაგების ტესტს. თუ მოსწავლე მოსმენით კარგად იაზრებს, ხოლო წაკითხულს ცუდად, მიზეზი დეკოდირებისა და გამართული კითხვის კომპონენტში უნდა ვეძებოთ. შესაძლოა, ბავშვს ამ კუთხით ესაჭიროებოდეს დახმარება.

ტესტის ტიპი: ინდივიდუალური. ზეპირი. არ ახლავს მოსწავლის ფურცელი.

ტესტის ჩატარების ვადები: პირველი, მეორე და მესამე კლასები. სასურველია სკრინინგის ჩატარება სასწავლო წლის დასაწყისში. დიაგნოსტიკური ტესტირება შეიძლება ჩატარდეს რამდენჯერმე სასწავლო წლის განმავლობაში. საჭიროებისამებრ, შესაძლებელია ტესტის ჩატარება მეოთხე კლასშიც.

ტესტის ხანგრძლივობა: რამდენიმე წუთი

ტესტის ჩასატარებლად საჭირო რესურსი: ა) მასწავლებლის ფურცელი წასაკითხი ტექსტითა და დასასმელი შეკითხვებით.

ტესტის ჩასატარებლად საჭიროა:

- მხატვრული ტექსტი (ზღაპარი, იგავი ან მოთხრობა), რომელიც შეიცავს თხრობითი ტექსტის ძირითად ელემენტებს (მთავარი პერსონაჟი, გარემოებები, პრობლემა, საკვანძო

მოქმედებები, პრობლემის გადაწყვეტა...). ტექსტის ზომა პირველი კლასისთვის: 80-120 სიტყვა, მეორე და მესამე კლასისთვის: 120-200 სიტყვა.

- ხუთი შეკითხვა: 2 ექსპლიციტური (სიტყვა-სიტყვითი გაგების შესამოწმებლად. მაგ., რა ჩაუწყო დედამ წითელქუდას კალათში?), 2 იმპლიციტური (ანალიტიკური გაგების შესამოწმებლად. მაგ., რატომ გაუშვა მგელმა წითელქუდა გრძელი გზით? ან რატომ მოატყუა მგელმა წითელქუდა?), 1 ლექსიკური (სიტყვის მნიშვნელობის გაგების შესამოწმებლად. მაგ., რას ნიშნავს სიტყვა „მსუნაგი“?).

ტესტის ჩატარების პროცედურა: მასწავლებელი წინ დაისვამს მოსწავლეს და ეუბნება: „ახლა მე წაგიკითხავ საინტერესო მოთხრობას/ზღაპარს. ყურადღებით მოისმინე და სცადე, დაიმახსოვრო. მერე რამდენიმე შეკითხვას დაგისვამ და შენ მიპასუხებ. მზად ხარ? მაშინ დავიწყოთ.“

მასწავლებელი ზომიერი სიჩქარით, ხმამაღლა, გამომეტყველებით უკითხავს მოსწავლეს ტექსტს. კითხვის დასრულების შემდეგ უსვამს შეკითხვებს. მოსწავლის მიერ გაცემული პასუხების მიხედვით ის აკეთებს ჩანიშვნებს თავის ფურცელზე.

მხატვრული (თხრობითი) ტექსტის გაგება-გააზრების ტესტი

ტესტის დანიშნულება: თხრობითი (მხატვრული) ტექსტის გაგება-გააზრების უნარის შემოწმება. ეს არის კითხვის სწავლება-სწავლის ძირითადი კომპონენტი.

ტესტის ტიპი: ჯგუფური. წერითი.

ტესტის ჩატარების ვადები: ქართული ენა და ქართული, როგორც მეორე ენა: მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კლასები. სასურველია სკრინინგის ჩატარება თითოეული სემესტრის დასაწყისში. დიაგნოსტიკური ტესტირება სასურველია ჩატარდეს რამდენჯერმე სასწავლო წლის განმავლობაში.

ტესტის ხანგრძლივობა: 15-20 წუთი

ტესტის ჩასატარებლად საჭირო რესურსი: ა) მოსწავლის სამუშაო ფურცელი წასაკითხი ტექსტითა და შეკითხვებით, ბ) წამმზომი/საათი.

ტესტის ჩატარების პროცედურა: თავდაპირველად მოსწავლეებს ურიგდებათ თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრების ტესტის სამუშაო ფურცლები. შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს ტესტთან დაკავშირებულ მითითებებს. მასწავლებელი თვალყურს ადევნებს დროს, რომელიც მიცემული აქვთ მოსწავლეებს. დროის ამოწურვის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ დაასრულონ წერა და შეაგროვებს ტესტის ფურცლებს.

მასწავლებლის მითითებები მოსწავლეებს. „ბავშვებო, ახლა თქვენთვის, ჩუმად უნდა წაიკითხოთ მოთხრობა და შემდეგ უპასუხოთ შეკითხვებს ამ მოთხრობის შესახებ. ყოველ შეკითხვას აქვს სამი სავარაუდო პასუხი. აირჩიეთ ის პასუხი, რომელიც, თქვენი აზრით, სწორია. შეგიძლიათ, ტესტის ფურცლებზე იმუშაოთ და მონიშვნები გააკეთოთ. თუ შეიძლება, სწორი პასუხები გარკვევით მონიშნეთ ტესტის ფურცელზე. ამ სავარჯიშოს შესასრულებლად თქვენ 20 წუთი გაქვთ. მე შეგახსენებთ დროის გასვლას. მიხვდით, რა უნდა გავაკეთოთ? ახლა ყველამ მიჩვენეთ კალმები. მზად ხართ? მაშინ, შეგიძლიათ, დაიწყოთ. იმუშავეთ მშვიდად“. 10 წუთის შემდეგ მასწავლებელმა უნდა თქვას „სავარჯიშოს დასრულებამდე თქვენ 10 წუთი გაქვთ.“ 20 წუთის გასვლის შემდეგ მასწავლებელი იტყვის: „დრო ამოიწურა. გთხოვთ შეწყვიტოთ წერა და ჩამაბაროთ თქვენი ნამუშევრები. გმადლობთ.“

ქულების მინიჭება

მოსწავლეები ყოველ სწორად გაცემულ პასუხში 1 ქულას იღებენ.

თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

დიტოს წიგნი

დიტოს ბევრი წიგნი ჰქონდა. თვითონ კითხულობდა, მაგრამ სხვას არ აკარებდა, იტყოდა ხოლმე: წიგნს დამისვრიან, ფურცლებს დამიჭმუჭნიან და გამიფუჭებენო. ეს კარგად იცოდნენ მისმა მეგობრებმა, ერიდებოდნენ თხოვნას და არ აწუხებდნენ მას.

ერთხელ დიტოსთან ნიკა მივიდა და წიგნი სთხოვა, – კლასელებს სულ ჩამოვუარე, მაგრამ ვერ ვიშოვნეო. დიტო კი თვითონ კითხულობდა ამ წიგნს, არდადეგები დაწყებულიყო და უნდოდა, სოფელში წაელო.

ნიკამ დიდხანს ათვალიერა წიგნი, ხან ყდას დასცქეროდა, ხან კი ფერად-ფერად სურათებს. დიტოს პატარა დაიკოც სულ თავს დასტრიალებდა ნიკას, უნდოდა როგორმე თვითონაც ხელთ ეგდო და დაეთვალიერებინა ფერადი სურათები, მაგრამ ვინ მიაკარებდა ახლოს!

ნიკასთვის რომ მიგეცათ ეს წიგნი, დღესვე წაიკითხავდა, მთელ ღამეს გაათენებდა, მაგრამ დიტო ხომ ამ საღამოს სოფელში მიდიოდა, ამიტომ თხოვნა აღარ გაუმეორა.

მეგობრები დერეფანში საუბრის შემდეგ ერთმანეთს დაემშვიდობნენ, ნიკამ მეგობარს კარგი დასვენება უსურვა და წავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ დიტოს თავისი წიგნი მოაგონდა, ეძება, მაგრამ ვერსად მიაგნო. დედასაც ჰკითხა და დაიკოსაც. არავინ არაფერი იცოდა. ეჭვი მეგობარზე აიღო, სასწრაფოდ დაურეკა, იქნებ გამგზავრებამდე მოასწროს დაბრუნებაო:

– ნიკა, მთელი საღამოა წიგნს ვეძებ და ვერ ვპოულობ; მგონია, შენ წაიღე და გთხოვ, დამიბრუნო.

ნიკამ უარი უთხრა:

– არა, კარგად მახსოვს, რომ წამოსვლის წინ მაგიდაზე დავტოვე.

გაბრაზებულმა დიტომ არ დაუჯერა და ყურმილი დააგდო.

საღამოს მთელი ოჯახი მატარებელში ისხდა, სოფელზე ფიქრში დიტო ისე გაერთო, რომ სულ გადაავიწყდა წიგნის ამბავი.

დილით უკვე სოფელში იყვნენ. ბებიას სახლიც გამოჩნდა. სიხარულით შეხვდნენ ბებოს, იმდენი კოცნეს, კინაღამ წააქციეს მოხუცი. დიტომ ბარგის ამოლაგება დაიწყო და უცებ თავის წიგნს არ ხედავს?! გაუხარდა, მაგრამ ნიკა გაახსენდა და მოიღუშა:

– ქეთი, აქ საიდან გაჩნდა, შენ ხომ არ ჩადე?

დაიკო ჯერ უარზე იყო, შემდეგ ტირილი წასკდა:

– მე ჩავდე, მე, – სლუკუნებდა ქეთი, – ნიკა რომ გააცილე, წიგნი მაგიდიდან ავიღე და ფურცვლა დავუწყე. უცებ შენი ფეხის ხმა რომ მომესმა, შემეშინდა, ვიცოდი, გამიბრაზდებოდი, მაგიდაზე დადება ვეღარ მოვასწარი და იქვე ჩანთაში ჩავაგდე.

დიტო გაოგნებული იდგა, მიხვდა, რომ ტყუილ-უბრალოდ აწყენინა მეგობარს. ვეღარ მოისვენა, მამას ტელეფონი სთხოვა და ნიკას დაურეკა, ყველაფერი აუხსნა, თან მოუბოდიშა:

– მაპატიე, ნიკა, ძალიან ვინერვიულე წიგნის დაკარგვის გამო, თავგზა ამებნა, ავჩქარდი და დაუფიქრებლად გაწყენინე.

– მიხარია, რომ წიგნი იპოვე. მართალი გითხრა, ძალიან დავიბენი, ცოტათი მეწყინა კიდეც, მაგრამ ჩვენ კარგ მეგობრებად დავრჩებით, – უპასუხა ნიკამ.

შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. **როგორ იქცეოდა დიტო, როდესაც მისგან წიგნის თხოვნა სურდათ?**
   ა) არავის ათხოვებდა, თავისთვის კითხულობდა.
   ბ) ზოგჯერ მეგობრებს მაინც ათხოვებდა ხოლმე.
   გ) მხოლოდ პატარა დას ათხოვებდა ხოლმე.

2. **სად და როდის აღმოაჩინა დიტომ თავისი დაკარგული წიგნი?**
   ა) მატარებელში ჩაჯდომის წინ.
   ბ) სოფელში, როდესაც დამ სიმართლე გაუმხილა.
   გ) სოფელში, როდესაც თავისი ბარგი ამოალაგა.

3. **რამდენჯერ სთხოვა ნიკამ დიტოს წიგნი იმ დღეს?**
   ა) ერთხელ, მეორედ მოერიდა და აღარ გაუმეორა.
   ბ) ორჯერ, მისვლისას და წამოსვლისას.
   გ) არცერთხელ, უნდოდა ეთხოვა, მაგრამ ვერ გაუბედა.

4. **რას გვასწავლის ეს მოთხრობა?**
   ა) საკუთარი ბარგი ყოველთვის თავად უნდა ჩაალაგო და ამოალაგო.
   ბ) წიგნები აუცილებლად უნდა ათხოვო კლასელებსა და მეგობრებს.
   გ) ჯერ სიმართლე უნდა გაარკვიო და შემდეგ გადაწყვიტო, როგორ მოიქცე.

5. **ნიკამ განმეორებით აღარ სთხოვა დიტოს წიგნი, რადგან იცოდა, რომ:**
   ა) დიტო საღამოს სოფელში მიდიოდა და წიგნის წაკითხვას ვერ მოასწრებდა.
   ბ) წიგნი საღამოს დიტოს დას უნდა წაეკითხა.
   გ) წიგნს სხვა თანაკლასელისგანაც ითხოვებდა.

6. **რატომ დააბრალა დიტომ ნიკას წიგნის აღება?**
   ა) ნიკამ ტელეფონით საუბრის დროს დიტოს პასუხი არ გასცა და ყურმილი დააგდო.
   ბ) დამ უთხრა, რომ წიგნი ნიკამ წაიღო.
   გ) ნიკას წასვლის შემდეგ, წიგნი ვეღარ იპოვა.

7. **ნიკა და დიტო არიან:**
   ა) თანაკლასელები ბ) მეზობლები გ) ნათესავები

8. **როდესაც ქეთი ძმას გამოუტყდა, როგორ აღწერა თავისი საქციელი?**

ა) მაგიდასთან დავჯექი, წიგნი გადავფურცლე, შენი ფეხის ხმა რომ მომესმა, მაგიდაზე დადება ვერ მოვასწარი და ჩანთაში ჩავაგდე.

ბ) წიგნი მაგიდიდან ავიღე, გადავფურცლე, შენი ფეხის ხმა რომ მომესმა, შემეშინდა, მაგიდაზე დადება ვეღარ მოვასწარი და ჩანთაში ჩავაგდე.

გ) ჯერ წიგნის ყდას დავაცქერდი, მერე კი ფერად-ფერად სურათებს, შენი ფეხის ხმა რომ მომესმა, ჩანთაში ჩავაგდე.

9. **სოფელში ჩასულმა დიტომ ნიკას დაურეკა, რათა**

ბ) ეთქვა მისთვის, რომ წიგნი იპოვა და აღარ ენერვიულა.

ბ) ეკითხა, რომელი მოთხრობა უნდა წაეკითხათ არდადეგებზე.

გ) ეღიარებინა, რომ არასწორად მოიქცა და ბოდიში მოეხადა.

შევსებული ტესტის ნიმუში

დავალება. შეარჩიეთ სწორი პასუხი და შემობაზეთ შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. **როგორ იქცეოდა დიტო, როდესაც მისგან წიგნის თხოვნა სურდათ?**

(ა) არავის ათხოვებდა, თავისთვის კითხულობდა.

ბ) ზოგჯერ მეგობრებს მაინც ათხოვებდა ხოლმე.

გ) მხოლოდ პატარა დას ათხოვებდა ხოლმე.

2. **სად და როდის აღმოაჩინა დიტომ თავისი დაკარგული წიგნი?**

ა) მატარებელში ჩაჯდომის წინ.

ბ) სოფელში, როდესაც დამ სიმართლე გაუმხილა.

(გ) სოფელში, როდესაც თავისი ბარგი ამოალაგა.

3. **რამდენჯერ სთხოვა ნიკამ დიტოს წიგნი იმ დღეს?**

(ა) ერთხელ, მეორედ მოერიდა და აღარ გაუმეორა

ბ) ორჯერ, მისვლისას და წამოსვლისას

გ) არცერთხელ, უნდოდა ეთხოვა, მაგრამ ვერ გაუბედა

ინფორმაციული ტექსტის გაგება-გააზრების ტესტი

ტესტის დანიშნულება: ინფორმაციული (არამხატვრული) ტექსტის გაგება-გააზრების უნარის შემოწმება. ეს არის კითხვის სწავლება-სწავლის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი.

ტესტის ტიპი: ჯგუფური. წერითი.

ტესტის ჩატარების ვადები: ქართული ენა და ქართული, როგორც მეორე ენა: მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კლასები. სასურველია სკრინინგის ჩატარება თითოეული სემესტრის დასაწყისში. დიაგნოსტიკური ტესტირება სასურველია ჩატარდეს რამდენჯერმე სასწავლო წლის განმავლობაში.

ტესტის ხანგრძლივობა: 15 წუთი

ტესტის ჩასატარებლად საჭირო რესურსი: ა) მოსწავლის სამუშაო ფურცელი წასაკითხი ტექსტითა და შეკითხვებით, ბ) საათი/წამმზომი.

ტესტის ჩატარების პროცედურა: მოსწავლეებს ურიგდებათ ინფორმაციული ტექსტის გაგება-გააზრების ტესტი. შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს ტესტთან დაკავშირებულ მითითებებს. მოსწავლეები ჩუმად კითხულობენ ტექსტს. შემდეგ პასუხობენ დახურულ კითხვებს წაკითხულის შესახებ. მასწავლებელი თვალყურს ადევნებს დროს, რომელიც მიცემული აქვთ მოსწავლეებს. 15 წუთის გასვლის შემდეგ მასწავლებებელი შეაგროვებს მოსწავლეთა ფურცლებს.

მასწავლებლის მითითებები მოსწავლეებს. „თქვენ დაგირიგდათ მოსწავლის ფურცლები, რომელშიც არის ინფორმაციული ტექსტი და დავალება. გთხოვთ, თქვენთვის ჩუმად წაიკითხოთ და უპასუხოთ ტექსტის შემდეგ მოცემულ შეკითხვებს. შეკითხებს ახლავს სამი სავარაუდო პასუხი. ამ სამიდან აირჩიეთ და შემოხაზეთ ის, რომელიც, თქვენი აზრით, სწორია. შეგიძლიათ, ტესტის ფურცლებზე იმუშაოთ და მონიშვნები გააკეთოთ. თუ შეიძლება, სწორი პასუხები გარკვევით შემოხაზეთ ტესტის ფურცელზე. ამ სავარჯიშოს შესასრულებლად 15 წუთი გაქვთ. მე შეგახსენებთ დროის გასვლის შესახებ. გასაგებია, რა უნდა გავაკეთოთ? ახლა ყველამ მიჩვენეთ კალმები. მზად ხართ? მაშინ, შეგიძლიათ, დაიწყოთ. იმუშავეთ მშვიდად.“ შემფასებელი თვალყურს ადევნებს დროს, რომელიც მიცემული აქვთ მოსწავლეებს. 10 წუთის შემდეგ შემფასებელმა უნდა თქვას: „დავალების დასასრულებლად თქვენ 5 წუთი გაქვთ“. დაწყებიდან 15 წუთის გასვლის შემდეგ შემფასებელი იტყვის: „დრო ამოიწურა. გთხოვთ, შეწყვიტოთ წერა და ჩამაბაროთ თქვენი ნამუშევრები.“

ქულების მინიჭება

მოსწავლეები ყოველ სწორად გაცემულ პასუხში 1 ქულას იღებენ.

ნიმუში: III კლასი

ინფორმაციული ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ტელეფონი

ადამიანებისთვის ტელეფონი აუცილებელი ნივთია, ის სჭირდება დიდსაც და პატარასაც. ძნელია, წარმოიდგინო, როგორ ცხოვრობდა ხალხი ტელეფონის გარეშე. ალბათ, გაინტერესებთ მისი ისტორია. თურმე ტელეფონი პირველად ამერიკელმა მეცნიერმა ალექსანდრე გრაჰამ ბელმა გამოიგონა.

ტელეფონი არის მოწყობილობა, რომელიც ადამიანის საუბარს ელექტრონულ სიგნალებად გადააქცევს. ეს საშუალებას იძლევა, რომ ორი ერთმანეთისაგან დიდ მანძილზე მყოფი ადამიანი ერთმანეთს ელაპარაკოს.

სადენიანი ტელეფონები

1872 წელს ალექსანდრე გრაჰამ ბელი და მისი მეგობარი ტომას უოტსონი ექსპერიმენტებს ატარებდნენ. ისინი სხვადასხვა ოთახიდან ცდილობდნენ ერთმანეთთან დაკავშირებას. ერთ-ერთი ექსპერიმენტი წარმატებული აღმოჩნდა და პირველი სიტყვები ტელეფონით ბელმა წარმოთქვა: *„მისტერ უოტსონ, მოდით აქ, თქვენი ნახვა მსურს“.*

ოთხი წლის შემდეგ ამერიკაში სამოცი ათასი ტელეფონი იყო. დარეკვა მაშინ სულ სხვაგვარად ხდებოდა: ტელეფონით ვინმესთან რომ გესაუბრა, ჯერ ოპერატორთან უნდა დაგერეკა და და მისთვის გეთხოვა დაკავშირება. თანდათანობით ტელეფონით დაკავშირება ადვილი გახდა და ადამიანები თავისუფლად, შეფერხებების გარეშე ახერხებდნენ ერთმანეთთან საუბარს. თუმცა, ასეთი ტელეფონის ტარება შეუძლებელი იყო, რადგან ის სპეციალური ხაზის გარეშე არ მუშაობდა.

უსადენო ტელეფონები

ერთმა ჩვეულებრივმა ინჟინერმა მარტინ კუპერმა გადაწყვიტა, შეექმნა ისეთი აპარატი, რომლის ყველგან წაღებას შეძლებდა.

ფირმა „მოტოროლაში“ ოცი წლის მუშაობის შემდეგ მარტინ კუპერმა ჩიკაგოში პატარა ზომის ფიჭური ტელეფონი შექმნა. პირველი მობილურის სახელწოდება „დინა-ტაკი“ იყო. მას დასატენად 10 საათზე მეტი სჭირდებოდა. ამის შემდეგ „მოტოროლამ“ პირველმა დაიწყო მობილური ტელეფონების წარმოება.

ამჟამად, ძნელად წარმოგვიდგენია ჩვენი თანამედროვეობა მობილური ტელეფონის გარეშე, ის ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მსოფლიოს წამყვანი კომპანიები კი კვლავ მუშაობენ მობილური ტელეფონის გაუმჯობესებასა და ზომების შემცირებაზე.

სიტყვების განმარტება

ექსპერიმენტი - ცდა

ოპერატორი – ადამიანი, რომელიც ტელეფონზე მოსაუბრეებს ერთმანეთთან აკავშირებდა

სადენი – სატელეფონო ხაზი, კაბელი

ჩიკაგო – ქალაქი ამერიკაში

ფიჭური ტელეფონი – მობილური ტელეფონი

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა,ბ ან გ).

1. **რაზე მოგვითხრობს მოცემული ტექსტი?**
   ა) ალექსანდრე გრაჰამ ბელის მოღვაწეობის შესახებ
   ბ) ტელეფონის მწარმოებელი კომპანიების შესახებ
   გ) ტელეფონის შექმნისა და განვითარების შესახებ

2. **ტექსტის პირველ ნაწილში საუბარია**
   ა) სადენიანი და უსადენო ტელეფონის მსგავსების შესახებ
   ბ) ტელეფონის დანიშნულების შესახებ
   გ) სადენიანი ტელეფონის შექმნის შესახებ

3. **პირველ ილუსტრაციაზე გამოსახულია ტელეფონი:**
   ა) რომელსაც ადამიანები საუბრისას ყველგან ატარებდნენ
   ბ) რომელსაც დასატენად 10 საათზე მეტი სჭირდებოდა
   გ) რომლითაც ადამიანები სპეციალური სადენის გარეშე ვერ საუბრობდნენ

4. **როდის გამოიგონეს პირველი ტელეფონი?**
   ა) მე–18 საუკუნეში
   ბ) მე–19 საუკუნეში
   გ) მე–20 საუკუნეში

5. **რომელ წელს იყო ამერიკაში 60000 ტელეფონი?**
   ა) 1872 წელს
   ბ) 1876 წელს
   გ) 1882 წელს

6. **რატომ გადაწყვიტა მარტინ კუპერმა მობილური ტელეფონის შექმნა?**
   ა) უნდოდა, რომ მობილურის პირველი გამომგონებელი ყოფილიყო.
   ბ) უნდოდა, რომ ტელეფონით ოპერატორის გარეშე ესაუბრა.
   გ) უნდოდა, რომ ტელეფონის ყველგან წაღება შეძლებოდა.

სურათი. შევსებული ტესტის ნაწილია.

კომბინირებული ტესტები კითხვის უნარის სწრაფად შეფასებისთვის

ქვემოთ მოცემულია ტესტის ნიმუში, რომლის გამოყენება სასარგებლოა კითხვის უნარის შეფასებისთვის სასწავლო წლის სხვადასხვა მონაკვეთში.

კითხვის ძირითადი უნარების შეფასების ტესტი (II-VI კლასები)

ეს არის ინდივიდუალური ტესტი, რომელიც კითხვაში მოსწავლეთა მიღწევის დიაგნოსტირებისა და მონიტორინგის საშუალებას იძლევა. ამ ინსტრუმენტის გამოყენებით შეგვიძლია ხუთ წუთამდე ინტერვალში დავადგინოთ მოსწავლის მდგომარეობა და გამოვკვეთოთ სამიზნე წერტილები სწავლების გასაუმჯობესებლად. ტესტით შესაძლებელია მოსწავლეთა მიღწევების შემოწმება კითხვის სამ საკვანძო კომპონენტში: ***სიტყვების წაკითხვაში*** (ცნობა და/ან დეკოდირება), ***გამართულ კითხვასა*** და ***გაგება-გააზრებაში***. ამ ტესტირების შედეგად დაგროვილი ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება მოსწავლის პროგრესის მონიტორინგი გარკვეული პერიოდულობით. ეს, თავის მხრივ, საშუალებას გვაძლევს, დავგეგმოთ და წარვმართოთ მოსწავლის საჭიროებებზე ორიენტირებული აქტივობები.

მოცემული ტესტის ორგანიზება და ჩატარება საკმაოდ მარტივია. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს, რომ ხმამაღლა წაიკითხოს ტექსტი (კლასის კითხვის დონის) და შემდეგ მოყვეს, რაც დაამახსოვრდა წაკითხულიდან. უშუალოდ კითხვის პროცესში მასწავლებელი აკვირდება და ჩაინიშნავს **გამართულად წაკითხვის** მახასიათებლებს. წაკითხვის შემდგომი აქტივობების დროს მასწავლებელი ჩაინიშნავს **გაგება-გააზრების** მახასიათებლებს.

ქვემოთ მოცემულია კონკრეტული ინსტრუქციები და ფორმები, რათა თქვენ ადვილად შეძლოთ: **ტესტის მომზადება, ჩატარება, ქულების მინიჭება** და **შედეგების ანალიზი**.

ინსტრუქცია ტესტის მომზადებისა და ჩატარებისთვის

1. **ტექსტის შერჩევა**. ტექსტის შესარჩევად შეგიძლიათ ორიდან ერთ–ერთ გზას მიმართოთ:

   ა) შეარჩიოთ მზა ტექსტი საბავშვო წიგნებიდან/ჟურნალებიდან, ძველი სახელმძღვანელოებიდან, ინტერნეტის საიტებიდან ან დამატებითი საკითხავი წიგნებიდან. არ არის სასურველი, რომ ტექსტი სასკოლო სახელმძღვანელოდან აიღოთ;

   ბ) შეარჩიოთ მზა ტექსტი სპეციალურად დონეების მიხედვით დალაგებული ტექსტებიდან.

სასურველია, რომ შერჩეულ ტექსტს ჰქონდეს ის მახასიათებლები, რომლებზეც წინა ტესტების აღწერაში გვქონდა საუბარი. თუ ასეთი ტექსტი ვერ მოიძიეთ, სასურველია, გააკეთოთ ტექსტის ადაპტირება. ადაპტირების სამი ძირითადი ხერხია: გრძელი წინადადებების დანაწევრება, რთული ლექსიკური ერთეულების შეცვლა ბავშვებისთვის ნაცნობი ლექსიკური ერთეულებით, რთული გრამატიკული ფორმების გამოყენებით აწყობილი წინადადებების გამარტივება.

შეკითხვების მომზადება. მოიფიქრეთ და დაწერეთ 5-6 შეკითხვა შერჩეული ტექსტისთვის. შეკითხვების დასაწერად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული მითითებები:

- 2-3 შეკითხვა უნდა შეეხებოდეს ტექსტში ექსპლიციტურად, ზედაპირზე მოცემული ინფორმაციის ამოღებას;
- 2 შეკითხვა უნდა შეეხებოდეს ტექსტში იმპლიციტურად, ნაგულისხმევი ინფორმაციის/აზრების ჩაწვდომას, ინტერპრეტაციას და დასკვნების გამოტანას;
- 1 შეკითხვა მოცემულ კონტექსტში ლექსიკური ერთეულის (სიტყვის) მნიშვნელობის გააზრებისთვის.

შეკითხვები უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ სასწავლო გეგმაში ასახულ მისაღწევ შედეგებს და შესაბამის ინდიკატორებს.

სამუშაო ფურცლების მომზადება. დაამზადეთ ორი სამუშაო ფურცელი: მოსწავლის და მასწავლებლის (ნიმუშები იხ. ქვემოთ).

2. დასვით მოსწავლე. სთხოვეთ, რომ დაიწყოს კითხვა. დაინიშნეთ დრო (ჩართეთ წამმზომი). გრაფაში „შეცდომები სიტყვების წაკითხვაში“ ჩამოუსვით თითო ხაზი მოსწავლის მიერ შეცდომით წაკითხულ თითო სიტყვაზე. შეგიძლიათ, ჩაინიშნოთ მოსწავლის მიერ დაშვებული კონკრეტული შეცდომები (მიაწერეთ მოსწავლის მიერ წაკითხული ვარიანტი). თუ მოსწავლე შეყოვნდა რომელიმე სიტყვასთან და ვერ კითხულობს მას 3 წამის განმავლობაში, წაუკითხეთ ეს სიტყვა და სთხოვეთ, რომ გააგრძელოს კითხვა. როცა მოსწავლემ თვითონვე გაასწორებს შეცდომით წაკითხულ სიტყვას, შეცდომად აღარ ეთვლება. კითხვის დაწყებიდან ერთი წუთის გასვლის შემდეგ დასვით ტექსტში ფიგურული ფრჩხილი (]) მოსწავლის გაუჩერებლად (მოსწავლე ჩვეულებრივად გააგრძელებს კითხვას ტექსტის დასასრულამდე). ტესტირების დასრულების შემდეგ დათვალეთ ერთ წუთში სწორად წაკითხული სიტყვების (წსწს) რაოდენობა და ჩაწერეთ ეს რიცხვი შესაბამის გრაფაში. ჩაწერეთ 0, 1 ან 2 გამართული კითხვის დარჩენილ ორ გრაფაში იმის მიხედვით, რამდენად გაბმულად და გამომეტყველებით წაიკითხა მოსწავლემ ტექსტი (0 – არ გამოვლინდა, 1 – ნაწილობრივ გამოვლინდა, 2 – სრულად გამოვლინდა).

3. გადადით გაგება-გააზრების ნაწილზე. გამოართვით მოსწავლეს ტექსტი და სთხოვეთ, მოყვეს, რაც დაამახსოვრდა. თხრობის დასრულების შემდეგ ჰკითხეთ, კიდევ ხომ არ გაიხსენებს რამეს წაკითხულიდან. ჩაწერეთ 0, 1 ან 2 გრაფაში „თხრობა“ (0 – საერთოდ ვერ გადმოსცა ან ბუნდოვნად გადმოსცა მხოლოდ რამდენიმე დეტალი, 1 – ნაწილობრივ გადმოსცა, თანმიმდევრობა და დეტალები არ იყო ზუსტი, 2 – გადმოსცა თანმიმდევრულად, სრულად, კონკრეტული დეტალების ჩათვლით).

4. დაუსვით მოსწავლეს ტექსტის გაგება–გააზრების შეკითხვები. შეკითხვები უნდა შეეხებოდეს: ტექსტში გადმოცემულ ძირითად დეტალებს, მოთხრობის მთავარ იდეას, მოვლენების თანმიმდევრობას, იმპლიციტური აზრების ჩაწვდომას და სიტყვების მნიშვნელობის გააზრებას. ჩაწერეთ ბოლო გრაფაში მოსწავლის სწორი პასუხების რაოდენობა.

კითხვის ძირითადი უნარების შეფასების ტესტი

აღრიცხვის ფორმა

სკოლა კლასი მასწავლებელი

ტექსტის სათაური: ტექსტის ტიპი (მხატვრ./ინფორმაც.) ტექსტში სიტყვების რაოდ.

მოსწავლის სახელი და გვარი	**სიტყვების წაკითხვა**	**გამართული კითხვა**			**გაგება-გააზრება**	
	შეცდომები სიტყვების წაკითხვაში	გაბმულად კითხვა (0-1-2)	წუთში სწორად წაკითხული სიტყვები (წსწს)	გამომეტყველებით კითხვა (0-1-2)	თხრობა (0-1-2)	შეკითხვებზე პასუხი (0-1-2-3-4-5)

მასწავლებლის ხელმოწერა: ტესტირების თარიღები

ტესტირების პროცესში გასათვალისწინებელი საკითხები

წყარო: მასწავლებლის გზამკვლევი „წიგნიერება დაწყებით კლასებში“.

ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო, 2011

- კითხვის დაწყებამდე დასვით მოსწავლე თქვენს მოპირდაპირე მხარეს ან მიუჯექით გვერდით, ოდნავ მოშორებით; გაუღიმეთ, რათა შეუქმნათ პოზიტიური განწყობა და მოუხსნათ შფოთვა;
- უთხარით, რომ თქვენ არ აპირებთ მის გამოცდას და ნიშნის დაწერას. უბრალოდ გაინტერესებთ, თუ როგორ მიმდინარეობს კითხვის სწავლის პროცესი და რამდენად კარგად იგებს ის (მოსწავლე) წაკითხულს. ამისთვის კი სთხოვთ, რომ ერთი საინტერესო ტექსტი წაიკითხოს;
- სთხოვეთ მოსწავლეს, ტექსტი ხმამაღლა წაიკითხოს. ამასთან, ეცადოს, რომ კარგად გაიაზროს, რადგან წაკითხვის შემდეგ თქვენ რამდენიმე შეკითხვას დაუსვამთ ტექსტთან დაკავშირებით;
- უთხარით მოსწავლეს, რომ არ იჩქაროს და წაიკითხოს ჩვეულებრივი ტემპით, ისე, როგორც სახლში კითხულობს ხოლმე;
- კითხვის დაწყებამდე შეგიძლიათ დაუსვათ ტექსტის შინაარსთან დაკავშირებული რამდენიმე შეკითხვა. მაგალითად, თუ ტექსტი არის წეროებზე, შეგიძლიათ ჰკითხოთ: „რაიმე ხომ არ გაგიგია წეროების შესახებ?“, „მულტფილმი ან ფილმი ხომ არ გინახავს მათზე ან რაიმე ხომ არ წაგიკითხავს?“ და ა.შ. პასუხების გაცემისას შეაქეთ და წაახალისეთ მოსწავლე;
- შეცდომების ჩანიშვნის პარალელურად დააკვირდით კითხვის იმ ასპექტებს, რომლებიც გაინტერესებთ. მაგალითად: კითხულობს თუ არა მოსწავლე გამომეტყველებით/ინტონაციით? რა ქცევებს ავლენს (ნერვიულობს, იცვლის პოზას, აქნევს ფეხს, პერიოდულად წყვეტს კითხვას, ტექსტს თითს აყოლებს, სვამს შეკითხვებს, კითხვებზე პასუხისას ყოყმანობს და ა.შ.)? შენიშვნების გრაფაში ჩაინიშნეთ მოსწავლის მიერ გამოვლენილი ქცევები და მეტყველების თავისებურებანი;
- კითხვის პროცესში შეგიძლიათ წაახალისოთ მოსწავლე მარტივი ჟესტიკულაციით (მაგალითად, თავის დაქნევით), დამოწმებით და სხვ.
- კითხვის დასრულების შემდეგ გაუღიმეთ მოსწავლეს და შეაქეთ იგი;
- დაუსვით შეკითხვები წინასწარ დადგენილი თანმიმდევრობით (გახსენებაზე ორიენტირებული >>> ლექსიკაზე ორიენტირებული >>> გაგება-გააზრებაზე ორიენტირებული). მიეცით მოსწავლეს დრო დაფიქრებისთვის. ჩაინიშნეთ სწორად გაცემული პასუხების რაოდენობა. თუ მოსწავლემ რომელიმე შეკითხვას არაორდინალური/უცნაური პასუხი გასცა, ჩაინიშნეთ შენიშვნების გრაფაში;
- კიდევ ერთხელ გაუღიმეთ მოსწავლეს. შეაქეთ, მიუხედავად იმისა, კარგად წაიკითხა და წარმატებით გიპასუხათ შეკითხვებზე თუ არა;
- ნუ გააწყვეტინებთ ბავშვს საუბარს შეკითხვის დაზუსტების ან პასუხის არასწორად ფორმულირების გამო. მოერიდეთ მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომების ხაზგასმას (მაგ., „არასწორად ამოიკითხე“, „რატომღაც ვერ მპასუხობ კარგად შეკითხვებზე“, „იმიტომ ვერ ართმევ თავს დავალებას, რომ უყურადღებოდ ხარ“, „შენგან უკეთეს შედეგს მოველოდი“ და ა.შ.). ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამჯერად თქვენ ტესტის ადმინისტრატორი ხართ და თქვენი უმთავრესი ფუნქცია პროცესზე დაკვირვება და არსებული ვითარების კვლევაა.

წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე

- *რა არის წერა და როგორ იწყებს ბავშვი წერას?*
- *რატომაა აუცილებელი წერის სწავლების კითხვასთან ინტეგრირება?*
- *როგორ უნდა ვასწავლოთ წერა მოსწავლეებს? რომელია წერის სწავლების ყველაზე ეფექტური მეთოდები?*
- *როგორ შევაფასოთ წერის უნარი?*

წერის სწავლების აქტივობების ცხრილი

მეთოდი / აქტივობა	რესურსი	გვერდი
ილუსტრაცია და კარნახი	ფურცელი, ფანქრები/ფლომასტერები	295
მინიშნებები თავისუფალ თემაზე წერისათვის	სურათი/ფოტო, რვეული	296
მოსწავლის პირადი დღიური	რვეული/ბლოკნოტი, კალამი	297
წერა ბარათის მიხედვით	სურათიანი ბარათები, რვეულები	299
ხუთსტრიქონიანი ლექსი და მისი ვარიაცია ბრილიანტი	ფურცელი, კალამი	299
გრაფიკული ლექსები	ფურცელი, კალამი	303
ხუთსაფეხურიანი წერა	ფურცელი, კალამი	305
წერის ექვსი ასპექტი	ფურცელი, კალამი	307
როლი, აუდიტორია, ფორმა, თემა (RAFT)	რვეული, კალამი, დაფა და ცარცი/ფორმატის ქაღალდი და მარკერი	313
იდეები შემოქმედებითი წერისთვის	თემების ჩამონათვალი	314
სამწუთიანი წერა	რვეული, დაფა, ცარცი	315
სწრაფი წერა	რვეული, კალამი	316
წერა ილუსტრაციების მიხედვით	საინტერესო ილუსტრაციები, ფურცელი, კალამი	316
მოთხრობის/ზღაპრის ჩარჩო	დაფა, რვეული, ფურცელი/შესავსები სქემა (სქემების ამოსაბეჭდი ვერსიები იხ. დანართში)	318
დაწერე მოთხრობა	თვისებების, გარემოებებისა და პრობლემების ნუსხა, ფურცელი, კალამი	318
ლექსიკური ერთეულებით ამბის შეთხზვა და დასათაურება	სიტყვების ბარათები, ფურცელი, კალამი	323
12-სიტყვიანი რეზიუმე (შეჯამება)	ფურცელი, კალამი	323
ქარგები (შაბლონები) წერისთვის	სამუშაო ფურცელი ქარგით	325

წერის უნარის განვითარება: რა? როდის? როგორ?

წერის სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტია. პირველი კლასიდან მოსწავლეებს წერის საბაზისო უნარებთან ერთად თანდათანობით უვითარდებათ წერილობით აზრის გადმოცემის, ნაწერის გადასინჯვა-გადამუშავების, სხვადასხვა საკითხზე წერით სწავლის უნარები. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლეს უნდა შეეძლოს: სხვადასხვა სახის ტექსტის შეთხზვა, შესწავლილი ტექსტის შინაარსის დაწერა, საკუთარი მოსაზრებებისა და შთაბეჭდილებების წერილობით გადმოცემა, წერის სტრატეგიების (გეგმის შედგენა, ნაწერის გადამუშავება და რედაქტირება...) გამოყენება, წინადადებების გამართულად აგება, პუნქტუაციის ძირითადი წესების დაცვა და ა. შ.

მოკლედ დავახასიათოთ წერის უნარის ჩასახვისა და განვითარების პროცესი. 5-6 წლის ბავშვი მზად არის, ნაბიჯ-ნაბიჯ განავითაროს და დახვეწოს წერის ორი მთავარი კომპონენტი:

- სიმბოლოების/ნიშან-ხატების სწორად გამოსახვა და მათი სხვადასხვა კომბინაციის შექმნა;
- აზრის მწყობრად ჩამოყალიბება და გადმოცემა (მნიშვნელობის კონსტრუირება).

სასკოლო ასაკისთვის ბავშვს ორივე მიმართულებით საჭირო უნარ-ჩვევებთან ერთად საკმაო გამოცდილებაც აქვს. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია, ოთხი-ხუთი წლის ბავშვის სახატავ რვეულში ჩავიხედოთ. იქ აღმოვაჩენთ საინტერესო ნიშნებს, რომლებიც თვისობრივად განსხვავდება ნახატებისგან. ზოგიერთი მათგანი უკვე წააგავს ბავშვის გარემოცვაში არსებულ კონვენციურ (წესადქცეული შეთანხმება) ასონიშნებს. ასევე, აღმოვაჩენთ ნახატებზე მიწერილ „ფრაზებს“, რომელთა გაშიფვრა მეტ-ნაკლებად შესაძლებელია. საკმარისია, ბავშვს ჰკითხოთ ამ „ნაწერის“ შინაარსი, იგი დიდი ხალისით აგიხსნით მას.

მეორე კომპონენტის განვითარებას ხელს უწყობს ზეპირი ინტერაქცია, უფროსებთან და თანატოლებთან კომუნიკაციის დროს აზრთა გაცვლა-გამოცვლა. გარდა ამისა, ბავშვები ურთიერთობენ წიგნების სამყაროსთან და დაწერილი ტექსტებიდან წარმოდგენას იქმნიან ტექსტის სტრუქტურის, წინადადებების წყობის, სასვენი ნიშნების შესახებ. ამიტომ ბავშვისთვის წიგნების წაკითხვას, მათზე საუბარს, შესაფერისი წიგნების წასაკითხად შეთავაზებას და ზოგადად წერის სწავლების კითხვასთან გადაჯაჭვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

წერის სწავლება ხანგრძლივი და რთული პროცესია. იგი მოითხოვს სისტემატურ მუშაობას, მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებას, რათა მოსწავლე დაეუფლოს სხვადასხვა სახის _ **დანიშნულებისა და სტილის მიხედვით განსხვავებული** _ ტექსტების შექმნას. ამ მიზნის მისაღწევად ბავშვმა თანდათანობით უნდა გააცნობიეროს ნაწერის ყველა ძირითადი მახასიათებელი, როგორებიცაა: თემა და იდეა, სტრუქტურა და შინაარსი, ტონი და სტილი, ორთოგრაფია და პუნქტუაცია. საკუთარი ნაწერის ნაბიჯ-ნაბიჯ დასახვეწად ბავშვმა უნდა გამოიმუშაოს ის ტექნიკები, რომლებსაც იყენებს როგორც კარგი მწერელი,[1] ასევე კარგი მწერალიც კი. ამიტომ კითხვის სწავლების მსგავსად წერის სწავლებაც პასუხისმგებლობის ნაბიჯ-ნაბიჯ გადაცემის მოდელს ეფუძნება. ეს პროცესი მიმდინარეობს მოდელირების, ერთობლივი ვარჯიშის, მართული პრაქტიკის, დამოუკიდებელი წერის ციკლების უწყვეტი მონაცვლეობით. დღეისათვის ფართოდ გავრცელებული და ეფექტური მეთოდური მიდგომებია: წერის სახელოსნო (ხუთსაფეხურიანი წერა), წერის ექვსი ასპექტი, RAFT-ი, დღიურების წერა და ა. შ. გარდა ამისა მასწავლებლები წერის სწავლისა და წერით სწავლისათვის აქტიურად იყენებენ ვიზუალურ სქემებს, წერის რუბრიკებს, მოსწავლის ნამუშევრების პორტფოლიოებს და იმ მრავალფეროვან მეთოდებს, რომლებიც ქვემოთაა წარმოდგენილი.

[1] ადამიანი, რომელიც დაოსტატებულია სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების წერაში, იცავს სათანადო სტილსა და ორთოგრაფიულ წესებს. მიუხედავად ამისა, შეიძლება არ იყოს კარგი მწერალი.

ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთათვის

ქართულის როგორც მეორე ენის მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს და გამოიყენოს ის ფაქტორი, რომ მოსწავლეს გამომუშაველი აქვს (ან პარალელურად უმუშავდება) მშობლიურ ენაზე წერის უნარი. შესაბამისად, ქართულ ენაზე წერის შესწავლისას მოსწავლეებს წერის სწავლის გარკვეული გამოცდილება უკვე აქვთ. ამ გამოცდილებას ისინი აუცილებლად გამოიყენებენ ქართულად წერის დროსაც.

სასურველია, ქართულად და მშობლიურ ენაზე წერის სწავლება წარიმართოს ერთგვაროვანი მიდგომებითა და მეთოდებით. მეორე ენაზე წერის დაწყება უნდა შემზადდეს ზეპირმეტყველების საწყისი უნარების განმტკიცებითა და ლექსიკური მარაგის დაგროვებით. ამის პარალელურად მიმდინარეობს ფონოლოგიური უნარების განვითარება, ანბანური პრინციპის ათვისება და ასო-ბგერების შესწავლა. მეორე ენაზეც კი წერა არ უნდა დავიწყოთ მხოლოდ ცალკეული ასოების უაზრო გამოწერითა და მათი დაზეპირებით. საჭიროა წერის სწავლების კონტექსტუალიზაცია და მასი ავთენტურ შინაარსზე მორგება. ამისთვის გასათვალისწინებელია რამდენიმე რჩევა:

- მოსწავლე წერის პროცესში თავს უნდა გრძნობდეს კომფორტულად, როგორც ფიზიკური (კარგი კალამი, მოსახერხებელი[1] ხელი, ჯდომა...), ასევე ემოციური (შეაქებენ, მოუწონებენ...) თვალსაზრისით.

- მოსწავლეს უნდა ესმოდეს, რას წერს და რისთვის წერს.

- წერის აქტივობა ინტეგრირებული უნდა იყოს სხვა ენობრივი მიმართულებების სწავლებასთან. ამისთვის გამოვიყენოთ ნებისმიერი შესაძლებლობა, მაგალითად, თუ ბავშვები ხატავენ, მივუწეროთ ან ვთხოვოთ, მიაწერონ სიტყვები, თუ კითხულობენ, ამოვიწეროთ საჭირო ფრაზები, თუ საუბრობენ, ჩავაწერინოთ გამოთქმული სიტყვები და ა. შ.

- ყურადღება გავამახვილოთ არა შეცდომებზე, არამედ წერის დროს გამოვლენილ ძალისხმევასა და შედეგზე, განსაკუთრებით წერის სწავლის საწყის ეტაპზე.

- დავაფიქსიროთ შეცდომები არა ხაზგასასმელად და კრიტიკული შენიშვნების მისაცემად, არამედ მომავალში მათი აღმოფხვრისთვის საჭირო აქტივობების დასაგეგმად. გასათვალისწინებელია, რომ მეორე ენაზე შეცდომების გამოსწორება ვერ მოხერხდება გარკვეული ენობრივი გამოცდილების დაგროვების გარეშე, რაც, შესაძლოა, წლების განმავლობაშიც კი გაგრძელდეს. ამიტომ უნდა მივეჩვიოთ დაწყებით კლასებში წერის დროს დაშვებული ზოგიერთი შეცდომის საერთოდაც უგელებელყოფას.

[1] დომინანტური ხელი, რომლითაც ბავშვს უფრო ეხერხება ხატვა, წერა, ნივთის სროლა და სხვა მოქმედებების შესრულება.

წერის სწავლების ეფექტური მეთოდები/აქტივობები

ილუსტრაცია და კარნახი

მეთოდის/აქტივობის შესახებ

ამ აქტივობის გამოყენებისას მოსწავლეები ქმნიან ტექსტის ეპიზოდების შესაბამის ილუსტრაციებს და მოიფიქრებენ მათ აღმწერ წინადადებებს. მასწავლებელი წერის მოდელირების მიზნით მინაწერს აკეთებს მოსწავლეთა ნამუშევრებზე.

ეს აქტივობა მოსწავლეს ეხმარება:

- იმის გაცნობიერებაში, რომ ნაწერი ტექსტით რაღაც აზრის გადმოცემა შეიძლება;
- ილუსტრაციისა და ტექსტის ერთმანეთთან დაკავშირებაში;
- გავრცობილი წინადადებების ჩამოყალიბების უნარის განვითარებაში;
- დამოუკიდებელი აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური

რესურსი: ფურცელი, ფანქრები/ფლომასტერები.

მსვლელობა

- მასწავლებლის მიერ ტექსტის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები საუბრობენ იმაზე, თუ რომელი ეპიზოდი მიაჩნიათ ტექსტში ყველაზე საინტერესოდ, შემდეგ კი ზეპირად აღწერენ ამ ეპიზოდს.
- ყველაზე საინტერესოდ მიჩნეულ ეპიზოდს მოსწავლეები ფურცელზე ხატავენ.
- მასწავლებელი დადის მერხებს შორის და მოსწავლეებს ავალებს, უკარნახონ თითო წინადადება, რომელიც აღწერს მათ მიერ დახატულ ილუსტრაციას.
- მასწავლებელი მოსწავლის ნაკარნახებ წინადადებას მისი ილუსტრაციის ქვეშ მიაწერს. თუ მოსწავლეები გამოთქვამენ სურვილს, თავადაც „ჩაწერონ“ (როგორც გამოუვათ) ილუსტრაციის აღმწერი წინადადებები, მასწავლებელი წაახალისებს მათ. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ყურადღება არ გაამახვილოს მართლწერის, კალიგრაფიის წესების დაცვაზე;
- მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ილუსტრაციებს და ხმამაღლა წაუკითხავს ქვეშ მიწერილ ტექსტებს;
- თავიანთ „ჩაწერილ“ წინადადებებს მოსწავლეები კლასში ხმამაღლა „კითხულობენ“ და თან აჩვენებენ ილუსტრაციას.

შენიშვნა: საანბანო პერიოდის შემდეგ მოსწავლეები თავადვე წაიკითხავენ ტექსტს და მიაწერენ ილუსტრაციებს აღმწერ წინადადებებს. შეიძლება გაიმართოს მსჯელობა, რამდენად სწორად აღწერს მოსწავლის ჩაწერილი წინადადება მის მიერვე შექმნილ ილუსტრაციას.

[1] წერის სწავლითვის მოსამზადებელი ამ აქტივობის მიზანი არა იმდენად წერითი უნარების განვითარებაა, რამდენადაც ნაწერის ფუნქციისა და მისი წაკითხვის შესაძლებლობის გაცნობიერება. მისი ამ ფორმით ჩატარება ადვილი არ იქნება ქართულის, როგორც მეორე ენის გაკვეთილზე. ამიტომ რეკომენდებულია, რომ იგი მშობლიური ენის გაკვეთილებზე განხორციელდეს ანდა მოსწავლეებმა უმარტივესი „ჩანაწერები“ გააკეთონ და წაიკითხონ ისინი, მაგალითად: „ბიჭი“, „მზე“, „ღრუბელი“ და სხვ.

მინიშნებები თავისუფალ თემაზე წერისათვის

მეთოდის/აქტივობის შესახებ

ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო ინსტრუმენტი, რომელიც მოსწავლეებს აძლევს შემოქმედებითი თვითგამოხატვის საშუალებას. მოსწავლეები წერენ მცირე ზომის ამბავს, ლექსს, მოთხრობას მასწავლებლის მიერ შეთავაზებული სურათის/მინიშნების მიხედვით. მინიშნებები სხვადასხვა სახისაა. მაგალითად, თუ მასწავლებელი გამოიყენებს მარჯვენა მხარეს მოცემულ სურათს, მას შეუძლია სთხოვოს მოსწავლეებს, მოიფიქრონ და გადმოსცენ ისტორია ამ ნავის შესახებ.

მოცემული აქტივობა ეფექტურად გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტადაც. იგი კარგად წარმოაჩენს, თუ რამდენად კარგად იყენებენ მოსწავლეები ახალ ლექსიკურ ერთეულებს და წერის ეფექტურ სტრატეგიებს.

მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეები:

- ივითარებენ წარმოსახვის უნარს;
- გამოხატავენ საკუთარ ემოციას, განცდებს, მოსაზრებებს;
- აკვირდებიან საკუთარ ემოციებს და ცდილობენ შესაბამისი ლექსიკის შერჩევას.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, ჯგუფური, მთელი კლასი.

რესურსი: სურათი/ფოტო, რვეული.

მსვლელობა

- მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს რომელიმე ნახატის რეპროდუქციას ან საინტერესო ფოტოსურათს და სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ მას.
- მოსწავლეები აკვირდებიან სურათს, წარმოიდგენენ რა შეიძლება მომხდარიყო სურათზე გამოხატულ სცენაში და წერენ ამბავს.
- მუშაობის დასრულების შემდეგ მსურველები წარუდგენენ თავიანთ ნამუშევრებს კლასს „საავტორო სკამის“ მეშვეობით.

შენიშვნა: სასურველია მასწავლებელმა წერის დაწყებამდე მოსწავლეებს მისცეს მიმანიშნებელი ინსტრუქცია.

მაგალითები



1. დაწერე ამბავი სურათის მიხედვით. აირჩიე ერთ-ერთი ამ სათაურებიდან: 1) სპანჯბობი ერთობა; 2) მხიარული მეგობრები; 3) ყველაზე მაღალი მე ვარ!

2. ხოჭოები! შენი აზრით, რა ხდება ბიჭის თავს სურათზე? იქნებ თავს ესხმიან ხოჭოები? ან იქნებ ფოკუსს ატარებს? იქნებ უბრალოდ ხოჭოებს უმეგობრდება? დაწერე მოთხრობა და აგვისხენი, რა ხდება.

მეორე ენის შემსწავლელთათვის, კლასისა და კომპეტენციების შესაბამისად, მაგალითები იქნება შედარებით მარტივი.

მოსწავლის პირადი დღიური

მეთოდის/აქტივობის შესახებ

დღიური წერის სწავლების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა პირველი კლასიდანვე. ზოგ ქვეყანაში მას წერის სწავლების წამყვან საშუალებადაც კი იყენებენ. დღიური კარგი საშუალებაა წერის შედარებით ფორმალიზებულ საფეხურზე (მაგალითად, წერის ხუთსაფეხურიან მოდელზე ან, თუნდაც, ესეების, თხზულებების წერაზე) გადასასვლელად.

ამ აქტივობის სისტემატური გამოყენებით მოსწავლე:

- იწაფება წერასა და კითხვაში;
- ითვისებს გრამატიკულ ნორმებს და იწაფება მართლწერაში;
- იძენს თავდაჯერებულობასა და გაბედულებას წერისას;
- ეძლევა თავისუფალი, დამოუკიდებელი აზროვნებისა და რეფლექსიის საშუალება;
- უკეთ ხედავს და აცნობიერებს საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური

რესურსი: რვეული/ბლოკნოტი, კალამი.

მსვლელობა

- მოსწავლე დღიურისათვის საკუთარი გემოვნებით შეარჩევს რვეულს ან ბლოკნოტს;
- იგი დღიურში წერს იმაზე, რაც აინტერესებს და რაზეც სურს წერა. იშვიათ შემთხვევაში მასწავლებელი დიდი სიფრთხილით შესთავაზებს მას საწერ თემას;
- მოსწავლეები დღიურში ჩანაწერს აკეთებენ ყოველდღიურად ან კვირაში რამდენჯერმე მაინც. მნიშვნელოვანია არა ჩანაწერის მოცულობა, არამედ სისტემატურობა;
- დღიურის წერის დასაწყებად საკმარისი არაა მხოლოდ ინსტრუქცია. მასწავლებელმა უნდა ჩაატაროს მოდელირება _ უნდა გააკეთოს რამდენიმე ჩანაწერი და ხმამაღლა წაუკითხოს მოსწავლეებს. ასეთი მოდელირება პირველ კლასში კვირაში ერთხელ კეთდება, მომდევნო კლასებში კი _ ნაკლები სიხშირით;
- მოსწავლეები თავიანთ ჩანაწერებს აფორმებენ ნახატებით, ორნამენტებით, სტიკერებით. ყველა ჩანაწერს უთითებენ თარიღს;
- მასწავლებელი მსურველებს აძლევს საშუალებას, თავიანთი დღიურის ჩანაწერები წაუკითხონ კლასს ან რომელიმე მოსწავლეს (სურვილისამებრ);
- მასწავლებელი პერიოდულად აგროვებს დღიურებს და შიგ ჩაწერს ან ჩააკრავს განმავითარებელ, წამახალისებელ კომენტარებს;
- წერილობითი თუ ზეპირი უკუკავშირისას მასწავლებელი ყურადღებას ძირითადად ამახვილებს ჩანაწერების შინაარსზე და არა წერის ტექნიკურ და ფორმალურ მხარეებზე;
- კომენტარები მხოლოდ განმავითარებელი, წამახალისებელი უნდა იყოს. დაუშვებელია ნიშნების ან სხვა სახის განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება.
- ჩასწორებების შემდეგ მოსწავლე ხელახლა კითხულობს თავის ნაწერს, რათა გაეცნოს მასწავლებლის შენიშვნებს, შესწორებებს და შემდგომში გაითვალისწინოს.

შენიშვნა:

- მოსწავლის დღიურში შეცდომების გასწორება მიზანშეწონილი არ არის, რადგან შესწორებებით აჭრელებული ჩანაწერი მოსწავლეს უკარგავს მოტივაციას, ან მისი ყურადღება წერის ტექნიკურ ასპექტებზე გადააქვს;
- შესაძლებელია საკლასო ოთახში გამოიყოს საგანგებო ადგილი (კარადის თარო, უჯრა), სადაც მოსწავლეები პერიოდულად დააწყობენ დღიურებს, იმ შემთხვევაში, თუ სურთ კლასელებისთვის საკუთარი ნააზრევის, ემოციის გაზიარება.

თემები პირადი დღიურის ჩანაწერებისთვის

- ჩემი მეგობარი
- ასეთი რამ არასოდეს განმიცდია
- მინდა გითხრათ, რომ
- რა მწყინს, რა მიხარია
- როგორ ველოდი ამ დღეს
- არაფერი გამოვიდა
- რატომ ვერ ხვდებიან
- მინდა მყავდეს
- არასოდეს დამავიწყდება
- ახლოვდება ზაფხული
- როცა წვიმს
- ყველაზე მეტად მიყვარს
- მე გირჩევთ

ვარიაცია – ლიტერატურული დღიური

ლიტერატურულ დღიურში მოსწავლეები წერენ რეფლექსიას, საკუთარ მოსაზრებებს ნაწარმოების თემის, იდეის, პერსონაჟის (მისი ქმედებების, გრძნობების) შესახებ.

მსვლელობა

- მასწავლებელი დღიურში ჩასაწერად მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა თემას:
    - რომელ პერსონაჟს შეხვდებოდი? რაზე დაელაპარაკებოდი?
    - გაიხსენე, რას ვარაუდობდი, რას ფიქრობდი კითხვის პროცესში;
    - გამოთქვი ვარაუდები წიგნის დასრულებამდე;
    - განმარტე საკვანძო ლექსიკური ერთეულები;
    - დაწერე, როგორ გადაჭრა მთავარმა პერსონაჟმა პრობლემა;
    - დაწერე რეფლექსია და შეკითხვები კონკრეტული თემის გარშემო და სხვ.;
    - დაწერე, რატომ ურჩევდი ამ წიგნის წაკითხვას სხვას;
    - მოუყევი ამ წიგნის შესახებ შენი ოჯახის წევრებს და ჩაწერე მათი შთაბეჭდილებები.
- მოსწავლეები ლიტერატურულ დღიურში წერენ გარკვეული პერიოდულობით (მაგ.: კვირაში ორჯერ, თემის შესწავლის პერიოდში).

წერა ბარათის მიხედვით

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„წერა ბარათის მიხედვით“ გულისხმობს ნახატიანი ბარათების გამოყენებას სხვადასხვა წერითი დავალების შესასრულებლად.

მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეები ივითარებენ:

- წერის უნარს;
- წარმოსახვის უნარს;
- შესაბამისი ლექსიკის შერჩევის უნარს;
- პრეზენტაციის უნარს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, ჯგუფები, მთელი კლასი.

რესურსი: სურათიანი ბარათები, რვეულები.

მსვლელობა

- **ზუსტი სიტყვის შერჩევა.** მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს რამდენიმე ბარათს (მაგ., ცხოველების გამოსახულებით). მოსწავლეებმა უნდა ჩამოწერონ 3 სიტყვა და 3 ფრაზა ამ ცხოველის აღსაწერად. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, დავალებას მიუდგნენ შემოქმედებითად;
- **წერა ბარათის მიხედვით.** მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სურათიან ბარათს და სთხოვს დაწერონ წინადადებები სურათის აღსაწერად. მოსწავლეები წერენ, სანამ მასწავლებელი არ შეაწყვეტინებს წერას. შემდეგ მოსწავლეები საკუთარ ნამუშევარს წარუდგენენ კლასს;
- **ბარათზე გამოსახული სურათის აღწერა.** მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სურათიან ბარათს და სთხოვს მათ გამოთქვან საკუთარი იდეები. შეარჩიონ სიტყვები სურათის აღსაწერად. შემდეგ დაწყვილდნენ, გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი მოსაზრებები და მეწყვილესთან ერთად შეადგინონ მოკლე ამბავი შერჩეული სიტყვების გამოყენებით.
- **მოთხრობები ბარათებით.** მასწავლებელი ამზადებს სურათიან 5-10 ბარათს, რომლებზეც გამოსახულია პერსონაჟები და ადგილები. მოსწავლეები ინდივიდუალურად ან წყვილებში შეარჩევენ სიტყვებს, რომლებსაც გამოიყენებენ წერის პროცესში. შემდეგ მოსწავლეები თხზავენ მოკლე მოთხრობებს ბარათებზე გამოსახული სურათების მიხედვით.

ხუთსტრიქონიანი ლექსი და მისი ვარიაცია „ბრილიანტი“

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„ხუთსტრიქონიანი ლექსი“ არის მეთოდი, რომლის საშუალებითაც მოსწავლეები შემოქმედებითი ფორმით გამოხატავენ საკუთარ ცოდნას და დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხის გარშემო. იგი ეფექტურად გამოიყენება სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში.

მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეებს:

- საკითხის/თემის გაგება-გააზრებაში;
- საკუთარი განწყობა-დამოკიდებულების საინტერესო ფორმით გამოხატვაში;
- გრამატიკული ფორმების (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა) დაუფლებასა და გამოყენებაში.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, მცირე ჯგუფები

რესურსი: ფურცელი, კალამი

მსვლელობა

- მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს თემას/საკითხს, რომლის შესახებაც მათ უნდა შექმნან ხუთსტრიქონიანი ლექსი.
- ხუთსტრიქონიანი ლექსის შესაქმნელად მოსწავლეებმა სიტყვებით უნდა შეავსონ ქვემოთ მოცემული გრაფიკული სქემა (მასწავლებელს სქემა დაფაზე/დიდფორმატიან ქაღალდზე აქვს დაწერილი)



სქემის პირველ ხაზზე იწერება საკვანძო თემის/საკითხის შესაბამისი სიტყვა (არსებითი სახელი).

მეორე ხაზზე იწერება ორი ზედსართავი სახელი, რომლებიც აღწერს საკვანძო სიტყვას (ზედსართავი სახელი).

მესამე ხაზზე იწერება სამი ზმნა, რომლებიც გამოხატავს საკვანძო ქვემდებარის მოქმედებებს (ზმნა).

მეოთხე ხაზზე იწერება ოთხსიტყვიანი ფრაზა, რომელიც გამოხატავს მოსწავლის ასოციაციას/დამოკიდებულებას/შეხედულებას საკვანძო საკითხის მიმართ.

მეხუთე ხაზზე იწერება საკვანძო თემის/საკითხის დედააზრი; ან პირველ ხაზზე დაწერილი სიტყვის სინონიმი (არსებითი სახელი).

- მუშაობის დასრულების შემდეგ მსურველები კლასს წარუდგენენ თავიანთ ნამუშევრებს.

მაგალითი



ხუთსტრიქონიანი ლექსის ვარიაცია – „ბრილიანტი“

„ბრილიანტი“ ხუთსტრიქონიანი ლექსის შედარებით გართულებული ვერსიაა. იგი ეფექტურად გამოიყენება საგანთა, მოვლენათა, პერსონაჟთა დეტალურად აღსაწერად, საწინააღმდეგო მნიშვნელობის მქონე ცნებების (ბინარული ოპოზიტების) შესაპირისპირებლად, წაკითხულ ნაწარმოებზე რეაგირებისთვის და ა.შ.

სქემის პირველ ხაზზე იწერება საკვანძო თემის/საკითხის შესაბამისი სიტყვა.



ბოლო ხაზზე იწერება პირველ ხაზზე დაწერილი საკვანძო არსებითი სახელის შემცვლელი სიტყვა.

მეორე ხაზზე იწერება ორი ზედსართავი სახელი, რომლებიც აღწერს საკვანძო სიტყვას.

მესამე ხაზზე იწერება სამი ზმნა, რომლებიც გამოხატავს საკვანძო ქვემდებარის მოქმედებებს.

ანალოგიურად, **ქვემოდან მეორე ხაზზე** დაწერილი ზედსართავები აღწერს საკვანძო სიტყვის შემცვლელ ქვემდებარეს.

ქვემოდან მესამე ხაზზე დაწერილი სამი ზმნა კი გამოხატავს საკვანძო სიტყვის შემცვლელი ქვემდებარის მოქმედებებს.

ცენტრალურ, **მეოთხე სტრიქონზე** იწერება ოთხსიტყვიანი ფრაზა, რომელიც გამოხატავს მოსწავლის ასოციაციას/დამოკიდებულებას/შეხედულებას საკვანძო საკითხის მიმართ.

შენიშვნა: მნიშვნელოვანია, ვიდრე მოსწავლეები „ბრილიანტის“ სქემის დამოუკიდებლად შევსებაზე გადავლენ, მასწავლებელმა თავად აჩვენოს მაგალითი და გზადაგზა მკაფიოდ განუმარტოს, სად რას და რატომ წერს. აგრეთვე, გააცნოს „ბრილიანტის“ რამდენიმე ეფექტური ნიმუში.

მაგალითები

1.

ქუჩის ბავშვი

გაყინული, დაძონძილი

დაძრწის, ითხოვს, ართმევს,

მისი ოცნებები არავის ახსოვს.

მალავს, ეძებს, წვალობს,

გარიყული პატარა

მაწანწალა

2.

მზე

დიდი, კაშკაშა

ასხივებს, ათბობს, აფერადებს

ცხელი ვარსკვლავი, გრილი თანამგზავრი

ირეკლავს, იცვლება, გვაფიქრებს

იდუმალი, მბჟუტავი

მთვარე

3.



გრაფიკული ლექსები

მეთოდის/აქტივობის შესახებ

გრაფიკული ლექსი არის მხატვრული ტექსტი, რომელსაც სპეციფიკური ფორმა (მოყვანილობა) აქვს. ლექსის გარეგნული მხარე უნდა შეესაბამებოდეს მის მთავარ თემას. მაგ., ჩიტის შესახებ დაწერილი ლექსი გარეგნულად ჩიტს უნდა ჰგავდეს, ღრუბლის შესახებ ლექსი – ღრუბელს და ა.შ. ვინაიდან ასეთი ლექსის შექმნა წერისა და ხატვის ელემენტებს აერთიანებს, ის მეტად სახალისო აქტივობაა ბავშვებისათვის. შედარებით მაღალ კლასებში მეთოდი ეფექტურად გამოიყენება მხატვრული ხერხების ასათვისებლად. ვიდრე მოსწავლეები დაიწყებენ ამ ტიპის ლექსების დამოუკიდებლად წერას, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გამოიყენოს პასუხისმგებლობის ნაბიჯ-ნაბიჯ გადაცემის მოდელი, კერძოდ, მკაფიოდ აუხსნას ბავშვებს, თუ რა არის ამ ტიპის ლექსი და როგორ იქმნება იგი, ხმამაღლა ფიქრის მეშვეობით თვალსაჩინოდ დაანახოს მისი შექმნის პროცედურა და ჩართოს ბავშვები ამ პროცესში, შესთავაზოს ბავშვებს ერთობლივი პრაქტიკა.

იხ. ნიმუში (ვასილ გულეურის ლექსები „ობობა“ და „სოკო“)



მეთოდის/აქტივობის გამოყენებით მოსწავლეები:

- დაეუფლებიან შემოქმედებითი წერის უნარს;
- გაივარჯიშებენ ტექსტის ორიგინალური ფორმით გადმოცემის უნარს;
- განივითარებენ იდეის მხატვრულად გადმოცემისათვის სიტყვებისა და ფრაზების შერჩევის უნარს;
- გაიმდიდრებენ ლექიკურ მარაგს;
- განივითარებენ დეტალების წარმოსახვაში გაცოცხლების უნარს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები.

რესურსი: ფურცელი, კალამი

მსვლელობა

- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ შეარჩიონ თემა გრაფიკული ლექსისათვის. თემის შერჩევის ვარიანტები: ა) თავისუფალი; ბ) მასწავლებლის მიერ წინასწარ ჩამოწერილი; გ) მოსწავლეთა მიერ „გონებრივი იერიშის“ გამოყენებით ჩამოწერილი; დ) მასწავლებლის მიერ შეთავაზებული ერთი კონკრეტული თემა.
- მოსწავლეები ხატავენ შერჩეული თემის შესაბამის ესკიზს.
- მოსწავლეები ჩამოწერენ შერჩეულ თემასთან დაკავშირებულ სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებსაც შემდეგ გამოიყენებენ მხატვრული ტექსტის შედგენის დროს. ჩვეულებრივ, ეს სიტყვები აღწერს შერჩეულ საგანს/მოვლენას, მის მახასიათებლებს, მოქმედებებს, დანიშნულებას და სხვ.
- მოსწავლეები მხატვრულად გადაამუშავებენ ჩამოწერილ სიტყვებს, შექმნიან ტექსტს.
- მოსწავლეები შექმნილ ტექსტს გადაწერენ იმგვარად, რომ მან წინასწარ დახატული ესკიზის სახე მიიღოს.

შენიშვნა 1: მნიშვნელოვანია, რომ ესკიზის ხატვის დროს მოსწავლეებს ჰქონდეთ სრული თავისუფლება.

შენიშვნა 2: შესაძლებელია ამ აქტივობის წერის ხუთსაფეხურიან მოდელზე მორგება იმგვარად, რომ ის მოიცავდეს ურთიერთგაზიარების, უკუკავშირის, გადამუშავებისა და რედაქტირების ფაზებს.

- მუშაობის დასრულების შემდეგ მსურველები წარუდგენენ კლასს თავიანთ ნამუშევრებს.

ხუთსაფეხურიანი წერა

მეთოდის შესახებ

ხუთსაფეხურიანი წერა არის წერის სწავლების ერთი კონკრეტული მიდგომა, რომელიც მნიშვნელოვნად ამდიდრებს და აუმჯობესებს წერის სწავლება-სწავლის პროცესს. აღნიშნული მეთოდი გულისხმობს მოსწავლის (დამწერის) მიერ თანმიმდევრულად დალაგებული წერის 5 საფეხურის გავლას. მიდგომა ეფექტურად გამოიყენება ნებისმიერი ასაკის მოსწავლეებთან 7-8 წლის ასაკიდან.[1]

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, მცირე ჯგუფები.

რესურსი: ფურცელი, კალამი.

წერის ხუთი საფეხური

1. იდეების გენერირება წერის დაწყებამდე
2. პირველი ვარიანტის დაწერა
3. გადამუშავება საბოლოო ვარიანტის შექმნამდე
4. რედაქტირება
5. გამოქვეყნება/გაზიარება

1. იდეების გენერირება წერის დაწყებამდე

ეს საფეხური მოიცავს ყველა იმ მოქმედებას, რომელსაც დამწერი უშუალოდ წერის დაწყებამდე ასრულებს. ამ დროს მოსწავლე წერის დაწყებისთვის ემზადება, კერძოდ:

- იღებს გადაწყვეტილებას, თუ რის შესახებ დაწერს.
- განსაზღვრავს მკითხველთა აუდიტორიას, ანუ ვინ წაიკითხავს ნაწერს.
- აკეთებს გონებრივ იერიშს თემის შესახებ ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად.
- ჩამოწერს, სად შეიძლება თემასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება.
- გამოიკვლევს საკითხს.
- ხატავს, ქმნის თემატურ სქემას.
- ჩამოთვლის ყველაფერს, რაც თხზულების შინაარსს უკავშირდება.
- ქმნის სემანტიკურ ან ასოციაციურ რუკას.

2. პირველი ვარიანტის დაწერა

ამ საფეხურზე მოსწავლე:

- საკუთარი სიტყვებით წერილობით გადმოსცემს თხზულების შინაარსს.
- წერს წინადადებებსა და აბზაცებს.
- კითხულობს საკუთარ ნაწერს და აფასებს, რამდენად გადმოსცემს დაწერილი ტექსტი მის სათქმელს.
- უჩვენებს ნაწერს სხვებს, რათა მიიღოს კონსტრუქციული კომენტარები და რჩევები მის დასახვეწად.

[1] ასაკობრივი ნიშნული შედარებით აიწევს ქართულის, როგორც მეორე ენის შემსწავლელებისთვის. სასარგებლო იქნება ამ მეთოდის მშობლიური ენის გაკვეთილებზე გამოყენებაც.

3. გადამუშავება / დახვეწა

ამ საფეხურზე მოსწავლე:

- კვლავ უბრუნდება ნაწერს და კითხულობს მას;
- დაფიქრდება უკუკავშირსა და რჩევებზე;
- გადააკეთებს სიტყვებსა და წინადადებებს;
- ამოიღებს ან ჩაამატებს მონაკვეთებს;
- ჩაანაცვლებს ან ამოიღებს ზედმეტად გამოყენებულ ან გაუგებარ სიტყვებს/ფრაზებს;
- ხმამაღლა კითხულობს ნაწერს.

4. რედაქტირება

ამ საფეხურზე მოსწავლე:

- გადაამოწმებს, რამდენად გამართულია ყველა წინადადება;
- შეასწორებს მართლწერასა და პუნქტუაციას;
- ასწორებს გრამატიკულ შეცდომებს;
- შეცვლის არასწორად დაწერილ სიტყვებს;
- წააკითხებს ნაწერს სხვას;
- ჩაასწორებს ტექსტს სალიტერატურო ქართულის ნორმების გათვალისწინებით;
- აკეთებს კორექტურას;
- გადაწერს ნაწერს სუფთად.

5. გამოქვეყნება/გაზიარება

ამ საფეხურზე მოსწავლე:
ხმამაღლა უკითხავს ნაწერს კლასს/ჯგუფს;

- ქმნის ილუსტრაციებს, პერფორმანსს ან მუსიკას ნაწერის მიხედვით;
- აკინძავს წიგნს საკუთარი ტექსტითა და ილუსტრაციებით;
- უგზავნის ნაწერს მეგობრებს/თანაკლასელებს.

შენიშვნა: ხუთსაფეხურიანი წერის ყველა საფეხურის გავლა ერთ დღეში არ უნდა მოხდეს. სასურველია ამ პროცესის ეტაპები 2-3 დღეზე გადანაწილდეს, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ ყველა საფეხურის სრულყოფილად გავლის საშუალება.

წერის ექვსი ასპექტი

მეთოდის შესახებ

წერის სწავლებასა და სწავლაში დღეს ფართოდ არის გავრცელებული წერა 6 ძირითადი ასპექტის მიხედვით. ესენია:

1. **იდეები/აზრები და შინაარსი**
2. **ორგანიზება**
3. **ტონი და სტილი**
4. **წინადადებები**
5. **სიტყვების შერჩევა**
6. **მართლწერა**

ქვემოთ მოცემულია თითოეული ასპექტის მოკლე მიმოხილვა და მათი განსავითარებელი აქტივობები.

1. იდეები და შინაარსი

წერა იდეების/აზრების გენერირებით იწყება. წერის მთავარი მიზანი სწორედ ამ იდეებისა და შინაარსის გადმოცემაა. ყველა ნაწერი გარკვეულ აზრს, გზავნილს უნდა გადმოსცემდეს და ადვილად მისადევნებელი იყოს. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე შეკითხვა, რომლებიც დამწერს იდეებისა და შინაარსის გენერირებაში დაეხმარება:

- რისი თქმა მინდა? რა არის მთავარი სათქმელი? რამდენად გასაგებად და ფოკუსირებულად არის ჩამოყალიბებული ძირითადი იდეა?
- მოცემულია თუ არა მნიშვნელოვანი დეტალები მთავარი იდეის შესახებ?
- გაიგებს თუ არა რამე ახალს მკითხველი?
- არის თუ არა ნაწერი საინტერესო და ადვილად გასაგები?

მსვლელობა

- მოსწავლეები კითხულობენ წინასწარ მომზადებულ/შერჩეულ ტექსტს:

1. „ამ ზაფხულს დასასვენებლად ვიყავით. ძალიან ვიხალისეთ. ერთ საღამოს ტყეში წავედით. მინდორში კარავი გავშალეთ და იქ დავიძინეთ. დღისით ველოსიპედებით ვსეირნობდით. იმედი მაქვს, რომ მომავალ წელსაც წავალთ დასასვენებლად.“ (I-IV კლასი)

2. „წინა შაბათს მასწავლებელმა ექსკურსიაზე წაგვიყვანა თელავში. რამდენიმე საინტერესო ადგილი დავათვალიერეთ. ღამე პატარა სასტუმროში გავატარეთ. მეორე დილით წინანდლის ბაღში წავედით. დავათვალიერეთ სასახლე და მარანი. შემდეგ ლაბირინთში ვირბინეთ და ნატვრის ხეს ფერადი ბაფთები შევაბით. მე ერთი უცნაური სურვილი ჩავიფიქრე. იმედია, ამისრულდება.“ (V-VI კლასი)

- მასწავლებელი სვამს შეკითხვას: რით არის ეს ამბავი საინტერესო?
- მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები წერენ შეკითხვებს, რომლებიც გაუჩნდათ მოცემული ამბის წაკითხვის შედეგად. მაგალითად:
    - სად იყო დასასვენებლად წასული ამ ამბის მთხრობელი?
    - კიდევ ვინ იყო იქ?
    - რით იყო ეს ამბავი სახალისო?

- როგორი ამინდი იყო?
- რომელი მომენტი იყო ყველაზე დასამახსოვრებელი?

- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ მათი დასვენების შესახებ. თან გაითვალისწინონ მათივე შეკითხვები.
- მასწავლებელი სთხოვს რამდენიმე მოსწავლეს, წაუკითხონ თავიანთი ნაწერი კლასს.
- წაკითხვის შემდეგ იმართება დისკუსია.
- მასწავლებელი ჩამოწერს ნაწერის იმ მახასიათებლებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ეფექტური წერისთვის. მაგალითად:
  - მოსწავლემ მნიშვნელოვანი დეტალები გადმოსცა.
  - ტექსტის იდეა გასაგები და მიზანმიმართულია.

2. ორგანიზება

იდეების/აზრების ორგანიზება ეხმარება მკითხველს, თანმიმდევრულად მიჰყვეს ტექსტს და ნაბიჯ-ნაბიჯ გაიაზროს შინაარსი. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე შეკითხვა, რომლებიც დამწერს იდეების/აზრებისა და შინაარსის ორგანიზებაში დაეხმარება:

- რამდენად გამოიწვევს ასეთი დასაწყისი მკითხველის ინტერესს?
- არის თუ არა ნაწერის ორგანიზების მოცემული ვარიანტი საუკეთესო?
- ებმის თუ არა აზრები/იდეები ძირითად გზავნილს?
- გვაქვს თუ არა ეფექტური დასასრული, რომელიც კრავს შინაარსს?

მსვლელობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ შეთავაზებული ტექსტი:

ნიმუში 1: „ამასობაში კი მგლებმა ყველა ცხვარი შეუჭამეს. მალე ყველამ გაიგო მატყუარა მწყემსის ამბავი და აღარავინ უჯერებდა. მწყემსი ტიროდა, ეს რა დამემართა, როგორ დამაკარგვინა ტყუილმა მთელი ფარაო. იმ დღის შემდეგ მწყემსი გამოსწორდა და ტყუილი აღარ უთქვამს. მეცხვარეები თოფებით მოცვივდებოდნენ ხოლმე დასახმარებლად, ბიჭი კი მათ დანახვაზე გულიანად იცინოდა და ეუბნებოდა, მოგატყუეთო. ბევრი იყვირა ბიჭმა, მიშველეთ, ნამდვილად მიჭირსო, მაგრამ არც ერთმა მეცხვარემ აღარ დაუჯერა და არავინ მივიდა დასახმარებლად. ერთხელაც მართლა დაესხნენ მგლები მის ფარას თავს. ფარას რომ ყარაულობდა, უცბად აყვირდებოდა ხოლმე, მგელი მოვიდა, მიშველეთო. იყო ერთი მწყემსი ბიჭი, რომელიც მუდამ იტყუებოდა.“ (III-IV კლასი)

ნიმუში 2: „მე ძალიან მიყვარს მუსიკა. ისეთი კი არა, რომელსაც უსმენენ... ისეთი, რომელსაც თვითონ ქმნი“... მე შევედი ოთახში და ჩამოვჯექი სკამზე. „ორივე ხელი რომ მქონდეს, ვიოლინოზე დავუკრავდი“, – თქვა მუსიკოსმა.

იმ დღეს ყველანი ველოდით, როდის გავიგონებდით მისი ინსტრუმენტის ხმას, მაგრამ ფანჯარა დუმდა. „მე არ შემიძლია არ დავუკრა“, – თქვა მუსიკოსმა. – მან დახედა ინსტრუმენტს:

„ეს ერთადერთი ინსტრუმენტია, რომელზედაც შეუძლია დაუკრას ცალხელა კაცმა“. კარები მუსიკოსმა გააღო. „დაუკარით, რა,“– გავუმეორე მე. ჩვენ დიდხანს ვისხედით ჩუმად. მე ავედი მასთან და მორიდებულად დავაკაკუნე კარებზე. ცოტა ხანს ჩუმად ვიყავით. „დაუკარით რამე, რა...“ – ვუთხარი მე. „მე არ მეგონა,“– თქვა მუსიკოსმა, – „რომ გაწუხებდით თქვენ...“ (V-VI კლასი)

- მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, გაუჭირდათ თუ არა ამბის წაკითხვა და მიდევნება და რატომ.

- მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაასახელებენ მიზეზებს (შინაარსი კარგად არ არის ორგანიზებული; აზრები და წინადადებები თანმიმდევრულად არ არის დალაგებული), მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ თანმიმდევრულად დაალაგონ წინადადებები და ააწყონ ტექსტი ისე, რომ შინაარსი გასაგები იყოს.

3. ტონი და სტილი

მწერლის ტონი არის ის, რაც ნაწერს თავისებურებასა და ინდივიდუალურ სტილს ანიჭებს. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე შეკითხვა, რომლებიც დამწერს ტონის შერჩევაში დაეხმარება:

- შეიძლება თუ არა ითქვას, რომ დამწერს ნამდვილად აინტერესებს თემა?
- იგრძნობა თუ არა, რომ ტექსტი სწორედ ამ ავტორს ეკუთვნის?
- რა გრძნობის გამოწვევას ცდილობს ავტორი?
- ახერხებს თუ არა ნაწერი მკითხველის ყურადღების შენარჩუნებას? გაუჩნდება თუ არა მკითხველს სურვილი, რომ მეტი გაიგოს?

მსვლელობა

- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ ორი სხვადასხვა ნაწერი და გადაწყვიტონ, რომლის ავტორი ახერხებს უკეთ მკითხველის ყურადღების გამოწვევასა დაშენარჩუნებას.

ნიმუში 1: „მე მეგობრებთან ერთად მდინარეზე წავედი. ერთმა მეგობარმა თავისი ძაღლიც წამოიყვანა. გარეთ ძალიან ცხელოდა. ჩვენ მდინარეში ვიბანავეთ. ძაღლმაც ჩვენთან ერთად იბანავა და ძალიან მოეწონა. კარგად გავერთეთ და საღამოს უკან დავბრუნდით.“ (I-IV კლასი)

ნიმუში 2: „ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს მე და ჩემი მეგობრები მდინარეზე საბანაოდ წავედით. ერთმა ჩემმა მეგობარმა თან თავისი ჭკვიანი ძაღლიც წამოიყვანა, რომელიც ყველგან თან დაჰყვებოდა. მზე აცხუნებდა, ჩიტები ჭიკჭიკებდნენ და ნამდვილი საბანაო ამინდი იყო. მდინარესთან რომ მივედით, ჟრიამულით შევცვივდით წყალში. ძაღლიც მხიარული ყეფით შემოგვყვა და ჩვენთან ერთად ჭყუმპალაობდა. ყველამ ბევრი ვიცინეთ, დაძალიან კარგად გავერთეთ. როცა ბანაობით გული ვიჯერეთ, მზეზე გავშრით. როცა მოსაღამოვდა და ძალიან მოგვშივდა, შინისაკენ გამოვეშურეთ.“ (V-VI კლასი)

- მასწავლებელი სვამს შეკითხვას: რომელი ნაწერი იკითხებოდა უფრო საინტერესოდ და სასიამოვნოდ?

მეორე ამბავში ავტორის ტონი გამოკვეთილადაა გამოხატული, რაც დაეხმარა მკითხველს, უკეთ წარმოედგინა მოვლენები.

4. წინადადებები

კარგი ნაწერი ერთგვარი რიტმით გამოირჩევა. წინადადებებს განსხვავებული სიგრძე და სტრუქტურა აქვს. ასეთი ტექსტის ხმამაღლა წაკითხვა სასიამოვნოა. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე შეკითხვა, რომლებიც დამწერს გამართულად წერაში დაეხმარება:

- რამდენად ადვილად იკითხება ტექსტი?
- წინადადებები განსხვავებულად იწყება?
- გამოყენებულია გრძელი და მოკლე წინადადებები?
- ხმამაღლა კითხვის დროს ასეთი ნაწერი უფრო სასიამოვნოდ იკითხება?

მსვლელობა

- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ ტექსტი:

„ჩემი ძაღლი შავია. მას ერთ ყურზე ყავისფერი ლაქა აქვს. ის მეგობრულია. მას უყვარს აბაზანაში ცურვა. მას როცა ვბანთ, ყველას გვწუწავს. მას უყვარს გასეირნება. მე მიყვარს ჩემი ძაღლი.“

- მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს, რომ ტექსტის წინადადებების უმრავლესობა ერთნაირად იწყება. შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, მოიფიქრონ ამ წინადადებების გადაკეთების გზები, რათა ტექსტი უფრო ადვილად იკითხებოდეს და ხმამაღლა წაკითხვისას უფრო საინტერესოდ ჟღერდეს.
- მასწავლებელი სთხოვს რამდენიმე მოსწავლეს, ხმამაღლა წაუკითხონ საკუთარი ნაწერი კლასს. იმართება დისკუსია.
- მასწავლებელი ხაზს უსვამს, რომ ამჯერად წინადადებები განსხვავებულად იწყებოდა და მეტ დეტალებს შეიცავდა. ამიტომ ტექსტი უფრო საინტერესო იყო მკითხველისთვის. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ ტექსტი აქტივობის დროს განხილული საკითხების გათვალისწინებით.

შენიშვნა: შესაძლებელია, რომ დისკუსიის გამართვასა და საკუთარი ვერსიის დაწერამდე მოსწავლეებმა მეორე, უფრო გამართული ტექსტიც წაიკითხონ.

5. სიტყვების შერჩევა და გამოყენება

კონკრეტული სიტყვები, რომლებსაც ავტორი იყენებს, ქმნის მკაფიო სურათ-ხატებს, იპყრობს მკითხველის ყურადღებას და ტექსტს დასამახსოვრებელს ხდის. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე შეკითხვა, რომლებიც დამწერს შესაფერისი სიტყვების შერჩევასა და გამოყენებაში დაეხმარება:

- გამოყენებულია თუ არა ტექსტში ისეთი ზმნები ან ხატოვანი ფრაზები, რომლებიც მკითხველის ყურადღებას „ანკესს გამოსდებს“?
- გამოყენებულია უნიკალური სიტყვები?
- ზედმეტად ხშირად ხომ არ არის გამეორებული ჩვეულებრივი სიტყვები?

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ აბზაცი:

„წყალთან დიდი ირემი იდგა. მან დიდ ტბაში საკუთარ ჩრდილს დახედა. იფიქრა, რომ ლამაზი იყო. ის წყლის დასალევად მივიდა ტბასთან.“

მსვლელობა

- მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ავტორმა არც თუ საინტერესო სიტყვები გამოიყენა.
- შემდეგ ის სთხოვს მოსწავლეებს, რომ გონებრივი იერიშის გამოყენებით მოიფიქრონ სიტყვები ან ფრაზები, რომლებითაც გარკვეულ სიტყვებს ჩაანაცვლებენ და ამით უფრო ცოცხალსა და დასამახსოვრებელს გახდიან ამ ტექსტს. მოსწავლეები გადაამუშავებენ ტექსტს უფრო ზუსტი და ხატოვანი სიტყვების მოშველიებით.
- მასწავლებელი სთხოვს რამდენიმე მოსწავლეს, რომ ხმამაღლა წაუკითხოს საკუთარი ნაწერი კლასს.
- მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები ახალ ტექსტს წერენ განხილული საკითხების გათვალისწინებით.

6. მართლწერა

ესა არის სწორად წერის წესები. წერის ეს მახასიათებელი გულისხმობს სალიტერატურო ენის ნორმების, გრამატიკული წესების დაცვას (ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაცია).

წერის რუბრიკა ექვსი მახასიათებლის მიხედვით

იდეები/ აზრები	• მთავარი იდეა და თემა ბუნდოვანია ან სუსტად არის გამოკვეთილი; • არ არის ფოკუსირებული თემაზე; • თემა სუსტად არის განვრცობილი, არ არის საკმარისი დეტალები; • ავტორი არ გადმოსცემს საკუთარ აზრებს.	• მთავარი იდეა მკაფიოდ არის გამოკვეთილი; • თემა კონკრეტულია, ავტორი ფოკუსირებულია თემაზე; • ნაწერი გამდიდრებულია მკაფიოდ აღწერილი, ზუსტი დეტალებით, რომლებიც შეესაბამება მთავარ იდეას; • ავტორი ინდივიდუალურ, ახლებურ ხედვას გვთავაზობს; • ავტორი ეყრდნობა საკუთარ ცოდნას/გამოცდილებას; • ავტორი იძლევა პასუხს მკითხველის სავარაუდო შეკითხვებზე.
სტრუქტურა/ ორგანიზება	• არ არის დასაწყისი და დასასრული (შესავალი და დასკვნა); • არ არის გადასვლები; • ლოგიკური თანმიმდევრობა არ იკვეთება; • სტრუქტურა იმდენად უწესრიგოა, რომ არ ჩანს წერის მიზანი.	• სტრუქტურა შეესაბამება თემას და მიზანს; • ეფექტური, გამომწვევი, საინტერესო დასაწყისი/შესავალი; • ეფექტური დასასრული/დასკვნა; • აზრები თანმიმდევრულად არის გადმოცემული; • გადასვლები ლოგიკურად ებმის ერთმანეთს; • ადვილია ნაწერის მიდევნება და გაბმულად წაკითხვა.
ტონი	• არ შეესაბამება ნაწერის მიზანს და თემას; • უსიცოცხლო, მოსაწყენი, მონოტონური; • არ იგრძნობა ავტორის განწყობა-დამოკიდებულება თემისა და მკითხველის მიმართ; • არ ჩანს აქტიური ინტერაქცია ავტორსა და მკითხველს შორის; • ავტორი ინდიფერენტულია, არ არის დაინტერესებული.	• შეესაბამება აუდიტორიას, თემას და მიზანს; • ცოცხალი, მკაფიო, გულითადი, იუმორით შეზავებული; • ავტორი უწყვეტ ინტერაქციაშია მკითხველთან; • იგრძნობა ავტორის ენთუზიაზმი და ინტერესი საკუთარი აზრების მიმართ.

სიტყვების შერჩევა	• შეზღუდული ლექსიკა; • არასწორად, შეუსაბამოდ გამოყენებული სიტყვები; • ბუნდოვანი ტექსტი ხელს უშლის მკითხველს მთავარი მესიჯების აღქმაში.	• მდიდარი, მრავალფეროვანი ლექსიკა; • ზმნების, ზედსართავი სახელებისა და არსებითი სახელები ადეკვატურად არის შერჩეული; • გამოყენებულია შეგრძნებების/წარმოსახვის აღმძვრელი აღწერითი სიტყვები; • არ არის უხვსიტყვაობა; • ერთი და იგივე სიტყვები ხშირად არ მეორდება; • სლენგი მიზნობრივად და ეფექტურად არის გამოყენებული.
წინადადებები	• ძნელია ნაწერის მიდევნება; • დაუსრულებელი, მოუხეშავად გამოყენებული წინადადებები; • სიტყვათა თანმიმდევრობა დამაბნეველია.	• ეფექტური ნაკადი და დინება; • წინადადებები ბუნებრივად ებმის ერთმანეთს; • გამოყენებულია განსხვავებული სტრუქტურისა და დასაწყისის მქონე წინადადებები; • ადვილია ნაწერის მიდევნება და გაბმულად წაკითხვა.
მართლწერა	• შეცდომები იმდენად ხშირად მეორდება, რომ მკითხველი წყდება შინაარსს; • სასვენი ნიშნები აკლია ან არასწორად არის დასმული; • ხშირია გრამატიკული შეცდომები; • ნაწერი მოითხოვს საფუძვლიან რედაქტირებას და კორექტურას.	• სასვენი ნიშნები სწორად არის დასმული; • გრამატიკული წესები სწორად არის გამოყენებული; • ნაწერი მოითხოვს უმნიშვნელო რედაქტირებას.

როლი, აუდიტორია, ფორმა, თემა (RAFT)

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის გამოყენება საშუალებას აძლევს მოსწავლეებს სიღრმისეულად გაიაზრონ ტექსტი და შექმნანამ ტექსტის ინტერპრეტაცია.

მეთოდის დახმარებით მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ:

- შემოქმედებითი წერისა და თვითგამოხატვის უნარები;
- ნაწერისათვის შესაბამისი სტილის შერჩევის უნარი;
- ტექსტის/საკითხის ინტერპრეტირების უნარი.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, მცირე ჯგუფები.

რესურსი: რვეული, კალამი, დაფა და ცარცი/ფორმატის ქაღალდი და მარკერი.

მსვლელობა

- მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რას გულისხმობს აქტივობა „რაფთ“ და დაფაზე ჩამოწერს:

  რ - როლი
  ა – აუდიტორია
  ფ – ფორმატი
  თ – თემა

აქტივობის დროს მოსწავლეებმა უნდა შექმნან ტექსტი სწორედ „რაფთ“-ის გათვალისწინებით.

- საწყის ეტაპზე მასწავლებელი თავად შეურჩევს მოსწავლეებს რომელიმე კონკრეტული პერსონაჟის როლს, სამიზნე აუდიტორიას, ნაწერის ფორმატსა და თემას. შესაძლებელია მასწავლებელს წინასწარ მომზადებული ჰქონდეს „რაფთის“ ცხრილი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს არჩევანის გაკეთებაში.

როლი (რ)	მწერლის, პერსონაჟის, მკითხველის, რეჟისორის, თანამდებობის პირის, თვით-მხილველის...
აუდიტორია (ა)	ავტორი, პერსონაჟი (სხვა ნაწარმოების პერსონაჟი), რომელიმე უწყება (მაგ., ცხოველთა დაცვის ორგანიზაცია), გამომცემლობა, მკითხველი, რეჟისორი, ოჯახის უფროსი წევრი, თანატოლი...
ფორმატი (ფ)	მოთხრობა, განცხადება, რეკლამა, აფიშა, წერილი, დღიური, ინტერვიუ, ბარათი, სცენარი, ლექსი...
თემა (თ)	თემის შერჩევისას მოსწავლეები ეყრდნობიან ტექსტში წარმოჩენილ საკითხებს, მათთვის უფრო მნიშვნელოვან პრობლემას. თემას ჩამოაყალიბებენ საკითხის ან სათაურის სახით. მაგ.: გმირობა, დავიცვათ ცხოველები, ყველას გვახსოვდეს...

ცხრილის ნიმუში

- ყველა ელემენტის შერჩევის შემდეგ მოსწავლეები იწყებენ წერას;
- მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები რედაქტირებას უკეთებენ თავიანთ ნამუშევრებს, ბოლოს კი გაუზიარებენ ერთმანეთს.

შენიშვნა: მასწავლებელს, საგაკვეთილო მიზნიდან გამომდინარე, შეუძლია მოსწავლეებს შესთავაზოს რამდენიმე ელემენტი, მაგალითად: თემა და ფორმატი; აუდიტორია და როლი, დანარჩენი

კი მოსწავლეებმა თავად შეარჩიონ. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაიწაფებიან აქტივობის შესრულებაში, შესაძლებელია მათ თავად შეარჩიონ ყველა ელემენტი.

მაგალითი

რ (როლი) – წითელქუდას ბებია
ა (აუდიტორია)– წითელქუდას დედა
ფ (ფორმატი) – წერილი
თ (თემა) – წითელქუდას საქციელი.

იდეები შემოქმედებითი წერისთვის

მეთოდის/აქტივობის შესახებ

შემოქმედებითი წერის აქტივობის ჩატარების დროს მოსწავლეებს აქვთ თვითგამოხატვის საშუალება. მასწავლებლის მიერ შეთავაზებული იდეებიდან ისინი ირჩევენ თემას შემოქმედებითი/თავისუფალი წერისთვის და წერენ თხზულებას.

მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეები:

- ივითარებენ წარმოსახვის უნარს;
- გამოხატავენ საკუთარ ემოციას, განცდებს, მოსაზრებებს;
- აკვირდებიან საკუთარ ემოციებს, გრძნობებს და ცდილობენ შესაბამისი სიტყვების შერჩევას;
- ივითარებენ წერის უნარს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური.

რესურსი: თემების ჩამონათვალი.

მსვლელობა

- მასწავლებელი მოსწავლეებს დაფაზე ჩამოუწერს რამდენიმე იდეას შემოქმედებითი წერისთვის;
- მოსწავლეები ირჩევენ მათთვის საინტერესო თემატიკას და წერენ თავისუფალ თემას.

შენიშვნა: მოცემული თემების ჩამონათვალის გამოყენება შესაძლებელია „რაფთის“, ხუთსაფეხურიანი წერის და სხვა მეთოდებით მუშაობისას.

იდეები წერისთვის

- აღწერე შენი ყველაზე კარგი/ცუდი სიზმარი;
- აღწერე ყველაზე ცუდი დღე შენს ცხოვრებაში;
- ერთი რამის შეცვლა რომ შემეძლოს ჩემში...
- ბავშვს რომ ვზრდიდე, არასოდეს...
- ისე არასდროს შემშინებია, როგორც...
- დაარწმუნე მეგობარი, რომ თავი დაანებოს თამბაქოს მოწევას;
- გამოიგონე ახალი კერძი და დაწერე მისი მომზადების წესი/რეცეპტი;
- გაიხსენე ისეთი მომენტი შენი ცხოვრებიდან, როდესაც არჩევანის წინაშე იდექი და სწორი გადაწყვეტილება მიიღე;
- ვინ არის შენი გმირი?

- წარმოიდგინე, რომ სხვა საუკუნეში ცხოვრობ და აღწერე ერთი დღე;
- ახლა მე მაქვს სამი მიზანი...
- რას იზამდი 300 თაგვი რომ გამოვარდეს გალიიდან ზოომაღაზიაში, რომელშიც შენ მუშაობ?
- წარმოიდგინე, რომ ერთ ღამეს შემთხვევით ჩაიკეტე შენს საყვარელ მაღაზიაში;
- რას იზამ ერთ დილას უჩინარმა რომ გაიღვიძო?
- რას იზამდი ცხოველებთან ლაპარაკი რომ შეგეძლოს?
- რას იზამდი მომავალში/წარსულში მოგზაურობა რომ შეგეძლოს?
- წარმოიდგინე რა მოხდება მთელ მსოფლიოში შუქი რომ ჩაქრეს;
- რას იზამდი 1 000 000 ლარი რომ გქონდეს?
- რას იზამ ცნობილ და ძვირადღირებულ რესტორანში სადილობისას კერძში ბუზი რომ იპოვო?
- ჩამოწერე 10 რამ, რაც კარგ ხასიათზე გაყენებს;
- რომელ ისტორიულ პირს შეხვდებოდი და რას ჰკითხავდი?
- რა გაბრაზებს?
- გამოიგონე მონსტრი და აღწერე (როგორია? სად ცხოვრობს? რას ჭამს და ა.შ.);
- როგორი ამინდი მოგწონს და რატომ?
- დაწერე ის, რაც არ გაგიკეთებია ამ შაბათ-კვირას;
- გაიხედე ფანჯარაში და დაწერე რას ვერ ხედავ;
- წარმოიდგინე რომ ხარ (ძველი/შენთვის კარგად ნაცნობი) შენობა და მოყევი შენი ამბავი.

შენიშვნა: სასურველია მოსწავლეებმა თავადაც მოიფიქრონ თემები შემოქმედებითი წერისთვის ან შეთავაზებული იდეის ვარიაციები.

სამწუთიანი წერა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები წინასწარ მითითებული დროის განმავლობაში წერენ საკუთარ აზრებს დასახელებული ცნების გარშემო.

მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეები:

- წერილობით გადმოსცემენ საკუთარ მოსაზრებებს;
- ივითარებენ წერის უნარს;
- ივითარებენ წარმოსახვის უნარს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური.

რესურსი: რვეული, დაფა, ცარცი.

მსვლელობა

- მასწავლებელი დაფაზე წერს ისეთ სიტყვას/ცნებას, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება წასაკითხი ტექსტის საკვანძო იდეას;
- მასწავლებელი აზუსტებს, იციან თუ არა მოსწავლეებმა მოცემული სიტყვის/ცნების მნიშვნელობა, საჭიროების შემთხვევაში განმარტავს მას;
- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ ადამიანი ან ვითარება, რომელიც მათთვის ამ სიტყვასთან/ცნებასთან არის დაკავშირებული და სამ წუთში დაწერონ პატარა ამბავი;

- წერის დასრულების შემდეგ მოსწავლეები ნამუშევარს უზიარებენ მეწყვილეს. სურვილის შემთხვევაში გააცნობენ მთელ კლასს.

შენიშვნა: სასურველია მასწავლებელმა მოცემული აქტივობა ნაწარმოების წაკითხვამდე ჩაატაროს, ხოლო წაკითხვის შემდეგ კვლავ მიაბრუნოს ბავშვები ნაწერთან, რომ თავიანთი ნააზრევი წაკითხული ტექსტის სიუჟეტს შეადარონ, იმსჯელონ მსგავსება-განსხვავებაზე.

სწრაფი წერა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

სწრაფი წერის აქტივობის გამოყენებისას მოსწავლეები მცირე დროის განმავლობაში წერილობით სცემენ პასუხს მასწავლებლის მიერ დასმულ ღია შეკითხვას (წერილობით რეაგირებენ კონკრეტულ საკითხზე).

მეთოდით მუშაობის პროცესში მოსწავლეებს უვითარდებათ:

- აზრის სწრაფად და ლაკონურად ჩამოყალიბების უნარი;
- აზრის თანმიმდევრულად გადმოცემის უნარი.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები.

რესურსი: რვეული, კალამი

მსვლელობა

- მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს ღია შეკითხვას ან აძლევს მინიშნებას შესწავლილი/შესასწავლი თემის შესახებ;
- მოსწავლეები 2-5 წუთის განმავლობაში წერენ საკუთარ ნააზრევს მოცემულ საკითხზე;
- წერის დასრულების შემდეგ მოსწავლეები ნამუშევარს უზიარებენ მეწყვილეს. სურვილის შემთხვევაში გააცნობენ მთელ კლასს.

წერა ილუსტრაციების მიხედვით

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები წერენ ამბავს/მოთხრობას შეთავაზებული ილუსტრაციების მიხედვით.

მეთოდის გამოყენება მოსწავლეებს უვითარებს:

- წარმოსახვისა და ფანტაზიის უნარს;
- აზრების წერილობით გადმოცემის უნარს;
- სიუჟეტის აგებისა და მოთხრობის დაწერის უნარს.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, ჯგუფები.

რესურსი: საინტერესო ილუსტრაციები, ფურცელი, კალამი.

მსვლელობა

- მასწავლებელი შეარჩევს რამდენიმე ილუსტრაციას, რომლებიც გარკვეული ამბის აგებისა და გადმოცემის საშუალებას იძლევა. ილუსტრაციები შესაძლოა რომელიმე წიგნიდან,

ნაწარმოებიდან იყოს ამოღებული. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი მეთოდს მანამდე გამოიყენებს, ვიდრე მოსწავლეები ტექსტს წაიკითხავენ;

- მოსწავლეები აწყობენ ილუსტრაციებს ლოგიკური თანმიმდევრობით (ეს თანმიმდევრობა შესაძლოა არ ემთხვეოდეს წიგნისეულ/ავტორისეულ ვერსიას) და თხზავენ/იგონებენ ამბავს;
- მოსწავლეები წერენ ამბის/მოთხრობის საკუთარ ვერსიას და უკითხავენ თანაკლასელებს.

შენიშვნა: შესაძლებელია მასწავლებელმა მოსწავლეები დააჯგუფოს და თითოეულ ჯგუფს მისცეს ერთი ილუსტრაცია ისე, რომ მათ არ იცოდნენ სხვა ჯგუფების ილუსტრაციის შინაარსი. თუ კლასი ჰომოგენურ ჯგუფებად დაიყოფა, შედარებით გაუწაფავ მოსწავლეებს „მარტივად დასაწერი“ ილუსტრაცია მიეცემათ. ჯგუფები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შექმნიან ამბებს, იწინასწარმეტყველებენ სხვა ილუსტრაციების შესაძლო სიუჟეტებს. პრეზენტაციების შემდეგ ჯგუფები ერთმანეთს გაუცვლიან ილუსტრაციებს და, სურვილისამებრ, ცვლილებებს შეიტანენ საკუთარ ამბებში. ბოლოს კი მთელი კლასი იმუშავებს საერთო ამბის შეთხზვაზე.

ვარიაცია

ამბის შესათხზავად შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ერთი ილუსტრაცია. ამ დროს მოსწავლეები იმუშავებენ შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ჩამოწერე სიტყვები, რომლებიც ილუსტრაციაზეა ან კავშირშია მასთან;
2. დაწერე შეკითხვები, რომლებიც გიჩნდება ილუსტრაციასთან დაკავშირებით;
3. შეკითხვები გაყავი ორ ჯგუფად. დააჯგუფე შინაარსის მიხედვით;
4. უპასუხე შეკითხვებს ისე, რომ გამოიყენო სიტყვები, რომლებიც ჩამოწერილი გაქვს;
5. ეცადე, თითოეული ჯგუფის შეკითხვების პასუხები ამბის სახით გადააკეთო. ამისთვის გამოიყენე სხვა წინადადებებიც. ამ საფეხურის დასრულების შემდეგ უნდა მიიღო ორი ამბავი;
6. მიღებული ამბები გააერთიანე ერთ ამბად. მოიფიქრე, როგორ დაუკავშირდება ისინი ერთმანეთს. ცხადია, აქაც დაგჭირდება ახალი წინადადებები და, შესაძლოა, უკვე დაწერილი ამბების გადაკეთებაც;
7. გადაამუშავე ნამუშევარი და გააცანი თანაკლასელებს.

მასწავლებელს შეუძლია როგორც ფერადი, ისე კონტურული ილუსტრაციების გამოყენება, რომლებსაც მოსწავლეები შემდეგ თავად გააფერადებენ.

ნიმუში



მოთხრობის/ზღაპრის ჩარჩო

მეთოდის/აქტივობის შესახებ

ეს აქტივობა ეხმარება მოსწავლეებს სიუჟეტის წერილობით ხალისით და ადვილად გადმოცემაში. ამ სამუშაოს აადვილებს მასწავლებლის მიერ შეთავაზებული შეკითხვები, რომლებიც ერთგვარი ჩარჩო-კონსტრუქციის როლს ასრულებს. აქტივობა შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერ კლასში. ამის გათვალისწინებით უნდა გავამარტივოთ ან გავართულოთ შეკითხვის შინაარსი, გავზარდოთ ან შევამციროთ კითხვების რაოდენობა.

ამ აქტივობით მოსწავლეებს უვითარდებათ:

- მხატვრული ტექსტის დამოუკიდებლად შექმნის უნარ-ჩვევა;
- წარმოსახვისა და თვითგამოხატვის უნარი.

მუშაობის ფორმა: წყვილები, ინდივიდუალური.

რესურსი: დაფა, რვეული, ფურცელი/შესავსები სქემა (სქემის ამოსაბეჭდი ვერსია იხ. დანართში).

მსვლელობა

- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მოიფიქრონ და დაასახელონ თემა, რომელზედაც ისურვებდნენ მოთხრობის წერას (მაგ., შემთხვევა ქუჩაში, კვირადღე ოჯახში, დაბადების დღე, კნუტის ოინები, ჩემი პირველი აღმოჩენა...). შეთავაზებული თემები/სათაურები იწერება დაფაზე. რამდენიმე მოსწავლე საუბრობს, რამ განაპირობა არჩევანი.
- მასწავლებელი დაფაზე წერს შეკითხვებს, რომლებსაც მოსწავლეები გადაიწერენ რვეულებში და უპასუხებენ წერილობით.

შენიშვნა: შეკითხვები იმგვარად უნდა იყოს შერჩეული და დალაგებული, რომ მიჰყვებოდეს მოთხრობის სიუჟეტურ ქარგას, რათა მოსწავლეს გაუადვილდეს ტექსტის მოკლე შინაარსის აღდგენა და წერილობით გადმოცემა.

მაგალითად

- კითხვები ტექსტის **შესავალი ნაწილისთვის**: სად ხდება ამბავი? რით იქცევს ეს გარემო ყურადღებას? რა დღეა? როგორი ამინდია? ვინ არის გმირი? როგორ გამოიყურება?..
- **ძირითად ნაწილში** უშუალოდ გადმოსცემენ ამბავს, ამიტომ კითხვები უნდა ეხმარებოდეს მოსწავლეებს საფეხურებად წარმოადგინონ სიუჟეტი: რა მოხდა? ვინ იყო მონაწილე? რას გრძნობენ? რის შესახებ საუბრობენ?..
- **დასასრულისთვის**: რით დასრულდა ამბავი?..

დაწერე მოთხრობა

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეები შეთავაზებული ჩამონათვალიდან შეარჩევენ პერსონაჟთა თვისებებს, გარემოებებსა და პრობლემებს, რაც მათ დაეხმარება მოთხრობის აგებაში.

მეთოდის/აქტივობის გამოყენება მოსწავლეებს ხელს შეუწყობს:

- ფანტაზიისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში;
- მოთხრობის სტრუქტურული ელემენტების შერჩევასა და სინთეზირებაში.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები

რესურსი: თვისებების, გარემოებებისა და პრობლემების ნუსხა, ფურცელი, კალამი.

მსვლელობა

- მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ რომელია მათი საყვარელი მოთხრობა/ზღაპარი და რატომ, შემდეგ კი წარმართავს ხანმოკლე მსჯელობას მათი პასუხების მიხედვით. მსჯელობის პარალელურად მასწავლებელი დაფაზე ჩაინიშნავს მოსწავლეთა პასუხებს, თუ რატომ მოსწონთ ესა თუ ის მოთხრობა/ზღაპარი. მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება გამახვილდეს მოთხრობის/ზღაპრის ისეთ საკვანძო სტრუქტურულ ელემენტებზე, როგორებიცაა პერსონაჟი და მისი თვისებები, გარემოებები, პრობლემა/კონფლიქტი და მისი გადაწყვეტა, ძირითადი მოქმედებები.
- მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ დღეს მათაც, როგორც მწერლებმა, უნდა შეთხზან მოთხრობა და ამაში დასახმარებლად სთავაზობს მათ თვისებების, გარემოებებისა და პრობლემების ნუსხას. მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ ნუსხიდან სიტყვა-სიტყვით არ გადმოწერონ ესა თუ ის გარემოება თუ პრობლემა. სასურველია, თავიანთ მოთხრობებს მოარგონ ნუსხაში ჩამოთვლილი იდეები, განავრცონ ან გადააკეთონ ისინი.

შენიშვნა: თუ აქტივობა პირველად ტარდება მოსწავლეებთან, სასურველია მასწავლებელმა ჯერ თავად აჩვენოს ბავშვებს, თუ როგორ ხდება ცხრილების გამოყენება.

- მოსწავლეები იწყებენ იდეების გენერირებას და მოთხრობის გეგმის შედგენას ნუსხის გამოყენებით. მასწავლებლის თხოვნით რამდენიმე მოსწავლე მთელ კლასს მოკლედ გაუზიარებს მოთხრობის ზოგად მონახაზს და ნუსხიდან შერჩეულ პერსონაჟს/ გარემოებებს/პრობლემას.
- მოსწავლეები იწყებენ წერას. წერა მიმდინარეობს ხუთსაფეხურიანი მოდელის მიხედვით (იხ. ხუთსაფეხურიანი წერა).
- მსურველები წარუდგენენ აუდიტორიას თავიანთ ნამუშევრებს.

გამოიყენე ეს სიტყვები შენი მოთხრობის პერსონაჟების დასახასიათებლად.
რა თქმა უნდა, თავადაც შეგიძლია შეურჩიო თვისებები შენ მიერ მოგონილ პერსონაჟებს.

მფრთხალი
არტისტული
სპორტული
აქტიური
ლამაზი
მამაცი
თავდაჯერებული
მბრძანებლური
მზრუნველი
მომხიბლავი
მხიარული
ცნობისმოყვარე
კრეატიული
გაბედული
ყურადღებიანი
ეშმაკი
უშიშარი
მეოცნებე
საშიში
საინტერესო
მხიარული
ენერგიული
სასტიკი
სასაცილო
მებრძოლი
კეკლუცი
ღარიბი
პრანჭია

მეგობრული
თხუპნია
თავდადებული
ნაზი
გულუხვი
ანჩხლი
ბედნიერი
საზარელი
თავმდაბალი
მტრული
პატიოსანი
გონიერი
დამოუკიდებელი
გამომგონებელი
ლიდერი
ზარმაცი
უწესრიგო
ანცი
ფლიდი
ფაქიზი
ნერვიული
ბილწი
სასიამოვნო
გაიძვერა
გულღია
მტკიცე
ბრძენი
ბრწყინვალე

ამაყი
უმწეო
შერეკილი
კოხტა
დამცველი
წყნარი
მდიდარი
პატივცემული
მოწყენილი
დაუდევარი
სერიოზული
წარმატებული
მორცხვი
უხეში
ჭკვიანი
ბეჯითი
ბოროტი
მარტივი
მაღალი
მორიდებული
სანდო
ჩაფიქრებული
უანგარო
თბილი
გონებამახვილი
ველური
თავგადასავლების
მოყვარული

გამოიყენე ეს სიტყვები შენი მოთხრობის გარემოებების აღსაწერად.
რა თქმა უნდა, თავადაც შეგიძლია მოიფიქრო გარემოებები, სადაც შენი მოთხრობის ამბები მოხდება.

სახურავზე
წყალქვეშა მოგზაურობისას
ციხეში
ლაშქრობაში
მატარებელში
შემოდგომის ერთ წვიმიან დღეს
მოლაპარაკე ვეშაპის მუცელში
ცირკში
მთვარეზე
დისნეილენდში
ბაზრობაზე
ტკბილეულის მაღაზიაში
სათამაშოების ქარხანაში
სილამაზის სალონში
საჰაერო ბუშტში
ერთ ძველებურ მაცივარში...
საიდუმლო კარის ჭუჭრუტანაში
იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა...
სპაიდერმენის აგარაკზე
ერთ ბნელ, უმთვარო ღამეს
გამოქვაბულში
ტელევიზიაში
როდესაც ტყეში დავიკარგე...
ზოოპარკის რომელიღაც
ვოლიერში
მინიონების სახლში
უჩინარ ქვეყანაში
ყველაზე უცნაურ ახალ წელს
ჯადოსნურ კარადაში
ზაფხულის ერთ ცხელ დღეს
ყველაზე ბედნიერ დღეს
რაპუნცელის კოშკში
წითელქუდას ბებიის სახლში
ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც...
არარსებულ ქალაქში
უღრან ტყეში
მიტოვებულ ძველ სახლში
უკაცრიელ კუნძულზე
მაისის ერთ თბილ საღამოს
უხსოვარ დროს
2300 წელს
ასი წლის წინათ
სიცილის სახელმწიფოში
ერთხელ, როცა დედამ გადაწყვიტა...
მაშინ, როცა ახალდაბადებული ვიყავი...
ერთხელ, როცა აღმოვაჩინე, რომ...
ერთ დილას გავიღვიძე და...

გამოიყენე ეს სიტყვები შენს მოთხრობის გარემოებების აღსაწერად.
რა თქმა უნდა, თავადაც შეგიძლია მოიფიქრო პრობლემა, რომელიც შენს მოთხრობას უფრო საინტერესოს გახდის.

გაკვეთილი არ ვიცოდი

მეგობარი გაიბუტა

დედა საშინლად გაბრაზდა

ფული დავკარგე

შემთხვევით გამიტყდა

ნერვებს მიშლის...

ჩემი საყვარელი სათამაშო გააჩუქეს

ჩემმა პატარა ძმამ კომპიუტერის კლავიატურაში კაკაო ჩაასხა

მშობლებს არ სცალიათ, რომ...

ქუჩას უცნაური მწერები შემოესივნენ

ველოსიპედი მომპარეს

მას კლასელები არ ეთამაშებიან

მეგობრები არ ჰყავს

უბნის სტადიონის ადგილას კორპუსის აშენებას იწყებენ...

სახლში ძაღლის მოყვანის უფლებას არ მაძლევენ...

მეზობელი ეზოში თამაშს გვიშლის...

კლასის შუშა ჩაილეწა...

მათ გზა აებნათ...

მან საფულე იპოვა...

მას ძალიან უყვარს ღამით ტკბილეულის ჭამა

მას ძალიან უნდა განსხვავებული ვარცხნილობა ჰქონდეს

ქალაქში/სოფელში წყალი დაშრა

მას საშინლად ეშინია...

მას მუდამ ეზარება...

საინფორმაციო გამოშვებაში გამოაცხადეს, რომ მოსალოდნელია ძლიერი ქარიშხალი/წყალდიდობა

ჩემს მეგობარს დასცინიან...

ქუჩაში მივდიოდი და უცებ დავინახე, რომ დიდი ბიჭები პატარას ჩაგრავდნენ...

ერთ დილას შევამჩნიე, რომ ადამიანები როობოტებივით იქცევიან...

ლექსიკური ერთეულებით ამბის შეთხზვა და დასათაურება

მეთოდის/აქტივობის შესახებ

მოსწავლეები მასწავლებლის მიერ შეთავაზებული სიტყვების გამოყენებით თხზავენ ამბავს და ასათაურებენ.

ამ აქტივობის გამოყენებით მოსწავლეები:

- ივითარებენ ახალი ლექსიკური ერთეულების პრაქტიკულად გამოყენების ჩვევას;
- იაქტიურებენ წარმოსახვის უნარს;
- სწავლობენ მნიშვნელოვანზე ფოკუსირებას ტექსტში (რათა ტექსტს შეურჩიონ შესაფერისი სათაური).

მუშაობის ფორმა: წყვილები, ჯგუფები.

რესურსი: სიტყვების ბარათები, ფურცელი, კალამი.

მსვლელობა

- მასწავლებელი წინასწარ (მიზნის შესაბამისად) შეარჩევს სიტყვებს;
- მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს სიტყვებს (ან დაარიგებს სიტყვების ბარათებს) და ავალებს მოსწავლეებს, ამ სიტყვების გამოყენებით შეთხზან რაიმე ამბავი და დაასათაურონ;
- მოსწავლეები მითითებული სიტყვების გამოყენებით, განსაზღვრულ დროში, თხზავენ ამბავს და ასათაურებენ;
- მოსწავლეები ხმამაღლა კითხულობენ თავიანთ შეთხზულ ტექსტს და ასახელებენ სათაურს;
- შემდეგ მოსწავლეები გაცვლიან თავიანთ ნამუშევრებს, წაიკითხავენ სხვა წყვილის/ჯგუფის მიერ შექმნილ ტექსტს და, სურვილის შემთხვევაში, შეურჩევენ კიდევ ერთ შესაძლო სათაურს;
- შემდეგ იმართება მსჯელობა, რამდენად შეეფერება სათაური შეთხზულ ამბავს.

12-სიტყვიანი რეზიუმე (შეჯამება)

მეთოდის/აქტივობის შესახებ

12-სიტყვიანი შეჯამება (რეზიუმე) არის ზოგადად რეზიუმეს ერთ-ერთი ვარიაციაა.

მეთოდი/აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლეებს:

- თავი მოუყარონ ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვან აზრებსა და იდეებს;
- ისწავლონ ტექსტში მთავარი, საკვანძო სიტყვების შერჩევა (ან მოფიქრება-გახსენება) შეჯამებისთვის;
- გააცნობიერონ კავშირი შერჩეულ სიტყვებსა და ტექსტის მთავარ ინფორმაციას (ან სათქმელს) შორის.

მუშაობის ფორმა: ჯგუფები, წყვილები, ინდივიდუალური.

რესურსი: ფურცელი, კალამი.

მსვლელობა

- თემაზე (ტექსტზე) მუშაობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დაწერონ რეზიუმე, რომლისთვისაც გამოიყენებენ მხოლოდ თორმეტ სიტყვას;
- მოსწავლეები ჩამოწერენ სავარაუდო სიტყვებს, რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე მეტად გამოადგებათ თემის (ტექსტის) შესაჯამებლად. თავდაპირველად შეიძლება მათი რაოდენობა 12-ზე მეტი იყოს;
- შემდეგ კიდევ ერთხელ მიუბრუნდებიან ტექსტს და რეზიუმესთვის ჩამოწერილ სიტყვებს გაიაზრებენ მასთან მიმართებით;
- ჩამოწერილი სიტყვებიდან საბოლოოდ შეარჩევენ 12 სიტყვას, რომლებიც ყველაზე უკეთ შეაჯამებს თემას (ტექსტს).

შინაარსი და მოკლე შინაარსი

შინაარსი და **მოკლე შინაარსი** ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მხოლოდ ზომით (მოცულობით), არამედ თვისებებით, სტილით. შინაარსი არ არის უბრალოდ ვრცლად გადმოცემული მოკლე შინაარსი. მოკლე შინაარსის მიზანია, რაც შეიძლება მოკლედ და მშრალად გადმოიცეს მხოლოდ უმთავრესი, ყველაზე არსებითი ამბები, ინფორმაცია. მოკლე შინაარს არ სჭირდება ხატოვანება და „სამკაულები“.

სულ სხვაა **შინაარსი.** მისი მიზანია არა მხოლოდ ამბის გადმოცემა, არამედ მხატვრულობაც – შინაარსს ამშვენებს ხატოვანება (რაც მოკლე შინარსს ნაკლად ეთვლება). საზოგადოდ, მოკლე შინაარსის მოცულობა ყოველთვის შეზღუდული უნდა იყოს (მოსწავლეს უნდა მიეთითოს რამდენი წინადადების დაწერა შეუძლია მოკლე შინაარსის გადმოცემისას), რაც მას აიძულებს, რომ ტექსტიდან ამოკრიფოს მხოლოდ ყველაზე არსებითი. ეს განყენებას, აბსტრაქციას ჰგავს და ამიტომ უფრო ძნელია, ვიდრე შინაარსის დაწერა. განსხვავებით მოკლე შინაარსისგან, შინაარსის მოცულობა შეუზღუდავი უნდა იყოს.

შინაარსისა და მოკლე შინაარსის წერაზე გადასვლა, ცხადია, ერთბაშად ვერ მოხდება. მას წინ მთელი რიგი საფეხურები უნდა უძღვოდეს.

ეს საფეხურებია:

- შემამზადებელი საფეხური: ტექსტები გამზადებული გეგმებითა და მოკლე შინაარსებით;
- სურათების მოკლე აღწერა წინასწარმოცემული შეკითხვების მეშვეობით;
- სურათების აღწერის გეგმის შედგენა (წინასწარგანსაზღვრული მოცულობის, მაგ, ორპუნქტიანი, ხუთპუნქტიანი და ა.შ.);
- გეგმის მიხედვით სურათის **მოკლე** აღწერა;
- სურათის მხატვრული, **განვრცობილი** აღწერა;
- ზღაპრის მოკლე შინაარსის დაწერა წინასწარმოცემული შეკითხვების მეშვეობით;
- ზღაპრის წინასწარგანსაზღვრული მოცულობის (ოთხპუნქტიანი, ხუთპუნქტიანი...) გეგმის შედგენა;
- გეგმის მიხედვით ზღაპრის მოკლე შინაარსის დაწერა;
- ზღაპრის შინაარსის დაწერა აბზაცების გამოყოფით;
- ზღაპრის შინაარსის დაწერა მხატვრული დანამატებით;
- ნაწარმოების სიუჟეტის გეგმის შედგენა და მოკლე შინაარსის დაწერა;

- ნაწარმოების შინაარსის დაწერა მხატვრულად;
- სპეციალური ტექსტის (მოხსენების, საგაზეთო სტატიის...) გეგმის შედგენა და მოკლე შინაარსის დაწერა;
- სპეციალური ტექსტის (მოხსენების, საგაზეთო სტატიის...) შინაარსის დაწერა.

შენიშვნა: უმჯობესია, შინაარსის და მოკლე შინაარსის წერის სწავლება დავიწყოთ ზღაპრის მაგალითზე და შემდეგ გადავიდეთ სხვა სახის ტექსტებზე (მოთხრობა, ნოველა, საგაზეთო სტატია, საინფორმაციო ტექსტი...).

ქარგები (შაბლონები) წერისთვის

მეთოდის/აქტივობის შესახებ

ქარგების გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია წერის საწყის ეტაპზე ანუ მანამ, სანამ მოსწავლე კარგად გაიწაფება სხვადასხვა ტიპის ტექსტის შექმნაში.

ამ აქტივობის გამოყენება მოსწავლეებს:

- ხელს უწყობს აზრების მობილიზებაში;
- აძლევს გარკეულ მინიშნებებს და მიმართულებას უშუალოდ წერის პროცესში;
- მატებს თავდაჯერებულობას.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური.

რესურსი: სამუშაო ფურცელი ქარგით.

მსვლელობა

- მასწავლებელი, იმის მიხედვით, თუ რისკენ სურს მიმართოს მოსწავლის აზროვნება წერის პროცესში, წინასწარ შეარჩევს (ან შექმნის) ქარგას;
- მოსწავლეებს ურიგებს ქარგას და აძლევს გარკვეულ დროს მის შესავსებად;
- მოსწავლეები განსაზღვრულ დროში ავსებენ ქარგას;
- დროის გასვლის შემდეგ ისინი წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს კლასის წინაშე.

ქარგების ნიმუშები

1. პრობლემა და მისი გადაჭრა

ნაწარმოების პერსონაჟს აქვს პრობლემა. პრობლემა ისაა, რომ _____ . აღნიშნული პრობლემის მიზეზი გახდა _____ . მიუხედავად ამისა, პრობლემა მოგვარდა (ან შეიძლება მოგვარდეს). მის გადასაჭრელად საჭირო იყო (ან საჭირო იქნება) _____ . პრობლემის ასეთი გადაჭრა, ჩემი აზრით, _____ .

2. შედარება (მსგავსებები და განსხვავებები)

_____-სა და _____-ს შორის რამდენიმე მსგავსებაა. ისინი ერთმანეთს ჰგვანან _____-ით. თუმცა აღსანიშნავია განსხვავებაც. _____-საგან განსხვავებით, _____-ს არა აქვს _____. ხოლო _____-საგან განსხვავებით, _____- ს აქვს _____ .

3. _____-ის აღწერა/დახასიათება

ოდესმე გინახავთ ან გიფიქრიათ _____- ზე? _____-ს ძალიან საინტერესო გარეგნობა აქვს. ის _____ . მაგალითად, მას აქვს _____ , რომელიც _____ . მას აგრეთვე აქვს _____ და _____ . ყოველივე ამის გამოის ძალიან _____ გამოიყურება.

4. პერსონაჟის დახასიათება

ამ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი არის _____ . იგი არის ძალიან _____ . მას სურს _____ , მაგრამ _____ , ამიტომ მან გადაწყვიტა _____ . საბოლოოდ მან შეძლო _____ . თუმცა ამის მისაღწევად მას _____ .

5. აღწერა-დახასიათება (ცხოველის, საგნის)

ეს არის _____ . იგი არის _____ . _____ ბინადრობს _____ . გარეგნულად არის ძალიან _____ . იგი წააგავს _____ -ს. აქვს _____ და _____ . _____ იკვებება _____ -ით, მაგალითად _____ -ით.

6. თანმიმდევრობა

სანამ _____ , ბევრი რამ მოხდა. ჯერ _____ , შემდეგ _____ , შემდეგ _____ . სულ ბოლოს კი _____ .

7. ინსტრუქცია (სათამაშოს ან კოლაჟის აწყობა)

ფრთხილად გახსენით _____ , რომ შიგ ჩაწყობილი _____ არ დაზიანდეს.

ყველა _____ სათითაოდ ამოალაგეთ და _____ დააწყვეთ. აწყობა დაიწყეთ _____ -ით, შემდეგ გაგრძელეთ _____ -ით. კარგად დააკვირდით _____ -ს, რომ ერთნაირი _____ ერთად არ მოხვდეს. რაც უფრო მრავალფეროვანი გამოგივათ _____ , მით უკეთესი _____ .

8. რეკლამა

გინდათ, გქონდეთ ისეთი _____ , როგორზეც ბევრჯერ გიოცნებიათ? მას შეუძლია _____ , _____ და, თქვენ წარმოიდგინეთ – _____ ც! შეიძლება ეს _____ მოგეჩვენოთ, მაგრამ როცა _____ , თქვენ თვითონ დარწმუნდებით! თანაც არც ისე _____! იჩქარეთ, რომ _____ !

შენიშვნა ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებისთვის

ქარგების დახმარებით წერა გაცილებით უადვილდებათ მეორე/უცხოური ენის შემსწავლელებს. ასეთი სავარჯიშოები და დავალებები უხვადაა წარმოდგენილი სახელმძღვანელოებში. ზემოთ შემოთავაზებული ქარგები რთული თუ აღმოჩნდა, შესაძლებელია მათი ადაპტირება და მოსწავლეთა შესაძლებლობებზე მორგება.

თავი VIII

განმავითარებელი შეფასება

- *რა არის განმავითარებელი შეფასება?*
- *როგორ გამოვიყენოთ განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესში?*
- *რომელია განმავითარებელი შეფასების ეფექტური ინსტრუმენტები?*
- *როგორ მივაწოდოთ მოსწავლეებს კონსტრუქციული უკუკავშირი?*

განმავითარებელი შეფასების აქტივობების ცხრილი

მეთოდი / აქტივობა	რესურსი	გვერდი
ვარსკვლავები და საფეხურები	„ვარსკვლავები და საფეხურების“ სპეციალური შესვსები ფორმა	333
შუქნიშნის ფერები	წითელი და მწვანე ფერის, წრის ფორმის ბარათები	334
ავტოსადგომი	„ავტოსადგომის“ სქემა	334
შეკითხვების გამოყენება განმავითარებელი შეფასებისთვის		335
პასუხის ფურცლები		336
დიახ/არა ბარათები	„დიახ/არა“ წარწერიანი ბარათები	336
მინიშნება ცერა თითით		336
პოსტერები	ფერადი ფანქრები, ფორმატი	337
ქვიზები	ქვიზის ფურცელი	337
გამოსაძახებელი ჩხირები	ჩხირები ბავშვების სახელებით	338
ფაქტობრივი იერიში		339
განმავითარებელი შეფასების სხვა ეფექტური აქტივობებისა და ინსტრუმენტების ცხრილი		340

განმავითარებელი შეფასება

ყველა მასწავლებელი აცნობიერებს კავშირს სწავლებასა და შემაჯამებელ ტესტირებას შორის. როგორც წესი, ეფექტურ სწავლებას მოსწავლეთა კარგი შედეგები მოსდევს შემაჯამებელ ტესტებში. თუმცა არ უნდა გამოვტოვოთ მნიშვნელოვანი ელემენტი – როგორ ამოწმებს მასწავლებელი მოსწავლეთა მოსწრებას არა მხოლოდ სასწავლო პროცესის ბოლოს, არამედ უშუალოდ სწავლის პროცესში. რაც უფრო ხშირად ამოწმებს მასწავლებელი სწავლას, მით უფრო ეფექტურია სწავლება.

ამ თავში საუბარია განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობასა და ფორმებზე.

> ***სწავლისა და ათვისების შემოწმება*** *არ გულისხმობს საბოლოო გამოცდას ან შემაჯამებელი ტესტის ჩატარებას. შემაჯამებელი ტესტის დანიშნულებაა იმის დადგენა, თუ როგორი მიღწევები აქვთ მოსწავლეებს სწავლების დასრულების შემდეგ. განმავითარებელი შეფასება კი გულისხმობს მოსწავლის პროგრესის შემოწმებას უშუალოდ სწავლება-სწავლის პროცესში.*

განმავითარებელი შეფასების დანიშნულებაა მოსწავლის სწავლის მონიტორინგი და მუდმივი უკუკავშირი, რაც ეხმარება მასწავლებლებს სწავლების, ხოლო მოსწავლეებს – სწავლის გაუმჯობესებაში. განმავითარებელი შეფასება არის მოსწავლეების სწავლაზე მუდმივი დაკვირვების, აღრიცხვისა და ანალიზის პროცესი. მაგალითად, თუ მასწავლებელი შეამჩნევს, რომ რამდენიმე მოსწავლეს უჭირს გრძელი სიტყვების წაკითხვა ან პერსონაჟის ქცევების დახასიათება, მას შეუძლია შეცვალოს აქტივობები, დავალებები, სასწავლო რესურსები და ამგვარად დაეხმაროს მოსწავლეებს. მოცემულ შემთხვევებში მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სიტყვების სკივრი ან მოიტანოს ცხოვრებისეული მაგალითები პერსონაჟის თვისებების გამოსაკვეთად. განმავითარებელი შეფასების შედეგები მასწავლებელს აჩვენებს, რამდენად ეფექტურად წარმართავს იგი სწავლების პროცესს და საჭიროა თუ არა მისი მხრიდან მიდგომების, სტრატეგიების, რესურსების შეცვლა.

განმავითარებელი შეფასება მოიცავს მიმდინარე შემოწმებას, დაკვირვებას, შეჯამებებსა და განხილვებს, რომლებიც მასწავლებელს საჭირო ინფორმაციას აწვდის სწავლების პროცესში და რომელთა საფუძველზეც მოსწავლეები რეგულარულად იღებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს (კონსტრუქციული უკუკავშირის შესახებ იხილეთ ქვემოთ).

განმავითარებელი შეფასება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს დიფერენცირებულ საკლასო ოთახშიც, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ სხედან განსხვავებული მზაობისა და მიღწევების მქონე მოსწავლეები. რეგულარული განმავითარებელი შეფასების, ანუ ათვისების შემოწმების გარეშე მასწავლებელი ვერ გაიგებს, თუ რა სჭირდება თითოეულ მოსწავლეს სტანდარტებით გათვალისწინებული წარმატების მისაღწევად.

როგორც წესი, მასწავლებლები უფრო აქტიურად იყენებენ საკონტროლო და შემაჯამებელ შეფასებას იმის დასადგენად, თუ რა ოდენობის მასალა აითვისეს მოსწავლეებმა დროის გარკვეულ მომენტამდე. ნასწავლის შეფასების ასეთი ფორმის გამოყენებით ვრწმუნდებით, რამდენად მიაღწიეს მოსწავლეებმა დასახულ სასწავლო მიზნებს სახელმძღვანელოს ერთი თავის გავლის ან დროის გარკვეული მონაკვეთის გასვლის შემდეგ. ნასწავლის განმსაზღვრელი შეფასება მნიშვნელოვანია ანგარიშგების მიზნით, ოღონდ მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს განმავითარებელ შეფასებაზეც, რომელიც აუმჯობესებს მოსწავლეთა სწავლას უშუალოდ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.

მიუხედავად განმავითარებელი შეფასების მნიშვნელოვანი როლისა, სულაც არაა საჭირო მისთვის ზედმეტი დროის დათმობა. მნიშვნელოვანია, რომ პროექტებისა და თხზულებების გარდა არსებობს განმავითარებელი შეფასების ბევრი ინსტრუმენტი, რომლებიც სწრაფად და იოლად გამოიყენება ყოველდღიურ პრაქტიკაში.

რატომ უნდა გამოვიყენოთ განმავითარებელი შეფასება?

1. განმავითარებელი შეფასება აძლიერებს მოსწავლის რეფლექსიას სწავლის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. ამით ის ხელს უწყობს მოსწავლეთა გააქტიურებასა და თვითმონიტორინგს.

2. განმავითარებელი შეფასებისას მოსწავლეთა აზროვნებისა და შემეცნების პროცესები უფრო თვალსაჩინო ხდება როგორც თვით მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლისათვის. ეს ეხმარება მასწავლებელს ადეკვატური მეთოდებისა და სასწავლო რესურსების შერჩევაში.

3. განმავითარებელი შეფასება მოსწავლეებს ეხმარება იმის გაცნობიერებაში, თუ რას სწავლობენ და რამდენად კარგად ეუფლებიან ცოდნას.

4. განმავითარებელი შეფასება გვეხმარება იმის განსაზღვრაში, თუ რამდენად მზადაა ბავშვი, რომ ცოდნა და უნარები ახალ სიტუაციებში გამოიყენოს.

5. განმავითარებელი შეფასება გვეხმარება სწავლების დიფერენცირებაში, ჯგუფების სწორად დაკომპლექტებაში და მოსწავლეებისთვის ადეკვატური დავალებების შერჩევაში.

6. მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასებით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მასწავლებელს შეუძლია შეაფასოს ჩატარებული გაკვეთილის ეფექტურობა.

7. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას.

8. განმავითარებელი შეფასება ეხმარება სასწავლო პროცესის მონაწილეებს კონსტრუქციული უკუკავშირის გაცემასა და გამოყენებაში (მასწავლებელი-მოსწავლე, მოსწავლე-მოსწავლე, მოსწავლე-მასწავლებელი).

9. განმავითარებელი შეფასების მეშვეობით მასწავლებელი ღებულობს ინფორმაციას და გადაწყვეტილებებს სწავლების პროცესში დაუყოვნებლივ ან მოგვიანებით შესატანი შესწორებების შესახებ.

11. განმავითარებელი შეფასება კომფორტს უქმნის და თავდაჯერებას მატებს მოსწავლეს მოსაზრებების საჯაროდ გამოხატვისას.

> გამოცდილება აჩვენებს, რომ სასურველია მასწავლებელმა გაკვეთილის მსვლელობის დროს 15 წუთში ერთხელ მაინც გადაამოწმოს სწავლისა და ათვისების ხარისხი.

კვირის განმავლობაში მრავალფეროვანი განმავითარებელი შეფასების გამოყენებით მასწავლებელი მიიღებს რეალურ სურათს იმის შესახებ, თუ რა აქვთ ათვისებული და კიდევ რის ათვისება სჭირდებათ მოსწავლეებს საბოლოო მიზნის მისაღწევად. ყოველდღიურად, სულ მცირე, თითო ტიპის განმავითარებელი შეფასების გამოყენებით მასწავლებელს ეძლევა საშუალება, შეაფასოს სწავლის პროცესი და მიიღოს პასუხი საკვანძო კითხვებზე: როგორ ვითარდება თითოეული მოსწავლის ცოდნა და უნარები? რით შემიძლია დავეხმარო მოსწავლეებს ამა თუ იმ დავალების შესრულებასა თუ უნარის განაფვაში?

ეფექტურ საკლასო ოთახში განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. კარგი მასწავლებლები:

- მუდმივად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, როგორც ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს;

- შეაქვთ ადეკვატური ცვლილება-დამატებები სწავლების პროცესში მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით;

- სწრაფად რეაგირებენ ცალკეულ მოსწავლეთა შეფერხებებზე და სთავაზობენ მათ ადეკვატურ დახმარებას (სკაფოლდინგი); აძლევენ ამ მოსწავლეებს ხელახლა მოსინჯვისა და წარმატების მიღწევის შანსს;

- ადეკვატურ აქტივობებში ჩართვითა და სათანადო სირთულის დავალებების მიცემით შემდგომი განვითარების შესაძლებლობას აძლევენ წარმატებულ მოსწავლეებს.

მოსწავლეთა მიერ საკითხის/უნარის ათვისების გადამოწმების შემდეგ მასწავლებელი სვამს ისეთ შეკითხვებს, როგორებიცაა:

- ვის სჭირდება ახლა ჩემი ყურადღება?
- რომელი მოსწავლეები საჭიროებენ სწავლების სხვაგვარ მიდგომებს?
- რომელი მოსწავლეები ვერ ახერხებენ ახალი ცოდნის დაუფლებას?
- რა შემიძლია გავაკეთო იმისთვის, რომ თითოეულმა მოსწავლემ გადადგას ნაბიჯი ახალი უნარების გამოყენების მიმართულებით?

განმავითარებელი შეფასება რამდენიმე ძირითად საფეხურს მოიცავს, ესენია:

განმავითარებელი შეფასების კომპონენტი	**მაგალითი**
სანდო ინფორმაციის შეგროვება მოსწავლის მიერ ამა თუ იმ კონკრეტული, სამიზნე უნარის/ცოდნის გამოყენების შესახებ	კვირის განმავლობაში მასწავლებელი ფოკუსირებულად ასწავლის ტექსტში მოცემული ექსპლიციტური ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირებას და სათანადო დასკვნების გამოტანას როგორც მხატვრულ, ისე ინფორმაციულ ტექსტებში. ის აგროვებს ინფორმაციას მოსწავლეთა მიერ ამ უნარის ათვისება-გამოყენების მონიტორინგის მიზნით, კერძოდ: - უსმენს მოსწავლეთა მსჯელობას მცირე ჯგუფებში აქტივობის ბარათზე მოცემული სადისკუსიო შეკითხვის ირგვლივ; - ეცნობა მოსწავლეთა სამწუთიან წერილობით პასუხებს ტექსტის მიხედვით დასმულ შეკითხვაზე; - მიმოიხილავს მოსწავლეების მიერ შევსებულ ვიზუალურ სქემას, რომელიც ტექსტში მოცემული ფაქტების ერთმანეთთან დაკავშირებას და დასკვნების გამოტანას მოითხოვს.
შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი, ძლიერი და გასაძლიერებელი მხარეების იდენტიფიცირება	მონაცემები ცხადყოფს, რომ ხუთ მოსწავლეს უჭირს მხატვრულ და საინფორმაციო ტექსტებში მოცემული ექსპლიციტური ინფორმაციის (ფაქტების, მოვლენების, მოქმედებების) ერთმანეთთან დაკავშირება. ეს მოსწავლეები ვერ ახერხებენ აბზაცებისა და ქვეთავების სათანადოდ შეჯამებას, ტექსტის ინტერპრეტაციას და დასკვნების გამოტანას. მეორე მხრივ, მათ ადვილად გამოსდით ტექსტში ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის მოძიება.

სწავლების პროცესში შესაფერისი ცვლილება-დამატებების შეტანა	მასწავლებელი აკომპლექტებს ხუთი მოსწავლისაგან შემდგარ სპეციალურ დიფერენცირებულ ჯგუფს. ამ ჯგუფს მომდევნო ორ გაკვეთილზე ეძლევა საგანგებოდ შერჩეული დავალება – წაიკითხონ მცირე ზომის (რამდენიმეაბზაციანი) ინფორმაციული ტექსტი, შეავსონ კავშირების დამყარების სქემა და ჩაწერონ მასში ერთი ან ორი მნიშვნელოვანი დასკვნა. ჯგუფში მუშაობის დაწყებამდე მასწავლებელი აკეთებს დავალების შესრულების (სქემის შევსების) მოდელირებას ხმამაღლა ფიქრის გამოყენებით. ამის შემდეგ მოსწავლეები დამოუკიდებლად ასრულებენ დავალებას და ერთმანეთს უზიარებენ ნამუშევრებს (აკეთებენ მინიპრეზენტაციებს).
კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდება მოსწავლისთვის	მასწავლებელი აწვდის ჯგუფის წევრებს უკუკავშირს როგორც დამოუკიდებლად მუშაობის პროცესში (წახალისება, მინიშნების მიცემა, ხელახალი მოდელირება და სხვ.), ისე დავალების შესრულების შემდეგ, ნამუშევრების პრეზენტაციის დროს. თითოეული პრეზენტაციის შემდეგ ის სთხოვს მოსწავლეებს, თითო კომპლიმენტი გამოთქვან კლასელის ნამუშევარზე. შემდეგ თვითონაც ამახვილებს ყურადღებას დაწერილი დასკვნების ძლიერ მხარეებზე. ასევე, აძლევს მოსწავლეებს კონკრეტულ რეკომენდაციებს ხარვეზების აღმოსაფხვრელად.
მოსწავლის მიერ სამიზნე უნარის გამოყენებისათვის დავალების მიცემა	მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს საშინაო დავალებას, რომელიც ჰგავს კლასში შესრულებულ სამუშაოს. ის ეცნობა მოსწავლეების მიერ შინ შევსებულ სქემებს და მიაწერს მოკლე, წამახალისებელ კომენტარებს.

სწავლისა და ათვისების შემოწმება მოითხოვს მასწავლებლის დიდ ძალისხმევასა და ერთგულებას. მასწავლებელმა უნდა გაისიგრძეგანოს, რომ მოსწავლეებს აქვთ განსხვავებული საჭიროებები, რომლებსაც უნდა მოვარგოთ სწავლების მეთოდები და ტემპი. ზოგიერთი მოსწავლე მყისიერად იგებს ახალ საკითხს და ამიტომ შედარებით რთული დავალებები სჭირდება განვითარებისთვის. ზოგიერთი მოსწავლისთვის კი განმეორებითი სწავლება და ნაბიჯ-ნაბიჯ დახმარებაა აუცილებელი.

დაკვირვების გამოყენება სწავლისა და ათვისების შესამოწმებლად

რაც უფრო მეტი ვიცით მოსწავლეების შესახებ, მით უკეთ შეგვიძლია მათი დახმარება. დაკვირვების საშუალებით მასწავლებელს შეუძლია გაარკვიოს, რა იციან მოსწავლეებმა და რა უნდა შეძლონ უკეთ. მასწავლებელს შეუძლია მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოიპოვოს, თუკი მოსწავლეების გვერდით დაჯდება, დააკვირდება მათ თამაშებში და აქტივობებში მონაწილეობის დროს, გულისყურით მოუსმენს მათ საუბარს და ა. შ.

ახალი მასალის/უნარის სწავლებისას მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა მოსწავლე თანაბარი წარმატებით ვერ აითვისებს იმას, რასაც ვასწავლით. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ გაკვეთილებზე ათვისებისა და პროგრესის შემოწმების სხვადასხვა ინსტრუმენტი გამოვიყენოთ. ეს შეიძლება იყოს როგორც არაფორმალური, სწრაფი გადამოწმება, ისე შედარებით ფორმალური აქტივობა და სიღრმისეული დაკვირვებაც. მოსწავლის შეფასების დროს მხედველობაში იქონიეთ შემდეგი საკითხები:

- უწყვეტად დააკვირდით მოსწავლეების მიერ ცოდნის დაუფლებისა და უნარების გაწაფვის პროცესს;
- ყოველდღიურად შეაგროვეთ ინფორმაცია მოსწავლეების სწავლისა და პროგრესის შესახებ;

- გამოიყენეთ ტესტირებებიდან მიღებული ინფორმაცია დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციის შესავსებად და დასაზუსტებლად;
- პერიოდულად სთხოვეთ მოსწავლეებს, გამოიყენონ „ხმამაღლა ფიქრი“. ამ გზით თქვენ შეძლებთ ზუსტად გაიგოთ, რამდენად სიღრმისეულია მათი ცოდნა;
- შექმენით და აწარმოეთ მოსწავლეთა პორტფოლიოები სწავლის პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპების ამსახველი ნამუშევრებით;
- გამოიყენეთ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რათა შეძლოთ მოსწავლის ზუსტი შეფასება და სწავლების სათანადო სტრატეგიებისა და მიდგომების განსაზღვრა თითოეული მათგანისთვის.

დაკვირვების პროცესში მიღებული ინფორმაციის ჩასანიშნად მასწავლებლებს შეუძლიათ სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენება. მთავარია არა ის, თუ რომელი მეთოდის გამოყენებით შეაგროვებს მასწავლებელი ინფორმაციას, არამედ ის, თუ როგორ გამოიყენებს შეგროვებულ ინფორმაციას მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად.

დაკვირვების აღნუსხვის ინსტრუმენტი	**ინსტრუმენტის აღწერა**
მოკლე ჩანაწერები	გაკვეთილის მსვლელობისას მასწავლებელს შეუძლია მოკლედ ჩაინიშნოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია სწავლის ამა თუ იმ ასპექტის შესახებ (მაგალითად: ტექსტში ფაქტების მოძიება ან სასვენი ნიშნების გამოყენება). მოკლე ჩანაწერები მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის აღნუსხვისა და გაანალიზების კარგი საშუალებაა. ჩანაწერების გამოყენება სასარგებლოა გაკვეთილების დასაგეგმად, დიფერენცირებული ჯგუფების დასაკომპლექტებლად, მშობლებისათვის შვილის მოსწრებაზე ინფორმაციის გასაცნობად და სხვ.
მონიტორინგის რვეული	ცალკეული ჩანაწერების კეთების ნაცვლად მასწავლებელს შეუძლია იქონიოს სპეციალური რვეული, რომელშიც თითოეული მოსწავლის სწავლის შესახებ ინფორმაციას ჩაინიშნავს. ამ შემთხვევაში ცალკეული მოსწავლის შესახებ წლის განმავლობაში გაკეთებული ჩანაწერები ერთ ბლოკში იქნება თავმოყრილი და მასწავლებელი შეძლებს თვალი მიადევნოს მოსწავლის პროგრესს.
წებოვანი ქაღალდები	მასწავლებელს შეუძლია თან იქონიოს ფერადი წებოვანი ქაღალდები და გაკვეთილის მსვლელობის დროს მათზე გააკეთოს ჩანაწერები. გაკვეთილის დასრულების შემდეგ მას შეუძლია ფერადი ქაღალდები მოათავსოს მონიტორინგის რვეულის შესაბამის სექციაში, მოსწავლის მონაცემების გასწვრივ.
მოსწავლის პორტფოლიო	სასურველია თითოეული მოსწავლისთვის შეიქმნას პორტფოლიო. მასში მოთავსდება სტანდარტების მიღწევის ამსახველი მნიშვნელოვანი ნამუშევრები. საბოლოოდ აიკინძება აკადემიური წლის განმავლობაში მოსწავლის პროგრესის ამსახველი კრებული. პორტფოლიოს გამოყენება შესაძლებელია მშობლებთან შეხვედრის დროს. ასევე, საჭიროებისამებრ, სკოლის ადმინისტრაციის წევრებსა და თანამშრომლებთან გასაზიარებლად.

პრაქტიკული აქტივობები განმავითარებელი შეფასებისათვის

ვარსკვლავები და საფეხურები (აღწერითი უკუკავშირი)

მასწავლებლის მიერ შესავსები ფორმა „ვარსკვლავები და საფეხურები“ არის წერილობითი სახის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი. მისი გამოყენება სასარგებლოა ნებისმიერ კლასსა და საგანში.

1. მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს სასწავლო მიზნებს და წარმართავს აქტივობას (მაგ., მოსწავლეები წაიკითხავენ მოთხრობას და შექმნიან პერსონაჟის რუკას);
2. აქტივობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი გაეცნობა მოსწავლეთა ნამუშევრებს და შეავსებს ფორმას „ვარსკვლავები და საფეხურები“;
3. მასწავლებელი ჩაუწერს მოსწავლეს კომენტარს „ვარსკვლავების“ გრაფაში, თუკი მან ხარისხიანად შეასრულა დავალება და მიაღწია სასწავლო მიზანს. მნიშვნელოვანია, რომ კომენტარის ტექსტი აღწერითი ხასიათის იყოს (მაგ., „შენ კარგად გამოკვეთე პერსონაჟის ორი მთავარი თვისება. გეთანხმები, რომ ის არის გულადი და საზრიანი.“);
4. მასწავლებელი გამოკვეთს იმ სასწავლო მიზანს, რომელსაც მოსწავლემ სათანადოდ ვერ მიაღწია. ის ჩაწერს კომენტარს გასაუმჯობესებელი ასპექტის შესახებ „საფეხურების“ გრაფაში. მნიშვნელოვანია, რომ კომენტარი შეიცავდეს კონკრეტული გასაუმჯობესებელი ასპექტის აღწერასაც და გადასადგმელ ნაბიჯებსაც (მაგ., „პერსონაჟის საზრიანობაზე ავტორი კიდევ გვეუბნება რაღაც მნიშვნელოვანს. სასურველია კიდევ ერთი დასაბუთება ამოიწერო ტექსტიდან.“)
5. მასწავლებელი გადასცემს შევსებულ ფორმებს მოსწავლეებს. ამით მათ მიეცემათ საშუალება, გააცნობიერონ თავიანთი მიღწევები და გამოიყენონ კომენტარები შედეგების გასაუმჯობესებლად.

ფორმა „ვარსკვლავები და საფეხურები“



შუქნიშნის ფერები

მასწავლებელი დაურიგებს თითოეულ მოსწავლეს ან მოსწავლეთა ჯგუფს ორ ცალ წრის ფორმის ბარათს (ერთი მწვანეა, მეორე – წითელი).

იმის მიხედვით, თუ როგორ მიმდინარეობს აქტივობა და როგორ ართმევენ თავს დავალებას, მოსწავლეები ასწევენ ერთ-ერთ ბარათს და ამით მიანიშნებენ, თუ რა სახის რეაგირებაა საჭირო მასწავლებლის მხრიდან.

ავტოსადგომი

- მასწავლებელი დაამზადებს „ავტოსადგომის“ სქემას დიდფორმატიან ქაღალდზე და გააკრავს კლასში თვალსაჩინო ადგილას. ავტოსადგომისთვის დაფის ერთი ნაწილის გამოყენებაც შეიძლება;
- მასწავლებელი აუხსნის მოსწავლეებს, თუ როგორ გამოიყენებენ ამ სქემას გაკვეთილის მსვლელობისას. კერძოდ, ნებისმიერ მომენტში მოსწავლეს შეუძლია, ნებართვის გარეშე მივიდეს ავტოსადგომთან და გააკეთოს მასზე მინაწერი;
- გაკვეთილის მსვლელობის პროცესში, შესაძლებლობის მიხედვით, მასწავლებელი პერიოდულად გადახედავს „ავტოსადგომის“ მინაწერებს და გააკეთებს მათზე შესაბამის რეაგირებას – მადლობას იხდის კომენტარებისთვის და პასუხობს დასმულ შეკითხვებს.

სასურველია მასწავლებელმა „ავტოსადგომს“ გაკვეთილის შემდეგაც გადახედოს და გაითვალისწინოს მოსწავლეთა კომენტარები მომდევნო გაკვეთილების დაგეგმვისა და წარმართვის დროს. ამგვარად, მასწავლებელი ზედმეტი დროის დახარჯვის გარეშე გაიგებს, რამდენად ეფექტურია ჩატარებული გაკვეთილები და სად აწყდებიან მოსწავლეები პრობლემებს. მასწავლებელს შეუძლია საჭიროებისამებრ შეცვალოს სიმბოლოები და მითითებები, შეამციროს ან გაზარდოს „ავტოსადგომის“ გრაფების რაოდენობა.

სქემა „ავტოსადგომი“

+ ამ გაკვეთილზე მომწონს	? კარგად ვერ გავიგე. / მაქვს შეკითხვა.

შეკითხვების გამოყენება განმავითარებელი შეფასებისთვის

შეკითხვების დასმა და მათზე პასუხების ძიება სწავლების ერთ-ერთი საკვანძო ელემენტია. კარგად ჩამოყალიბებული შეკითხვები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რა აითვისეს მოსწავლეებმა, რას აკეთებენ არასწორად, რა უნდა ისწავლონ ხელახლა ან დამატებით. შეკითხვებს, ძირითადად, მასწავლებლები სვამენ, თუმცა, ეფექტურ სასწავლო პროცესში მოსწავლეებს ხშირად ეძლევათ შეკითხვების მოფიქრებისა და დასმის საშუალება. შეკითხვების დასმა კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროს და წაკითხვის შემდეგ კარგი მკითხველის აღზრდის ყველაზე ძლიერი სტრატეგიაა.

ამიტომ მოსწავლის შეკითხვამ, როგორიც უნდა იყოს იგი, კი არ უნდა დაგვაფრთხოს, არამედ გაგვამხნევოს და წაგვახალისოს. კარგი შეკითხვების დასმით მოსწავლეები უფრო ღრმად შეიმეცნებენ საკითხს. ასეთ დროს მასწავლებლებსაც ეძლევათ საშუალება თვალსაჩინოდ დაინახონ, თუ რამდენად ღრმად გაიაზრეს მოსწავლეებმა ესა თუ ის ტექსტი. ეფექტური შეკითხვებით მოსწავლეები ერთვებიან ნაყოფიერ საკლასო დისკუსიებში. სასურველია შეკითხვები გასცდეს ტექსტის ზედაპირს, რაც მოსწავლისგან მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებისა და მოვლენების გახსენებას მოითხოვს.

არასაკმარისად დახელოვნებული მასწავლებლის მიერ შეკითხვის დასმა გამოკითხვას უფრო ემსგავსება, რომლის დროსაც მოსწავლეები ერთადერთი სწორი პასუხის მოძებნაზე წვალობენ. შეკითხვებზე პასუხის გაცემისა და დისკუსიაში მონაწილეობის დროს, როგორც წესი, მოსწავლეთა მცირე, აქტიური ნაწილი დომინირებს, მაშინ როცა ნაკლებად თავდაჯერებულები იშვიათად ერთვებიან პროცესში. ის, რომ 32-ბავშვიან კლასში შვიდმა ბავშვმა გაიგო საკითხი (აითვისა უნარი), რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ 32-ივემ გაიგო.

რაც შეეხება მოსწავლეთა მიერ დასმულ შეკითხვებს, მათზე პასუხის გაცემის დროს, ყოველთვის მოერიდეთ მოსწავლის გაკრიტიკებას („როგორ სვამ ასეთ შეკითხვას?“) ან დამცირებას („ეს უაზრო შეკითხვაა“). გახსოვდეთ, რომ კლასში ტონსა და ატმოსფეროს თქვენ ამკვიდრებთ. თუ მოსწავლეებს დამამცირებლად ელაპარაკებით, ისინიც მოგბაძავენ და ასევე ისაუბრებენ.

სასურველია, რომ მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები მოითხოვდეს არა მხოლოდ ფაქტობრივი ინფორმაციის გახსენებას, არამედ წაკითხულის ანალიზს, შეფასებას, კრიტიკულად გააზრებას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთი შეკითხვა კითხვისა და წერის სტრატეგიების გამოყენების ეფეტურობას შეეხებოდეს. ქვემოთ მოცემულია სხვადასხვა სააზროვნო დონის შესაბამისი შეკითხვების ნიმუშები:

- რით ჰგვანან ერთმანეთს და რით განსხვავდებიან _____ და _____?
- რა თვისებები ახასიათებს / რა ნაწილებისგან შედგება _____?
- კიდევ როგორ შეგიძლიათ გამოხატოთ _____?

- რა მთავარი აზრი უდევს საფუძვლად _____ს?
- როგორ უკავშირდება ერთმანეთს _____ და _____?
- რა იდეებს/დეტალებს დაამატებდით?
- დაასახლეთ _____ის მაგალითი.
- რა დასკვნებს გამოიტანდით _____დან?
- რას ვარაუდობთ _____ის შესახებ?
- რა მოხდებოდა, თუკი _____?
- რის მიხედვით შეაფასებდით _____ს?
- რა ფაქტები ადასტურებს იმას, რომ _____?
- როგორ დაამტკიცებდით/დაადასტურებდით იმას, რომ _____?
- კიდევ როგორ შეიძლება _____ს დანახვა? სხვაგვარად როგორ შეხედავდით _____ს?
- რა მიდგომას ან სტრატეგიას აირჩევდით იმისთვის, რომ _____?
- რომელი უნარები/სტრატეგიები გამოიყენეთ _____თვის?
- კიდევ როგორ არის შესაძლებელი _____ის გაკეთება?

პასუხის ფურცლები

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ მოზრდილი ასოებით დაწერონ მოკლე პასუხი დასმულ შეკითხვაზე ცალკე ფურცელზე და დაელოდონ სიგნალს. მასწავლებლის ნიშანზე ყველა მოსწავლე ერთდროულად ასწევს მაღლა საკუთარ ფურცელს ისე, რომ მასწავლებელმა დაინახოს ნაწერები. აქტივობის მთელ კლასთან გამოყენებით იგი ადვილად შეამჩნევს, ვინ როგორი პასუხი დაწერა. მნიშვნელოვანია, რომ აქტივობაში ყველა ბავშვმა მიიღოს მონაწილეობა და ფურცლებიც ერთდროულად ასწიონ.

დიახ/არა ბარათები

ესაა პასუხის ფურცლების ერთ-ერთი ვარიაცია. მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს აძლევს წინასწარ დამზადებულ ორ-ორ ბარათს. ერთ ბარათზე დიდი ასოებით წერია „დიახ“ („კი“), ხოლო მეორეზე – „არა“. შეიძლება ორმხრივი ბარათის დამზადებაც. ასეთ ბარათს ერთ მხარეს „დიახ“ აწერია, მეორე მხარეს კი – „არა“. მასწავლებელი სვამს დახურული ტიპის (დიახ/არა) შეკითხვას და მცირე დროს აძლევს მოსწავლეებს პასუხის მოსაფიქრებლად. მასწავლებლის სიგნალზე მოსწავლეები ასწევენ შესაბამის ბარათს. მასწავლებელი ადვილად შეამჩნევს, ვინ რა პასუხი გასცა შეკითხვას.

მინიშნება ცერა თითით

მოსწავლეებს შეუძლიათ, ხელის ნიშნები გამოიყენონ იმის საჩვენებლად, თუ როგორ გაიგეს საკითხი. პასუხის ბარათების მსგავსად, ხელის ნიშნების აქტივობა მთელი კლასის მონაწილეობას მოითხოვს. ამ აქტივობით მასწავლებელს საშუალება ეძლევა გადაამოწმოს გაგება-გააზრების დონე მოსწავლეთა როგორც მცირე, ისე მოზრდილ ჯგუფებში.

ცერი მაღლა	*ცერი გვერდზე*	*ცერი დაბლა*
გავიგე და შემიძლია ავხსნა.	კარგად ვერ გავიგე საკითხი. დახმარება მჭირდება უკეთ გასააზრებლად.	ჯერ არ მესმის. / ვერ გავიგე.

პოსტერები

მცირე ჯგუფებში მოსწავლეებს შეუძლიათ პოსტერების შექმნა საკუთარი ნახატებით ან ჟურნალებიდან ამოჭრილი სურათებით. პოსტერებზე მოსწავლეები შეაჯამებენ იმას, რაც კონკრეტული თემის/საკითხის გარშემო შეისწავლეს; წარმოადგენენ წაკითხული წიგნის მნიშვნელოვან ელემენტებს, ძირითადი აზრებისა და ცნებების კავშირს სხვა იდეებთან. პოსტერების კლასში გამოკვრა სიამაყის გრძნობას გაუღვივებს მოსწავლეებს. მასწავლებელი გააანალიზებს, როგორ გაიაზრეს მოსწავლეებმა ტექსტი, რა დარჩა მათი ყურადღების მიღმა და რაზე გაამახვილოს ყურადღება მომდევნო გაკვეთილებზე.

ქვიზები

ქვიზი არის სახალისო, სწრაფი ტესტი, რომელსაც სასწავლო პროცესში ხშირად იყენებენ მოსწავლეთა ცოდნის გადასამოწმებლად. სასკოლო ქვიზები, ძირითადად, ორი სახისაა: 1. შეიცავს სწორ ან არასწორ თეზისებს (მაგ., „ყველაზე ბეჯითი და ჭკვიანი გოჭი იყო ნაფ-ნაფი.“ „ალექსანდრე მაკედონელის ჯარმა იაპონიამდე მიაღწია.“), 2. შეიცავს რამდენიმე შეკითხვას, რომელთაგან თითოეულს სამი ან ოთხი სავარაუდო პასუხი ახლავს. ქვიზები იმითაა კარგი, რომ შევსების შემდეგ მოსწავლეებს არ უწევთ უკუკავშირის დიდხანს ლოდინი. სწრაფი უკუკავშირისთვის მასწავლებლებს შეუძლიათ ქვემოთ აღწერილი პროცედურის გამოყენება.

- მოსწავლეები ვერტიკალური ხაზის გასწვრივ შუაზე გაკეცავენ რვეულის ფურცელს და ჩამოწერენ ტესტური დავალების ნომრებს როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა სვეტში;
- მოსწავლეები დაიწყებენ ქვიზის ფურცლის შევსებას – მარცხენა სვეტში ნომრებს მიაწერენ შერჩეულ პასუხებს. შემდეგ ზუსტად იმავე პასუხებს გადაიტანენ მარჯვენა სვეტშიც (საბოლოოდ, მარჯვენა სვეტი მარცხენას ასლი უნდა იყოს);
- ქვიზის ფურცლის შევსების შემდეგ ფურცელს შუაზე გახევენ (გადაკეცილ ხაზზე) და მარჯვენა სვეტს ქულების დასათვლელად ჩააბარებენ მასწავლებელს.

სახელი და გვარი:	
1. ა	1. დ
2. ა	2. ა
3. გ	3. გ
4. ა	4. ა
5. დ	5. დ
6. ბ	6. ბ
7. ბ	7. ბ
8. გ	8. გ
9. დ	9. დ
10. ა	10. ა

ყველა ფურცლის შეგროვების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია სწორი პასუხები უკარნახოს მოსწავლეებს და მათ თავადვე დააჯამებინოს საკუთარი ქულები. ამ გზით მოსწავლეები გაიგებენ, რა შედეგი მიიღეს ქვიზში. სასურველია მასწავლებელი წარუძღვეს მსჯელობას იმის შესახებ, თუ რა გამოუვიდათ კარგად მოსწავლეებს და რატომ დაუშვეს შეცდომები.

გამოსაძახებელი ჩხირები

მასწავლებლებს სჩვევიათ ერთი და იმავე მოსწავლეებისათვის კითხვების დასმა და სხვადასხვა დავალების მიცემა. ხშირად ეს სრულიად გაუცნობიერებლად ხდება, თუმცა მოსწავლეები ამას კარგად ხედავენ. ზოგიერთი მოსწავლე, იცის რა, რომ მასწავლებელი მაინც არ გამოიძახებს, უბრალოდ აღარც კი უსმენს მას. გამოსაძახებელი ჩხირები მასწავლებელს ეხმარება ყველასთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემაში. ეს არის მარტივი და ძალზე ეფექტური სტრატეგია.

მასწავლებელი თითო ჩხირზე დაწერს თითო მოსწავლის სახელს და მოათავსებენ ჩხირებს ჭიქაში. გაკვეთილის მსვლელობისას ის დასვამს შეკითხვას ან ჩამოაყალიბებს მითითებას. შემდეგ ჭიქაში ჩაუხედავად ამოიღებს ჩხირს, რომელზეც ერთ-ერთი ბავშვის სახელი წერია. კითხვის დასმამდე ჩხირის ამოღება არ არის მიზანშეწონილი. წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა მოსწავლეები შეკითხვას/მითითებას აღარ მოისმენენ. მას შემდეგ, რაც გამოძახებული მოსწავლე კითხვას უპასუხებს, მასწავლებელი ჩააბრუნებს ჩხირს ჭიქაში. ამით მოსწავლეებს უჩვენებს, რომ შეიძლება კვლავ მოუწიოთ პასუხის გაცემა და ყურადღებით უნდა იყვნენ.

გამოძახების ჩხირები მოსწავლეთა შორის კლასში დავალებების განაწილების კარგი საშუალებაა. მასწავლებელს შეუძლია ალალბედზე ამოიღოს ჩხირი და ასე განსაზღვროს, ვინ წაიკითხავს ამონარიდს სახელმძღვანელოდან, ვინ გაუზიარებს სხვებს დაწერილ წინადადებას, ვინ იქნება

პირველი, მეორე, მესამე... ან ვინ ვისი მეწყვილე იქნება. მასწავლებლებს შეუძლიათ ჩხირები სხვადასხვა მიზნით გამოიყენონ.

ფაქტობრივი იერიში

ფაქტობრივი იერიში არის შემაჯამებელი აქტივობა, რომელიც მთელი კლასის მიერ გავლილი მასალის გამეორებით იწყება და მოსწავლეთა წყვილებსა და მცირე ჯგუფებში ინფორმაციის ხელმეორე გადამუშავებით გრძელდება. საკლასო გონებრივი იერიში ამ შეფასებითი აქტივობის პირველი საფეხურია. მას შემდეგ, რაც თავის შესწავლა-დამუშავებას დაასრულებთ, ჩამოწერეთ შინაარსთან დაკავშირებული ფაქტების, მოვლენების, იდეების, პრინციპების, ცნებების, ფაქტორების, მახასიათებლების, წყაროების, ქვეთემების, პერსონაჟების, ჯგუფების, მთავარი გმირების და ა. შ. ჩამონათვალი. შემდეგ შესთავაზეთ, აირჩიონ რამდენიმე წერითი აქტივობა, რაც მოსწავლეებს ინფორმაციის სხვადასხვა ხერხით ორგანიზებისა და კრიტიკულად გააზრების საშუალებას მისცემს. ეს აქტივობა გააღრმავებს მოსწავლეთა მიერ გავლილ თავში ასახული ცნებებისა და მიმართებების გააზრებას. ბავშვები ენთუზიაზმით ასრულებენ დავალებას, ვინაიდან არჩევანის ელემენტი (რაც დიფერენცირებული გაკვეთილის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია) მათ საკუთარი ცოდნის გამოხატვის ფორმების არჩევის საშუალებას ანიჭებს.

მსვლელობა

1. მასწავლებელი დაფის ერთ მხარეს ჩამოწერს აქტივობების სიას მოსწავლეებისთვის ამოსარჩევად (ქვემოთ იხილეთ რამდენიმე მაგალითი);
2. დაფის მეორე მხარეს ჩამოწერს გავლილ ტექსტებს, მაგალითად, „თოვლი მოვიდა!“, „გულით სატარებელი საჩუქარი“, „სახლი“. მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები გაიხსენებენ და დაასახელებენ ამ ტექსტების შინაარსთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან, საკვანძო სიტყვებს, რომლებიც ასევე ჩამოიწერება დაფაზე;
3. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, შესასრულებლად აირჩიონ რომელიმე აქტივობა. მოსწავლეებს ეძლევათ დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ან მცირე ჯგუფში მუშაობის საშუალება. ამასთანავე, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ გამოიყენონ რაც შეიძლება მეტი ტერმინი დაფაზე დაწერილი მნიშვნელოვანი სიტყვების ჩამონათვალიდან;
4. მოსწავლეები 10-15 წუთის განმავლობაში მუშაობენ ფურცლებზე. შემდეგ ჯგუფებში ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ ნამუშევრებს. ამგვარად, ისინი სხვადასხვა პერსპექტივიდან მიმოიხილავენ გავლილ მასალას;
5. გაკვეთილის ბოლოს შესაძლებელია, რომ მოსწავლეებმა ჩამონათვალიდან კიდევ ერთი აქტივობა შეარჩიონ საშინაო დავალების სახით.

შეთავაზებული აქტივობების ნიმუში

მასწავლებლის ინსტრუქცია: „თქვენ მიერ შექმნილი ჩამონათვალიდან შეარჩიეთ ერთ-ერთი აქტივობა და შეასრულეთ. სცადეთ გამოიყენოთ რაც შეიძლება ბევრი მნიშვნელოვანი სიტყვა დაფაზე მოცემული სიიდან.

- აირჩიეთ ერთი პერსონაჟი. შეადარეთ იგი სხვა მოთხრობის რომელიმე პერსონაჟს ან თქვენი ჯგუფის რომელიმე წევრს. აღწერეთ და დაასაბუთეთ კონკრეტული მსგავსებები და განსხვავებები;
- აირჩიეთ რომელიმე პერსონაჟი და აღწერეთ, თუ როგორ იცვლება იგი მოთხრობაში. ახსენით ამ ცვლილების მიზეზი და შედეგი;
- აირჩიეთ პერსონაჟის, სულ მცირე, ორი თვისება და მოიტანეთ შესაბამისი მაგალითები მოთხრობიდან;

- აირჩიეთ, სულ მცირე, სამი მოვლენა წაკითხული ტექსტებიდან და განიხილეთ, რომელი მათგანი ახდენს მნიშვნელოვან გავლენას მთავარ პერსონაჟზე;
- დაასურათეთ, სულ მცირე, ორი საკვანძო მოვლენა მოთხრობიდან და წერილობით აღწერეთ თითოეული მათგანის მნიშვნელობა;
- აირჩიეთ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, სულ მცირე, ორი მოქმედება და იმსჯელეთ იმის შესახებ, თუ რატომ იქცევა იგი ასე.

ეფექტური აქტივობები და ინსტრუმენტები განმავითარებელი შეფასებისთვის

არსებობს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტთა ვრცელი ნაირსახეობა. ქვემოთ გთავაზობთ ისეთი ინსტრუმენტების ნაკრებს, რომლებიც ადვილად გამოიყენება სასწავლო პროცესის მსვლელობისას, უშუალოდ გაკვეთილებზე. ეს ინსტრუმენტები გვეხმარება, სწრაფად გადავამოწმოთ მიმდინარე სასწავლო სიტუაციის ეფექტურობა. მათი გამოყენებით შეგვიძლია სწრაფად გავიგოთ, თუ როგორ მოგვყვებიან მოსწავლეები, რას ითვისებენ და რაში სჭირდებათ დამატებითი დახმარება.

შემაჯამებელი შეკითხვები	დროგამოშვებით მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს წერილობით დავალებას და სთხოვს, ფურცლის/ბარათის ერთ მხარეს დაწერონ დამუშავებული ტექსტის მთავარი აზრი მაქსიმუმ სამი წინადადებით; ფურცლის მეორე მხარეს კი დასვან შეკითხვა ტექსტის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც კარგად ვერ გაიგეს.
12-სიტყვიანი რეზიუმე (შეჯამება)	გაკვეთილის დასრულებისას მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ რეზიუმე (შეჯამება), რომლისთვისაც მხოლოდ 12 სიტყვას გამოიყენებენ. ეს ეხმარება მასწავლებელს იმის დადგენაში, თუ რამდენად აითვისეს მოსწავლეებმა გაკვეთილის მასალა და მისი ძირითადი კომპონენტები. სიტყვების რაოდენობის შეზღუდვა „აიძულებს“ მოსწავლეებს, ყველაზე მნიშვნელოვან აზრებს მოუყარონ თავი. შესაძლებელია სიტყვების ნაცვლად წინადადებების რაოდენობის შეზღუდვაც (მაგალითად, დაწერონ რეზიუმე ორი ან სამი წინადადებით).
ერთწუთიანი ესეი	ერთწუთიანი ესეი არის სწრაფი წერილობითი რეაგირება კონკრეტულ შეკითხვაზე.
ანალოგიები	ანალოგიების მოტანა განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო სტრატეგიაა. ანალოგიების გაკეთებით მოსწავლეები გამოავლენენ იმას, თუ რამდენად სიღრმისეულად გაიაზრეს მოცემული ტექსტი. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ ანალოგია მათთვის უკვე ნაცნობ საკითხსა და ახალ ინფორმაციას შორის. ამისათვის შესაძლებელია ანალოგიის ქარგის გამოყენებაც: _____ (ცნება, პროცესი, პერსონაჟი) ჰგავს _____ -ს, ვინაიდან _____ .
ცნების/გონებრივი რუკა	მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, შეავსონ სხვადასხვა ვიზუალური სქემა/გრაფიკული ორგანიზატორი. შევსებული სქემების/ფორმების გადამოწმებით მასწავლებელი დაადგენს, თუ როგორ გაიაზრეს მოსწავლეებმა კავშირები და მიმართებები ცნებებს, მოვლენებს, იდეებს შორის.
მოსწავლესთან გასაუბრება	მასწავლებელი ატარებს ერთი-ერთზე გასაუბრებას მოსწავლესთან, რათა გაარკვიოს, თუ რამდენად გაიაზრა მოსწავლემ საკითხი/ტექსტი და რამდენად კარგად დაეუფლა ამა თუ იმ უნარს.

სამწუთიანი პაუზა	მასწავლებელი გამოყოფს დროს ახალი მასალის გასააზრებლად. ის შეჩერდება და სთხოვს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ კლასში წარმოდგენილ ახალ ცნებებსა და იდეებზე, დაუკავშირონ ისინი საკუთარ ცოდნა-გამოცდილებას, ახსნან და განმარტონ ისინი. შესაძლებელია წინადადებების ქარგის გამოყენებაც: • მე შემეცვალა წარმოდგენა _____-ის შესახებ. • მე უკეთ გავიგე _____. • მე გამიკვირდა, რომ _____. • მე _____ დავუკავშირე _____-ს. • მე თანაგრძნობა გამიჩნდა _____-ის მიმართ.
გასასვლელი ბილეთები	გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი დაფაზე დაწერს შეკითხვას წინა გაკვეთილზე გავლილი საკითხის შესახებ და სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ პასუხი მცირე ზომის ბარათებზე. შემდეგ შეაგროვებს ბარათებს, სწრაფად გადაავლებს თვალს და დაფიქრდება, რა არის საჭირო გავლილი მასალის მიმოხილვისა და განმტკიცებისთვის. სასურველია ამ პროცედურის გამოყენება გაკვეთილის ბოლოსაც, რათა გაირკვეს, თუ როგორ გაიგეს და აითვისეს მოსწავლეებმა ამ გაკვეთილზე მიღებული ახალი ინფორმაცია.
ჩემი რჩეული „მ“	ეს წინა აქტივობის ერთ-ერთი ვარიაციაა. როცა მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეთა ბარათებს შეაგროვებს, გადახედვის პროცესში დაახარისხებს მათ ორ ჯგუფად. ერთ მხარეს გადადებს სწორ პასუხებს, ხოლო მეორე მხარეს – არასწორი (მცდარ) პასუხებს, შემდეგ სწრაფად გადაავლებს თვალი „არასწორ“ ბარათებს, შეარჩევს ერთ-ერთ ბარათს და განიხილავს მას კლასში. განხილვა იწყება ბარათის შინაარსის პოზიტიური მხარის აღნიშვნით. ამის შემდეგ მასწავლებელი გადადის შეცდომაზე, საუბრობს შეცდომის მიზეზებსა და შესწორების გზებზე. ეს აქტივობა კარგია იმისათვის, რათა: • დაბალი მოსწრების მქონე მოსწავლეებს ხელი შეეწყოთ მცდარი წარმოდგენების შესწორებასა და გააქტიურებაში; • საკითხის სწავლების მიმდინარეობისას ყურადღება გამახვილდეს ისეთ საკვანძო შეცდომებზე, რომლებსაც ხშირად უშვებენ ხოლმე.
მიბრუნდი და ისაუბრე	გაკვეთილის დაწყებიდან 10-15 წუთში მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მიბრუნდნენ პარტნიორისკენ. მნიშვნელოვანია, რომ წყვილებმა განიხილონ, რა არის ახსნილ მასალაში ყველაზე მნიშვნელოვანი, რა ინფორმაცია უნდა დაიმახსოვრონ. სასურველია, ჩამოწერონ ძირითადი ცნებები ან დაწერონ ერთი შემაჯამებელი წინადადება, რომელშიც საკვანძო ცნებებს/სიტყვებს გამოიყენებენ.
ფერადი ბარათები	ყველა მოსწავლეს ურიგდება ორი ფერის (წითელი და მწვანე) მცირე ზომის ბარათები. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში აწიონ შესაბამისი ბარათი იმის მიხედვით, თუ როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი. მწვანე ბარათი ნიშნავს: „მე კარგად ვმუშაობ. პრობლემა არ მაქვს.“ წითელი ბარათი ნიშნავს: „მე დავიბენი და არ ვიცი, როგორ გავაგრძელო.“ მასწავლებელს შეუძლია, მივიდეს და ინდივიდუალურად იმუშაოს იმ ბავშვებთან, რომლებმაც წითელი ბარათი ასწიეს. ასევე შესაძლებელია ამ ბავშვების ცალკე შეკრება კლასში და მათთვის მოკლე ხელშემწყობი ინსტრუქტაჟის ჩატარება. შესაძლებელია მწვანე ბარათების კონსულტანტებად „მიმაგრება“ წითელ ბარათებზე (ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში).
შეჩერდი და ჩაინიშნე	გაკვეთილის მსვლელობისას ერთხელ მაინც მასწავლებელი შეჩერდება და დასვამს მნიშვნელოვან შეკითხვას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზანს. მოსწავლეები ინდივიდუალურად დაწერენ პასუხს, შემდეგ კი განიხილავენ წყვილებში.

რეზიუმე და შეკითხვები ბარათებზე	პერიოდულად მასწავლებელი მოსწავლეებს დაურიგებს ბარათებს და სთხოვს: • ბარათის ერთ მხარეს დაწერონ მნიშვნელოვანი, მთავარი აზრი, რაც გაიგეს მოცემული საკითხის, თემის შესახებ; • ბარათის მეორე მხარეს დაწერონ შეკითხვა ან წინადადება იმის შესახებ, რაც ბოლომდე ნათელი არ არის.
ა-ბ-გ რეზიუმე	კლასის თითოეულ მოსწავლეს ეძლევა ესა თუ ის ასო-ბგერა. მოსწავლეები შეარჩევენ სიტყვებს, რომლებიც შესწავლილ თემასთანაა დაკავშირებული და ამ ასოთი იწყება. შესაძლებელია თითო მნიშვნელოვანი სიტყვის არჩევა და ამ სიტყვაზე ვიზუალური სქემის შევსება.
დებრიფინგი	ეს არის რეფლექსია, რომელიც უშუალოდ მოსდევს აქტივობას. როგორც წესი, დებრიფინგის ფასილიტატორი/წამყვანი სვამს ისეთ შეკითხვებს, როგორებიცაა: რა იგრძენით აქტივობის მსვლელობის დროს? რას გრძნობთ ახლა? როგორ ფიქრობთ, რატომ? რას ფიქრობთ აქტივობის შესახებ? რით იყო ეს აქტივობა სასარგებლო პირადად თქვენთვის? ჯგუფისთვის? სად, როდის და როგორ შეიძლება ამ აქტივობის შედეგების გამოყენება? რა დასკვნებს გამოიტანდით, რა ისწავლეთ?
მოსწავლის პორტფოლიო	მასწავლებელი პერიოდულად გადახედავს მოსწავლის პორტფოლიოს და მასში ასახულ პროგრესს. პორტფოლიო მნიშვნელოვანი ნამუშევრების კრებულია. სასურველია ამ ნამუშევრებს საგანგებოდ შერჩევა, დათარიღება და დახარისხება იმის მიხედვით, თუ რომელი მიმართულებით გვიჩვენებს მოსწავლის მიღწევებს (კითხვა, წერა, ზეპირმეტყველება და ა. შ.); პორტფოლიო ასევე შეიცავს მოსწავლის პიროვნულ რეფლექსიას, რომელშიც ის აღწერს, თუ რატომ შეარჩია ნამუშევარი და რომელი კონკრეტული უნარების ათვისებაში წინსვლას ასახავს იგი.
დღიურის ჩანაწერი	მოსწავლეები საკუთარ რვეულში/წიგნაკში ჩაწერენ იმას, თუ როგორ გაიაზრეს საკითხი, ცნება, ინფორმაცია. მასწავლებელი გადახედავს და გადაამოწმებს, რამდენად კარგად აითვისა მოსწავლემ გაკვეთილის მასალა.
პასუხები ქოროში	მასწავლებლის მინიშნებაზე ყველა მოსწავლე ერთდროულად, ხმამაღლა პასუხობს დასმულ შეკითხვას.
ერთწინადადებიანი შეჯამება	მოსწავლეები წერენ შემაჯამებელ წინადადებას, რომელიც პასუხობს თემასთან დაკავშირებულ შეკითხვებს: ვინ? რა? სად? როდის? რატომ? როგორ?
ერთსიტყვიანი შეჯამება (რეზიუმე)	მოსწავლეები მოიფიქრებენ ერთ სიტყვას, რომელიც ყველაზე უკეთ შეაჯამებს თემას/საკითხს.

ოთხი კუთხე 	მასწავლებელი კლასში წარადგენს კონკრეტულ თეზისს (მოსაზრებას). მოსწავლეები ირჩევენ პოზიციას და დგებიან საკლასო ოთახის ერთ-ერთ კუთხეში. • პირველი კუთხე: სრულიად ვეთანხმები • მეორე კუთხე: უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები • მესამე კუთხე: უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები • მეოთხე კუთხე: კატეგორიულად არ ვეთანხმები მას შემდეგ, რაც მოსწავლეები კუთხეებში გადანაწილდებიან, მათ ეძლევათ საშუალება, შეაჯერონ საკუთარი მოსაზრებები და ამის შემდეგ გაუზიარონ ისინი კლასს.
შავი ლაქა	ეს არის „ერთწუთიანი მოხსენება“ შეკითხვაზე: „რა იყო დღევანდელი გაკვეთილის შავი ლაქა?“ როგორც წესი, აქტივობა ტარდება გაკვეთილის ბოლოს, მასალის ახსნის ან მასწავლებლის მინილექციის დასრულებისას. შესაძლებელია, მასწავლებელმა ასეც დასვას შეკითხვა: „რა დაგვრჩა გაურკვეველი _____ საკითხში?“ შესაძლებელია, რომ საუბარი ერთ წუთზე მეტხანსაც გაგრძელდეს.

სწრაფი წერა	სტრატეგიის მიხედვით მოსწავლეებს ეძლევათ 2-5 წუთი მასწავლებლის მიერ დასმულ ღია შეკითხვაზე ან მინიშნებაზე წერილობითი პასუხის გასაცემად წაკითხვამდე, წაკითხვის დროს და/ან წაკითხვის შემდეგ.
მართული პარაფრაზი	მოსწავლეები საკუთარი სიტყვებით აჯამებენ გასული გაკვეთილის ან ადრე შესწავლილი მასალის მთავარ აზრს.
დებატი	მოსაზრების/თეზისის გაცნობის შემდეგ მოსწავლეები იკავებენ იმ მხარეს, რომელსაც ეთანხმებიან მოცემული თეზისის შესახებ. ორი მხარე ერთმანეთს უზიარებს თავის არგუმენტებს. საუბრის შემდეგ მოსწავლეებს უფლება ეძლევათ, შეიცვალონ მხარე.
სიტყვების დახარისხება	მოსწავლეებს ეძლევათ სიტყვების/ცნებების ნაკრები. მათ უნდა დაახარისხონ/დააჯგუფონ სიტყვები წინასწარ მიცემული ან მათ მიერ მოფიქრებული კატეგორიების მიხედვით.
პასუხები წრეში	მოსწავლეები (მთელი კლასი ან ჯგუფი) სხდებიან წრეზე. მასწავლებელი წარუდგენს მათ კონკრეტულ შეკითხვას ან დასამუშავებელ საკითხს. ყველა მოსწავლე წერს პასუხს ბარათზე/ფურცელზე. მასწავლებლის სიგნალზე ყველა გადააწვდის თავის ბარათს მარჯვნივ მჯდომ მოსწავლეს. ყველა მოსწავლე აგრძელებს წერას მარცხნივ მჯდომი მოსწავლისგან მიღებულ ბარათზე. ასე გრძელდება მანამ, სანამ ყველას თავისი ბარათი არ დაუბრუნდება. მოსწავლეები ეცნობიან ბარათზე დაწერილ ინფორმაციას, რასაც მოსდევს შემაჯამებელი დისკუსია.
სოკრატული სემინარი	მოსწავლეები ერთმანეთს უსვამენ შეკითხვებს მნიშვნელოვანი საკითხის, თემის ან შერჩეული ტექსტის შესახებ. შეკითხვებს მოსდევს დასმულ შეკითხვებზე პასუხი და ახალი შეკითხვები.
გამოძახება ნომრებით	მოსწავლეები იყოფიან ოთხკაციან ჯგუფებად. თითოეულ მათგანს ენიჭება გარკვეული ნომერი (ერთიდან ოთხამდე). მასწავლებელი სვამს შეკითხვას/პრობლემას, რომელზედაც ჯგუფის ოთხივე წევრი ერთობლივად მსჯელობს. გარკვეული დროის შემდეგ მასწავლებელი ასახელებს ნომერს. სწორედ ამ ნომრის მქონე მოსწავლეები იღებენ პასუხისმგებლობას ჯგუფში განხილული ინფორმაციის მთელი კლასისთვის გაზიარებაზე.
გასეირნება გალერეაში	მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დიდფორმატიან ქაღალდზე გადაიტანენ თავიანთ პასუხებს, დასკვნებსა და მოსაზრებებს, ნამუშევრები კლასში გაიკვრება. შესაძლებელია, რომ თითოეულმა ჯგუფმა დანიშნოს „გიდი“, რომელიც ნამუშევართან ახლოს დადგება. მოსწავლეთა ჯგუფები გადაადგილდებიან კლასში, ათვალიერებენ სხვა ჯგუფების ნამუშევრებს და კითხვებს უსვამენ „გიდს“. შემდეგ ბრუნდებიან თავიანთ ჯგუფებში ნამუშევრების განსახილველად და თავიანთ „გიდებსაც“ აცნობენ სხვა ჯგუფებისგან მიღებულ ინფორმაციას.
ერთი შეკითხვა და ერთი კომენტარი	მოსწავლეებს წასაკითხად ეძლევათ ტექსტი (ან ერთი ნაწყვეტი). ტექსტის შინაარსის მიხედვით მათ უნდა მოიფიქრონ ერთი შეკითხვა და ერთი კომენტარი. მოსწავლები მორიგეობით უზიარებენ კლასს (ან ჯგუფს) მოფიქრებულ შეკითხვასა და კომენტარს, რასაც აქტიური დისკუსია მოსდევს. დისკუსიის მსვლელობისას მომდევნო მოსწავლეს შეუძლია ჯერ უპასუხოს წინა მოსწავლის მიერ დასმულ შეკითხვას ან გამოეხმაუროს კომენტარს, შემდეგ კი თავისი შეკითხვა და კომენტარი წარმოთქვას. აქტიურ ფაზაში შესვლისას მოსწავლეებს შორის სიღრმისეული დიალოგი იმართება და ყველა მოსწავლეს ეძლევა საშუალება, წაკითხულ ტექსტს ახლებურად შეხედოს.
რუბრიკა	ეს არის შეფასების სქემა, რომელიც მოიცავს შეფასების კრიტერიუმებსა და შეფასების შკალას. სხვადასხვა უნარის შესაფასებელი რუბრიკების ხილვა შესაძლებელია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე: http://tpdc.ge/essentials/rubrics

კონსტრუქციული უკუკავშირი

უკუკავშირი არის რეაგირება იმაზე, თუ როგორ ასრულებს მოსწავლე ამა თუ იმ დავალებას და როგორ იყენებს ცოდნას/უნარებს მისი შესრულების დროს. როგორც წესი, უკუკავშირს ზეპირი ან წერილობითი კომენტარის სახე აქვს და მოიცავს შეფასებას, წახალისებას და რჩევებს.

უკუკავშირი *სწავლის შეფასების* არსებითი ნაწილია. სწავლის შეფასება განსხვავდება ნასწავლის შეფასებისგან. მისი საშუალებით შეგროვებული ინფორმაცია კონკრეტული მიზნით გამოიყენება – დავეხმაროთ მოსწავლეებს აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში უშუალოდ სწავლის პროცესში, ანუ მანამდე, სანამ შემაჯამებელ შეფასებამდე მივალთ.

როგორ ზემოქმედებს უკუკავშირი მოსწავლეთა სწავლის მოტივაციასა და შედეგებზე? მრავალი კვლევა ადასტურებს უკუკავშირის დიდ გავლენას მოსწრებაზე. აღმოჩნდა, რომ გავლენა შეიძლება იყოს დადებითიც იყოს და უარყოფითიც. ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული: უკუკავშირის ტიპზე, მიწოდების დროსა და ფორმაზე. ამას გარდა, უკუკავშირის სტრუქტურა, ფოკუსი და მოცულობაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მის ეფექტურობას. უკუკავშირის ზოგიერთი ტიპი, მაგალითად, უხეში ნეგატიური შეფასება, სხვა მოსწავლეებთან შედარება, საჯაროდ გაკრიტიკება კლასის წინაშე, გამოკვეთილად უარყოფით ზეგავლენას ახდენს სწავლასა და მოტივაციაზე. ასეთი უკუკავშირი შთააგონებს მოსწავლეებს, რომ ისინი არასაკმარისად უნარიანები არიან, რაც ამცირებს მათ სწრაფვას წარმატებისკენ.

ეფექტური უკუკავშირი აუცილებლად შეიცავს პასუხს სამ შეკითხვაზე:

1. რა გაკეთდა კარგად?	კომპლიმენტი და შექება აუცილებელია იმისათვის, რომ მოსწავლემ: • უმტკივნეულოდ მიიღოს კრიტიკული შენიშვნები და დაიწყოს ფიქრი გასაუმჯობესებელ მხარეებზე; • გააცნობიეროს საკუთარი ძლიერი მხარეები და აქტიურად გამოყენოს ისინი მომავალში; • თავდაჯერებულად და მოტივირებულად გააგრძელოს სწავლა. მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი შეიცავდეს ერთზე მეტ კომპლიმენტს სამუშაოს შესრულების სრულიად კონკრეტული ასპექტების შესახებ. უნდა მოვერიდოთ დაუმსახურებელ ქებას.
2. რა საჭიროებს გაუმჯობესებას?	ზოგჯერ აუცილებელია სამუშაოს შესრულების ნეგატიურ ასპექტებზე კონცენტრირება, რათა მოსწავლემ: • ყურადღება გაამახვილოს გასაუმჯობესებელ მხარეებზე და გააანალიზოს ისინი; • შეგნებულად აარიდოს თავი ხარვეზების გამეორებას მომავალში. მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი კონკრეტულად აღწერდეს იმას, თუ რის გაუმჯობესებას მოელიან მოსწავლისგან. ზოგჯერ მეტად სასარგებლოა რეფლექსიური შეკითხვის დასმა, რათა მოსწავლემ თავად გამოთქვას გასაუმჯობესებელი მხარეები. უნდა მოვერიდოთ პიროვნების გაკრიტიკებას, მკაცრ ტონს და ისეთ ასპექტებზე საუბარს, რომელთა ფაქტობრივი დასაბუთებაც გაგვიძნელდება.
3. როგორ უნდა გაუმჯობესდეს ..... ?	ეფექტური უკუკავშირი მოსწავლეს აწვდის დეტალურ და კონკრეტულ ინფორმაციას სწავლის გაუმჯობესების გზების შესახებ. მოსწავლემ აუცილებლად უნდა მიიღოს მკაფიო მითითებები და რჩევები გაუმჯობესებისთვის საჭირო შემდგომი მოქმედებების შესახებ, რათა მან: • აიღოს პასუხისმგებლობა გაუმჯობესებაზე; • გადადგას პრაქტიკული, თანმიმდევრული ნაბიჯები სამუშაოს უკეთ შესასრულებლად და სასწავლო მიზნის მისაღწევად; • გაუძლიერდეს თვითრწმენა და სამუშაოს უკეთ შესრულების მოლოდინი. მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი კონკრეტულ (არაბუნდოვან და არააბსტრაქტულ) ინფორმაციას იძლეოდეს იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს მოსწავლემ უკუკავშირის მიღების შემდეგ.

> უკუკავშირი, უპირველესად, უნდა შეეხებოდეს მოსწავლის საჭიროებებსა და სასწავლო მიზნებს.
> სასურველია, რეკომენდაციების რაოდენობა ორს არ აღემატებოდეს.

კვლევა და პრაქტიკა გვეუბნება, რომ უკუკავშირს კონსტრუქციული ეფექტი აქვს, როდესაც ის:

- მიბმული და ფოკუსირებულია დასახულ სასწავლო მიზნებზე/ამოცანებზე. მოსწავლისთვის ნათელი უნდა იყოს, თუ რის ცოდნას და რომელ უნარს ეხება უკუკავშირი;
- არის კონკრეტული. არ არის ზოგადი და ფრაგმენტული. ფოკუსირებულია სწავლის ერთ ან ორ პრაქტიკულ ასპექტზე. შეიცავს დეტალებსა და ინფორმაციას კონკრეტული დავალების/აქტივობის შესრულების შესახებ;
- იძლევა სასარგებლო, პრაქტიკულ ინფორმაციას ამა თუ იმ უნარის გაწაფვისათვის ან სტრატეგიის გამოყენებისათვის, ასევე, რჩევებს კონკრეტული ხარვეზის აღმოსაფხვრელად. რეკომენდაციების განხორციელება შესაძლებელია დროის განსაზღვრულ პერიოდში;
- არის ობიექტური, ეყრდნობა ფაქტობრივ ინფორმაციას და გამყარებულია კონკრეტული მაგალითებით. აღწერითი ტიპისაა და არ ეხება მოსწავლის პიროვნულ მახასიათებლებს;
- ფორმულირებულია მკაფიოდ, გასაგებად და მეგობრული ტონით. არ შეიცავს უხეშ კრიტიკას და ბუნდოვან, ზოგად მითითებებს. არ არის ზედმეტად ვრცელი;
- არის დროული. მიეწოდება სამუშაოს/დავალების შესრულების პროცესში, სამუშაოს დასრულებისთანავე ან დასრულებიდან არცთუ დიდი დროის გასვლის შემდეგ. მომდევნო შანსი მოსწავლეს წუთებისა და საათების შემდეგ მიეცემა და არა – კვირებისა და თვეების შემდეგ;
- არის მიმდინარე და უწყვეტი. მიეწოდება ხშირად და რეგულარულად.

მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი კონსტრუქციულად დაიწყოს. ქვემოთ მოყვანილია უკუკავშირის ტექსტის გახსნითი ფრაზები, რომლებიც დაგეხმარებათ მოსწავლის საჭიროებებსა და კონკრეტულ სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული უკუკავშირის ჩამოსაყალიბებლად:

- ეს კარგი ნაშრომია, რადგან .....
- შენი ნააზრევიდან გამოჩნდა, რომ .....
- შენ მართლაც კარგად გააკეთე ორი რამ: ..... და .....
- სასურველია, რომ ამის შემდეგი ნაბიჯი იყოს .....
- იქნებ გეცადა .....
- საკითხის ახსნისას შენ .....
- კიდევ ერთი რამ, რაც უნდა გააუმჯობესო, არის .....
- შენ გჭირდება უფრო მეტი ძალისხმევა, რათა .....
- შენ ნაკლებად გჭირდება .....
- შეეცადე, მეტი ყურადღება დაუთმო .....
- გაიხსენე, როგორ ვაკეთებთ .....
- შემდეგ ჯერზე გამოიყენე .....

სასწავლო მიზნების მისაღწევად მოსწავლეებს სჭირდებათ უწყვეტი უკუკავშირი. უკუკავშირი ეხმარება მოსწავლეებს, რომ მასწავლებლის მიერ მიცემული დავალებები აღიქვან, როგორც სწავლისა და განვითარების შესაძლებლობა და არა მათი გაკრიტიკების საშუალება. ხშირი, ეფექტური უკუკავშირი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა წარმატებას მიაღწიეს და, ამასთანავე, როგორ მიაღწიონ უკეთეს შედეგს მომავალში. მთავარია, რომ უკუკავშირის მიღების შედეგად მოსწავლემ გააცნობიეროს არსებული მდგომარეობა და პრაქტიკული ნაბიჯები გადადგას სასწავლო მიზნის მისაღწევად.

საით მივდივარ?

- ჩამოაყალიბეთ მკაფიო და გასაგები სასწავლო მიზანი;
- გამოიყენეთ შესანიშნავი და არადამაკმაყოფილებელი ნამუშევრების ნიმუშები (წინასწარ იზრუნეთ, რომ ნამუშევრის ავტორი თქვენი მოსწავლეებისთვის უცნობი იყოს).

ახლა სად ვარ?

- შესთავაზეთ რეგულარული აღწერითი უკუკავშირი;
- ასწავლეთ მოსწავლეებს თვითშეფასება და მიზნების დასახვა.

როგორ უნდა მივაღწიო მიზანს?

- ყოველ ჯერზე ყურადღება გაამახვილეთ ნამუშევრის ხარისხის მხოლოდ ერთ ასპექტზე;
- ასწავლეთ მოსწავლეებს საკუთარი ნაშრომის შემოწმება;
- მიაჩვიეთ მოსწავლეები თვითდაკვირვებას;
- მიეცით მოსწავლეებს კონკრეტული რეკომენდაციები.

პედაგოგიური რეფლექსიისათვის

შეადარეთ ერთმანეთს ქვემოთ მოცემული ორი კომენტარი მოსწავლის მიერ დაწერილ შეჯამებაზე. რომელი კომენტარია უფრო ეფექტური ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლების მიხედვით? რა ცვლილება-დამატებებს შეიტანდით თითოეულ კომენტარში?

1. „შენი შეჯამება არ მომეწონა. ტექსტის მთავარი აზრი გამოტოვებულია. შეეცადე, უკეთ დაწერო.“
2. „შენი შეჯამება შეიცავს ტექსტში გადმოცემულ რამდენიმე ძირითად იდეას. კარგია, რომ მოკლე და გასაგები წინადადებებით გადმოეცი. აქვე მინდა გითხრა, რომ ტექსტის მესამე აბზაცში არის ერთი მნიშვნელოვანი აზრი. გთხოვ მიუბრუნდე ამ აბზაცს და ერთი წინადადება დაამატო შეჯამებას. შემდგომშიც გაითვალისწინე და ყველა აბზაცის შინაარსს მიაქციე ყურადღება.“

გამოყენებული ლიტერატურა

კითხვის ეფექტური მეთოდები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2013

გზამკვლევი მასწავლებლებისათვის. ქართული ენა და ლიტერატურა, I-VI კლასები. ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი. 2011

ბესელია ნ., პაპავა პ. წიგნიერება დაწყებით კლასებში, მეთოდური სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის. ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო. 2011

ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2016 წლები (კოდიფიცირებული რედაქცია, 25.09.2015 წლის მდგომარეობით). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

PIRLS 2011. წიგნიერება. კითხვაში მოსწავლეთა მიღწევა და მასთან დაკავშირებული ფაქტორები. გამოცდების ეროვნული ცენტრი. 2013

Allington, L.R., McCuiston, K., Billen, M. (2015). What Research Says about Text Complexity and Learning to Read. The Reading Teacher. Vol. 68(7), pp. 491-501. International Reading Association.

Allington, R.L., Gabriel, R.E. (2012). Every Child, Every Day. Educational Leadership, Volume 69, Number 6, pp. 10-15. ASCD.

Antunez, B. (2002). English Language Learners and the Five Essential Components of Reading Instruction. Reading Rockets. 2015 WETA Public Broadcasting

Dodge, J. (2009). 25 Quick Formative Assessments for a Differentiated Instruction. Scholastic.

Helman, L.A., Burns, M.K. (2008). What Does Oral Language Have to Do With It? Helping Young English-Language Learners Acquire a Sight Word Vocabulary. The Reading Teacher, 62(1), pp. 14-19. International Reading Association.

Moats, L., Tolman, C. (2009). Why Phonological Awareness Is Important for Reading and Spelling. Reading Rockets. 2015 WETA Public Broadcasting

National Reading Panel. (April, 2000). Report of the National Reading Panel. Teaching Children to Read: An Evidence-Based Assessment of the Scientific Research Literature on Reading and Its Implications for Reading Instruction. National Institute of Child Health and Human Development.

Rasinski, T.V. (2004). Creating Fluent Readers. What Research Says About Reading, Educational Leadership, March 2004, Volume 61, Number 6, pp. 46-51. ASCD.

Rasinski, T.V. (2012).Why Reading Fluency Should Be Hot! The Reading Teacher. Volume 65, Issue 8, pp. 516–522. International Reading Association.

Reutzel, D.R., Cooter, R.B., Jr. (2013). The Essentials of Teaching Children to Read, The Teacher Makes the Difference. Pearson Education, Inc.

Roskos, K., Neuman, S.B. (2014). Best Practices in Reading: A 21st Century Skill Update. The Reading Teacher, 67(7), 507–511. International Reading Association.

Ruddell, R.B., Ruddell, M.R., Singer, H. (Editors). (1994). Theoretical Models and Processes of Reading, Fourth Edition. International Reading Association. Newark, Delaware.

Temple, C., Ogle, D., Crawford, A., Freppon, P. (2008). All Children Read, Teaching for Literacy In Today's Diverse Classroom. Pearson Education, Inc.